წიგნი ძველისა ალთქუმისანი

ნაკვეთი 2

ლევიტელთად, რიცხუთად, მეორისა სჯულისად

ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს
ილია აბულაძემ†, ბაქარ გიგინეიშვილმა,
ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ

„მეცნიერება“ 1990

83.3 Гр 1
ძ 493

ქვეყნდება „ლევიტელთა", „რიცხუთა" და „II სჯულის" წიგნთა კრიტიკული ტექსტები, რომლებიც კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფმა მოამზადა. დასახელებული წიგნების ქართული თარგმანი რამდენიმე რედაქციითაა მოღწეული. ამ რედაქციათა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით ხელნაწერებში რთული სურათი დასტურდება, რაც კარგად ასახავს იმ დიდ და ხანგრძლივ ფილოლოგიურ მუშაობას, რომელიც ჩვენს წინაპრებს უწარმოებიათ ბიბლიური ტექსტების თარგმნის, ურთიერთშეჯერების, უცხოენოვან წყაროებთან ხელახალი შედარების თუ მათი ენობრივად გამართვის მხრივ.

გამოცემა დიდ დახმარებას გაუწევს ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის, მხატვრული თარგმანის, კულტურის ისტორიისა და სხვა ჰუმანიტარული დარგების სპეციალისტებს. მეორე მხრივ, ძველი აღთქმის ტექსტების კრიტიკული გამოცემის მომზადებისას ჩატარებული მუშაობის შედეგები უთუოდ წარმოაჩენენ ქართული ლიტერატურის დიდ წვლილს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

სერიის სარედაქციო კოლეგია: ზ. ალექსიძე, ნ. მელიქიშვილი, ელ. მეტრეველი (მთ. რედაქტორი), გ. ნინუა, ც. ქურციკიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ლ. ხევსურიანი.

ნაკვეთის რედაქტორები ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები:
ბ. გიგინეიშვილი, ც. ქურციკიძე

რეცენზენტები ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები: გ. კიკნაძე,
თ. ცქიტიშვილი

ფ 4603020102 / M 607(06)—90 141—89

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1990

BN 5—520—00391—2

წინასიტყვაობა

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს ძველი აღთქმის წიგნთა ქართული თარგმანების კრიტიკული გამოცემის II ნაკვეთს, რომელიც შეიცავს ლევიტელთა, რიცხვთა და II სჯულის წიგნებს. ამ ნაკვეთით მთავრდება მოსეს ხუთწიგნეული. აქედან **შესაქმისა** და **ლევიტელთა** წიგნები მოამზადა ბ. გიგინეიშვილმა, **გამოსლვათა** — ც. კიკვიძემ, **რიცხუთა** — ი. აბულაძემ და ც. ქურციკიძემ, **მეორისა სჯულისა** — ნ. გოგუაძემ.

ლევიტელთა წიგნი, რომლითაც იწყება ეს ნაკვეთი, ისევე როგორც სხვა წიგნები ხუთწიგნეულისა, სპეციალური მსჯელობის საგანი იყო პირველ ნაკვეთზე დართულ გამოკვლევაში. აქ ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ ორიოდე საკითხზე.

1. ლევიტელთა წიგნი ერთადერთია, თუ არ ჩავთვლით წინასწარმეტყველთა წიგნებს, რომელიც შენახულია ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ტრადიციის მქონე რედაქციით: უძველესით — ოშკურით და XII საუკუნის თარგმანით — გელათურით. ერთი წიგნის ფარგლებში ამ ორი პოლარული რედაქციის წარმოდგენა შესაძლებლობას იძლევა მათი შედარებითი ანალიზისას მხოლოდ 11 თავის ფარგლებში, რადგან დანარჩენი ოშკურ ხელნაწერს აკლია.

2. ლევიტელთა წიგნში არსებითია სწორედ ზემოხსენებული ორი რედაქციის გამოვლენა. მაგრამ ცალკეულ ადგილებში მეტნაკლები მოცულობის ნაკვეთები ვლინდება, რომლებიც მე-3 რედაქციას ქმნიან (X,7—18; XV,33—XVI,12; XVII,10—XVIII,5).

მესამე რედაქცია A და K ნუსხებშია წარმოდგენილი. ეს ნუსხები, როგორც ცნობილია, თითქმის მთელი ხუთწიგნეულის მანძილზე მტკიცედ შეკრულ ჯგუფს წარმოგვიდგენენ (ხან ცალკე, ხან სხვა ხელნაწერებთან: ოშკურთან, საბასეულთან და სხვებთან).

ლევიტელთა წიგნის ტექსტი ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, როგორც წესი, ორ სვეტად იბეჭდება, მე-3 სვეტი მხოლოდ ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი.

რიცხვთა წიგნის ქართულ რედაქციებს გამოსაცემად ამზადებდა ილ. აბულაძე, მაგრამ მას ამ სამუშაოს ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა. ილ. აბულაძეს გადმოწერილი დარჩა გელათური რედაქციის ტექსტი A 1108 ხელნაწერიდან მთლიანად და A 51 ხელნაწერის ტექსტი VII თავის 69-ე მუხლამდე (იხ. ილ. აბულაძის არქივი, № 284).

ამ წიგნის გამოსაცემად მომზადებისას ილ. აბულაძის მიერ გადმოწერილი ტექსტი გამოვიყენეთ[1].

---

1 ტექსტი ილ. აბულაძის დავთრებიდან ინსტიტუტის დაკალებით გადმოწერა აკაკი მინდიაშვილმა.

რიცხვთა წიგნი შედგება 36 თავისაგან და დაცულია A 51(S), H 1207 (A), ქუთ. 28 (K), A 1108 (Gb), Q 1152 (Ga) ხელნაწერებსა და ქართული ბიბლიის მოსკოვურ (ე. წ. ბაქარის ბიბლია) გამოცემაში (B). ბიბლიის უძველეს კრებულს — ოშკის ბიბლიას ფურცლების დაკლების გამო რამდენიმე სხვა წიგნთან ერთად რიცხვთა წიგნიც აკლია. არსებობს აგრეთვე ორი ფრაგმენტი ამ წიგნისა: პირველი IX საუკუნით თარიღდება და შეიცავს რიცხვთა წიგნის შემდეგ ადგილებს: XXIV,5—XXV,14 და XXVI,41—XXVII,18, მეორე XI საუკუნისაა და დაცული აქვს II თავის რამდენიმე მუხლი[2]. გამოცემაში პირველი ფრაგმენტი აღნიშნულია L-ით, მეორე კი — Z-ით.

რიცხვთა წიგნის ქართული ტექსტი ყველა ხელნაწერში სეპტუაგინტის ტრადიციისაა. ტექსტზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ ამ წიგნის თავდაპირველი თარგმანი სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვაგვარად უმოწმებიათ, უსწორებიათ, უცვლიათ იმავე სეპტუაგინტის ტექსტთან მიმართებით და ისე მიუღიათ ახალი, ერთმანეთისაგან სტილისტურად განსხვავებული რედაქციები.

გამოცემაში ოთხი სეტი გამოიყო. I სეტი დაიკავა S (A 51) ხელნაწერის ტექსტმა, რადგან ვთვლით, რომ სწორედ S ხელნაწერში უნდა იყოს დაცული უძველესი ვერსია აღნიშნული თხზულებისა. ამის ნათელსაყოფად ალბათ ისიც კმარა, რომ ზემოხსენებული ორივე ფრაგმენტი, რომელთაგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი IX საუკუნისაა, ხოლო მეორე — XI საუკუნისა, ტექსტობრივად მთლიანად S ხელნაწერს გაჰყვა. საგანგებოდ ხაზგასასმელია S ხელნაწერის ტექსტთან პირველი, IX საუკუნის, ფრაგმენტის სიახლოვე: იგი, როგორც ვთქვით, შეიცავს XXIV—XXVII თავების ტექსტს, ეს თავები კი ის ადგილებია, სადაც AK ხელნაწერები (ნაწილობრივ B-ც) რედაქციულად სხვაობენ S-ისაგან და ცალკე დგანან (ამ განსხვავებათა შესახებ იხ. ქვემოთ).

II სეტში მოთავსდა AK (H 1207, ქუთ. 28) ხელნაწერების ტექსტი. ეს ორი ხელნაწერი თავიდან ბოლომდე მისდევს ერთმანეთს მცირეოდენი ვარიანტული განსხვავებით. ნაკლულია როგორც ერთი, ისე მეორე. A ხელნაწერში ნაკლული ადგილები გვაქვს სამგან, სამსავე შემთხვევაში იგივე ადგილები აკლია K-საც (იხ. I,36—41; X,22—XII,9; XIV,15—35 A, 15—38 K). ეს ნიშნავს, რომ ორივე ხელნაწერი იმეორებს რომელიღაც მესამე, წინაპარი ხელნაწერის ნაკლულ ტექსტს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ K ხელნაწერს, A-სგან განსხვავებით, კიდევ აკლია ტექსტი, თანაც დიდი რაოდენობით. ესაა ტექსტის როგორც ვრცელი მონაკვეთები, ისე ცალკეული მუხლები (I,5—16; III,35—37; V,16, 25, 28; VIII,20—21; X,6—9; XIII,16—21; XV,22—23; XXI,32—35; XXII,1; XXIII,30—XXIV,1,2; XXVI,55—58; XXX,1—16; XXXIII,18—24, 39—55). ყოველ ნაბიჯზე გვხვდება აგრეთვე ფრაზებისა და სიტყვების კლების შემთხვევები. ნაკლული ადგილების ეს სიჭარბე K-ში იმაზე მიანიშნებს, რომ მის გადამწერს ხელთ უნდა ჰქონოდა ისეთივე დაზიანებული და ნაკლული დედანი, როგორიც თითონ K ხელნაწერია.

AK ხელნაწერები S-თან მიმართებით მთელი ცხრამეტი თავის მანძილზე არსებით განსხვავებას თითქმის არ გვიჩვენებენ. არსებითი, რედაქციული განსხვავება იწყება XIX თავის ბოლო მუხლებიდან და გრძელდება XXXIII თავამდე, მთელი თოთხმეტი თავის მანძილზე. ტექსტის ამ მონაკვეთში საქმე გვაქვს აშკარად გამოხატულ ორ სტილისტურ რედაქციასთან. განსხვავება ზოგან მეტია, ზოგან — ნაკლები.

არის ასეთი მუხლები:

S (XXI)	AK
[10] და იძრნეს ძენი ისრაელისანი და დაიბანაკეს უბოთსა. [11] და იძრნეს უბოთით და დაიბანაკეს აჭალგას, წიაღ უდაბნოსა, რომელ არს პირისპირ მოაბსა, აღმოსავალით კერძო მზისაჲთ: [12] მიერ იძრნეს და დაიბანაკეს ჴევსა სარედისასა.	[10] და წარმოვიდეს მიერ ძენი ისრაელისანი და მოვიდეს სობოთად. [11] და წარმოვიდეს სობოთით და დაიბანაკეს აბარიმს, წინა კერძო უდაბნოსა მას, რომელ არს წინაშე პირსა მოაბისასა, მზის აღმოსავალით; [12] და მიერ წარმოვიდეს და დაიბანაკეს ღელესა მას ჰარედისასა.

და არის ისეთებიც, სადაც სხვაობა ძირითადად სინონიმური წყვილების შენაცვლებაში ვლინდება.

S (XXI)	AK
[32] და წარავლინა მოსე მოხილვად იაზერისა, და დაიპყრეს იგი და დაბნები მისი და გამოკადეს ამორეველი იგი, რომელ მკჳდრ იყო მუნ.	[32] და წარავლინნა მოსე განმსტრობად იაზერისა, და დაიპყრეს იგი და დაბნები მისი და გამოასხეს ამორეველი იგი, დამკჳდრებული მას შინა.

S და AK ხელნაწერებში ამგვარი განსხვავებული მუხლები გვაქვს XXXIII თავშიც, მხოლოდ უფრო სპორადულად. ბოლო, XXXIV—XXXVI თავებში კი ისინი კვლავ ერთმანეთის ვარიანტებია ძალზე უმნიშვნელო განსხვავებით.

გამოცემაში III სვეტი დაიკავა ბაქარის ბიბლიის ტექსტმა (B-მ). B-ს მიმართება S და AK ხელნაწერების ტექსტთან საოცრად ჭრელ სურათს იძლევა: თავიდან, ვიდრე XIV თავის 25-ე მუხლამდე B რედაქციულად მისდევს SAK-ს. თუმცა მეტ სხვაობებს ავლენს SAK-ს მიმართ, ვიდრე S და AK ავლენდა ერთმანეთის მიმართ (აქ იგულისხმება B-ს შემდეგი სხვაობები: მას ზოგიერთი იკითხვისი მეტი აქვს SAK-სთან შედარებით იხ.: III,18; VI,2,4,26; VII,11; IX,12; X,39; XI,17 და სხვ. ზოგიერთი იკითხვისით იგი SAK-საგან სხვაობს და G-სთან დგება: IV,40; V,18; VI,9; VII,10,15,37,43,44,67; X,6, XIII,3,15, XVIII,17 და სხვ., ამას ემატება აგრეთვე ძველი გრამატიკული ფორმების ახლით შეცვლის ანდა დამახინჯების შემთხვევები).

მკვეთრი რედაქციული განსხვავება B-ში იწყება XIV თავის 25-ე მუხლიდან (ამ თავში 45 მუხლია) და გრძელდება XV თავის ბოლომდე. განსხვავებათა თვალსაზრისით აქაც ისეთივე სურათი გვაქვს, როგორც S-ისა და AK-ს შემთხვევაში გექონდა. შდრ.:

SAK (XIV)	B
[44] და იძულებით აღკდეს თაესა ზედა მის მთისასა, ხოლო კიდობანი იგი სჯულისა უფლისაჲ და მოსე არა იძრნეს ბანაკით.	[44] და წარიპარეს და აღვიდეს თხემსა მის მთისასა. ხოლო კიდობანი იგი შჯულისა უფლისაჲ და მოსე არა აღიძრნეს საშუალ ბანაკისა.

XVI თავიდან ვიდრე XX-მდე B კვლავ SAK-ს მისდევს ისეთივე განსხვავებებით, როგორიც ჰქონდა ტექსტის დასაწყისში (XIV თავის 25 მუხლამდე). XX თავიდან XXXIV თავამდე, სადაც S და AK რედაქციულად ემიჯნებიან ერთმანეთს, B ძირითადად S-ს მიჰყვება. ამ მონაკვეთში B S-თან ერთად ამგვარად უპირისპირდება AK-ს:

SB (XX)

17 გზა-გუეც განსლვად ქუეყანით შენით, არა განვიდეთ ყანობირსა შენსა, არცა (და B) ვენაკებსა (ვენაკსა B) შენსა, არცა ვსუათ წყალი ჯურღმულისა შენისა(ჲ); გზაჲ სამეუფო(ჲ) განვლოთ, არა მივაქციოთ (მივიქცეთ B) მარჯულ, არცა მარცხ(უ)ლ (+ვიდრემდის B) გარდასლვა(დ)მდე საზღვართა შენთა.

AK

17 წარვიდეთ ადგილით შენით, არა განვლოთ ყანით შენით, არცა ვენაკით, არცა ვსუათ წყალი ჯურღმულთაგან შენთა; გზა სამეუფო წარვლოთ, არა მივაქციოთ მარჯულ, არცა მარცხლ, ვიდრემდე წარვლოთ საზღვარი შენი.

თუმცა ამავე მონაკვეთში, კერძოდ ტექსტის XXIII—XXIV თავებში, მეტად საოცარი სურათი იჩენს თავს იმ მხრივ, რომ B ზოგიერთ შემთხვევაში ეთიშება S-ს და AK-სთან დგება. (ასეთი ადგილებია XXIII,1—13; XXIV, 6—25).

S (XXIV)

6 ვითარცა მაღნარნი ბურობანნი და ვითარცა სამოთხენი მდინარეთა ზედა და ვითარცა კარავნი, რომელ აღდგნა უფალმან და არა კაცმან, და ვითარცა ნაძუნი წყლის კიდესა.

AKB

6 ვითარცა მთანი მაგრილობელნი და ვითარცა სამოთხენი მდინარეთა ზედა და ვითარცა კარავნი, რომელ აღმართნა უფალმან და (+ვითარცა B) ნაძუნი წყალთა ზედა.

წიგნის ბოლო თავებში, კერძოდ XXXV თავის მე-15 მუხლიდან (XXXV თავში 34 მუხლია) ბოლომდე — (XXXVI თავის მე-13 მუხლი), იქ, სადაც S და AK რედაქციულად კვლავ ერთიანდებიან, B ისევ გამოეყოფა მათ და ცალკე დგება. ისევ სტილისტურად განსხვავებული ტექსტი ჩნდება, ახლა უკვე წიგნის ბოლოს. ნიმუშად აქაც ერთ მუხლს მოვიტანთ:

SAK (XXXVI)

6 ესე სიტყუაჲ, რომელ(ი) უბრძანა უფალმან ასულთა სალპადისთა და ჰრქუა: სთნავს თუ წინაშე მათსა, ცოლ-ეყვნედ იგინი, ტომსა მამისა მათისასა ეცოლნენ იგინი.

B

6 ესე სიტყუაჲ არს, რომელი ბრძანა უფალმან ასულთათჳს სალპადისთა და თქუა: სადაცა სათნო უჩნდეს წინაშე მათსა, იყუნენ ცოლად, არამედ ტომისა მამისა მათისათა იყუნედ ცოლად.

SAKB ხელნაწერებში რიცხვთა წიგნის ტექსტის მსგავსება-განსხვავება უფრო ნათლად შეიძლება ამგვარად გამოისახოს (ამოსავლად ვიღებთ S-ის ტექსტს):

I—XIX (ბოლო მუხლამდე): SAK.
XIX (ბოლო მუხლებიდან) — XXXIII S—AK.
XXXIV—XXXVI (წიგნის ბოლომდე): SAK.

I—XIV_{24}: SB.
XIV_{25}—XV: S—B.
XVI—XXII: SB.
$XXIII_{1-13}$, $XXIV_{6-25}$: S—AKB.
$XXIII_{13-30}$, $XXIV_{1-6}$—$XXXV_{15}$: SB.
$XXXV_{15}$—XXXVI (წიგნის ბოლომდე): S—B.

ამგვარად, მართალია, S, AK და B ხელნაწერები ტექსტის დიდ მანძილზე ერთი რედაქციისანი არიან, მაგრამ იმ სიჭრელის გამო, რაც ამ ხელნაწერებში ტექსტის მეორე ნახევარში აღმოჩნდა, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მათი მთლიანად ცალ-ცალკე სვეტებში მოთავსება.

IV სვეტში მოთავსდა გელათური რედაქციის ტექსტი. იგი გაიმართა Ga და Gb (A 1108, Q 1152) ხელნაწერების მიხედვით. მათ შორის განსხვავება თითქმის არ არის. ესაა მხოლოდ, რომ რამდენიმე ადგილას Ga ნაკლულია, და რომ არ ყოფილიყო Gb ხელნაწერი, ამ რედაქციის ტექსტი სრული სახით არ გვექნებოდა.

Ga ხელნაწერში ბოლო 491 ფურცელზე მოთავსებულია რიცხვთა წიგნის XIX,16—XX,5 მუხლები. ეს ტექსტი სიტყვასიტყვით მისდევს შესაბამის ტექსტს Gab-ში. იგი გამოცემაში Gc-თი აღინიშნება.

მეორე სჯულის წიგნის შემცველი ხელნაწერები საკმაო რაოდენობითაა შემორჩენილი. ესენია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A 51, A 243, A 1108, H 885, H 1207, Q 1152, ქუთაისის მუზეუმის № 28. ტექსტის გამართვისას ამ ხელნაწერების გვერდით ნაჩვენებია აგრეთვე ბიბლიის 1743 წლის ბეჭდური გამოცემის მონაცემები (ისევე, როგორც ბიბლიის სხვა წიგნების კრიტიკული ტექსტების დადგენისას). მეორე სჯულის ნუსხების შესწავლის შედეგად ტექსტი წარმოვადგინეთ ორ სვეტად: პირველ სვეტში მოცემულია A 51 (=S), A 243 (=E), H 885 (=D), H 1207 (=A), ქუთ. 28 (=K) ნუსხების ტექსტი; აქვე დადგა ბეჭდური გამოცემის ტექსტიც (=B); მეორე სვეტში წარმოდგენილია ე. წ. კატენებიანი ბიბლიური ტექსტების შემცველი ნუსხები: A 1108 (=Gb), Q 1152 (=Ga). კატენებიანი ტექსტის ნუსხები ზემოიწევნით ემთხვევიან ერთმანეთს: ეს აშკარად ერთი და იმავე ტექსტის ორი ნუსხაა (რომელთაც განსხვავებული იკითხვისები თითქმის არ გააჩნიათ).

განსხვავებული მდგომარეობაა პირველ სვეტში წარმოდგენილი ტექსტის შემცველი ნუსხების ურთიერთმიმართებაში. თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მათგანი დეფექტურია: A წყდება 14,29-ზე, K წყდება 7,8-ზე, D ნუსხა თავნაკლულია, იწყება 16,5-დან. D ხელნაწერის გულდასმით გადასინჯვით ჩნდება აზრი, რომ A-ში წარმოდგენილი მეორე სჯულის ტექსტის გაგრძელებას უნდა შეიცავდეს D. ორივე ნუსხის დამკვეთია ორბელ მდივანბეგი, ყაფლანისძე, რომელიც წარმართავდა ბიბლიის წიგნების გადანუსხვის საქმეს გეგმაზომიერად.

სრული ნუსხებია B, E, S, თუმცა E ნუსხას ტექსტი შიგადაშიგ აკლია, რაც დედნისეული უნდა იყოს: ხელნაწერში ხშირად დაუწერელი სტრიქონებია დატოვებული.

ამდენად მთელი ტექსტის მოცულობით ამ ხელნაწერთა სიახლოვესა თუ დაშორებაზე მსჯელობის საშუალება არ არის. შევნიშნავთ მაინც, რომ უფრო ახლოს დგანან A, K, E ხელნაწერები. ყველაზე მეტ განსხვავებას და დამო-

უკიდებლობას პირველი სვეტის ნუსხებში იჩენს ბეჭდური გამოცემის ტექსტი (B). მისი სხვაობანი ძირითადად გამომცემლების მიერ ჩატარებულ შეჯერება-შესწორებათა შედეგია.

II ნაკვეთში გამოყენებული ხელნაწერების ლიტერები:

O — Ath. 1.
A — H 1207.
B — A 455 (ბაქარის ნაბეჭდი ბიბლია).
D — H 885.
E — A 243.
Gb — A 1108.
Ga, Gc — Q 1152.
K — ქუთ. № 28.
S — A 51.
L — S 104 (ფრაგმენტი).
Z — ათონის ზოგრაფის მონასტრის № 11 ხელნაწერი (ფრაგმენტი).

წიგნი ლევიტელთაჲ*

OAKSB Ga

თავი I

[1] და უწოდა ღმერთი მოსეს და ეტყოდა მას უფალი კარვით გამო საწამებელისაჲთ: [2] ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ: კაცი თქუენგანი უკუეთუ შემოსწირვიდეს შესაწირაესა მსხუერპლად ღმრთისა, საცხოვართაგან და ზროხათა და ცხოვართა შეწირეთ მსხუერპლი თქუენი. [3] უკუეთუ მრგულიად დასაწუველი იყოს მსხუერპლი იგი მისი, ჯარი ჯბოჲ უბიწოჲ ზროხათაგან მოიბას, კართა თანა კარვისა მის საწამებელისათა... და შეწიროს იგი სათნოდ წინაშე უფლისა. [4] და დასდვას კელი მისი თავსა ზედა მის შესაწირავისასა სათნოდ მისა და სალხინებელად მისთჳს. [5] და დაკლან ჯბოჲ იგი წინაშე უფლისა და შეწირონ ძეთა აჰრონისთა მღდელთა სისხლი იგი მისი და მოაპკურონ სისხლი იგი მისი გარემო საკურთხეველსა მას, რომელი არს კართა მათ თანა კარვისა საწამებელისათა. [6] და განჰკადონ მრგულიად შესაწირავი იგი და განაგონ ასოდ-ასოდ. [7] და დადვან ძეთა აჰრონისთა მღდელთა ცეცხლი საკურთხეველსა ზედა და დაასხან შეშაჲ ცეცხლ-

[3] უკუეთუ ყოვლად დასაწუველი იყოს ძღუენი მისი ზროხათაგან, ზუარაკი უბიწოჲ მოიბას იგი, კართა თანა კარვისა საწამებელისათა მოიყუანოს იგი მითუალულად წინაშე უფლისა. [4] და დასდვას კელი თავსა ზედა მისსა, ნაყოფისასა, მითუალულად მისსა ლხინების-ყოფად მისთჳს. [5] და დაკლან ზუარაკი წინაშე უფლისა და მოიღონ ძეთა აარონისთა მღდელთა სისხლი და მოღუარონ სისხლი საკურთხეველსა ზედა გარემო კართა თანა კარვისა საწამებელისათა. [6] და ტყავისა განმკდელთა ყოველად დასაწუველისათა ასოეულ-ყონ იგი ასოეულად. [7] და დადვან ძეთა აჰრონისთა მღდელთა ცეცხლი საკურთხეველსა ზედა და დააწყენენ შეშანი ცე-

---

* წიგნი ლევიტელთა (რ'ი ებრაელთაგან ეწოდების ვოკთა A*) აღწერილი მოსე წ'წყლისა თავი გ' AK. წიგნი მესამჱ ლევიტელთაჲ OS.

OAKSB: I, [1] უწოდა AKB. მას უფალი—AK. კარვისაგან AK. კარვისა SB. გამო—AK; გამო]მისგან SB. საწამებელისაჲთ]საწამებელისა და ჰრქუა AKSB. [2] მათ]მას B. და 2°—AK. ზროხათაგან AKSB. ცხოვართაგან S. და ცხოვართა]პირუტყუთაგან B. [3] დასაწუ‹ლი B, დასაწუველი]მწუარი AKS. ჯბო A. უბიწო AKB. მოიბას—K;¦მოიბას+იგი SB. მოიბას]შესწიროს იგი A. მის—AKB. [4] დასდვან OSB. კე O. მის—K. მისთჳს (წაშლილია)+თაესა თჳსისათ'ს A. [5] დაკლან B. ჯბო AB. აარონისთა K. მღუელთა A+და K*. და 3°—KB. მისი+მოაპკურონ K*. და მოაპკურონ სისხლი იგი მისი—A. მათ—B. კარვ:სა+მას AB. [6] განჰკადოს S. განაგონ+იგი AKS. დააგონ B. [7] დასდვან B. აარონისთა K. საკურთხეველსა+მას AKSB. შეშა AB.

OAKSB

სა მას ზედა. [8] და დააგონ ძეთა აჰრონისთა მღდელთა დრონეული იგი და თავი და ცმელი შეშასა მას ზედა და ცეცხლსა, (119r) რომელი იყოს საკურთხეველსა მას ზედა. [9] ხოლო ნაწლევნი და ფერჯნი განჰრცხნე წყლითა და დააგოს მღდელმან მან ყოველი ესე საკურთხეველსა ზედა: ნაყოფი არს ესე, შესაწირავი, სული სულნელებისაჲ უფლისა.

[10] უკუეთუ ცხოვართაგანი იყოს შესაწირავი იგი მისი ღმრთისა, კრავთაგან და თიკანთაგან, მრგულიად მწუარად, ვერძი უბიწოჲ მოიბას იგი და დასდვას კელი მისი თავსა ზედა მისსა. [11] და დაკლან იგი გუერდით კერძო საკურთხეველსა მას, ბღუარით კერძო წინაშე უფლისა და შეაპკურონ ძეთა აჰრონისთა მღდელთა სისხლი იგი მისი გარემო საკურთხეველსა მას. [12] და განყონ იგი ასოდ-ასოდ, თავი და ცმელი, დააგონ მღდელთა მათ შეშასა მას ზედა და ცეცხლსა, რომელი იყოს საკურთხეველსა მას. ზედა. [13] ხოლო ნაწლევნი და ფერჯნი მისნი განრცხნენ წყლითა და შეწიროს მღდელმან მან ყოველი ესე და დადვას საკურთხეველსა მას ზედა: ნაყოფი არს, შესაწირავი, სული სულნელებისა უფლისა.

[14] უკუეთუ მფრინველთაგან ნაყოფი მსხუერპლად შეწიროს ღმრთისა, და შეწიროს გურიტთაგან ანუ მართუეთა-

Ga

ცხლსა ზედა. [8] და დასხნენ ძეთა აჰრონისთა მღდელთა ორგანკუეთილებანი იგი და თავი და ცმელი შეშათა ზედა ცეცხლისზედათა საკურთხეველ[სა ზედა].

(აკლია)

OAKSB: [8] არონისთა K. და ცეცხლსა—S. ცეცხლი B. იყო SB. საკურთხეველსა]საკითხავსა B. [9] განრცხენ AK, განრცხნე B, განჰცხნე S. მან—AK. სულად B. სულნელებისა AKB. [10] ღმრთისა]უფლისა B. მწურად AKB. ვერძი+იგი K. უბიწო AK. მოიბა AK. დასდვან OSB. ~მისსა ზედა SB. [11] დაჰკლან B. კერძო 1°—AKSB. ~მღდელთა ძეთა აჰრონისთა (აროწისთა K) AKSB. იგი 2°—AKS. [12] განუყვნა B. იგი]იგინი B.ასოდ 2°+და AK.' ცმელი+და B. და ცეცხლსა, რომელი იყოს]ცეცხლსა ზედა B. საკურთხეველსა—K. მას 2?—B. და ცეცხლსა... ზედა—OS. [13] ხოლო ნაწლევნი—K]და ნაწლევნი A*. მისნი—AKSB. განრცხენ AK, განრცხნეს S. და—OSB. დასდვას B. მას—B. [14] უკეთუ B. ფრინველთაგან B. და შეწიროს—AK.

ΘAKSB

განტრედთაჲსა შესაწირავი მისი. [15] და მოიღოს მღდელმან მან საკურთხეველსა თანა და წარჰკუეთოს მღდელმან თავი და დადვას საკურთხეველსა ზედა (119v) და დაწრიდოს სისხლი მისი ხარისხსა მას საკურთხეველისასა. [16] და წარჰკუეთნეს მჯარნი* შეწებულად ფრთითურთ და გამოიხუნეს იგინი საკურთხეველისაგან აღმოსავალად ადგილსა მსხუერპლისასა. [17] და მოსტეხნეს იგინი ფრთეთა მათგან და არა განყოს (sic), და დადვას იგი მღდელმან მან საკურთხეველსა მას ზედა შეშასა მას ზედა და ცეცხლსა: ნაყოფი არს, შესაწირავი, ხულად სულნელებისა ღმრთისა.

Ga

თავი II

[1] უკუეთუ სული შესწირვიდეს ძღუნად შესაწირავად ღმრთისა, სიმინდოჲ იყოს შესაწირავი მისი და დაასხას მას ზედა ზეთი და დასდვას მას ზედა გუნდრუკი: შესაწირავი არს ესე. [2] და მოართუას ძეთა აჰრონისთა მღდელთა, და აღიღოს მისგანი სავსე მჭელი სამინდოჲსა მისგან ზეთითურთ და ყოველივე იგი გუნდრუკი მისი და დასდვას მღდელმან მან საჴსენებელი მისი საკურთხეველსა მას სულად სულნელებად ღმრთისა. [3] და სხუაჲ იგი მსხუერპლისაჲ მის აჰრონისა და ძეთა მისთა იყოს, წმიდათა მათგან მსხუერპლთა ....მისი და დაასხას მას ზედა ზეთი, დასდვას მას ზედა გუნდრუკი, რამეთუ მსხუერპლ არს. [2] და მოიღოს ძეთა მიმართ აჰრონისთა მღდელთა, და იმჯუღოს მისგან და აღავსოს მჭელი სამინდოჲსთა ზეთისა თანა და ყოვლისა გუნდრუკისა მისისა და დადვას მღდელმან მოსაჴსენებელი მისი საკურთხეველსა ზედა მსხუერპლი სულად სულნელებისად უფლისა. [3] და ნეშტი მსხუერპლისაგან აარონს და ძეთა მისთა, წმიდაჲ წმიდათაჲ მსხუერ-

---

OAKSB: ტრედთასა AKB. [15] თანა]მას K. წარკუეთოს KB. მღდელმან 2°+მან SB. მღდელმან—AK. თავი+მისი B. დასდვას B. დასწრიდო`A, დასწრიტოს B, დასწრიდოს SK. მისი—AK. ხრიხსა K. [16] მჯარნი—OAKS. ფრთითურთ]მჯრითურთ B. იგინი]იგი OAKS. ადგილსა+მას AK. მსხუერპლისაჲ A, მსხუერპლისასა]მას ნაცრისა მსახურებისასა B. [17] იგინი]იგი OS. დასდვას ASB. ზედა 1°+შეშასა A*. მას ზედა 2°—B. ზედა 2°—S. შეშასა მას ზედა—A. ცეცხლსა+და B. სული ASB. ღმრთისა]უფლისა B. და დადვას... ღმრთისა—K. II. [1] უკეთუ B. სულსა OAKS. ღმრთის]უფლისა B. სამინდო AKB. დაასხა B. მას ზედა—B. დასდვა B. არს K. [2] აარონისთაჲ K. მისგან KB. სამინდოსა AKB. მისი—B. და 3°—S. საჴსენებელი მისი—O. სულნელად AK, სულნელებისად B. მრთისა და უფლისა B. [3] იგი—B. მსხუერპლისა AB. აჰრონისი B, აარონისა K. იყოს+წ˘ჲ A*.

* მხოლოდ B-შია, რომელსაც მხარს უჭერს სომხური თარგმანი. ებრაულსა, ბერძნულსა და სლავურში „მჯარნი-ს“ მაგიერ „ინჩაკი“ გვაქს.

OAKSB

ღმრთისათა. 4 და უკუეთუ შესწირვიდეს ძღუენსა შესაწირავად, გამოცხობილსა თორნითა, — სამინდოჲსაგან ჯურნი უცომონი, ზეთითა შესუარულნი, და ლელანგოჲ უცომოჲ ცხებული (120r) ზეთითა. 5 უკუეთუ შესაწირავი ტაპაკისაგან იყოს ძღუენი იგი შენი, სამინდოჲ შესუარული ზეთითა, უცომოჲ იყოს. 6 და დაალტო იგი დამუსრვილი და დაჰსხა მას ზეთი: შესაწირავი არს ღმრთისა. 7 უკუეთუ შესაწირავი ლანძჭსაგან იყოს ძღუენი იგი შენი, სამინდოჲ ზეთითა შეიქმნეს. 8 და შეწიროს მსხუერპლი იგი, რომელი ექმნეს ერთი ამათგანი, ღმრთისა, და მოართუას იგი მღდელსა. და მიეახლოს მღდელი იგი საკურთხეველსა მას 9 და აღიღოს მსხუერპლისა მისგან მოსაჴსენებელი მისი და დადვას მღდელმან მან საკურთხეველსა ზედა, ნაყოფად, სულად სულნელებისა ღმრთისა. 10 ხოლო ნეშტი იგი შესაწირავისაჲ მის აჰრონისა და ძეთა მისთა იყოს, წმიდაჲ წმიდათაჲ ნაყოფთა მათგან ღმრთისათა.

11 ყოველსა მას შესაწირავსა, რომელსა შესწირვიდეთ ღმრთისა, არა ჰყოთ ცომოვანი, რამეთუ ყოველიცე ცომი და ყოველივე თაფლი არა შესწიროთ მათგანი ნაყოფად ღმრთისა. 12 და ძღუნად პირველად შესაწირავად იგი ღმრთისა, და საკურთხეველსა ზედა არა აღვიდეს იგი სულად სულნელად

Ga

პლთაგან უფლისათა. 4 ხოლო უკუეთუ მოიღოს ძღუენი მსხუერპლად [შ]ემცხვარი თორნითა, — სამინდოჲსაგან პურნი უცომონი, აღსუარულნი ზეთითა, და ლელანგონი უცომონი ცხებულნი ზეთითა. 5 და უკუეთუ მსხუერპლი ტაფიკისაგან იყოს ძღუენი შენი, სამინდოჲ აღსუარული ზეთითა, უცომონი იყვნენ. 6 და დაჰმუსრნე იგინი ნამუსრევებად და დაასხა მათ ზედა ზეთი: მსხუერპლი არს უფლისაჲ. 7 ხოლო უკუეთუ მსხუერპლი ლანძჭსაგან იყოს ძღუენი შენი, სამინდოჲ ზეთითა შეიქმნას. 8 და მიართუა მსხუერპლი, რომელიცა ჰქმნა ამათგან, უფალსა, და მიიღო მღდელსა მიმართ. და მიახლებულმან საკურთხეველისა მიმართ 9 აღიღოს მღდელმან საკურთხეველსა ზედა სანაყოფე სულად სულნელებისად უფლისა. 10 ხოლო დაშთომილნი მსხუერპლისაგან აჰრონს და ძეთა მისთა, წმიდაჲ წმიდათაჲ სანაყოფეთაგან უფლისათა.

11 ყოველი მსხუერპლი, რომელიცა შეეწირვის უფალსა, არა შეიქმნას ცომოვნად, რამეთუ ყოველი ცომი და ყოველი თაფლი არა დაერთოს მას ზედა ნაყოფებად უფლისა. 12 ძღუნად დასაბამისად მოერთუნენ იგინი უფალსა, ხოლო საკურთხეველსა ზედა არა აღვიდენ იგინი სულად სულნელებისა უფ-

---

OAKSB: ღმრთისათაჲ O, ღმრთისათა]უფლისათა]უფლისათა B. 4 და 1°—AKSB. გამოცხობილი OAKSB. თორნეთა AK. სამინდოთაგან AK, სამინდოჲსაგან]სამინდოსგან მსხუერპლი B. ლელანგო AK. უცომო AK. ცხებული]ცხობილი O. 5 უკეთუ B, უკუეთუ]და უკუეთუ S. შესაწირავი +იგი SB. შესაწირავი]შესწირვიდე O. ტაპაკისგან B, ტაბაკისაგან AK. სამინდო AKB. უცომო AKB. 6 დაალტო S. ღმრთისა]უფლისა KB. 7 სამინდო AB. შეიქმნეს] აღსუარულ იყოს AK. 8 შეიწიროს B. შეიქმნეს AK, შეექმნეს B. ღმრთისა]უფლისა B. და 2°—B. მღდელსა და მიეახლოს მღდელი იგი—B. 9 და 1°+წარმოდგომილი საკურთხეველსა B. მისი] მისდა B. დასდვას B. ღმრთისა]უფლისა B. 10 შესაწირავსა B, შესაწირავისა A. მის—AK. აჰრონისა K. წმიდათა A, წმიდაჲ წმიდათაჲ]წმიდათა წმიდაჲ K. მათგან]მათ B. 11 ყოველსავე AK. ღ მრთის ა]უფლ ა AK. ყოთ AK. შესწირო AK. ღმრთისა]უფლისა S. 12 იგი 1°—AK. იგი 1°, 2°—AKB.

OAKSB

ღმრთისა. [13] და ყოველივე შესაწირავი მსხუერპლისა თქუენისაჲ მარილითა დაიმარილენ. არა დააცადოთ მარილი (120v) შჯულისა ღმრთისაჲ შესაწირავთაგან თქუენთა, და ყოველსა ზედა შესაწირავსა თქუენსა მარილი დაასხთ. [14] უკუეთუ შესწირვიდე შესაწირავსა პირველთა ნაყოფთაგან ღმრთისა, ახალი შეხუკვილი ნედლი ღერღილი ღმრთისა, შესწირო მსხუერპლად პირველად ნაყოფთაჲ. [15] და დაასხა მას ზედა გუნდრუკი: შესაწირავი არს ესე. [16] და შეწიროს მღდელმან მან საკსენებელად მისა ეტერთა მათგან ზეთითურთ და ყოველივე გუნდრუკი მისი: შესაწირავი არს ესე ღმრთისა.

Ga

ლისა. [13] და ყოველი ძღუენი მსხუერპლისა თქუენისაჲ მარილითა დამარილოს. არა მოაკლდეს მარილი აღთქუმისა ღმრთისაჲ მსხუერპლებთა თქუენთაგან, ყოველსა ზედა ძღუენსა თქუენსა დაესხას მარილი. [14] ხოლო უკუეთუ მოართუამ მსხუერპლსა პირველთა ნაშრომთასა უფალსა, ახალი ეტერი წინამოჲ გამოქუცნვილი უფალსა, და მოართუა მსხუერპლი პირველთა ნაშრომთაჲ. [15] და დაასხა მას ზედა ზეთი და დასდვა მას ზედა გუნდრუკი: მსხუერპლი არს. [16] და შეწიროს მღდელმან საკსენებელი მისი ეტერ-წინამოთაგან ზეთისა თანა და ყოვლისა გუნდრუკისა მისისა: ნაყოფება არს უფლისა.

თავი III

[1] უკუეთუ შესაწირავი ცხორებისაჲ იყოს მსხუერპლი იგი მისი ღმრთისა, ანუ ზროხათაგან შესწირვიდეს იგი, გინა თუ ვერძსა გინა თუ ნეზუსა, უბიწოჲ მოიბენ იგი წინაშე ღმრთისა. [2] და დაასხნეს ჴელნი მისნი თავსა ზედა მის შესაწირავისასა დ დაკლას იგი კართა თანა კარვისა მის საწამებელისათა, და დასთხიონ ძეთა აჰრონისთა მღდელთა სისხლი იგი მისი საკურთხეველსა მას მრგულიად დასაწუველთა გარემოჲს. [3] და მოიღონ შესაწირავისა მისგან ცხორებისაჲსა ნაყოფად ღმრთისა ცმელი იგი გარდაბურვილი ქუსეტსა და ყოველი ცმელი მუცლისაჲ, [4] და ორნი (121r) თირკუმელნი და ცმელი იგი,

[1] ხოლო უკუეთუ მსხუერპლსა მაცხოვარებისასა ძღუნად მისსა უფალსა, უკუეთუ ზროხათაგან ვიდრემე შესწირავს მას, გინა თუ წულებრივთა ანუ მდედრთაგან, უბიწოჲ მოიყვანოს იგი წინაშე უფლისა. [2] და დაასხნეს ჴელნი მისნი თავსა ზედა ძღუნისასა და დაკლას იგი კართა თანა კარვისა საწამებელისათა, და მოღუაროონ ძეთა აარონისთა მღდელთა სისხლი საკურთხეველსა ზედა ყოვლად დასაწუველთასა გარემოჲს. [3] და მიართუან მსხუერპლისაგან საკურთხეველისა სანაყოფე უფალსა — ცმელი (6r) [საბუ]რველი მუცლისაჲ და ყოველი ცმელი მუცლისაზედაჲ, [4] და ორნივე თირკუმელნი და ცმელი იგი

OAKSB: ღმრთისა]უფლისა AKB. [13] თქუენ.სა AKB. სჯულისა K. ღმრთისა AS; ღმრთისაჲ] უფლისაჲ B. მარილი]და შესწირვიდეთ უფალსა ღმერთსა თქუენსა მართლად B. დაასხით OSB. [14] შესაწირავთა B. პირველ AKB. ღმრთისა 1°, 2°]უფლისა B. შეხუკვილი]შეტუსვილი AKSB. ღერილი S. ~შესწირო ღმრთისა AK. პირველ AK, პირველთა SB. ნაყოფთა AKB. [15] დასდვა] დასდგა AK. [16] მან—AK. საკსენებელი AKSB მისი AKSB. ესე—B. III, [1] შესაწირავად AKSB. ცხორებისა AKSB. მის K. იგი 2°—AK. გინათუ 2°—AK. უბიწო A. მოიბან OK. მოიბინ B. [2] დაასხნეს OSB. მისნი—O. თაესა+მას SB. შეწირვისასა K. დაჰკლა A. დაკლა K, დაკლან O. იგი 1°+წინაშე ღმრთისა B. საწამებელისასა SB. ჰარონისთა B, არონისთა K. დასაწუჱლთასა AK, დასწ‿ეელთასა S. [3] ცხორებისასა AKB. ქუსეტსაჲ AK. მუცლისა AKB. [4] და 1°—B. თირკმელნი B. და ცმელი იგი]ცმელითურთ მისით AK.

OAKSB

რომელ მას(!)ზედა არს ბარკალთაჲ, და ღჳძლის ყურნი იგი თირკუმელთა თანა მოჰკუეთოს. 5 და შეწირონ ძეთა აჰრონისთა მღდელთა საკურთხეველსა მას ზედა შესაწირავთასა, შეშაჲა მას და ცეცხლსა, ნაყოფად, სულად სულნელად ღმრთისა.

6 უკუეთუ ცხოვართაგან იყოს მსხუერპლი იგი მისი ღმრთისა საცხორებელად მისა, ვერძი გინათუ ნეზჳ, უბიწოჲ მოიბას იგი. 7 უკუეთუ კრავი მოებას შესაწირავად მისა, მოართუას იგი წინაშე ღმრთისა 8 და დაასხნეს ჴელნი მისნი თავსა მას მის შესაწირავისა მისისაჲა და დაკლას იგი კართა თანა კარვისა საწამებელისათა, და დასთხიონ ძეთა აჰრონისთა მღდელთა სისხლი იგი მისი გარემო საკურთხეველსა მას. 9 და შეწიროს შესაწირავი იგი ცხორებისაჲ მსხუერპლად ღმრთისა, ცმელი და წელნი უბიწონი (თეძოჲთურთ მოჰკუეთნეს იგინი) და ცმელი იგი გარდაბურვილი ქუსეტსა და ყოველი ცმელი მუცლისაჲ 10 და ორნი თირკუმელნი და ცმელი იგი მათ ზედა, რომელ არს ბარკალთაჲ, და ღჳძლის ყური იგი (თირკუმლითურთ მოჰკადოს). 11 და შეწიროს მღდელმან მან საკურთხეველსა ზედა, სულად სულნელებისად, მსხუერპლად ღმრთისა.

12 ანუ თუ თხათგანი (121v) იყოს შესაწირავი იგი მისი, და მოჰგუაროს იგი წინაშე ღმრთისა. 13 და დაასხნეს ჴელნი მისნი მას ზედა, და დაკლან იგი

Ga

მათზედაჲ, რომელ არს ბარკალთაჲ, და ყური ღჳძლისაჲ თირკუმელთა თანა მოჰკუეთოს. 5 და დასხნენ იგინი ძეთა აარონისთა მღდელთა საკურთხეველსა, ზედა ყოველად დასაწუველთა თანა, შეშათა ზედა ცეცხლისზედათა, ნაყოფებად, სული სულნელებისაჲ უფალსა.

6 უკუეთუ ცხოვართაგან ძღუენი მისი, მსხუერპლი მაცხოვარებისაჲ უფალსა, წულებრი ანუ მდედრი, უბიწოჲ შეწიროს იგი. 7 ხოლო უკუეთუ კრავი მოიყვანოს ძღუნად მისსა, შეიყვანოს იგი წინაშე უფლისა 8 და დასდვას ჴელი თავსა ზედა ძღუნისა მისისასა და დაკლას იგი კართა თანა კარვისა საწამებელისათა, და მოღუარონ ძეთა აარონისთა მღდელთა სისხლი საკურთხეველსა ზედა გარემოჲს; 9 და შესწიროს მსხუერპლისაგან მაცხოვარებისა ნაყოფებაჲ უფალსა, ცმელი და წელნი უბიწონი (თეძოთა თანა მოჰკუეთნეს მას) და ყოველი ცმელი დამფარველი... საჲ და ყოველი ცმელი მუცლისზედაჲ 10 და ორნივე თირკუმელნი და ცმელი იგი მათზედაჲ, რომელ არს ბარკალთაჲ, და ყო[ველი] ღჳძლისზედაჲ (თირკუმელთა თანა მო[ჰ]კუეთოს). 11 და შეაროუას მღდელმან მან საკურთხეველსა ზედა სული სულნელებისაჲ ნაყოფებად უფალსა.

12 ხოლო უკუეთუ თხათაგან მოჰგურიდეს მსხუერპლსა მისსა უფალსა, მიიყვანოს წინაშე უფლისა. 13 და დაასხნეს ჴელნი მისნი თავსა ზედა მისსა, და

OAKSB: მას ზედა—AK. ~მას ზედა რომელ არს SB. ბარკალთა AK. ბარკალთაჲ და ღჳძლის ყურნი იგი—O. 5 შეწირონ+იგი AKSB. აარონისთა K. მღდელთა—K. შეშასა მას და ცეცხლსა]ცეცხლსა და შეშასა K. ცეცხლსა+საკურთხეველსა და B. 6 მისი]მის K. საცხოვრებელად AKB. გინა AK. ნეზუკი B. უბიწო AK. 7 უკეთუ SB. მოიბას AKS. კრავი მოებას]მოიბას კრავი B. მოართუან AK. 8 და 1°—AK. დაასხნენ SB. დასხნეს O. მისნი]თჳსნი AK. მის—SB. მას მის]ზედა AK. შესაწირაისა მისისასა—K, მისისა A. დაჰკლას B. კარვისა+მის AK. არონისთა K. გარემოს AK. 9 ცხოვრებისა B, ცხორებისა AK. ცმელნი B. უბიწო AK. უბიწოჲ OSB. თეძოთურთ AKB, თზოჲთურთ S. მოჰკუეთოს AKSB, მოჰკუეთნე O. იგი OSB. ქუსეტსა AK. მუცლისა AB. 10 ბარკალთა KB. ყურნი OSB. თირკუმელითურთ AK. მოჰკადონ AK. 11 საკურთხეველსა+მას AK. სულნელებისა AKSB. ღმრთისა]უფლისა B. თხათაგან AK. 12 მოგუაროს K. იგი 2°—K. 13 დაასხას B. მისნი—B. მას ზედა]თაესა ზედა მისსა AKSB. ღმრთისა]უფლისა B.

OAKSB

წინაშე ღმრთისა კართა თანა კარვისა მის საწამებელისათა და დასთხიონ ძეთა აჰრონისთა მღდელთა სისხლი იგი მისი გარემო საკურთხეველსა მას. [14] და შეწიროს მას ზედა მსხუერპლად ღმრთისა ცმელი იგი გარდაბურვილი ქუსტსა და ყოველი ცმელი მუცლისაჲ [15] და ორნი თირკუმელნი და ცმელი იგი მათ ზედა, რომელ არს ბარკალთაჲ, და ღვძლის ყური იგი ღვძლისაჲ (თირკუმელთა თანა მოჰკუეთოს), [16] და შეწიროს იგი მღდელმან მან საკურთხეველსა ზედა, ნაყოფად. სულად სულნელად ღმრთისა, ყოველივე ცმელი ღმერთსა. [17] სჯულად საუკუნოდ ნათესავსა შოვრის თქუენსა, ყოველსა სამკჳდრებელსა თქუენსა: ყოველი ცმელი და ყოველი სისხლი არა შჭამოთ.

Ga

დაკლან იგი წინაშე უფლისა კართა თანა საწამებელისათა და მოლუაროთ ძეთა აარონისთა სისხლი საკურთხეველსა ზედა გარემო. [14] და შესწირონ მისგან ნაყოფებად უფალსა ცმელი საბურველი მუცლისაჲ და ყოველი ცმელი მუცლისზედაჲ [15] და ორნივე თირკუმელნი და ყოველი ცმელი მათზედაჲ და ბარკალთაჲ და ღვძლის ყური (თირკუმელთა თანა მოჰკუეთოს), [16] და აღიღოს მღდელმან საკურთხეველსა ზედა, ნაყოფებად, სული სულნელებისაჲ უფალსა, ყოველი ცმელი უფალსა. [17] შჯულ ვილად საუკუნოდ ნათესავსა შინა თქუენსა და ყოველსა სამკჳდრებელსა თქუენსა: ყოველი ცმელი და ყოველი სისხლი არა შჭამოთ.

თავი IV

[1] და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [2] ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და არქუ: კაცმან თუ ცოდოს წინაშე ღმრთისა არა ნეფსით ყოველთა შათგან ბრძანებათა ღმრთისათა, რომელ არა ჯერ-არს ყოფად, და ყოს ერთი რაჲმე მათგანი, [3] უკუეთუ მღდელთმოძღუარმან მან ცხებულმან ცოდოს, ესე — ერისა ცოდვაჲ, და მოიბას ცოდვისა მისთჳს, რომელ ცოდა, ჯბოჲ ზრახთაგან უბიწოჲ ღმრთისა წინაშე ცოდვისა მისთჳს. [4] და წარმოიბას (122r) კართა თანა კარვისა მის საწამებელისა-

და ეტყოდა უფალი მოსეს, მეტყუელი: [2] იტყოდე ძეთა მიმართ ისრაელისათა და თქუ: სულმან უკუეთუ ცოდოს უნებლიეთ ყოველთაგან ბრძანებათა უფლისათა, რომელთაჲ არა ჯერ-არს ქმნაჲ, და ქმნას ერთი რაჲმე მათგანი, [3] უკუეთუ მღდელთმთავარმან ვინმე ცხებულმან ცოდოს, ესე ერისა არს ცოდვა, და მოჰგუაროს ცოდვისათჳს მისისა, რომელი ცოდა, ზუარაკი ზრახთაგან უბიწოჲ უფალსა ცოდვისათჳს. [4] და მოიყვანოს ზუარაკი კარსა

OAKSB: თანა—B. აარონისთა K. გარემოს AKB. [14] ქუსტსა—AK (ჩამატ A^a-ში). მუცლსა SB. მუცლისა AB. [15] თირკმელნი AK. ბარკალთა AKB. ყურნი OSB. ღვძლისა AK. ღვძლისაჲ—B. [16] ღა—B. მან—AK. ღმრთისა]უფალსა B. ღმერთსა]უფლისა B+შესწირა K^a. [17] შჯულად AKS. შჩუულად B. შოვრის]შინა K. თქუენსა+ყოველსა სამკჳდრებელსა თქუენსა AK. ჰჭამოთ SB. ჭამოთ K. შჭამოთ+ყოველთა შინა სავანებელთა თქუენთა B. IV, [2] შენ—B. არქუ]ჰკ^a ყოველმან AK. კაცმან]სულმან B. სცოდოს B. ნებით B. თუ ცოდოს... ნეფსთ]არა ნეფსითა თუ გულისათა ცოდოს წინაშე ღმრთისა და AK. რომელი AK. [3] მან—AK. ერის]ერსა Š B. ცოდეა A. რომელ ცოდა—AK. ჯბო AK. უბიწო AKSB. ~წინაშე ღმრთისა AK. [4] წარმოიბას+ჯბო იგი AK. ჯბოსასა AK. ჯბოჲ]ზუარაკი AK.

G: IV, [3] ვინმე]ვ^{e}ეშე Ga.

2. წიგნი ბუელისა აღთქუმისანი

OAKSB

თა წინაშე ღმრთისა და დასდვას კელი მისი თავსა ზედა მის კბოჲსასა წინაშე ღმრთისა და დაკლას კბოჲ იგი წინაშე ღმრთისა. 5 და მოიღოს მღდელმან მან ცხებულმან, განსრულებულმან, კელითა მისითა სისხლი იგი კბოჲსაჲ მის და შეიღოს იგი კარავსა მას საწამებელისასა. 6 და დააწოს თითი მღდელმან მან სისხლსა მას და აპკუროს სისხლისა მისგანი შჳდ გზის თითითა თჳსითა წინაშე ღმრთისა კრეტსაბმელსა მას თანა წმიდასა. 7 და სცხოს სისხლისა მისგანი კბოჲსაჲ რქათა მათ საკურთხეველისათა საკუმეველისა მის აღზავებულისათა წინაშე ღმრთისა, რომელ არის (sic!) კარავსა მას შინა საწამებელისასა, და ყოველივე იგი სისხლი კბოჲსაჲ მის მოაპკუროს წინაშე ხარისხსა მას საკურთხეველისა მის ნაყოფთაჲსა, რომელ არს წინაშე კართა მათ კარვისა საწამებელისათა. 8 და ყოველივე ცმელი კბოჲსაჲ მის ცოდვათაჲსაჲ მოჰკადოს მისგან, ცმელი იგი ნაწლევთა[ჲ] და ყოველი ცმელი, რომელი არს ნაწლევსა, 9 და ორნი თირკუმელნი და ცმელი იგი მათ ზედა, რომელ არს ბარკალთა თანა, და ძირი იგი ღჳძლისაჲ თირკუმელთა თანა მოჰკადოს, 10 ვითარცა-იგი მოჰკადიან კბოსა მას შესაწირავისა ცხორებისაჲსა, და შე(122v)წიროს მღდელმან მან საკურთხეველსა მას ზედა ნაყოფთაჲ. 11 და ტყავი კბოჲსაჲ მის და ყოველი ჴორცი მისი თავ-ფერჴითურთ და ნაწ-

Ga

თანა კარვისა საწამებელისასა წინაშე უფლისა და დასდვას კელი მისი თავსა ზედა ზუარაკისასა და დაკლას ზუარაკი წინაშე (8v) უფლისა. 5 და მოიღოს მღდელმან ცხებულმან, განსრულებულმან, კელითა სისხლისაგან ზუარაკისა და შეიღოს იგი კარავსა საწამებელსა. 6 და დააწოს მღდელმან თითი სისხლსა და აპკუროს სისხლისაგან შჳდ გზის თითითა წინაშე უფლისა კრეტსაბმელისა მიმართ წმიდისა. 7 და სცხოს მღდელმან სისხლისაგან ზუარაკისა რქათა საკურთხეველისა საკუმეველისა აღზავებისათა წინაშე უფლისა, რომელ არს კარავსა შინა წამებისასა, და ყოველი სისხლი ზუარაკისაჲ მოღუაროს ხარისხსა თანა საკურთხეველისა ყოვლად დასაწუველთაჲსჲსა, რომელ არს კართა თანა კარვისა საწამებელისათასა. 8 და ყოველი ცმელი ზუარაკისა მის ცოდვისაჲსაჲ მოუღოს მისგან, ცმელი იგი დამფარველი შინაგანთაჲ და ყოველი ცმელი ზედაკერძოჲ შინაგანთაჲ 9 და ორნი თირკუმელნი და ცმელი იგი მათ ზედაჲ, რომელი არს ბარკალთა ზედა, და ყური ზედაჲ ღჳძლისაჲ თირკუმელთა თანა მოჰკუეთოს იგი, 10 ვითარ-საზედ მოეკუეთების ზუარაკისაგან მსხუერპლისა მაცხოვარებისაჲსა, და შეწირნეს მღდელმან საკურთხეველსა ზედა ნაყოფებისასა. 11 ხოლო ტყავი ზუარაკისაჲ და ყოველი ჴორცი მისი თავისა თანა, მწუერვალნი მისნი და მუცელი და სკორე, 12 და ყოველი იგი ზუარაკი

OAKSB: კბოსასა AK. კბოჲ]ზუარაკი AK. 5 ~მან მღდელმან KA*. მისითა]თჳსითა AK. კბოსა AK, კბოჲსა B. იგი—B. 6 მისგან AKB. თჳსითა—AK]მისითა SB. კრეთსაბმელსა AS. 7 დასცხოს AK. სცხოს+მღდელმან მან SB. მისგან AKSB. კბოჲსაჲ 1°]კბოსა AK. რქა O. საკუმეველი B. მის—B. აღზავებულსა B. არს AKSB. იგი—B. კბოჲსაჲ 2°]კბოსა AKB. მას]მის B. საკურთხეველისასა B. ნაყოფთასა AKB. კარვისა+მის AK. საწამებელთა S. 8 ყოველი AKS. კბოსა AKB. ცოდვათასა AKB. მოჰკადოს K. და ყოველი ცმელი რომელი არს ნაწლევთაჲ—OKS] და ყ~ი ცმელი მუცლისაჲ A*. 9 თირკმელნი B. მათ]მას O. ~რომელ არს მათ ზედა B. ღჳძლისა AB. 10 მოჰკადის AB, მოკადის K, მოჰკადეს S. საცხოვრებელისასა B, საცხორებელისასა S. ნაყოფთაჲსა OS. 11 კბოსა AKB. მისი თავ-ფერჴითურთ]მის თანავე ფერჴითურთ B. ნაწლევთურთ AK.

G: 7 საკუმეველისა Ga.

ლევით და ფუშნიერით, [12] და ყოვლადვე კბოჲ იგი განიღოს გარე ბანაკსა მას ადგილსა წმიდასა, სადა-იგი დასთხიან ნაცარი, და დაწუან იგი შეშასა ზედა ცეცხლითა, დასათხეველსა თანა ნაცრისასა და დაიწუეს იგი.

[13] უკუეთუ ყოველმან კრებულმან ძეთა ისრაელისათამან უმეცრებაჲ ქმნეს არა ნეფსით და დაეფაროს სიტყუაჲ იგი თუალთაგან კრებულისათა და ყონ ერთი რაჲმე მცნებათაგანი ღმრთისათაჲ, რომელ არა ყოფად ჯერ-იყო, [14] და განცხადნეს მათი იგი ცოდვაჲ, რომელ ცოდეს მას შინა, მოიბას კრებულმან მან კბოჲ ზროხათაგან უბიწოჲ ცოდვისა მისთჳს და მოჰგუარონ იგი კართა თანა კარვისა მის საწამებელისათა. [15] და დაასხნენ კელნი მოხუცებულთა მათ ერისათა თავსა ზედა მის კბოჲსასა წინაშე ღმრთისა და დაკლან იგი წინაშე ღმრთისა. [16] და შეიღოს მღდელმან მან ცხებულმან სისხლისა მისგან კბოჲსა კარავსა საწამებელისა. [17] და დააწოს მღდელმან მან თითი სისხლსა მას კბოჲსასა და აპკუროს შჳდ გზის წინაშე ღმრთისა პირისპირ კრეტსაბმელსა მას (123r) სიწმიდისასა. [18] და მისვე სისხლისაგანი სცხოს რქათა მათ საკურთხეველისა საკუმეველთაჲსა წინადაგებულისათა წინაშე ღმრთისა, რომელ არს კარავსა მას შინა საწამებელისასა, და ყოველი იგი სისხლი დასთხიოს ხარისხსა თანა საკურთხეველისა მის ნაყოფთაჲსა, რომელ კართა მათ ზედა განიღონ გარეშე ბანაკისა ადგილსა წმიდასა, სადა დაასხიან ნაცარი, და დაწუან იგი შეშასა ზედა ცეცხლითა, დასათხეველსა ზედა ნაცრისასა დაიწუას.

[13] (9r) უკუეთუ ყოველი შესაკრებელი ძეთა ისრაელისა[თაჲ] უმეცარ იქმნას და დაეფაროს სიტყუაჲ თუალთაგან შესაკრებელისათა და ქმნან ერთი ყოველთაგან მცნებათა უფლისათა, რომელი არა საქმარ იყოს, და ცოდონ, [14] და ეცნობოს მათ ცოდვაჲ იგი, რომელ ცოდეს მას შინა, და მოიბას შესაკრებელმან ზუარაკი ზროხათაგან უბიწოჲ ცოდვისათჳს და მოიყვანოს იგი კართა თანა კარვისა საწამებელისათა. [15] და დაასხნენ მოხუცებულთა შესაკრებელისათა კელნი მათნი თავსა ზედა კბოჲსასა წინაშე უფლისა და დაკლან კბოჲ იგი წინაშე უფლისა. [16] და შეიღოს მღდელმან ცხებულმან სისხლისაგანი კბოჲსაჲ კარავსა შინა საწამებელსა. [17] და იღებოს მღდელმან თითი სისხლითა და შეასხუროს შჳდ გზის წინაშე უფლისა კრეტსაბმელისა მიმართ წმიდისა. [18] და ზედა დაჰხუროს მღდელმან სისხლისაგან რქათა ზედა საკურთხეველისა საკუმეველისა აღზავებისათჳს, რომელ არს წინაშე უფლისა, რომელ არს კარავსა შინა წამებისასა, და ყოველი სისხლი მოღუაროს ხარისხსა თანა საკურთხეველისა ნაყოფთაჲსასა, რომელ არს კარ-

---

OAKSB: ფუშნიერითურთ AK. [12] კბო A. განაღოს B.[გარეშე AKSB. მას—AK. დასთხიონ O[დაასხან B]დასხიან S. დაწუან S. თანა—K. და 3°—AB. [13] უკუეთუ]pr. და S. ძეთა—KS. ძეთათჳს A*. ისრაჱლისამან AKSB. უმეცრება AB. ნებსით AKB. ყოს K. ღ~ჲთა AKB. რომელი AK. [14] განეცხადნენ B. მათ AKB. იგი ცოდეაჲ]ცოდეანი იგი AK. მას შინა—AK. მან—AKB. კბო AK]—S. უბიწო A. მოჰგუაროს A, მოგუაროს K. კართა+მათ KB. თანა—B. მის—BS. [15] დაასხნეს B, დასხნენ K. თავსა+მას BS. მის—BS. კბოსასა AK, კბოჲსა S. დაჰკლან B. წინაშე ღმრთ~სა—AK. და დაკლან იგი წინაშე ღმრთისა—O. [16] მისგანი S. კბოსა AK. [17] და 1°—S. კბოჲსასა—AK. კრეთსაბმელსა AS. კრეტსაბმელს]კრებულისა B]კრებულსა O. მას 2°]მის B. [18] და—B. მათ 1°, 2°—B. და... რქათა მათ] სისხლისა მისგანი და დადეას (სისხლისაგან A*) მან მღდელმან რქათა ზედა AK. საკუმეველთასა AK. საკუმეველისათა S; საკუმეველთაჲსა—B. წინა-დაგებისათა K. დაითხიოს AK. —და დასთხიოს ყოველი იგი სისხლი B. ხარისხთა B. ნაყოფთასა AKB. რომელ+ არს AKSB.

OAKSB

არს კარვისა საწამებელისათა. [19] და ყოველი ცმელი მოიღოს მისგან და შეწიროს იგი საკურთხეველსა ზედა. [20] და ყოს კბოჲ ესე, ვითარცა-სახედ ყო კბოჲ იგი ცოდვისაჲ, ეგრევე ყოს ესე. და ლხინება-ყოს მათთჳს მღდელმან მან და მიეტევნენ მათ ცოდვანი მათნი. [21] და განიღონ კბოჲ იგი გარეშე ბანაკსა მას და დაწუან იგი, ვითარცა-სახედ დაწუეს კბოჲ იგი პირველი: ცოდვისა მისთჳს კრებულისა არს ესე.

[22] უკუეთუ მთავარმან ცოდოს და ქმნეს ყოველთა მათგან მცნებათა უფლისა ღმრთისა მისისათა არა ნეფსით, რომელ არა ჴერ-იყო ყოფად, და ცოდოს, [23] და განცხადნეს ცოდვაჲ იგი მისი, რომელსა შინა ცოდა, მოიბას შესაწირავად მისა თიკანი თხათაგან, ვაცი უბიწოჲ, [24] და დასდვას ქელი მისი თავსა ზედა მის ვაცისასა და დაკლან იგი ადგილსა მას (123v) წინაშე ღმრთისა, სადაცა დაკლნიან ყოვლად დასაწუველნი იგი, რამეთუ ცოდვისაჲ არს. [25] და მოიღოს მღდელმან მან და სცხოს მღდელმან სისხლისა მისგან ცოდვისაჲსა თითითა მისითა რქათა მათ საკურთხეველისათა ყოვლად დასაწუველთაჲსა და ყოველი სისხლი მისი დასთხიოს კედელსა მას თანა საკურთხეველისა ყოვლად დასაწუველთაჲსა[სა]. [26] და ყოველი ცმელი მისი შეწიროს საკურთხეველსა ზედა, ვითარცა ცმელი იგი საკლველისა მის ცხორებისაჲ, და

Ga

სა თანა კარვისა საწამებელისასა. [19] და ყოველი ცმელი მოუღოს მისგან და (9v) შეწიროს საკურთხეველსა ზედა. [20] და ყოს ზუარაკი ესე, ვითარ-სახედ ყო ზუარაკი იგი ცოდვისაჲ, ეგრეთ ყოს. და ლხინება-ყოს მათთჳს მღდელმან და მიეტეოს მათ ცოდვაჲ. [21] და განიღონ ზუარაკი სრულად გარეშე ბანაკისა და დაწუან ზუარაკი, ვითარ-სახედ და დაწუეს ზუარაკი პირველი: რამეთუ ცოდვისათჳს შესაკრებელი[სა] არს ესე.

[22] ხოლო უკუეთუ მთავარმან ცოდოს და ქმნას ერთი ყოველთაგან მცნებათა უფლისა ღმრთისა მისისათა, ვითარ არა საქმარ იყოს, უნებლიეთ, და ცოდოს, [23] და ეცნობოს მას ცოდვაჲ, რომელი ცოდა მას შინა, და მოიბას ძღუენი მისი თიკანი თხათაგან, ვაცი უბიწოჲ, [24] და დასდვას ქელი მისი თავსა ზედა თიკნისასა და დაკლან იგი ადგილსა, რომელსა დაჰკლვენ ყოვლად დასაწუველთა წინაშე უფლისა, რამეთუ ცოდვისაჲ არს. [25] და სცხოს მღდელმან სისხლისაგან ცოდვისაჲსა თითითა რქათა საკურთხეველისა ყოვლად დასაწუველთაჲსა და ყოველი სისხლი მისი მოსთხიოს ხარისხსა თანა საკურთხეველისა ყოვლად დასაწუველთაჲსა-[სა]. [26] და ყოველი ცმელი მისი შეწიროს საკურთხეველსა ზედა, ვითარცა ცმელი მსხუერპლისა მაცხოვარებისაჲ,

---

OAKSB: არს 2°—ABS. კარვისა+მის AKSB. [19] იგი—K; იგი]მისგან B. [20] კბო 1°, 2° AKB. ცოდვისა AKB. ეგრეთე AKB. იყოს AKS. ესე 2°]ეს S]კბოჲ იგი B. მისთჳს B. მან—B. მათ—B. [21] კბო AK. გარეშე O. დაწუან]დაწუას კბო B. კბო 2° B. არს ესე]მის AK. [22] ქმნას AK. მისისათაჲ OS. ნებსით B, ნეფსის S. და ცოდოს—AK. ცოდოს+და გჳრდაჴდეს B. [23] ცოდვა AB. მისი—B. სცოდა B. მიუბ̃ს A. უბიწო AK. უბიწოჲ+ცოდვისათჳს B. [24] დადვას B. წინაშე ღმრთისა—B. ~წინაშე ღმრთისა ადგილსა მას AK. დაკლიან AK. დასაწუ̃ლი AK, დასაწუ̃ლნი B. იგი 2°+წინაშე ღმრთისა B. რამეთუ ცოდვისაჲ არს—O. [25] და მოიღოს მღდელმან მან—AKSB. მღდელმან 2°+მან SB. სისხლ B. მისგან]იგი B. ცოდვისა K. ცოდვისაჲსა]ცოდვის საკურთხეველისა B. საკურთხეველისა AKS. დასაწუ̃ლთასა AKB, დასაწველთაჲსა S. საკურთხეველისაჲსა OAK, საკურთხეველისასა B. დასაწუ̃ლთასა AB. [26] საკლველისა]საკურთხეველისა B]საკ̃მეველისა AK. ცხორებისა AK, ცხოვრებისა B.

OAKSB

ლხინება-ყოს მისთჳს მღდელმან მან ცოდვისაგან მისისა, და მიეტეოს მას.
27 უკუეთუ კაცმან ერთმან ერისა მის ქუეყანისამან ცოდოს ცოდვაჲ არა ნებსით და ყოს ერთი რაჲმე მცნებათაგან ღმრთისათა, რომელ არა ჴერ-იყო ყოფად, და ქმნეს, 28 და განცხადნეს ცოდვაჲ იგი მისი, რომელ ცოდა, მოიბას თიკანი თხათაგან, ნეზჳ უბიწოჲ, ცოდვისა მისთჳს, რომელ ცოდა, 29 და დასდვას კელი მისი თავსა ზედა, რომელი-იგი არს ცოდვისათჳს, და დაკლან თიკანი იგი ცოდვისაჲ ადგილსა მას, სადაცა დაკლნიან ყოვლად დასაწუველნი იგი. 30 და მოიღოს მღდელმან მან სისხლისა მისგანი თითითა და სცხოს რქათა მათ საკურთხეველისა ყოვლად დასაწუველთაჲსა (124r) და ყოველი სისხლი მისი დასთხიოს ხარისხთა თანა საკურთხეველისათა. 31 და ყოველი ცმელი მისი მოჰკადოს, ვითარცა-სახედ მოჰკადიან ცმელი შესაწირავსა, და შეწიროს იგი მღდელმან მან საკურთხეველსა ზედა სულად სულნელად ღმრთისა; და ლხინება-ყოს მისთჳს მღდელმან მან, და მიეტეოს მას. 32 უკუეთუ ცხოვარი შეწიროს მსხუერპლად თჳსა ცოდვისათჳს, ნეზჳ უბიწოჲ შეწირენ იგი. 33 და დასდვას კელი მისი თავსა მას ზედა ცოდვისასა. და დაკლან იგი ადგილსა მას, სადაცა დაკლნიან ყოვლად დასაწუველნი იგი. 34 და მოიღოს მღდელმან მან სისხლისა მისგან ცოდვისაჲსა

Ga

და ლხინება-ყოს მისთჳს მღდელმან ცოდვისაგან მისისა, და მიეტეოს მას.
27 უკუეთუ სულმან ერთმან ცოდოს უნებლიეთ ერისაგან მის ქუეყანისა და ყოს ერთი ყოველთაგან მცნებათა ღმრთისათა, ვითარ არა საქმარ იყოს, და ცოდოს, 28 და ეცნობოს მას ცოდვაჲ, რომელ ცოდა მას შინა, მოიღოს ძღუენი მისი თიკანი თხათაგან, ნეზჳ უბიწოჲ, (10r) მოიბას ცოდვისათჳს, რომელი ცოდა, 29 და დასდვას კელი მისი თავსა ზედა ცოდვისა მისისაჲსა და დაკლან თიკანი ცოდვისა მისისაჲ ადგილსა, რომელსა დაჰკლევენ ყოვლად დასაწუველთა. 30 და მოიღოს მღდელმან სისხლისაგან მისისა თითითა თჳსითა და სცხოს რქათა საკურთხეველისა ყოვლად დასაწუველთაჲსა და ყოველი სისხლი მისი მოღუაროს ხარისხსა თანა დასაწუველთაჲსა. 31 და ყოველი ცმელი მოუღოს, ვითარ-სახედ მოეღებვის ცმელი მსხუერპლსა მაცხოვარებისასა, და შესწიროს მღდელმან საკურთხეველსა ზედა სულად სულნელებისად უფალსა; და ლხინება-ყოს მისთჳს მღდელმან და მიეტეოს მას. 32 ხოლო უკუეთუ ცხოვარსა მოიბმიდეს ძღუნად მისსა, მზუელი უბიწოჲ მოიბას მან ცოდვისათჳს. 33 და დასდვას კელი მისი თავსა ზედა ცოდვისასა. და დაკლან იგი ცოდვისათჳს ადგილსა, რომელსა დაჰკლევენ ყოვლად დასაწუველთა. 34 და მომღებელმან მღდელმან სისხლისაგან ცოდვისა მის თითითა თჳსითა სცხოს რქათა

OAKSB: ცოდვისაგან მისისა—AK. მიეტეოს K. 27 ერისა]ერთისა O. მის]მისგან B. ცოდვა A. ნებსით SB.არა ნეფსით დ]უშეცრებით AK. რაჲმე B. რაჲმე+ყოველთა AK. მცნებათაგანი A. რომელი AK. და 2°]ცოდვაჲ B. და ქმნეს—AK. 28 ცოდვა B. ცოდა+და S. მოიბას O. თხათაგანი S. უბიწო K. რომელი შესცოდა A*]—K. 29 თავსა+მას SB. რომელ-იგი S. რომელი-იგი არს ცოდვისათჳს]მისსა AK. დაკლან]დაჰკლან B. ცოდვისა AKB. დაკლიან AK. დასაწუწლნი AKB, დასაწველნი S. 30 მან—AK. მისგან AKB. თითითა+თჳსითა AK. მათ—B. საკურთხეველისათა AKSB. დასაწუწლთასა AKB, დასაწველთასა S. ყოველივე AK. დასთხიონ AK. ხარისხსა AK. თანა]მას AK. საკურხეველთასა AK. 31 ყოველივე S. მოჰკადიან]მოჰკადინ A. შესაწირავსა+ცხოვრებასა B. იგი—B. მან 1°—AK. მან 2°—B. მას—B. 32 უკეთუ S. თჳსისა B. უბიწო AK. იგი—AK. 33 და 1°—B. მას—AK. იგი 1°+ცოდვისათჳს B. დაკლიან AK. დასაწუწლნი AKB, დასაწველნი S. იგი 2°—K. 34 მან—AK. მისგანი B. ცოდვისა AKB. ცოდვისაჲ OS.

OAKSB

თითითა და სცხოს რქათა მათ საკურთხეველისა ყოველად დასაწუველთაჲსა და ყოველიე სისხლი მისი დასთხიოს ხარისხსა თანა საკურთხეველისასა. 35 და ყოველი ცმელი მისი მოჰკადოს, ვითარცა მოჰკადიან ცმელი ცხოვარსა მას შესაწირავსა ცხორებისასა, და სცხოს მღდელმან მან საკურთხეველსა მას მსხუერპლთსა წინაშე ღმრთისა. და ულხინოს მღდელმან მან ცოდვაჲ იგი მისი, და მიეტეოს მას.

Ga

საკურთხეველისა ყოლად დასაწუველთაჲსა და ყოველი სისხლი (10v) მისი მოღუაროს ხარისხსა თანა საკურთხეველისა ყოლად დასაწუველთაჲსა. 35 და ყოველი ცმელი მისი მოუღოს, ვითარსახედ მოეღებვის ცმელი ცხოვარსა სამსხუერპლოსა მაცხოვარებისაჲსა, და დასდვას იგი მღდელმან საკურთხეველსა ზედა ყოლად დასაწუველთა თანა უფლისათა. და ლხინება-ყოს მისთჳს მღდელმან ცოდვისათჳს, რომელი ცოდა, და მიეტეოს მას.

თავი V

[1] უკუეთუ ცოდოს კაცმან და ესმეს ჴმაჲ ფიცისაჲ და ესე წამებდეს (გინა თუ იხილა, გინა თუ თანად-იცის) და უკუეთუ არა უთხრა, მოიღო მან (124v) ცოდვაჲ მისი. [2] კაცი, რომელი შეეხოს ყოველსა საქმესა არაწმიდებისასა, გინა მძორსა, გინა ნამკეცავსა არაწმიდასა, გინა მკუდარსა რომელსავე საძაგელსა არაწმიდათასა, გინათუ მკუდარსა პირუტყუსა შეეხოს არაწმიდასა და მკუდარსა ქუეწარმავალსა არაწმიდაჲსა და დაავიწყდეს იგი და შეიგინოს, [3] გინათუ შეეხოს არაწმიდებაჲსა რასმე კაცისასა, ყოველსავე არაწმიდებასა მისსა, რომელსა შეეხოს და შეგინებულ იქმნა, და დაავიწყდა, და ამისა შემდგომად ცნა და ცოდა*, [4] და კაცმან, რომელმან ფუცოს და გან-რაჲმე-აჩინოს პირითა

[1] უკუეთუ სულმან ცოდოს და ესმეს ჴმაჲ ფიცისაჲ და ესრეთ წამოს (ანუ ესმა, ანუ თანა-უწყოდა), უკუეთუ არა აუწყა, მოიღო ცოდვაჲ. [2] სული, რომელი შეეხოს ყოველსა საქმესა არაწმიდებისაჲსა, ანუ მძორსა, ანუ ნამკეცავსა, ანუ არაწმიდასა, ანუ მძორთაგანსა საძაგელთა არაწმიდათაჲსა, ანუ მძორსა პირუტყუთა არაწმიდათასა, ანუ მძორსა ქუეწარმავალისა არაწმიდისასა და დაჰვიწყდა მას და იგი შეიგინა და ცოდა, [3] ანუ შეეხოს არაწმიდებისაგან კაცისა, ანუ ყოვლისა (11r) არაწმიდებისაგან მისისა, რომლისაცა შეხებული შეიგინა, და დაჰვიწყდა მას, ხოლო ამის შემდგომად მოეკსენა და ცოდა, [4] სულმან უკუეთუ ფუცოს, განმჩინებელმან ბაგითა, ბოროტის-ყოფად ყოველთაებრ, რო-

---

OAKSB: საკურთხეელისათა B. დასაწეელთასა AKSB. ყოელი AK. ხარიხსა K, ხარისხთა B. საკურთხეველისათა B. [35] ყ᷑იე A. მოჰკადოს K. მოჰკადიან A. მოჰკადიან K. შესაწირაჳსა OS. ცხოვრებისასა B. ცოდეა AK. მისი და]როშელი სცოდა B. მას 3°—B. V, [1] კაცმან]სულმან B. ფიცისა AKB. თანად-იცის]თანა-დაეცის AB. მოიღის AK. ცოდეა [2] კაცი]სული B. შეხოს B. არაწმიდებისა A. არაწმიდებსა K. გინა 3°—B. რომელსაე]ყოველსავე K. არაწ᷑იდბ᷑ჲსა B. რ᷑ლსავე საძაგელსა არაწმიდათასა (გადაშ. A-ში). პირუტყუსა არაწ᷑ა გინა მძრომსა არაწ᷑ა შეგინებულ იქმნას A. გინათუ... შეიგინოს—AKOS. [3] გინათუ—AK. შეეხოს არაწმიდებასა—B. რაჲსამე K. არაწმიდებასა მისსა—AK. დაეიწყდა K. და 3°—A. ცოდა]შეცოდებულ იყოს B. და ცოდა]ცოდვაჲ K. [4] გან-რამე-აჩინოს B.

* აქედან K ნუსხას აკლია ვიდრე მე-5 თავის მე-17 მუხლამდე.

თჳსითა ბოროტისა-ყოფაჲ, გინა კეთილისა-ყოფაჲ ყოველისა მისებრ, რომელი აღუთქუა კაცმან ფიცით, და დაავიწყდა იგი*, და ესრჱთ ცნა და ცოდა ერთი რაჲმე მათგანი,

OSB

[5] და მიუთხრას მისთჳს ცოდვაჲ იგი, რომელ ცოდა, [6] და შეწიროს ღმრთისა, რომელთათჳს ცოდა, ნეზჳ ცხოვართაგან ტარიგი, გინა ვაკი თხათაგან ცოდვისათჳს. და ლხინება-ყოს მღდელმან მან ცოდვისა მისთჳს და მიეტეოს მას ცოდვაჲ იგი.

[7] უკუეთუ ვერ ეძლოს კელსა მისსა ყოფად ცხოვარი, შეწიროს ღმრთისა ცოდვისა მისთჳს, რომელ ცოდა, ორნი გურიტნი ანუ ორნი მართუენი ტრედისანი: ერთი ცოდვისათჳს და ერთი ყოველად დასაწუველად. [8] და მოართუნეს იგინი მღდელსა და შეწიროს იგი მღდელმან მან ცოდვისა მისისათჳს (125r) პირველად, წარჰკუეთოს თაჳი მისი მღდელმან მან საქციელითგან და არა განახეაროს. [9] და აპკუროს სისხლისა მისგან, რომელ არს ცოდვისაჲ, კედელსა საკურთხეველისასა, ხოლო ნეშტი იგი სისხლი დაწრიდოს ხარისხსა თანა საკურთხეველისასა, რამეთუ ცოდვისაჲ არს. [10] ხოლო მეორე იგი ყოს ყოველად დასაწუველ, ვითარცა-იგი ჯერ-არს, და ლხინება-ყოს მისთჳს მღდელმან მან ცოდვისა მისთჳს, რომელ ცოდა, და მიეტეოს მას. [11] უკუეთუ არა პოვნეს კელმან მისმან წყვილ-

მელთა განაჩენს კაცი ფიცთა, და დაეფაროს მას თუალთაგან, და ესრეთ ცნა და ცოდა ერთი რაჲმე ამათგანი, [5] და აღიაროს ცოდვაჲ, რომლისათჳს ცოდა, მის ცოდვისაებრ, [6] და მოჰგუაროს მათთჳს, რომელნი ცოდნა, უფალსა, ცოდვისათჳს, რომელი ცოდა, ნეზჳ ცხოვართაგან ტარიგი, ანუ წალი თხათაგან ცოდვისათჳს. და ლხინება-ყოს მისთჳს მღდელმან ცოდვისა მისისათჳს, რომელი ცოდა, და მიეტეოს მას ცოდვაჲ.

[7] ხოლო უკუეთუ ვერ შემძლებელ იყოს კელი მისი კმა-ყოფად ცხოვრისა, მოჰგუარნეს ცოდვისა მისისათჳს, რომელი ცოდა, ორნი გურიტნი ანუ ორნი მართუენი ტრედისანი უფალსა: ერთი ცოდ(11v)ვისათჳს და ერთი ყოველად დასაწუველად. [8] და მიიყვანნეს იგინი მღდელისა და შეწიროს მღდელმან ცოდვისაჲ იგი პირველად და მოჰკუეთოს მღდელმან თაჳი მისი ქედითგან და არა განყოს. [9] და ასხუროს სისხლისაგან ცოდვისაჲსა კედელსა საკურთხეველისასა, ხოლო ნეშტი იგი სისხლი დაწრიდოს ხარისხსა ზედა საკურთხეველისასა, რამეთუ ცოდვისაჲ არს. [10] ხოლო მეორე ყოს ყოველად დასაწუველად, ვითარცა ჯერ-არს, და ლხინება-ყოს ცოდვისა მისისათჳს მღდელმან, ცოდვისა მისისათჳს, რომელი ცოდა, და მიეტეოს მას. [11] ხოლო უკუეთუ ვერ პოოს კელმან მისმან უღლეული გუ-

---

OASB: ბოროტის—B. ყოფა A, ყოფად SB. კეთილის S. ყოფაჲ—A, ყოფად S. აღუთქუა+მან A. კაცმან 2°—B. დავიწყდა B. ესრეთ B. OSB [5] მიუთხრა B. [6] რომელთათჳს]ცოდვა რომელ B. ტარიგი]კრაჲი B. ცოდვა B. [7] შეწირნეს B. ღმრთისა—B. ანუ]გინა თუ SB. დასაწუელად B, დასაწუელად S. [8] მოართუნენ O. იგი—B. პირველად+და SB. ~მღდელმან თაჳი მისი S. მან 2°—S. განახეაროს O. [9] რომელ+იგი S. რომელ]რომელი იგი B. ცოდვისა B. დაწრიტოს B. ხარისხსა თანა]ხარისხთა B. საკურთხეველისათა B. ცოდვისა B. [10] დასაწუელ B, დასაწუელ S. ჯერ-არნ SB. მისთჳს]მისისაგან S. მას—B. [11] პოოს O.

* აქედან A ნუსხას აკლია მე-5 თაჳის მე-17 მუხლამდე.

OSB

[25] რიცხჳ იგი მათი, ნათესავისა მის იუდასი, სამეოცდაათხუთმეტ ათას და ექუსას. [26] ძენი იზაქარისნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი მათნი და რიცხუნი სახელთა მათთანი და თავადნი მათნი — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი, რომელი გამოვიდა ძლიერი, [27] რიცხჳ იგი მათი, ნათესავისა მის იზაქარისი, ორმეოცდაათხუთმეტ ათას. [28] ძენი ზაბულონისნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი და სახლნი მამათა მათთანი და რიცხუნი სახელთა მათთანი და თავად-თავადნი მათნი — ყოველი წული, ოცით [241] წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი რომელი გამოვიდა ძლიერი, [29] რიცხჳ იგი მათი, ნათესავისა მის ზაბულონისი, ორმეოცდაათჩჳდმეტ ათას და ოთხას. [30] ძეთა იოსეფისთაჲ ძენი ეფრემისნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი და სახლნი მამათა მათთანი და რიცხუნი სახელთა მათთანი და თავად-თავადი მათი — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი რომელი გამოვიდა ძლიერი, [31] რიცხჳ იგი მათი, ნათესავისა მის ეფრემისა, ორმეოც ათას და ხუთას. [32] ძენი მანასესნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი და სახლნი მამათა მათთანი და რიცხუნი სახელთა მათთანი და თავად-თავადნი მათნი — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი, რომელი გამოვიდოდა ძლიერი, [33] რიცხჳ იგი მათი, ნათესავისა მის მანასესი, ოცდათორმეტ ათას და სამას. [34] ძენი ბენიამენისნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი მათნი და სახლნი მამათა მათთანი [v] და რიცხუნი სახელთა მათ-

---

S: [29] ოთხსა. [30] სახლი.

AK: [26] და თავადნი მათნი—K. ყოველი—K. [28] და თავად-თავადნი მათნი—K. [29] ზაბულონისნი K. [30] ძეთა იოსეფისთაჲ]ძენი იჩ᷄ლისანი K. [31] ორმეოც+და K. [32] და თავად-თავადნი მათნი—K. [33] და სამას—K.

ოცით წლითგანი და უზეშთაესი, რომელი გამოვიდოდა ძლიერი, [25] რიცხჳ იგი მათი, ნათესავისა მის იუდაჲი, სამეოცდაათოთხმეტ ათას და ექუსას. [26] ძენი იზაქარისნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი მათნი სახლთა მამათა მათთა და რიცხუნი სახელთა მათთანი და თავად-თავადნი მათნი — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი რომელი გამოვიდოდა ძლიერი, [27] რიცხჳ იგი მათი, ნათესავისა მის იზაქარისი, ორმეოცდაათოთხმეტი და ათას და ხუთას. [28] ძენი ზაბულონისნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი მათნი და სახლნი მამათა მათთანი და რიცხუნი სახელთა მათთანი და თავად-თავადნი მათნი — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი რომელი გამოვიდოდა ძლიერი, [29] რიცხჳ იგი მათი, ნათესავისა მის ზაბულონისი, ორმეოცდააჩჳდმეტ ათას და ოთხას. [30] ძეთა იოსებისთა ძენი ეფრემისნი, ნათესავად-ნათესავადი მათი და ტომად-ტომადნი და სახლნი მამათა მათთანი და რიცხუნი სახელთა მათთანი და თავად-თავადნი მათნი — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი ძლიერი, რომელი გამოვიდოდა, [31] რიცხჳ იგი ნათესავისა მის ეფრემისი ორმეოც ათას და ხუთას. [32] ძენი მანასესნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომად[ნი] მათნი და სახლნი მამათა მათთანი და რიცხუნი სახელთა მათთანი, თავად-თავადნი მათნი — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი, რომელი გამოვიდოდა ძლიერი, [33] რიცხჳ იგი მათი, ნათესავისა მის მანასესი, ოცდაათორმეტ ათას და ორას. [34] ძენი ბენიამენისნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომებრ სახელთა მათთაჲსა, თავად-თავადისაებრ მათისა — ყოველნი წულნი, ოცით წლითგან და წამართ, ყოველი გამომავალი ძალითა, [25] ახილვაჲ მათი ტომისაგან იუდაჲსა ოთხ და [36] სამეოცდაათი ათას და ექუსასნი. [26] ძენი ისახარისნი თანამონათესვეობისაებრ მათისა, ერობისაებრ მათისა, სახლთაებრ მამულთა მათთა, რიცხჳსაებრ სახელთა მათთაჲსა, თავად-თავადისაებრ მათისა — ყოველნი წულნი, ოცით წლითგან და წამართ, ყოველი გამომავალი ძალითა, [27] ახილვაჲ მათი ტომისაგან ისახარისსა ოთხ და ერგასის ათას და ოთხასნი. [28] ძენი ზაბულონისნი თანამონათესვეობისაებრ მათისა, ეროჲსაებრ მათისა, სახლთაებრ მამულთა მათთა, რიცხჳსაებრ სახელთა მათთაჲსა, თავად-თავადისაებრ მათისა — ყოველნი წულნი, ოცით წლითგან და წამართ, ყოველი გამომავალი ძალითა, [29] ახილვაჲ მათი ტომისაგან ზაბულონისსა შჳდ და ერგასის ათას და ოთხასნი. [30] ძეთაგან იოსებისთა ძენი ეფრემისნი, თანამონათესვეობისაებრ მათისა, ერობისაებრ მათისა, სახლთაებრ მამულთა მათთა, რიცხჳსაებრ სახელთა მათთაჲსა, თავად-თავადისაებრ მათისა — ყოველნი წულნი, ოცით წლითგან და წამართ, ყოველი გამომავალი ძალითა, [31] აღხილვაჲ მათი ტომისაგან ეფრემისსა ორმოცი ათას და ხუთასნი. [32] ძენი მანასესნი, თანამონათესვეობისაებრ მათისა, (v) ერობისაებრ მათისა, სახლთაებრ მამულთა მათთა, რიცხჳსაებრ სახელთა მათთაჲსა, თავად-თავადისაებრ მათისა, — ყოველნი წულნი, ოცით წლითგან და წამართ, ყოველი გამომავალი ძალითა, [33] ახილვაჲ მათი ტომისაგან მანასესსა ორ და ოცდაათი ათას და ორასნი. [34] ძენი ბენიამენისნი, თანამონათესვეობისაებრ მათისა, ერობისა-

---

B: [26] ექუსას|ექ⁻ს. [30] სახლნი|სახელნი.
G: [34] ბენიამინისნი Gb.

S

მათნი და ტომად-ტომადნი მათნი და სახლნი მამათა მათთანი და რიცხუნი სახელთა მათთანი და თავად-თავადნი მათნი — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უფროჲსი, ყოველი, რომელი გამოვიდოდა ძლიერი, 35 და რიცხჳ იგი მათი, (35) ნათესავისა მის ბენიამენისი, ოცდაათხუთმეტ ათას და ოთხას. 36 ძენი გადისნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი მათნი და სახლნი მამათა მათთანი და რიცხუნი სახელთა მათთანი და თავად-თავადნი მათნი — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი რომელი გამოვიდოდა ძლიერი, 37 რიცხჳ იგი მათი, (37) ნათესავისა მის გადისი, ორმეოცდახუთ ათას ექუსას და ერგასის. 38 ძენი დანიხნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი მათნი და სახლნი მამათა მათთანი და თავად-თავადნი მათნი — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი, რომელი გამოვიდოდა ძლიერი, 39 რიცხჳ იგი მათი, (39) ნათესავისა მის დანისი, სამეოცდაორ ათას და ოთხას. 40 ძენი ასერისნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი მათნი და სახლნი მამათა მათთანი და რიცხუნი სახელთა მათთანი და თავად-თავადნი მათნი — და ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი, რომელი გამოვიდოდა ძლიერი, 41 რიცხჳ იგი (41) ნათესავისა მის ასერისი ორმეოც ათას და ხუთას. 42 ძენი ნეფთალემისნი, ნათესავადნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი მათნი და სახლნი მამათა მათთანი და რიცხუნი სახელთა მათთანი, — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი, რომელი გამოვიდოდა ძლიერი,

AK

თანი და თავად-თავადნი მათნი — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი, რომელი გამოვიდოდა ძლიერი, 35 და რიცხჳ იგი მათი, ნათესავისა მის ბენიამენისი, ოცდათხუთმეტ ათას და ოთხას*.

42 ძენი ნეფთალემისნი, ნათესავადნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი და სახლნი მამათა მათთანი და რიცხუნი სახელთა მათთანი და თავად-თავადნი მათნი, — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი, რომელი

S: 35 ოცდაათხუთმეტ]ოთხდაათხუთმეტ. 41 ორმეოც+და.
AK: 31 თავად-თავადნი მათნი—K. 35 ბენიამენისნი K.
* 36-ე მუხლიდან 42-ე მუხლამდე აკლია AK ნუსხებს.

B

მადნი მათნი და სახლნი და თავადნი(!) მათნი მამათა მათთანი რიცხჳსაებრ სახელთა მათთა, თავად-თავად მათთა — და ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაეს, ყოველი, რომელი გამოვიდოდა ძლიერი, [35] და რიცხჳ იგი მათი, ნათესავადისა მის ბენიამენისა, ოცდაათხუთმეტ ათასი და ოთხასი. [36] ძენი გადისნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი მათნი და სახლნი მამათა მათთანი და რიცხუნი სახელთა მათთანი და თავადნი(!) მათნი — და ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი, რომელი გამოვიდოდა ძლიერი, [37] რიცხჳ იგი მათი, ნათესავისა მის გადისი, ორმეოცდახუთ ათას და ექუსასერგასისი. [38] ძენი დანისნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი მათნი და სახლნი მამათა მათთანი და თავად-თავადნი მათნი და რიცხუნი სახელთა მათთანი — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი, რომელი გამოვიდოდა ძლიერი, [39] რიცხჳ იგი მათი, ნათესავისა მის დანისი, სამეოცდაორ ათას და შჳდას. [40] ძენი ასერისნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი მათნი და სახლნი მამათა მათთანი, რიცხჳთ სახელთა მათთა, და თავად-თავადნი მათნი — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველი, რომელი გამოვიდოდა ძლიერი, [41] რიცხჳ იგი ნათესავისა მის ასერისი ორმეოცდაერთ ათას და ხუთას. [42] ძენი ნეფთალემისნი, ნათესავად-ნათესავადნი მათნი და ტომად-ტომადნი მათნი და სახლნი მამათა მათთანი და რიცხუნი სახელთა მათთანი თავად-თავად მათთა, — ყოველი წული, ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ყოველ

G

ებრ მათისა, სახლთაებრ მამულთა მათთა, რიცხჳსაებრ სახელთა მათთაჲსა, თავად-თავადისაებრ მათისა — ყოველნი წულნი, ოცით წლითგან და წამართ, ყოველი გამომავალი ძალითა, [35] ახილვაჲ მათი ტომისაგან ბენიამენისა ხუთ და ოცდაათი ათას და ორასნი. [36] ძენი გადისნი თანამონათესვეობისაებრ მათისა, ერობისაებრ მათისა, სახლთაებრ მამულთა მათთა, რიცხჳსაებრ სახელთა მათთაჲსა, თავად-თავადისაებრ მათისა — ყოველნი წულნი, ოცით წლითგან და წამართ, ყოველი გამომავალი ძალითა, [37] აღხილვაჲ მათი ტომისაგან გადისსა ხუთ და ორმოცი ათას და ექუსას და ერგასისნი. [38] ძენი დანისნი თანამონათესვეობისაებრ მათისა, ერობისაებრ მათისა, სახლთაებრ მამულთა მათთა, რიცხჳსაებრ სახელთა მათთაჲსა, თავად-თავადისაებრ მათისა — ყოველნი წულნი, ოცით წლითგან და წამართ, ყოველი გამომავალი ძალითა, [39] ახილვაჲ მათი ტომისაგან დანისსა ორ და სამოცი ათას და შჳდასნი. [40] ძენი ასერისნი თანამონათესვეობისაებრ მათისა, ერობისაებრ მათისა, სახლთაებრ მამულთა მათთა, რიცხჳსაებრ სახელთა მათთაჲსა, თავად-თავადისაებრ მათისა — ყოველნი წულნი, ოცით წლით და წამართ, ყოველი გამომავალი ძალითა, [41] ახილვაჲ (90) მათი ტომისაგან ასერისა ერთ და [v] ორმოცი ათას და ხუთასნი. [42] ძენი ნეფთალიმისნი თანამონათესვეობისაებრ მათისა, ერობისაებრ მათისა, სახლთაებრ მამულთა მათთა, რიცხჳსაებრ სახელთა მაოთაჲსა, თავად-ათავადისაებრ მათისა, — ყოველნი წულნი, ოცით წლითგანნი და წა-

B: [33] მათნი. ოცდაათუთხმეტ. [38] მათნი 1°]მათთანი. [40] სახლნი]სახელნი.
G: [38] ბენიამინისსა Gb. [40] ასიერისნი Gb.

S

43 რიცხჳ იგი მათი, (43) ნათესავისა მის ნეფთალემისი, ორმეოცდაათცამეტ ათას და ოთხას. 44 ესე აღხილვაჲ, რომელი აღრაცხეს მოსე და აჰრონ და მთავართა ისრაელისათა, ათორმეტთა მთავართა, კაცი ერთი ტომად-ტომადისა თითოჲსაჲ ნათესავად-ნათესავად სახლთა მამულთა მათთანი იყუნეს. 45 და იყო ყოველი იგი აღხილვაჲ ძეთა ისრაელისათაჲ ძალითურთ მათით ოცით წლითგან და უფროჲსით, ყოველი, რომელი გამოვიდოდა ბრძოლად ისრაელისაგან, 46 ექუსას ათას და სამ ათას და ხუთას და ერგასის.

47 ხოლო ლევიტელნი იგი და ნათესავნი იგი მათნი არა შეერაცხნეს შორის ძეთა ისრაელისათა. 48 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 49 იხილე ნათესავი ლევისი, არა შეარაცხნე იგინი შორის ძეთა ისრაელისათა, 50 და შენ დაადგინენ ლევიტელნი კარავსა წამებისასა და ყოველსა ჭურჭერსა მისსა და ყოველსა ზედა, რაჲცა არს მას შინა. მათ აღიღონ კარავი და ყოველი სამსახურებელი მისი და იგინი ჰმსახურებდენ მას შინა და გარემო კარავსა დაიბანაკონ. 51 და რაჟამს აღიღებდენ კარავსა, დაკსნენ იგი ლევიტელთა (51) და რაჟამს დაიბანაკებდეს კარავი, მათ აღმართონ იგი და სხუაჲ, რომელი მიეახლოს, მოკუედინ. 52 და დაიბანაკონ ძეთა ისრაელისათა კაცად-კაცადმან წესსა ზედა თჳსსა და კაცმან მთავრობასა თჳსსა ზედა ძალითურთ მათით. 53 ხოლო ლევიტელთა დაიბანაკონ წინაშე უფლისა, მახლობელად გარემო კარავსა წამებისასა და არა იყოს ცოდვაჲ შორის ძეთა ისრაელისათა და დაიცვენ ლევიტელთა მათ კუმილვაჲ იგი

AK

გამოვიდოდა ძლიერი, 43 იგი რიცხჳ მათი, ნათესავისა მის ნეფთალემისი, ორმეოცდაათცამეტ ათას და ოთხას. 44 ესე აღხილვაჲ, რომელი აღრაცხეს მოსე და აჰრონ და მთავართა ისრაელისათა, ათორმეტთა... კაცი ერთი ტომად-ტომადისა თითოსა ნათესავად-ნათესავად სახლთა მამულთა მათთანი იყუნეს. 45 და იყო ყოველი იგი აღხილვა ძეთა ისრაელისათა ძალითურთ მათით ოცით წლითგან და უფროსით, ყოველი, რომელი გამოვიდა ბრძოლად ისრაელისაგან, 46 [242] ცხრა ათას ხუთასერგასის.

47 ხოლო ლევიტელნი იგი და ნათესავნი მათნი არა შე[ე]რაცხნეს ძეთა ისრაელისათა. 48 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 49 იხილე ნათესავი ლევისი, არა შეჰრაცხნე იგინი შორის ძეთა ისრაელისათა, 50 და შენ დაადგინნე ლევიტელნი კარავსა წამებისასა და ყოველსა ჭურჭერსა მისსა და ყოველსავე ზედა, რაჲ არს მას შინა. მათ აღიღონ კარავი და ყოველი სამსახურებელი მისი და იგინი ჰმსახურებდენ მას შინა, კარავსა მას დაიბანაკონ. 51 და რაჟამს აღიღებდენ კარავსა, დაჰკსნენ იგი ლევიტელთა და რაჟამს დაიბანაკებდეს კარავი, მათ აღმართონ იგი და სხუა, რომელი მიეახლოს, მოკუდეს. 52 და დაიბანაკონ ძეთა ისრაელისათა კაცად-კაცადმან წესსა ზედა თჳსსა და კაცმან მთავრობასა თჳსსა ზედა ძალითურთ მათით. 53 ხოლო ლევიტელთა დაიბანაკონ წინაშე უფლისა, მახლობელად გარემო კარავსა წამებისასა [v] და არა იყოს ცოდვა შორის ძეთა ისრაელისათა, დაიცვენ ლევიტელთა კუმილვა კარ-

S: 47 შეარაცხნეს. შოერით.

AK: 42 გამოუვიდოდა A. 43 ნეფთალემი K. 44 აღხილვა A. არონ K. მთავართა]ძეთა K. ათორმეტთა]ათჯერმეტჯა AK. იყუნეს A. 45 წლითგანი K. გამოვიდეს K. 46 ცხრა ათას ხუთასერგასის]ცხრაასი ათას ხუთას 49 შერაცხნე K. 50 ჭურჭელსა K. ჰმსახურებენ A, მსახურებენ K. და დაიბანაკონ K. 51 და დაკსნენ K. 53 დაიცვენ ლევიტელთა კუმილვა—K. კარვისაჲ A.

B

ლი, რომელი გამოვიდოდა ძლიერი, [43] რიცხჳ იგი ნათესავისა მის ნეფთალემისი ორმეოცდაათსამმეტ ათას და ხუთას. [44] ესე აღხილვაჲ, რომელი აღირაცხეს მოსე და აჰრონ და მთავართა ისრაელისათა, ათორმეტთა კაცთა, კაცი ერთი ტომად-ტომადისა თჳთოსა ნათესავად-ნათესავადი სახლთა მამულთა მათთანი იყუნეს. [45] და იყო ყოველი იგი აღხილვა ძეთა ისრაელისათა ძალითურთ მათით ოცით წლითგან და უფროსი, ყოველი, რომელი გამოვიდოდა ბრძოლად ისრაელისაგან, [46] ექუსასი ათას და სამ ათას და ხუთას და ერგასისი.

[47] ხოლო ლევიტელნი იგი და ნათესავნი მამათა მათთანი არა აღირაცხნეს შორის ძეთა ისრაელისათა. [48] ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [49] იხილე ნათესავი ლევისი, არა შეერაცხნეს იგინი შორის ძეთა ისრაელისათა. [50] და შენ დაადგინენ ლევიტელნი კარავსა წამებისასა და ყოველსა ჭურჭელსა მისსა და ყოველსა ზედა, რაჲცა არს მას შინა. და მათ აღიღოდიან კარავი იგი და ყოველი სამსახურებელი მისი და იგინი მსახურებდენ მას შინა და გარემო კარავსა დაიბანაკონ. [51] და რაჟამს აღიღებდენ კარავსა, დაჰკსნენ იგი ლევიტელთა, და რაჟამს დაიბანაკებდენ, კარავი იგი მათი აღმართონ, და სხუაჲ, რომელი შეეხოს, მოკუედინ. [52] და დაიბანაკონ ძეთა ისრაელისათა კაცად-კაცადმან წესსა ზედა თჳსსა და კაცთან მთავრობასა ზედა თჳსსა ძალითურთ მათით. [53] ხოლო ლევიტელთა დაიბანაკონ პირად-პირად მახლობელად გარემო კარავსა წამებისასა და არა იყოს ცოდვაჲ შორის ძეთა ისრაელისათა და დაიცვან ლევიტელთა მათ კმილვა იგი

G

მართ, ყოველი გამომავალი ძალითა, [43] ახილვაჲ მათი ტომისაგან ნეფთალიმისსა სამ და ერგასის ათას და სამასნი. [44] ესე აღხილვაჲ, რომელი აღიხილეს მოსე და აარონ და მთავართა ისრაელისათა, ათორმეტთა კაცთა, კაცი ერთი ტომისაგან თითოჲ ტომისაებრ სახლთა მამულთა მათთაჲსა იყვნეს. [45] და იყო ყოველი აღხილვაჲ ძეთა ისრაელისათაჲ ძალისა თანა მათისა ოცით წლითგანთაჲ და წამართ, ყოველი გამომავალი წყობად ისრაელსა შორის, [46] ექუსასი ათას და სამ ათას და ხუთასერგასის.

[47] ხოლო ლევიტელნი ტომობისაგან მათისა არა თანა-აღხილულ იქმნეს ძეთა თანა ისრაელისათა. [48] და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: [49] იხილე ტომი ლევისი, არა თანა-აღხილულ ჰყო და რიცხჳ მათი არა შეჰრთო ძეთა თანა ისრაელისათა, [50] და შენ ზედა დაადგინენ ლევიტელნი კარავსა ზედა წამებისასა და ყოველთა ზედა ჭურჭელთა მისთა და ყოველთა ზედა, რაოდენნი არიან მას შინა. იგინი აღიღებდენ კარავსა და ყოველთა ჭურჭელთა მისთა და იგინი ჰმსახურებდენ მას შინა და გარემოჲს კარვისა დაიბანაკებდენ. [51] და აღღებასა კარვისასა დაჰკსნიდენ მას ლევიტელნი და დაბან(v)აკებასა აღჰმართებდენ კარავსა, და სხუა ნათესავი, რომელი მიეახლოს, მოკუდეს. [52] და დაიბანაკოდინ ძენი ისრაელისანი კაცი წესსა ზედა თჳსსა და კაცი მთავრობისაებრ თჳსისა ძალისა თანა მათისა. [53] ხოლო ლევიტელნი დაიბანაკოდინ წინაშე გარემოჲს კარავსა წამებისასა და არა იყოს ცოდვაჲ ძეთა შორის ისრაელისათა და სცევიდენ ძენი ისრაელისანი იგინი კარავსა წამებისასა.

B: [46] ექუსასი ასი. [51] დაჰკსნიდენ.
G: [44] აღიხილეს—Ga.

S

კარვისა მის წამებისაჲ. [54] და ყუეს ძეთა ისრაელისათა ყოველი, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს და აჰრონს, ეგრეთ ყუეს.

AK

ვისა მის წამებისა. [54] და ყუეს ძეთა ისრაელისათა ყოველი, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს და აჰრონს.

თავი II

[1] ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: [2] კაცად-კაცადმან მახლობელად განწუესებასა თჳსსა, მსგავსად უწყუებასა თჳსსა, სახლად-სახლად და ტომად-ტომად თჳსა დაიბანაკონ ძეთა ისრაელისათა; წინაშე უფლისა, გარემო კარავსა წამებისასა (3) დაიბანაკონ ძეთა ისრაელისათა. [3] და რომელთა დაიბანაკონ პირველად აღმოსავალით განწუესებულმან ბანაკმან იუდაჲსმან ძალითურთ მათით, და მთავარ ძეთა იუდაჲსთა ნაასონ, ძე ამინადაბისი, [4] ძალი მისი აღხილული სამეოცდაათოთხმეტ ათას და ექუსას. [5] და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან იზაქარისმან და მთავარმან ძეთა ისაქარისთა ნათანელ, ძემან სოგორისმან, [6] ძალი მისი აღხილული ორმეოცდაათოთხმეტ ათას და ოთხას. [7] და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან ზაბულონისმან, და მთავარ ძეთა ზაბულონისთა ელიაბ, ძე ქიროსისი, [8] ძალი მისი აღხილული ორმეოცდაშჳდ ათას და ოთხას. [9] ყოველნი აღრაცხილნი ნათესავთა თანა იუდაჲსთა ასოთხმეოცდაექუს ათას და ოთხას ძალითურთ მათით; პირველად აღიძრნენ.

[10] განწუესებული ბანაკი რუბენისი ჩრდილოჲთ ძალითურთ მათით, და მთავარი ძეთა რუბენისთაჲ ელისურ,

SZ

ძე *ედიორისი, [11] ძალი მისი აღხილუ-

[1] ეტყოდა ღმერთი მოსეს და ჰრქუა: [2] კაცად-კაცადმან მახლობელად განწუესებასა თჳსსა, მსგავსად უწყუებასა თჳსსა, სახლად-სახლად და ტომად-ტომად დაიბანაკონ ძეთა ისრაელისათა; წინაშე უფლისა, გარემო კარვისა საწამებელისა... [3] და რომელთა დაიბანაკონ პირველად აღმოსავალით განწუესებულმან ბანაკმან იუდასმან ძალითურთ მათით, და მთავარ ძეთა იუდასთა ნასონ, ძე ამინადაბისი, [4] ძალი მისი აღხილული სამეოცდაათხუთმეტ ათას და ექუსას. [5] და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან იზაქარისმან, და მთავარ ძეთა ისაქარისთა ნათანაელ, ძე სოგარისი, [6] ძალი მისი აღხილული ორმეოცდაშჳდ ათას და ოთხას. [7] და რომელთა დაიბანაკონ [243] მახლობელად მათსა ნათესავმან ზაბულონისმან, და მთავარი ძეთა ზაბულონისთა ელიაბ, ძე ქელონისი, [8] ძალი მისი აღხილული ორმეოცდაშჳდ ათას და ოთხას. [9] ყოველნი აღრაცხილნი ნათესავსა თანა იუდასსა ასოთხმეოცდაექუს ათას და ოთხას ძალითურთ მათით; პირველად აღიძრნენ.

[10] განწუესებული ბანაკი რუბენისი ჩრდილოთ ძალითურთ მათით, და მთავარი ძეთა რუბენისთაჲ ელისურ, ძე ედიურისი, [11] ძალი მისი აღხილული

S: [53] კარვისაჲ.

SZ: [10] იდიურისი Z.

AK: [54] აარონს K. II, [2] საწამებელისასა A. [4] ძალი მისი—K. სამეოცდათხუთმეტ K. [5] ისაჭარისმან A. ნათანელ K. [6] ორმეოცდაშჳდ]ორმეოც A. [9] ოთხას]ოთხ ათას AK. [10] განწუესებული AK რუბენისთა A.

* აქ იწყება ათონური ფრაგმენტის (Z-ის) ტექსტი.

B

კარვისა მის წამებისა. 54 და ყვეს ძეთა ისრაელისათა ყოველივე, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს და აჰრონს, ეგრეთ ყვეს.

G

54 და ყვეს ძეთა ისრაელისათა ყოველთაებრ, რაოდენნი ამცნნა უფალმან მოსეს და აარონს, ეგრეთ ყვნეს.

თავი II

1 ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: 2 კაცად-კაცადმან მახლობელად განწესებულისა თჳსისა, მსგავსად უწყებისა თჳსისა, სახლად-სახლად და ტომად-ტომად დაიბანაკონ ძეთა ისრაელისათა; წინაშე უფლისა, კარავსა წამებისასა დაიბანაკონ ძეთა ისრაელისათა. 3 და რომელთა დაიბანაკონ პირველად აღმოსავალით განწესებულმან ბანაკმან იუდაჲსმან ძალითურთ მათით, და მთავარი ძეთა იუდასთა ნასონ, ძე ამინადაბისი, 4 ძალი მისი აღხილული სამეოცდაათოთხმეტ ათას და ექუსას. 5 და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან იზაჭარისმან და მთავარმან ძეთა იზაჭარისთა ნათანაელ, ძემან სოგორისმან, 6 ძალი მისი აღხილული ორმეოცდაათოთხმეტ ათას და ოთხას. 7 და რომელთა დაიბანაკონ მახლობელ მათსა ნათესავმან ზაბულონისმან და მთავარი ძეთა ზაბულონისთა ელიაბ, ძე ქერონისი, 8 ძალი მისი აღხილული ორმეოცდაათჴუთმეტ ათას და ოთხას. 9 ყოველნი აღრაცხილნი ნათესავთა თანა იუდასთა ასოთხმეოცდაექუს ათას და ოთხას ძალითურთ მათით; პირველად აღიძრნენ.

10 განწესებული ბანაკი რუბენისი ჩრდილოთ ძალითურთ მათით, და მთავარი ძეთა რუბენისთა ელისური, ძე სედისურისი, 11 ძალი მისი აღხილული

1 და იტყოდა უფალი მო[37]სეს და აარონის მიმართ, მეტყუელი: 2 კაც მახლობელად განწესებულისაებრ თჳსისა, (91) შესწავებათაებრ თჳსთა, სახლთაებრ მამულთა მისთა დაიბანაკებდენ ძენი ისრაელისანი. 3 და დამბანაკებელნი პირველნი აღმოსავალით კერძო განწესებული ბანაკისაჲ იუდა ძალისა თანა მისისა, და მთავარი ძეთა იუდაჲსთაჲ ნაასონ, ძე ამინადაბისი, 4 ძალი მისი აღხილული ოთხი და სამეოცდაათი ათასი და ექუსასნი. 5 და დამბანაკებელნი მახლობელად ტომი ისახარისი, და მთავარი ძეთა ისახარისთაჲ ნათანაილ, ძე სოღარისი, 6 ძალი მისი აღხილული ოთხ და ერგასის ათას და ოთხასნი. 7 და დამბანაკებელნი მახლობელად ტომი ზაბულონისი, და მთავარი ძეთა ზაბულონისთაჲ ელიაბ, ძე აჲლონისი, 8 და ძალი მისი აღხილული შჳდ და ერგასის ათას და ოთხასნი. 9 ყოველნი აღრიცხულნი ბანაკისაგან იუდაჲსსა ასოთხმეოცი ათას და ექუს ათას და ოთხასნი ძალისა თანა მათისა; პირველნი აღმტრველნი.

10 მწყობრი ბანაკისა რუ(v)ბენისი სამხრით კერძო ძალისა თანა მათისა, და მთავარი ძეთა რუბენისთაჲ ელისსურ, ძე სედიურისი, 11 ძალი მისი აღხილულნი ექუს და ორმეოც ათას და ხუთასნი.

B: II, 2 თჳსისა 2°]თჳსსა. 1° 2° და დაიბანაკონ. 3 მთავართა. 5 მთავართა. იზაჭარისთა]ზაჭარისმან და. 7 მთავართა.

G: II, 2 განწესებულისა Gb.

SZ

ლი ორმეოცდაექუს ათას და ხუთას. 12 და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან სჳმეონისმან და მთავარმან ძეთა სჳმეონისთა სალამიელ, ძემან სურისადაჲსმან, 13 ძალი მისი აღხილული ორმეოცდაათცამეტ ათას და სამას. 14 და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნა*თესავმან გადისმან, და მთავარ ძეთა გადისთა ელისაფატ, ძე რაგუელისი, 15 ძალი მისი აღხილული ორმეოცდახუთ ათას და ექუსას და ერგასის. 16 ყოველნივე აღრაცხილ ბანაკსა თანა რუბენისსა ასერგჯის და ერთ ათას და ოთხას და ერგასის ძალითუ**რთ მათით; (17) მეორედ აღიძრნენ. 17 და აღიღონ კარავი წამებისაჲ და ბანაკი ლევიტელთაჲ შორის ბანაკთა; ვითარცა დაიბანაკონ, ეგრეცა აღიძრნენ თითოეულად მახლობელად განწესებასა მათსა.

18 განწესებული ბანაკი ეფრემისი ზღუთ ძალითურთ მათით, და მთავარი ძეთაგან ეფრემისთა ელისამა, ძე ემიუდისი, 19 ძალი მისი აღხილუ***ლი

S

ორმეოც ათას და ხუთას. 20 და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან მანასჱსმან, და მთავარმან ძეთაგან მანასჱსთა გამალიელ, ძემან ფადასორისმან, 21 ძალი მისი აღხილული ოცდაათორმეტ ათას და ორას. 22 და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან ბენიამისმან, და მთავარი ძეთა ბენიამისთაჲ აბიდან, ძე გედეონისი,

AK

ორმეოცდაექუს ათას და ხუთას. 12 და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან სჳმეონისმან, და მთავარი ძეთა სჳმეონისთა სალამიელ, ძე სურისადაჲსი, 13 ძალი მისი აღხილული ორმეოცდაცხრამეტ ათას და სამას. 14 და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან გაადისმან, და მთავარი ძეთა გაადისთა ელისაფან, ძე რაგოელისი, 15 ძალი მისი აღხილული ორმეოცდახუთ ათას და ექუსას [v] და ერგასის. 16 ყოველივე აღრაცხილ ბანაკსა თანა რუბენისსა ასერგასის და ერთ ათას ოთხას და ერგასის ძალითურთ მათით; მეორედ აღიძრნენ. 17 და აღიღონ კარავი წამებისა და ბანაკი ლევიტელთაჲ შორის ბანაკსა; ვითარცა დაიბანაკონ, ეგრეცა აღიძრნენ თითოეულად მახლობელად განწესებულსა მათსა.

18 განწესებული ბანაკი ეფრემისი ზღუთ ძალითურთ მათით, და მთავარი ძეთაგან ეფრემისთა ელისამა, ძე ემიუდისი, 19 ძალი მისი აღხილული [ორმეოც] ათას და ხუთას. 20 და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან მანასესმან, და მთავარი ძეთაგან მანასესთა გამალიელ, ძე ფადასურისი, 21 ძალი მისი აღხილული ოცდაათორმეტ ათას და ორას. 22 და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან ბენიამენისმან, და მთავარი ძეთა ბე-

---

SZ: 12 მთავართა Z. 14 რაგუჱლისი S. 16 აღრც̃ხლ S. 18 ძეთაგანი S. ეფრემისთაჲ S. ელისამაა Z. ძე Z. ემეუდისი S. 20 მთავარ.

AK: 12 სურისადაჲსი]სურისაჲ K. 15 ერგასისი K. 16 და ერთ ათას ოთხას და ერგასის—K. 17 ლევიტელთა A. მახლობელად—K. 18 მათით—K. ელისამ K. 20 მანასესმან]მ̃ნ ასემ̃ნ A. გამალიელ—K. 22 ბენიამენისთა A.

* აქ წყდება Z ფრაგმენტის ტექსტი.

** აქ გრძელდება ტექსტი Z ფრაგმენტში.

*** აქ წყდება Z ფრაგმენტის ტექსტი.

B

ორმეოცდაექუს ათას და ხუთას. 12 და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან სჳმეონისმან და მთავარმან ძეთა სჳმეონისთა სალამიელ, ძემან სურისადისმან, 13 ძალი მისი აღხილული ორმეოცდაათხრამეტ ათას და სამასი. 14 და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან გადისმან, მთავარი ძეთა გადისთა ელისაფათ, ძე რაგოელისი, 15 ძალი მისი აღხილული ორმეოცდახუთი ათას და ექუსასერგასისი. 16 ყოველნივე აღრაცხილნი ბანაკსა თანა რუბენისასა ასერგასის და ერთ ათას და ოთხასერგასის ძალითურთ მათით; მეორედ აღიძრნენ. 17 და აღიღონ კარავი წამებისა და ბანაკი ლევიტელთა შორის ბანაკთა; ვითარცა დაიბანაკონ, ეგრეცა აღიძრნენ თჳთეულად მახლობელად განწესებასა მათსა.

18 განწესებული ბანაკი ეფრემისა ზღუთ კერძო ძალითურთ მათით, და მთავარი ძეთაგან ეფრემისთა ელისამ, ძე ემოდასი, 19 ძალი მისი აღხილული ორმეოც ათას და ოთხას. 20 რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან ჳანასესმან და მთავარმან ძეთაგანმან ჳანასესთა გამალელ, ძემან ფადისურისმან, 21 ძალი მისი აღხილული ოცდაათორმეტ ათას და ორას. 22 და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან ბენიამენისმან, და მთავარი ძეთა ბენიამენისთა აბიდან, ძე

G

12 და დამბანაკებელნი მახლობელად მასსა ტომი სჳმეონისი, და მთავარი ძეთა სჳმეონისთაჲ სალამიილ, ძე სურისადაისი, 13 ძალი მისი აღხილულნი ცხრა და ერგასის ათას და სამასნი. 14 და დამბანაკებელნი მახლობელად მისსა ტომი გადისი, და მთავარი ძეთა გადისთაჲ ელისაფ, ძე რაგუილისი, 15 ძალი მისი აღხილულნი ხუთ და ორმეოც ათას და ექუსასერგასისნი. 16 ყოველნი აღრაცხულნი ბანაკისა რუბენისნი ასერგასის და ათას და ოთხასერგასისნი ძალისა თანა მათისა; მეორენი აღმტრველნი. 17 და აღიღოდის კარავი წამებისაჲ და ბანაკი ლევიტელთაჲ საშუალ ბანაკთა; ვითარცა დაიბანაკებენ, ეგრეთ იტრვოდენ თითოეული მახლობელად განწესებულებისა თჳსისა.

18 მწყობრი ბანაკისა ეფრემისი ზღუთ კერძო ძალისა თანა მისისა, და მთავარი ძეთა ეფრემისთაჲ ელისამა, ძე აბიუდისი, 19 ძალი მისი აღხილულნი ორმოცი ათას და ხუთასნი. 20 და დამბანაკებელნი მახლობელად ტომი მანასესი, და მთავარი ძეთა მანასესთ(92)აჲ გამალი[v]ილ, ძე ფადასურისი, 21 ძალი მისი აღხილულნი ორ და ოცდაათი ათას და ორას. 22 და დამბანაკებელნი მახლობელად ტომი ბენიამენისი, და მთავარი ძეთა ბენიამენისთაჲ აბიდან, ძე

B: 12 მთავართა. 14 მთავართა.
G: 20 გამალილ Ga. 22 ბენიამინისი Gb. ბენიამინისთაჲ Gb.

S

[23] ძალი მისი აღხილული ოცდაათხუთმეტ ათას და ოთხას. რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან ბენიამენისმან, და მთავარი ძეთა ბენიამენისთა აბედან, ძე გედეონისი, ძალი მისი აღხილული ოცდაათხუთმეტი ათას და ორას.*. [24] ყოველნი აღრაცხილ ბანაკთა თანა ეფრემისთა ას და რვა ათას და ორას ძალითურთ მათით; (25) მესამედ აღიძრნედ.

[25] განწესებული ბანაკი დანისი ჩრდილოჲთ ძალითურთ მათით, და მთავარი ძეთა დანისთაჲ აქეზერ, ძე ამისადისი, [26] ძალი მათი აღხილული სამეოცდაორ ათას და შჯდას. [27] და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან ასერისმან, და მთავარ ძეთა ასერისთაჲ ფაგელ, ძე ექრანისი, [28] ძალი მისი აღხილული ორმეოცდაერთ ათას და ხუთას. [29] და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან ნეფთალემისმან, და მთავარი ძეთა ნეფთალემის-

SZ

თაჲ აქირე, ძე ენანისი, [30] ძალი მისი აღხილული ორმეოცდაათ ათას** და ოთხას. [31] ყოველნი აღრაცხილნი ბანაკსა თანა დანისსა ასერგასის და შჯდ ათას და ექუსას ძალითურთ მათით; უკუანაჲსკნელ აღიძრნენ მსგავსად განწესებულებისა მათისა.

[32] ესე რიცხჳ ძეთა ისრაელისათაჲ და სახლად-სახლად მამათა მათთაჲ და ყოველი აღხილვაჲ ბანაკთა მათთაჲ ძალითურთ მათით ექუსას*** ათას და სამ

S

ათას და ხუთას და ერგასის. [33] ხოლო ლევიტელნი არა შეერაცხნეს მათ, ვი-

AK

ნიამენისთაჲ აბედან, ძე გედეონისი, [23] ძალი მისი [244] აღხილული ოცდაათურამეტ ათას და ორას. და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან ბენიამენისმან, და მთავარი ძეთა ბენიამენისთა აბედან, ძე გედეონისი, ძალი მისი აღხილული ოცდაათხუთმეტ ათას და ოთხას*. [24] ყოველნი აღრაცხილ ბანაკთა თანა ეფრემისთა რვა ათას და ორას ძალითურთ მათით; მესამედ აღიძრნენ.

[25] განწესებული ბანაკი დანისი ჩრდილოთ ძალითურთ მათით, და მთავარი ძეთა დანისთა აქიეზერ, ძე ამისადისი, [26] ძალი მათი აღხილული სამეოცდაორ ათას და შჯდას. [27] და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან ასერისმან, და მთავარი ძეთა ასერისთაჲ ფაგელ, ძე ექრანისი, [28] ძალი მისი აღხილული ორმეოცდაერთ ათას და ხუთას. [29] და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან ნეფთალემისმან, და მთავარი ძეთა ნეფთალემისთა აქირ, ძე ენანისი, [30] ძალი [v] მისი აღხილული ორმეოცდაათხუთმეტ ათას და ოთხას. [31] ყოველნი აღრაცხილნი ბანაკსა თანა დანისსა ასერგასის და შჯდ ათას და ექუსას ძალითურთ მათით; უკანასკნელ აღიძრნენ მსგავსად განწესებულისა მათისა.

[32] ესე რიცხჳ ძეთა ისრაელისათაჲ და სახლად-სახლად მამათა მათთა და ყოველი აღხილვა ბანაკთა მათთა ძალითურთ მათით ექუსას ათას და სამ ათას და ხუთას და ერგასის. [33] ხოლო ლევიტელნი არა შეერაცხნეს, ვითარცა უბრ-

S: [23] მთავარნი. [29] ნეფთალისმან.

SZ: [31] უკანაჲსკნელ S. [33] შეარაცხნეს.

AK:[23] ოცდაათხუთმეტ ათას და ოთხას]ოცდაათორმეტ ათას ხუთას K. [25] ამისდისი K. [26] ყოველი ძალი K. [27] ასერისთა A. ექნარისი K. [28] და ხუთას—K. [29] მათსა—K. [31] მსგავსად bis K. [32] ორ̈ლისათა A. ყოველნი AK. და სამ ათას—K.

* SAK ხელნაწერებში 23-ე მუხლში მცირე სახეცვლილებით გამეორებულია 21 და 22 მუხლების ტექსტი.

** აქ გრძელდება ტექსტი Z ფრაგმენტში.

*** აქ ძთავრდება Z ფრაგმენტის ტექსტი.

B

გედეონისი, 23 ძალი მისი აღხილული ოცდაათხუთმეტი ათას და ოთხას. 24 ყოველნი აღრაცხილნი ბანაკთა მათთა ეფრემისთა ასორმოცდაათი ათას და ას ძალითურთ მათით; მესამედ აღიძრნეს.

25 განწესებული ბანაკი დანისი ჩრდილოთ ძალითურთ მათით, და მთავარი ძეთა დანისთა აქიეზერ, ძე ამისადისი, 26 ძალი მათი აღხილული სამეოცდაორ ათას და შჳდას. 27 და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან ასერისმან, და მთავარი ძეთა ასერისთა ფაგელ, ძე ექრანისი, 28 ძალი მისი აღხილული ორმეოცდაორ ათას და ხუთას. 29 და რომელთა დაიბანაკონ მახლობელად მათსა ნათესავმან ნეფთალემისმან, მთავარი ძეთა ნეფთალემისთა აქირე, ძე ენანისი, 30 ძალი მისი აღხილული ორმეოცდაათსამმეტ ათას და ოთხას. 31 ყოველნი აღრიცხულნი ბანაკსა თანა დანისსა ასერგასის და შჳდ ათას და ექუსას ძალითურთ მათით; უკანასკნელ აღირაცხნენ მსგავსად განწესებულებისა მათსა.

32 ესე რიცხუნი ძეთა ისრაელისათა და სახლად-სახლად მამათა მათთა და ყოველი აღხილვა ბანაკთა მათთა ძალითურთ მათით, ყოველი აღხილვა ექუსას ათას და სამ ათას და ხუთას და ერგასისი. 33 ხოლო ლევიტელნი არა შეერაცხნეს შორის მათ თანა, ვითარცა

G

გედეონისი, 23 ძალი მისი აღხილულნი ხუთ და ოცდაათი ათას და სამას. 24 ყოველნი აღხილულნი ტომისა ეფრემისნი ასათასეულ და რვაჯერ ათას და ას ძალისა თანა მათისა; მესამენი აღმტრეველნი.

25 მწყობრი ბანაკისა დანისი ჩრდილოჲთ კერძო ძალისა თანა მათისა, და მთავარი ძეთა დანისთაჲ აქიეზერ, ძე ამისადაისი, 26 ძალი მისი აღხილულნი ორ და სამოცი ათას და შჳდასნი. 27 და დამბანაკებელნი მახლობელად მისსა ტომი ასირისი, და მთავარი ძეთა ასირისთაჲ ფაღაილ, ძე ეხრანისი, 28 ძალი მისი აღხილულნი ერთ და ორმოცი ათას და ხუთასნი. 29 და დამბანაკებელნი მახლობელად მისსა ტომი ნეფთალიმისი, და მთავარი ძეთა ნეფთალიმისთაჲ აქირე, ძე ენანისი, 30 ძალი მისი აღხილულნი სამ და ერგასის ათასეულნი და ხუთასნი. 31 ყოველნი აღხილულნი ტომისა დანისნი შჳდ და ერგასის და ასათასეულნი და ექუსასნი ძალისა თანა მათისა; უკუანაჲსკნელნი აღმტრეველნი მწყობრობისაებრ მათისა.

32 ესე აღხილვაჲ ბანაკთაჲ ძალთა თანა მათთა ექუსასნი ათასეულნი და სამ ათასნი და ხუთასერგასისნი. 33 ხოლო ლევიტელნი არა (v) აღიხილნეს მათ თანა, ვითარცა ამცნო უფალმან

B: 25 მთავართა. 27 მთავართა 31 ასერგასსი.
G: 23 ოცდათი Ga.

S

თარცა უბრძანა უფალმან მოსეს. 34 და ყვეს ძეთა ისრაელისათა, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს; ესრე სახედ დაიბანაკეს მსგავსად განწესებულებაჲსა მათსა და ესრეთ აღიძრნიან თითოეულად მახლობელად ტომად-ტომად მათა, მსგავსად სახლად-სახლად მამათა მათთა.

AK

ძანა უფალმან მოსეს. 34 და ყვეს ძეთა ისრაელისათა, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს: ესრე სახედ დაიბანაკეს მსგავსად განწესებულისა მათისა და ესრეთ აღიძრნიან თითოეულად მახლობელად ტომად-ტომად მათა, მსგავსად სახლად-სახლად.

თავი III

1 ესე შობაჲ აჰრონისი და მოსესი დღესა მას, რომელსა ეტყოდა უფალი მოსეს მთასა ზედა სინასა, 2 და ესე სახელნი ძეთა აჰრონისთანი: (3) პირმშოჲ ნადაბ და აბიუთ და ელიაზარ და ითამარ, 3 და ესე სახელნი ძეთა აჰრონისთანი, მღდელნი ცხებულნი, რომელთანი სრულ იყვნეს ქელნი მათნი მღდელად. 4 და მოკუდეს ნადაბ და აბიუთ წინაშე უფლისა, რამეთუ შესწირვიდეს ცეცხლსა უცხოსა წინაშე უფლისა უდაბნოსა სინას, და შვილი არა ესუა მათ, და მღდელობდეს ელიაზარ და ითამარ აჰრონის თანა, მამისა მათისაჲ.

5 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 6 მოიყვანენ ნათესავნი ლევისნი და დაადგინენ იგინი წინაშე აჰრონ მღდელისა და ჰმსახურებდენ მას 7 და დაიცვენ საკუმილავი მისი და საკუმილავი ძეთა ისრაელისათაჲ წინაშე კარავსა წამებისასა საქმედ საქმესა კარვისასა, 8 და დაიცვენ ყოველი ჴურჭელი კარვისა წამებისაჲ და დაიცვენ საკუმილავი ძეთა ისრაელისათაჲ და ყოველი საქმე კარვისაჲ. 9 და მისცნე ლევიტელნი ძმასა შენსა (10) აჰრონს და ძეთა მისთა მღდელთა; მოცემით მოცემულ არიან

1 ესე შობაჲ აჰრონისი და მოსესი დღესა მას, რომელსა ეტყოდა უფალი მოსეს მთასა ზედა სინასა, 2 და ესე სახელნი ძეთა აჰრონისთანი: პირმშოჲ ნადაბ და აბიუდ და ელიაზარ და ითამარ, 3 და ესე სახელნი [245] ძეთა აჰრონისთანი, მღდელნი ცხებულნი, რომელთანი სრულ იყვნეს ქელნი მათნი მღდელად. 4 და მოკუდეს ნადაბ და აბიუდ წინაშე უფლისა, რამეთუ შესწირვიდეს იგინი ცეცხლსა უცხოსა წინაშე უფლისა უდაბნოსა სინას, და შვილი არა ესუა მათ, და მღდელობდეს ელიაზარ და ითამარ აჰრონის თანა, მამისა მათისა.

5 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 6 მოიყვანენ ნათესავნი ლევისნი, დაადგინენ იგინი წინაშე აჰრონ მღდელისა და ჰმსახურებდენ მას 7 და დაიცვენ საკუმილავი მისი და საკუმილავი ძეთა ისრაელისათა წინაშე კარავსა წამებისასა საქმედ საქმესა კარვისასა, 8 და დაიცვენ ყოველი ჴურჭელი კარვისაჲ წამებისა, დაიცვენ საკუმილავი ძეთა ისრაელისათა და ყოველი საქმე კარვისა. 9 და მისცნე ლევიტელნი აჰრონს, ძმასა შენსა და ძეთა მისთა მღდელთა; მოცემით მოცემულ არიან

S: 34 მათთა]მათთაჲ. სახელსახელად. III, 4 მოკუდა. 7 საკუმილავი 1° 2°]საკუმილი. 8 საკუმილი.
AK: 34 ვითარცა... სახედ]—K. სახელად-სახელად A, სახელად K. III, 1 შობანი K. აარონისი K. 2 აბიუთ A. იათამარ K. 3 აარონისთანი K. რ˘ნი K. იყუნეს A. 4 იათამარ K. აარონის K. 6 მოიყუანენ A. მსახურებდენ K. 7 და საკუმილავი—K. საქმედ—K. 8 დაიცვან K. 9 აარონს K.

B

უბრძანა უფალმან მოსეს. [34] და ყუეს ძეთა ისრაელისათა, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს: ესრე სახედ დაიბანაკეს შსგავსად განწესებულისა მათისა და ესრეთ აღირაცხნიან თჳთოეულად მახლობელად ტომად-ტომადთა მათთა, მსგაესად სახლად-სახლად მამათა მათთა.

G

მოსეს. [34] ესრეთ დაიბანაკებდეს განწესებათაებრ მათთა და ესრეთ იტრვოდეს თითოეული მახლობელნი ძალისაებრ მათისა, სახლთაებრ მამულთა მათთა.

თავი III

[1] ესე შობანი არიან აჰრონისი და მოსესი დღესა მას, რომელსა ეტყოდა უფალი მოსეს მთასა ზედა სინასა, [2] და ესე სახელნი ძეთა აჰრონისთანი: პირმშო ნადაბ და აბიუდ და ელიაზარ და იათამარ, [3] და ესე სახელნი არიან ძეთა აჰრონისთანი, მღდელთა მოხუცებულთანი, რომელ სრულ იყუნეს ჴელნი მათნი მღდელობად. [4] მოკუდეს ნადაბ და აბიუდ წინაშე უფლისა, რამეთუ შესწირვიდეს ცეცხლსა უცხოსა წინაშე უფლისა უდაბნოსა სინასა, და შვილი არა ესუა მათ, და მღდელობდეს ელიაზარ და იათამარ აჰრონის თანა, მამისა მათისა.

[5] ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [6] მოიყუანენ ნათესავნი ლევისნი და დაადგინენ იგინი წიანშე აჰრონ მღდელისა და მსახურებდნენ მას [7] და დაიცვენ საკუმილავი მისი, საკუმილავი ძეთა ისრაელისათა წინაშე კარავსა წამებისასა საქმედ საქმესა კარავისასა, [8] და დაიცვენ ყოველი ჴურჭელი კარვისა წამებისა და საკმილაჲი ძეთა ისრაელისათა, ყოველი საქმე კარვისა. [9] და მისცე ლევიტელნი ძმასა შენსა აჰრონს და ძეთა მისთა მღდელთა; მოცემით მოცემულ არიან ესენი ჩემდა ძეთაგან ის-

[1] და ესე ჭმნანი ოთხნი აარონის და მოსესნი დღესა, რომელსა ეტყოდა ღმერთი მოსეს მთასა ზედა სინასა, [2] და ესე სახელები ძეთა აარონისთაჲ: პირმშოჲ ნადაბ და აბიუდ და ელიაზარ და ითამარ, [3] ესე არს სახელები ძეთა აარონისთაჲ, მღდელნი ცხებულნი, რომელთანი სრულ იქმნნეს ჴელნი მათნი მღდელობად. [4] და აღესრულნეს ნადაბ და აბიუდ წინაშე უფლისა, მო-რაჲაქუნდა მათ ცეცხლი უცხოჲ უდაბნოსა. სინასა, და შვილნი არა იყვნეს მათდა, და აჰა მღდელობდეს ელეაზარ და ითამარ აარონის თანა, მამისა მათისა.

[5] და იტყოდა (93) უფალი მოსეს. მიმართ, მეტყუელი: [6] მიიყვანე ტომი. ლევისი და დაადგინე იგი წინაშე აარონ მღდელისა და ჰმსახურებდენ მას [7] და. სცვიდენ საცავთა მისთა და საცავთა ძეთა ისრაელისათჳს წინაშე კარავსა საწამებელისჲსა საქმედ ყოველთა საქმეთა. კარვისათა, [8] და სცვიდენ ყოველთა ჴურჭელთა კარვისა საწამებელისათა და. საცავთა ძეთა ისრაელისა(v)თასა ყოველთაებრ საქმეთა კარვისათა. [9] და მისცნე ლევიტელნი აარ[38]ონს, ძმასა. შენსა, და ძეთა მისთა მღდელთა; საცემელ მოცემულ ესენი არიან ჩემდა

B: [34] სახელად-სახელად. III, [8] წამებისისა და საკმილაჲსა. ყოველთა საქმეთა. [9] მოცემულ+ ჩემდა.

ესენი ჩემდა ძეთაგან ისრაელისათა; [10] და აჰრონ და ძენი მისნი დაადგინნე კარავსა წამებისასა (11) და დაიცვენ მღდელობაჲ მათი და ყოველი [ჰურჰელი] საკურთხეველისაჲ და შინაგან კრეტსაბმელსა; და სხუაჲ ნათესავი, რომელი შეეხოს, მოკუდეს.

[11] (12) ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [12] და აჰა ესერა მე მოვიყუანნე ლევიტელნი შორის ძეთა ისრაელისათა ყოველთა წილ პირმშოთა. რომელმან განაღოს საშოჲ ძეთაგან ისრაელისათა, საკსრად მათა იყუნენ [და იყუნენ] ჩემდად ლევიტელნი. [13] რამეთუ ჩემი არს ყოველი პირმშოჲ; დღესა მას, რომელსა მოვსარ ყოველი პირმშოჲ ქუეყანასა მას ეგუპტისასა, განვწმიდენ ჩემდად ყოველნი პირმშონი ისრაელისანი კაცითგან მიპირუტყუადმდე, ჩემდა იყუნედ, მე ვარ უფალი.

[14] ეტყოდა უფალი მოსეს უდაბნოსა სინას და ჰრქუა: [15] აღიხილენ ძენი ლევისნი სახლად-სახლად მამათა მათთა და ტომად-ტომადი მათი და ნათესავად-ნათესავადი მათი: ყოველი წული, თთუთგანი და უზეშთაესი, აღრაცხენ იგინი. [16] და აღრაცხნა იგინი მოსე და აჰრონ სიტყუთა უფლისაჲთა, ვითარცა უბრძანა მათ უფალმან. [17] და იყუნეს ესე ძენი ლევისნი და სახელები მათი: გეთსონ, კაათ, მერარი. [18] და ესე სახელები ძეთა გეთსონისთაჲ და ტომთა მათთაჲ: ლუბენი და სჳმიი. [19] და ძენი კაათისნი და ტომნი მათნი: ამბრამ და ისაარ, ქებრონ და ოზიელ. [20] ძენი მერარისნი და ტომნი მათნი: მოული და ომოსი. (21) ესე არიან ტომნი ლევიტელთანი და სახლნი მამისა მათისანი.

ესენი ჩემდა ძეთაგან ისრაელისათა; [10] და აჰრონ და ძენი მისნი დაადგინნე წინაშე კარავსა წამებისაჲსა და დაიცვენ მღდელობაჲ მათი და ყოველი ჰურ[v]ელი საკურთხეველისა და შინაგან კრეთსაბმელსა; და სხუაჲ ნათესავი, რომელი შეეხოს, მოკუდეს.

[11] ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [12] აჰა ესერა მე მოვიყუანნე ლევიტელნი შორის ძეთა ისრაელისათა ყოველთა წილ პირმშოთა. რომელმან განაღოს საშო ძეთაგან ისრაელისათა, საკსრად მათა იყუნენ და იყუნენ ჩემდად ლევიტელნი. [13] რამეთუ ჩემი არს ყოველი პირმშო; დღესა მას, რომელსა მოვსარ ყოველი პირმშო ქუეყანასა მას ეგუპტისასა, განვწმიდენ ჩემდა ყოველნი პირმშონი ისრაელისანი კაცითგან მიპირუტყუადმდე, ჩემდად იყუნედ, მე ვარ უფალი.

[14] ეტყოდა ღმერთი მოსეს სინას და ჰრქუა: [15] აღიხილენ ძენი ლევისნი სახლად-სახლად მამათა მათთა და ტომად-ტომადი მათი და ნათესავად-ნათესავადი მათი: ყოველი წული, თთუთგანი და უზეშთაესი, აღრაცხენ იგინი. [16] ხოლო აღრაცხნეს იგინი მოსე და აჰრონ სიტყუთა უფლისაჲთა, ვითარცა უბრძანა მათ უფალმან. [17] და იყუნეს ესე ძენი ლევისნი და სახელები მათი: გეთსონ, [246] კაათ, მერარი. [18] და ესე სახელები ძეთა გეთსონისთა და ტომთა მათთა: ლუბენი და სჳმეი. [19] და ძენი კაათისნი და ტომნი მათნი: აბრამ და ისარ, ქებრონ და ოზიელ. [20] და ძენი მერარისნი და ტომნი მათნი: მოოლი და უმუსი. ესე არიან ტომნი ლევიტელთანი და სახლი მამისა მათისა.

S: [16] სახელად-სახელად. მათთაჲ. [17] გეთნოს.

AK: [10] არონ K. დაადგინნ K. დაიცვენ K. კრეტსაბმელსა K. [11] ჰრქუა—A. [12] საკსრად მათა იყუნენ—K. ჩემდა K. [13] ისრაელისანი]ეგუპტისანი K. იყუნედ]იყვნ K. [14] ღმერთი]ო᷑ი K. [16] სახელად-სახელად A, სხლ᷑ად K. თთუსგანი K. [16] ხ᷑ აღრაცხნეს]და აღრაცხნა A. იგინი—K. [17] იყუნეს A. [18] რუბენი K. სჳმეონი K. [20] უმისი K.

B

რაელისათა; [10] და აჰრონ და ძენი მისნი დაადგინენ კარავსა წამებისასა და დაიცუენ მღდელობაჲ მათი, ყოველივე საკურთხეველისა, შინაგან კრეტსაბმელისა; და სხვაჲ ნათესავი, რომელი შეეხოს, მოკუდეს.

[11] ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [12] აჰა ესერა მე მოვიყუანნე ლევიტელნი შორის ძეთა ისრაელისათა ყოველთა წილ პირმშოთა. რომელმან განაღოს საშოჲ ძეთაგან ისრაელისათა, საკსრად მათდა იყუნენ ჩემდა ლევიტელნი, [13] რამეთუ ჩემი არს ყოველი პირმშო; დღესა მას, რომელსა მოვსარ ყოველი პირმშო ქუეყანასა მას ეგჳპტისასა, განვსწმიდენ ჩემდა ყოველნი პირმშონი ისრაელისანი კაცითგან პირუტყუამდე. ჩემდა იყუნედ, რამეთუ მე ვარ უფალი.

[14] ეტყოდა უფალი მოსეს უდაბნოსა სინისასა და ჰრქუა: [15] აღიხილენ ძენი ლევისნი სახლად-სახლად მამათა მათთა და ტომად-ტომადი მათი და ნათესავადი მათი: ყოველი წული, თჳთგანი და უზეშთაესი, აღრაცხნე იგინი. [16] და აღრაცხა იგი მოსე და აჰრონ სიტყჳთა უფლისაჲთა, ვითარცა უბრძანა მათ უფალმან. [17] და იყუნეს ძენი ლევისნი და სახელები მათი: გეთსონ, კაათ და მერარი. [18] და ესე სახელები ძეთა გეთსონისთა, ტომთა მათთა: ლუბენი და სჳმიი და სეთ. [19] და ძენი კაათისნი და ტომნი მათნი: ამრაამ და ისაარ, ქებრონ და ოზიელ. [20] ძენი მერარისნი და ტომნი მათნი: მოოლი და მოსი. ესე არიან ტომნი ლევიტელთანი და სახლნი მამისა მათისანი.

G

ძეთაგან ისრაელისათა; [10] და აჰრონ და ძენი მისნი დაადგინნე კარავსა ზედა წამებისაჲსა და სცვიდენ მღდელობაჲსა მათისა და ყოველთა ბომონისათა და შინაგანთა კრეტსაბმელისათა; და სხუა ნათესავი, რომელი შეეხოს, მოკუდეს.

[11] და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: [12] აჰა, მე მივიყუანენ ლევიტელნი შორის ძეთა ისრაელისათა ნაცვალად ყოვლისა პირმშოჲსა. რომელმან განაღოს საშოჲ ძეთა შორის ისრაელისათა, საკსარ მათდა იყვნენ ჩემდა ლევიტელნი, [13] რამეთუ ჩემი არს ყოველი პირმშოჲ; დღესა, რომელსა დავეც ყოველი პირმშოჲ ქუეყანასა ეგჳპტისასა, წმიდა ვყავ ჩემდა ყოველი პირმშოჲ ისრაელსა შორის კაცითგან მიპირუტყუამდე. ჩემნი იყვნენ, მე ვარ უფალი.

[14] და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ უდაბნოსა სინაჲსასა, მეტყუელი: [15] აღიხილენ ძენი ლევისნი და სახლნი ტომთა მათთანი ერობისაებრ მათისა, თანამონათესეობისაებრ მათისა: ყოველი წული, თჳთგან და წამართ, აღრიცხუენ იგინი. [16] და აღრიცხუნეს იგინი მოსე და აარონ კჳმითა უფლისაჲთა, ვითარ სახედ უბრძანა მათ უფალმან. [17] და იყვნეს ესენი, ძენი ლევი(94)სნი, სახელებისაებრ მათისა: გედეონ, კაათ, მერარი. [18] და ესე სახელები ძეთა გეთსონისთაჲ და ტომთა მათთაჲ და ერობისა მისისაჲ: ლობენი და სემეი. [19] და ძენი კაათისნი და ტომნი მათნი: აბრაამ და ისაარ, ქებრონ და [v] ოზიიელ. [20] ძენი მერარისნი და ტომნი მათნი: მოოლი და ომუსი. ესე არიან ერნი ლევიტელთანი და სახლთაებრნი ტომობანი მათნი.

B: [10] დაიცუნენ. მათი]მათისა. შინაგან]შენისაგან. [12] იყუნენ+და იყუნენ. [13] განეწმიდნე.
G: [13] კაცთაგან Ga. [20] ომუს Gb.

80. წიგნი ძუელისა აღთქმისანი

S

21 გეთსონისი: ტოჰმი ლუბენისი და ტომნი სემეისნი — (22) ესე ტომნი გეთსონისნი. 22 აღხილვაჲ იგი მათი...შჯდ ათას და ხუთას. 23 და ძეთა გეთსონისთა დაიბანაკონ შემდგომად კარვისა ზღუთ კერძო, 24 და მთავარი ტომისა მის გეთსონისი ელისაბან, ძე დანიელისი. 25 და კუმილვაჲ იგი ძეთა მათ გეთსონისთაჲ (26) კარვისა მის წამებისაჲ, კარავი და საბურველი მისი და სახურველი კართაჲ კარვისა მის წამებათაჲსაჲ, 26 და სუეტნი ეზოჲსანი და კრეტსაბმელი ბჳეთა მათ ეზოჲსათაჲ, რომელი არს კარვისაჲ და ნეშტნი ყოველნი სამსახურებელნი მისნი.

27 კაათისი: ტომი ამბრამის ერთ, ტომი ისაჰარისი ერთ, ტომი ქებრონისი ერთ, ტომი ოზიელისი ერთ — ესე არიან ტომნი კაათისნი. 28 და რიცხჳ ყოველთა წულთაჲ, თთჳთგან და უაღრესი, რვა ათას და ათას, კუმილვიდეს კუმილვასა წმიდათაჲსა. 29 ტომთა ძეთა კაათისთა დაიბანაკონ გუერდით კარვისა, ჩრდილოჲთ, 30 და მთავარი სახლისა მის კაათისი ელისაფან, ძე ოზიელისი. 31 და კუმილვაჲ იგი მათი: კიდობნისაჲ და ტაბლისაჲ და სანთელთაჲ და საკურთხეველთაჲ და ჭურჭერთა წმიდათა, რაოდენითაცა ჰმსახურებდენ მით, და სახურველი და ყოველი სამსახურებელი მათი. 32 და მთავარი მთავართა მაო ზედა ლევიტელთა ელიაზარ, ძე აჰრონისი მღდელისაჲ, დადგინებული კუმილვად კუმილვასა მას წმიდასა.

33 მერარისი: ტოჰმი მოოლისი და ტომი ომუოსისი — ესე არიან ტომნი

AK

21 გეთსონისი... და ტომნი სემეისნი — ესე ტომნი გეთსონისნი. 22 აღხილვაჲ იგი მათი და რიცხჳ ყოვლისა წულისაჲ, თთჳთგან და უზეშთაესი, შჯდ ათას და ხუთას. 23 და ძეთა გეთსონისთა დაიბანაკონ შემდგომად კარვისა ზღუთ კერძო, 24 და მთავარი ტომისა მის გეთსონისი ელისაფან, ძე დანიელისი. 25 და კუმილვაჲ იგი ძეთა გეთსონისთაჲ კარვისა მის წამებისა, კარავი და საბურველი მისი და სახურველი კარვისა მის წამებისა, 26 და სუეტნი ეზოჲსანი და კრეთსაბმელი ბჳეთა ეზოსათა, რომელი არს კარვისა და ნეშტი ყოველი სამსახურებელი მისი.

27 კაათისი: ტომი ამბრამისი ერთ, [ν] ისაარისი ერთ, ტომი ქებრონისი ერთ, ტომი უზიელისი ერთ — ესე არიან ტომნი კაათისნი. 28 და რიცხჳ ყოველისა წულისაჲ, თთჳთგან და უაღრესი, რვა ათას და ათას, კმილვიდეს კმილვასა წმიდათასა. 29 და ტომთა ძეთა კაათისთა დაიბანაკონ გუერდით კარვისა, ჩრდილოთ, 30 და მთავარი სახლისა მის და ტომისა კაათისი ელისაფან, ძე ოზიელისი. 31 და კუმილვა იგი მათი: კიდობნისა და ტაბლისა და სანთელთა და საკურთხეველისა და ჭურჭელთა წმიდათა, რაოდენითაცა ჰმსახურებდენ, და სახურველი და ყოველი სამსახურებელი მისი. 32 და მთავარი მთავართა მათ ზედა ლევიტელთა ელიაზარ, ძე აჰრონისი მღდელისა, დადგინებული კმილვად.

33 მერარისი: ტომი მოოლოსი და ტომი ომოსისი — ესე არიან ტომნი მე-

---

S: 22 ხუთას]ხუთ ათას. 27 ტომი 1°]ტომისი. კათისნი. 29 კათისთა.

AK: 21 სემისნი K. 22 აღხილვა K. წულისა A. 25 კუმილვა A. ძეთა—K. ~მისი კარვისა K. 28 კრეტსაბმელი K. და 3°—K. 27 ტომი+და AK. აბრამისი K. ისარისი K. ტომი ქებრონისი ერთ—K. 28 წულისა A. თთჳსგან K. უჳაღრესი K. და ათას—K. 31 და საკურთხეველისა—K. მსახურებდენ K. საკურველი K. სამსაკურებელი K. 32 და დადგინებული K. 33 მოლოსი K. და ტომი ომოსისი—K.

B

21 გეთსონისი: ტომი ლობენისი, ტომნი სემისნი —ესე ტომნი გეთონისნი. 22ახილვა იგი მათი და რიცხვი იგი მათი ყოვლისა წულისა, თჳთგან და უზეშთაესი, აღხილვა იგი მათი შჳდ ათასი და ხუთას. 23 და ძეთა გედსონისთა დაიბანაკონ შემდგომად კარვისა ზღჳთ კერძო, 24 და მთავარი სახლისა მამისა ტომისა გეთსონისი ელისაბან, ძე დანიელისი. 25 და კუმილვა იგი ძეთა მათ გეთონისთა კარვისა მის წამებისა, კარავი და საბურველი მისი და საბურველი კართა კარვისა მის წამებისათა, 26 და სუეტნი ეზოჲსანი და კრეტსაბმელი ბჭეთა მათ ეზოსათა, რომელი არს კარვისა და ნეშტნი ყოველნი სამსახურებელნი მათნი.

27 კაათისნი: ტომი აბრაამისი ერთი, ტომი ისაარისი ერთი, ტომი ქებრონისი ერთი, ტომი ოზიელისი ერთი — ესე არიან ტომნი კაათისნი. 28 და რიცხჳ ყოველთა წულთა, თჳთგან და უალრჩეულესი, რვა ათას და ექვსას, ჴმილვიდეს ჴმილვასა წმიდათასა. 29 ტომთა ძეთა კაათისთა დაიბანაკონ გუერდით კარვისა, ჩრდილოთ, 30 და მთავარი სახლისა მის მამათასა, ტომისა მის კაათისი ელისაბან, ძე ოზიელისი. 31 და კუმილვა იგი მათი: კიდობნისა და ტაბლისა და სასანთლეთა და საკურთხეველთა და ჭურჭელთა წმიდათა, რაოდენითაცა მსახურებდენ მით, და საბურველი და ყოველი სამსახურებელი მათი. 32 და მთავარი მთავართა მათ ზედა ლევიტელთა ელიაზარ, ძე არონ მღდელისა, დადგინებული კუმილვად კუმილვასა მას წმიდასა.

33 მერარისი: ტომი მოოლისი, ტომი ომოსისი — ესე არიან ტომნი მერარის-

G

21 გეთსონს: ერი ლობენისი და ერი სემეისი — ესე ერნი გეთსონისნი. 22 და აღხილვაჲ მათი რიცხუეულად ყოველისა წულისაჲ, თჳთგანისაჲ და წამართ, რიცხჳ მათი შჳდგზის ათასეულნი და ხუთასნი. 23 და ძეთა გეთსონისთა უკუანაჲთ კარვისა დაიბანაკონ ზღჳთ კერძო, 24 და მთავარი სახლისა ტომობისა ერისა გეთსონისი ელისაფ, ძე დანიილისი. 25 და საკუმილავი ძეთა გეთსონისთაჲ კარავსა შინა წამებისასა (v), კარავი და საბურველი მისი დასაბურველი ბჭისა ეზოჲსა წამებისაჲ, 26 და სუეტნი ეზოჲსანი და კრეტსაბმელი ბჭისა კარვისაჲ, მყოფისაჲ კარავსა ზედა და ნეშტნი ყოველთა საქმეთა მათთანი.

27 კაათისსა: ერ აბრამ ერთ და ერ ისსაარ ერთ და ერ ქებრონ ერთ და ერ ოზიილ ერთ — ესე არიან ერნი კაათისნი. 28 რიცხუეულად ყოველი წულ, თჳთგან და წამართ, რვა ათასეულ და ექუსასნი, მკუმილველნი კუმილვაჲსა წმიდათასა. 29 ერთა ძეთა კაათისთასა დაიბანაკონ მგუარდლ კარვისა, სამხრით კერძო, 30 და მთავარი სახლისა ტომთა ერისა კაათისთაჲ ელისაფან, ძე ოზიილისი. 31 და საკუმილავი მათი: კიდობანი და ტრაპეზი და სასანთლე და საკურთხეველნი და ჭურჭელნი წმიდისანი, რაოდენნი ჰმსახურებენ მას შინა, და დასაბურველი და ყოველნი საქმენი მათნი. 32 და მთავარი მთავართაზედაჲ ლევიტელთაჲ ელეაზარ, ძე აარონის მღდელისაჲ, დადგინებული კუმილვად საკუმილავთა წმიდათასა.

33 მერარისა: ერ ომოლი და ერ ომუსი — და ესე არიან ერნი მერარისნი.

B: 23 გედეონისთა. 26 ეზოჲსანი|ეზონი. 27 ტომნი აბრაამისნი. ერთი 1°]ერთა. ტომი 2°]ტომნი.

S

მერარისნი. 34 აღხილვაჲ იგი მათი (34) და რიცხჳ მათი ყოველი წული, თთჳთგანი და უზეშთაესი, ექუს ათას და ხუთას. 35 და მთავარი სახლისა მის მამათაჲსა, ტომისა მის მერარისთაჲ, სურიელ, ძე აბიქეაჲსი, გუერდით კარავსა მას დაიბანაკონ ჩრდილოჲთ. 36 მსახურებაჲ იგი ძეთა მერარისთაჲ: სუეტისთავთა კარვისათაჲ და მოქლონთა მისთაჲ (37) და სუეტთა მისთაჲ და ხარისხთა მისთაჲ და ჰურჭერია მათთაჲ და საქმართა მათთაჲ, 37 და სუეტთაჲ ეზოჲსა გარემო და ხარისხთა მისთაჲ, ჴანათა მათთაჲ და საბელთა მათთაჲ.

38 და რომელთა დაიბანაკონ წინაშე პირსა კარვისა წამებისასა აღმოსავალით, მოსე და აჰრონ და ძენი მისნი ჴუმილვიდენ ჴუმილვასა წმიდაჲსა საჴუმილავსა მას ძეთა ისრაელისათჳს; და სხუაჲ ნათესავი, რომელი შეეხოს, მოკუდეს.

39 ყოველი აღხილვაჲ ლევის ძეთაჲ, ვითარ აღიხილნეს მოსე და აჰრონ სიტყჳთა უფლისაჲთა ტომითურთ მათით, ყოველი წული, თთჳთგან და უფროჲსით, ოცდაორ ათას.

40 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: აღიხილე ყოველი პირმშოჲ წული ძეთა ისრაელისათაჲ, თთჳთგან და უფროჲსი, და მოიღე რიცხჳ მათი სახელით, 41 და მოიყვანნე ლევიტელნი ჩემდა, მე ვარ უფალი, ყოველთა მათ წილ პირმშოთა ძეთა ისრაელისათა, და პირუტყუნი ლევიტელთანი — ყოველთა მათ პირმშოთა წილ პირუტყუთა მათ ძეთა ისრაელისათა. 42 და აღიხილნა მოსე, ვითარცა უბრძანა მას უფალმან, ყოველი პირ-

AK

რარისნი. აღხილვაჲ იგი მათი და რიცხჳ მათი ყოველი წული, თთჳთგანი და უზეშთაესი, ექუს ათას [247] და ხუთას. 35* და მთავარი სახლისა მის მამათასა, ტომისა მერარისი, სუმიელ, ძე აბიქეასი, გუერდით კარავსა მას დაიბანაკონ ჩრდილოთ. 36 მსახურებაჲ იგი ძეთა მერარისთა: სუეტისთავთა კარვისათა და მოქლონთა მისთა, 37 და სუეტთა ეზოთა გარემო და ხარისხთა მათთა, მანათა და საბელთა მათთა.

38 და რომელთა დაიბანაკონ წინაშე პირსა კარვისა წამებისასა აღმოსავალით, მოსე და აჰრონ და ძენი მისნი ჴუმილვიდენ ჴუმილვასა მათსა საჴუმილავსა მას ძეთა ისრაელისათასა; და სხუაჲ ნათესავი, რომელი შეეხოს, მოკუდეს.

39 ყოველი აღხილვა ლევიტელთა, ვითარ აღიხილნეს მოსე და აჰრონ სიტყჳთა უფლისაჲთა ტომითურთ მათით, ყოველი წული, თთჳთგანი და უფროსით, ოცდაორ ათას.

40 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: აღიხილე ყოველი პირმშოჲ წული ძეთა ისრაელისათაჲ, თთჳთგან და უფროსით, და მოიღე რიცხჳ მათი სა[v]ხელით, 41 და მოიყვანნე ლევიტელნი ჩემდა, მე ვარ უფალი, ყოველთა წილ პირმშოთა ძეთა ისრაელისათა, და პირუტყუნი ლევიტელთანი — ...ყოვლისა ისრაელისანი. 42 და აღიხილნა მოსე, ვითარცა უბრძანა მას უფალმან, ყოველი პირმშო

S: 38 წამებისაჲსა. საჴუმილავსა[ს'ჴმილსა.

AK: 34 აღხილვა A. ყოველი—K. თთჳსგ'ნი K. უზეშთაესნი A. 38 არონ K. ჴმილვიდენ ჴმილვასაჲ K. საჴმილავთა K. მას]მათA]—K. იშლ'ისათა K. 39 თთჳსგანი K. 40 პირმშოებ'ჲ K. სახელით—K. 41 მოიყუანნე A. ი'შლისა K. პირმშოთა+პირუტყუთა AK. 42 აღიხილა A. უბრძანა—A. ყოველი—K.

* 35- ე მუხლიდან 37-მდე (ჩათვლით) აკლია K ხელნაწერს.

B

ნი. 34 აღხილვა იგი მათი და რიცხჳ იგი და ყოველი წული, თჳთგანი და უზეშთაესი, ექუს ათას ხუთას, 35 და მთავარი სახლისა მის მამათასა, ტომისა მის მერარისი, სურიელ, ძე აბიქეასი, გვერდით კარაჲსა მას დაიბანაკონ ჩრდილოთ. 36 მსახურებაჲ იგი ძეთა მერარისთა: სუეტისთავთა კარვისათა, მოქლონთა მისთა და სუეტისთავთა მისთა და ხარისხთა მისთა და ჳურჳელთა მათთა და საქმართა მათთა, 37 და სუეტთა ეზოს გარემო და ხარისხთა მათთა და მანათა მათთა, საბელთა მათთა.

38 და რომელთა დაიბანაკონ წინაშე პირსა კარვისა მის წამებისასა აღმოსავალით, მოსე და აარონ [და] ძენი მისნი, ჴუმილვიდენ ჴუმილვასა წმიდასა საჴუმილაჲსა ძეთა ისრაელისათა; და სხუაჲ ნათესავი, რომელი შეეხოს მას, მოკუდეს.

39 ყოველი აღხილვა ძეთა ლევისთა, ვითარ აღიხილნეს მოსე და აჰრონ სიტყჳთა უფლისაჲთა ტომითურთ მათით, ყოველი წული, თჳთგანი [და] უფროსი, ოცდაორ ათას.

40 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: აღიხილე ყოველი პირმშო წული ძეთა ისრაელისათა, თჳთგანი და უფროს, და მოიღე რიცხვი მათი სახელითა, 41 და მოიყვანენ ლევიტელნი, მე ვარ უფალი, ყოველთა მათ წილ პირმშოთა [ძეთა ისრაელისათა] და პირუტყვნი ლევიტელთა — ყოველთა წილ პირმშოთა პირუტყუთა მათ ძეთა ისრაელისათა. 42 აღიხილნა მოსე, ვითარცა უბრძანა მას უფალმან, ყოველი პირმშო ძეთა ისრა-

G

34 აღხილვაჲ მათი რიცხუეულად ყოველი წული, თჳთგან და წამართ, ექუსგზის ათასეულნი და ერგასისნი. 35 და მთავარი ტომთა სახლისა ერისა მერარისთაჲ სურიილ, ძე აბიქესი, მგუარდლ კარვისა დაიბანაკონ ჩრდილოჲთ კერძო. 36 მოსახილავი საჴ(95)უმილავისა ძეთა მერარისთაჲ: სუეტის თავნი კარვისანი და მოქლონნი მისნი და სუეტნი მისნი და ხარისხნი მისნი და ყოველნი ჳურჳელნი მათნი და საქმენი მათნი, 37 და სუეტნი ეზოჲსანი გარემოჲს და ხარისხნი მათნი და მანანი მათნი და საბელნი მათნი.

38 და დამბანაკებელნი პირისპირ კარავსა წამებისასა, აღმოსავალით კერძო, მოსე და აარონ და ძენი მისნი, მჴუმილველნი საჴუმილავთა წმიდისათა საჴუმილავთა შინა ძეთა ისრაელისათჳს; და სხუა ნათესავი, რომელი მიეხოს, მოკუდეს.

39 ყოველი აღხილვაჲ ლევიტელთაჲ, რომელნი აღიხილნეს მოსე და აარონ კჳთა უფლისაჲთა ერობათაებრ მათთა, ყოველი წული, თჳთგან და წამართ, ორ და ოც ათასეულნი.

40 და თქუა უფალმან მოსეს მი[39]მართ: აღიხილე ყოველი პირმშოჲ წუ(v)ლი ძეთა ისრაელისათა[ჲ], თჳთგან და წამართ, და მიიღე რიცხჳ მათი სახელდებით, 41 და მოიყვანენ ლევიტელნი ჩემთჳს, მე ვარ უფალი, ნაცვალად ყოველთა პირმშოთა ძეთა ისრაელისათაჲსა, და პირუტყუნი ლევიტელთანი — ნაცვალად ყოველთა პირმშოთა პირუტყუთა შორის ძეთა ისრაელისათაჲსა. 42 და აღიხილა მოსე, რომლითა საბითა ამცნო უფალმან მას, ყოველი პირმშოჲ

B: 39 აღხილნეს.

S

შშოჲ ძეთა ისრაელისათაჲ. 43 და იყო ყოველივე პირმშოჲ ძეთა ისრაელისათაჲ წული რიცხჳსაებრ მათისა და სახელებისაებრ მათისა, თთჳთგანი და უზეშთაესი, რიცხჳსაებრ მათისა ოც ათას და ორასსამეოცდაცხრამეტ.

44 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 45 მოიყვანენ (45) ლევიტელნი იგი ყოველთა წილ პირმშოთა ძეთა ისრაელისათა და საცხოვარი იგი ლევიტელთაჲ საცხოვართა წილ მათთა, და იყვნედ ჩემდა ლევიტელნი იგი, მე ვარ უფალი. 46 და საჯსარი იგი ორასსამეოცდაცამეტისაჲ, რომელნი-იგი ემატნენ ძეთა ლევისთა პირმშოთაგან ძეთა ისრაელისათა, 47 და მოიღო ხუთი სასწორი თავად-თავად მსგავსად სასწორისა მის წმიდისა და მოიღო ოცი დანგი სასწორისა მის, 48 და მისცე ვეცხლი იგი აჰრონს და ძეთა მისთა საჯსარი უმეტესთაჲ მათ მათ შორის. 49 და მოიღო მოსე ვეცხლი იგი საჯსარი უმეტესთაჲ მათ საჯსრად ლევიტელთა, 50 პირმშოთა მათგან ძეთა ისრაელისათა მოიღო ვეცხლი იგი ათასსამასსამეოცდახუთი სასწორი სასწორისაებრ წმიდისა, 51 და მისცა მოსე საჯსარი იგი უმეტესთაჲ მათ აჰრონს და ძეთა მისთა სიტყჳთა უფლისაჲთა, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

AK

ძეთა ისრაელისათა. 43 და იყო ყოველი წული რიცხჳსაებრ და სახელები რიცხჳსაებრ და სახელებისა მათისა, თთჳთგანი და უზეშთაესი, ოც ათას და ორასსამეოცდაათცამეტ.

44 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 45 მოიყვანენ ლევიტელნი ყოველთა წილ პირმშოთა ძეთა ისრაელისათა და საცხოვარი ლევიტელთა საცხოვართა წილ, და იყვნედ ჩემდა ლევიტელნი იგი, მე ვარ უფალი. 46 და საჯსარი იგი ორასსამეოცდაათცამეტისაჲ, რომელი-იგი ემატნენ ძეთა ლევიტელთა პირმშოთაგან ძეთა ისრაელისათა, 47 და მოიღო ხუთი სასწორი თავად-თავად მსგავსად სასწორისა მის წმიდისა და მოიღო ოცი დანგი სასწორისა მის, 48 და მისცე [248] ვეცხლი იგი აჰრონს და ძეთა მისთა საჯსარი უმეტესთა მათ მათ შორის. 49 და მოიღო მოსე ვეცხლი იგი საჯსარი უმეტესთა მათ საჯსრად ლევიტელთა, 50 პირმშოთა მათგან ძეთა ისრაელისათა მოიღო ვეცხლი იგი ათასსამასსამეოცდახუთი სასწორი სასწორისაებრ წმიდისა, 51 და მისცა მოსე საჯსარი იგი უმეტესთა მათ აჰრონს და ძეთა მისთა სიტყჳთა უფლისაჲთა, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

თავი IV

1 და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: 2 მოიღე რიცხჳ იგი ძეთა მათ კაათისთაჲ შოვრის ძეთა მათ ლევისთა ტომად-ტომადი მათი და სახლად-სახლადი მამათა მათთაჲ, 3 ოცდახუთისა წლისაჲთ და უზეშთაესი ვიდრე ერგასისად წლადმდე, ყოველი, რომელი შევიდოდის მსახურებად და საქ-

1 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 2 მოიღე რიცხჳ იგი ძეთა კაათისთა შორის ძეთა ლევისთა ტომად-ტომადი მათი და სახლად-სახლად[ი] მამათა მათთაჲ, 3 ოცდახუთისა წლისათ და უზეშთაესი ვიდრე ერგასის წლადმდე, ყოველი, რომელი შევიდოდის მსახურებად და საქ-

S: 48 მიესცე. უმეტეთაჲ.

AK. 43 და სახელები რიცხჳსაებრ—K. და ორასსამეოცდაათცამეტ—K. 45 მოიყუანენ A. იყუნედ A. იგი—K. 46 ძეთა 2°—K. ორასსამეოცდაათცამეტისა A. 47 მის—K. 49 მოსე—K. მათ საჯსრად—K. ლეიტელთაჲ K. 51 აჰრონს K. IV, 2 ლევისთაჲ K. მათთა A.

B

ელისათა. 43 და იყო ყოველივე პირმშო წული რიცხჳსაებრ მათისა და სახელებისაებრ მათისა, თჳთგანი და უზე̃შთაესი, აღრაცხვასა მათსა ოცდაორი ათასი და ორას და სამეოცდაჲ̃ამი.

44 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 45 მოიყვანენ ლევიტელნი იგი ყოველთა წილ პირმშოთა ძეთა ისრაელისათა და საცხოვარი იგი ლევიტელთა საცხოვართა წილ მათთა, და იყუნენ ლევიტელნი იგი ჩემდა, მე ვარ უფალი. 46 და საჲსარი იგი ორასსამეოცისა და ათცამეტისა, რომელნი-იგი ემატნეს ძეთა ლევისთა პირმშოთაგან ძეთა ისრაელისათა, 47 და მოიღო ხუთი სასწორი თავად-თავადისა სასწორისა მის წმიდისა და მოიღო ოცი დანგი სასწორისა მის, 48 და მისცე აარონს და ძეთა მისთა ვეცხლი იგი საჲსარი უმეტესთა მათ შორის. 49 და მოიღო მოსე ვეცხლი იგი საჲსარი უმეტესთა მათ საჲსრად ლევიტელთა მათ, 50 პირმშოთა მათგან ძეთა ისრაელისათა მოიღო ვეცხლი იგი ათასსამასსამოცდაჲხუთი სასწორი სასწორისაებრ წმიდისა, 51 და მისცა მოსე საჲსარი იგი უმეტესთა მათ აჰრონს და ძეთა მისთა სიტყჳთა უფლისაჲთა, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

G

ძეთა შორის ისრაელისათა. 43 და იყვნეს ყოველნი პირმშონი წულნი რიცხუეულად სახელისდებით მათით, თთჳთგან და წამართ, და აღხილვისაგან მათისა ორ და ოც ათასეულ ორასსამეოცდაათსამმეტ.

44 და თქუა უფალმან მოსეს მიმართ, მეტყუელმან: 45 მოიყვანენ ლევიტელნი ნაცვალად ყოველთა პირმშოთა ძეთა ისრაელისათაჲსა და პირუტყუნი ლევიტელთანი ნაცვალად ყოველთა პირმშოთა პირუტყუთა შორის ძეთა ისრაელისათაჲსა, და იყვნენ ჩემდა ლევიტელნი, მე ვარ უფალი. 48 და საჲსრისა მყოფელმან ორასსამეოცდაათცამეტთამან, რომელნი პმატან ლევიტელთა პირმშოთაგან ძეთა ისრაელისათაჲსა, 47 მიიხუნე ხუთნი სიკლანი თავად-თავადისაგან დიდრაჭმისა(96)ებრ წმიდისა, მიიხუნე ოცი დანგი სიკლაჲ, 48 და მისცე ვეცხლი იგი აარონს და ძეთა მისთა საჲსარი დამეტებულთა მათთაჲ. 49 და მოიღო მოსე ვეცხლი იგი საჲსარი დამეტებულთაჲ გამოსაჲსრად ლევიტელთა, 50 პირმშოთაგან ძეთა ისრაელისათაჲსა მოიღო ვეცხლი ხუთი და სამეოცი და სამასი და ათასი სიკლაჲ სიკლისა მისებრ წმიდისა, 51 და მისცა მო(v)სე ვეცხლი საკსარი დამეტებულთაჲ აარონს და ძეთა მისთა კმითა უფლისაჲთა, რომლითა სახითა უბრძანა უფალმან მოსეს.

თავი IV

1 და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: 2 მოიღეთ რიცხჳ იგი ძეთა მათ კაათისთა შორის ძეთა მათ ლევისთა ტომად-ტომადი მათი და საბლად-სახლადი მამათა მათთა, 3 ოცდახუთისა წლისათ და უზე̃შთაესი ვიდრე ერგასის წლის̃ამდე, რომელი შევიდო-

1 [v] და იტყოდა უფალი მოსეს და არონის მიმართ, მეტყუელი: 2 ჲოიღე თავად-თავადი ძეთა კაათისთაჲ ძეთა შორის ლევისთა ერობისაებრ მათისა, სახლთაებრ ტომობათა მათთაჲსა, 3 ოცდახუთით წლითგან და წამართ ვიდრე ერგასის წლამდინთა, ყოველთა შემა-

---

B: 43 მათსა]მათთა.

G: 43 თჳთგან Ga. 49 ლევიტელთაჲ Ga. 3 წლამდინ Gb. ყოველთა—Gb.

მედ ყოველსავე მას საქმესა კარვისა წამებისასა. [4] და ესე საქმე იყოს მეთა კაათისთაჲ კარავსა მას წამებისასა, წმიდასა წმიდათა[სა]. [5] და შევიდენ აჰრონ და ძენი მისნი, რაჟამს აღიძრას ბანაკი იგი და გარდამოჰკსნენ კრეტსაბმელი იგი, რომელი აგრილობდა, და დაჰხურონ მით კიდობანი იგი წამებისაჲ, [6] და დასდვან მას ზედა საბურველი იგი ტყავი იაკინთონი და დაჰბურონ მას სამოსელი ყოვლად იაკინთონი ზედა კერძო და განუთხინენ აღსაღებელნი იგი, [7] და ტაბლასა მას წინაშესა დასდვან მას ზედა ყოვლად ძოწეული სამოსელი და პინაკები და ფიალები და ციცხუები და ტაკუკები, რომლითა-იგი შესწირვიდეს მით, და პურნი იგი სამარადისონი მას ზედა იყვნენ; [8] და დასდვან მას ზედა სამოსელი მეწამული და დაფარონ იგი საბურველითა ტყავითა იაკინთონისაჲთა და განუთხინენ მას აღსაღებელნი იგი; [9] და მოიღონ სამოსელი იაკინთონი და შეხურონ სასანთლე იგი, რომელ-იგი ჰნათობნ, და ორნი სანთელნი მისნი და მარწუხნი მისნი და მოსაყოფელნი მისნი და ყოველივე ჭურჭელი ზეთისაჲ, რომლითა-იგი ჰმსახურებედ მით, [10] და შთადვან იგი და ყოველი ჭურჭერი მისი საბურველსა ტყავისა იაკინთონისასა და დადვან იგი აღსაღებელთა მათ ზედა. [11] და საკურთხეველსა მას ზედა ოქროჲსასა დაჰბურონ საბურველი იაკინთონი და დაფარონ იგი ტყავითა იაკინთონისაჲთა და განუთხინენ აღსაღებელნი მისნი. [12] და მოიღონ ყოველი ჭურჭერი სამსახურებელი, რომლითა ჰმსახურებდეს მით სიწმიდეთა შინა და შთადვან იგი სამოსელ-

მედ ყოვლისავე საქმისა კარვისა საწამებელისა. [4] და ესე საქმე იყოს ძეთა კაათისთა კარავსა მას წამებისასა, წმიდასა წმიდათა[სა]. [5] და შევიდენ აჰრონ და ძენი მისნი, რაჟამს აღიძრას ბანაკი იგი და გარდამოჰ[v]კსნენ კრეტსაბმელი იგი, რომელი აგრილობდა, და დახურონ მით კიდობანი იგი წამებისა, [6] და დასდვან საბურველი იგი ტყავი ჯაკინთონი და დაჰბურონ მას სამოსელი ყოლად ჯაკინთონი ზედა კერძო და განუთხინენ აღსაღებელნი, [7] და ტაბლასა მას წინაშესა დასდვან მას ზედა ყოლად ძოწეული სამოსელი, პინაკები და ფიალები და ციცხუები და ტაკუკები, რომლითა-იგი შესწირვიდეს, და პურნი იგი სამარადისონი მას ზედა იყვნენ; [8] და დადვან მას ზედა სამოსელი მეწამული და დაფარონ იგი საბურველითა ტყავისა ჯაკინთონისათა და განუთხინენ მას აღსაღებელნი იგი; [9] და მოიღონ სამოსელი ჯაკინთონი და შეხურონ სასანთლე იგი, რომელ-იგი ჰნათობნ, და ორნი სანთელნი მისნი და მოსაყოფელნი მისნი და ყოველივე ჭურჭელი ზეთისაჲ, რომლითა-იგი ჰმსახურებედ, [10] და შთადვან იგი და ყოველი ჭურჭელი მისი [249] საბურველსა ტყავისა ჯაკინთონისასა და დადვან იგი აღსაღებელთა მათ ზედა. [11] და საკურთხეველსა მას ზედა ოქროსასა დაჰბურონ საბურველი ჯაკინთონი და დაფარონ იგი ტყავითა ჯაკინთონისათა და განუთხინენ აღსაღებელნი მისნი. [12] და მოიღონ ყოველი ჭურჭელი სამსახურებელი, რომლითა ჰმსახურებდენ მით სიწმიდეთა შინა და შთადვან იგი სამო-

---

S: [3] კარვისასა. [4] იყო. [5] შევიდეს. გარდამოჰკსნენ. [10] აღსაღებელსა.

AK: [4] იყო AK. მას—K. [5] შეიდეს AK. აჰრონ K. კრეტსაბმელი K. [6] ჯაკინთოანი 1° K. და 2° ...ჯაკინთონი 2°—K. [7] წინაშე K]+და AK. იყუნენ A. [8] ჯაკინთონისთა K. [9] იაკინთონი K. ნათობნ K. მისნი 2°—K. ზეთისა A. მს˘ხურებდ K. [10] ჯაკ.ნთო˘სნისასა A, იაკინთონის˘საჲ K. [11] დაბურონ K. იაკინთონი K. იაკინთონ.სათა K. [12] ჭურჭელნი სამსახურებელნი K. ჰმსახურებდ A. იგი 1°—K.

B

დის მსახურებად და საქმედ ყოველსავე მას საქმესა კარვისა წამებისასა. [4] და ესე საქმე იყოს ძეთა მათ კათისთა შორის ძეთა ლევისთა ტომად-ტომად მათთა, მამულსა მამათა მათთა[სა], კარავსა მას წამებისასა, წმიდასა წმიდათასა. [5] შევიდენ აჰრონ და ძენი მისნი, რაჟამს აღიძრას ბანაკი იგი, და გარდამოჴსნენ კრეტსაბმელი იგი, რომელი აგრილობდა, და დახურონ მით კიდობანი იგი წამებისა, [6] და დასდვან მას ზედა საბურველი იგი ტყავი იაკინთონი და დაჰბურონ მას სამოსელი იაკინთონი ზედა კერძო, განუხუნენ აღსაღებელნი იგი [7] ტაბლასა მას წმიდასა წინა-დასადებელსა და დასდვან მას ზედა ყოველად ძოწეული სამოსელი და პინაკები და ფიალები და ციცხვები და ტაკუკები, რომლითა-იგი შესწირვიდენ მით, და პურნი იგი სამარადისონი მას ზედა იყუნენ; [8] და დასდვან მას ზედა სამოსელი მეწამული და დაფარონ იგი საბურველითა ტყავისათა იაკინთონისათა და განუთხინენ მათ აღსაღებელნი იგი; [9] და მოიღონ სამოსელი იაკინთონი და შეხურონ სასანთლე იგი, რომელ ნათობნ, და ორნი სანთელნი მისნი და მოსაჴღუნი მისი და განსაკოცი მისი და ყოველივე ჭურჭელი მისი ზეთისა, რომლითა-იგი მსახურებდენ, [10] და შთადვან იგი, ყოველი ჭურჭელი მისი საბურველსა ტყავისა იაკინთონისასა და დადვან იგი აღსაღებელთა მათ ზედა. [11] საკურთხეველსა მას ზედა ოქროსასა დაჰბურონ საბურველი იაკინთონი და დაფარონ ტყავითა იაკინთონისათა და განუხუნენ აღსაღებელნი მისნი. [12] და მოიღონ ყოველი ჭურჭელი სამსახურებელი, რომლითა მსახურებდეს მით სიწ-

G

ვალთაჲ მსახურებად, ქმნად ყოველთა საქმეთა კარავსა შინა წამებისასა. [4] და ესე არიან საქმენი ძეთა კაათისთანი შორის ძეთა ლევისთა ერობისაებრ მათისა, სახლთაებრ ტომობათა მათთაჲსა, კარავსა შინა წამებისასა, წმიდაჲ წმიდათაჲ. [5] და შევიდოდინ აჰრონ და ძენი მისნი, რაჟამს იტრვოდის ბანაკი, და შთამოჴსნოდინ კრეტსაბმელსა მაგრილოპელსა, და დაბუროდინ მით კიდობანი წამებისაჲ, [6] და დაჰბუ(97)როდინ მას ზედა საბურველნი ტყავნი ჯაკინთონნი და ზედა-შეჰმოსონ მას ზედა სამოსელი ყოვლად ჯაკინთონი ზედა კერძო და განუხუნენ აღსა[40]ღებელნი, [7] და ტაბლასა ზედა წინა(v)მდებარესა ზედა დაჰბურონ მას ზედა სამოსელი ყოველად პორფირი და პინაკები და ციცხუები და ფიალები და საწირავები, რომლითა შესწირვენ, და პურნი, რომელნი მარადის მას ზედა იყვნენ; [8] და დაურთონ მას ზედა სამოსელი ძოწეული და დაბურონ იგი საბურავითა ტყავისაჲთა ჯაკინთონისაჲთა და განუხუნენ აღსაღებელნი; [9] და მოიღონ სამოსელი ჯაკინთონი და დაბურონ საბაზმაკე მნათობი, და ბაზმაკნი მისნი და მარწუხნი მისნი და მოსაყოფელნი მისნი და ყოველნი ჭურჭელნი ზეთისა მისისანი, რაოდენნი იმსახურებოდინ მათ შინა, [10] და შთადვან იგი და ყოველი ჭურჭელი მისი საბურველსა ტყავისასა ჯაკინთონსა და დადვან იგი აღსაღებელთა ზედა. [11] და საკურთხეველსა ზედა ოქროჲსასა დაჰბურონ სამოსელი ჯაკინთონი და ზედა-დაბურონ იგი საბურველითა ტყავისაჲთა ჯაკინთონითა და განუხუნენ აღსაღებელნი მისნი. [12] და მოიხუნენ ყოველნი ჭურჭელნი სამსახურებელნი, რომლითა ჰმსახურებენ

B: [5] გარდამოჴსნინ. [10] აღსაღებელნი [11] და დაჰბურონ.

S

სა იაკინთონსა და დაფარონ იგი საბურ-
ველითა ტყავისა იაკინთონისაჲთა (13)
და დადვან აღსაღებელთა მათ ზედა.
13 და საბურველი იგი დაჰბურონ სა-
კურთხეველსა მას და დასდვან მას სა-
მოსელი ყოვლად ძოწეული 14 და და-
ასხან მას ყოველი ჭურჭერი, რომლითა-
იგი ჰმსახურებდენ მით: საცეცხურები
იგი და ფუცხუები და ფიალები იგი და
საბურველი იგი და ყოველივე ჭურჭერი
საკურთხეველისაჲ, და დადვან მას ზე-
და საბურველი ტყავი იაკინთონი და
განუთხინენ მას აღსაღებელნი მისნი.
და მოიღონ სამოსელი ძოწეული და
შეხურონ ემბაზსა მას და ხარისხთა მათ
მისოა და შთადგან იგი საბურველსა
ტყავისა იაკინთოსა და დადგან იგი აღ-
საღებელთა მათ. 15 და აღასრულონ აჰ-
რონ და ძეთა მისთა დაბურვაჲ იგი სიწ-
მიდისაჲ მის, და ყოველივე ჭურჭერი
წმიდაჲ ტრვასა მას ბანაკისასა. და ამი-
სა შემდგომად შევიდენ ძენი კაათისნი
აღებად და არა შეეხნენ სიწმიდეთა მათ,
რაჲთა არა მოწყდენ. ესე აღიღოდიან
ძეთა კაათისთა კარავსა მას საწამებე-
ლისასა. 16 და მოღუაწემან ელიაზარ,
ძემან აჰრონის მღდელისამან: ზეთი იგი
სანთლისაჲ და საკუმეველი იგი შეზა-
ვებული და შესაწირავი იგი დღითი-
დღედი და ზეთი იგი ცხებისაჲ და სა-
ღუაწოჲ იგი ყოველი კარვისაჲ მის და
რაოდენი არს სიწმიდესა მას შინა, და
ყოველივე საქმარი მისი. 17 და ეტყოდა
უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა:
18 ნუ მოსრაცთ ნათესავსა გუნდისა მის
კაათისსა შორის ლევიტელთა, 19 ესრეთ
ყავთ მათა მიმართ და ცხონდენ და არა
მოწყდენ, (19) მო-რაჲ-ვიდოდიან იგი-
ნი წმიდასა მას წმიდათასა: აჰრონ და
ძენი მისნი შევიდენ და დააღგინონ კა-

AK

სელსა შინა იაკინთოსა და დაფარონ იგი
საბურველითა ტყავითა ჯაკინთონითა
და დადვან იგი აღსაღებელთა მათ ზედა.
13 და საბურველი იგი დაჰბურონ სა-
კურთხეველსა და დასდვან მას სამოსე-
ლი ყოვლად ძოწეული 14 და დაასხან
მას ზედა ყოველი ჭურჭელი, რომლი-
თა მსახურებდენ მით: საცეცხურები
იგი და ფიალები, საბურველი და ყო-
ველი ჭურჭელი საკურთხეველისაჲ, და
დასდვან მას ზედა საბურველი ტყავი
იაკინთონი და განუთხინენ მას აღსაღე-
ბელნი ტყავნი [v] მისნი. და მოიღონ
სამოსელი ძოწეული და შეხურონ ემ-
ბაზსა მას და ხარისხთა მისთა და შთა-
დვან იგი საბურველსა ტყავისა ჯაკინ-
თოსა და დადგან იგი აღსაღებელთა
მათ. 15 და აღასრულონ არონ და ძეთა
მისთა დაბურვაჲ იგი სიწმიდისაჲ მის
და ყოველი ჭურჭელი წმიდაჲ ტრვასა
მას ბანაკისასა. ამისა შემდგომად შევი-
დენ ძენი კაათისნი აღებად და არა შე-
ეხნენ სიწმიდეთა მათ, რაჲთა არა მო-
წყდენ. ესე აღიღოდინ ძეთა კაათისთა
კარავსა მას საწამებელისა[სა]. 16 და მო-
ღუაწემან ელიაზარ, ძემან აჰრონ მღდე-
ლისამან: ზეთი იგი სანთლისა და საკმე-
ველი შეზავებული და შესაწირავი იგი
დღითიდღედ[ი] და ზეთი იგი ცხებისა
და საღუაწოჲ ყოველი კარვისა, რავ-
დენი არს სიწმიდესა მას შინა, და ყო-
ველივე საქმარი მისი. 17 და ეტყოდა
უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: 18
ნუ მოსრაცთ ნათესავსა გუნდისა მის
კაათისსა შორის ლევიტელთა, 19 [250]
ესრეთ ყავთ მათა მიმართ და ცხონდენ
და არა მოწყდენ, მო-რაჲ-ვიდოდიან
იგინი წმიდასა მას წმიდათასა: და აჰ-
რონ და ძენი მისნი შევიდენ და დააღ-

S: 13 ტარესა. კაათისსა. 18 კათისა.

AK: 13 დაბურონ K. ჰმსახურებდ A, მსხრბდ K. სკხვ˘ელისა A. ტყავი+მისი K. 14 და 7°... ზარისხთა მისთა—K. იაკინთოსა K. 15 დაბურვა A. სიწმიდისა A. ტრვასა]ძვასა A. 16 არონ K. მღუდელისამან A. საქმარი]საქმარი K. 17 არონს K. 18 კაათისა AK. 19 ცხონდენ K.

B

მიდესა შინა და შთადვან იგი სამოსელსა იაკინთონსა და დაჰფარონ იგი საბურველითა ტყავით[ა] იაკინთონისათა და დადვან აღსაღებელთა ზედა. 13 და საბურველი იგი დაჰბურონ საკურთხეველსა მას და დადვან მას ზედა სამოსელი ყოვლად ძოწეული 14 და დაასხან მას ყოველი ჭურჭელი, რომლითა-იგი მსახურებდენ: საცეცხური იგი და ფუცხვები და ფიალები იგი და საბურველი იგი და ყოველი ჭურჭელი საკურთხეველ[ი]სა, და დადვან მას ზედა საბურველი ტყავი იაკინთონი და განუთხინენ მას აღსაღებელნი მისნი. და მოიღონ სამოსელი ძოწეული და შეხურონ ემბაზსა მას და ხარისხთა მისთა და შთადგან იგი ზედა აღსაღებელთა და დადგან იგი საბურველსა ტყავისა იაკინთოსა. 15 და აღასრულონ აჰრონ და ძეთა მისთა დაბურვა იგი სიწმიდისა მის, და ყოველი ჭურჭელი წმიდაჲ ძრვასა მას ბანაკისასა. და ამისა შემდგომად მოვიდენ ძენი კაათისნი აღებად და არა შეეხნენ სიწმიდესა მას, რაჲთა არა მოსწყდენ. აღიღებდიან ძენი კაათისნი კარავსა მას საწამებელისასა. 16 და მოღვაწემან ელიაზარ, ძემან აჰრონისმან, მღდელმან: ზეთი იგი სანთლისა და საკმეველი იგი შეზავებული და შესაწირავი იგი დღითიდღედი და ზეთი იგი ცხებისა და საღუაწო იგი ყოველი კარვისა, რაოდენი არს სიწმიდესა მას შინა, და ყოველივე საქმარი მისი. 17 და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: 18 ნუ მოსრავთ ნათესავსა გუნდისა კაათისსა შორის ლევიტელთა, 19 ესე ყავით მათდა მიმართ და ცხოვნდენ და არა მოსწყდენ, მო-რა-ვიდოდიან იგინი წმიდასა მას წმიდათასა: აჰრონ და ძენი მისნი შეიდენ და დაადგინონ კაცად-კაცადი

G

მით წმიდათა შინა და შეჰხუნენ სამოსელსა ჯაკინთონსა და დაბურონ იგი საბურველითა ტყავისაჲთა ჯაკინთონითა და დადვან იგი აღსაღებელთა ზედა. 13 და დასაბურველი დაჰბურონ საკურთხეველსა ზედა და ზედა გარდაჰბურონ მას ზედა სამოსელი ყოვლად პორფირი 14 და დასხნენ მას ზედა ყოველნი ჭურჭელნი მისნი, რაოდ(98)ენითა ჰმსახურებენ მით: საცეცხურები და ბატურები, ფიალები და საბურავი და ყოველნი ჭურჭელნი საკურთხეველისანი, და დაჰბურონ მას ზედა საბურავი ტყავისაჲ ჯაკინთონი და განუხუნენ აღსაღებელნი მისნი. და მოიღონ სამოსელი პორფირი და შეხუროდინ საბანელი და ხარისხი მისი და შთადგნენ იგინი [v]საბურველსა ტყავისასა ჯაკინთონსა და დადვან აღსაღებელთა ზედა 15 და სრულ-ყონ აარონ და ძეთა მისთა, დამბურველთა წმიდათასა, და ყოველთა ჭურჭელთა წმიდათა აღტრვასა ბანაკისასა. და ამისა შემდგომად შეიდენ ძენი კაათისნი აღღებად და არა შეეხნენ წმიდათა, რაჲთა არა მოკუდენ. ესენი აღიხუნენ ძეთა კაათისთა კარავსა შინა წამებისასა. 16 ეპისკოპოსმან ელეაზარ, ძემან აჰრონის მღდელისამან: ზეთი იგი ნათლისაჲ და საკუმეველი შეზავებისაჲ და მსხეერპლი დღითიდღედი და ზეთი ცხებისაჲ, ზედა-მსტურობაჲ ყოვლისა კარვისაჲ და რაოდენნი არიან მის შორის წმიდასა შინა, და ყოველთა შინა საქმეთა. 17 და უწოდა უფალი მოსეს და აარონს, მეტყუელი: 18 ნუ მოსრავთ კარვისა ერსა კაათისსა შორის ლევიტელთაჲსა, 19 ესე უყავთ მათ და ცხოვნდენ და არა მოკუდენ, მო-რაჲ-უკდებოდინ იგინი წმიდასა წმიდათასა: აარონ და ძენი მისნი შეიდოდედ და დაადგინენ იგი კა-

B: 14 მსახურებდენ]მსახურებდ. შთადგენ. დადგენ. ტყავსა. 18 მოიდეს. შეეხენ. 19 გუნდსა.

S

ცად-კაცადი მათი მსგავსად აღსაღებელისა მათისა; [20] და არა შევიდენ იგინი ხილვად მეყსეულად წმიდასა მას წმიდათასა, რაჲთა არა მოწყდენ.

[21] და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [22] მოიყვანენ თავად-თავად (22) ძენი გეთსონისნი და ამათი (!) სახლად-სახლად[ი] მამათა მათთაჲ, ტომად-ტომადი მაჲი, [23] ოცდახუთისა წლისაჲთგან და უზეშთაესი ვიდრე ერგასისად წლადმდე, და აღიხილენ იგინი, ყოველი, რომელი შევიდოდის მსახურებად და საქმედ საქმესა თჳსსა კარავსა მას შინა წამებისასა. [24] ესე არს მსახურებაჲ ტომისა გეთსონისი მსახურებად და აღებად აღსაღებელსა: [25] მაშკები კარვისაჲ მის და კარავი იგი წამებისაჲ და საბურველი იგი მისი და შესახურველი იგი იაკინთონი, რომელ არს ზედა კერძო მისსა, და საბურველი იგი კარვისა საწამებელისაჲ [26] და კარვის ძელები იგი ეზოჲსაჲ მის და რაოდენი არს კარვისა მის საწამებელისაჲ და მეტი იგი და ყოველი ჭურჭელი სამსახურებელი, რაოდენითა-იგი ჰმსახურებდენ მას შინა. [27] ყონ იგი წინაშე პირსა აჰრონისსა და ძეთა მისთა. იყოს მსახურებაჲ იგი ძეთა გეთსონისთაჲ ყოველისა მისებრ საქმისა მათისა, და აღიხილენით იგინი სახელად-სახელად, ყოველივე აღსაღებელი მათგან, [28] ესე არს მსახურებაჲ ძეთა გეთსონისთაჲ კარავსა მას შინა წამებისასა და კუმილვაჲ იგი მათი კელითა ითამარისითა, ძისა აჰრონის მღდელისაჲთა.

[29] ძენი მერარისნი, ტომად-ტომადი მათი და სახლად-სახლადი მამათა მათთაჲ აღიხილნეთ იგინი, [30] ოცდახუთისა წლისაჲთგანი და უზეშთაესი ვიდრე ერგასისა წლადმდე, ყოველი, რომელი შევიდოდის მსახურებად და საქმედ კა-

AK

გინონ კაცად-კაცადი მათი მსგავსად აღსაღებელისა მათისა; [20] და არა შევიდენ იგინი მეყსეულად ხილვად წმიდასა მას წმიდათასა, რაჲთა არა მოწყდენ.

[21] ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [22] მოიყვანენ თავად-თავად ძენი გეთსონისნი და სახლად-სახლადი მამათა მათთა და ტომად-ტომადი იგი მათი, [23] ოცდახუთით წლითგან და უზეშთაესი ვიდრე ერგასის წლადმდე, და აღიხილენ, ყოველი, რომელი შევიდოდის მსახურებად და საქმედ საქმესა თჳსსა კარავსა მას შინა წამებისასა. [24] ესე არს მსახურებაჲ ტომისა გეთსონისი მსახურებად და აღებად აღსაღებელსა: [25] მაშკები კარვისაჲ და კარავი იგი წამებისაჲ და საბურველი მისი და სახურველი იგი ჯაკინთონი, რომელ არს ზედა კერძო მისა, და საბურველი იგი კარვისა საწამე[v]ბელისა [26] და კარვის ძელები იგი ეზოსა მის და რაოდენი არს კარვისა მის საწამებელისაჲ და მეტი იგი, ყოველი ჭურჭელი სამსახურებელი, რომლითა ჰმსახურებედ. [27] ყონ იგი წინაშე პირსა აჰრონისსა და ძეთა მისთაჲსა. და იყოს მსახურებაჲ იგი ძეთა გეთსონისთა ყოვლისა მისებრ მსახურებისა მათისა და ყოვლისა მისებრ საქმისა მათისა, და აღიხილნეთ იგინი სახელად-სახელად, ყოველივე აღსაღებელი მათგან, [28] ესე არს მსახურებაჲ ძეთა გეთსონისთა კარავსა მას შინა წამებისასა და კუმილვაჲ მათი კელითა ითამარისითა, ძისა აჰრონ მღდლისათა.

[29] ძენი მერარისნი, ტომად-ტომადი მათი და სახლად-სახლადი მამათა მათთა აღიხილენ იგინი, [30] ოცდახუთისა წლისაჲთგანი და უზეშთაესი ვიდრე ერგასის წლადმდე, ყოველი, რომელი შე-

S: [29] იგინი]იგი.

AK: [22] მოიყუანენ A. [25] კარეისა A. წამებისა A. იაკინთონი K. [26] საწამებელისა A. მეტი იგი—K. მსხ˘რებდ K. [27] აჰრონისა A, არონისაჲ K. [28] კუმილეა A. მღუდელისათა A. [30] წლისგ˘ნი K.

B

მათი მსგავსად აღსაღებელისა მათისა; [20] არა შევიდენ იგინი ხილვად მეყსეულად წმიდასა მას წმიდათასა, და არა მოსწყდენ.

[21] და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [22] მოიყვანენ თავად-თავად ძენი გეთონისნი სახლად-სახლად მამათა მათთა ტომად-ტომადი მათი [23] ოცდახუთისა წლისათგან და უზეშთაესნი ვიდრე ერგასის წლამდე, და აღიხილნე იგინი, ყოველი, რომელი შევიდოდეს მსახურებად და საქმედ საქმესა თუსსა კარავსა მას შინა წამებისასა. [24] ესე არს მსახურებაჲ ტომისა გეთონის მსახურებად და აღებად აღსაღებელისა: [25] მაშკები კარვისა მის და კარავი იგი წამებისა და საბურველი მისი და შესახურველი იაკინთონი, რომელ არს ზედა კერძო მისსა და საბურველი იგი კარავისა წამებისა [26] და კარვის ძელები იგი ეზოსა მის და რაოდენ არს კარვისა მის საწამებელისა და მეტი იგი და ყოველი ჴურჴელი სამსახურებელი, რაოდენითაი მსახურებდენ მას შინა. [27] ყონ იგი წინაშე აარონისა და ძეთა მისთა. იყოს მსახურებაჲ იგი ძეთა გეთონისთა ყოველისა მისებრ საქმისა მათისა და ყოველთა საქმეთა მათთა, და აღიხილენით სახელად-სახელად, ყოველივე ავსებული მათგან. [28] ესე არს მსახურებაჲ ძეთა გეთსონისთა ყოველისა მისებრ კარავსა მას შინა წამებისასა და ჰმილვა იგი მათი ჴელითა იათამარისითა, ძისა აჰრონის მღდელისათა.

[29] ძენი მერარისნი, ტომად-ტომადი მათი და სახლად-სახლადი მამათა მათთა აღიხილენით იგინი, [30] ოცდახუთისა წლისათგან და უზეშთაესი ვიდრე ერგასის წლამდე აღრიცხვასა მათსა, ყოველი, რომელი შევიდოდის მსახურებად კარავსა მას შინა წამებისა.

G

ცად-კაცადი აღსაღებელისაებრ თჳსისა; [20] და არა შევიდენ მეყსეულად ხილვად წმიდისა, და მოკუდენ.

[21] და იტყოდა უფალი მოსჱს მიმართ, მეტყუელი: [22] იწყე დასაბამი ძეთა (v) გეთსონისთაჲ, და ესენი სახლთაებრ ტომობათა მათთაჲსა, ერობათაებრ მათთა [23] ოცდახუთით წლითგანთაჲთ და წამართ ვიდრე ერგასის წლამდინთამდე, აღხილვად მათდა ყოვლისა გამომავალისაჲ მსახურებად და ქმნად საქმეთა კარავსა შინა წამებისასა. [24] ესე არს მსახურებაჲ ერისა გედსონეთისაჲ მსახურებად და აღღებად და აღიღოდიდ: [25] მაშკები კარვისაჲ და კარავი წამებისაჲ და დასაბურველი მისი და დასაბურველი ჯაკინთონი, რომელ არს მას ზედა ზედაჲთ კერძო, და დასაბურველი კარვისა წამებისაჲ [26] და სუეტები ეზოჲსაჲ, რაოდენი არს კარავსა თანა წამებისასა და ნამეტნავნი მათნი და ყოველნი ჴურჴელნი სამსახურებელნი მათნი, და რაოდენთა ჰმსახურებენ იგინი. [27] ყონ იგი წინაშე პირსა აარონისსა და ძეთა მისთჳს. იყავენ მსახურებაჲ ძეთა გედსონისთაჲ ყოველთაებრ მსახურებათა მათთა და ყოველთაებრ განწესე(99)ბათა მათთა, და აღიხილნე იგინი სახელდებით და ყოველნი მათ ქუეშენი. [28] ესე არს მსახურებაჲ ძეთა გედსონისთაჲ კარავსა შინა წამებისასა და ტომისა მათისაჲ ჴელითა ითამარ, ძისა აარონ მღდელისაჲთა.

[29] ძენი მერარისნი, ერობისაებრ მათისა, სახლთაებრ ტომობათა მათთაჲსა აღიხილენით იგინი, [30] ოცით წლითგან და წამართნი ვიდრე ერგასის წლამდინნი, აღიხილენით იგინი, ყოველი შემავა-

B: [28] წამებისა 2°]წამებულისა. [27] ყონ იგი+და სახლად-სახლად. [29] იგინი]იგი.
G: [27] განწებათა Gab.

S

რავსა მას წამებისასა. 31 და ესე არს საცავი, აღსაღებელი მათ მიერ ყოვლისავე მისებრ საქმისა მათისა კარავსა მას შინა წამებისასა: სუეტისთავნი იგი კარვისანი და მოქლონები იგი და სუეტები იგი და ხარისხები მისი, გარდასაბურველი და ხარისხები მათი და სუეტები იგი მათი და საბურველი იგი კარისა მის კარვისაჲ 32 და სუეტები იგი ეზოჲსა მის გარემო და ხარისხები მათი და სუეტნი იგი კრეთსაბმელისა ბჭისა მის ეზოჲსანი და ხარისხები მათი და მანაები მათი და საბლები იგი მათი და ყოველი სამსახურებელი მათი; სახელად-სახელად აღიხილ-ებეთ იგინი და ყოველივე ჰურჰერი საცავი, აღსაღებელი მათ მიერ; 33 ესე არს სამსახურებელი ძეთა მერარისთაჲ ყოველთა შინა საქმეთა მათთა კარავსა მას წამებისასა კელითა ითამარისითა, ძისა აჰრონის მღდელისაჲთა.

34 და აღიხილნეს მოსე და აჰრონ და მთავართა მათ ისრაელისათა ძენი კაათისნი ტომად-ტომადისაებრ მათისა და სახლისაებრ მამათა მათთაჲსა, 35 ოცდახუთისა წლისაჲთგან და უზეშთაესი ვიდრე ერგასის წლადმდე, (36) ყოველი, რომელი შევიდოდის მსახურებად და საქმედ საქმესა კარვისა წამებისასა; 36 და იყო რიცხჳ იგი მათი, ტომად-ტომადისა მათისაჲ ორ ათას შჳდას და ერგასის. 37 ესე არს აღხილვაჲ ძეთა კაათისთაჲ, ყოველი, რომელი ჰმსახურებდა კარავსა მას წამებისასა, ვითარცა აღიხილნეს მოსე და აჰრონ სიტყჳთა უფლისაჲთა, კელითა მოსესითა.

38 და აღიხილნეს ძენი გეთსონისნი, ტომად-ტომადი მათი და სახლად-სახლად[ი] მამათა მათთაჲ, 39 ოცდახუთისა წლისაჲთგანნი და უზეშთაესი ვიდრე ერგასის წლადმდე, (40) ყოველი, რო-

AK

ვიდოდის მსახურებად და საქმედ კარავსა მას წამებისასა. 31 და ესე არს საცავი, აღსაღებელი [251] მათ მიერ ყოვლისა მისებრ საქმისა კარავსა მას შინა წამებისასა: სუეტისთავები იგი კარვისა, მოქლონები და სუეტები მისი და ხარისხი მისი, გარდასაბურველი და ხარისხები მათი და საბურველი კარისა მის კარვისა 32 და სუეტები იგი ეზოსა მის გარემო და ხარისხები მათი და სუეტნი იგი კრეთსაბმელისა ბჭისა მის ეზოსანი და ხარისხები მათი და მანაები მათი და საბლები და ყოველი სამსახურებელი მათი; სახელად-სახელად აღიხილენით იგინი და ყოველივე ჰურჰელი საცავი, აღსაღებელი მათ მიერ; 33 ესე არს სამსახურებელი ძეთა მერარისთა ყოველსა შინა საქმესა მათსა კარავსა მას წამებისასა კელითა ითამარისითა, ძისა აჰრონის მღდელისათა.

34 და აღიხილნეს მოსე და აჰრონ და მთავართა ისრაელისათა ძენი კაათისნი ტომად-ტომადისა მათისა და სახლისაებრ მამათა მათთასა, 35 ოცდახუთისა წლისათგან და უზეშთაესი ვიდრე ერგასის წლადმდე, ყოველი, რომელი შევიდოდის მსახურებად საქმესა კარვისა მის წამებისასა; 36 იყო რიცხჳ ტომად-ტომადისა მათისა ორ ათას შჳდას და ერგასის. 37 ესე არს აღხილვა ძეთა კაათისთა, [v] ყოველი, რომელი ჰმსახურებდა კარავსა მას წამებისასა, ვითარცა აღიხილნეს მოსე და აჰრონ სიტყჳთა უფლისაჲთა, კელითა მოსესითა.

38 და აღიხილნეს ძენი გეთსონისნი, ტომად-ტომადი მათი და სახლად-სახლადი მამათა მათთა, 39 ოცდახუთის წლისათგანი და უზეშთაესი ვიდრე ერგასის წლადმდე, ყოველი, რომელი შე-

S: 31 წამებისა.

AK: 30 მას—K. 31 საქმისა—K. მას შინა—K. კარვის K. 32 საცავი—K. 33 არონის K. 35 წლის-გან K. რომელი+შეეხოს და K. 37 მსახურებდა K. აარონ K. 38 გეთსონისი K.

B

ბად და საქმედ კარავსა მას წამებისასა. 31 და ესე არს საცავი, აღსაღებელი მათ მიერ ყოვლისა მისებრ საქმისა მათისა კარავსა მას შინა წამებისასა: სუეტისთავნი იგი კარვისანი და მოქლონები და ხარისხები მისი, გარდასაბურველი და ხარისხები მათი და სუეტისთავები მათი და საბურველი იგი კარისა მის კარვისა, 32 სუეტები იგი ეზოსა მის გარემო და ხარისხები მათი და სუეტნი იგი კრეტსაბმელისა ბჭისა მის ეზოსანი და ხარისხები მათი და სუეტნი იგი კრეტსაბმელისა და საბლები მათი და ყოველი სამსახურებელი მათი; სახელად-სახელად აღიხილენით იგი ყოველივე ჭურჭელი საცავი, აღსაღებელი მათი; 33 ესე არს სამსახურებელი ტომთა ძეთა მერარისთა ყოველთა შინა საქმეთა მათთა კარავსა მას წამებისასა ჴელითა იათამარისათა, ძისა აჰრონის მღდელისათა.

34 და აღიხილნეს მოსე და აჰრონ, მთავართა მათ ისრაელისათა ძენი კაათისნი ტომად-ტომადისაებრ მათისა და სახლისაებრ მამათა მათთასა, 35 ოცდახუთისა წლისათგან და უზეშთაეს ვიდრე ერგასის წლამდე, ყოველი რომელი შევიდოდა მსახურებად საქმედ საქმესა კარვისა წამებისასა; 36 და იყო რიცხვი იგი მათი ტომად-ტომადისა მათისა ორ ათას შჯდას და ერგასი. 37 ესე არს აღხილვა ძეთა კაათისთა, ყოველი რომელი მსახურებდა კარავსა მას წამებისასა, ვითარცა აღიხილნუს მოსე და აჰრონ სიტყუთა უფლისაჲთა, ჴელითა მოსესითა.

38 და აღიხილნეს ძენი გეთონისნი, ტომად-ტომადი მათი და სახლად-სახლადი მამათა მათთა, 39 ოცდახუთისა წლისათგანი და უზეშთაესი ვიდრე ერგასის წლისამდე, ყოველი რომელი შე-

G

ლი მსახურებად საქმეთა კარვისა საწამებელისათა. 31 და ესე არიან საცავნი მათ მიერ აღსა[41]ღებელთანი ყოველთაებრ საქმეთა მათთა კარაესა შინა წამებისასა: სუეტისთავნი კარვისანი და მოქლონნი მისნი და სუეტნი მისნი და ხარისხნი მისნი და საბურველნი და ხარისხნი მათნი და სუეტნი მათნი და დასაბურველი კარისა კარვისაჲ 32 და სუეტნი მისნი გარემოჲს და ხარისხნი მათნი და სუეტნი კრეტსაბმელისა ბჭისა ეზოჲსანი და ხარისხნი მათნი და მანანი მათნი და ჭაპა(v)ნნი მათნი და ყოველნი ჭურჭელნი მათნი და ყოველნი სამსახურებელნი მათნი; სახელდებით აღიხილენით იგინი და ყოველი ჭურჭელი საცავისა აღსაღებელთა მათთაჲსაჲ; 33 ესე არს მსახურებაჲ ერისა ძეთა მერარისთაჲ ყოველთა შინა საქმეთა მათთა კარავსა შინა წამებისასა ჴელითა ითამარ, ძისა აარონ მღდელისაჲთა.

34 და აღიხილნეს მოსე და არონ და მთავართა ისრაელისათა ძენი კაათისნი ერობისაებრ მათისა, სახლთაებრ ტომობათა მათთაჲსა, 35 ოცდახუთით წლითგან და წამართ ვიდრე ერგასის წლამდინნი, ყოველი შემავალი მსახურებად და ქმნად საქმეთა კარავსა შინა წამებისასა; 36 და იყო აღხილვაჲ მათი ერობისაებრ მათისა ორათასეულ შჯდას ერგასის. 37 ესე არს აღხილვაჲ ერისა კაათისი, ყოველი მსახური კარავსა შინა წამებისასა, ვითარცა აღიხილეს მოსე და აარონ ქმითა უფლისაჲთა, ჴელითა მოსესითა.

38 და აღიხილნეს ძენი გედსონისნი ერობისაებრ მათისა, სახლთაებრ ტომობათა მათთაჲსა, 39 ოცდახუთით წლითგან და წამართ ვიდრე ერგასის წლამდინ, ყოველი შემავალი მსახურებად

B: 31 მათ მიერ]მათი მიერ მათ. ყოელისა]ყოველი. 32 სახლად-სახლად. ჭურჭლს. 34 ძეთა კაათისთა.

G: 39 წლამდინთაჲ Gb.

S

მელი შევიდოდა მსახურებად და საქმედ საქმესა მას კარვისა წამებისასა; [40] და იყო რიცხჳ იგი მათი ტომად-ტომადისა მათისაჲ და სახლად-სახლად მამათა მათთაჲ ორ ათას და ექუსას და ერგასის. [41] ესე არს აღხილვაჲ ძეთა გეთსონისთაჲ, ყოველი, რომელი ჰმსახურებდა კარავსა მას წამებისასა, რომელნი აღიხილნეს მოსე და აჰრონ სიტყუთა უფლისაჲთა და კელითა მოსესითა.

[42] აღიხილნეს ტომნიცა ძეთა მერარისთანი, გუნდად-გუნდადი მათი და სახლად-სახლად[ი] მამათა მათთაჲ, [43] ოცდახუთისა წლისაჲთგან და უზეშთაესი ვიდრე ერგასის წლადმდე, (44) ყოველი, რომელი შევიდოდა მსახურებად საქმესა მას კარვისა წამებისასა; [44] და იყო რიცხჳ იგი მათი ტომად-ტომადისა მათისაჲ და სახლად-სახლად მამათა მათთაჲ სამ ათას და ორას. [45] ესე არს აღხილვაჲ ტომისა ძეთა მერარისთაჲ, რომელნი აღიხილნეს მოსე და აჰრონ სიტყუთა უფლისაჲთა, კელითა მოსესითა.

[46] ყოველნივე აღხილულნი, რომელნი აღიხილნეს მოსე და აჰრონ (47) და მთავართა ისრაელისათა, ლევიტელნი იგი, ტომად-ტომადი მათი და სახლად-სახლად[ი] მამათა მათთაჲ, [47] (48) ოცდახუთისა წლისაჲთგან და უზეშთაესი ვიდრე ერგასისად წლადმდე, რომელი შევიდოდა საქმესა მას სიწმიდეთასა და საქმესა მას აღსაღებელსა კარვისა მის წამებისასა, [48] და იყუნეს აღხილულნი იგი რვა ათას ხუთას და ოთხმეოც. [49] სიტყუთა უფლისაჲთა აღიხილნა იგინი მოსე, კელითა მოსესითა კაცად-კაცადი — საქმესა მათსა ზედა (49) და რომელი აღიღოდიან მათ; და აღიხილნეს, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

AK

ვიდოდის მსახურებად საქმესა კარვისა მის წამებისასა; [40] იყო რიცხჳ ტომად-ტომადისა მათისა... ორ ათას ექუსას და ერგასის. [41] ესე არს აღხილვაჲ ძეთა გეთსონისთა, ყოველი, რომელი ჰმსახურებდა კარავსა მას წამებისასა, რომელნი აღიხილნეს მოსე და აჰრონ სიტყუთა უფლისაჲთა, კელითა მოსესითა.

[42] აღიხილნეს ტომნიცა ძეთა მერარისთანი, გუნდად-გუნდადი მათი და სახლად-სახლადი მამათა მათთა, [43] ოცდახუთისა წლისათგან და უზეშთაესი ვიდრე ერგასის წლადმდე, ყოველი, რომელი შევიდოდა მსახურებად საქმესა კარვისა მის წამებისასა; [44] იყო რიცხჳ სახლად-სახლადისა მათისა სამ ათას ორას. [45] ესე არს აღხილვაჲ ტომისა ძეთა მერარისთაჲ, რომელნი აღიხილნეს მოსე და აჰრონ სიტყუთა უფლისაჲთა, კელითა მოსესითა.

[46] ყოველივე აღხილული, რომელი [252] აღიხილეს მოსე და აჰრონ და მთავართა ისრაელისათა, ლევიტელნი იგი, ტომად-ტომადი მათი და სახლად-სახლადი მამათა მათთა, [47] ოცით წლითგან და უზეშთაესი ვიდრე ერგასის წლადმდე, ყოველი, რომელი შევიდოდა საქმესა სიწმიდეთასა, აღსაღებელსა კარვისა წამებისასა, [48] და იყუნეს აღხილულნი იგი რვა ათას ხუთას და ოთხმეოც. [49] სიტყუთა უფლისაჲთა, კელითა მოსესითა კაცად-კაცადი — საქმესა მათსა ზედა და რომელი აღიღოდიან; და აღიხილეს, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

S: [42] ძეთა]ძეცა. [49] იგინი]იგი.

AK: [41] აღხილვა A. მსახურებდა K. აჰრონ K. [43] კარვისა—K. [45] აღხილვა A. მერარისთა A. [47] საქმეთა სიწმიდეთასა]სიწმიდეთა K. [48] იყუნეს A. [49] და აღიხილეს—K.

B

ვიდოდა მსახურებად, საქმედ საქმესა კარვისა წამებისასა; [40] და იყო რიცხვი იგი მათი ტომად-ტომადისა მათისა და სახლად-სახლადი მამათა მათთა ორ ათას და ექუსას და ოცდაათი. [41] ესე არს აღხილვა ძეთა გეთონისთა, ყოველი, რომელი მსახურებდა კარავსა მას წამებისასა, რომელნი აღიხილნეს მოსე და აარონ სიტყჳთა უფლისაჲთა და კელითა მოსესითა.

[42] აღიხილნეს ტომნიცა ძეთა მერარისთანი გუნდად-გუნდად და სახლად-სახლადი მამათა მათთა, [43] ოცდახუთისა წლისთგანი და უზეშთაესი ვიდრე ერგასის წლისამდე, ყოველი, რომელი შევიდოდა საქმედ მსახურებისა საქმესა კარავსა მას წამებისასა, [44] და იყო რიცხჳ მათი ტომად-ტომადისა მათისა, ნათესავად მათთა და სახლად-სახლად მამათა მათთა სამ ათას ორას. [45] ესე არს აღხილვა ძეთა მერარისთა, რომელნი აღიხილნეს მოსე და აარონ სიტყჳთა უფლისაჲთა და კელითა მოსესითა.

[46] ყოველნივე აღხილულნი ლევიტელთა, რომელნი აღიხილნეს მოსე და აჰრონ და მთავართა ისრაელისათა, ტომად-ტომადი მათი და სახლი მამათა მათთა, [47] ოცდახუთისა წლისათგანი და უზეშთაესი ვიდრე ერგასის წლამდე, რომელი შევიდოდა საქმესა მას სიწმიდეთასა და აღსაღებელსა კარვისა მის წამებისასა, [48] იყუნეს აღრიცხულნი იგი რეა ათას ექუსას ოთხმეოცდაათ. [49] კელითა მოსესითა და სიტყჳთა უფლისაჲთა აღიხილნა იგინი მოსე, კაცად-კაცადი საქმესა მათსა ზედა და რომელნი აღიღოდიან მათ; და აღიხილნეს, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

G

და ქმნად საქმეთა კარავსა შინა წამებისასა; [40] და იყო აღხილვაჲ მათი ერობისაებრ მათისა ორ ათასეულ ექუსასოცდაათ. [41] ესე არს აღხილვაჲ ერისა ძეთა გედსონისთაჲ, ყოველი მსახური კარავსა შინა წამებისასა, რომელნი აღიხილნეს მოსე და აარონ კმითა უფლისაჲთა, კელითა მოსესითა.

[42] (100) ხოლო აღხილულ იქმნა ერიცა ძეთა მერარისთაჲ ერობათაებრ მათთა, სახლთაებრ ტომობათა მათთაჲსა, [43] ოცდახუთით წლითგან და წამართ ვიდრე ერგასის წლამდინი, ყოველი შემავალი მსახურებად საქმეთა მიმართ კარვისა წამებისათა, [44] და იყო აღხილვაჲ მათი ერობათაებრ მათთა სამ ათასეულ და ორას. [45] ესე არს აღხილვაჲ ერისა ძეთა მერარისთაჲ, რომელნი აღიხილნეს მოსე და აარონ კმითა უფლისაჲთა, კელითა მოსესითა.

[46] ყოველნი აღხილულნი, რომელნი აღიხილნეს მოსე და აარონ და მთავართა ძეთა ისრაელისათჳს, ლევიტელნი, ერობათაებრ მათთა, სახლთაებრ ტომობათა მათთაჲსა, [47] ოცდახუთით წლითგან და წამართ ვიდრე ერგასის წლამდინნი, ყოველი გამომავალი საქმისა მიმართ საქმეთაჲსა და საქმითა აღსაღებე[v]ლთა კარავსა შინა წამებისასა, [48] და იყუნეს აღხილულნი რვაჯერ ათას ხუთასოთხმეოცნი. [49] კმითა უფლისაჲთა აღიხილნა იგინი, კაცად-კაცადი საქმეთა ზედა მათთა და მათ ზედა, რომელთა აღიხუმენ იგინი; და აღხილულ იქმნნეს, რომლითა სახითა უბრძანა უფალმან მოსეს.

B: [44] -სახლადი. [47] სიწმიდესათა.

თავი V

S

1 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 2 უბრძანე ძეთა ისრაელისათა (2) და განასხნედ გარეშე ბანაკსა ყოველი კეთროვანი და ყოველი თესლმდინარე და ყოველი არაწმიდაჲ სულითა, 3 მამაკაცითგან ვიდრე დედაკაცამდე განავლინ[ნ]ენ გარეშე ბანაკსა და არა შეაგინონ ბანაკი მათი, რომელთა შორის მე გარდამოვალ მათა. 4 და ყვეს ეგრე ძეთა ისრაელისათა და განავლინნეს იგინი გარეშე ბანაკსა. ვითარცა ეტყოდა უფალი მოსეს, ეგრეთ ყვეს ძეთა ისრაელისათა.

5 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 6 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქუ: მამაკაცმან გინა დედაკაცმან, რომელმან ყოს ყოველთაგან ცოდვათა კაცობრივთა და უგულებლებით უგულებელ-ყოს, და ცოდოს სულმან მან, 7 და აღიაროს ცოდვაჲ იგი, რომელი ქმნა, და მისცეს ცოდვისა მისთჳს იგი თავადი და მეხუთე მისი დასძინოს მას ზედა და მისცეს, ვის-იგი შესცოდა. 8 უკუეთუ არა იყოს კაცისაჲ მის ნათესავი, რაჲთამცა მისცა მას შეცოდებისა მისთჳს, მისაცემელი იგი უფლისაჲ მღდელისა იყოს იგი თჳნიერ ვერძისა მის ლხინებისაჲსა, რომლითა-იგი ლხინება ყო მისთჳს მას შინა. 9 და ყოველივე პირველნაყოფი და ყოველი განწმედილი ძეთა შორის ისრაელისათა, და რაოდენი-რაჲ მოართუან უფალსა, მღდელისა იყოს იგი. 10 და კაცად-კაცადისა შეწირული მისა იყოს, და კაცმან რომელმან მისცეს მღდელსა, მისა იყოს.

11 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 12 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ: კაცისაჲ, რომლისაჲ გარდაჴდეს ცოლი მისი და უგულებელ-ყოს ქმარი

AK

1 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 2 უბრძანე ძეთა ისრაელისათა და განასხნეთ გარეშე ბანაკსა ყოველი კეთროვანი და ყოველი თესლმდინარე და ყოველი არაწმიდაჲ სულითა, 3 მამაკაცითგან ვიდრე დედაკაცამდე განავლინენით გარეშე ბანაკსა და არა შეაგინონ ბანაკი მათი, რომელთა შორის მე გარდამოვალ მათა. 4 და ყვეს ეგრე ძეთა ისრაელისათა და განავლინნეს იგინი გარეშე ბანაკსა, ვითარცა ეტყოდა უფალი მოსეს.

5 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 6 ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და არქუ: მამაკაცმან ანუ დედაკაცმან, რომელმან ყოს ყოველთაგან ცოდვათა კაცობრივთა და უგულებლობით უგულებელს-ყოს, და ცოდოს სულმან მან, 7 და აღ[v]იაროს ცოდვაჲ იგი, რომელ ქმნა, და მისცეს ცოდვისა მისთჳს იგი თავადი და მეხუთე მისი დასძინოს მას ზედა და მისცეს, ვის-იგი შესცოდა. 8 უკუეთუ არა იყოს კაცისა მის ნათესავი, რაჲთამცა მისცა მას შეცოდებისა მისთჳს, მისაცემელი იგი უფლისაჲ მღდელისა იყოს იგი თჳნიერ ვერძისა მის ლხინებისასა, რომლითა-იგი ლხინება ყო მისთჳს მას შინა. 9 და ყოველივე პირველი ნაყოფი და ყოველი განწმედილი ძეთა შორის ისრაელისათა, და რაოდენი-რაჲ მოართუან უფალსა, მღდელისა იყოს იგი. 10 და კაცად-კაცადისა შეწირული მისა იყოს, და კაცმან რომელმან მისცეს მღდელსა, მისა იყოს.

11 ეტყოდა ღმერთი მოსეს და ჰრქუა: 12 ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და არქუ: კაცისა, რომლისა გარდაჴდეს ცოლი მისი და უგულებელს-ყოს ქმარი

S: 6 უგულებელთ. 8 უფალსა. 12 კაცისაჲ bis.
AK: 7 ცოდვა A. 8 მღდლისაჲ K. 9 მღდლისა. 10 მისა 2°]მისი K. 11 ღმერთი]ღ°ი K.

თავი V

B

1 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 2 უბრძანე ძეთა ისრაელისათა და განასხედ გარეშე ბანაკსა ყოველი კეთროვანი და ყოველი თესლმდინარე და ყოველი არაწმიდაჲ სულითა, 3 მამაკაცისათ ვიდრე დედაკაცადმდე განაგზინე გარეშე ბანაკსა და არა შეაგინონ ბანაკი მათი, რომელთა შორის მე გარდამოვალ მათსა. 4 და ყუეს ძეთა ისრაელისათა ეგრე და განავლინეს იგინი გარეშე ბანაკსა. ვითარცა ეტყოდა უფალი მოსეს, ეგრე ყუეს ძეთა ისრაელისათა.

5 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 6 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქუ: მამაკაცმან გინა დედაკაცმან, რომელმან ყოს ყოველთაგან ცოდვათა კაცობრივთა და უგულებლობით უგულებელს-ყოს უფალი, და ცოდოს სულმან მან, 7 და აღუაროს ცოდვა იგი, რომელი ქმნა, და მისცეს ცოდვისა მისთჳს იგი თავადი და მეოთხე მისი დასძინოს მას ზედა და მისცეს, ვის-იგი შესცოდა. 8 უკუეთუ არა იყოს კაცსა მის ნათესავი, რაჲთამცა მისცა მას შეცოდებისა მისთჳს მისაცემელი იგი უფლისაჲ მღდელისა იყოს იგი თჳნიერ ვერძისა მის ლხინებისასა, რომლითა-იგი ლხინება ყო მისთჳს, 9 და ყოველივე პირველი და ყოველი განწმედილი ძეთა ისრაელისათა, რაოდენი-რაჲ მოართუან უფალსა, მღდელისა იყოს იგი, 10 და კაცად-კაცადისა შეწირული მისი იყოს, და კაცმან, რომელმან მისცეს მღდელსა, მისი იყოს.

11 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 12 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ: კაცისა, რომლისა გარდაჰკდეს ცოლი მისი და უგულებელ-ყოს ქმარი

G

1 და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: 2 უბრძანე ძეთა ისრაელისათა და განაგზინონ ბანაკისაგან ყოველი კეთროა(v)ნი და ყოველი თესლმდინარე და ყოველი არაწმიდაჲ სულითა, 3 წულებრიეითგან ვიდრე მდედრებრივადმდე განაგზინეთ გარეშე ბანაკისა და არა შეაგინნენ ბანაკნი მათნი, რომელთა შორის მე გარდამოვალ მათ შორის. 4 და ყუეს ეგრეთ ძეთა ისრაელისათა და განაგზინნეს იგინი გარეშე ბანაკისა. ვითარცა ეტყოდა უფალი მოსეს, ეგრეთ ყუეს ძეთა ისრაელისათა.

5 და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: 6 ...მამაკაცმან ანუ დედაკაცმან, რომელმანცა ქმნეს ყოველთაგან ცოდვათა კაცობრი(101v)*ვთა, და უგულებელსყოფით უგულებელს-ყოს, და ბრალი ქმნას სულმან მან, 7 აღიაროს ცოდვაჲ, რომელი ცოდა, და უკუნ-სცეს თავი ბრალისაჲ მის და მეხუთე მისი შესძინოს მას ზედა და უკუნ-სცეს, ვის-იგი უბრალა. 8 ხოლო უკუეთუ არა იყოს კაცისა მის ნათესავი, რაჲთა [42] უკუნ-ეცეს მას ბრალი, მისაცემელი უფლისაჲ მღდელისა იყოს იგი თჳნიერ ვერძისა მის ლხინე(102)ბისაჲსა, რომლითა ლხინება ყოს მის მიერ მისთჳს, 9 და ყოველნი დასაბამნი და ყოველნი წმიდაქმნილნი ძეთა შორის ისრაელისათა, რაოდენთა რათ მოართუმენ უფალსა, მღდელისა მისისა იყუნენ იგინი, 10 და თითოეულნი წმიდაქმნულნი მისსა იყუნენ, და კაცმან რაოდენნი რაჲ მისცნეს მღდელსა, მისსა იყუნენ.

11 და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: 12 ეტყოდე ძეთა ის-

B: 3 განვაგზინე.

G: 9 მისისა]მისსა Gb.

*101r-ზე კომენური ტექსტი არ არის.

S

იგი თჳსი უგულებლებით, [13] და დავიწმე-წვეს მის თანა საწოლითა თესლისაჲთა, და დაეფაროს თუალთაგან ქმრისა თჳსისაჲთა და დაუმალოს, და იგი დედაკაცი იყოს შეგინებულ, და მოწამე არავინ იყოს მისა, და მიდგომილ არღა იყოს, [14] და მოუკდეს ქმარსა მისსა სული შურობისაჲ და ეშურობდეს ცოლსა თჳსსა, და იგი იყოს შეგინებულ, ანუ მოუკდეს მას სული მოშურნეობისაჲ და ეშურობდეს ცოლსა თჳსსა და იგი არა იყოს შეგინებულ, [15] და მოიყვანოს კაცმან მან ცოლი თჳსი მღდელისა და შეწიროს მსხუერპლი მისთჳს მეათე წილი სათველისაჲ ფქვილი ქრთილისაჲ და არა დაასხას მას ზედა ზეთი და არცა დასდვას მას ზედა გუნდრუკი, რამეთუ არს იგი შესაწირავი შურის სახისაჲ, შესაწირავი მოსაჯსენებელისაჲ, შესაწირავი მოსაჯსენებელი ცოდვისაჲ. [16] და მოიყვანოს მღდელმან მან და დაადგინოს დედაკაცი იგი წინაშე უფლისა. [17] და მოიღოს მღდელმან მან წყალი წმიდაჲ ცხოველი ჭურჭლითა კეცისაჲთა და მიწისა მისგან ეატაკისა კარვისა საწამებელისა, და მოიღოს მღდელმან მან და შთაასხას იგი წყალსა მას, [18] და დაადგინოს იგი დედაკაცი წინაშე უფლისა და აღსძარცოს თავსა დედაკაცსა მას და მისცეს კელთა მისთა შესაწირავი იგი მოჯსენებისაჲ, რომელ-იგი არს შურის სახისაჲ, და კელსა მღდელისასა იყოს წყალი იგი მხილებისაჲ დაწყეული. [19] და აფუცოს იგი მღდელმან მან და ჰრქუას დედაკაცსა მას: (20) უკუეთუ [არა] და-ვინმე-წოლილ არს შენ თანა, უკუეთუ [არა] გარდაჴედ შეგინებად თჳნიერ ქმრისა შენისა, უბრალო იყო შენ წყლისა ამის-

AK

მისი უგულებლობით, [13] და-ვინმე-წვეს მის თანა საწოლითა თესლისათა, და დაეფაროს თუალთაგან ქმრისა მისისათა და დაუმალოს, და დედაკაცი იგი იყოს შეგინებულ, და მოწამე არავინ იყოს მისა, და მიდგომილ არღა იყოს, [14] და მოუკდეს ქმარსა მისსა სული შურობისაჲ და ეშურებოდეს ცოლსა თჳსსა, და იგი იყოს [253] შეგინებულ, ანუ მოუკდეს სული მოშურნებისაჲ და ეშურებოდეს ცოლსა თჳსსა და იგი არა იყოს შეგინებულ, [15] მოიყუანოს კაცმან მან ცოლი თჳსი მღდელისა და შეწიროს მსხუერპლი მისთჳს მეათე წილი სათოველისა ფქვილი ქრთილისა და არა დაასხას მას ზედა ზეთი, არცა დასდვას გუნდრუკი, რამეთუ არს იგი შესაწირავი შურის სახისა, შესაწირავი მოსაჯსენებელისა ცოდვისაჲ. [16] და მოიყუანოს იგი მღდელმან და დაადგინოს წინაშე უფლისა. [17] და მოიღოს მღდელმან მან წყალი წმიდაჲ ცხოველი ჭურჭლითა კეცისათა და მიწისაგან მის იატაკისა კარვისა საწამებელისა და შთაასხას იგი წყალსა მას, [18] და დაადგინოს დედაკაცი იგი წინაშე უფლისა და აღსძარცოს თავსა და მისცეს კელთა მისთა შესაწირავი იგი მოჯსენებისაჲ, რომელ-იგი არს შურის სახისაჲ, და კელსა მღდელისასა იყოს წყალი იგი მხილებისაჲ დაწყეული. [19] და აფუცოს მღდელმან მან და ჰრქუას დედაკაცსა მას: უკუეთუ [არა] და-ვინმე-წოლილ არს შენ თანა, უკუეთუ [არა] გარდაჴედ შეგინებად თჳნიერ ქმრისა შენისა, უბრალო იყო შენ წყლისა ამისგან მხილე-

---

S: [15] შურის]შორის. [18] შურის]შორის.

AK: [13] ქრმისა K. მისა]მისი K. არღარა K. [14] შურობისა A. ეშურებოდის K. მოშურნებისა A. [15] მღდლისა K. ფჭკლი A. ცოდვისა A. მე-16 მუხლი—K. [18] აღძარცოს K. მოჯსენებისა A. სახისა A. მხილებისა A. [19] არს]იყოს K. ქრმისა K.

B

იგი თჳსი უგულებლობითა, [13] და-ვინმე-წუეს მის თანა საწოლითა თესლისათა, და დაეფაროს თუალთაგან ქმრისა მისისათა და დაუმალოს, დედაკაცი იგი იყოს შეგინებულ, და მოწამე არავინ იყოს მისა, და მიდგომილ არღა იყოს, [14] და მოუკდეს ქმარსა მისსა სული შურებისა და ეშურებოდის ცოლსა თჳსსა, და იგი იყოს შეგინებული, ანუ თუ მოუკდეს სული მოშურნებისა და ეშურვებოდეს ცოლსა თჳსსა და იგი არა შეგინებულ იყოს, [15] მოიყვანოს კაცმან მან ცოლი იგი თჳსი მღდელისა და შეწიროს მსხუერპლი მისთჳს მეათე წილი სათოელისი ფქვილი ქრთილისა და არა დაასხას მას ზედა ზეთი და არცა დასდვას მას ზედა გუნდრუკი, რამეთუ არს იგი შესაწირავი შურისა სახისა, შესაწირავი მოსაჴსენებელი ცოდვისა. [16] და მოიყვანოს მღდელმან მან და დააყენოს დედაკაცი იგი წინაშე უფლისა. [17] და მოიღოს მღუდელმან წყალი წმიდაჲ ცხოველი ჭურჭლითა კეციսათა და მიწისაგან იატაკისა კარვისა საწამებელისა, მოიღოს და შთაასხას იგი წყალსა მას, [18] და დააყენოს მღუდელმან დედაკაცი იგი წინაშე უფლისა და აღძარცოს თავსა დედაკაცისასა და მისცეს ქელთა მისთა შესაწირავი იგი მოკსენებისა, რომელ-იგი არს შურის სახისა, და ქელსა მღუდელისასა იყოს წყალი იგი მხილებისა დაწყეული. [19] და აფუცოს იგი მღდელმან მან და ჰრქუას დედაკაცსა მას: უკუეთუ [არა] და-ვინმე-წოლილ არს შენ თანა, უკუეთუ არა შეგინებულ იყო სხჳსა მამაკაცისაგან თჳნიერ ქრმისა შენისა, უბრალო იყო შენ წყლისა ამისგან მხილებისა წყეულისა.

G

რაელისათა და თქუ მათდა მიმართ: მამაკაცისაჲ (v) უკუეთუ გარდაჰკდეს ცოლი მისი და უგულებელს-ყოს იგი უგულებელსყოფით, [13] და და-ვინმე-წვეს მის თანა საწოლითა თესლისაჲთა, და დაემალოს თუალთაგან ქმრისა მისისათა და დაუფაროს, და იგი იყოს შეგინებულ, და მოწამე არავინ იყოს მისსა, და იგი არა იყოს მიდგომილ, [14] და მოუკდეს ქმარსა სული შურობისაჲ და ეშუროს ცოლსა თჳსსა და იყოს შეგინებულ, ანუ მოუკდეს მას სული შურობისაჲ და ეშუროს ცოლსა თჳსსა და იგი არა იყოს შეგინებულ, [15] და მიიყვანოს კაცმან ცოლი თჳსი მღდელისა მიმართ და შეწიროს ძღუენი მისთჳს მეათედი საწყევოჲსაჲ ფქვილი (103v)* ქრთილისაჲ, არა დაასხას მას ზედა ზეთი, არცა დასდვას მას ზედა გუნდრუკი, რამეთუ არს მსხუერპლი შურის სახეობისაჲ, მსხუერპლი მოსაჴსენებელისაჲ, აღმჴსენებელი ცოდვისაჲ. [16] და [v] მიიყვანოს იგი მღდელმან წინაშე უფლისა. [17] და მოიღოს მღდელმან წყა-(104)ლი წმიდაჲ ცხოველი ჭურჭლითა კეცისაჲთა და მიწისაგან, მყოფისა იატაკსა ზედა კარვისა საწამებელისასა, და მომღებელმან მღდელმან შთაასხას წყალსა მას, [18] და დააყენოს მღდელმან დედაკაცი იგი წინაშე უფლისა და განაღოს თავი მის დედაკაცისაჲ და მისცეს ქელთა მისთა ზედა მსხუერპლი მოსაჴსენებელისაჲ და მსხუერპლი შურის სახეობისაჲ, და ქელსა შინა მღდელისასა იყოს წყალი მხილებისაჲ დაწყეული ესე. [19] და აფუცოს იგი მღდელმან და ჰრქუას დედაკაცსა: უკუეთუ არა და-ვინმე-წოლილ არს შენ თანა, უკუეთუ არა გარდასრულ ხარ შეგინებად ქუეშე ქმრისა შენისა, უბრალო იყო წყლისაგან მხილებისა, დაწყეულისა

G: [11] მამაკაცისაჲ bis Gh.

* 103r-ზე კომენური ტექსტი არ არის.

S

განˇ მხილებისა დაწყეულისა. 20 უკუეთუ გარდაჰკედ შენ, რამეთუ ქმრის-ცოლი იყავ, გინათუ შეგინებულ ხარ შენ და მო-ვინმე-გცა შენ თესლი თჳსი თჳნიერ ქმრისა შენისა, 21 და აფუცოს მღდელ-მან მან დედაკაცი იგი ფიცსა ამას წყე-ვისასა და ჰრქუას მღდელმან მან დედა-კაცსა მას: მოგეცინ შენ უფალმან წყე-ვასა და ფიცსა ერსა შორის შენსა მო-ცემად შენდა უფლისა მიერ ბარკალი შენი გარდავრდომად და მუცელი შენი განსივებად, 22 და შევიდეს წყალი ესე დაწყეული მუცელსა შენსა, რაჲთა გარდაგვარდეს ბარკალი შენი და განა-სიოს მუცელი შენი. და თქუას დედაკაც-მან მან: იყავნ, იყავნ. 23 და დაწეროს მღდელმან მან წყევაჲ ესე წიგნსა და აღკოცოს იგი წყალსა მას შიდა მხილე-ბისა მის დაწყეულისა[სა] 24 და ასუას დედაკაცსა მას წყალი იგი მხილებისაჲ მის დაწყეულისაჲ და შევიდეს მისა წყალი იგი მხილებისაჲ დაწყეული. 25 და მოიღოს მღდელმან მან კელთაგან მის დედაკაცისათა შესაწირავი იგი შურის სახისაჲ და დადვას შესაწირავი იგი წინაშე უფლისა, დადგას იგი საკურთხე-ველსა თანა. 26 და მოიღოს მჭელითა მღდელმან მან შესაწირავისა მისგან საჯ-სენებელისა მისისა და შეწიროს იგი საკურთხეველსა ზედა, და ამისა შემდგო-მად ასუას დედაკაცსა მას წყალი იგი. 27 და იყოს, უკუეთუ შეგინებულ იყოს დედაკაცი იგი, დავიწყებით დააჲწყდა ქმარსა მისსა, შევიდეს მისა წყალი იგი მხილებისაჲ დაწყეული და განსივნეს მუცელი მისი და გარდაჰვარდეს ბარ-კალი მისი, და იყოს დედაკაცი იგი წყეულ ერსა შორის; 28 უკუეთუ არა შეგინებულ იყოს დედაკაცი იგი და წმიდა იყოს, უბრალო არს და თესლი

AK

ბისა დაწყეულისა. 20 [v] უკუეთუ გარ-დაჰკედ შენ, რამეთუ ქმრის-ცოლ იყავ, გინათუ შეგინებულ ხარ შენ და მო-ვინ-მე-გცა შენ თესლი თჳსი, 21 და აფუცოს მღდელმან მან დედაკაცი იგი ფიცსა ამას წყევისასა და ჰრქუას: მოგეცინ შენ უფალმან წყევასა და ფიცსა ერსა შორის შენსა მოცემად შენდა უფლისა მიერ ბარკალი შენი გარდავრდომად და მუცელი შენი განსივებად, 22 და შევი-დეს წყალი ესე დაწყეული მუცელსა შენსა, რაჲთა გარდავარდეს ბარკალი შენი და განსივდეს მუცელი შენი. და თქუას დედაკაცმან მან: იყავნ, იყავნ. 23 და დაწეროს მღდელმან მან წყევა ესე წიგნსა და აღკოცოს წყალსა მას შიდა მხილებისა მის დაწყეულისასა 24 და ასუას დედაკაცსა მას წყალი იგი მხილებისა მის და შევიდეს მისა წყა-ლი იგი მხილებისა დაწყეული. 25 და მოიღოს მღდელმან კელთაგან მის დე-დაკაცისათა შესაწირავი იგი შურის სა-ხისა და დადვას წინაშე უფლისა და დადგას საკურთხეველსა თანა. 26 და მო-იღოს მჭელითა მღდელმან შესაწირავი-სა მისგან საკსენებელისა მისისა და შე-წიროს იგი საკურთხეველსა ზედა, ამისა შემდგომად ასუას დედაკაცსა მას წყალი იგი. 27 და იყოს, უკუეთუ შეგი[254]ნე-ბულ არს დედაკაცი იგი, დავიწყებით დაავიწყდა ქმარსა მისსა, შევიდეს მის-სა წყალი იგი მხილებისა დაწყეული და განსივნეს მუცელი მისი და გარდავარ-დეს ბარკალი მისი, და იყოს დედაკაცი იგი წყეულ ერსა შორის; 28 უკუეთუ არა შეგინებულ იყოს დედაკაცი იგი და წმიდა იყოს, უბრალო არს და თესლი

S: 25 შურ[ს]შორის.

AK: 20 და უკუეთუ K. გარდაჰკედ K. ქრმის- K. 21 მან—K. 22 მან—K. 23 შიდა]შ-ა K. 24 და 2° ....დაწყეული—K. 25 25-ე მუხლი—K. შესაწირავი A. 28 28-ე მუხლი—K.

B

20 უკუეთუ შეგინებული იყო სხჳსაგან თჳნიერ ქრმისა შენისა, ანუ მოგცემოდეს თესლი სხუაჲ, იყოს შენ ზედა წყევა იგი. 21 და აფუცოს მღდელმან მან დედაკაცი იგი ფიცსა მას წყევისასა და ჰრქუას მღდელმან მან დედაკაცსა მას: მოგეცინ შენ უფალმან წყევასა და ფიცსა ერსა შორის შენსა მოცემად შენ უფლისა მიერ ბარკალი შენი გარდაჳრდომად და მუცელი შენი განსივებად, 22 და შეივიდეს წყალი ესე დაწყეული მუცელსა შენსა, რაჲთა გარდავარდეს ბარკალი შენი და განასიოს მუცელი შენი. და თქუას დედაკაცმან მან: იყავნ, იყავნ. 23 და დაწეროს მღდელმან მან წყევა იგი წიგნსა და აღკოცოს იგი წყალსა მას შინა მხილებისასა 24 და ასუას დედაკაცსა მას წყალი იგი მხილებისა ფიცისა და შევიდეს მისა წყალი წყევისა მის მხილებისა. 25 და მოიღოს მღდელმან მან კელთაგან მის დედაკაცისათა შესაწირავი იგი შურისა სახისა და დადვას შესაწირავი იგი წინაშე უფლისა, საკურთხეველსა თანა. 26 და მოიღოს მჭელითა მღდელმან მან შესაწირავისა მისგან საკსენებელისა მისისა და შეწიროს იგი საკურთხეველსა ზედა, და ამისა შემდგომად ასუას დედაკაცსა მას წყალი იგი. 27 და უკუეთუ შეგინებულ იყოს დედაკაცი იგი და დაჳწყებით დააჳწყდა ქმარსა მისსა, შევიდეს წყალი იგი მხილებისა დაწყეული და განსივნეს მუცელი მისი და გარდავარდეს ბარკალი მისი, და იყოს დედაკაცი იგი წყეული ერსა შორის; 28 უკუეთუ არა შეგინებულ იყოს დედაკაცი იგი და წმიდა იყოს, უბრალო არს

G

ამის. 20 ხოლო უკუეთუ გარდასრულ ხარ შენ ქმრის ქუეშე მყოფი, ანუ შეგინებულ ხარ შენ და მო-ჳინმე-გცა საწოლი მისი შენ თანა თჳნიერ ქმრისა შენისა, 21 და აფუცოს მღდელმან დედაკაცი ფიცთა მიერ ამის წყევ(v)ისათა და ჰრქუას მღდელმან დედაკაცსა: მიგეცინ შენ უფალმან წყე[43]ვასა შინა და ფიცსა შინა შორის ერისა შენისა მოცემითა ღ̃ფლისაგან ბარკალი შენი მორღომილად და მუცელი შენი განსივებულად, 22 და შეივიდეს წყალი ესე დაწყეული მუცელსა შენსა განსივებად მუცლისა და მორდომად ბარკლისა შენისა. და თქუას დედაკაცმან: იყავნ, იყავნ. 23 და დაწერნეს მღდელმან წყევანი ყოველნი წიგნსა და აღკოცნეს წყალსა შინა მხილებისასა დაწყეულსა 24 და ასუას დედაკაცსა მას წყალი იგი ჳხილებისაჲ დაწყეული და შევიდეს მისსა წყალი იგი მხილებისაჲ დაწყეული. 25 და მოიღოს მღდელმან კელისაგან მის დედაკაცისა მსხუერპლი შურის სახეობისაჲ და დადვას მსხუერპლი იგი წინაშე უფლისა და შეიღოს იგი საკურთხეველსა ზედა. 26 და იმჭელოს მღდელმან მსხუერპლისაგან მოსაკსენებელისა მისისა და აღიღოს იგი საკურთხეველსა ზედა, და ამისსა შემდგომად სუას დედაკაცმან წყალი. 27 და იყოს, უკუეთუ იყოს ვიდრემე შეგინებულ და დაჳწყებით დაჰჳწყდა ქმარსა მისსა, და შე[v]ვიდეს მისსა წყალი მხილებისაჲ დაწყეული და განსივნეს მუცელი და დამოჰვარდეს ბარკალი მისი, და იყოს დედაკაცი იგი საწყევარად ერსა შორის მისსა; 28 ხოლო უკუეთუ არა შეიგინოს დედაკაცი, წმიდა და უბიწო

B: 24 ასუას. 26 ასვას.

G: 25 მსხუერპლი+იგი Gb. 28 შეიგინა Ga.

S

გამოიღოს. 29 ესე არს შჯული შურის სახისაჲ, რომლისა გარდაუჭდეს ცოლი ქმრისცოლ-ყოფილი და შეიგინოს, 30 გინათუ მამაკაცსა, რომელსა მოუკდეს სული მოშურნეობისაჲ და ჰშურობდეს ცოლისა თჳსისაჲ, და დაადგინოს ცოლი იგი თჳსი წინაშე უფლისა, და უყოს მას მღდელმან მან ყოველივე შჯული ესე, 31 და უბრალო იყოს კაცი იგი ცოდვისაგან და დედაკაცმან მან მოიღოს ცოდვაჲ თჳსი.

AK

გამოიღოს. 29 ესე არს შჯული შურის სახისაჲ, რომლისა გარდაუჭდეს ცოლი ქმრისცოლ-ყოფილი და შეიგინოს, 30 გინათუ მამაკაცსა, რომელსა შეუკდეს სული მოშურნეობისაჲ და შურდეს ცოლისა თჳსისა, დაადგინოს ცოლი თჳსი წინაშე უფლისა, და უყოს მას მღდელმან მან ყოველივე ესე შჯული, 31 და უბრალო იყოს კაცი იგი ცოდვისაგან და დედაკაცმან მოიღოს ცოდვაჲ თჳსი.

თავი VI

1 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 2 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ: მამაკაცმან ანუ დედაკაცმან, რომელმან ილოცოს ლოცვაჲ დიდად, (3) განიწმიდენენ სიწმიდითა უფლისაჲთა, 3 ღჳნისაგან და თაფლუჭისა განწმიდნეს, და ძმარი ღჳნისაგან და ძმარი თაფრუჭისაგან არა სუას, და ყოველი რომელი იქმნების ღჳნისაგან, არა სუას, და ყურძენი ახალი და შკიჟი არა ჭამოს. 4 ყოველთა დღეთა ლოცვისა მისისათა ყოვლისაგან, რომელი იქმნების ვენაკისაგან ღჳნოჲ, საგუდლითგან ვიდრე ნატკუეცლადმდე, არა ჭამოს. 5 ყოველთა დღეთა მათ განწმიდისათა მახჳლი არა აღვიდეს თავსა მისსა, ვიდრემდის აღივსნენ დღენი იგი, რომელ აღუთქუა უფალსა, წმიდა იყოს, მიუტეოს სიგრძედ თმაჲ თავისაჲ. 6 ყოველთა დღეთა ლოცვისა მისისათა უფლისა მიმართ სულსა ზედა აღსრულებულსა არა შევიდეს, 7 მამასა ზედა და დედასა და ძმასა და დასა არა შეიგინოს მათ შორის სიკუდილსა მათსა, რამეთუ ლოცვაჲ უფლისა მისისაჲ მის ზედა თავ-

1 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 2 ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ: მამაკაცმან ანუ დედაკაცმან, რომელმან ილოცოს დიდად ლოცვად, განიწმიდნენ სიწმიდითა უფლისაჲთა, 3 ღჳნისაგან და თაფლუჭისა და ძმრისა არა სუას, და ყოველი, რომელი იქმნების ღჳნისაგან, არა სუას, და ყურძენი ახალი და სკიჟი არა ჭამოს. 4 ყოველთა დღეთა ლოცვისა მისისათა და ყოველი, ნაგუდლითგან ვიდრე ნატკუეცადმდე, რომელი იქმნების [v] ვენაკისაგან ღჳნო, არა ჭამოს. 5 ყოველთა მათ დღეთა განწმედისათა მახჳლი არა აღვიდეს თავსა მისსა; ვიდრემდე აღივსნეს დღენი იგი, რომელ აღუთქუა უფალსა, წმიდა იყოს, მიუტეოს სიგრძედ თმაჲ თავისა. 6 ყოველთა დღეთა ლოცვისა მისისათა უფლისა მიმართ სულსა ზედა აღსრულებულსა არა შევიდეს, 7 მამისა ზედა და დედისა და ძმისა და დისა არა შეიგინოს მათ შორის სიკუდილსა მათსა, რამეთუ ლოცვაჲ უფლისა მისისა მის ზე-

S: VI 3 სუას 1°]სუან.

AK: 29 სახისა A. ქრმის- K. 30 მოშურნებისა A. 31 ცოდვა A. VI, ანუ დედაკაცმან—K. 4 ღჳნო—K. 5 თმა A. 7 ლოცვა A.

B

და თესლი გამოიღოს. 29 ესე არს შჯული შურისა საჴისა, რომელსა გარდაჴდეს ცოლი ქრმისა ცოლყოფილი და შეიგინოს, 30 გინათუ მამაკაცსა, რომელსა მოუკდეს სული მოშურნებისა და შურდეს ცოლისა თჳსისა, და დაადგინოს ცოლი იგი თჳსი წინაშე უფლისა, და უყოს მას მღდელმან მან ყოველივე ესე შჯული, 31 და უბრალო იყოს კაცი იგი ცოდვისაგან და დედაკაცმან მან მოიღოს ცოდვა თჳსი.

G

იყოს, და გამოათესლოს თესლი. 29 ესე არს სჯული შურის სახეობისაჲ, რომელიცა გარდაჰკდეს დედაკაცი ქმრის ქუეშე მყოფი და შეიგინოს, 30 ანუ კაცი, რომლისაცა მოვიდეს მის(105)ზედა სული შურობისაჲ და ეშურვოს ცოლსა თჳსსა... და ყოს მღდელმან ყოველი ესე შჯული, 31 და უბრალო იყოს კაცი იგი ცოდვისაგან და დედაკაცმან მან მიიღოს ცოდვაჲ თჳსი.

თავი VI

1 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 2 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ: მამაკაცმან ანუ დედაკაცმან, რომელმან აღუთქუას, ილოცოს ლოცვა დიდად, განიწმიდნენ სიწმიდითა უფლისაჲთა, 3 და მოითმინოს ღჳნისაჲან და თაფლუჭისა, ძმარი ღჳნისაგან და ძმარი თაფლუჭისა არა სუას, და ყოველი, რომელი იქმნების ღჳნისაგან, არა სუას, და ყურძენი ახალი და სკიჩი არა ჭამოს. 4 ყოველთა დღეთა ლოცვისა მისისათა და ყოველი რომელი იქმნების ვენაკისაგან ღჳნო, ნაგუდლითგან ვიდრე ნატკუცამდე, არა სუას, არცა ჭამოს ყოველთა მათ. 5 ყოველთა დღეთა ლოცვისა განწმედისა მისისათა მაბჯლი არა აღვიდეს თავსა მისსა, ვიდრემდის აღივსნეს დღენი მისნი, რომელ აღუთქუნა უფალსა, წმიდა იყოს, მიუტეოს სიგრძედ თმა თავისა. 6 ყოველთა დღეთა ლოცვისა მისისათა უფლისა მიმართ ყოველსა სულსა ზედა აღსრულებულსა არა შევიდეს, 7 მამასა და დედასა და ძმასა და დასა ზედა არა შეიგინოს მათ შორის სიკუდილსა მათსა, რამეთუ ლოცვა ღმრთისა მისისა მის ზედა არს

1 და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: 2 არქუ ძეთა ისრაელისათა და თქუ მათდა მიმართ: მამაკაცმან ანუ დედაკაცმან რომელმანცა (107v)* დიდად აღთქუას აღთქუმაჲ და უბიწო ყოფად უბიწოებაჲ უფალსა, 3 ღჳნისაგან და თაფლუჭისა უბიწო იყავნ, ღჳნისაგან და ძმრისაგან ღჳნისაგანისა და ძმრისაგან თაფლუჭისგანისა არა სუას, და რაოდენი შეიმზადების ყურძნისაგან, არა სუას, და ყურძენი ახალი და შკიჩი არა ჭამოს. 4 ყოველთა დღე[44]თა აღთქუმისა მისისათა ყოველთაგან, რაოდენნი იქმნებიან ვენაკისაგან ღჳნოჲ, (108) ნაგუერდლითგან ვიდრე ნატკეცადმდე, არა ჭამოს. 5 ყოველთა დღეთა უბიწო-ქმნისა აღთქუმისა მისისათა საპარსველი არა აღვიდეს თავსა მისსა, ვიდრემდის არა აღესრულნენ დღენი, რომელნი აღუთქუნა უფალსა, წმიდა იყოს მზრდელი ვარჯსა თმათა თავისათასა. 6 ყოველთა დღეთა აღთქუმისა უფლისათა ყოველსა სულსა აღსრულებულსა ზედა არა შევიდეს, 7 მამასა ზედა და დედასა და ძმასა და დასა ზედა არა შეიგინოს მათ მიერ სიკუდილსა მათსა, რამეთუ აღთქუმაჲ ღმრთისაჲ

B: 29 ცოლი]ცილი. 3 საკიჩი. სუას 1°]სუან. 5 მისისათა]მისისა. 6 აღუსრულებელსა. 7 სიკუდილსა. მათსა.

G: VI, 1 ეტყოდა Ga 4 ნაგურდლითგან Gb.

* 105v—107r-მდე (ჩაოელით) კომენური ტექსტი არ არის.

S

სა მისსა. 8 ყოველთა დღეთა ლოცვისა მისისათა წმიდა იყოს უფლისა. 9 უკუეთუ ვინმე მოკუდეს მის თანა, მეყსეულად შეიგინა თავი ლოცვისა მისისაჲ, და დაიყუნოს თავი მისი, რომელსა დღესა განწმიდნა, (10) და დღესა მეშჳდესა დაიყუნოს. 10 და დღესა მერვესა მოიქუნეს ორნი გურიტნი, ანუ ორნი მართუენი ტრედისანი მღდელისა მის, კარად კარვისა საწამებელისა, 11 და ყოს მღდელმან მან ერთი ცოდვისათჳს და ერთი ყოვლად-დასაწველად, და ლხინება ყოს მღდელმან მან, რომელთათჳს ცოდა სულისა მისთჳს, და განწმიდოს თავი მისი მას დღესა შინა. 12 მას დღესა განწმიდნეს უფლისა დღენი იგი ლოცვისანი და მოჰგუაროს ტარიგი წელიწადეული ცოდვისა მისთჳს და პირველნი იგი დღენი შეურაცხ იყვნენ, რამეთუ შეიგინა თავი ლოცვისა მისისაჲ.

13 ესე არს შჯული მლოცველისაჲ მის: რომელსა დღესა აღასრულნეს დღენი ლოცვისა მისისანი, შეწიროს მან კართა თანა კარვისა წამებისათა 14 და მოართუას ძღუენი მისი უფალსა: ტარიგი წელიწადეული უბიწოჲ ერთი ყოვლად-მწუარად და ტარიგი ნეზჳ წელიწადეული უბიწოჲ ერთი ცოდვისათჳს და ვერძი ერთი უბიწოჲ ცხორებისათჳს 15 და ლანკლითა უცომოჲ სამინდოჲსა პურნი, შექმნილნი ზეთითა, და ლელანგონი უცომონი, ზეთითა ცხებულნი, (16) და მსხუერპლი მათი და შესაწირავი მათი. 16 და მოიღოს იგი მღდელმან მან წინაშე უფლისა და ყოს იგი ცოდვისათჳს და მსხუერპლი იგი ყოვლად-მწუარი მისი. 17 და ვერძი იგი ყოს შესაწირავად ცხორებისა მისი-

AK

და. 8 ყოველთა დღეთა ლოცვისა მისისათა წმიდა იყოს უფლისა. 9 უკუეთუ ვინმე მოკუდეს მის თანა, მეყსეულად შეიგინა თავი ლოცვისა მისისა, და დაიყუნოს თავი მისი, რომელსა დღეს განწმიდნა, დღესა მეშჳდესა. 10 და დღესა მერვესა მოიქუნეს ორნი გურიტნი, ანუ ორნი მართუენი ტრედისანი მღდელისა, კარად კარვისა საწამებელისა, 11 და ყოს მღდელმან მან ერთი ცოდვისათჳს და ერთი ყოვლად-დასაწუელად, და ლხინება ყოს მღდელმან მან, რომლისათჳს ცოდა სულისა მისისათჳს, და განწმიდოს თავი მისი მას დღესა შინა. 12 მას დღესა განწმიდნეს უფლისა დღენი იგი ლოცვისანი და მოჰგუაროს ტარიგი წელიწდეული ცოდვისა მისისათჳს და პირველნი იგი დღენი შეურაცხ [ი]ყვნენ, რამეთუ შეიგინა თავი ლოცვისა [255] მისისა.

13 ესე არს შჯული მლოცველისაჲ მის: რომელსა დღესა აღასრულნეს დღენი ლოცვისა მისისანი, შეწიროს მან კართა თანა კარვისა წამებისათა 14 და მოართუას ძღუენი მისი უფალსა: ტარიგი წელიწდეული უბიწო ყოვლად-მწურად და ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ცოდვისათჳს უბიწო ერთი და ვერძი ერთი უბიწო ცხორებისათჳს 15 და ლანკნითა უცომო სამინდოსა პურნი, შექმნულნი ზეთითა, და ლენანგონი უცომონი, ცხებულნი ზეთითა, და მსხუერპლი მათი და შესაწირავი მათი. 16 მოიღოს მღდელმან წინაშე უფლისა და ყოს იგი ცოდვისათჳს და მსხუერპლი იგი ყოვლად-მწუარი. 17 და ვერძი იგი ყოს შესაწირავად ცხორებისა მი-

---

AK: 12 მას დღესა—K. ლოცვ:სანი—K. მოგუ˘ბროს K. წელიწადეული A. ყუნენ A. 13 მლოცველისა A. 14 ტარიგი 2°—K. ცოდვისათჳს—K. უბიწო 2°—K. 15 პური K. ლენანოგონი K.

B

და თავსა მისსა. 8 ყოველთა დღეთა ლოცვისა მისისათა წმიდა იყოს უფლისა. 9 უკუეთუ ვინმე მოკუდეს მის თანა მეყსეულად, მეყსეულად შეიგინა თავი ლოცვისა მისისა, და დაიყუჭნოს თავი მისი, რომელსა დღესა განწმიდნა, და დღესა მეშჳდესა დაიყუჭნოს. 10 და დღესა მერვესა მოიჩუნეს ორნი გურიტნი, ანუ ორნი მართუენი ტრედისანი მღდელისა მის, კარად კარვისა მის საწამებელისა, 11 და ყოს მღდელმან მან ერთი ცოდვისათჳს და ერთი ყოვლად-დასაწუელად, და ლხინება ყოს მღდელმან მან, რომელთათჳს ცოდა სულისა მისთჳს, და განწმიდოს თავი თჳსი მას დღესა შინა. 12 მას დღესა განწმიდნეს უფლისა დღენი იგი ლოცვისა მისისა და მოჰგუაროს ტარიგი წელიწდეული ცოდვისა მისთჳს და პირველნი იგი დღენი შეურაცხ იყუნენ, რამეთუ შეიგინა თავი ლოცვისა მისისა.

13 ესე არს შჯული მღოცველისა მის: რომელსა დღესა აღასრულნეს დღენი ლოცვისა მისისანი, შეწიროს მან კართა თანა კარვისა საწამებელისათა 14 და მოართუას ძღუენი მისი უფალსა: ტარიგი წელიწდეული უბიწო ერთი ყოვლად-დასაწველად და ტარიგი ნეზჳ წელიწდეული უბიწო ერთი ცოდვისათჳს და ვერძი ერთი უბიწო ცხოვრებისათჳს 15 და ლაკნითა უცომო სამინდოსა პურნი, შექმნილნი ზეთითა, და ლელანგო უცომონი, ზეთითა ცხებულნი, და მსხუერპლი მათი და შეწირავი მათი. 16 და მოიღოს მღდელმან მან წინაშე უფლისა და ყოს იგი ცოდვისათჳს და მსხუერპლი იგი ყოვლად-მწუარი მისი. 17 და ვერძი იგი ყოს შესაწირავად ცხორებისა მისისათჳს უფლისა ლაკანასა მას თანა უცომოსა, და ყოს

G

არს თავსა ზედა მისსა. 8 ყოველთა დღეთა წმიდა იყოს უფლისა. 9 ხოლო უკუეთუ ვინმე სიკუდილით მოკუდეს წინაშე მისსა მეყსეულად, მყის შეიგინოს თავი ლოცვისა მისისაჲ, და დაიყუჭნოს თავი თჳსი, რომელსა დღესა განწმიდნა, დღესა მეშჳდესა დაიყუჭნოს. 10 და დღესა მერვესა მოიქ(v)უნეს ორნი გურიტნი, ანუ ორნი მართუენი ტრედისანი მღდელისა მიმართ, კართა [v] თანა კარვისა საწამებელისათა, 11 და ყოს მღდელმან ერთი ცოდვისათჳს და ერთი ყოვლად-დასაწუველად, და ლხინება ყოს მისთჳს მღდელმან, მისთჳს, რომელ ცოდა სულისა მისთჳს, და განწმიდოს თავი თჳსი მას დღესა შინა, 12 რომელი განუწმიდა უფალსა ყოველთა დღეთა აღთქუმისა მისისათა, და მოიბას ტარიგი წელიწდეული ბრალისათჳს და დღენი პირველნი შეურაცხებელ იყუნენ, რამეთუ შეიგინა თავი აღთქუმისა მისისაჲ.

13 და ესე არს შჯული აღმთქუმელისაჲ: რომელსა დღესა სრულ ყუნეს დღენი აღთქუმისა მისისანი, მოვიდეს იგი [44] კართა თანა კარვისა საწამებელისათა 14 და შეწიროს ძღუენი მისი უფალსა: ტარიგი წელიწდეული ერთი ყოვლად-დასა(109)წუველად და ტარიგი ნეზჳ წელიწდეული უბიწოჲ ერთი ცოდვისათჳს და ვერძი უბიწოჲ ერთი მაცხოვარებისათჳს 15 და ლაკნაჲ უცომოჲ სამინდოჲსაჲ პურნი, აღსუარულნი ზეთითა, და ლელანგონი უცომონი, ცხებულნი ზეთითა, და მსხუერპლი მათი და შესაწირავი მათი. 16 და შეიღოს მღდელმან წინაშე უფლისა და ყოს ცოდვისა მისისა ძლითი და ყოვლად-დასაწუველი მისი. 17 და ვერძი იგი ყოს მსხუერპლად მაცხოვარებისად უფლისა ლანკანასა ზედა უცომოთასა, და ყოს მღდელმან

B: 10 კარად]კარვად. 12 განწმდნეს. არა იყუნენ. 15 უცომოსა.

S

სათჳს უფლისა ლანკანსა მას თანა უცომოსა, და ყოს მღდელმან შესაწირავი იგი მისი და მსხუერპლი მისი. 18 და დაიყუნოს მლოცველმან მან კართა თანა კარვისა საწამებელისათა თავი ლოცვისა მისისაჲ და დადვას თმაჲ იგი ცეცხლსა მას, რომელ-იგი არს შესაწირავისა მის ცხოვრებისაჲ. 19 და მოიღოს მღდელმან მან მკარი იგი მგბარი ვერძისა მისგან და პური ერთი უცომოჲ ლანკნისა მისგან და ლელანგოჲ უცომოჲ ერთი, და დაუდვას მღდელმან მან კელთა ზედა მის მლოცველისათა შემდგომად დაყუნვისა თავისა მის ლოცვისა მისისა, 20 და შეწიროს იგი მღდელმან მან დასადებელად წინაშე უფლისა: წმიდა იყოს იგი მღდელისა, მკერდისაჲ მის დასადებელისაჲ და მკრისაჲ მის შესაწირავისაჲ, და ამისა შემდგომად სუას მლოცველმან მან ღუნოჲ. 21 ესე არს შჯული მლოცველისაჲ მის, რაოდენიცა აღუთქუა უფალსა ძღუენი ლოცვისა მისისათჳს თჳნიერ მისსა, რომელი-რაჲ პოოს კელმან მისმან, ძალისაებრ აღთქმისა მისისა, რაოდენიცა აღუთქუას შჯულისა მისებრ უმეცრებისა მისისა უფლისა მიმართ.

22 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 23 ეტყოდე აჰრონს და ძეთა მისთა და არქუ მათ... (და დადვან სახელი ჩემი ძეთა ზედა ისრაელისათა, და მე, უფალმან, ვაკურთხნე იგინი):

24 გაკურთხენ შენ უფალმან და დაგიცევინ შენ,

25 გამოაჩინენ პირი მისი შენ ზედა და გაკურთხენ შენ,

26 მოაქციენ უფალმან პირი მისი შენ ზედა და მოგეცინ შენ მშჳდობაჲ.

AK

სისათჳს უფლისა ლანკანსა მას თანა უცომოთასა. 18 და დაიყუნოს მლოცველმან მან კართა თანა კარვისა საწამებელისათა თავი ლოცვისა მისისა და დასდვას თმაჲ იგი ცეცხლსა მას, რომელ-იგი არს შესაწირავისა მის ცხოვრებისა. 19 და მოიღოს მღდელმან მან მკარი იგი მგბარი ვერძისა მისგან და ლელანგო ერთი უცომოჲ... და დასდვას კელთა ზედა მის მლოცველისათა შემდგომად დაყუნვისა ლოცვისა მის მისისა, 20 [v] და შეწიროს მღდელმან მან დასადებელად წინაშე უფლისა: და წმიდა იყოს იგი მღდელისა, მკერდისა მის დასადებელისა და მკრისა მის შესაწირავისა, და ამისა შემდგომად სუას მლოცველმან მან ღუნოჲ. 21 ესე არს შჯული მლოცველისაჲ მის, რაოდენცა აღუთქუეს უფალსა ძღუენი ლოცვისა მისისათჳს თჳნიერ მისა, რომელი-რაჲ პოოს კელმან მისმან, ძალისაებრ აღთქმისა მისისა, რაოდენიცა აღუთქუას შჯულისა მისებრ უმეცრებისა მისისა უფლისა მიმართ.

22 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 23 ეტყოდე შენ აჰრონს და ძეთა მისთა და არქუ: ესრეთ აკურთხევდით ძეთა ისრაელისათა და არქუთ (დადვან სახელი ჩემი ძეთა ზედა ისრაელისათა და მუნ ვაკურთხნე იგინი):

24 გაკურთხენ შენ უფალმან და დაგიცევინ,

25 და გამოაჩინენ პირი მისი შენ ზედა და გაკურთხენ შენ,

26 მოაქციენ უფალმან პირი მისი შენ ზედა და მოგეცინ შენ მშჳდობაჲ.

S: 17 ლანკლანსა.

AK: 18 თმა A. 19 უცომო A. მის 2°—K. 20 მღდლისა K. ღუნო K. 21 მლოცველისა A. აღთქმისა მისისა]მათისა K. რაოდენიცა.... მისებრ—K. 23 აჰრონს K. არქუთ]არქუ K. 25 და გაკურთხენ შენ—K. 26 მოაქციენ.... შენ ზედა—K.

B

მღდელმან მან შესაწირავი იგი მისი და მსხუერპლი მისი. 18 დაიყუნოს მლოცველმან მან კართა თანა კარვისა საწამებელისათა თავი ლოცვისა მისისა და დადვას თმა იგი ცეცხლსა მას, რომელი-იგი არს შესაწირავისა მის ცხორებისა. 19 და მოიღოს მღდელმან მან მჭარი იგი მგბარი ვერძისა მისგან და პური ერთი უცომო ლაკნისა მისგან და ლელანგო, დაუდვას ჴელთა ზედა მის მლოცველისათა შემდგომად დაყუენისა თავი მისი ლოცვისა მისისა, 20 შეწიროს იგი მღდელმან მან დასადებელად წინაშე უფლისა: წმიდა იყოს იგი მღდელისა, მკერდისა მის დასადებელისა და მჭარისა მის შესაწირავისა, და ამისა შემდგომად სუას მლოცველმან მან ღუნო. 21 ესე არს შჯული მლოცველისა მის, რაოდენიცა აღუთქუა უფალსა ძღუენი ლოცვისა მისისათჳს თჳნიერ მისა, რომელი პოოს ჴელმან მისმან, ძალისაებრ აღთქმისა მისისა, რაოდენიცა აღუთქუას შჯულისა მისებრ უმეცრებისა მისისა.

22 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 23 ეტყოდე აარონს და ძეთა მისთა და არქუ მათ: ესრეთ აკურთხევდით ძეთა ისრაელისათა და არქუთ მათ (და დადვან სახელი ჩემი ძეთა ზედა ისრაელისათა, და მე, უფალმან, ვაკურთხნე იგინი):

24 გაკურთხენ შენ უფალმან და დაგიცუენ შენ,

25 გამოაჩინენ პირი მისი შენ ზედა და გაკურთხენ შენ,

26 მოაქციენ უფალმან პირი მისი შენ ზედა და მოგეცინ შენ მშჳდობა.

G

მსხუერპლი მისი და შესაწირავი მისი. 18 და დაიყუნოს აღმთქუმელმან მან თავი აღთქუმისა მისისაჲ კართა თანა (v) კარვისა საწამებელისათა და დასხნეს თმანი ცეცხლსა ზედა, რომელ არს მსხუერპლსა ზედა მაცხოვარებისასა. 19 და მოიღოს მღდელმან მჭარი მგბარი ვერძისაგან და პური უცომოჲ ერთი ლანჯისაგან და ლელანგოჲ უცომოჲ ერთი და დასხნეს ჴელთა ზედა აღმთქუმელისათა შემდგომად დაყუენისა მისგან თავსა ლოცვისა მისისასა, 20 და შეწირნეს იგინი მღდელმან დასადებელად (110) წინაშე უფლისაჲ: წმიდა იყვნენ იგინი მღდელისა, მკერდსა თანა დასადებელისასა და მჭარსა თანა განჩინებისასა, და ამის შემდგომად სუას აღმთქუმელმან მან ღუნოჲ. 21 ესე არს შჯული აღმთქუმელისაჲ, რომელმან აღუთქუას ძღუენი მისი უფალსა აღთქუმისათჳს მისისა თჳნიერ, რომელნი პოვნენ ჴელმან მისმან, ძალისაებრ აღთქუმისა მისისა, რომელიცა აღთქუას შჯულისაებრ უბიწოებისა.

22 და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: 23 არქუ აარონს და ძეთა მისთა, მეტყუელმან: ესრეთ აკურთხევდეთ ძეთა ისრაელისათა, მეტყუელნი მათდა მიმართ (ღაღადებდენ სახელსა ჩემსა ძეთა ზედა ისრაელისათა, და მე ვაკურთხნე იგინი):

24 გაკურთხენინ შენ უფალმან და დაგიცევინ შენ,

25 გამოაჩინენ უფალმან პირი თჳსი შენ ზედა და შეგიწყალენ შენ,

26 და აღიპყარნ უფალმან პირი მისი შენ ზედა და მოგეცინ შენ მშჳდობაჲ.

B: 21 მისმან]მის. 26 მშჳდობა+და დაედვა სახელი ჩემი ძეთა ზედა ისრაელისათა და მე უფალმან ვაკურთხო იგი.

G: 20 იგინი 1°]იგი Ga. სუას—Gb. მან—Gb.

თავი VII

S

1 და იყო, დღესა მას, რომელსა აღასრულა მოსე, რაჲთა აღმართოს კარავი იგი, და სცხო მას და განწმიდა იგი. 2 და შეწირეს მთავართა მათ ისრაელისათა, ათორმეტთა მთავართა სახლთა მამათა მათთაჲსა, ესე მთავარნი ტომთანი, ესენი წინაშე მდგომელნი მოღუაწებისანი, 3 და მოიღეს შესაწირავი მათი წინაშე უფლისა: ექუსი ურემი კარვედი და ათორმეტი ჯარი, ურემი ერთი ორთაგან მთავართა და ჯარი თითოჲ კაცად-კაცადმან მოიბა წინაშე კარავსა. 4 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 5 მოიღე მათგან და იყვნენ საქმესა მას მსახურებისა[სა] კარვისა მის საწამებელისა, და მისცენ იგინი ლევიტელთა მათ, კაცად-კაცადსა მსგავსად თჳსისა მის მსახურებისა. 6 და მოიღო მოსე ურმები იგი და ჯარები იგი, მისცა იგი ლევიტელთა მათ: 7 ორნი იგი ურემნი და ოთხი ჯარი მისცა ძეთა გეთსონისთა, მსგავსად მსახურებისა მათისა, 8 და ოთხი იგი ურემი და რვაჲ ჯარი მისცა ძეთა მერარისთა, მსგავსად მსახურებისა მათისა, ითამარის მიერ, ძისა აჰრონის მღდელისა, 9 ხოლო ძეთა კაათისთა არა მისცა, რამეთუ სამსახურებელი იგი სიწმიდისაჲ აქუნდა და მჯრითა აღიღოდიან.

10 და მოართუეს მთავართა მათ სატფურებასა მას კარვისასა, დღესა, რომელსა სცხო მას, და შეწირეს მთავართა მათ შესაწირავი მათი წინაშე საკურთხეველსა მას. 11 და ჰრქუა უფალმან მოსეს: მთავარმან ერთმან დღითი-დღედ შეწირენ შესაწირავი თჳსი სატფურებასა მას საკურთხეველისაჲსა.

12 და იყო, დღესა მას პირველსა შეწირა შესაწირავი მისი ნაასონ, ძემან ამინადაბისმან, მთავარმან ტომისა

AK

1 და იყო, დღესა მას, რომელსა აღასრულა მოსე, რაჲთა აღმართოს კარავი იგი, და სცხო მას და განწმიდა იგი. 2 და შეწირონ* მთავართა მათ ისრაელისათა, ათორმეტთა მთავართა სახლთა მამათა მათთასა, ესე მთავარნი ტომთანი, ესე წინაშე მდგომელნი მოღუაწებისანი, 3 [256] და მოიღეს შესაწირავი მათი წინაშე უფლისა: ექუსი ურემი კარვედი და ათორმეტი ჯარი, ურემი ერთი ორთაგან მთავართა და ჯარი თითო კაცად-კაცადმან მოიბა წინაშე კარვისა. 4 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: მოიღე მათგან და იყვნენ საქმესა მსახურებისასა კარვისა მის საწამებელისა, და მისცენ იგინი ლევიტელთა მათ, კაცად-კაცადსა მსგავსად თჳსისა მის მსახურებისა. 6 და მოიღო მოსე ურმები იგი და ჯარები და მისცა ლევიტელთა მათ: 7 ორნი იგი ურემნი და ოთხი ჯარი მისცა ძეთა გეთსონისთა, მსგავსად მსახურებისა მათისა, 8 და ოთხი ურემი და რვაჲ ჯარი მისცა ძეთა მერარისთა, მსგავსად მსახურებისა მათისა, ითამარის მიერ, ძისა აჰრონ მღდელისა, 9 ხოლო ძეთა კაათისთა არა მისცა, რამეთუ სამსახურებელი იგი სიწმიდისაჲ აქუნდა და მჯრითა აღიღოდიან.

10 და მოართუეს მთავართა მათ სატფურებასა მას კარვისასა, დღესა, რომელსა სცხო მას, და შეწირეს მთავართა მათ შესაწირავი მათი წინაშე საკურთხეველისა. 11 და ჰრქუა უფალმან მოსეს: მთავარმან ერთმან დღითი-დღედ შეწირენ [v] შესაწირავი თჳსი სატფურებასა მას საკურთხეველისაჲსა.

12 და იყო, დღესა მას პირველსა შეწირა შესაწირავი მისი ნასონ**, ძემან

S: 12 პირველსა+და.

AK: VII, 1 აღჰმართოს A. 2 შეწირონ—K. 5 იყუნენ A. 7 გეთსონისთა+მსგავსად გეთსონისთა A. 8 რვა A. ითამარის K. სიწმიდისა K.

* A-ში წერებულა „არა შეწირონ“. „არა“ გადახაზულია.

** A-ში კიდეზე სხვა ხელით მხედრულით წერია: „ჰარონის ცოლის ძმა“.

B

1 და იყო, დღესა მას, რომელსა აღასრულა მოსე, რაჲთა აღმართოს კარავი იგი, და სცხო მას და განწმიდა იგი და ყოველი ჭურჭელი მისი, და საკურთხეველი და ყოველი ჭურჭელი მისი, და სცხოს მას და განწმიდოს იგი(!) 2 და შეწირეს მთავართა მათ ისრაელისათა, ათორმეტთა მთავართა სახლთა მამათა მათთასა, ესე მთავარნი თჳთეულნი ტომნი, ესენი წინაშე მდგომელნი მოღუაწებისანი, 3 და მოიღეს შესაწირავი მათი წინაშე უფლისა: ექუსი ურემი კარვედი და ათორმეტი ჯარი, ურემი ერთი ორთაგან მთავართა და ჯარი თითოჲ კაცად-კაცადმან მოიბა წინაშე კარვისა. 4 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 5 მოიღე ეგე მათგან და იყუნენ საქმესა მას მსახურებისასა კარვისა მის საწამებელისასა, და მისცნე იგინი ლევიტელთა მათ, კაცად-კაცადსა მსგავსად თჳსისა მის მსახურებისა. 6 და მოიღო მოსე ურმები იგი და ხარეჲ და მისცა იგი ლევიტელთა მათ: 7 ორნი იგი ურემნი და ოთხი ჯარი მისცა ძეთა გეთონისთა, მსგავსად მსახურებისა მათისა, 8 ოთხი იგი ურემი და რვა ჯარი მისცა ძეთა მერარისთა, მსგავსად მსახურებისა მათისა, იათამარის მიერ, ძისა აჰრონის მღდელისა, 9 ხოლო ძეთა კათისთა არა მისცა, რამეთუ სამსახურებელი იგი სიწმიდისა აქუნდა და მჯრითა აღიღებდიან.

10 და მოართუეს მთავართა მათ სატფურებასა მას საკურთხეველ[ისა]სა, დღესა, რომელსა სცხო მას, და შეწირეს მთავართა მათ შესაწირავი მათი წინაშე საკურთხეველსა მას. 11 და ჰრქუა უფალმან მოსეს: მთავარმან ერთმან დღითი-დღედ შესწირენ შესაწირავი თჳსი სატფურებასა მას საკურთხეველისასა.

12 და იყო, დღესა მას პირველსა შე-

G

1 და იყო, დღესა, რომელსა განასრულა მოსე (v) კარავი, რაჲთა აღჰმართოს კარავი, და სცხო მას და განწმიდა იგი და ყოველნი ჭურჭელნი მისნი, და საკურთხეველი და ყოველნი ჭურჭელნი მისნი, და სცხო მათ და განწმიდნა იგინი. 2 [45] და შეწირეს მთავართა ისრაელისათა, ათორმეტთა მთავართა სახლისა ტომობისა მათისათა, ესე იგი არს მთავართა ტომთასა, ამათ წინაშე მდგომელთა ზედამსტურობისათა, 3 და მოიხუნეს ძღუენნი მათნი წინაშე უფლისა: ექუსი ურემი კარვედი და ათორმეტნი ჯარნი, ურემი ერთი ორთაგან მთავართა და ჯარი თითოეულისაგან, და მოიხუნეს წინაშე კარვისა. 4 და თქუა უფალმან მოსეს მიმართ, მეტყუელმან: 5 მიიხუენ მათგან და იყვნენ საქმეთა მიმართ [სა]სამსახუროთა კარვისა წამებისათა, და (111) მისცნე იგინი ლევიტელთა, კაცად-კაცადსა მსახურებისაებრ მისისა. 6 და მიმხუმელმან მოსე ურმებისა და ჯართმან მისცნა იგინი ლევიტელთა: 7 ორნი ურემნი და ოთხნი ჯარნი მისცნა ძეთა გედსონისთა, მსგავსად მსახურებათა მათთაჲსა, 8 და ოთხნი ურემნი და რვანი ჯარნი მისცნა ძეთა მერარისთა, მსგავსად მსახურებათა მათთაჲსა, ითამარის მიერ, ძისა აარონ მღდელისა, 9 და ძეთა კაათისთა არა მისცნა, რამეთუ სამსახურნი წმიდისანი აქუნდეს და მჯრითა აღიღოდიან.

10 და მოართუეს მთავართა სატფურებასა საკურთხეველისასა დღესა, რომელსა სცხო მას, და შეიღეს მთავართა ძღუენი მათი წინაშე საკურთხეველისა. 11 და თქუა უფალმან მოსეს მიმართ: მთავარმან ერთმან დღითი-დღედ შეწირენ ძღუენნი მათნი სატფურებასა საკურთხეველისასა.

12 და იყო, რომელმან შეწირნა დღე-

B: 3 მოიღოს. კარედი. ჯარი 1°]მჯარი. მოაბას. 8 იათამრის. 11 დღითი დღედ+და მთავარნი დღესა მეორესა.

იუდაასთამან. [13] და შეწირა შესაწირავი მისი: (13) ლანჯნაჲ ვეცხლისაჲ ერთი, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ვეცხლისაჲ, სამეოცდაათ სასწორის სასწორითა წმიდითა, — ორნივე სავსენი სამინდოჲთა, შესუარული ზეთითა შესაწირავად, [14] პარაფსიტი ოქროჲსაჲ, ათი სასწორი მისი, სავსე საკუმეველითა, [15] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, (16) ვერძი ერთი და ტარიგი წელიწადეული ყოვლად-მწუარად [16] (17) და ვაცი ერთი თხათაგან ცოდვისათჳს, [17] და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგი წელიწადეული ხუთ — ესე შესაწირავი ნაასონისი, ძისა ამინადაბისი.

[18] დღესა მეორესა შეწირა ნათანაელ, ძემან სოგარისმან, ტომისა ისაქარისმან. [19] და შეწირა შესაწირავი მისი: (19) ლანჯნაჲ ერთი ვეცხლისაჲ, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ვეცხლისაჲ, სამეოცდაათ სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა, — ორნივე სავსენი სამინდოჲთა, შესუარულნი ზეთითა შესაწირავად, [20] პარაფსიტი ოქროჲსაჲ, ათი სასწორი მისი, სავსე საკუმეველითა, [21] (20) ზუარაკი ერთი ზროხათაგან, (21) ვერძი ერთი უბიწოჲ წელიწდეული ყოვლად-დასაწველად, [22] ვაცი ერთი თხათაგან ცოდვისათჳს, [23] და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგები ხუთ, — ესე შესაწირავი ნათანაელისი, ძისა სოგარისი.

[24] დღესა მესამესა შეწირა მთავარმან ძეთა ზაბულონისთამან ელიაბ, ძემან ქელონისმან. (25) შესაწირავი მისი: [25] ლანჯნაჲ ერთი ვეცხლისაჲ, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეამინადაბისმან, მთავარმან ტომისა იუდასმან: [13] ლანჯანა ვეცხლისა ერთი, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ვეცხლისა, სამეოცდაათ სასწორის სასწორითა წმიდითა, — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესუარულნი ზეთითა შესაწირავად, [14] პარაფსიტი ოქროსა ათი სასწორი, სავსე საკუმეველითა, [15] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი წელიწდეული ყოვლად-მწუარად [16] და ვაცი ერთი თხათაგან ცოდვისათჳს, [17] და შესაწირავად ცხორებისა დიაკეულ ორი, ვერძი ხუთი, ვაცი ხუთი, ტარიგი წელიწდეული ხუთი — ესე შესაწირავი ნასონისი, ძისა ამინადაბისი.

[18] დღესა მეორესა შეწირა ნათანაელ, ძემან სოგარისმან, ტომისა ისაქარისმან. [19] შესაწირავი მისი: ლანჯანა ერთი ვეცხლისა, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ვეცხლისა სამეოცდაათ სასწორის სასწორითა წმიდითა, — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესუარულნი ზეთითა შესაწირავად, [20] [257] პარაფსიტი ოქროსა, ათი სასწორი, სავსე საკუმეველითა, [21] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად, [22] ვაცი ერთი თხათაგან ცოდვისათჳს, [23] და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგები ხუთ, — ესე შესაწირავი ნათანაელისი, ძისა სოგარისი.

[24] დღესა მესამესა შეწირა მთავარმან ძეთა ზაბულონისთამან ელიაბ, ძემან ქელონისმან. შესაწირავი მისი: [25] ლანჯნა ერთი ვეცხლისაჲ ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისა, სა-

---

S: [18] საგორისმან.

AK: [13] სასწორის—K. შესუარული K. [14] წელიწადეული A. -მწურად A. [17] წელიწადეული A. [18] და დღესა K. [24] და დღესა K. [25] ლანჯანა K. ვეცხლისა A. ფიალი.... სასწორი მისი—A.

წირა შესაწირავი მისი ნასონ, ძემან ამინადაბისმან, მთავარმან ტომთა იუდიანისთამან. 13 შეწირა შესაწირავი მისი: ლაკანა ვეცხლისა ერთი, ასოცდაათი სასწორი მისი, ფიალი მისი, სასმისი ვეცხლისა ერთი, სამეოცდაათ სასწორი მისი სასწორითა წმიდითა — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესუარული ზეთითა შესაწირავად, 14 პაროფსიდი ოქროსა, ათი სასწორი მისი, სავსე საკმეველითა, 15 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი ერთწლეული ყოვლად-დასაწველად, 16 თხა ერთი თხათაგან ცოდვისათჳს 17 და შესაწირავად ცხოვრებისა დიაკეული ორი, ვერძი ხუთი, ვაცი ხუთი, ტარიგი წელიწდეული ხუთი — ესე შესაწირავი ნასონისი, ძისა ამინადაბისი.

18 და დღესა მეორესა შეწირა ნათანაელ, ძემან საგურისმან, მთავარმან ტომისა იზაქარისმან, 19 შესაწირავი მისი: ლაკანა ერთი ვეცხლისაჲ, ასოცდაათი სასწორი მისი, ფიალა ერთი ვეცხლისა, სამეოცდაათი სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა, — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესუარული ზეთითა შესაწირავად, 20 პაროფსიდი ოქროსაჲ, ათი სასწორი მისი, სავსე საკმეველითა, 21 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი უბიწო წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად, 22 ვაცი ერთი თხათაგან ცოდვისათჳს 23 და შესაწირავად ცხოვრებისადა დიაკეული ორი, ვერძი ხუთი, ვაცი ხუთი, ტარიგები ერთ წლისა ხუთი — ესე შესაწირავი ნათანელისი, ძისა საგორისი.

24 დღესა მესამესა შეწირა მთავარმან ძეთა ზაბულონისთამან ელიაბ, ძემან ქელეონისმან. 25 შესაწირავი მისი: ლაკანა ერთი ვეცხლისა, ასოცდაათი სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისა, სამეოცდაათი სასწორი მისი სასწორი-

12. წიგნი ძუელისა აღთქუმისანი

სა პირველსა ძღუენნი მისნი, ნაასონ, ძე ამინადაბისი, მთავარი ტომისა იუდაჲსი. 13 და შეწირა ძღუენი მისი: ლანკნაჲ (v) ვეცხლისაჲ ერთი, ასოცდაათი სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისაჲ სამოცდაათისა სიკლისაჲ სიკლისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოჲთა, აღსუარულითა ზეთისა მიერ სამსხუერპლოდ, 14 პარაფსიდი ერთი ათთა ოქროთაჲ, სავსე საკუმეველითა, 15 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული ყოვლად-დასაწუველად 16 და ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს 17 და მსხუერპლად მაცხოვარებისად დიაკეულნი ორნი, ვერძნი ხუთნი, ვაცნი ხუთნი, [v] ტარიგნი ნეზუნი წელიწდეულნი ხუთნი — ესე არს ძღუენი ნაასონისი, ძისა ამინადაბისი.

18 და დღესა მეორესა შეწირა ნათანაილ, ძემან სოღარისმან, ტომისა ისახარისმან. 19 და (112) მოიღო ძღუენი მისი: ლანკნაჲ ვეცხლისაჲ ერთი, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისაჲ, სამეოცდაათისა სიკლისაჲ სიკლისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოჲთა აღსუარულითა ზეთისა მიერ სამსხუერპლოდ, 20 პაროფსიდი ერთი ათთა ოქროთაჲ, სავსე საკუმეველითა, 21 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული ყოვლად-დასაწუველად 22 და ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს 23 და მსხუერპლად მაცხოვარებისად დიაკეულნი ორნი, ვერძნი ხუთნი, (v) ვაცნი ხუთნი, ტარიგნი ნეზუნი წელიწდეულნი ხუთნი —!ესე არს ძღუენი ნათანაილისი, ძისა სოღარისი.

24 დღესა მესამესა [შეწირა] მთავარმან ძეთა ზაბულონისთამან ელიაბ, ძემან აქელონისმან. 25 შეწირა ძღუენი (113) მისი: ლაკნაჲ ვეცხლისაჲ ერთი, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ერთი ვე-

S

ცხლისაჲ, სამეოცდაათ სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოჲთა, შესუარულნი ზეთითა შესაწირავად, 26 პარაფსიტი ერთი ოქროჲსაჲ, ათი სასწორი მისი, სავსე საკმეველითა, 27 ზუარაკი ერთ ზროხათაგან, ვერძი ერთ, წელიწადეული უბიწოჲ ყოველად-დასაწველად, 28 ვაცი თხათაგან ცოდვისათჳს, 29 და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგები წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირაჲ ელიაბისი, ძისა ქელონისი.

30 დღესა მეოთხესა შეწირა მთავარმან ძეთა რუბენისთამან ელიასურ, ძემან ედიორისმან. 31 შესაწირავი მისი: ლანკანაჲ ვეცხლისაჲ ერთ ასოცდაათისა სასწორისაჲ, ფიალი ერთი ვეცხლისაჲ, სამეოცდაათი სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოჲთა, შესუარულნი ზეთითა, 32 პარაფსიტი ოქროჲსაჲ ერთი, 33 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი უბიწოჲ წელიწდეული ყოველად-დასაწეველად, 34 ვაცი თხათაგან ერთ ცოდვათათჳს 35 და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი ელისორისი, ძისა ედიორისი.

36 დღესა მეხუთესა შეწირა მთავარმან ძეთა სჳმეონისთამან სალამიელ, ძემან სურისადაჲსმან. 37 შესაწირავი მისი: ლანკანაჲ ვეცხლისაჲ ერთი, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისაჲ, სამეოცდაათ სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოჲთა, შესუარული ზეთითა,

AK

მეოცდაათ სასწორი მისი სასწორისაებ
წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდო
თა, შესუარულნი ზეთითა შესაწირავად
26 პარაფსიტი ერთი ოქროსა, ათი სა
წორი მისი, სავსე საკუმეველითა,
ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერ
თი წელიწდეული უბიწო ყოველად-დ
საწუელად, 28 ვაცი ერთი თხათაგან,
და შესაწირავად ცხორებისა დიაკეულ
ორ, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგებ
წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავ
ელიაბისი, ძისა ქელონისი.

30 დღესა მეოთხესა შეწირა მთავარმან ძეთა რუბენისთა[v]მან ელისურ, ძემან ედიურისმან. 31 შესაწირავი მისი: ლანკნა ვეცხლისა ერთი ასოცდაათ სასწორისაჲ, ფიალი ერთ ვეცხლისა, სამეოცდაათი სასწორი სასწორითა წმიდითა — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესუარული ზეთითა. 32 პარაფსიტი ოქროსა ერთი, სავსე საკუმეველითა, 33 ზუარაკი ერთი... უბიწო წელიწდეული ყოველად-დასაწუელად, 34 ვაცი ერთი ცოდვისათჳს, 35 და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი ელისურისი, ძისა ედიურისი.

36 დღესა მეხუთესა შეწირა მთავარმან ძეთა სჳმეონისთამან სალამიელ, ძემან სურისადასამან. 37 შესაწირავი მისი: ლანკნა ვეცხლისა ერთ, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ვეცხლისა ერთ, სამეოცდაათ სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სა-

---

AK: 26 ~ოქროსა ერთი K. 27 ზროხათაგან ვერძი ერთი—K. ~უბიწოჲ წელიწდეული K. 28 თხათაგან]ცოდვისათჳს K. 29 ვაცი ხუთ—K. ტარიგები წელიწადეული]ტარიგი ნეზჳ წელიწდეული K. 36 სასწორისა A. 37 ერთი+ათი სასწორი მისი K. (მერმეა ჩამატებული). 38 სურისადასამან] სურისა K.

* 26—29 მუხლები K ხელნაწერში მერმეა ჩამატებული.

B

საებრ წმიდისა — ორივე სავსენი სამინდოთა, შესუარული ზეთითა შესაწირავად, 26 პაროფსიტი ოქროსაჲ ათი სასწორი, სავსე საკმეველითა, 27 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული ყოვლადდასაწუელად, 28 ვაცი ერთი თხათაგან ცოდვისათჳს, 29 შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორი, ვერძი ხუთი, ვაცი ხუთი, ტარიგები წელიწდეული ხუთი — ესე შესაწირავი ელიაბისი, ძისა ქელეონისი.

30 დღესა მეოთხესა შეწირა მთავარმან ძეთა რუბენისთამან ელისურ, ძემან ედისურისმან. 31 შესაწირავი მისი: ლაკანა ვეცხლისა ერთი, ასოცდაათი სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისა, სამეოცდაათი სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესუარული ზეთითა შესაწირავად, 32 პაროფსიდი ოქროსა ათი სასწორი, სავსე საკმეველითა, 33 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად, 34 ვაცი ერთი თხათაგან ცოდვისათჳს, 35 და შესაწირავად ცხორებისათჳს დიაკეული ორი, ვერძი ხუთი, ვაცი ხუთი, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთი — ესე შესაწირავი ელისურისი, ძისა ედისურისი.

36 დღესა მეხუთესა შეწირა მთავარმან ძეთა სჯმიონისთამან სალამიელ, ძემან სურიდისამან. 37 შესაწირავი მისი: ლაკანა ვეცხლისა ერთი, ასოცდაათი სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისა, სამეოცდაათი სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესვარული ზეთითა

G

ცხლისაჲ, სამეოცდაათისა სიკლისაჲ [46] სიკლისაებრ წმიდისა — ორნივე აღსავსენი სამინდოჲთა, აღსუარულითა ზეთისა მიერ სამ(ν)სხუერპლოდ, 26 პაროფსიდი ერთი ათთა ოქროთაჲ, სავსე საკუმეველითა, 27 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად 28 და ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს 29 და მსხუერპლად მაცხოვარებისად დიაკეულნი ორნი, ვერძნი ხუთნი, ვაცნი ხუთნი, ტარიგნი ნეზუნი წელიწდეულნი ხუთნი — ესე არს ძღუენი ელიაბისი, ძისა აქელონისი.

30 დღესა მეოთხეჲსა მთავარი ძეთა რუბენისთა ელისურ, ძე სედიურისი*. 31 ძღუენი მისი: ლაკნაჲ ვეცხლისაჲ ერთი, ჲსოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისაჲ სამეოცდაათისა სიკლისაჲ სიკლისაებრ წმიდისა — ორნივე აღსავსენი სამინდოჲთა, აღსუარულითა ზეთისა მიერ სამსხუერპლოდ, 32 პაროფსიდი ერთი ათთა ოქროთაჲ, სავსე საკუმეველითა, 33 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად 34 და ვაცი თხა[ν]თაგან ერთი ცოდვისათჳს 35 და მსხუერპლად მაცხოვარებისად დიაკეულნი ორნი, ვერძნი ხუთნი, ვაცნი ხუთნი, ტარიგნი ნეზუნი წელიწდეულნი ხუთნი — ესე არს ძღუენი ელისურისი, ძისა სედიურისი.

36 დღესა მეხუთ(114)ესა მთავარი ძეთა სჯმეონისთაჲ სალამიილ, ძე სურისადაისი. 37 ძღუენი მისი: ლაკნაჲ ვეცხლისაჲ ერთი, ჲსოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისაჲ სამეოცდაათისა სიკლისაჲ სიკლისაებრ წმიდისა — ორნივე აღსავსენი სამინდოჲთა, აღსუარულითა ზეთისა მიერ სამ-

---

B: 27 წელიწდეული+და. 31 შესაწირავად]შესაწირაესა. 36 მეოთხესა.

G: 30 მთავარ Ga. სედიურისმან Ga. 36 მთავარ Ga. სჯმეონისთა Ga. სურისადაისმან Ga.

* Gb-ში თავდაპირველად წერებულ•: „დღესა მეოთხესა მთავარმან ძეთა რუბენისთამან ელისურ, ძემან სედიურისმან“—შუხლი შემდეგ ჩაუსწორებიათ.

S

38 პარაფსიტი ერთი ოქროჲსაჲ, ათი სასწორი მისი, სავსე საკუმეველითა, 39 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი უბიწოჲ წელიწდეული ყოვლად-დასაწველად, 40 ვაცი ერთი თხათაგან ცოდვისათჳს, 41 და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი სალამიელისი, ძისა სურისადაჲსი.

42 დღესა მეექუსესა შეწირა მთავარმან ძეთა გადისთამან ელისამა, ძემან რაგუელისმან. 43 შესაწირავი მისი: ლანკანაჲ ვეცხლისაჲ ერთი ასოცდაათისა სასწორისაჲ, ფიალი ვეცხლისაჲ ერთ, სამეოცდაათ სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოჲთა, შესუარულნი ზეთითა, 44 პარაფსიტი ოქროჲსაჲ ერთი, სავსე საკუმეველითა, 45 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი წელიწდეული ყოვლად-დასაწველად 46 და ვაცი თხათაგან ცოდვათათჳს, 47 და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირველ ელისაფანისი, ძისა რაგუელისი.

48 დღესა მეშჳდესა შეწირა მთავარმან ძეთა ეფრემისთამან ელისამა, ძემან სემეოდისმან. 49 შესაწირავი მისი: ლანკანაჲ ვეცხლისაჲ ერთ, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ვეცხლისაჲ ერთ, სამეოცდაათ სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოჲთა, შესუარულნი ზეთითა შესაწირავად, 50 პარაფსიტი ოქროჲსაჲ ერთ, ათი სასწორი მისი, სავსე საკუმეველითა,

AK

მინდოთა, შესუარული ზეთითა, 38 პარაფსიტი ოქროსაჲ ერთი, ათი სასწორი მისი, სავსე საკუმეველითა, 39 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად, 40 ვაცი [258] ერთი თხათაგან ცოდვისათჳს, 41 შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი სალამიელისი, ძისა სურისადასი.

42 დღესა მეექუსესა შეწირა მთავარმან ძეთა გადისთამან ელისამა, ძემან რაგოელისამან, 43 შესაწირავი მისი: ლანკნა ვეცხლისა ერთი, ასოცდაათისა სასწორისა, ფიალი ვეცხლისა ერთ, სამეოცდაათისა სასწორისა სასწორითა წმიდითა — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესუარულნი ზეთითა, 44 პარაფსიტი ოქროსა ერთი, სავსე საკუმეველითა, 45 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად, 46 ვაცი თხათაგან ცოდვისათჳს, 47 და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი ელისაფანისი, ძისა რაგოელისი.

48 დღესა მეშჳდესა შეწირა მთავარმან ძეთა ეფრემისთამან ელისამა, ძემან სემიუდისმან. 49 შესაწირავი მისი: ლანკნა ვეცხლისა ერთი, ასოცდაათ სასწორი [v] მისი, ფიალი ვეცხლისა ერთი, სამეოცდაათ სასწორი მისი სასწორითა წმიდათა — ორივე სავსე სამინდოთა, შესუარული ზეთითა შესაწირავად, 50 პარაფსიტი ოქროსა ერთი, ათი სასწო-

---

AK: 40 თხათაგან]ოთხთაგან A. 41 სურისადასი]სურისა K. 43 ლანკა A. ასოცდაათისა სასწორისა]ასოცდაათი სასწორი მისი K. სამეოცდაათისა სასწორისა]სამეოცდაათი სასწორი მისი K. 45 ტაროგი—K. წელიწადეული A. 46 ვაცი+ერთი K. 47 და—K. ორი A. ხუთი 1° 2° A. ელისაფანისი]სალამიელისი K. 48 სემიუდისმან]იუდისმან K. 49 ლანკანა K. სამეოცდაათ]ათი K. სავსენი K.

B

შესაწირავსა ზედა, 38 პაროფსიდი ერთი ოქროსაჲ, ათი სასწორი მისი, სავსე საკმეველითა, 39 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად, 40 ვაცი ერთი თხათაგან ცოდვისათჳს, 41 და შესაწირავად ცხოვრებისა ორი ვერძი, ვაცი ხუთი, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთი — ესე შესაწირავი სალამიელისი, ძისა სურისადისი.

42 დღესა მეექუსესა შეწირა მთავარმან, ძეთა გადისათამან ელისაფან, ძემან რაგოელისმან. 43 შესაწირავი მისი: ლაკანა ვეცხლისა ერთი, ასოცდაათი სასწორი მისი, ფიალი ვეცხლისა ერთი, სამეოცდაათი სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესუარული ზეთითა შესაწირავად, 44 პაროფსიდი ერთი ოქროსჲ, ათი სასწორი მისი, სავსე საკუმეველითა, 45 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად, 46 ვაცი ერთი თხათაგან ცოდვისათჳს, 47 და შესაწირავად ცხოვრებისა დიაკეული ორი, ვერძი ხუთი, ვაცი ხუთი, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთი — ესე შესაწირავი არს ელისაფანისა, ძისა რაგოელისი.

48 დღესა მეშჳდესა შეწირა მთავარმან ძეთა ეფრემისთამან ელისამ, ძემან სემეუდისმან. 49 შესაწირავი მისი: ლაკანა ერთი ვეცხლისა, სამოცდაათი სასწორი მისი, ფიალა ერთი ვეცხლისა სამოცდაათი სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესუარული ზეთითა შესაწირავად, 50 პაროფსიდი ოქროსა [ერთი], ათი სასG

სხუერპლოდ, 38 პაროფსიდი ერთი ათთა ოქროთაჲ, აღსავსე საკუმეველითა, 39 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად 40 და ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს 41 და მსხუერპლად მაცხოვარებისად დიაკეულნი ორნი, ვერძნი ხუთნი, ვაცნი ხუთნი, ტარიგნი ნეზუნი წელიწდეულნი ხუთნი — ესე არს ძღუენი სალამიილისი, ძისა სურისადაისი.

42 დღესა მეექუსესა მთავარი ძეთა გადისთაჲ ელისაფ, ძე რაგუილისი. 43 ძღუენი მისი: ლაკნაჲ ვეცხლისაჲ ერთი, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისაჲ სამეოცდაათისა სიკლისაჲ სიკლისაებრ წმიდისა — ორნივე აღსავსენი სამინდოჲთა, აღსუარულითა ზეთისა მიერ სამსხუერპლოდ, 44 პაროფსიდი ერთი ათთა ოქროთაჲ, სავსე საკუმეველითა, 45 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად 46 და ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს, 47 და მსხუერპლად მაცხოვარებისაღ დიაკეულნი ორნი, ვერძნი ხუთნი, ვაცნი ხუთნი, ტარიგნი ნეზუნი წელიწდეულნი ხუთნი — ესე არს ძღუენი (ν) ელისაფ, ძისა რაგუილისი.

48 დღესა მეშჳდესა მთავარი ძეთა ეფრემისთაჲ ელისამა, ძე ემიუდისი. 49 ძღუენი მისი: ლაკნაჲ ვეცხლისაჲ ერთი, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისაჲ სამეოცდაათისა სიკლისაჲ სიკლისაებრ წმიდისა — ორნი[ვე] აღსავსენი სამინდოჲთა, აღსუარულითა ზეთისა მიერ სამსხუერპლოდ, 50 პაროფსიდი ერთი ათთა ოქროთაჲ, სავსე სა-

B: 39 წელიწდეულნი. 43 შესაწირავსა. 47 ნეზუკ.

G: 42 მთავარ Ga გადისთამან Ga. რაგუილის Ga. 43 ასაესენ Gb. 48 მთავარ Ga. ეფრემისთა Ga. ძემან Ga. ემიუდის Ga.

S

თა, [51] ზუარაკი ერთ, ვერძი ერთ, ტარიგი წელიწდეული ყოვლად-დასაწველად, [52] ვაცი თხათაგან ერთ ცოდვათათჳს [53] და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი თხათაგან ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწადეული ხუთ — ესე შესაწირავი ელისამაჲსი, ძისა სემიუდისი.

[54] დღესა მერვესა შეწირა მთავარმან ძეთა მანასესთამან გამალიელ, ძემან ფადასურისმან. [55] შესაწირავი მისი: ლანკანაჲ ვეცხლისა ერთ ასოცდაათისა სასწორისაჲ, ფიალი ერთი ვეცხლისაჲ, სამეოცდაათ სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოჲთა, შესუარულნი ზეთითა შესაწირავად, [56] პარაფსიტი ოქროჲსაჲ ერთ ათისა სასწორისაჲ, სავსე საკუმეველითა, [57] ზუარაკი ერთ ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული ყოვლად-დასაწუველად, [58] ვაცი თხათაგან ერთი ცოდვათათჳს, [59] და შესაწირავად ცხოვრებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი თხათაგან ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი გამალიელისი, ძისა ფადასურისი.

[60] დღესი მეცხრესა შეწირა მთავარმან ძეთა ბენიამენისთამან აბიდან, ძემან გედეონისმან. [61] შესაწირავი მისი: ლანკანაჲ ვეცხლისაჲ ერთ, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ვეცხლისაჲ ერთ, სამეოცდაათ სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოჲთა, შესუარულნი ზეთითა შესაწირავად, [62] პარაფსიტი ოქროჲსაჲ ერთ, ათი სასწორი მისი, სავსე საკუმეველითა, [63] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთ, ტარიგი წელიწდეული

AK

რი მისი, სავსე საკუმეველითა, [51] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი წელიწდეული ყოვლად დასაწუელად, [52] ვაცი ერთი ცოდვისათჳს, [53] შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი თხათაგან ხუთ, ტარიგი წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი ელისამისი, ძისა სიმიუდისი.

[54] დღესა მერვესა შეწირა მთავარმან ძეთა მანასესთამან გამალიელ, ძემან ფადასორისმან. [55] შესაწირავი მისი: ლანკნა ვეცხლისა ერთი ასოცდაათისა სასწორისა, ფიალი ვეცხლისაჲ ერთ, სამეოცდაათ სასწორი მისი სასწორითა წმიდითა — ორნივე სავსენი სამინდოთა, შეჱსუარულნი ზეთითა შესაწირავად, [56] პარაფსიტი ოქროსა ერთ ათისა სასწორისა, სავსე საკუმეველითა, [57] ზუარაკი ერთი, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად, [58] ვაცი თხათაგან ერთ [259] ცოდვისათჳს, [59] და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი თხათაგან ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი გამალიელისი, ძისა ფადასურისი.

[60] დღესა მეცხრესა შეწირა მთავარმან ძეთა ბენიამენისთამან აბედან, ძემან გედეონისმან. [61] შესაწირავი მისი: ლანკნა ვეცხლისა ერთი, ასოცდაათისა სასწორისაჲ, ფიალი ვეცხლისა ერთ, სამეოცდაათ სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორივე სავსე სამინდოთა, შესუარულნი ზეთითა შესაწირავად, [62] პარაფსიტი ოქროსა ერთ, ათი სასწორი მისი, სავსე საკუმეველითა, [63] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი წელიწდეული ყოვლად-დასაწველად,

---

AK: [51] ტარიგი—K. [53] სიმიუდისი]იუდისი K. [55] ასოცდაათისასა A. ვეცხლისა K. ერთ]ერთი K. [57] წელიწადეული A. [59] ვაცი თხათაგან ხუთ—K. ნეზჳ—K. ~ხუთ წელიწდეული K. [60] და დღესა K. [62] ერთი K. ათ K. [63] -დასაწველად K.

B

წორი, საფსე საკუმეველითა, [51] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად, [52] ვაცი ერთი თხათაგან ცოდვისათჳს [53] და შესაწირავად ცხოვრებისა დიაკეული ორი, ვერძი ხუთი, ვაცი ხუთი, ტარიგი წელიწდეული [ხუთი], ესე შესაწირავი ელისამასი, ძისა სემეუდისი.

[54] დღესა მერვესა შეწირა მთავარმან მანასესთამან გამალიელ, ძემან ფადისურისმან. [55] შესაწირავი მისი: ლაკანა ერთი ვეცხლისა, ასოცდაათი სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისა, სამეოცდაათი სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე საფსენი სამინდოთა, შესუარული ზეთითა შესაწირავად, [56] პაროფსიდი ოქროსა ერთი, ათი სასწორი, საფსე საკმეველითა, [57] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად, [58] ვაცი ერთი თხათაგან ცოდვისათჳს [59] და შესაწირავად ცხოვრებისა დიაკეული ორი, ვერძი ხუთი, ვაცი ხუთი, ტარიგი წელიწდეული ხუთი — ესე შესაწირავი გამალელისი, ძისა ფადისურისი..

[60] დღესა მეცხრესა შეწირა მთავარმან ძეთა ბენიამენისთამან აბიდან, ძემან გედეონისმან. [61] შესაწირავი მისი: ლაკანა ერთი ვეცხლისა, ასოცდაათი სასწორი მისი, ფიალი მისი ვეცხლისა ერთი, სამეოცდაათი სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესუარული ზეთითა შესაწირავად, [62] პაროფსიდი ოქროსა ერთი, ათი სასწორი მისი, სავსე საკუმეველითა, [63] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი წელიწდეული

G

კუმეველითა, [51] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული ყოვლად-დასაწუველად [52] და ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს [53] და მსხუერპლად მაცხოვარებისად დიაკეულნი ორნი, ვერძნი ხუთნი, ვაცნი ხუთნი, ტარიგნი ნეზუნი წელიწდეულნი ხუთნი — ესე არს ძღუენი ელისამა, ძისა ემიუდისი.

[54] დღესა მერვესა მთავარი ძეთა მანასესთაჲ გამალიილ. [55] ძღუენი მისი: ლაკნაჲ ვეცხლისაჲ ერთი, [47] ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისაჲ სამეოცდაათისა სიკლისაებრ წმიდისა — ორნივე აღსავსენი სამინდოჲთა, აღსუარულითა ზეთისა მიერ სამსხუერპლოდ. [56] პაროფსიდი ერთი ათთა ოქროთაჲ, სავსე საკუმეველითა, [57] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული სამსხუერპლოდ [58] და ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს [59] და მსხუერპლად მაცხოვარებისად დიაკეულნი ორნი, ვერძნი ხუთნი, ვაცნი ხუთნი, ტარიგნი ნეზუნი წელიწდეულნი ხუთნი — ესე არს ძღუენი გამალიილ, ძისა ფადასურისი.

[60] (115) დღესა მეცხრესა მთავარი ძეთა ბენიამინისთაჲ აბიდან, ძე ღადეონისი. [61] ძღუენი მისი: ლაკნა ვეცხლისაჲ ერთი, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისაჲ სამეოცდაათისა სიკლისაჲ სიკლისაებრ წმიდისა — ორნივე აღსავსენი სამინდოჲთა, აღსუარულითა ზეთისა მიერ სამსხუერპლოდ, [62] პაროფსიდი ერთი ათთა ოქროთაჲ, სავსე საკუმეველითა, [63] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერ-

G: [51] ერთი 1°]ერთ Gb. [54] მთავარ Ga. მანასესთა Ga. [55] ზეთის Gb.

S

დასაწველად [64] და ვაცი თხათაგან ერთ ცოდვისათჳს [65] და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორი, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი აბიდანისი, ძისა გედეონისი.

[66] დღესა მეათესა შეწირა მთავარმან ძეთაგან დანისთა აქიეზერ, ძემან ამისადაჲსმან. [67] შესაწირავი მისი: ლანკანაჲ ვეცხლისაჲ ერთი ასოცდაათისა სასწორისაჲ, ფიალი ერთი ვეცხლისაჲ, სამეოცდაათ სასწორის სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოჲთა, შესუარულნი ზეთითა შესაწირავად, [68] პარაფსიტი ოქროჲსაჲ ერთი, ათი სასწორი მისი, სავსე საკუმეველითა, [69] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთ, ტარიგი წელიწდეული ერთი ყოვლად-დასაწველი, [70] ვაცი თხათაგან ერთ ცოდვათათჳს [71] და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორი, ვერძი ხუთ, ვაცი თხათაგან ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი აქიეზერისი, ძისა ამისადესი.

[72] დღესა მეთერთმეტესა შეწირა მთავარმან ძეთა ასერისთაჲმან ფაგეელ, ძემან ექრანისმან. [73] შესაწირავი მისი: ლანკნაჲ ვეცხლისაჲ ერთ, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ვეცხლისაჲ ერთ, სამეოცდაათ სასწორის სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოჲთა, შესუარულნი ზეთითა შესაწირავად, [74] პარაფსიტი ერთი ოქროჲსაჲ, ათი სასწორი მისი, სავსე საკუმეველითა, [75] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთ, ტარიგი წელიწდეული ერთ ყოვლად-დასაწველად, [76] ვაცი თხათაგან ერთ ცოდვისათჳს [77] და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი ფაგელისი, ძისა ექრანისი.

AK

[64] ვაცი ერთი ცოდვისათჳს [65] და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორი, ვერძი ხუთი, ვაცი ხუთი, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი აბედანისი, ძისა გედეონისი.

[66] დღესა მეათესა შეწირა მთავარმან ძეთაგან დანისთა აქიეზერ, ძემან მისედესმან. [67] შესაწირავი [v] მისი: ლანკანა ვეცხლისაჲ ერთ ასოცდაათისა სასწორისა, ფიალი ვეცხლისა ერთი, სამეოცდაათ სასწორი მისი სასწორითა წმიდითა — ორნივე სავსენი სამინდოთა. შესუარულნი ზეთითა შესაწირავად, [68] პარაფსიტი ოქროსა ერთ, ათი სასწორი მისი, სავსე საკუმეველითა, [69] ზუარაკი ერთი, ვერძი ერთი, ტარიგი წელიწდეული ერთი ყოვლად-დასაწველად, [70] ვაცი ერთი ცოდვისათჳს [71] და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი თხათაგან ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი აქიეზერისი, ძისა ამისდესი.

[72] დღესა მეათერთმეტესა შეწირა მთავარმან ძეთაგან ასერისთა ფაგელ, ძემან ექრანისმან. [73] შესაწირავი მისი: ლანკნა ვეცხლისაჲ ერთი, ასოცდაათისა სასწორისაჲ, ფიალი ვეცხლისაჲ ერთ სამეოცდაათ სასწორისაჲ სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესუარულნი ზეთითა შესაწირავად, [74] პარაფსიტი ოქროსა ერთი, ათი სასწორი [260] მისი, სავსე საკუმეველითა, [75] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, წელიწდეული ყოვლად-დასაწველად, [76] ვაცი ერთი ცოდვისათჳს [77] და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი ფაგელისი, ძისა ექრანისი.

AK: [65] ვაცი ხუთი—K. ~ წელიწდეული ნეზჳ K. [67] ვეცხლისა 1°A. [73] ვეცხლისა 1° A. სასწორისა 1° 2° A. [73] შესუარული A. [74] საკმეველითა K. [77] ძისა ექრანისი K.

B

ყოვლად-დასაწუელად, [64] ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს, [65] შესაწირავად ცხოვრებისა დიაკეული ორი, ვერძი ხუთი, ვაცი ხუთი, ტარიგი წელიწდეული ხუთი — ესე შესაწირავი ამინადაბისი, ძისა გედეონისი.

[66] და დღჱსა მეათესა შეწირა მთავარმან ძეთაგან დანისთა აჱზერ, ძემან ამისადმსმან. [67] შესაწირავი მისი: ლაკანა ვეცხლისა ერთი, ასოცდაათი სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისა, სამეოცდაათი სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესუარული ზეთითა შესაწირავად, [68] პაროფსიდი ოქროსა ერთი, ათი სასწორი მისი, სავსე საკმეველითა, [69] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად, [70] ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს [71] და შესაწირავად ცხოვრებისა დიაკეული ორი, ვერძი ხუთი, ვაცი ხუთი, ტარიგი წელიწდეული ხუთი — ესე შესაწირავი აჱზერისი, ძისა ამისდაჲსი.

[72] დღჱსა მეათერთმეტესა შეწირა მთავარმან ძეთა ასერისთამან ფალეგელ, ძემან ეჭრანისამან. [73] შესაწირავი მისი: ლაკანაჲ ვეცხლისა ერთი, ასოცდაათი სასწორი მისი, ფიალი ვეცხლისა ერთი, სამეოცდაათი სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესუარული ზეთითა შესაწირავად, [74] პაროფსიდი ოქროსა ერთი, ათი სასწორი მისი, სავსე საკმეველითა, [75] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი წელიწდეული ყოვლად-დასაწუელად, [76] ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს, [77] შესაწირავად ცხოვრებისა დიაკეული ორი, ვერძი ხუთი, ვაცი ხუთი, ტარიგი წელიწდეული ხუთი — ესე შესაწირავი ფალეგელისი, ძისა ეჭრანისი.

B: [73] სასწორი მისი 2°სასწორისა მისისა.

G

თი წელიწდეული სამსხუერპლოდ [64] და ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს [65] და მსხუერპლად მაცხოვარებისად დიაკეულნი ორნი, ვერძნი ხუთნი, ვაცნი ხუთნი, ტარიგნი ნეზუნი წელიწდეულნი ხუთნი — ესე არს ძღუენი აბიდან, ძისა ღადეონისი.

[66] დღესა მეათესა მთავარი ძეთა დანისთაჲ აჱიეზერ, ძე ამისადაისი. [67] ძღუენი მისი: ლაკნაჲ ვეცხლისაჲ ერთი, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისაჲ, სამეოცდაათისა სიკლისაჲ სიკლისაებრ წმიდისა — ორნივე აღსავსენი სამინდოჲთა, აღსუარულითა ზეთისა მიერ სამსხუერპლოდ, [68] პაროფსიდი ერთი ათთა ოქროთაჲ, სავსე საკუმეველითა, [69] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული სამსხუერპლოდ [70] და ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს [71] და მსხუერპლად მაცხოვარებისად დიაკეულნი ორნი, ვერძნი ხუთნი, ვაცნი ხუთნი, ტარიგნი ნეზუნი წელიწდეულნი ხუთნი — ესე არს ძღუენი აჱიეზერ ძისა ამისადაისი.

[72] (v) დღესა მეათერთმეტესა მთავარი ძეთა ასირისთაჲ ფაგეილ, ძე ეხრანისი. [73] ძღუენი მისი: ლაკნაჲ ვეცხლისაჲ ერთი, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისაჲ სამეოცდაათისა სიკლისაჲ სიკლისაებრ წმიდისა — ორნივე აღსავსენი სამინდოჲთა, აღსუარულითა ზეთისა მიერ სამსხუერპლოდ, [74] პაროფსიდი ერთი ათთა ოქროთაჲ, სავსე საკუმეველითა, [75] ზუარაკი ერთი ზროხათაგან [v] ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული სამსხუერპლოდ [76] და ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს [77] და მსხუერპლად მაცხოვარებისად დიაკეულნი ორნი, ვერძნი ხუთნი, ვაცნი ხუთნი, ტარიგნი ნეზუნი წელიწდეულნი ხუთნი — ესე არს ძღუენი ფაგეელისი, ძისა ეხრანისი.

S

78 დღესა მეათორმეტესა — მთავარმან ძეთა ლეფთალემისთამან აჭირი, ძემან ენანისმან. 79 შესაწირავი მისი: ლანკნაჲ ვეცხლისაჲ ერთი, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ვეცხლისაჲ ერთი, სამეოცდაათ სასწორის სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოთა წმიდითა, შესუარულნი ზეთითა შესაწირავად, 80 პარაფსიტი ოქროჲსაჲ ერთ, ათი სასწორი მისი, სავსე საკუმეველითა, 81 ზუარაკი ერთ ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი წელიწდეული ერთი ყოვლად-დასაწველად, 82 ვაცი თხათაგან ერთ ცოდვისათჳს, 83 და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი აჭირესი, ძისა ენანისი.

84 ესე არს სატფურებაჲ საკურთხეველისაჲ, რომელსა დღესა ეცხო მას მთავართა მათგან ძეთა ისრაელისათა: ლანკნაჲ ვეცხლისაჲ ათორმეტ, ფიალი ვეცხლისაჲ ათორმეტ, პარაფსიტი ოქროსაჲ ათორმეტ; 85 ასოცდაათ სასწორ ლანკანაჲ ერთი, სამეოცდაათ სასწორ ფიალი ერთი — ყოველი ჭურჭელი ვეცხლისაჲ ორ ათას და ოთხას სასწორ მსგავსად სასწორისა მის წმიდათაჲსა, 86 პარაფსიტი ოქროჲსაჲ ათორმეტ, სავსენი საკუმეველითა, — ყოველი ოქროჲსა პარაფსიტები ას და ოც სასწორ ოქროჲსაჲ. 87 და ყოველი ზროხაჲ შესაწირავად — ზუარაკი ათორმეტ, ვერძი ათორმეტ, ტარიგები წელიწდეულები ათორმეტ, უბიწოები, შესაწირავი ამათი და მსხუერპლები ამათი და ვაცები თხათაგან ათორმეტ ცოდვისათჳს; 88 და ყოველი ზროხაჲ შესაწირავად ცხორებისა — დიაკეული ოცდაოთხ, ვერძი უბიწოჲ სამეოც; ესე არს სატფურებაჲ საკურთხეველისაჲ შემდგომად

AK

78 დღესა მეათორმეტესა შეწირა მთავარმან ნეფთალემისმან აჭირე, ძემან ანენისმან. 79 შესაწირავი მისი: ლანკნა ვეცხლისაჲ ერთი, ასოცდაათისა სასწორისაჲ, ფიალი ვეცხლისა ერთ, სამეოცდაათ სასწორი მისი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესუარულნი ზეთითა, 80 პარაფსიტი ოქროსაჲ ერთი, ათი სასწორი მისი, სავსე საკუმეველითა, 81 ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი წელიწდეული ერთი, 82 ვაცი ერთი ცოდვისათჳს, 83 და შესაწირავად ცხორებისა დიაკეული ორ, ვერძი ხუთ, ვაცი ხუთ, ტარიგი ნეზჳ წელიწდეული ხუთ — ესე შესაწირავი აჭირესი, ძისა ენანისი.

84 ესე არს სატფურებაჲ საკურთხეველისაჲ, რომელსა დღესა ეცხო მას მთავართა მათგან ძეთა ისრაელისათა: ლანკნა ვეცხლისაჲ [v] ათორმეტ, ფიალი ვეცხლისა ათორმეტ, პარაფსიტი ოქროსაჲ ათორმეტ; 85 ასოცდაათ სასწორ ლაკნა ერთი, სამეოცდაათ სასწორ ფიალი ერთი — ყოველი ჭურჭელი ვეცხლისა ორ ათას ოთხას სასწორ მსგავსად სასწორისა მის წმიდათასა, 86 ...ყოველი პარაფსიტი ოქროსაჲ ასოცდაათ სასწორ. 87 და ყოველი ზროხები შესაწირავი — ზუარაკი ათორმეტ, ვერძი ათორმეტ, ტარიგები წელიწდეულ ათორმეტ, უბიწოები, შესაწირავი და მსხუერპლი ამათი ვაცი ათორმეტ; 88 და ყოველი ზროხაჲ შესაწირავი ცხორებისა — დიაკეული ოცდაოთხ, ვერძი უბიწო სამეოც; ესე არს სატფურებაჲ საკურთხეველისაჲ შემდგომად ალუსებისა

S: 82 ვაცი თხათაგან]ვაცთგან. 88 მისისა+მ~ს.

AK: 78 და დღესა K. არიქე K. 79 ვეცხლისაჲ]ეცხლ K. სასწორისა A. 80 ოქროსა A. 84 საკურთხეველისა A. 87 წელიწდეული A. ამათი—K. 88 ზროხა A. საკურთხეველისა A.

B

[78] დღესა მეათორმეტესა შეწირა მთავარმან ძეთა ნეფთალემისთამან აქირე, ძემან ენასისმან. [79] შესაწირავი მისი: ლაკანა ვეცხლისა ერთი, ასოცდაათი სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისა, სამოცდაათი სასწორი სასწორისაებრ წმიდისა — ორნივე სავსენი სამინდოთა, შესუარული ზეთითა შესაწირავად, [80] პაროფსიდი ოქროსაჲ ერთი, ათი სასწორი მისი, სავსე საკმეველითა, [81] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი წელიწდეული ყოვლად-დასაწუველად, [82] ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს [83] და შესაწირავად ცხოვრებისა დიაკეული ორი, ვერძი ხუთი, ვაცი ხუთი, ტარიგი წელიწდეული ხუთი — ესე არს შესაწირავი აქირესი, ძისა ენანისი.

[84] ესე არს სატფურება საკურთხეველისა, რომელსა დღესა ეცხო მთავართა მათგან ძეთა ისრაელისათა: ლაკანა ვეცხლისა ათორმეტი, ფიალი ვეცხლისა ათორმეტი, პაროფსიდი ოქროსა ათორმეტი; [85] ასოცდაათი სასწორი ლაკნისა ერთისა და სამეოცდაათი სასწორი ფიალისა ერთისა — ყოველი ჭურჭელი ვეცხლისაჲ ორ ათას ოთხას სასწორი მსგავსად სასწორისა მის წმიდათასა; [86] პარაფსიდი ოქროსა ათორმეტი, სავსენი საკმეველითა ათისაებრ სასწორისა თჳთეულისა პარაფსიდისა სასწორისაებრ წმიდისა, — ყოველნი ოქროსანი პაროფსიდები ას და ოც სასწორი. [87] და ყოველი ზროხა შესაწირავად — ზუარაკი ათორმეტ, ვერძი ათორმეტ, ტარიგები წელიწდეული ათორმეტ, შესაწირავი მათი, მსხუერპლები მათი, ვაცები თხათაგან ათორმეტ ცოდვისათჳს, [88] და ყოველი ზროხაჲ შესაწირავად ცხოვრებისა — დიაკეული ოცდაოთხ, ვერძი უბიწო სამეოც, თხა ერთწლეული სამეოც, ტარიგი წელიწდისა უბიწო სამეოც; ესე სატფურება საკურთხე-

G

[78] დღესა მეათორმეტესა მთავარი ძეთა ნეფთალიმისთაჲ აქირე, ძე ენანისი. [79] ძღუენი მისი: ლანკნაჲ ვეცხლისაჲ ერთი, ასოცდაათ სასწორი მისი, ფიალი ერთი ვეცხლისაჲ, სამეოცდაათისა სიკლისაჲ სიკლისაებრ წმიდისა, — ორნივე აღსავსენი სამინდოჲთა, აღსუარულითა ზეთისა მიერ სამსხუერპლოდ, [80] პაროფსიდი ერთი ათთა ოქროთაჲ, სავსე საკუმეველითა, [81] ზუარაკი ერთი ზროხათაგან, ვერძი ერთი, ტარიგი ერთი წელიწდეული სამსხუერპლოდ, [82] და ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს, [83] და მსხუერპლად მაცხოვარებისად დიაკეულნი ორნი, ვერძნი ხუთნი, ვაცნი ხუთნი, ტარიგნი ნეზუნი წელიწდეულნი ხუთნი, — ესე არს ძღუენი აქირესი, (116) ძისა ენანისი.

[84] ესე არს სატფურებაჲ საკურთხეველისაჲ დღესა, რომელსა სცხო მას მთავართა მიერ ისრაელისათა: ლაკნანი ვეცხლისანი ათორმეტნი, ფიალნი ვეცხლისანი ათორმეტნი, პაროფსიდნი ოქროჲსანი ათორმეტნი; [85] ასოცდაათთა სიკლათაჲ ლაკნაჲ ერთი და სამეოცდაათთა სიკლათაჲ ფიალი ერთი, — ყოველი ვეცხლი ჭურჭელთაჲ მათ ორ ათას ოთხას სიკლები სიკლითა წმიდითა; [86] ...ყოველი ოქროჲ პაროფსიდთაჲ ას და ოც ოქრონი; [87] ყოველნი ზროხანი ყოვლად-დასაწუველადნი — ზუარაკნი ათორმეტ, ვერძნი ათორმეტ, ტარიგნი წელიწდეულნი ათორმეტ, მსხუერპლნი მათნი და შესაწირავნი მათნი და ვაცნი თხათაგან ათორმეტ ცოდვათა-ძლითნი, [88] ყოველნი ზროხანი მაცხოვარებისა მსხუერპლადნი — დიაკეულნი ოცდაოთხნი, ვერძნი სამეოცნი, ვაცნი სამეოცნი, ტარიგნი ნეზუნი სამეოცნი, წელიწდეულნი უბიწონი; ესე არს სატფურებაჲ საკურთხეველისაჲ შემდგომად

B: [87] ათორმეტ 3°]ათორმეტები [88] საკურთხეველსა.

S

აღვსებისა კელთა მისთაჲსა და შემდგომად ცხებისა მისისა. [89] შესლვასა მას მოსესსა კარავსა მას წამებისასა სიტყუად მისა და ესმა მას კმაჲ უფლისა, ეტყოდა რაჲ მას ზეგარდამო სალხინებელით შორის ორთა მათ ქერობინთა, რომელ იყო კიდობანსა მას წამებისასა შორის ორთა მათ ქერობინთა, და ეტყოდა მას.

AK

კელთა მისთასა და შემდგომად ცხებისა მისისა. [89] შესლვასა მას მოსესსა კარავსა მას წამებისასა სიტყუად მისა და ესმა მას კმაჲ უფლისაჲ, ეტყოდა რაჲ ზეგარდამო სალხინებელით შორის ორთა მათ ქერობინთა, რომელ იყო კიდობანსა მას წამებისასა.

თავი VIII

[1] და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა მას: [2] ეტყოდე აჰრონს და არქუ მას: რაჟამს დაადგმიდე სანთელთა მათ ერთ კერძო წინაშე პირსა სასანთლეთასა, ნათობდენ შჳდნივე იგი სანთელნი. [3] და ყო აჰრონ ეგრეთ: ერთ კერძოსა ადგილსა, წინაშე პირსა სასანთლეთასა, აღანთნა სანთელნი მისნი, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს. [4] და ესე არს აღმზადებაჲ სანთელთაჲ: მყარი ოქროჲ, ჴერი მისი და შროშანნი მისნი მყარი ყოველად; ხატისა მისებრ, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს, ესრეთ ქმნა სასანთლე იგი.

[5] და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [6] მოიყუანენ ლევიტელნი იგი შორის ძეთაგან ისრაელისათა, განწმიდენ იგინი. [7] და ესრეთ ჰყო განწმედაჲ იგი მათი: აპკურო მათ წყალი განწმედისაჲ და მოვიდეს მახჳლი ყოველთა ასოთა მათთა და განირცხენ ყოველი სამოსელი მათი და წმიდა იყუნენ. [8] და მოიბან ჴბოჲ ერთი ზროხათაგან და ამისი შესაწირავი სამინდოჲ, შექმნილი ზეთითა, და ზუარაკი ერთი წელიწდეული ზროხათაგან ცოდვისათჳს მოიბან. [9] და მოიყუანნე ლევიტელნი იგი წინაშე კარავსა მას წამებისასა და შეჰკრიბო ყო-

[1] და ეტყოდა უფალი მოსეს ჲ ჰრქუა: [2] ეტყოდე შენ აჰრონს და არქუ რაჟამს დასდგმიდე შენ სანთელთა მა ერთ კერძო, წინაშე პირსა სანთელთასა ნათობდენ შჳდნივე იგი სანთელნი. [3] დ ყო აჰრონ ეგრეთ: [261] ერთ კერძოს ადგილსა, წინაშე პირსა სასანთლეთასა, აღანთნა სანთელნი მისნი, ვითარც უბრძანა უფალმან მოსეს. [4] და ესე არ აღმზადებაჲ სანთელთა: მყარი ოქროჲ ჴერი მისი და შროშანი მისი მყარ ყოველად; ხატისა მისებრ, ვითარცა უბრ ძანა უფალმან მოსეს, ესრეთ ქმნა სასანთლე იგი.

[5] და ეტყოდა უფალი მოსეს ჲ ჰრქუა: [6] მოიყუანენ ლევიტელნი იგ შორის ძეთაგან ისრაელისათა და განწმიდენ იგინი. [7] და ესრეთ ჰყო განწმედა იგი მათი: აპკურო მათ წყალი იგი განწმედისაჲ და მოვიდეს მახჳლ ყოველთა ასოთა მათთა და განირცხენ სამოსელი მათი და წმიდა იყუნენ. [8] და მოიბან ჴბო ერთი ზროხათაგან და შესაწირავი სამინდო, შექმნული ზეთითა და ზუარაკი ერთი წელიწდეული ცოდვისათჳს. [9] და მოიყუანნე ლევიტელნი იგი წინაშე კარვისა მის საწამებელის და შეჰკრიბო ყოველი კრებული ძეთა

S: VIII [7] ყო. აპკურა.

AK: [89] მოსესა AK. სალხინებლით K. რომელი K. მას 4°—K. VIII, [4] ოქრო A. და შროშანი მისი—K. [7] ყო K. აპკურონ AK. განწმედისა A. იყუნენ A. შექმნული]შეზელ ლ K. წელიწდეული—K. [9] მოიყუანნე A. შეკრიბო K.

B

ველისა შემდგომად აღვსებისა ჴელითა მისითა ცხებისა მისისა. [89] შესლვასა მას მოსესსა კარაჲსა მას წამებისასა სიტყუად მისსა და ესმა ჴმაჲ უფლისაჲ, ეტყოდა რაჲ მას ზეგარდამო სალბინებელით შორის ორთა მათ ქერაბინთა, რომელ იყუნეს კიდობანსა მას წამებისასა, რომელი იტყოდა. მის თანა.

G

განსრულებისა ჴელთა მისთაჲსა შემდგომად ცხებისა მისისა. [89] შესლვასა მოსესსა კარავსა შინა წამებისასა სიტყუად მისსა, და ესმა ჴმაჲ უფლისა მეტყუელისაჲ მისსა მიმართ ზედა კერძო სალხ(v)ინებელისა, რომელი იყო კიდობანსა ზედა წამებისასა, საშუალ ორთა ქერობინთასა, და იტყოდა მისსა მიმართ.

თავი VIII

[1] და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა მას: [2] ეტყოდე აჰრონს და არქუ მას: რაჟამს დასდგმიდე სანთელთა მათ ერთ კერძო წინაშე პირსა სასანთლეთასა, ნათობდენ შჯდნივე იგი სანთელნი. [3] და ყო აჰრონ ეგრეთ: ერთ კერძოსა მას ადგილსა, წინაშე პირსა სასანთლეთასა, აღანთნა სანთელნი მისნი, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს. [4] და ესე არს აღმზადება სანთელთა: მყარი ოქროჲ, ჴერი მისი და შროშანნი მისნი მყარი ყოვლად; ხატისა მისებრ, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს და ჰრქუა: ეგრეთ ჰქმენ სასანთლე იგი.

[5] და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [6] მოიყვანენ ლევიტელნი იგი შორის ძეთა ისრაელისათა და განწმიდენ იგინი. [7] და ესრეთ ჰყო განწმედა იგი მათი: აპკურო მათ წყალი იგი განწმედისა და მოვლოს მახჯლმან ყოველთა ასოთა მათთა და განირცხეს ყოველი სამოსელი მათი და წმიდა იყვნენ, [8] და მოიბან ჴბოჲ ერთი ზროხათაგან და ამისი შესაწირავი სამინდოჲ, შექმნული ზეთითა, და ზუარაკი ერთი წელიწდეული ზროხათაგან ცოდვისათჳს მოიბან. [9] და მოიყვანე ლევიტელნი იგი წინაშე კარავსა მას წამებისასა და შეჰკრიბო

[1] და თქუა უფალმან მოსეს მიმართ, მეტყუელმან: [2] არქუ აარონს და თქუ მისსა მიმართ: რაჟამს ზედა დასდგმიდე ბაზმაკთა ერთ კერძო, წინაშე პირსა საბაზმაკისასა, ნათ[48]ობდენ შჯდნი ბაზმაკნი. [3] და ქმნა ეგრეთ აარონ: ერთისა კერძოჲსაგან, წინაშე პირსა საბაზმაკისასა, აღანთნა ბაზმაკნი მისნი, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს. [4] და ესე არს შემზადებაჲ საბაზმაკისაჲ: მყარი ოქროჲ, ჴერი მისი და შროშანნი მისნი მყარი ყოვლად; სახისა მისებრ, რომელი უჩუენა უფალმან მოსეს, ეგრეთ ქმნა საბაზმაკე.

[5] და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: [6] მოიყვანენ ლევიტელნი შორისისაგან ძეთა ისრაელისათაჲსა და უბი(117)წოყუენ იგინი, [7] და ესრეთ უყავ მათ უბიწო-ყოფაჲ მათი: გარემო აპკურო მათ წყალი უბიწო ქმნისაჲ და მიივიდეს საყუენელი ყოველთა ზედა ასოთა მათთა და(v) განირცხან სამოსელი და წმიდა იყვნენ, [8] და მოიბან ზუარაკი ერთი ზროხათაგან და ესე მსხუერპლი სამინდოჲ, აღსუარული ზე(118)თითა, და ზუარაკი წელიწდეული მოყუანებულ [v] იქმენინ ცოდვისათჳს. [9] და მოიყვანნე ლევიტელნი წინაშე კარავისა საწამებელისა და შეჰკრიბო ყოვე-

---

B: [89] მოსესა. ესმას.

G: [89] მეტყუელისა Gb. VII, [3] ბაზმაკნი]ბარმაკნი Gb. [5] ეტყოდა Ga.

S

ველი კრებული ძეთა ისრაელისათაჲ,
10 და მოიყვანნე ლევიტელნი იგი წინა-
შე უფლისა და დაასხნენ კელნი ძეთა
ისრაელისათა ლევიტელთა მათ ზედა;
11 და განაჩინნეს აჰრონ ლევიტელნი იგი
მიცემულად წინაშე უფლისა ძეთაგან
ისრაელისათა, და იყვნენ იგინი მოქმე-
დად საქმისა მის კარვისა უფლისაჲსა,
12 ხოლო ლევიტელთა მათ დაასხნენ
კელნი მათნი თავთა ზედა მათ ზუარაკ-
თაჲსა; და ჰყო ერთი იგი ცოდვისათჳს
და ერთი იგი საკუერთხად უფლისა,
სალხინებელად მათთჳს, 13 და დაადგინ-
ნე ლევიტელნი იგი წინაშე უფლისა და
წინაშე აჰრონისა და წინაშე ძეთა მის-
თა, და მისცნე იგინი მათ მიცემულად
წინაშე უფლისა, 14 და განაჩინნე ლევი-
ტელნი შორის ძეთაგან ისრაელისათა
და იყვნენ ჩემდად. 15 და ამისსა შემ-
დგომად შევიდენ ლევიტელნი იგი საქ-
მედ საქმესა მას კარვისა წამებისაჲსა, და
განსწმიდნე იგინი და მისცნე მიცემუ-
ლად წინაშე უფლისა. 16 რამეთუ მოსა-
ცემელად მოცემულ არიან იგინი ჩემდა
შორის ძეთაგან ისრაელისათა: მათ წილ,
რომელთა განაღონ საშოჲ, ყოველი სა-
შოჲ (17) პირმშოთა ძეთა ისრაელისა-
თაჲ, მოვიყვანენ იგინი ჩემდად, 17 რა-
მეთუ ჩემი არს ყოველი პირმშოჲ ძეთა
ისრაელისათაჲ კაცითგან მიპირუტყუ-
ადმდე; დღესა მას, რომელსა მოვსარ
ყოველი პირმშოჲ ქუეყანასა მას ეგუ-
პტისასა, წმიდა ვყვენ იგინი ჩემდად. 18
და მოვიყვანენ ლევიტელნი ყოველთა
წილ პირმშოთა ძეთა ისრაელისათა 19
და მივსცენ იგინი მისაცემელად მიცე-
მულ აჰრონს და ძეთა მისთა შორის
ძეთა ისრაელისათა საქმედ საქმესა ძე-
თა ისრაელისათა კარავსა მას წამები-

AK

ისრაელისათა, 10 და მოიყვანნე ლე
ტელნი იგი წინაშე უფლისა და დასხ
კელნი ძეთა ისრაელისათაჲ ლევიტე
თა მათ ზედა; 11 და განაჩინნეს აჰრ
ლევიტელნი იგი მიცემულად წინ
უფლისა ძეთაგან ისრაელისათა,
იყვნენ იგინი მოქმედ საქმესა კარ
უფლისაჲსა, 12 [v] ხოლო ლევიტელ
მათ დაასხნენ კელნი მათნი თავთა ზე
მათ ზუარაკთასა; და ჰყო ერთი
ცოდვისათჳს და ერთი იგი საკუერთხ
უფლისა, სალხინებელად მათთჳს, 13
დაადგინნე ლევიტელნი იგი წინაშე უ
ლისა და წინაშე აჰრონისა და წინა
ძეთა მისთა, და მისცნე იგინი მიცემ
ლად წინაშე უფლისა, 14 და განაჩინ
ლევიტელნი შორის ძეთაგან ისრაელ
სათა და იყვნენ ჩემდად. 15 ამისა შე
დგომად შევიდენ ლევიტელნი იგ
საქმედ საქმესა მას კარვისა წამებისა
და განსწმიდნე იგინი და მისცნე მიც
მად წინაშე უფლისა. 16 რამეთუ მო
ცემელად მოცემულ არიან იგინი ჩემ
შორის ძეთაგან ისრაელისათა: მათ წი
რომელთა განაღონ საშოჲ ძეთა ის
ელისათაჲ, მოვიყვანენ იგინი ჩემ
17 რამეთუ ჩემი არს ყოველი პირმშ
ძეთა ისრაელისათა კაცითგან მიპირ
ტყუადმდე; დღესა მას, რომელსა მო
სარ ყოველი პირმშოჲ ქუეყანა
ეგუპტისასა, წმიდა ვყვენ იგინი ჩ
და. 18 და მოვიყვანენ ლევიტელნი ყო
ლისა წილ პირმშოსა ისრაელისა
და მივსცენ იგინი მისაცემელად მიც
მულ აჰრონს და ძეთა მისთა შორ
ძეთაგან ისრაელისათა საქმედ საქმე
ძეთა ისრაელისათაჲსა კარავსა წამებ

S: 16 მოიყვანენ.

AK: 10 მოიყვნენ K, მოეყუანნე A. დასხნე K. 11 იყუნენ A. 12 ყო K. 14 ძეთა K. იყუნენ A. 15 საქმესა მას—K. განწმიდნე K. ჩემდა]ჩემ K. 16 ისრაელისათა A. მოვიყუანენ A. 17 იქ-ლისა K. ვყუენ A. 18 მოიყუანენ A. 19 მიცემულ—K. აჰრონს K. შორის ძეთაგან ისრაელისათა—K.

B

ყოველი კრებული ძეთა ისრაელისათა, [10] და მოიყვანნე ლევიტელნი წინაშე უფლისა და დაასხან ძეთა ისრაელისათა ქელი თჳსი ლევიტელთა ზედა. [11] და გამოითხოვდეს აჰრონ ლევიტელთა მეტყუელად წინაშე უფლისა ძეთაგან ისრაელისათა და იყუნენ იგინი მოქმედად საქმისა მის კარვისა უფლისა, [12] ხოლო ლევიტელთა მათ დაასხნენ ქელნი თჳსა ზედა მათ ზუარაკთასა; და ჰყო ერთი იგი ცოდვისათჳს და ერთი იგი საკურთხეველად უფლისა, სალხინებელად მათ, [13] და დაადგინნე ლევიტელნი იგი წინაშე უფლისა და წინაშე აჰრონისსა და წინაშე ძეთა მისთა და მისცნე იგინი მათ მიცემულად წინაშე უფლისა, [14] და განაჩინნე ლევიტელნი შორის ძეთაგან ისრაელისათა და იყუნენ ჩემდა. [15] და ამისა შემდგომად შევიდენ ლევიტელნი იგი საქმედ საქმესა მას კარვისა მის წამებისასა და განსწმიდნე და მისცნე იგინი მიცემულად წინაშე უფლისა. [16] რამეთუ მოსაცემელად მოცემულ არიან იგინი ჩემდა შორის ძეთაგან ისრაელისათა: მათ წილ, რომელთა განაღონ საშოჲ პირმშომან ყოველი საშოჲ ძეთა ისრაელისათა, მოვიყუანენ იგინი ჩემდა, [17] რამეთუ ჩემი არს ყოველი პირმშოჲ ძეთა ისრაელისათა კაცითგან მიპირუტყუამდე; დღესა მას, რომელსა მოვსარ ყოველი პირმშოჲ ქუეყანასა მას ეგჳპტისასა, წმიდა იყუნეს იგინი ჩემდა, [18] და მოვიყუანენ ლევიტელნი ჩემდა ყოველთაგან პირმშოთა ძეთა ისრაელისათა [19] და მივსცენ იგინი მისაცემელად მიცემულ აჰრონს და ძეთა მისთა შორის ძეთა ისრაელისათა საქმედ საქმესა ძეთა ისრაელისათა კარავსა მას წამებისასა და ლხინებად ძეთა ისრაელისათა, და არა-

G

ლი შესაკრებელი ძეთა ისრაელისათაჲ, [10] და მოიყვანნე ლევიტელნი წინაშე უფლისა და დაასხნენ ძეთა ისრაელისათა ჴელნი მათნი ლევიტელთა ზედა. [11] და განაჩინნეს აარონ ლევიტელნი მიცემულად წინაშე უფლისა ძეთაგან ისრაელისათა და იყვნენ ვითარცა მოქმედნი საქმეთა უფლისათანი, [12] ხოლო ლევიტელთა დაასხნენ ჴელნი თჳებსა ზედა ზუარაკთასა; და ჰყო ერთი იგი ცოდვისათჳს და ერთი ყოველად-დასაწუეელად უფლისა, ლხინებისათჳს მათისა, [13] და დაადგინნე ლევიტელნი წინაშე უფლისა და წინაშე აარონისსა და წინაშე ძეთა მისთა და მისცნე იგინი მისაცემელად უფალსა, [14] და განათჳსნე ლევიტელნი შორის ძეთაგან ისრაელისათა და იყვნენ ჩემდა. [15] და ამათსა შემდგომად შევიდენ ლევიტელნი საქმედ საქმეთა კარვისა წამებისათა და წმიდა ჰყვნე იგინი და მისცნე იგინი წინაშე უფლისა. [16] რამეთუ მოსაცემელად მოცემულ არიან ესენი ჩემდა შორის ძეთაგან ისრაელისათა: ნაცვალად განმღებელთა ყოველისა საშოჲსათა პირმშოთა ყოველთა ძეთაგან ისრაელისათა მოვიყვ(v)ანენ ესენი ჩემდად, [17] რამეთუ ჩემი არს ყოველი პირმშოჲ ძეთაგან ისრაელისათა კაცთაჲთგან მისაცხოვართამდე; დღესა, რომელსა დავეც ყოველი პირმშოჲ ქუეყანასა ეგჳპტისასა, წმიდა ვყვენ იგინი ჩემდად, [18] და მოვიყვანენ ლევიტელნი ყოვლისა წილ პირმშოჲსა ძეთა ისრაელისათაჲსა [19] და მივსცენ ლევიტელნი მისაცემელად მიცემულად აარონს და ძეთა მისთა შორისისაგან ძეთა ისრაელისათაჲსა საქმედ საქმეთა ძეთა ისრაელისათასა კარავსა შინა წამებისასა და ლხინების

B: [10] დაასხას. [11] გამოითხოვს. [12] სალხინებელთა. [13] მისცნეს. [16] მოიყვანენ. [17] იყუნენ. [18] მოვიყუანნე. [19] მიესცნე.

S

სჳა და ლხინებად ძეთა ისრაელისათა, და არავინ იყოს შორის ძეთა ისრაელისათა, რომელი შეეახლებოდის სიწმიდესა მას. 20 და ყვეს მოსე და აჰრონ და ყოველმან კრებულმან ძეთა ისრაელისათამან ლევიტელთა მიმართ, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს ლევიტელთათჳს, ეგრე ყვეს ძეთა ისრაელისათა მათთჳს. 21 და განწმიდნეს ლევიტელნი იგი და განირცხეს სამოსელი მათი, და მისცნა იგინი აჰრონ მიცემულად წინაშე უფლისა, და ლხინება ყო მათთჳს აჰრონ და განწმიდნა იგინი. 22 და ამისსა შემდგომად შევიდეს ლევიტელნი იგი მსახურებად მსახურებასა თჳსსა კარავსა მას წამებისასა წინაშე აჰრონისა და წინაშე ძეთა მისთა. ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს ლევიტელთათჳს, ეგრეთ ყვეს მათთჳს.

23 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 24 ესე არს ლევიტელთათჳს: ოცდახუთისა წლისაჲთგანი და უზეშთაესი შევიდენ მსახურებად კარავსა მას წამებისა, 25 და ერგასის წლითგან გამოდგენ მსახურებისაგან და არღარა იქმოდიან მერმე. 26 და ჰმსახურებდეს ძმაჲ მისი კარავსა მას წამებისასა დაცვად საცავსა მას, ხოლო საქმით არა იქმოდის; ესრეთ უყო ლევიტელთა მათ საცოსა მათსა ზედა.

AK

სჳა ლხინებად [262] ძეთა ისრაელისათა*, და არავინ იყოს შორის ძეთა ისრაელისათა, რომელი შეეახლებოდის სიწმიდესა მას. 20 და ყვეს მოსე და აჰრონ და ყოველმან კრებულმან ძეთა ისრაელისათამან ლევიტელთა მიმართ, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს ლევიტელთათჳს. 21 და განწმიდნეს ლევიტელნი იგი და განირცხეს სამოსელი მათი, და მისცნა იგინი აჰრონ მიცემულად წინაშე უფლისა, და ლხინება ყო მათთჳს და განწმიდნა იგინი. 22 ამისა შემდგომად შევიდეს ლევიტელნი იგი მსახურებად მსახურებასა თჳსსა კარავსა მას წამებისასა წინაშე აჰრონისა და წინაშე ძეთა მისთა. ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს ლევიტელთათჳს, ეგრეთ ყვეს.

23 ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 24 ესე არს ლევიტელთათჳს: ოცდახუთისა წლისათგანი და უზეშთაესი შევიდენ მსახურებად კარავსა მას წამებისასა, 25 და ერგასის წლითგან გამოდგენ მსახურებისაგან და არღარა იქმოდიან მერმე. 26 და ჰმსახურებდეს ძმაჲ მისი კარავსა მას წამებისასა დაცვად საცავსა მას, ხოლო საქმით არა იქმოდის; ესრეთ უყო ლევიტელთა მათ საცოსა მათსა ზედა.

თავი IX

1 და ეტყოდა უფალი მოსეს უდაბნოსა მას სინაჲსასა წელსა მას მეორესა, გამოსლვასა მას მათსა ქუეყანით ეგჳპტით, თთუესა მას პირველსა და ჰრქუა: 2 არქუ და ყონ ძეთა ისრაელისათა ვნებაჲ ჟამსა თჳსსა: 3 მეათოთხმეტესა დღესა თთჳსა მის პირველისასა,

1 ეტყოდა უფალი მოსეს უდაბნოსა მას სინასსა წელსა მეორესა, გამოსლვასა [v] მათსა ქუეყანით ეგჳპტით, თთუესა მას პირველსა და ჰრქუა: 2 არქუ, ყონ ძეთა ისრაელისათა ვნებაჲ ჟამსა თჳსსა: 3 მეათოთხმეტესა დღესა თთჳსა მის პირველისასა, მიმწუხრი,

---

S: 21 აჰრონს. 24 შევიდინ. 25 და ერგასის წლითაგანი და ერგასის წლითაგან.

AK: ისრაელისათაჲსა]იᲘᲚ᷄ისათაჲ K. 22 მას—K. ლევიტელთა K. 24 წლისგ᷄ნ K. 26 მსახურებდეს K. ძმა A. დაცვად] დ᷄ K. IX, 1 სინასა K. 2 ყონ—K. ვნებაჲ+ყონ K. 3 თჳსა K.

* აქედან 22-ე მუხლამდე K ხელნაწერს აკლია.

B

ვინ იყოს შორის ძეთა ისრაელისათა, რომელი შეეახლებოდის სიწმიდეთა მათ. [20] და ყუეს მოსე და აჰრონ და ყოველმან კრებულმან ძეთა ისრაელისათამან ლევიტელთა მიმართ, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს ლევიტელთათჳს. ეგრე ყუეს ძეთა ისრაელისათა მათთჳს. [21] და განწმდეს ლევიტელნი იგი და განირცხეს სამოსელი მათი, და მისცნა იგინი აჰრონ მისაცემელად წინაშე უფლისა, და ლხინება ყო მათთჳს აჰრონ და განწმიდნა იგინი. [22] და ამისა შემდგომად შევიდეს ლევიტელნი იგი მსახურებად მსახურებასა თჳსსა კარავსა მას წამებისასა წინაშე აჰრონისა და წინაშე ძეთა მისთა. ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს ლევიტელთათჳს, ეგრეცა ჰყუეს მათ.

[23] ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [24] ესე არს ლევიტელთათჳს: ოცდახუთისა წლისათაგანი და უზეშთაესი შევიდეს მსახურებად კარავსა მას წამებისასა, [25] და ერგასის წლითგანნი გამოდგენ მსახურებისაგან და არღარა იქმოდიან მერმე. [26] და მსახურებდეს ძმაჲ მისი კარავსა მას წამებისასა დაცვად საცავსა მას, საქმით ხოლო არა იქმოდის; ესრეთ უყო ლევიტელთა მათ საცოსა მათსა.

G

ყოფად ძეთათჳს ისრაელისათა, და არა იყოს ძეთა შორის ისრაელისათა, რომელი მიეახლოს ძეთაგანი ისრაელისათაჲ წმიდათა მიმართ. [20] და უყვეს მოსე და აარონ და ყოველმან შესაკრებელმან ძეთა ისრაელისათამან ლევიტელთა, ვითარცა ამცნო უფალმან მოსეს ლევიტელთათჳს. ეგრეთ უყვეს მათ ძეთა ისრაელისათა. [21] და უბიწო იქმნნეს ლევიტელნი და განირცხნეს სამოსელნი მათნი, და მისცნა იგინი მისაცემელად წინაშე უფლისა აარონ და [49] ლხინება ყო მათთჳს აარონ უბიწო ყოფად მათდა. [22] და ამისსა შემდგომად შევიდოდეს ლევიტელნი მსახურებად მსახურებისა მათისა კარავსა შინა წამებისასა წინაშე აარონისსა და წინაშე ძეთა მისთა. (119) ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს ლევიტელთათჳს, ეგრეთ უყვეს მათ.

[23] და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: [24] ესე არს ლევიტელთაძლითი: ოცდახუთით წლითგან და წამართი შევიდოდის მსახურებად მსახურებასა საქმეთასა კარავსა შინა წამებისასა, [25] და ერგასის წლითგანი განეყენებოდის მსახურებისაგან და არღა მოქმედებდეს მერმე. [26] და ჰმსახურებდეს ძმაჲ მისი კარავსა შინა წამებისასა ცვასა საცავთასა, ხოლო საქმეთა არა იქმოდის; ესრეთ უყო ლევიტელთა საცავთა შინა მათთა.

თავი IX

[1] და ეტყოდა უფალი მოსეს უდაბნოსა მას სინაჲსა წელსა მეორესა, გამოსლვასა მათსა ქუეყანით ეგჳპტით, თუესა მას პირველსა, და ჰრქუა: [2] არქუ და ყონ ძეთა ისრაელისათა ენება ჟამსა მას: [3] მეათორმეტესა დღესა თჳსა პირველისასა, მიმწუხრი, ყონ იგი ჟამი-

[1] და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ უდაბნოსა სინაჲსასა მეორესა წელსა გამოსლვისა მათისასა ქუეყანით ეგჳპტით, თთუესა პირველსა, მეტყუელი: [2] არქუ და ჰყოფდენ ძენი ისრაელისანი პასექსა ჟამსა მისსა: [3] მეათოთხმეტესა [დღესა] თთჳსა პირველისასა, მიმწუხრი, ყონ

B: [21] იგინი 1°]იგი. [25] წლითგანნი. [26] იქმოდით.
G: IX, [3] პირველისა Gb.

S

მიმწუხრი, ყონ იგი ჟამისაებრ და შჯულისა მისისა, შეტყუებისაებრ მისისა ყონ იგი. 4 და ეტყოდა უფალი ძეთა ისრაელისათა ყოფად ვნებისა. 5 დასაბამსა მეათოთხმეტესა დღესა თთჳსა მის პირველისასა უდაბნოსა მას სინაჲსასა ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს, ეგრეთ ყოველ ძეთა ისრაელისათა.

6 და მოვიდეს კაცნი იგი, რომელნი იყვნეს არაწმიდა სულითა კაცისაჲთა და ვერ ეძლო ყოფად ვნებისა მას დღესა შინა, და მოვიდეს წინაშე მოსესა და აჰრონისსა მას დღესა 7 და ჰრქუეს მათ კაცთა მათ: ჩუენ არაწმიდა ვართ სულითა კაცისაჲთა, ნუ დააკლებთ შეწირვად მსხუერპლსა უფლისასა ჟამსა თჳსსა შორის ძეთა ისრაელისათა. 8 და ჰრქუა მათ მოსე: დეგით მანდა და ვისმინო, რაჲ-ძი ბრძანოს უფალმან თქუენთჳს. 9 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 10 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქუ: კაცი, რომელი იყოს არაწმიდა სულითა კაცისაჲთა, გინა თუ შორსა გზასა იყოს, თქუენგანი, ნათესავთა შორის თქუენთა, და ყოს ვნებაჲ უფლისაჲ; 11 თთუესა მას მეორესა, მეათოთხმეტესა დღესა, მიმწუხრი, ყონ იგი, უცომოსა თანა ველისყრდელითა ჭამონ იგი, 12 და არა დაუტეონ მისგანი განთიადმდე და ძუალი არა განტეხონ მისგანი, შჯულისა მისებრ ვნებისა ყონ იგი. 13 და კაცი, რომელი წმიდა იყოს და გზასა შორსა არა იყოს და დააკლოს ყოფად ვნებაჲ, მოიკოცოს სული იგი შორის ერისა თჳსისა, რამეთუ მსხუერპლი უფლისა არა შეწირა, ჟამსა თჳსსა ცოდვაჲ მოიღოს კაცმან მან. 14 უკუეთუ მოვიდეს მწირი ქუეყანასა თქუენსა და ყოს ვნებაჲ უფლისაჲ შჯულისა მისებრ ვნებისა.

AK

ყონ იგი ჟამისაებრ და შჯულისა მისისა, შეტყუებისაებრ მისისა ყონ იგი. 4 და ეტყოდა უფალი ძეთა ისრაელისათა ყოფად ვნებისა. 5 დასაბამსა მეათოთხმეტისა დღისა თთჳსა მის პირველისასა უდაბნოსა სინასასა ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს, ეგრეთ ყოველ ძეთა ისრაელისათა.

6 და მოვიდეს კაცნი იგი, რომელნი იყვნეს არაწმიდა სულითა კაცისათა და ვერ ეძლო ყოფად ვნებისა მას დღეს შინა, და მოვიდეს წინაშე მოსესა და აჰრონისა მას დღესა 7 და ჰრქუეს მას: ჩუენ არაწმიდა ვართ სულითა კაცისათა. ნუ დააკლებთ შეწირვად მსხუერპლსა უფლისასა ჟამსა თჳსსა შორის ძეთა ისრაელისათა. 8 და ჰრქუა მათ მოსე: დეგით მანდა და ვისმინო, რაჲ-ძი ბრძანოს უფალმან თქუენთჳს. 9 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 10 ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და არქუ: კაცი, რომელი იყოს არაწმიდა სულითა კაცისათა, გინა თუ შორსა გზასა იყოს, თქუენგანი, ნათესავთა შორის თქუენთა, [263] და ყოს ვნებაჲ უფლისაჲ; 11 თთუესა მეორესა, მეათორმეტესა დღესა, მიმწუხრი, ყონ იგი, უცომოსა თანა ველისყრდელითა ჭამონ იგი, 12 არა დაუტეონ მისგანი განთიადადმდე და ძუალი არა განტეხონ მისგანი, შჯულისა მისებრ ვნებისა ყონ იგი. 13 და კაცი, რომელი წმიდა იყოს და გზასა შორსა არა იყოს და დააკლოს ყოფად ვნებაჲ, აღიკოცოს სული იგი შორის ერისა თჳსისა, რამეთუ მსხუერპლი უფლისა არა შეწირა, ჟამსა თჳსსა ცოდვაჲ მოიღოს კაცმან მან. 14 უკუეთუ მოვიდეს მწირი ქუეყანასა თქუენსა და ყოს ვნებაჲ უფლისაჲ შჯულისა მისებრ ვნე-

---

S: IX, 3შეტყუებისაებრ]მეტყუელებისაებრ. 5 დასაბამისა. 8 რაჲ- ძი]რაჲ მათ. 10 კაცი bis.
AK: სჯულისა K. მეათოთხმეტესა დღესა K. თჳსა K. ყუჱს A. 6 იყუნეს A. მას დღესა—K. 7 ჟამსა თჳსსა—K. 11 თთჳსა A. 12 განთიადმდე A. სჯულისა K. 13 არა 1°]წარსრულ K. არა 2°+და არა K.

B

საებრ და შჯულისა მის, შეტყუებისაებრ მისისა ყონ იგი ჟამისაებრ. 4 და ეტყოდა მოსე ძეთა ისრაელისათა ყოფად ვნებისა. 5 დასაბამსა მეათოთხმეტესა დღესა თჳსა მის პირველისასა უდაბნოსა მას სინასა ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს, ეგრე ყვეს ძეთა ისრაელისათა.

6 და მოვიდეს კაცნი, რომელნი იყუნეს არაწმიდა სულითა კაცისათა და ვერ ეძლო ყოფად ვნებისა მას დღესა შინა, და მოვიდეს წინაშე მოსესა და აჰრონისა მას დღესა, 7 და ჰრქუეს კაცთა მათ მისა მიმართ: ჩუენ არაწმიდა ვართ სულითა კაცისათა. ნუ დააკლებთ შეწირვად მსხუერპლსა უფლისასა ჟამსა თჳსსა შორის ძეთა ისრაელისათა. 8 და ჰრქუა მათ მოსე: დეგით მანდა და ვისმინოთ, რაჲ-ძი ბრძანოს თქუენთჳს უფალმან. 9 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 10 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქუ: კაცად-კაცადი, რომელი იყოს არაწმიდა სულითა კაცისათა, გინა თუ შორსა გზასა იყოს, თქუენგანი, ნათესავთა [შორის] თქუენთა, და ყოს ვნებაჲ უფლისაჲ; 11 თუესა მას მეორესა, მეათოთხმეტესა დღესა, მწუხრი, ყონ იგი, უცომოთა და მდოგჯთა ჭამონ იგი, 12 და არა დაუტეონ იგი მისგანი განთიადამდე და ძუალი არა განტეხონ მისგანი, შჯულისაებრ ვნებისა ყონ იგი. 13 და კაცი, რომელი წმიდა იყოს და გზასა შორს [არა] იყოს და დააკლოს ვნება იგი ყოფად, მოიკოცოს სული იგი შორის ერისა თჳსისა, რამეთუ მსხუერპლი უფლისა არა შეწირა, ჟამსა თჳსსა ცოდვა მოიღოს კაცმან მან. 14 უკუეთუ მოვიდეს მწირი ქუეყანასა თქუენსა და ყოს ვნება უფლისაჲ შჯულისა მისებრ

G

იგი ჟამსა მისსა შჯულთაებრ მისთა, თანა-შეტყუებისაებრ მისისა ჰყონ იგი. 4 და ეტყოდა მოსე ძეთა ისრაელისათა ყოფად პასექისა. 5 დაწყებასა მეათოთხმეტისა დღისა თთჳსა მის პირველისასა უდაბნოსა სინაჲსასა ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს, ეგრეთ ყვეს ძეთა ისრაელი(ν)სათა.

6 და მოვიდეს კაცნი, რომელნი იყუნეს არაწმიდა სულითა მათითა და ვერ ეძლო ყოფაჲ პასექისაჲ მას დღესა შინა, და მოვიდეს [ν] წინაშე მოსესსა და აარონისსა მას დღესა შინა, 7 და თქუეს კაცთა მათ მათდა მიმართ: ჩუენ არაწმიდა ვართ სულითა კაცისაჲთა. ნუუკუე დავაკლდებით შეწირვად ძღუენსა უფლისა ჟამსა (120) მისსა ძეთა შორის ისრაელისათა? 8 და თქუა მათდა მიმართ მოსე: დეგით მანდა და ვისმინო, რაჲ-ჰი ბრძანოს უფალმან თქუენთჳს. 9 და ეტყოდა უფალი მოსეს, მეტყუელი: 10 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და თქუ მათდა მიმართ: კაცი-კაცი, რომელი იქმნეს არაწმიდა სულითა კაცისაჲთა ანუ გზასა შინა შორსა, ანუ თქუენ შორის, ანუ ნათესავთა შორის თქუენთა, და ყოს (ν) პასქაჲ უფლისაჲ; 11 თთუესა მეორესა, მეათოთხმეტესა დღესა, მიმწუხრი ყონ იგი, უცომოჲსა და ველისყრდელისა თანა ჭამონ იგი, 12 არა დაუტეონ მისგანი განთიად და ძუალი არა შემუსრონ მისგან, შჯულისაებრ პასექისა ყონ იგი. 13 და კაცი-კაცი, რომელიცა წმიდა იყოს და გზასა გრძელსა არა იყოს და დააკლდეს ყოფად პასექისა, მოისპოს სული იგი ერისაგან მისისა, რამეთუ ძღუენი უფლისა არა შეწირა, ჟამსა თჳსსა ცოდვაჲ მისი მიიღოს კაცმან მან. 14 ხოლო უკუეთუ მოსლვით მოვიდეს თქუენდა მომართ მწირი ქუეყანასა თქუენსა და ყოს პასექი უფლი-

B: 10 ნათესავსა. 11 უცომოთა და მდოგჯთა]უცოჲოთი მდოგჯთა და. 12 ძუალი+არა დაუტეონ იგი მისგანი და.

S

მსგავსად ბრძანებისა მისისა ყოს იგი, შჯული ერთი იყავნ თქუენი — მწირისაჲ და მსოფლელისა მის ქუეყანისაჲ.

15 დღესა მას, რომელსა აღემართა კარავი იგი, დაფარა ღრუბელმან კარავი იგი, სახლი წამებისაჲ, და მწუხრად-მწუხრად არნ კარაესა მას ზედა, ვითარცა ხილვაჲ ცეცხლისაჲ ვიდრე განთიადამდე. 16 ესრეთ იყო მარადის: ღრუბელი ჰფარვიდა მას დღისი და ხილვაჲ იგი ცეცხლისაჲ — ღამე. 17 და რაჟამს აღიმაღლის ღრუბელმან კარვისა მისგან, ამისა შემდგომად წარიტრნიან ძენი ისრაელისანი და ადგილსა მას, რომელსა დადგის ღრუბელი იგი, მუნ დაიბანაკიან ძეთა ისრაელისათა. 18 ბრძანებითა უფლისაჲთა დაიბანაკიან ძეთა ისრაელისათა და ბრძანებითა უფლისაჲთა აღიძრნიან; (19) ყოველთა დღეთა, რაოდენთა აგრილობნ ღრუბელი კარავსა მას ზედა, დაიბანაკიან ძეთა ისრაელისათა; 19 და ოდეს დაადგრის ღრუბელი იგი მრავალ დღე, დაიცვიან საცოჲ იგი ღმრთისა[ჲ] და არა აღიძრნიან. 20 და იყოს, ოდეს აგრილობნ ღრუბელი დღეთა მათ რიცხჳთ კარავსა მას ზედა, სიტყჳთა უფლისაჲთა დაიბანაკიან და სიტყჳთა უფლისაჲთა აღიძრნიან. 21 და არნ, ოდეს დგან ღრუბელი იგი მწუხრითგან და ვიდრე განთიადმდე, (22) და უკუეთუ აღვიდის ღრუბელი იგი განთიად, იტრნიან; დღისი გინა ღამე, ოდეს წარვიდის ღრუბელი იგი, წარიტრნიან. 22 უკუეთუ თთუეთა დღეთამდე განმრავლდის ღრუბელი იგი და აგრილობნ მას ზედა, დაადგრიან ძენი ისრაელისანი და არა იტრნიან, 23 რამეთუ ბრძანებითა უფლისაჲთა იტრვოდეს და საცოსა უფლისასა იმარხვიდეს ბრძანებითა უფლისათა, კელითა მოსესითა.

AK

ბისა, მსგავსად ბრძანებისა მისისა ყოს იგი, შჯული ერთი იყავნ თქუენი — მწირისა და მსოფლელისაჲ მის ქუეყანისა.

15 დღესა მას, რომელსა აღემართა კარავი იგი, დაფარა ღრუბელმან კარავი იგი, სახლი წამებისა, და მწუხრად-მწუხრად არნ მას ზედა, ვითარცა ხილვაჲ ცეცხლისა ვიდრე განთიადმდე. 16 ესრეთ იყო მარადის: ღრუბელი ჰფარვიდა მას დღისი და ხილვაჲ იგი ცეცხლისა — ღამე. 17 და რაჟამს აღიმაღლის ღრუბელმან კარვისა მისგან, წარიტრნიან ძენი ისრაელისანი და ადგილსა მას, რომელსა [v] დადგის ღრუბელი იგი, მუნ დაიბანაკიან ძეთა ისრაელისათა. 18 ბრძანებითა უფლისაჲთა ... და ყოველთა დღეთა, რაოდენთა აგრილობნ ღრუბელი კარავსა მას, დაიბანაკიან ძეთა ისრაელისათა; 19 და რაჟამს დაადგრის ღრუბელი იგი მრავალ დღე, დაიცვიან საცო იგი ღმრთისაჲ და არა აღიძრნიან. 20 და იყოს, რაჟამს აგრილობნ ღრუბელი დღეთა მათ რიცხჳთ კარავსა მას ზედა, სიტყჳთა უფლისაჲთა დაიბანაკიან და სიტყჳთა უფლისაჲთა აღიძრნიან. 21 და არნ, ოდეს დგან ღრუბელი იგი მწუხრითგან ვიდრე განთიადმდე, უკუეთუ აღვიდის ღრუბელი იგი განთიად, იტრნიან; დღისი გინა ღამე, რაჟამს წარვიდის ღრუბელი იგი, წარიძრნიან. 22 უკუეთუ თთუეთა დღეთამდე განმრავლდის ღრუბელი იგი და აგრილობნ მას ზედა, დაადგრიან ძენი ისრაელისანი და არა იტრნიან, 23 რამეთუ ბრძანებითა უფლისაჲთა იტრნიან და საცოსა უფლისასა იმარხვიდეს სიტყჳთა უფლისაჲთა, კელითა მოსესითა.

S: 14 მსოფლელისაჲ. 15 არიან. 21 აღვიდეს.

AK: 15 კარავი... მას ზედა]დღისი და მწუხრად არიან მას შინა K. ხილვა A. 16 ფარვიდა K. ხილვა A. წარიტრიან K. 19 რაჟამს—K. მრავალ—K. 22 განმრავლდეს A.

B

ვნებისა, მსგავსად ბრძანებისა მისისა, ეგრეთ ყოს იგი, შჯული ერთი იყავნ თქუენი — მწირისა და სოფლელისა მის ჭეუყანისა.

15 დღესა მას, რომელსა აღემართა კარავი, და დაფარა ღრუბელმან კარავი იგი, სახლი წამებისა, და მწუხრად-- მწუხრად არნ კარავსა მას ზედა ვითარცა ხილვა ცეცხლისა ვიდრე განთიადამდე. 16 ესრეთ იყო მარადის: ღრუბელი ფარვიდა მას დღისი და ხილვა იგი ცეცხლისა — ღამე. 17 რაჟამს აღიმაღლის ღრუბელმან მან კარვისა მისგან, ამისა შემდგომად წარიტრნიან ძენი ისრაელისანი და ადგილსა მას, რომელსა დადგის ღრუბელი იგი, მუნ დაიბანაკიან ძეთა ისრაელისათა. 18 ბრძანებითა უფლისაჲთა აღიძრნიან ძენი ისრაელისანი და ბრძანებითა უფლისათა აღიძროდენ(!); ყოველთა დღეთა, რაოდენთა აგრილობს ღრუბელი იგი კარავსა მას ზედა, დაიბანაკიან ძეთა ისრაელისათა; 19 და ოდეს დადგეს ღრუბელი იგი კარავსა ზედა მრავალ დღე, დაიცუან ძეთა ისრაელისათა საცო იგი უფლისაჲ და არა აღიძრნიან. 20 და იყო, ოდეს აგრილობს ღრუბელი დღეთა მათ რიცხუთა კარავსა ზედა, სიტყუთა უფლისაჲთა დაიბანაკიან და სიტყუთა უფლისაჲთა აღიძრნიან. 21 და არნ, ოდეს დგან ღრუბელი იგი მწუხრითგან ვიდრე განთიადამდე, და უკეთუ აღვიდის ღრუბელი იგი განთიად, აღიძროდიან; დღისი გინა ღამე, ოდეს წარვიდის ღრუბელი იგი, წარიტრნიან. 22 უკეთუ თუეთა დღეთამდე განმრავლდის ღრუბელი იგი და აგრილობს მას ზედა, დაადგრიან ძენი ისრაელისანი და არა აღიძროდიან, 23 რამეთუ ბრძანებითა უფლისაჲთა აღიძროდეს და საცოსა უფლისაჲსა იმარხვიდეს ბრანებითა უფლისაჲთა და ჴელითა მოსესითა.

G

საჲ შჯულისაებრ პასექისა და განწესებისაებრ მისისა, ეგრეთ ყოს იგი, შჯული ერთი იყოს თქუენი — მწირისაჲ და მსოფლელ[50]ისა მის ჭეუყანისაჲ.

15 და დღესა, რომელსა აღემართა კარავი, დაფარა ღრუბელმან კარავი, სახლი წამებისაჲ, და მიმწუხრი იყო კარავსა ზედა სა(121)ხე ცეცხლისაჲ ვიდრე განთიადმდე. 16 ესრეთ იქმნებოდა მარადის: ღრუბელმან დაფარის იგი დღისი და საბემან ცეცხლისამან — ღამე. 17 და რაჟამს ამაღლდის ღრუბელი კარვისაგან, და ამის შემდგომად იტრნიან ძენი ისრაელისანი, და ადგილსა, რომელსა დადგის ღრუბელი, მუნ დაიბანაკებენ ძენი ისრაელისანი. 18 ბრძანებითა უფლისაჲთა იტრვოდეს... ყოველთა დღეთა, რომელთა აგრილობდის ღრუბელი კარავსა ზედა, დაბანაკებულ იყვნიან ძენი ისრაელისანი; 19 და რაჟამს დაადგრის ღრუბელი დღეთა მრავალთა, დასცვიდიან ძენი ისრაელისანი საცავსა ღმრთისასა და არა იტრნიან: 20 და იყვის, ოდეს ჰფარვიდის ღრუბელი დღეთა რიცხუსა კარავსა ზედა უფლისასა, დაბანაკებულ იყვნიან და ბრძანებითა უფლისაჲთა იტრნიან. 21 და არნ, ოდეს დგან ღრუბელი მწუხრითგან ვიდრე განთიადმდე, და ამაღლდის ღრუბელი განთი(v)ად და იტრნიან; დღისი ანუ ღამე, და უკუეთუ ამაღლდის ღრუბელი, იტრნიან დღისი (!) 22 ანუ დღეთა თჯსათა განმრავლდის ღრუბელი მაგრილობელად მისსა, დაბანაკებულ იყვნიან, 23 რამეთუ ბრძანებითა უფლისაჲთა იტრვოდეს, საცავსა უფლისასა სცვიდეს ბრძანებითა უფლისაჲთა, ჴელითა მოსესითა.

B: 17 წარიტრნეს. 19 დაიცუნ ძენი ისრაელისანი. აღძრნიან. 21 აღიძროდენ. 22 ზედა+და.

თავი X

S

[1] და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [2] იქმნენ თავისა შენისა ორნი ნესტუნი, ჴედილნი ვეცხლისანი ჰქმნე ოგინი და იყვნენ შენდა მოწოდებად კრებულისა და ტრვად ბანაკისა. [3] და დაჰბერო მით და შემოკრბეს ყოველი კრებული კარად კარვისა საწამებელისა. [4] უკუეთუ ერთსა დაჰბერო, მოვიდოდიან შენდა მთავარნი იგი, წინამძღუარნი ისრაელისანი. [5] და დაჰბეროთ საუწყებელად და იტრას ბანაკი იგი, რომელი დაბანაკებულ იყოს მზის აღმოსავალით; [6] და დაჰბეროთ საუწყებელსა მას მეორესა და იტრას ბანაკი იგი, რომელი დაბანაკებულ იყოს ჩრდილოჲთ; და დაჰბერეთ საუწყებელითა მესამითა და იტრას ბანაკი იგი, რომელი დაბანაკებულ იყოს ზღუთ კერძო; და დაჰბეროთ საუწყებელსა მას მეოთხესა და იტრას ბანაკი იგი, რომელი დაბანაკებულ იყოს ბღუარით; და საუწყებელსა დაჰბეროდიან ტრვასა მას მათსა. [7] და რაჟამს შეჰკრიბოთ კრებული, დაჰბეროთ და ნუ საუწყებელად. [8] და ძეთა აჰრონისთა, მღდელთა, დაჰბეროდიან ნესტუებითა მით. და იყოს იგი თქუენდა შჯულად საუკუნოდ ნათესავთა შორის თქუენთა. [9] უკუეთუ განხჳდეთ ბრძოლად მტერთა მათ თქუენთა ქუეყანასა მას თქუენსა და აუწყოდით ნესტუებითა მით, და მოიკსენნეთ წინაშე უფლისა და განერნეთ მტერთაგან თქუენთა. [10] და დღეთა სიხარულისა თქუენისათა და დღესასწაულთა და თთჳსთავთა თქუენთა დაჰბერით ნესტუებითა მით მსხუერპლთა თქუენთა ზედა და შესაწირავთა ცხორებისა თქუ-

AK

[1] ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [2] იქმნენ თავისა შენისა ორნი ნესტუნი, ჴედილნი ვეცხლისანი, და იყვნენ შენდა მოწოდებად კრებულისა და ტრვად [264] ბანაკისა. [3] დაჰბერო მით და შემოკრბეს ყოველი კრებული კარად კარვისა საწამებელისა. [4] უკუეთუ ერთსა დაჰბერო, მოვიდოდიან შენდა მთავარნი იგი, წინამძღუარნი ისრაელისანი. [5] და დაჰბეროთ საუწყებელად და იტრას ბანაკი იგი, რომელი დაბანაკებულ იყოს მზის აღმოსავალით; [6] და დაჰბეროთ საუწყებელსა მას მეორესა და იტრას ბანაკი, რომელი დაბანაკებულ იყოს ჩრდილოთ; და დაჰბერეთ საუწყებელითა მესამითა და იტრას ბანაკი იგი, რომელი დაბანაკებულ იყოს ზღუთ კერძო; და დაჰბერეთ საუწყებელსა მეოთხესა და იტრას ბანაკი იგი, რომელი დაბანაკებულ იყოს ბღუარით*; და საუწყებელსა დაჰბეროდიან ტრვასა მათსა. [7] და რაჟამს შეჰკრიბოთ კრებული, დაჰბერით და ნუ საუწყებელად. [8] და ძეთა აჰრონისთა, მღდელთა, დაჰბეროდიან ნესტუებითა მით, და იყოს იგი თქუენდა შჯულად საუკუნოდ ნათესავსა შორის თქუენსა. [9] უკუეთუ გარდახჳდეთ ბრძოლად მტერთა თქუენთა ქუეყანასა თქუენსა და აუწყოდით ნესტუებითა მით, და მოიკსენნეთ წინაშე უფლისა, განერნეთ მტერთაგან თქუენთა. [10] და დღეთა სიხარულისა თქუენისათა, დღესასწაულთა და თთჳსთავთა თქუენთა დაჰბერით ნესტუებითა მით მსხუერპლთა თქუენთა ზედა და შესაწირავთა ცხორებისა თქუენისათა, და იყოს თქუ-

---

S: X, [3] დაჰბეროს. [10] დღესა.

AK: X, [2] იყუნენ A· მოწოდებაჲ A. კრებულისაჲ K. [4] დაჰბეროს A. [5] აღმოსაულით K. [6] დაბეროო K. ბანაკი 1°—K. დაჰბერეთ 1° 2°]დაბეროთ K. საუწყებლითა K. [9] გარდახჳდეთ]გარდახთ AK.

* აქედან მე-9 მუხლამდე (ჩათჳლით) აკლია K ხელნაწერს.

თავი X

B

1 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 2 იქმნენ თავისა შენისა ორნი ნესტუნი, ჭედილნი ვეცხლისანი, და იყუნენ შენდა მოწოდებად კრებულისა და ტრვად ბანაკისა. 3 და დაჰბეროო მითა და შემოკრბეს ყოველი კრებული კარად კარვისა საწამებელისა. 4 უკუეთუ ერთსა დაჰბეროთ, მოვიდოდიან შენდა ყოველნი მთავარნი, წინამძღუარნი ისრაელისანი. 5 და დაჰბეროთ საუწყებელად და იტრას ბანაკი იგი, რომელი დაბანაკებულ იყოს მზისა აღმოსავალით; 6 და დაჰბეროთ საუწყებელსა მას მეორესა და იტრას ბანაკი იგი, რომელი დაბანაკებულ იყოს სამხრით; დაჰბეროთ საუწყებელითა მესამითა და იტრას ბანაკი იგი, რომელი დაბანაკებულ იყოს ჩრდილოთ; და საუწყებელსა დაჰბერონ ტრვასა მათსა. 7 და რაჟამს შეჰკრიბოთ კრებული, დაჰბერეთ და ნუ საუწყებელად. 8 და ძეთა აჰრონისთა, მღდელთა, დაჰბერონ ნესტუებითა მით, და იყოს იგი თქუენდა მჯულად საუკუნოდ ნათესავთა შორის თქუენთა. 9 უკუეთუ განხედეთ ბრძოლად მტერთა თქუენთა ქუეყანასა მას თქუენსა და აუწყებდით ნესტუებითა მით, და მოიკსენნეთ წინაშე უფლისა და განერნეთ მტერთაგან თქუენთა. 10 და დღეთა სიხარულისა თქუენისათა და დღესასწაულთა და თუსთაგთა თქუენთა დაჰბეროთ ნესტუებითა მით ყოველად-დასაწველსა ზედა მსხუერპლთა თქუენთა ზედა, და იყოს

G

1 და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: 2 იქმნენ თავისა შენისად ორნი ნესტუნი, [v] ვე(122)ცხლისანი დაჭედილნი ჰქმნნე იგინი და იყვნენ შენდა მოსაწოდებელ შესაკრებელისა და აღსატრველ ბანაკთა. 3 და დაჰნესტუვიდე მათ მიერ და შემოკრბებოდის ყოველი შესაკრებელი კარსა თანა კარვისა საწამებელისასა. 4 ხოლო უკუეთუ ერთითა დაჰნესტოთ, მოვიდოდენ შენდა ყოველნი მთავარნი, ათასისთავნი ისრაელისანი. 5 და დაჰნესტოთ შესასწავებელი და იტრნენ ბანაკნი, დაბანაკებულნი აღმოსავალად მიმართ; 6 და დაჰნესტოთ შესასწავებელი მეორე და იტრნენ ბანაკნი დაბანაკებულნი სამხრად მიმართ; და დაჰბეროთ შესასწავებელი მესამე და იტრნენ ბანაკნი დაბანაკებულნი ზღუთ; და დაჰნესტოთ შესასწავებელი მეოთხე და იტრნენ ბანაკნი დაბანაკებულნი ჩრდილოდ მიმართ; შესასწავებელ(v)სა დაჰნესტუვიდენ აღტრვასა შინა მათსა. 7 და ოდეს შეჰკრებდეთ შესაკრებელსა, დაჰნესტუვიდეთ და არა შესასწავებელსა. 8 და ძენი აარონისნი, მღდელნი, ჰნესტუვიდენ ნესტუთა, და[51]იყოს თქუენდა მჯულ საუკუნო ნათესავთა შინა თქუენთა. 9 ხოლო (123) უკუეთუ შეხვდეთ ბრძოლად ქუეყანასა თქუენსა წინაალმდგომთა მიმართ წინადამდგომთა თქუენთა და დაჰნესტოთ ნესტუთა, და მოჯსენებულ იქმნნეთ წინაშე უფლისა და განერნეთ მტერთაგან თქუენთა. 10 და დღეთა სიხარულისა თქუენისათა დაჰნესტოდით ნესტუთა ყოვლად-დასაწუველთა ზედა და მსხუერპლთა ზედა მაცხოვარებისა

B: X, 2 ორი. ბანაკისა+და ტურვად. 3 დაბეროს. კარვად. 4 ყოველი. 5 ტურვასა.
G: X, 2 იქმნენ]ქმნენ Ga.

S

ენისათა, და იყოს თქუენდა მოსაჯსენებელ წინაშე ღმრთისა თქუენისა, რამეთუ მე ვარ უფალი, ღმერთი თქუენი.

11 და იყო, წელსა მას მეორესა და თთუესა მეორესა, ოცსა თთჳსასა აღიმაღლა ღრუბელმან კარვისა მისგან წამებისა, 12 და წარიტრნეს ძენი ისრაელისანი კარვითურთ მათით უდაბნოჲსა მისგან სინაჲსა და დადგა ღრუბელი იგი უდაბნოსა მას ფარანისასა. 13 და იტრნეს პირველად სიტყუთა უფლისაჲთა, კელითა მოსესითა. 14 და იტრა განწესებული ბანაკი ძეთა იუდაჲსთაჲ ძალითურთ მათით, და ერსა მას ზედა მათსა ნაასონ, ძე ამინადაბისი, 15 და ერსა ზედა ტოჰმისა ძეთა ისაქარისთასა ნათანაელ, ძე სოგარისი, 16 და ერსა ზედა ტოჰმისა ძეთა ზაბულონისთასა ელიაბ, ძე ქერონისი. 17 და დაჰსნენ კარავი იგი და იტრნენ ძენი გეთსონისნი და ძენი მერარისნი და აღიღონ კარავი იგი. 18 და წარიძრა განწესებული იგი ბანაკი ძეთა რუბენისთაჲ ძალითურთ მათით, და ერსა მას ზედა ელისურ, ძე სედეორისი, 19 და ერსა მას ზედა ნათესავისა (19) ძეთა სჳმეონისთა სალამიელ, ძე სურისადაჲსი, 20 და ერსა ზედა ნათესავისა ძეთა გადისთასა ელისაფან, ძე რაგუელისი. 21 და იტრნენ ძენი კაათისნი და აღიღონ სიწმიდე იგი და აღმართონ კარავი იგი ვიდრე მისლვად მათამდე. 22 და იტრას განწესებული ბანაკი ეფრემისი, და ერსა მას ზედა მათსა ელისამა, ძე სემიუდისი, 23 და ერსა ზედა ტომისა ძეთა მანასესთასა გამალიელ, ძე ფადასურისი, 24 და ერსა ზედა ტომისა ძეთა ბენიამისთასა აბიდან, ძე გედეონისი. 25 და იტრას განწესებული ბანაკი ძეთა დანისთაჲ

AK

ენდა მოსაჯსენებელ წინაშე ღმრთისა თქუენისა, რამეთუ მე ვარ უფალი, ღმერთი თქუენი.

11 და იყო, წელსა მეორესა და თთუესა მეორესა, ოცსა თთჳსასა აღიმაღლა ღრუბელმან კარვისა მისგან წამებისა, 12 და წარიტრნეს ძენი ისრაელისანი კარვითურთ უდაბნოსა მისგან სინასა და დადგა ღრუბელი იგი უდაბნოსა მას ფარანისასა. 13 და იტრნეს [v] პირველად სიტყუთა უფლისაჲთა, კელითა მოსესითა. 14 და იტრა განწესებული ბანაკი ძეთა იუდაჲსთა ძალითურთ მათით, და ერსა მას ზედა მათსა იყო ნასონ, ძე ამინადაბისი, 15 და ერსა მას ზედა ტომისა ძეთა ისაქარისთა ნათანაელ, ძე სოგრისი, 16 და ერსა ზედა ტომისა ძეთა ზაბულონისთასა ელიაბ, ძე ქელონისი. 17 და დაჰჴსნენ კარავი იგი და იტრნენ ძენი გეთსონისნი და ძენი მერარისნი და აღიღონ კარავი იგი. 18 და წარიძრა განწესებული ბანაკი ძეთა რუბენისთა ძალითურთ მათით, და იყო ერსა მას ზედა მათსა ელისურ, ძე სედეურისი, 19 და ერსა ზედა ნათესავისა ძეთა სჳმეონისთასა სალამიელ, ძე სურისადაჲსი, 20 და ერსა ზედა ნათესავისა ძეთა გადისთასა ელისაფან, ძე რაგოელისი. 21 და იტრნენ ძენი კაათისნი და აღიღონ სიწმიდე იგი და აღმართონ კარავი იგი ვიდრე მისლვადმდე მათა. 22 და იტრას განწესებული ბანაკი ეფრემისი*...

S: 16 ზაბულონისთაჲ. 21 მათთამდე.

AK: 12 მისგან—A. 14 იყო]იყუნეს AK. ამინადაბისაჲ K. 15 ნათაელ K. სოგორისა K. 16 ტომისა—K. ზაბულონისათა K. 17 დაჰსნენ K. 18 სედიურისი K. 19 სჳმეონისთა K. 21 იტრნეს A. ვიდრე—K. მათა]მათდა A. 22 იტრნეს AK. ეფრემისი+ელისამა ძე იუდასი K.

* აქედან XII თავის მე-9 მუხლამდე (ჩათვლით) აკლია AK ნუსხებს.

B

მოსაჴსენებელ თქუენდა წინაშე ღმრთისა თქუენისა, რამეთუ მე ვარ უფალი, ღმერთი თქუენი.

11 და იყო, წელსა მეორესა და თუესა მეორესა და თავსა ოცსა თჳსასა აღიმაღლა ღრუბელმან მან კარვისა მისგან წამებისა, 12 და წარიტრნეს ძენი ისრაელისანი კარვითურთ მათით უდაბნოსა მისგან სინასა და დადგა ღრუბელი იგი უდაბნოსა მას ფარანისასა. 13 და იტრნეს პირველად სიტყუთა უფლისაჲთა, ჴელითა მოსესითა. 14 და იტრა განწესებული ბანაკი ძეთა იუდასთა პირველ ძალითურთ მათით, და ერსა მას მათსა ზედა ნასუნ, ძე ამინადაბისი, 15 და ერსა ზედა ტომისა ძეთა ისაქარისთა ნათანაელ, ძე სოგორისი, 16 და ერსა ზედა ტომისა [ძეთა] ზაბულონისთა ელიაბ, ძე ჭერონისი. 17 და დაჰჴსნენ კარავი მისი და იტრნენ ძენი გეთონისნი და ძენი მერარისნი და აღძრან კარავი იგი. 18 და წარიძრა განწესებული იგი ბანაკი [ძეთა] რუბენისთა ძალითურთ მათით, და ერსა მას ზედა ელისურ, ძე სედიორისი, 19 ერსა ზედა ნათესავისა ძეთა სჳმეონისთა სალამიელ, ძე სურისადისი, 20 და ერსა ზედა ნათესავისა ძეთა გადისთა ელისაფან, ძე რაგოელისი. 21 და იტრნენ ძენი კაათისნი და აღიღონ სიწმიდე იგი და აღმართონ კარავი იგი ვიდრე მისლვად მათდამდე. 22 იტრას განწესებული ბანაკი ეფრემისი, და ერსა მას მისსა ზედა ელისამ, ძე სემიუდისი, 23 და ერსა ზედა ტომისა ძეთა მანასესთასა გამალელ, ძე ფადისურისი, 24 და ერსა ზედა ტომისა ძეთა ბენიამენისთა აბიდან, ძე გედეონისი. 25 და იტრას განწესებული ბანაკი ძეთა დანისთა შემდგომად ყოველთა ბანაკთა

G

თქუენისათა, და იყოს თქუენდა აღსაჴსენებელ წინაშე ღმრთისა თქუენისა, მე ვარ უფალი, ღმერთი თქუენი.

11 და იყო, წელსა მეორესა, თთუესა მეორესა, ოცსა თთჳსასა და აღვიდა ღრუბელი კარვისაგან წამებისა, 12 და იტრნეს ძენი ისრაელისანი განმზადებულებასა თანა მათსა უდაბნოჲთ სინაჲთ და დადგა ღრუბელი უდაბნოსა ფარანისასა. 13 და იტრნეს პირველნი ჴმითა უფლისაჲთა, ჴელითა მოსესითა. 14 და იტრა განწყობილი ბანაკისა ძეთა იუდაჲსთაჲ პირველნი ძალისა თანა მათისა, და ძალსა ზედა მათსა ნაასონ, (v) ძე ამინადაბისი, 15 და ძალსა ზედა ტომისა ძეთა ისახარისთასა ნათანაილ, ძე სოღარისი, 16 და ძალსა ზედა ტომისა ძეთა ზაბულონისთასა ელიაბ, ძე აჲლონისი. 17 და დაჰჴსნეს კარავი და აღიტრნეს ძენი გეთსონისნი და ძენი მერარისნი და აღიღეს კარავი. 18 და იტრა განწყობილი ბანაკისა ძეთა რუბენისთაჲ ძალისა თანა მათისა, და ძალსა ზედა მათსა ელისურ, ძე სედიურისი, 19 და ძალსა ზედა ტომისა ძეთა სჳმეონისთასა სალამაილ, ძე სურისადაისი, 20 და ძალსა ზედა ტომისა ძეთა გადისთასა ელისაფ რაგუილისი. 21 და იტრნეს ძენი კაათისნი და აღიხუნეს წმიდანი და დაადგინეს კარავი ვიდრემდის მიიწინენ. 22 და იტრა განწყობილი ბანაკისა ძეთა ეფრემისთაჲ ძალისა თანა მათისა, და ძალსა ზედა მათსა ელისამა, [v]ძე სემიუდისი, 23 და ძალსა ზედა ტომისა ძეთა მანასესთასა გამალიილ, ძე ფადასსურისი, 24 და ძალსა ზედა ტომისა ძეთა ბენიამენისთ(124)ასა აბიდან, ძე გედეონისი. 25 და იტრნეს განწყობილი ძეთა დანისთაჲ უკუანაჲსკნელნი ყოველთა ბანაკთანი

B: 16 ტომსა. 17 აღიძრნენ. 18 სედიორი.
G: 22 ემიუდისი Gb.

S AK

შემდგომად ყოველთა ბანაკთა ძალითურთ მათით, და ერსა მას ზედა აჭიეზერ, ძე ამინადაბისი, 26 და ერსა მას ზედა ტოჰმისა ასერიმთასა ფაგელ, ძე ექრანისი, 27 და ტომსა მას ზედა ძეთა ნეფთალემისთჳსა აჭირე, ძე ენანისი: 28 ესე ბანაკი ძეთა ისრაელისათაჲ, რიცხუნი წარიძრნეს ძალითურთ მათით.

29 და ჰრქუა მოსე იუბაბას, ძესა რაგუელისსა, მადიამელსა, სიმამრსა მოსესსა: წარვიძრვით ჩუენ ადგილსა მას, რომელი მრქუა ჩუენ უფალმან: ესე მიგცე თქუენ. აწ მოვედ ჩუენ თანა და კეთილი გიყოთ შენ, რამეთუ უფალმან თქუა კეთილი ისრაელისათჳს. 30 და მან ჰრქუა მას: არა მივიდე, არამედ ქუეყანად ჩემდა და ნათესავისა ჩემისა წარვიდე. 31 და ჰრქუა მას მოსე: ნუ დამიტეებ ჩუენ, ვინაჲთგან იყავ ჩუენ თანა უდაბნოსა ამას, და იყო ჩუენ შორის მოხუცებულად. 32 და უკუეთუ მოხჳდე ჩუენ თანა, იყოს, კეთილი იგი, რაოდენი კეთილი გჳყოს ჩუენ უფალმან, შენცა კეთილ გიყოთ. და მან არა ინება.

33 და წარიძრნეს იგინი მთისაგან უფლისა გზასა სამისა დღისასა, და კიდობანი იგი უფლისა წინა ვიდოდა უწინარეს მათსა გზასა სამისა დღისასა (34) განსჱილვად მათთჳს განსასუენებელისა. 34 (35) და იყო, რაჟამს წარიძრვოდა კიდობანი, და თქუა მოსე: აღდეგ, უფალო, და განიბნინენ ყოველნი მტერნი შენნი და ივლტოდედ ყოველნი მოძულენი შენნი პირისა შენისაგან! 35 (36) და დადგრომასა თქუა: მოაქციე, უფალო, ათასეული და ბევრეული ისრაელსა შორის! 36 და ღრუბელი იგი აგრილობდა მათ ზედა დღისი ტრვასა მას შთსა ბანაკით.

S: 29 მოსესა.

B

ძალითურთ მათით, და ერსა ზედა აქეზერ, ძე ამისადასი, 26 და ერსა მას ზედა ტომისა ასერისთასა ფაგელ, ძე ექრანისი, 27 და ძალითურთ ტომისა მის ზედა ძეთა ნეფთალემისთა აქიერ, ძე ენანისი. 28 ესე ბანაკი ძეთა ისრაელისათა, რომელნი წარიძრნეს ძალითურთ მათით.

29 და ჰრქუა მოსე იობაბელს, ძესა რაგოელისსა, სიმამრსა თჳსსა: წარვიძრვით ჩუენ ადგილისა ამის, რომელ მრქუა ჩუენ უფალმან: ესე მიგცე თქუენ. აწ მოვედ ჩუენ თანა და კეთილი გიყოთ შენ, რამეთუ უფალმან თქუა კეთილი ისრაელთათჳს. 30 და მან ჰრქუა: არა მოვიდე, არამედ ქუეყანად ჩემდა და ნათესავად ჩემდა წარვიდე. 31 და ჰრქუა მას: ნუ დამიტეევებ ჩუენ, ვინათგან იყავ ჩუენ თანა უდაბნოსა ამას, იყო ჩუენ შორის მოხუცებულად. 32 და უკეთუ მოხჳდე ჩუენ თანა, იყოს, კეთილი იგი, რაოდენი კეთილი გუყოს უფალმან ჩუენ, კეთილი გიყოთ შენ.

33 და წარიძრნეს იგინი მთისაგან უფლისა გზასა სამისა დღისასა და კიდობანი იგი უფლისაჲ წინა უძღოდა უწინარეს მათსა გზასა სამისა დღისასა განხილვად მათთჳს განსასუენებელისა. 34 და იყო, რაჟამს წარვიდოდა კიდობანი იგი, თქუა მოსე: აღდეგ, უფალო, და განაბნიენ მტერნი შენნი, ივლტოდედ ყოველნი მოძულენი შენნი პირისაგან შენისა! 35 და დადგომასა კიდობნისასა თქუა: მოაქციე, უფალო, ათასეული და ბევრეული ისრაელისა! 36 და ღრუბელი იგი უფლისაჲ აგრილობდა მათ ზედა დღისი დღესა მას ტრვასა მას მათსა ბანაკით.

G

ძალისა თანა მათისა, და ძალსა ზედა მათსა აქიეზერ, ძე [ა]მისადაისი, 26 და ძალსა ზედა ტომისა ძეთა ასირისთასა ფალაილ, ძე ეხრანისი, 27 და ძალსა ზედა ტომისა ძეთა ნეფთალიმისთასა აქირე, ძე ენანისი. 28 ესე არიან მკედრობანი ძეთა ისრაელისათანი და იტრნეს ძალისა თანა მათისა.

29 და ჰრქუა მოსე იობაბს, ძესა რაგუილისსა, მადიამელსა, სიმამრსა მოსესსა: წარვიტრვით ჩუენ ადგილსა, რომელი თქუა უფალმან: ესე მიგცე თქუენ. მოვედ ჩუენ თანა. და ქველ გიყოთ შენ, რამეთუ უფალმან თქუნა კეთილნი ისრაელისათჳს. 30 და მან თქუა მისსა მიმართ: არა ვიდოდი, არამედ ქუეყანად ჩემდა და ნათესავად ჩემდა. 31 და ჰრქუა: ნუ დამიტეევებ ჩუენ, ვინაჲთგან იყავ ჩუენ თანა უდაბნოსა ზედა, და იყო ჩუენ შორის მოხუცებულ. 32 და იყოს, უკუეთუ მოხჳდე ჩუენ თანა, და იყვნენ, კეთილნი იგი, რაოდენითაცა კეთილი (v) მიყოს ჩუენ უფალმან, და ქველ გიყოთ შენ.

33 და წარიტრნეს მთით უფლისაჲთ გზასა სამისა დღისასა, და კიდობანი აღთქუმისა უფლისაჲ წინა ვიდოდა უწინარეს მათსა გზასა სამთა დღეთასა მომსტურობად მათთჳს განსასუენებელისა. 34 და იყო, ტრვასა მას კიდობნისასა და თქუა მოსე: აღდეგ, უფალო, და განიბნინედ მტერნი შენნი და ივლტოდედ ყოველნი მოძულენი შენნი! 35 და დადგომასა თქუა: მოა(125)ქციე, უფალო, ათასეულთა ჴომართ და ბევრეულთა ისრაელსა შორის! 36 [52] და ღრუბელი იყო მაჩრდილობელ მათ ზედა დღისი ტრვასა მათსა ბანაკისაგან.

B: 27 მის]მ-ს. 29 მრჰქუა. 31 იყავნ. 33 გზასა სამისა]გზისა მის. 34 თქუნ.
G: 31 უდაბნოს Ga. იყოს Ga.

თავი XI

S AK

1 და ერი იგი დრტჳნვიდა ბოროტად წინაშე უფლისა, და ესმა უფალსა და განრისხნა გულისწყრომით. და აღატყდა ცეცხლი მათ შორის უფლისა მიერ და შეჰამა რაოდენიმე ბანაკისაჲ მის. 2 და ღაღად-ყო ერმან მან მოსესა მიმართ; და ილოცა მოსე უფლისა მიმართ და დასცხრა ცეცხლი იგი. 3 და ეწოდა ადგილსა მას „ცეცხლით მოწუა", რამეთუ მუნ აღატყდა მათ შორის ცეცხლი უფლისა მიერ.

4 და ერსა მას უცხოსა, რომელი გამოვიდა ისრაელისა თანა, გულმან უთქუა გულისთქმაჲ, დასხდა და ტიროდა და ძენი ისრაელისანიცა მათ თანა და იტყოდეს: ვინ მცეს ჩუენ კორცი და ვჭამოთ? 5 რამეთუ მოვიჯსენეთ ჩუენ თევზი იგი, რომელსა ვჭამდით ჩუენ ეგჳპტეს უსასყიდლოდ, და ნესუსა და მელსაპეპონსა და პრასასა და ხახუსა და ნიორსა. 6 აწ ესერა სული ჩუენი დამდნარ არს, გარნა მანანასა ამას ხოლო თუალნი ჩუენნი მსტუარ არიან. 7 ხოლო მანანაჲ იყო, ვითარცა თესლი ქინძისაჲ, სპეტაკ, და ხილვაჲ მისი, ვითარცა ხილვაჲ მყინვარისაჲ. 8 და განვიდის ერი იგი, შეკრიბის და დაფქვიან ფქვილითა და მოგალიან ფილითა და შეაგბიან იგი ქოთნითა და შეჭმნიან ყურბეულად. და იყო გემოჲ მისი, ვითარცა გემოჲ რჩეულისა ზეთისაჲ. 9 და რაჟამს გარდამოჴდის ცუარი ბანაკსა მას ზედა, გარდამოჴდის მანანაჲცა იგი მას თანა. 10 და ესმა მოსეს ტირილი იგი მათი, ტომად-ტომადისა მათისაჲ, თითოეულთაჲ წინაშე კარსა კარვისა თჳსისა, და ტიროდეს. განრისხდა გულისწყრომით უფალი ფრიად და წინაშე მოსესაცა იყო ესე ბოროტ. 11 და ჰრქუა მოსე უფალსა: რაჲსათჳს ბოროტი უყავ

S: 5 მელაპეპონსა. 6 ფილთა. შეგბიან. 10 მოსესაცა]მოსეცა.

თავი XI

B

1 და ერი იგი დრტჳნვიდა ბოროტად წინაშე უფლისა, და ესმა უფალსა და განრისხნა გულისწყრომითა. და აღატყდა ცეცხლი მათთჳს უფლისა მიერ და შეჭამა რაოდენიმე ბანაკისა მის. 2 და ღაღად-ყო ერმან მოსეს მიმართ; და ილოცა მოსე უფლისა მიმართ და დაჰცხრა ცეცხლი იგი. 3 და ეწოდა ადგილსა მას „ცეცხლითა მოწუვაჲ“, რამეთუ მუნ აღატყდა ცეცხლი მათთჳს უფლისა მიერ.

4 და ერსა უცხოსა, რომელი გამოვიდა ისრაელისა თანა, გულმან უთქუა გულისთქმა, დასხდეს და ტიროდეს ძენი ისრაელისანიცა მათ თანაჳე და ჲტყოდეს: ვინ მცეს ჩუენ ჶორცი ღა ვჭამოთ? 5 რამეთუ მოვიჴსენეთ ჩუენ თევზი იგი, რომელსა ვსჭამდით ჩუენ ეგჳპტეს ჴსასყიდლოთ, და ხილსა — ნესუსა და მელსაპეპონსა და პრასასა და ხახუსა და ნიორსა. 6 და აწ ესერა სულნი ჩუენნი დამდნარ არიან, გარნა მანანასა ამას ხოლო თუალნი ჩუენნი მსტუარ არიან. 7 ხოლო მანანა იგი იყო ვითარცა ქინძის თესლი და სპეტაკ, და ხილვა მისი, ვითარცა ხილვა მყინვარისა. 8 და განვიდის ერი იგი და შეკრიბის, დაფქჳან მფქველითა და მოგლიან ფილითა და შეაგბიან იგი ქოთნითა და შექმნიან ყუერბ[ე]ულად. და იყო გემო მისი, ვითარცა გემოჲ რჩეულისა ზეთისა. 9 და რაჟამს გარდამოჴდის ცუარი ბანაკსა მას ზედა, გარდამოჴდის მანანაცა იგი მის თანა. 10 და ესმა მოსეს ტირილი იგი მათი, ტომად-ტომადისა მათისა, თჳთეულთა წინაშე კარვისა თჳსისა, და ტიროდეს. განრისხნა გულისწყრომითა უფალი ფრიად და წინაშე მოსესაცა იყო ესე ბოროტი. 11 და ჰრქუა მოსე უფალსა: რაჲსათჳს ბო-

G

აღრაცხილნი იგი თქუენნი ოცით წლითგან და წამართ, რომელნი დრტუნვიდეს ჩემთჳს, 30 უკუეთუ თქუენ შეხჳდეთ ქუეყანასა მას, რომელსა მიმიყოფიეს კელი ჩემი დამკჳდრებად თქუენდა მას ზედა, გარნა ქალებ იეფონესი და ისო ნავესი. 31 და ყრმათა მათ, რომელთა არქუთ: მიმოდასატაცებელ იყვენით, შევიყუანნე იგინი ქუეყანასა მას და დაიმკჳდრონ ქუეყანა იგი, რომლისაგან განსდეგით, 32 და ძუალნი თქუენნი იყვნენ მძორ უდაბნოსა ზედა. 33 და ძენი თქუენნი მოსჰამდენ უდაბნოსა ამას ორმეოც წელ და აღსრულონ სიძვაჲ თქუენი, ვიდრემდის არა განკფდენ ძუალნი თქუენნი უდაბნოსა ზედა. 34 მსგავსად რიცხუსა მას დღეთასა, რაოდენსა მოიხილეთ ქუეყანა იგი, ორმეოცსა დღესა, (დღე წელიწდისა წილ) და მოიხუნეთ ცოდვანი თქუენნი ორმეოც წელ და გულისხმა-ჰყოთ რისხვაჲ გულისწყრომისა ჩემისა. 35 მე, უფალმან, ვთქუ: უკუეთუ არა ესრეთ უყო კრებულსა ამას უკეთურსა, რომელ აღდგომილ არს ჩემ ზედა. უდაბნოსა ამას აღესრულნენ და მოსწყდენ. 36 და კაცნი იგი, რომელ წარავლინნა მოსე მოხილვად მის ქუეყანისა, მოვიდეს, იდრტუნეს მისთჳს კრებულსა თანა თქუმად სიტყუასა ბოროტსა მის ქუეყანისათჳს. 37 მოსწყდეს კაცნი იგი, რომელთა თქუეს მის ქუეყანისათჳს ძჯრი, გუემითა ბოროტითა წინაშე უფლისა, 38 ისო ნავესი და ქალებ იეფონესი ცხოვნდეს კაცთა მათგან, რომელ წარვიდეს მოხილვად მის ქუეყანისა.

39 ეტყოდა მოსე სიტყუათა ამათ ყოველთა ძეთა ისრაელისათა, და იგლოვდა ერი იგი ფრიად. 40 აღიმსთუეს განთიად, აღვიდეს თავსა ზედა მთისაჲსა

AK

აღდგომილ არს ჩემ ზედა. უდაბნოსა ამას აღესრულ[ნ]ენ, კუალად მოსწყდენ. 36 და კაცნი იგი, რომელნი წარავლინნა მოსე მოხილვად მის ქუეყანისა, მოვიდეს და იდრტუნეს მისთჳს კრებულსა თანა თქუმად სიტყუსა ბოროტისა მის ქუეყანისათჳს. 37 [მოსწყდეს] კაცნი იგი, რომელთა თქუეს მის ქუეყანისათჳს ძჯრი, გუემითა წინაშე უფლისა, 38 ისო ნავესი და ქალებ ცხონდეს [268] კაცთა*მათგან, რომელ წარვიდეს მოხილვად მის ქუეყანისა.

39 და ეტყოდა მოსე სიტყუათა ამათ ყოველთა ძეთა ისრაელისათა, და იგლოვდა ერი იგი ფრიად. 40 და აღიმსთუეს განთიად, აღვიდეს თავსა ზედა

S: 29 წლითგანი. წამართ]მართ 34 დღეთაჲსა. მოიხილეს. დღესა]წელსა. 35 ეთქუ.
AK: 35 მოსწყჳდენ AK. 36 იდრტუნე]ლიტერეს AK.
* K-ში ამ ადგილას ჩამატებულია: „ვ~დ ეგკპტით წ~რმოიყნ~ე".

B

ცხილი თქუენ თანა ოცით წლითგანი და უზეშთაესი, რაოდენნი დრტჳნვიდეს ჩემდა მომართ, 30 უკუეთუ თქუენ შეხჳდეთ ქუეყანასა მას, რომელსა განვირთხ კელი ჩემი დამკჳდრებად თქუენდა მას ზედა, არამედ ქალებ, ძე იეფონნისი, და ისუ, ძე ნავესი. 31 და ყრმანი თქუენნი, რომელთა სთქუთ, ვითარმედ აღსაჴრელ იქმნენ, იგინი შევიყვანენ ქეეყანასა მას და დაიმკჳდრონ ქუეყანა იგი, რომლისაგან თქუენ განსდექით, 32 და გუამნი თქუენნი დაეცნენ უდაბნოსა მას. 33 ხოლო ძენი თქუენნი იქცეოდიან უდაბნოსა მას ორმეოც წელ და აღიხილნენ სიძვანი თქუენნი, ვიდრემდე განკფდენ გუამნი ესე თქუენნი უდაბნოსა ამას. 34 მსგავსად რიცხუთა მათ დღეთა, ორმეოცთა დღეთა, რაოდენთა დღეთა იგი განიმსტურეთ ქუეყანა, ორმეოცთა დღეთა, (დღე იგი ერთი წლად ერთად) მიიღოთ ცოდვათა თქუენთათჳს ორმეოც წელ და სცნათ გულისწყრომა რისხვისა ჩემისა. 35 მე უფალი ვიტყოდე თქუენდა: უკეთუ არა ეგრეთ უყო კრებულსა ამას უკეთურსა, რომელნი აღდგომილ არიან ჩემ ზედა. უდაბნოსა ამას მოიკოცნენ და მუნ მოსწყდენ. 36 კაცნი იგი, რომელნი წარავლინნა მოსე განმსტრობად ქუეყანისა, და მოვიდეს და დრტჳნვიდეს მისთჳს და წინაშე კრებულისა მისგან თქუეს სიტყუაჲ ბოროტი ქუეყანისა მის. 37 მოსწყდეს კაცნი იგი, მეტყუელნი ქუეყანისა მის უკეთურებისათჳს, წყლულებითა წინაშე უფლისა, 38 და ისუ, ძე ნავესი, და ქალებ, ძე იეფონისი, ცხოვნდეს კაცთა მათგან, რომელთა განიმსტურეს ქუეყანა იგი.

39 და ეტყოდა მოსე სიტყუათა ამათ ყოველთა ძეთა ისრაელისათა, და იგლოვდა ერი იგი ფრიად გლოვითა. 40 და აღიმსთუეს ხვალისაგან და აღვიდეს

G

ნი თქუენნი ოცით წლითგანნი და წამართ, რაოდენნი დრტჳნვიდეს ჩემ ზედა, 30 უკუეთუ თქუენ შეხჳდეთ ქუეყანასა, რომლისა ზედა მიმიყოფიეს კელი ჩემი დამკჳდრებად თქუენდა მას ზედა, არამედ ხალებ, ძე იეფონნისი, და ისო ნავესი. 31 და ყრმანი, რომელთაჲ სთქუთ და(140)სა[v]ტაცებელ ყოფაჲ, შევიყვანნე იგინი ქუეყანად და დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ, რომლისაგან თქუენ განსდეგით მისგან, 32 და ძუალნი თქუენნი დაცჳენ უდაბნოსა ამას ზედა. 33 ხოლო ძენი თქუენნი იყვნენ მძოვარ უდაბნოსა ზედა ორმეოც წელ და აღასრულონ სიძვაჲ თქუენი, ვიდრე არა განკფდენ ძუალნი თქუენნი უდაბნოსა ზედა. 34 რიცხჳსაებრ დღეთაჲსა, რაოდენთა განიმსტურეთ ქუეყანაჲ ორმეოცთა დღეთა (დღისა წილ წელიწადსა), მოიხუნეთ ცოდვანი თქუენნი ორმეოც წელ და სცნათ გულისწყრომაჲ რისხვისა ჩემისაჲ. 35 მე, უფალი, ვიტყოდე: უკუეთუ არა ესრეთ უყო შესაკრებელსა ამას ბოროტსა, აღდგომილსა ჩემ ზედა. უდაბნოსა ამას ზედა მოესრულნენ და მუნ მოსწყდენ. 36 და კაცნი, რომელნი წარავლინნა მოსე განმსტურობად ქუეყანისა, და მო-რაჲ-ვიდეს, იდრტჳნეს გიობით მისთჳს შესაკრებელსა თანა გამოხუმითა სიტყუათა ბოროტთაჲთა სულისაგან. 37 და მოკუდეს კაცნი, რომელთა თქუეს ბოროტი ძჳრობით სულისათჳს ქუეყანისა მის წინაშე უფლისა, 38 და ისუ, ძე ნავესი, და ხალებ, ძე იეფონნისი, ცხოვნდეს კაცთა მათგან, რომელნი წარსრულ იყვნეს მოხილად ქუეყანისა მის.

39 და ეტყოდა მოსე სიტყუათა ამათ ყოველთა მიმართ ძეთა ისრაელისათა, და იგლოვა (v) ერმან ფრიად. 40 და აღმმსთობელნი განთიად აღვიდეს თხემსა ზედა მთისასა, მეტყუელნი: აჰა

B: 31 რომელთა]რ~ა. 33 სიძვანი]სრვანი. 34 დღეთა 2°]დღესა. სცანთ. 37 მოსწყდენ. ქუეყანასა მას. 38 მათგანი.

G: 33 უდაბნოს 1°, 2° Ga. 14 განიმსტურეს Gab. 39 ისო Ga. ცხოვდეს Gb.

S

და თქუეს: აჰა ესერა ჩუენ წარვიდეთ ადგილსა, რომელსა თქუა უფალმან, რამეთუ ვცოდეთ. 41 ჰრქუა მოსე: რად გარდახვალთ სიტყუათა უფლისათა? არა წარგემართოს თქუენ. 42 ნუ აღხვალთ, არა არს უფალი თქუენ თანა, დაეცნეთ წინაშე პირსა მტერთასა, 43 რამეთუ ამალეკი და ქანანელი მუნ წინაშე თქუენსა არს და დაეცნეთ მახჯლითა მისთჳს, რამეთუ უკუნ-იქეციო ურჩებით უფლისაგან და არა იყოს უფალი თქუენ თანა. 44 და იძულებით აღჴდეს თავსა ზედა მის მთისასა, ხოლო კიდობანი იგი სჯულისა უფლისა[ჲ] და მოსე არა იძრნეს ბანაკით. 45 დამოჴდა ამალეკი და ქანანელი, რომელ ჯდა მას მთასა შინა, სძლეს მათ და მოსრნეს იგინი ერმადმდე. (46) და მოიქცეს ბანაკად.

AK

მთისასა და თქუეს: აჰა ესერა ჩუენ აწ აღვიდეთ ადგილსა მას, რომელ თქუა უფალმან, რამეთუ ვცოდეთ. 41 და ჰრქუა მოსე: რად გარდახუალთ თქუენ სიტყუათა უფლისათა? არა წარგემართოს თქუენ. 42 ნუ აღხუალთ, რამეთე არა არს უფალი თქუენ თანა, და დაეცნეთ წინაშე პირსა მტერთა თქუენთასა, 43 რამეთუ ამალეკი მუნ წინაშე თქუენსა არს და დაეცნეთ მახჯლითა მისთჳს, რამეთუ უკუნ-იქეციო ურჩებით უფლისაგან და არა იყოს უფალი თქუენ თანა. 44 და იძულებით აღჴდეს თავსა ზედა მის მთისასა, ხოლო კიდობანი შჯულისა უფლისაჲ და მოსე არა იძრნეს ბანაკით. 45 და დამოჴდა ამალეკი და ქანანელი, რომელ ჯდა მას მთასა შინა, და სძლეს მათ და მოსრნეს იგინი, და მოიქცეს ბანაკად.

თავი XV

1 ეტყოდა უფალი მოსეს, ჰრქუა: 2 არქუ შენ ძეთა ისრაელისათა: რაჟამს შეხჳდეთ ქუეყანასა მას მკჳდრობისა თქუენისასა, რომელ მე მიგცე თქუენ, 3 ჰყოთ მრგულიად-დასაწუელადი უფლისა[ჲ], ანუ მსხუერპლი განდიდებად შესაწირავისა, ანუ ნებსით აღნათქუემისა, ანუ დღესასწაულთა თქუენთა ყოფად სულად სულნელად უფლისა, ანუ ზროხათაგან, ანუ ცხოვართა, 4 მოართუას შემწირველმან შესაწირავი თჳსი უფალსა — სამინდოჲსა მეათე გრიგისა, აღსუარული ზეთითა მეოთხითა ნაწილითა დორაკისაჲთა, 5 და ღჳნო შესაწირავად მეოთხე ნაწილი დორაკისაჲ ჰყოთ მრგულიად-დასაწველსა ზედა, ანუ მსხუერპლსა ზედა კრავსა ერთსა. ჰყო ესოდენ შესაწირავად სულნელად სულნელებისად უფლისა. 6 ვერძსა

1 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 2 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ: რაჟამს შეხჳდეთ ქუეყანასა მას მკჳდრობისა თქუენისაჲსა, რომელ მე მიგცე თქუენ, 3 და ჰყოთ მრგულიად-დასაწუელი უფლისაჲ მრგულიად-დასაწუელად, ანუ მსხუერპლი განდიდებად შესაწირავისა, ანუ ნებით აღნათქუემისა, ანუ დღესასწაულთა თქუენთა ყოფად სულად სულნელად უფლისა, ანუ ზროხათაგან, ანუ ცხ[ო]ვართაგან. 4 და მოართუას შემწირველმან შესაწირავი თჳსი უფალსა — შესაწირავი სამინდოსა მეათე გრიგისა, აღსუარული ზეთითა მეოთხითა ნაწილითა დორაკისათა, 5 და ღჳნო შესაწირავად მეოთხე ნაწილი დორაკისა ჰყოთ მრგულიად-დასაწუელსა ზედა, ანუ მსხუერპლსა ზედა, ჰყო ესოდენ შესაწირავად

S: 43 უკუნ-]უკო᷄უ. 45 ერმად᷄დე]ერთად᷄დე. XV, 4 დორაკისაჲთ. 6 კრაესა]კარავსა.

AK 45 მოჰდა K. და ქანანელი—K. XV, 3 ყოთ K. მრგულიად-დასაწუელი—K. ~მრგულიად-დასაწუ᷄ლად ო᷄ K. 4 შეს აწირავი თჳსი უფალსა—K. 5 ყოთ K. ჰყო ესოდენ]ოდენ K.

B

თხემსა მის მთისასა და თქუეს: აჰა ჩუენ აქა ვართ, აღვიდეთ ადგილსა მას, რომლისა თქუა უფალმან, რამეთუ შევსცოდეთ მას. 41 და ჰრქუა მათ მოსე: რაჲსათჳს თქუენ გარდახჳალთ სიტყუასა უფლისასა? არა წარგემართოს თქუენ. 42 ნუ აღხვალთ, რამეთუ არა არს უფალი თქუენ თანა და დაეცნეთ წინაშე მტერთა თქუენთა, 43 რამეთუ ამალეკი და ქანანელნი იგი არიან წინაშე თქუენსა და დაეცნეთ მახჳლითა ამისთჳს, რამეთუ გარე-მიიქეცით და ურჩ ექმნენით უფალსა, და არა იყოს უფალი თქუენ თანა. 44 და წარიპარეს(!) და აღვიდეს თხემსა მის მთისასა, ხოლო კიდობანი იგი შჯულისა უფლისაჲ და მოსე არა აღიძრნეს საშუალ ბანაკისა. 45 და გარდამოჴდა ამალეკი იგი და ქანაანელი, რომელნი დამკჳდრებულ იყუნეს მთასა მას, და იოტნეს იგინი და დასჭრიდეს მათ ვიდრე ერმადმდე, და მოაქციეს იგინი ბანაკადვე..

G

აწ ჩუენ აღვიდეთ ადგილსა, რომელსა თქუა უფალმან, ვითარმედ ვცოდავთ. 41 და ჰრქუა მოსე: რაჲსათჳს თქუენ გარდაჰხუალთ სიტყუასა უფლისასა? არა წარმართება იყოს თქუენდა. 42 ნუ აღზუალთ, რამეთუ არა არს უფალი თქუენ თანა და დაეცნეთ წინაშე პირსა მტერთა თქუენთასა, 43 რამეთუ ამალეკი და ქანანელი მუნ არს, წინა კერძო თქუენსა, და დაეცნეთ მახჳლითა მისთჳს, რამეთუ უკუნ-იქეცით ურჩებით უფლისაგან, და არა იყოს უფალი თქუენ თანა. 44 და აღვიდეს თავსა ზედა მის მთისასა, ხოლო კიდობანი აღთქუმისა უფლისაჲ და მოსე არა შეიძრნეს საშუალ ბანაკისაგან. 45 და შთამოვიდა ამალეკი და ქანანელი, მჯდომარე მთაჲსა მას შინა, და განამეტნა იგინი და დაშჭრიდეს ვიდრე ერმადმდე, და მიიქცეს ბანაკად.

თავი XV

1 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 2 ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ: ოდეს შეხჳდეთ თქუენ ქუეყანასა მას სამკჳდრებელისა თქუენისასა, რომელი-იგი მიგეც თქუენ, 3 და ჰყოფდეთ მსხუერპლსა უფლისასა ყოვლად-ნაყოფად, ანუ შესაწირავსა განდიდებად ლოცვისა, გინა ნებსითთა ზედა, გინა დღესასწაულთა თქუენ თანა სულად სულნელებისა უფლისა, ანუ ზროსათაგან, ანუ ცხოვართაგან, 4 და შეწიროს, რომელი-იგი შესწირვიდეს შესაწირავსა თჳსსა უფლისა — შესაწირავი სამარადისო მეათე სათუელისა, შესუარული ზეთითა მეოთხე გუერდი, 5 და ღუინო შესაწირავად მეოთხე გუერდისა ჰყოფდით(!) შესაწირავსა ზედა მსხუერპლისა მის ტარიგისა ერთისასა, ჰყო ესეოდენი ნაყოფი სულნელებად

1 და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: 2 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ: რაჟამს შეხჳდეთ ქუეყანად მკჳდრობისა თქუენისად, რომელსა მე მიგცემ თქუენ, 3 და ჰყოთ ნაყოფებად უფლისა ყოვლად-დასაწუველი, ანუ მსხუერპლი განდიდებად აღთქუმისა, ანუ ნებსითისა, ანუ დღესასწაულთა შინა თქუენთა ქმნად სული სულნელებისაჲ უფალსა, უკუეთუ ზროხათაგან ვიდრემე, ანუ ცხოვართაგან, 4 და შეწიროს შემწირველმან ძღუენი მისი უფლისა — [6C] მსხუერპლი სამინდოჲსაჲ მეათედი გრჳისაჲ, აღსუარული ზეთითა მეოთხედითა დორაკისაჲთა, 5 და ღუინოჲ შესაწირავად მეოთხედი დორაკისაჲ ყავთ ყოვლად-და-(141)საწუველსა ზედა, ანუ მსხუერპლსა ზედა კრავსა ერთსა ზედა, ჰყო ესოდენ

S

ოდეს ჰყოფდეთ მრგულიად-დასაწველად, ანუ მსხუერპლად, [ჰყო] შესაწირავად სამინდოჲ ორი ათეული, აღსუარული ზეთითა მესამითა ნაწილითა დორაკისაჲთა, [7] და ღუნო შესაწირავი მესამე ნაწილი შესწიროთ უფლისა. [8] უკუეთუ ზროხასა ჰყოფდეთ მრგულიად-დასაწველად, ანუ მსხუერპლად განდიდებად აღნათქუემისა, საკსრად უფლისა მიმართ, [9] და ყო ზუარაკსა ზედა შესაწირავად სამინდოჲ სამი ათეული, აღსუარული ზეთითა ზოგითა დორაკისაჲთა, [10] და ღუნო შესაწირავად კერძო დორაკი სულნელად უფლისა. [11] ესრე ყო (12) ზუარაკსა თანა ერთსა, ანუ კრავსა ცხოვართასა, ანუ თხათასა, [12] მსგასად რიცხუთა მათ, რომელ ჰყოთ, ესრეთ-ჰყოთ ერთსა მას ზედა, ვითარცა არს რიცხჳ მათი. [13] ყოველმან მკჳდრმან ყოს ესე შესაწირავად სულნელად უფლისა. [14] უკუეთუ მოქცეული თქუენ შორის იყოს, მოვიდეს ქუეყანასა თქუენსა, ანუ ვინ იყოს ქუეყანასა შორის ნათესავთა შინა თქუენთა, და ჰყოფდე შესაწირავსა სულად სულნელებისად უფლისა: (14) ვითარცა ჰყოთ თქუენ, ეგრეთ ყოს კრებულმან უფლისამან. [15] სჯული ერთი იყავნ თქუენი და მოქცეულთაჲ, რომელ შემყოფ იყვნენ თქუენ თანა, სჯულად საუკუნოდ იყავნ ნათესავთა თქუენთა; ვითარცა თქუენ, ეგრე მოქცეული იგი იყოს წინაშე უფლისა. [16] სჯული ერთი იყავნ და სამართალი ერთი იყავნ... თქუენ შორის.

AK

სულად სულნელად უფლისა. [6] და ეერძსა ოდეს ჰყოფდეთ მას მრგულიად-დასაწუელად, ანუ მსხუერპლად, ჰყო შესაწირავად სამინდო ორი ათეული, აღსუარული ზეთითა მესამითა ნაწილითა დორაკისათა, [7] და ღუნო შესაწირავად მესამე ნაწილი დორაკისა შესწიროთ სულად სულნელად უფლისა. [8] უკუეთუ ზროხათაგანსა ჰყოფდეთ მრგულიად-დასაწუელად ანუ მსხუერპლად განდიდებად აღნათქუემისა, საკსრად უფლისა მიმართ, [9] და ყო ზუარაკსა ზედა შესაწირავად სამინდო სამი ათეული, აღსუარული ზეთითა ზოვგითა დორაკისათა, [10] და ღუნო შესაწირავად ზოგი დორაკისა შესაწირავად სულნელად სულნელებისად უფლისა. [11] ესრე ყო ზუარაკსა თანა ერთსა, ცხოვართაგანსა ანუ თხათაგანსა, [12] მსგავსად რიცხუთა მათ, რომელ ჰყოთ, ესრეთ ჰყოთ ერთსა მას ზედა, ვითარცა არს რიცხჳ მათი. [13] ყოველმან მკჳდრმან ყოს ესევითარი შესაწირავად შესაწირავი სულად სულნელებისად უფლისა. [14] [269] უკუეთუ მოქცეული თქუენ შორის მოვიდეს ქუეყანასა თქუენსა, ანუ თუ ვინმე იყოს თქუენ შორის ნათესავთა შინა თქუენთა, და ჰყოფდე შესაწირავსა სულად სულნელებისად უფლისა: ვითარცა ჰყოთ თქუენ, ეგრე ყოს კრებულმან უფლისამან. [15] სჯული ერთი იყავნ თქუენი და მოქცეულთა, რომელ შემოყოფილ იყუნენ თქუენ თანა, სჯულად საუკუნოდ იყავნ ნათესავთა თქუენთა; ვითარცა თქუენ, ეგრეცა მოქცეული იგი იყოს წინაშე უფლისა. [16] სჯული ერთი იყავნ და სამართალი ერთი იყავნ თქუენი და მოქცეულთა, რომელ შეყოფილ იყვნენ თქუენ შორის.

S: [9] ყოს. [11] ყოს.

AK: [6] ყფ˘დეთ K. ყო K. აღსუა˘რლნი K. [8] ყფ˘დეთ K. [9] ყოს. [10] ზოვგი [11] ყოს. A. [12] რომელ ჰყოთ—K. ესრე A. [13] შესაწირავი... უფლისა—K. [14] ყფ˘დე K. შესაწირავად K. ყოთ K. [15] და მოქცეულთა... თქ˘ენ თანა—K. მოქცეული... უფლისა—K. [16] იყუნენ A.

B

უფლისა. 6 და ვერძსა მას ოდეს ჰყოფდეთ მრგულიად-მწუვარად, მსხუერპლად, ჰყო სამინდო ოცი სათუელისაგანი, შესუარული ზეთითა სამგანითა გუერდისათა, 7 და ეგრევე ღუნო შესაწირავად სამგანი გუერდისათა შეწიროთ სულად სულნელად უფლისა. 8 უკუეთუ ზრობაოაგანი ჰყოთ მრგულიად-დამწურად, ანუ მსხუერპლად განდიდებად ლოცვისა, ცხოვრებისა თქუენისათჳს უფლისა, 9 და შესწირო ზუარაკსა მას თანა სამინდოჲ ოცდაათი, შერეული ზეთითა კერძოთა მით გუერდისათა, 10 და ღუნო შესაწირავად კერძო მისი გუერდისა ნაყოფად სულად სულნელებად უფლისა. 11 ესე ჰყო ზუარაკსა მას თანა ერთსა, გინათუ ვერძსა მას თანა ერთსა, ცხოვართაგანსა ერთსა, ანუთუ თხათასა, 12 მსგავსად რიცხჳსა მის, რაოდენსა ჰყოფდეთ, ესრეთ ჰყავით ერთსა ზედა რიცხჳსა მათისაებრ. 13 ყოველმან მსოფლელმან ყოს ესრეთ, ესევითართა ნაყოფთა შესაწირავთასა, ნაყოფთა სულად სულნელებისა უფლისა; 14 უკუეთუ მწირი თქუენ შორის მოვიდეს ქუეყანასა მას თქუენსა, რომელი იყოს თქუენ შორის ნათესავთა თქუენთა თანა, და ჰყოფდეთ ნაყოფსა სულნელებად უფლისა: ვითარცა თქუენ ჰყოფდით, ყოს ეგრევე მან მწირმან და კრებულმან უფლისამან. 15 შჯული ერთი იყოს თქუენი [და] მწირისა მის და რომელნიცა შემოსრულ იყუნენ თქუენ შორის, შჯულად საუკუნოდ ნათესავთა თქუენთა; ვითარცა თქუენ, ეგრეცა მწირი იგი იყოს წინაშე უფლისა. 16 შჯული ერთი იყოს და სამართალი ერთი იყოს თქუენი და მწირისა მის, რომელი მოსრულ იყოს თქუენ შორის.

G

სულად სულნელებისად უფლისა. 6 და ვერძსა ოდეს ჰყოფდე მას ყოვლად-დასაწუველად ანუ მსხუერპლად, ჰყო მსხუერპლი სამინდოჲსაჲ ორი მეათედ ი, აღსუარული ზეთითა მესამედითა დორაკი(ν)საჲთა, 7 და ღუნოჲ შესაწირავად მესამედი დორაკისაჲ შესწიროთ სულად სულნელებისად უფალსა. 8 ხოლო უკუეთუ ზრობათაგან ჰყოთ ყოვლად-დასაწუველი, ანუ მსხუერპლი განდიდებად აღთქუმისა. ანუ მაცხოვარებად უფლისა, 9 და შესწირო ზუარაკსა ზედა მსხუერპლი სამინდოჲსაჲ სამი მეათედი, აღსუარული ზეთითა ნახევრითა დორაკისაჲთა, 10 და ღუნოჲ შესაწირავად ნახევარი დორაკისაჲ ნაყოფებად სული სულნელებისაჲ უფალსა. 11 ესრეთ უყო ზუარაკსა ერთსა, ანუ ვერძსა ერთსა, ანუ ტარიგსა ერთსა ცხოვართაგან, ანუ თხათაგან, 12 რიცხჳსაებრ, რომელსაცა ჰყოფდეთ, ესრეთ უყოთ ერთსა რიცხჳსაებრ მათისა. 13 ყოველმან თჳთმიწისამან ყოს ესრეთ ესე, ვითა შეწირვაჲ ნაყოფებთაჲ სულად სულნელებისად უფლისა; 14 ხოლო უკუეთუ მწირი მოვიდეს თქუენ თანა ქუეყანასა შინა თქუენსა, ანუ რომელიცა ვინ იყოს თქუენ შორის ნათესავთა შინა თქუენთა, და ყოს ნაყოფი სულად სულნელებისად უფლისა: ვითარ საბედ ჰყოფთ თქუენ, ეგრეთ ყოს შესაკრებელი უფლისაჲ. 15 შჯული ერთი იყოს თქუენი და მწირთა მოსრულთაჲ თქუენ თანა, შჯული საუკუნოჲ ნათესავთა შორის თქუენთა; ვითარცა თქუენ, და მწირიცა იგი იყოს წინაშე უფლისა. 16 შჯული (142) ერთი იყოს და სიმართლე ერთი იყოს თქუენი და მწირისაჲ, რომელი შემოყოფილ იყოს თქუენდა.

B: 8 ლოცვისა+განდიდებად. 9 შეწიროს. ზეთისა. 11 ერთსა 1°, 2°]ერთისა. 12 ერთსა]ერსა. 14 კრებულმან]კლებულმან.

S

17 (16) ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 18 (17) ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ: (18) რაჟამს შეხჳდეთ ქუეყანასა მას, რომელსა შეგიყვანნე თქუენ მუნ, 19 რაჟამს სჭამდეთ პურსა მის ქუეყანისასა, გამოჰყოთ შესაწირავად ზე-საყოფლად უფლისა. 20 პირველი თბისა თქუენისა (20) პური შესაწირავად გამოჰყოთ, იგი, ვითარცა შესაწირავი კალოჲსაჲ, 21 ეგრე გამოჰყოთ იგი თავსნიერი თბეთა თქუენთაჲ და მისცეთ უფალსა შესაწირავად ნათესაჲთა თქუენთა.

22 და რაჟამს შესცოდოთ და არა ჰყუნეთ ყოველნი მცნებანი ესე, რომელ ჰრქუა უფალმან მოსეს, 23 ვითარცა ბრძანა უფალმან თქუენდამო ქელითა მოსესითა მიერ დღითგან, რომლითგან ბრძანა უფალმან თქუენდამო და მიმდემი ნათესაჲთა თქუენთა, 24 იყოს, თუ ვინმე თუალთაგან კრებულისათა განვარდეს არა ნებსით, და ყოს ყოველმან კრებულმან ზუარაკი ერთი უბიწოჲ მრგულიად-დასაწველად სულნელად უფლისა, და მსხუერპლი მისი და შესაწირავი სულად სულნელად მსგავსად ბრძანებისა, და წალი თხათაგანი ერთი ცოდვისათჳს. 25 და ლხინება ყოს მღდელმან ყოვლისა ცოდვისა კრებულისა ძეთა ისრაელისათა, მიეტეოს მას, რამეთუ არა ნებსით არს, და მათ მოიღეს შესაწირავი მათი მსხუერპლად უფლისა ცოდვისა მათისათჳს წინაშე უფლისა არანებსითთა მათთჳს. 26 და მიეტეოს ყოველსა კრებულსა ძეთა ისრაელისათა და მოქცეულსაცა, რომელ შემოყოფილ იყოს თქუენდა, რამეთუ ყოვლისა ერისაჲ არა ნებსით იყო. 27 უკუეთუ სულმან ერთმან ცოდოს არა ნებსით, შეწიროს თხაჲ ერთი წელიწ-

AK

17 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 18 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ: რაჟამს შეხჳდეთ თქუენ ქუეყანასა მას, რომელსა შეგიყუანნე თქუენ მუნ, 19 და იყოს, რაჟამს შჭამდეთ თქუენ ნაყოფსა მის ქუეყანისასა, გამოჰყოთ შესაწირავად ზე-საყოფლად უფლისა. 20 პირველითგანისა თქუენისა პური შესაწირავად გამოჰყოთ, იგი, ვითარცა შესაწირავი კალოსა, 21 ეგრე გამოჰყოთ იგი თავსნიერი თბეთაჲ თქუენთა და მისცეთ იგი უფალსა შესაწირავად ნათესავთა თქუენთა.

22 და რაჟამს შესცოდოთ და არა ჰყუნეთ ყოველნი მცნებანი ესე, რომელ ჰრქუა უფალმან მოსეს, 23 ვითარცა ბრძანა უფალმან თქუენდამო ქელითა მოსესითა მიერ დღითგან, რომლითგან ბრძანა უფალმან თქუენდამო და მიმდემი ნათესავთა თქუენთა, 24 და იყოს, თუ ვინმე თუალთაგან კრებულისათა განვარდეს არა ნებსით, და ყოს ყოველმან კრებულმან ზუარაკი ერთი [v] მროწლისაგანი უბიწო მრგულიად-დასაწუელად სულად სულნელად უფლისა, და მსხუერპლი მისი და შესაწირავი მისი სულად სულნელად მსგავს... და წალი თხათაგან ერთი ცოდვათათჳს. 25 და ლხინება ყოს მღდელმან მან ყოვლისა ცოდვისა კრებულისა ძეთა ისრაელისათა, და მიეტეოს მათ, რამეთუ არანებსით არს, და მათ მოიღეს შესაწირავი მათი მსხუერპლად უფლისა ცოდვისა მათისათჳს წინაშე უფლისა არანებსითთა მათთჳს. 26 და მიეტეოს ყოველსა კრებულსა ძეთა ისრაელისათა და მოქცეულსაცა, რომელ შემოყოფილ იყოს თქუენდა, რამეთუ ყოვლისა ერისაჲ არა ნებსით იყო. 27 უკუეთუ სულმან ერთმან ცოდოს არა ნებსით, შეწიროს თხა ერთი წელიწდეული

S: 25 ლხინებაჲ. კრებულისაჲ. 26 ისრაელისა.

AK: 19 გამოყოთ K. 20 გამოჳყოთ K. მუხლები 22 და 23]—K. 24 მსგავს—K. 25 არა ნებსითთა K. 26 და მოქცეულსაცა—K. ნებსით K. 27 არა ნებსით K. წელიწადეული A.

B

17 და ეტყოდა უფალი მოსეს და
ჰრქუა: 18 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა
და არქუ მათ: შესლვასა მას თქუენსა
ქუეყანად, რომელსა მიგიყვანნე თქუენ
მუნ, 19 და იყოს, რაჟამს შჳამდეთ თქუ-
ენ პურისა მისგან მის ქუეყანისა, აღი-
ღეთ შესაწირავი შესაწირავად უფლისა.
20 პირველი თბეთაგანი პური განჰყავთ
შესაწირავად მისა, ვითარცა შესაწირავი
კალოჲსა, 21 და ეგრეთ განჰყავით იგი
პური პირველი თბეთაგან თქუენთა და
მისცეთ უფალსა შესაწირავი ნათესავთა
შორის თქუენთა.

22 ხოლო რაჟამს სცოდოთ და არა
ჰყუნეთ ყოველნი ესე მცნებანი, რო-
მელთა ეტყოდა უფალი მოსეს, 23 ვი-
თარცა-იგი ბრძანა უფალმან ღჳრთმან
თქუენდა მიმართ ჴელითა მოსესითა
მიერ დღითგან, ვინათგან ბრძანა უფალ-
მან თქუენდა მომართ და მერმედმე
ნათესავთა თქუენთა, 24 და იყოს, უკუ-
ეთუ თუალთაგან კრებულისათა განე-
ყენოს სიტყუა ესე არა ნებსით, და ყოს
ყოველმან კრებულმან ჴბო ერთი ზრო-
ხათაგან უბიწო მრგულიად-დასაწუ-
ელად სულად სულნელად უფლისა და
შესაწირავი ამისი და ღუნო მისი ბრძა-
ნებისაებრ მისისა და ვაცი თხათაგან
ერთი ცოდვისათჳს. 25 და ლხინება ყოს
მღდელმან ყოველისა კრებულისა ძე-
თა ისრაელისათა, და მიეტეოს მათ, რა-
მეთუ არა ნებსით არს, და მათ მოიღეს
შესაწირავი მათი ნაყოფად უფლისა
ცოდვათა მათთათჳს წინაშე უფლისა
არანებსითთა მათთჳს. 26 მიეტეოს ყო-
ველსა მას კრებულსა ძეთა ისრაელისა-
თა და მწირსა მას, რომელი მოსრულ
იყოს თქუენდა, რამეთუ ყოველსა მას
ერსა არანებსითისა ცოდვისათჳს. 27
უკუეთუ სულმან ცოდოს არა ნებსით.
მოიბას თხაჲ ერთი ნეზჳ წელიწდეული

G

17 და იტყოდა უფალი მოსეს მი-
მართ, მეტყუელი: 18 ეტყოდე ძეთა ის-
რაელისათა და არქუ მათ, [ν] მეტყუ-
ელმან მათდა მიმართ: შესლვასა თქუ-
ენსა ქუეყანად, რომელსა მე შეგიყვანებ
თქუენ მუნ, 19 და იყოს, რაჟამს შჳა-
მოთ თქუენ პურთაგან მის ქუეყანისა-
თა, განუჩინეთ განნაჩინები განჩინებუ-
ლად უფალსა. 20 დასაბამად თბისა
თქუენისაჲ პური განნაჩინები განუჩი-
ნეთ მას, ვითარცა განჩინებული კალო-
ჲსაგან, 21 ეგრეთ განუჩინეთ მას პური
დასაბამად თბისა თქუენისა და მიეცით
უფალსა განნაჩინები ნათესავთა შინა
თქუენთა.

22 და რაჟამს სცოდოთ და არა
ჰყუნეთ ყოველნი ესე მცნებანი, რომელ-
ნი თქუნა უფალმან მოსეს მიმართ, 23
ვითარცა გიბრძანა თქუენ უფალმან ჴე-
ლითა მოსესითა მიერ დღითგან, რომ-
ელით ბრძანა უფალმან თქუენდა მო-
მართ და მიმდემი ნათესავთა შინა თქუ-
ენთა, 24 და იყოს, უკუეთუ თუალთაგან
შესაკრებელისათა იქმნეს უნებლიეთი,
და ყოს შესაკრებელმან ყოველმან ზუა-
რაკი ერთი ზროხათაგან უბიწოჲ ყოვ-
ლად-დასა(ν)წუველად სულად სულნე-
ლებისად უფლისა და მსხუერპლი მისი
და შესაწირავი მისი წესისაებრ მისისა
და ვაცი თხათაგან ერთი ცოდვისათჳს.
25 და ლხინება ყოს მღდელმან ყოველ-
სა შესაკრებელისათჳს ძეთა ისრაელი-
სათაჲსა, და მიეტეოს მათ, რამეთუ
უნებლიეთი არს. და მათ მოიღეს ძღუ-
ენი მათი ნაყოფებად უფლისა ცოდვი-
სათჳს მათისა წინაშე უფლისა უნებ-
ლიეთთა მათთათჳს. 26 და მიეტეოს ყო-
ველსა შესაკრებელსა ძეთა ისრაელისა-
თასა და მწირსაცა, მოსრულსა თქუენ-
და მომართ, რამეთუ ყოველსა ერისაჲ
არს უნებლიეთი. 27 ხოლო უკუეთუ
სულმან ერთმან ცოდოს არანებსით,

B: 23 ისრაელთათჳს.

S

დეული ცოდვათათჳს, 28 ულხინოს მღდელმან ხელსა მას, არანებსით შეცოდებულსა წინაშე უფლისა, ლხინება ყოთ მისთჳს. 29 [მკჳდრთა] ძეთა ისრაელისათა და მოქცეულთაჲ, რომელნი შეყოფილ იყვნენ მათა, სჯული ერთი იყავნ, რომელმან ქმნეს რაჲმე არანებსით. 30 და თავმან, რომელმან ქმნას ქელითა ამპარტავანებისათა, მკჳდრთაგანმან ანუ მოქცეულმან, ღმერთი განარისხოს, მოისპოს იგი ერისაგან თჳსისა, 31 რამეთუ სიტყუაჲ უფლისა გარდააქცია და მცნებანი მისნი განაქარვნა, და მოჴოცით მოიჴოცოს სული იგი ერისაგან თჳსისა, რამეთუ ცოდვა მისი მას შინა.

32 და იყვნეს ძენი ისრაელისანი უდაბნოსა მას, პოვეს კაცი, რომელ კრებდა შეშასა დღესა შაბათსა, 33 მოჰგუარეს იგი, კრებასა შეშისასა რომელთა პოვეს, მოსეს და აჰრონს და ყოველთა კრებულთა ისრაელისათა, 34 და შესუეს იგი საპყრობილესა, რამეთუ ვერ გულისხმა-ყვეს, რაჲმცა უყვეს მას. 35 ეტყოდა უფალი მოსეს: სიკუდილით მოკუედინ კაცი იგი, განტჳნეთ ქვითა ყოველმან კრებულმან გარეშე ბანაკსა. 36 და გამოიყვანა იგი ყოველმან კრებულმან გარეშე ბანაკსა და დაჰკრიბეს ქვაჲ, ვითარცა ჰრქუა უფალმან მოსეს.

37 ...და ჰრქუა: 38 (37) ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ: (38) იქმნედ მათ ფესჳ ყურთა ზედა სამოსლისა მათისათა ნათესავთა მათთა, და დაახჳთ ფესუთა მათ ზედა კიდეთასა საწველი იაკინთისაჲ; 39 და იყოს იგი თქუენდა ფესუთა მათ ზედა, და იხილოთ იგი და მოგეკსენ[ნ]ენ ყოველნი მცნებანი უფლისანი, ჰყუნეთ იგინი, და

AK

ცოდვათათჳს, 28 და ულხინოს მღდელმან მან სულსა მას, არანეფსით შეცოდებულსა, არანეფსით წინაშე უფლისა, ლხინება ჰყოთ მისთჳს. 29 მკჳდრთა ძეთა ისრაელისათა და მოქცეულთა, რომელნი... მათა, შჯული მათი ერთ იყავნ, რომელმან ქმნეს რაჲმე არანეფსით. 30 და თავმან, რომელმან ქმნეს ქელითა [ამტავანებისათა] მკჳდრთაგანმან ანუ მოქცეულთაგანმან, მან ღმერთი განარისხის, მოისპოს სული იგი ერისაგან თჳსისა, 31 რამეთუ სიტყუაჲ უფლისაჲ გარდააქცია და მცნებანი მისნი განაქარვნა, მოჴოცით მოიჴოცოს სული იგი, რამეთუ ცოდვა მისი მას შინა.

32 და იყვნეს ძენი ისრაელისანი უდაბნოსა და პოეს კაცი, რომელი კრებდა შეშასა დღესა შაბათსა, 33 და მოჰგუარეს [270] იგი, რომელთა პოვეს კრებასა შეშისასა, მოსესა და აჰრონს და ყოველსა კრებულსა ძეთა ისრაელისათასა, 34 და შესუეს იგი საპყრობილესა, რამეთუ ვერ გულისჴმა-ყვეს, რაჲმცა უყვეს მას. 35 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: სიკუდილით მოკუედინ კაცი იგი, განტჳნეთ იგი ქვითა ყოველმან კრებულმან გარეშე ბანაკსა. 36 და გამოიყუანა იგი ყოველმან კრებულმან გარეშე ბანაკსა და დაჰკრიბა მას ქვაჲ ყოველმან კრებულმან, ვითარცა ჰრქუა უფალმან მოსეს.

37 და მიუგო უფალმან მოსეს და ჰრქუა: 38... და იქმნედ მათ ფესჳ ყურთა ზედა სამოსლისა მათისათა ნათესავთა მათთა, და დაჰხჳოთ ფესუთა მათ ზედა საწველი იაკინთისა; 39 და იყოს იგი თქუენდა ფესუთა მათ ზედა, და იხილოთ იგი და მოგეკსენნენ ყოველნი მცნებანი უფლისანი, და ჰყუნეთ იგინი,

---

S: 28 ლხინებაჲ. 31 უყონ. 38 საწველი]სწლი. 39 იგინი]იგი.

AK: 28 არა ნეფსით 1° 2°]არა ნებსით K. ულხინება A. ყოთ K. 29 მკჳდრთა]მკუდართა AK. მათა]მათK. რომელმან... არანეფსით--K. 30 მან—K. 31 განაქარვა K. მას]მათ K. 33 იყუნეს A. რ'ლ K. 33 მოგუარეს K. არონს K. ი'ლ'ისათა K. 34 -ყუეს A. უყუ'ს K. 36 და გამოიყუანა... ბანაკსა--K. ქჳა Λ. 38 ფესუეი K. დაჰხოთ K. 39 ყუნეთ K. იგინი]იგი A.

B

ცოდვისათჳს. 28 და ლხინება ყოს მღდელმან მან სულისა, არამნებებელისა მისთჳს და შეცოდებულისა წინაშე უფლისა არანებსით. ლხინებად მისთჳს. 29 და მიეტეოს მათ. დამკჳდრებულთა ძეთა ისრაელისათა. მსოფლელსა და მწირსა მას, რომელი მოქცეულ იყოს მათ შორის, შჯულად ერთი იყოს მათი, რომელსა... არა ნებსით ცოდვისა მისთჳს. 30 და სულმან, რომელმან ყოს ჴელითა ამპარტავნებისათა ქუეყანისა მკჳდრთაგანმან, გინა თუ მწირმან, ამან ღმერთი განარისხა, მოისპოს სული იგი ერისაგან თჳსისა, 31 რამეთუ სიტყუა უფლისაჲ შეურაცხ-ყო და მცნებანი მისნი განაჩარვნა, შეიმუსროს სული იგი, რამეთუ ცოდვა მისი მის ზედა არს.

32 და იყუნეს ძენი ისრაელისანი უდაბნოსა ზედა, და პოვეს კაცი, რომელი შეჰკრებდა შეშასა დღესა შაბათსა, 33 და მოიყუანეს იგი, რომელი პოვეს, წინაშე მოსეს და აჰრონისა და ყოველისა კრებულისა ძეთა ისრაელისათა, 34 და შესუეს იგი საპყრობილესა, რამეთუ ვერარაჲ საჯეს, რაჲ უყონ მათ მას. 35 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: სიკუდილით მოკუედინ კაცი იგი და ქვაჲ დაჰკრიბენ მას ყოველმან კრებულმან ერმან. 36 და განიყუანეს იგი ყოველმან კრებულმან გარეშე ბანაკსა და ქვაჲ დაკრიბეს მას კრებულმან, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

37 და რქუა უფალმან მოსეს და ჰრქუა: 38 ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ, იქმნედ თავისა მათისა ფესუ კიდესა სამოსლისა მათისასა ნათესაჲსა შორის მათსა, და გამოიბით ფესუსა მას კიდისასა სთული იაკინთისა: 39 და იყაენ იგი ფესუსა მას თქუენსა და იხილოდით იგი და მოგეკსენნოდიან ყოველნი მცნებანი უფლისანი და

G

მოიბას თხაჲ ერთი წელიწდეული ცოდვისათჳს, 28 და ლხინება ყოს მღდელმან სულისათჳს არამე ნებსითისა და მცოდველისათჳს უნებლიეთ წინაშე უფლისა, ლხინება ყოს მისთჳს. 29 და მიეტეოს ქუეყანის მკჳდრსა ძეთა შორის ისრაელისათა და მწირსა, მოსრულსა მათდა მომართ, შჯული ერთი იყოს მათი, რომელმანცა ქმნეს რაჲმე არანებსით. 30 (143) [61] და სულმან, რომელმან ყოს ჴელითა ამპარტავანებაჲ თჳთმიწისათაგანმან ანუ მწირთაგანმან, ღმერთი განარისხა ამან, და მოისპოს სული იგი ერისაგან თჳსაჲ, 31 რამეთუ სიტყუაჲ უფლისაჲ განრყუნა და მცნებანი მისნი განაჩარვნა, აღკოცით აღიკოცოს სული იგი, ცოდვაჲ (v) მისი მის ზედა იყოს.

32 და იყვნეს ძენი ისრაელისანი და პოვეს კაცი, შემკრებელი შეშათაჲ დღესა შაბათსა, 33 და მოიყვანეს იგი მპოვნელთა (144) მისთა შემკრებელად შეშათად მოსეს მომართ და აარონისსა და ყოვლისა შესაკრებელისა ძეთა ისრაელისათაჲსა, 34 და შესუეს იგი საპყრობილესა, რამეთუ ვერ განსაჯეს, რაჲ უყონ მას. 35 და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: სიკუდილით მოკუედინ კაცი იგი, ქვაჲ დაჰკრიბეთ მას ქვებითა ყოველმან შესაკრებელმან გარეშე ბანაკისა. 36 და ქვაჲ დაჰკრიბეს მას ყოველმან შესაკრებელმან ქვებითა გარეშე ბანაკისა, ვითარცა იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი.

37 [y] და თქუა უფალმან მოსეს მიმართ, მეტყუელმან: 38 არქუ ძეთა ისრაელისათა და თქუ მათდა მიმართ, და უქმნედ თავთა თჳსთა ფესუნი ფრთეთა ზედა სამოსელთა მათთასა ნათესავთა შინა მათთა, და დაჰხუოთ ფესუთა ზედა ფრთეთასა სთეღი ჯაკინთონი; 39 და იყოს თქუენდა ფესუთა ზედა და იხილ-

B: 28 არამნებელმან. 29 მათ 1°]მ-ს. 33 მოიყუანნეს. 38 ჰქვაჲ. დაიკრიბენ. 39 მოგაკსენოდიან.
G: 29 ქმნენ Ga. 31 განაქაენა Gb.

S

არღარა მისდრკეთ უკუანა გონებათა და თუალთა თქუენთა, რომლითა-იგი თქუენ ისიძავთ უკუანა მათსა, [40] რაჲთა მოიკჳენოთ და ჰყოთ ყოველი მცნებაჲ ჩემი, იყვნეთ წმიდა ღმრთისა თქუენისა. [41] რამეთუ მე ვარ უფალი, ღმერთი თქუენი, რომელმან გამოგიყვანენ ქუეყანით ეგჳპტით ყოფად თქუენდა ღმრთად. მე უფალი, ღმერთი თქუენი.

AK

და არღარა მისდრკეთ უკანა გონებათა თქუენთა და თუალთა თქუენთა, რომლითა-იგი თქუენ ისიძავთ უკანა მათსა, [40] რაჲთა მოიკჳენოთ და ყოთ ყოველი მცნებაჲ [illegible] და იყვნეთ წმიდა ღმრთისა თქუენისა. [41] რამეთუ მე ვარ უფალი, ღმერთი თქუენი, რომელმან გამოგიყუანენ თქუენ ქუეყანით ეგჳპტით ყოფად თქუენდა ღმრთად. მე უფალი, ღმერთი თქუენი.

თავი XVI

[1] იტყოდა კორე, ძე ისსარისი, ძისა კაათისი, ძისა ლევისი, დათან და აბირონ, ძენი ელიაბისნი (და ავან, ძე ფალეკისი, ძისა რუბენისი)**, ავნან, ძე ფალეთისი, ძისა რუბენისი, [2] აღდგეს წინაშე მოსესა კაცნი ძეთაგან ისრაელისათანი ორასერგასისნი, მთავარნი, წოდებულნი ზრახვისანი, კაცნი სახელოვანნი. [3] შეკრბეს მოსეს ზედა და აჰრონს და თქუეს: გაჭუნდინ თქუენ, რამეთუ ყოველი იგი კრებული წმიდა არს და მათ შორის უფალი. რაჲსათჳს აღდგომილ ხართ კრებულსა ზედა უფლისასა? [4] ესმა ესე მოსეს და დავარდა პირსა ზედა თჳსსა [5] და ეტყოდა კორეს და ყოველსა კრებულსა მისსა და ჰრქუა: მოხედა და იცნა ღმერთმან, რომელნი-იგი არიან მისნი და წმიდანი მისნი, და მოიყვანნა იგინი თავისა თჳსისა; და რომელნი არა გამოირჩინა, არა მოიყვანნა. [6] აწ ესე ყავთ: მოიღეთ სასაკმეველე თქუენი კორე და ყოველმან კრებულმან მისმან [7] და შთაასხთ ცეცხლი და დაასხთ მას ზედა საკმეველი წინაშე უფლისა ხვალე; იყოს, კაცი, რომელი გა-

[1] და იტყოდა კორე,* ძე ისსაარისი-ძისა კაათისა. ძისა ლევისი და დათან და აბირონ, ძენი ელიაბისნი (და ან, ძე ფალეკისი, ძისა რუბენისი)**, და ავნან ძე ფალეთისი, ძისა რუბენისი, [2] და აღდგეს წინაშე მოსესსა და კაცნი ძეთა ისრაელისათანი ორასერგასისნი, მთავარნი კრ[ვ]ებულისანი, წოდებულნი ზრახვისანი და კაცნი სახელოვანნი. [3] შეკრბეს მოსეს ზედა და აჰრონის ზედა და თქუეს: გაჭუნდინ თქუენ, რამეთუ ყოველი ეგე კრებული ყოველნი წმიდა არიან და მათ შორის უფალი. და რაჲსათჳს აღდგომილ ხართ თქუენ კრებულსა ზედა უფლისასა? [4] და ესმა ესე მოსეს და დავარდა პირსა ზედა თჳსსა [5] და ეტყოდა კორეს და ყოველსა კრებულსა მისსა და ჰრქუა: მოხედა და იცნა ღმერთმან, რომელნი-იგი არიან მისნი და წმიდანი მისნი, და მოიყუანნა იგინი თავისა თჳსისა; და რომელნი არა გამოირჩინა, არა მოიყვანნა თავისა თჳსისა. [6] აწ ესე ყავთ: მოიღეთ სასაკმეველე თქუენი კორე და ყოველმან კრებულმან მისმან [7] და შთაასხთ მას ცეცხლი და დაასხთ მას ზედა საკმეველი წინაშე უფლისა ხვალე; იყოს, კაცი, რო-

S: XVI, [1] 2° რობენისი.

AK: [39] მისდრიკეთ K. -იგი—K. [40] იყუნეთ K. [41] გ[მ]ოგიყვ[ა]ნე K. XVI. [1] ჰრუბენისი 1° 2° A. ძისა რუბენისი—K. [5] იგინი—K. არა 1°—K. მოიყუანნა 2° A. [6] ჰყავთ A. [7] ხუალე K. იყოს კაცი, რომელ.—K.

* A-ში კიდეზე მხედრულით მიწერილია: „კორე, დათან და [აბი]რონ დაინთქა".

** ფრაზა გამეორებულია.

B

ჰყუნეთ იგინი და არა გარდაიქცეთ შემდგომად გონებათა თქუენთაჲსა და თუალთა თქუენთასა. რომლითა თქუენ სცოდეთ შემდგომად მათსა, [40] რომელი მოგეკსენოს და ჰყოფდეთ ყოველთა მცნებათა ჩემთა და იყუნეთ თქუენ წმიდა ღმრთისა თქუენისა. [41] რამეთუ მე ვარ უფალი, ღმერთი თქუენი, რომელმან გამოგიყუანენ თქუენ ქუეყანით ეგუპტით, რაჲთა ვიყო მე ღმერთ თქუენდა. მე ვარ უფალი. ღმერთი თქუენი.

G

ვიდეთ მათ და მოიკსენებდეთ ყოველთა მცნებათა უფლისათა, და ჰყოფდეთ მათ და არა გარდაიქცეთ შემდგომად გონებათა თქუენთა და შემდგომად თუალთა თქუენთა, რომელთა-იგი თქუენ ისიძავთ შემდგომად მათსა, [40] რაჲთა მოიკსენნეთ და ჰყვნეთ ყოველნი მცნებანი ჩემნი და იყვნეთ წმიდა ღმრთისა თქუენისა. [41] მე ვარ უფალი, ღმერთი თქუენი, რომელმან გამოგიყუანენ თქუენ ქუეყანით ეგუპტით, რაჲთა ვიყო თქუენდა ღმერთ. მე ვარ უფალი, ღმერთი თქუენი.

თავი XVI

და ეტყოდა კორე, ძე ისარისი, ძისა კაათისი, ძისა ლევისი, და დათან და აბირონ, ძენი ელიაბისნი (და ასონ, ძე ფალეგისი, ძისა რუბენისი)* და ავნან, ძე ფალეთისი, ძისა რუბენისი, [2] და აღდგეს წინაშე მოსესა კაცნი ძეთაგან ისრაელისათა ორასერგასისნი, მთავარნი კრებულისანი, წოდებულნი ზრახვისანი და კაცნი სახელოვანნი. [3] შეკრბეს მოსეს და აარონის ზედა და ჰრქუეს: გაქუნდინ, რამეთუ ყოველი ეგე კრებული, ყოველნი წმიდა არიან და მათ შორის უფალი. და რაჲსათჳს აღდგომილ ხართ თქუენ კრებულსა ზედა უფლისასა? [4] და ესმა ესე მოსეს და დავარდა პირსა ზედა თჳსსა [5] და ეტყოდა კორეს და ყოველსა კრებულსა მისსა და ჰრქუა: მოხედნა და იცნა ღმერთმან, რომელნი-იგი არიან მისნი და წმიდანი მისნი, და მოიყუანნა იგინი თავისა თჳსისა; და რომელნი არა გამოიძინნა, არა მოიყუანა თავისა თჳსისა. [6] აწ ყავთ ესე: მოიღეთ სასაკმეველე თქუენი, კორე და ყოველმან კრებულმან მისმან [7] და შთაასხით მათ ცეცხლი და დაასხთ მას ზედა საკმეველი წინაშე უფლისა ხვალე;

[1] (V) და იტყოდა კორე, ძე ისაარისი, ძისა კაათისი, ძისა ლევისი, დათან და აბირონ, ძენი ელი [62] აბისნი, (145) და ავნან, ძე ფალეთისი, ძისა რუბენისი, [2] და აღდგეს წინააღმდგომად მოსესსა და კაცნი ძეთაგან ისრაელისათა ერგასისნი და ორასნი, წინამძღუარნი შესაკრებელისანი, ჩინებულნი ზრახვისანი და კაცნი სახელოანნი. [3] აღდგეს მოსეს და აარონს ზედა და თქუეს მათდა მიმართ: გაქუნდინ თქუენ, რამეთუ ყოველი შესაკრებელი, ყოველნი წმიდა არიან და მათ შორის არს უფალი. და რაჲსათჳს აღდგომილ ხართ კრებულსა ზედა უფლისასა? [4] და ესმა რაჲ მოსეს, დავარდა პირსა ზედა [5] და თქუა კორეს მიმართ და ყოველსა მიმართ შესაკრებელისა მისისა, მეტყუელმან: მოიხილა ღმერთმან და იცნა, რომელნი იყვნეს მისნი და წმიდანი, მიიყვანნა თავისა მიმართ თჳსისა; და რომელნი არა გამოირჩინა თჳსად, არა მიიყვანნა თავისა მიმართ თჳსისა. [6] ესე ყავთ: მოიღეთ სასაკუმეველე თქუენი კორე და ყოველმან შესაკრებელმან მისმან [7] და დაასხთ მათ ზედა ცეცხლი და დაასხთ მათ ზედა საკუმეველი წინა-

G: [41] ეგუპტით—Ga. XVI, [1] აბირონ+და Gab.

* ფრაზა გამეორებულია.

S

მოირჩიოს უფალმან, წმიდა არს იგი, კმა იყავნ თქუენდა, ძენო ლევისნო! 8 ჰრქუა მოსე კორეს: ისმინეთ ჩემი, ძენო ლევისნო! 9 მცირე არსა ესე თქუენდა, რამეთუ გამოგირჩინა ღმერთმან ისრაელისამან კრებულისაგან და მოგიყვანნა თქუენ თავისა თჳსისა მსახურებად მსახურებასა კარვისა უფლისასა და წარდგომად წინაშე კრებულისა და მსახურებად მისა? 10 მოგიყვანა შენ და ყოველნი ძმანი შენნი, ძენი ლევისნი, შენ თანა, და გნებავს კუალად მღდელობაჲ? 11 ესრეთ შენ და კრებულსა შენსა, რომელნი შეკრებულ ხართ ღმრთისა ზედა, და აჰრონ ვინ არს, რამეთუ სდრტჳნავთ მისთჳს? 12 და მიავლინა მოსე მოწოდებად დათანისა და აბირონისა, ძეთა ელიაბისთა. და თქუეს: არა მივალთ! 13 ნუ მცირე არს ესე, რამეთუ [არა] შემიყვანენ ჩუენ ქუეყანასა მას, მდინარესა სძისა და თაფლისასა*, მოსრვად ჩუენდა უდაბნოსა ამას? რამეთუ გუმთავრობ ჩუენ, შენ ხარ მთავარ? 14 ქუეყანასა მას, მდინარესა სძისა და თაფლისასა, შემიყვანენ ჩუენ და მომეც ჩუენ ნაწილები აგარაკთაჲ და საყურძენთაჲ? თუალნი მათ კაცთანი აღმოჰკდეს? არა აღვალთ! 15 და დამძიმდა (15) სულმოკლებითა ფრიად მოსე და ჰრქუა უფალსა: ნუ მოჰხედავ შესაწირავთა მათთა, რამეთუ არავისი მათგანისაჲ გულისსათქმელი რაჲმე მოვიღე, არცა ბოროტი ვისმე უყავ მათ. 16 და ჰრქუა მოსე კორეს: წმიდა ყავ კრებული შენი და იყვენით თქუენ მზა წინაშე უფლისა, შენ და იგინი და აჰრონ ხვალისა, 17 და მოიღეთ კაცად-კაცადმან საცეცხური თჳსი და დაასხთ მას ზედა საკმეველი, და მოიღეთ წინაშე უფლისა

AK

მელი გამოირჩიოს უფალმან, წმიდა არს იგი, კმა იყავნ თქუენდა, ძენო ლევისნო! 8 და ჰრქუა მოსე კორეს: ისმინეთ ჩემი, ძენო ლევისნო! 9 მცირე არსა ესე თქუენდა, რამეთუ გამოგირჩინა თქუენ ღმერთმან ისრაელისამან კრებულისაგან ისრაელისა და მოგიყუანნა თქუენ თავისა თჳსისა მსახურებად მსახურებასა კარვისა უფლისასა და წარდგომად წინაშე კრებულისა და მსახურებად მისა? 10 და მოგიყვანნა შენ და ყოველნი ძმანი შენნი, ძენი ლევისნი, ნი, შენ თანა, და გნებავს კუალად მღდელობაჲ? 11 ესრეთ შენ და კრებულსა შენსა, რომელნი შეკრებულ ხართ ღმრთისა ზედა, და აჰრონ ვინ არს, რამეთუ სდრტჳნავთ მისთჳს? 12 და მიავლინა მოსე წოდებად დათანისა და აბირონისა, ძეთა ელიაბისთა. [271] და თქუეს: არა აღვალთ! 13 მცირე არს ნუ ესე, რამეთუ გამოგჳყუანე ჩუენ ქუეყანისაგან, გამომცემელისა სძისა და თაფლისა, მოსრვად ჩუენდა უდაბნოსა ზედა? რამეთუ შენ გუმძლავრობ ჩუენ, და აწ შენ მთავარ ხარ? 14 და ქუეყანასა, გამომცემელსა სძისა და თაფლისასა, შეგჳყუანენ ჩუენ და გუეც ჩუენ სამკჳდრებელი ყანებისა და ვენაკებისა? და თუალნი მათ კაცთანი აღმოუთხიენ? აწ არა აღვალთ! 15 და ფიცხლად განრისხნა მოსე ფრიად და თქუა უფლისა მიმართ: ნუ მოხედავ შესაწირავსა ზედა მათსა, რამეთუ არარაჲ გულისსათქუმელი არავისი მათგანისა მოვიღე, არცა ბოროტი უყაე მაგათგანსა ვის. 16 და ჰრქუა მოსე კორეს: წმიდა ყავ კრებული ეგე შენი და მზა იყვენით წინაშე უფლისა, შენ და იგინი და აჰრონ ხვალე, 17 და მოიღეთ კაცად-კაცადმან სასაკმეველე თჳსი და დადევით მას ზედა საკმეველი,

S: 13 მდინარისა. 16 მათთა]მათსა.

AK: 9 არს K. გამოგირჩინნა AK. კრებულისაგან ისრაელისა—K. 10 შენ 1°]თქუენ K. მოგიყუანა A. 11 აჰრონ K. 13 სძ..სა... ჩუენდა—K. და უდაბნოსა K. 14 გუეც]გუუც K. 16 იყუენით K. და 4°—K აჰრონ K.

* S-ში ამ წინადადების აზრი შეცვლილია.

B

და იყოს, კაცი, რომელი გამოირჩიოს უფალმან, წმიდა არს იგი, კმა იყავნ თქუენდა, ძენო ლევისნო! 8 და ჰრქუა მოსე კორეს: ისმინეთ ჩემი, ძენო ლევისნო! 9 მცირე არს ესე თქუენდა, რამეთუ გამოგირჩინა თქუენ ღმერთმან ისრაელისამან კრებულისაგან ისრაელისა და მოგიყვანნა თქუენ თავისა თჳსისა მსახურებად მსახურებასა კარვისა უფლისასა საწამებელსა და წარმოდგომად წინაშე კრებულისა უფლისა და მსახურებად მისა? 10 და მოგიყუანა შენ და ყოველნი ძმანი შენნი, ძენი ლევისნი, შენ თანა და გნებავს კუალად მღდელობად? 11 ესრეთ შენ და კრებულსა შენსა, რომელნი შეკრებულ ხართ ღმრთისა ზედა, და აჰრონ ვინ არს, რამეთუ დრტჳნავთ მისთჳს? 12 და მიაყლინნა მოსე და მოუწოდა დათანს და აბირონს, ძეთა ელიაბისთა. და მათ თქუეს: არა მოვალთ! 13 ნუ მცირე არს, რამეთუ არა შემიყუანენ ჩუენ ქუეყანასა მას, მდინარესა სძისა და თაფლისასა, რომელ წარმწყმედ ჩუენ უდაბნოსა შინა? ვითარცა მფლობ ჩუენ და მთავრობ? 14 და გამოხუედ ქუეყანით, გამომდინარისა სძისა და თაფლისა, შემიყვანენ ჩუენ და მომეც ჩუენ ნაწილი იგი აგარაკთა და საყურძნეთა? და თუალნი მათ კაცთანი აღმოჰკადენ? არა აღვალთ! 15 და დამძიმდა სულმოკლებითა ფრიად მოსე რისხვითა და ჰრქუა უფალსა: ნუ მოხედავ შესაწირავთა მათთა, რამეთუ არავის მათგანისა გულისსათქმელი რაჲმე მოვიღე, არცა ბოროტი ვისმე უყავ მათგანსა. 16 და ჰრქუა მოსე კორეს: წმიდა ჰყავ კრებული შენი და იყუნეთ თქუენ მზა წინაშე უფლისა, შენ და იგინი და აჰრონ ხვალისა, 17 მოიღეთ კაცად-კაცადმან სასაკმეველე თჳსი და დაასხთ მას ზედა საკმეველი, და მო-

G

შე უფლისა ხვალე; და იყოს, კაცი, რომელიცა გამო(ν)ირჩიოს უფალმან, იგი წმიდა არს, კმა გეყავნ თქუენ, ძენო ლევისნო! 8 და თქუა მოსე კორეს მიმართ: ისმინეთ ჩემი, ძენო ლევისნო! 9 მცირე არს-ა ესე თქუენდა, რამეთუ განგყენა თქუენ ღმერთმან ისრაელისამან შესაკრებელისაგან ისრაელისა და მიგიყვანნა თქუენ თავისა მიმართ თჳსისა მსახურებად მსახურებათა კარვისა უფლისათა და წარდგომად წინაშე შესაკრებელისა მსახურებად მისსა? 10 და მოგიყვანა შენ და ყოველნი ძმანი შენნი, ძენი ლევისნი, შენ თანა და ეძიებთ მღდელობად? 11 ესრეთ შენ და ყოველი შესაკრებელი შენი, შემოკრებულნი ღმრთისა მომართ, და აარონ ვინ არს, რამეთუ სდრტჳნავთ მისთჳს? 12 და მიაყლინა მოსე მოწოდებად დათანისსა და აბირონისსა, ძეთა ელიაბისთა. და თქუეს: არა აღვალთ! 13 ნუ მცირე არსა ესე, რამეთუ აღმომიყვანენ ჩუენ ქუეყანისაგან, მადინებელისა სძისა და თაფლისა, მოსიკუდიდ ჩუენდა უდაბნოს ზედა? და რამეთუ გუმთავრობ ჩუენ მთავარი ერთი? 14 და შენ ქუეყანად, მადინებელად სძისა და თაფლისად, შემიყვანენ ჩუენ და მოგუეც ჩუენ სამკჳდრებელი აგარაკისა და ვენაკისაჲ თუალებისა მათ კაცთაჲსა აღმომკუეთელმან? არა აღვალთ! 15 და მძიმედ გულმწყრალ იქმნა მოსე ფრიად და თქუა უფლისა მიმართ: (136) [ν] ნუ მიიხილავ მსხუერპლისა მიმართ მათისა, არაჲ გულისსათქუმელი არავის მათგანისაჲ მოვიღე, არცა ბოროტი უყავ არცა ერთსა მათგანსა. 16 და თქუა მოსე კორეს მიმართ: წმიდა ყავ შესაკრებელი შენი და (ν) იქმნენით მზა წინაშე უფლისა, შენ და იგინი და აარონ ხვალისა, 17 და მოიღეთ კაცად-კაცადმან საცეცხური თჳსი და დადევით მას ზედა ცეცხლი და დადევით მას ზედა საკუ-

B: 8 ისმინე. 14 მომცენ.

S

კაცად-კაცადმან საცეცხური თჳსი, ორასერგასი საცეცხური; შენ და აჰრონ თჳთოეულმან სასაკმეველე თჳსი. 18 და მოიღო კაცად-კაცადმან საცეცხური თჳსი და შთააჩნეს მას ცეცხლი და დაასხეს საკმეველი. და დადგეს კართა თანა კარვისა მის საწამებელისათა მოსე და აჰრონ. 19 და შეკრიბა მათ თანა კორე ყოველი კრებული თჳსი კართა თანა კარვისა მის საწამებელისათა და გამოჩნდა დიდებაჲ უფლისა[ჲ] ყოველსა მას ზედა კრებულსა. 20 და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: 21 გამოეშორენით შორის კრებულისა მაგის და აღვკოცნე იგინი ერთბამად. 22 და დავარდეს წრნაშე უფლისა მოსე და აჰრონ და თქუეს: უფალო, ღმერთო სულთაო და ყოველთა კორცთაო, უკუეთუ ერთმან კაცმან ცოდა, ყოველსა ზედა კრებულსა იყოსა რისხვაჲ უფლისა? 23 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 24 ეტყოდე კრებულსა მაგას და არქუ: განეშორენით გარემო კრებულისა მაგისგან კორესისა და დათანისა და აბირონისა. 25 და აღდგა მოსე და მივიდა დათანისა და აბირონისა, და მივიდეს მის თანა ყოველნი მოხუცებულნი ისრაელისანი. 26 და ეტყოდა კრებულსა და ჰრქუა: გამოეშორენით კარავთა მათგათგან კაცთა ფიცხელთასა და ნუ შეეხებით ყოველსავე, რომელ-რაჲ არს მათი, ნუუკუე წარსწყმდეთ ცოდვათა მათთა თანა. 27 და გამოეშორნეს გარემო კარავთა მათ კორესთა, და გამოვიდეს დათან და აბირონ, დადგეს კართა თანა კარვისა მათისათა, ცოლნი მათნი და შვილნი მათნი და ყოველი ჴურჭერი მათი. 28 და თქუა მოსე: ამით სცნათ, რამეთუ უფალმან მომაელინა მე

AK

და მოიღეთ წინაშე უფლისა კაცად-კაცადმან სასაკმეველე თჳსი, ერგასის და ერგასისი სასაკმეველე: შენ და აჰრონ თქუენი სასაკუმეველე. 18 და მოიღო კაცად-კაცადმან სასაკუმეველე იგი თჳსი და დადვეს მათ ზედა ცეცხლი და დაასხეს მას საკუმეველი, და დადგეს კართა ზედა კარვისა მის საწამებელისათა მოსე და აჰრონ. 19 და ზედა-მიუვლინა მათ კორე ყოველი კრებული თჳსი კართა თანა კარვისა მის სა[v]წამებელისათა და დიდებაჲ უფლისაჲ გამოჩნდა ყოველსა ზედა კრებულსა. 20 და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: 21 განეშორენით კრებულისა მაგისგან და აღვკოცნე იგინი ყოველად. 22 და დავარდეს პირსა ზედა მათსა და თქუეს: უფალო, უფალო სულთა და ყოველთა კორცთაო, კაცმან თუ ერთმან ცოდა, ყოველსა ზედა კრებულსა რისხვაჲ უფლისაჲ იყოსა? 23 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 24 ეტყოდე კრებულსა ამას და არქუ: განეშორენით გარეშოს კრებულსა ამას კორესსა. 25 და აღდგა მოსე და მივიდა დათანისა და აბირონისა, და მიუიდეს მის თანა ყოველნი კრებულნი ისრაელისანი. 26 და ეტყოდა კრებულსა მას და თქუა: განეშორენით კარავთაგან კაცთა ამათ ფიცხელთასა და ნუ შეეხებით ყოველსა, რაჲცა არს*[272] მათი, ნუუკუე წარსწყმდეთ ცოდვათა მათთა თანა. 27 და გამოეშორნეს გარემო კარავთა მათ კორესთა, და გამოვიდეს დათან და აბირონ და დადგეს კართა თანა კარვისა მათისათა ცოლით და შვილით მათითურთ და ყოველი ჴურჭელი მათი. 28 და თქუა მოსე: ამით სცნათ, რამეთუ უფალმან

S: 19 შეკრიბნა. ყ"ნ.

AK: 17 კაცად-კაცადმან 2`... სასაკუმეველე 4°—K. 18 და მოიღო... თჳსი—K. ს"სკმეველი K. იგი—K. მასმათ K. აჰრონ K. 19 -მიუვლინნა A. 22 იყოს K. 24 ეტყოდა K.

* A-ში 271 v-ზე II სვეტის ნახევარი დაუწერლადაა დატოვებული. მიხატულია ხელის მტევანი. იქვე მხედრულით წერია: „აქ არ აკლია“.

B

იღეთ წინაშე უფლისა კაცად-კაცადმან საკმეველი თჳსი ორასერგასისი საკმეველე; შენ და აჰრონ თჳთეულმან სასაკმეველე თჳსი. 18 და მოიღო კაცად-კაცადმან სასაკმეველე თჳსი და შთაასხა მას ცეცხლი და დაასხეს მას ზედა გუნდრუკი და დადგეს კართა თანა კარვისა მის საწამებელისათა მოსე და აჰრონ. 19 და შეკრიბა კორე მათ თანა ყოველი კრებული თჳსი კართა თანა კარვისა მის საწამებელისათა და გამოჩნდა დიდებაჲ უფლისაჲ ყოველსა მას ზედა კრებულსა. 20 და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: 21 გამოეშორენით შორის კრებულსა მაგას და აღვკოცნე ეგენი ერთბამად. 22 დაცვეს წინაშე უფლისა მოსე და აჰრონ და თქუეს: ღმერთო, ღმერთო მამათაო და ყოველთა კორციელთაო, უკუეთუ ერთმან კაცმან ცოდა, ყოველსა ზედა კრებულსა იყოსა რისხვა უფლისაჲ? 23 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 24 ეტყოდე კრებულსა მაგას და არქუ: გამოეშორენით კრებულისა მაგისგან კორესისა და დათანისა და აბირონისა. 25 და აღდგა მოსე და მივიდა დათანისა და აბირონისა, მივიდეს მის თანა ყოველნი მოხუცებულნი ისრაელისანი. 26 და ეტყოდა კრებულსა მას და ჰრქუა: გამოეშორენით კარავთა მაგათგან კაცთა ფიცხელთასა და ნუ შეეხებით ყოველსაცე, რომელ-რაჲ არიან მათ შინა, ნუუკუე წარსწყმდეთ ცოდვათა მათთა თანა. 27 და გამოეშორნეს გარემო კარავთა მათ კორესთა, დათანისა და აბირონისა გარემო; დათან და აბირონ გამოვიდეს და დადგეს კართა თანა კარვისა მათისა, ცოლნი მათნი და შვილნი მათნი და ყოველი ჰურჩელი მათი. 28 და თქუა მოსე:

G

მეველი, და შეიღეთ წინაშე უფლისა ხვალე კაცად-კაცადმან საცეცხური თჳსი, ერგასისი და ორასი საცეცხური; და შენ და აარონ კაცად-კაცადმან საცეცხური თჳსი. 18 და მოიღო კაცად-კაცადმან საცეცხური თჳსი და დადვეს მათ ზედა ცეცხლი და დაასხეს მათ ზედა საკუმეველი და დადგეს კართა თანა კარვისა საწამებელისათა მოსე და აარონ. 19 და ზედა აღუდგინა მათ კორე ყოველი შესაკრებელი თჳსი კარსა თანა კარვისა საწამებელისასა და დიდებაჲ უფლისაჲ გამოუჩნდა ყოველსა შესაკრებელსა. 20 და თქუა უფალმან მოსეს და აარონის მიმართ, მეტყუელმან: 21 [63] გამოსთქჳით საშუალისაგან შესაკრებელისა ამის და აღვკოცნე იგინი ერთგზის. 22 და დაცვეს პირთა ზედა მათთა და თქუეს: ღმერთო, ღმერთო სულთაო და ყოველისა კორცისაო, უკუეთუ კაცმან ერთმან ცოდა, ყოველსა შესაკრებელსა ზედა იყოსა რისხვაჲ უფლისაჲ? 23 და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: 24 განეშორენით გარემოჲს შესაკრებელისაგან კორესსა და დათანისსა და აბირონისსა. 25 და აღდგა მოსე და წარვიდა დათანისსა (147) და აბირონისსა და თანა-წარვიდეს მის თანა ყოველნი მოხუცებულნი ისრაელისანი. 26 და იტყოდა შესაკრებელისა მიმართ, მეტყუელი: გამოსთქჳით კარავთაგან კაცთა ამათ ფიცხელთაჲსა და ნუ შეეხებით ყოველთა, რაოდენნი-რაჲ არიან მათნი, ნუსადა თანა-წარსწყმდეთ ყოველსა შინა ცოდვასა მათსა. 27 და განეშორნეს კარვისაგან კორესსა, დათანისსა და აბირონისსა გარემოჲს; და დათან და აბირონ გამოვიდეს და დადგეს კართა თანა კარავთა მათთასა, და ცოლნი მათნი და შვილნი მათნი და ჰურჩელი მათი. 28 და თქუა მოსე: ამით

B: 18 დაასხეს]დაასხით. გუნდრუკნი. 27 გამოვიდენ.

G: 23 იტყოდე Ga.

S

საქმედ ყოველსა მას საქმესა და არა თავით ჩემით. [29] უკუეთუ სიკუდილისაებრ ყოველთა კაცთაჲსა მოწყდენ ესენი, გინათუ მოხედვისაებრ ყოველთა კაცთაჲსა მოხედვა იყოს მათა, არა უფალმან მომავლინა მე; [30] არამედ საოცრად აჩუენოს უფალმან და განაღოს ქუეყანამან პირი თჳსი და შთანთქნეს იგინი და სახლნი მაგათნი და საყოფელნი მაგათნი და ყოველი, რაოდენი არს მაგათი, და შთაჴდენ ყოველნი ჯოჯოხეთად და სცნათ, რამეთუ განარისხეს კაცთა ამათ უფალი. [31] და ვითარცა დასცხრა მოსე სიტყუად ყოველთა ამათ სიტყუათა, (32) განსთქდა ქუეყანა ქუეშე მათსა [32] და განეღო ქუეყანა (33) და შთანთქნა იგინი და სახლნი მათნი და ყოველნი კაცნი, რომელნი იყუნეს კორეს თანა, და ყოველი საცხოვარი მათი [33] და ყოველივე, რაჲცა იყო მათი ცხოველნი [შთაჴდეს] ჯოჯოხეთა. და დაფარნა იგინი ქუეყანამან და წარწყმდეს იგინი შორის კრებულისა მის. [34] და ყოველი ისრაელი ივლტოდა გარემო კმისაგან მათისა, რამეთუ თქუეს: ნუუკუე ჩუენცა შთამნთქნეს ქუეყანამან. [35] და ცეცხლი გამოვიდა უფლისაგან და შეჴამნა ორასერგასისნი იგი კაცნი, რომელთა მოაქუნდა საკუმეველი.

AK

მომავლინა მე საქმედ ყოვლისა ამის საქმისა და არა თავით ჩემით. [29] უკუეთუ სიკუდილისაებრ ყოვლისა კაცისა მოსწყდენ ესენი, გინათუ მოხედვისაებრ ყოველთა კაცთასა მოხედვა იყოს მათა, არა უფალმან მომავლინა მე; [30] არამედ საოცრად აჩუენოს და განაღოს ქუეყანამან პირი თჳსი და შთანთქნეს იგინი და სახლნი მათნი და საყოფელნი მაგათნი და ყოველი, რაოდენი არს მაგათი, და შთაჴდენ ყოველნი ჯოჯოხეთა და სცნათ, რამეთუ განარისხეს კაცთა ამათ უფალი. [31] და ვითარცა დასცხრა მოსე სიტყუად ყოვლისა ამის სიტყჳსა, განსთქდა ქუეყანა ქუეშე მათსა [32] და განეღო და შთანთქნა იგინი და სახლნი მათნი და ყოველნი კაცნი, რომელნი იყუნეს კორეს თანა,* და ყოველივე საცხოვარი მათი [33] და ყოველივე, რაჲცა იყო მათი ცხოველნი, შთაჴდეს ჯოჯოხეთა. და დაფარნა იგინი ქუეყანამან და წარწყმდეს იგინი შორის კრებულისა მის. [34] [v] და ყოველი ისრაელი ივლტოდა გარემო კმისაგან მათისა, რამეთუ თქუეს: ნუუკუე ჩუენცა შთამთქნეს ქუეყანამან. [35] და ცეცხლი გამოვიდა უფლისაგან და შეჴამნა ორასერგასისნი იგი კაცნი, რომელთა მოაქუნდა საკუმეველი.

თავი XVII

[1] (36) და ჰრქუა უფალმან მოსეს [2] და ელიაზარს, ძესა აჰრონისსა, მღდელსა: (37) აღკრიბეთ საცეცხურები ეგე რვალისაჲ შორის დამწუართა მაგათ და ცეცხლი ესე უცხოჲ მიაბნიეთ მუნ, რამეთუ განწმიდნეს (38) [3] საცეცხურები ესე ამათ ცოდვილთანი სულითა მათითა

და ჰრქუა უფალმან მოსეს [2] და ელიაზარს მღდელსა: აღკრიბეთ საცეცხურები ეგე რვალისა შორის დამწუართა მაგათ და ცეცხლი ესე უცხო მოაბნიეთ მუნ, რამეთუ განწმიდნეს [3] საცეცხურნი ესე ამათ ცოდვილთანი სულითა მათითა და შექმნენ ეგენი პეპე-

S: XVII, [1] მღდელისა. [2] მიაბნიე.

AK: [29] მათა—K. [30] მაგათნი]მათნი K. მაგათი]მათგანი K. ჯხ᷄თად K. განარისხეთ K. [31] გნ᷄ქდა K. [32] შთააჴნა A. იყუნეს A. ყოველიე]ყოველნიე K. საცხოვარნი A. [33] შთაჴდენ ჯხ᷄თად K. [34] კმისაგან]კლ᷄ისგ᷄ნ K. შთამთქნეს K. XVII, [2] უცხო—K. მიაბნიე A. [3] სც᷄ხლნი K. შექმნნე K.

* A-ში კიდეზე მხედრულით: „დანთქა დათან".

B

ყოველთა ამით სცანთ, რამეთუ უფალმან მომავლინა მე საქმედ ყოველსა ამას საქმესა და არა თავით ჩემით. [29] უკუეთუ სიკუდილისაებრ ყოველთა კაცთასა მოკუდენ ესენი და უკუეთუ მოხედვით ყოველთა კაცთა მოხედვა იყოს მათდა, არა მე მომავლინა უფალმან; [30] არამედ საცრად აჩუენოს უფალმან და განაღოს პირი თჳსი ქუეყანამან და შთანთქნეს ეგენი და სახლნი მაგათნი და ყოველი კარვები მათი და ყოველი, რაოდენი-რაჲ არს მაგათი, შთაჴდენ ყოველნი ჯოჯოხეთად, სცანთ, რამეთუ განარისხეს კაცთა ამათ უფალი. [31] და ვითარცა დაასცხრა სიტყუად ყოველთა ამათ სიტყუათა, განსქდა ქუეყანა ფერჴთა ქუეშე მათსა [32] და განეღო ქუეყანა და დანთქნა იგინი და სახლნი მათნი და ყოველნი კაცნი, რომელნი იყუნეს კორეს თანა და ყოველი საცხოვარი მათი, [33] და შეჴდეს იგინი ყოველივე, რაცა იყო მათი ცხოველნი, შთაჴდეს ჯოჯოხეთად. და დაფარნა იგინი ქუეყანამან და წარწყმდეს შორის კრებულისა მისგან. [34] და ყოველი ისრაელი ივლტოდა გარემო ჴმისაგან მათისა, რამეთუ თქუეს: ნუუკუე ჩუენცა შთამთქნეს ქუეყანამან. [35] და ცეცხლი გამოჴდა უფლისაგან და შეჴამნა ორასერგასისნი იგი კაცნი, რომელთა მოაქუნდა საკმეველი.

G

სცნათ, ვითარმედ უფალმან მომავლინა მე ქმნად საქმეთა ამათ ყოველთა, და ვითარმედ არა თავით ჩემით. [29] უკუეთუ მსგავსად სიკუდილისა ყოველთა კაცთაჲსა მოკუდენ ესენი და უკუეთუ მოხილვისაებრ ყოველთა კაცთაჲსა იყოს მოხილვაჲ მათი, არა უფალმან მომავლინა მე; [30] არამედ ჴნარცჴთა გამოაჩინოს უფალმან და აღმღებელმან პირისა თჳსისამან ქუეყანამან შთანთქნეს იგინი და სახლნი (v) მათნი და კარაჲნი მათნი და ყოველნი, რაოდენნი არიან მათნი, და შთავიდენ ცოცხალნი ჯოჯოხეთს და სცნათ, რამეთუ განარისხეს კაცთა ამათ ღმერთი. [31] და ვითარცა დასცხრა მეტყუელი ყოველთა ამათ სიტყუათაჲ, განიპო ქუეყანაჲ ქუეშე კერძო ფერჴთა მათთა [32] და განეღო ქუეყანაჲ და შთანთქნა იგინი და სახლნი მათნი და ყოველნი კაცნი, მყოფნი კორეს თანა, და საცხოვარნი მათნი, [33] და შთავიდეს იგინი და ყოველნი, რაოდენნი იყუნეს მათნი ცოცხალნი, ჯოჯოხეთად. და დაფარნა იგინი ქუეყანამან და წარწყმდეს საშუალ შესაკრებელისაგან. [34] და ყოველი ისრაელი, გარემოჲსნა მათნი, ივლტოდეს ჴმისაგან მათისა, რამეთუ თქუეს, მეტყუელთა: ნუსაღა შთამთქნეს ჩუენ ქუეყანამან. [35] და ცეცხლი გამოვიდა უფლისაგან და შეჴამნა ერგასის და ორასნი კაცნი, შემწირველნი საკუმეველისანი.

თავი XVII

[1] და ჰრქუა უფალმან მოსეს [2] და ელიაზარს, ძესა აჰრონისსა, მღდელსა: აკრიბეთ საცეცხურები ეგე რვალისა შორის მომწყდართა მაგათ და ცეცხლი ესე უცხო მოაბნიეთ მუნ, რამეთუ განწმიდნეს [3] საცეცხურები ესე ამათ ცოდვილთანი სულითა მათითა და შეჰ-

[1] და თქუა უფალმან მოსეს მიმართ [2] და ელეაზარის მიმართ, ძისა აარონ მღდელისაჲ აღიღეთ საცეცხურები რვალისაჲ შორის (148) დაშწუართა მათგან და ცეცხლი ესე უცხოჲ მისთჳსეთ მუნ, რამეთუ განწმიდნეს [3] საცეცხურნი მათნი ცოდვილთა ამათ სულთა-

B: [29] ესენი]ესე. იყოს]ყოს. [30] მათთ+და ყოველ ორაოდენი-რაჲ არიან მაგათი. შთაჴდენ. [33] იგინი 2°]იგი. XVII, [1] მღდელისა.

G: [29] მომავლინაა Gab. XVII, [2] მისთჳსე Ga.

S

და შექმნან ეგენი პეპელად ჭედილად, გარემოსადებელად საკურთხეველისა, რამეთუ მოიხუნეს წინაშე უფლისა და განწმიდნეს; და იქმნეს ესე სასწაულად ძეთა ისრაელისათა. [4] (39) და მოიხუნა ელიაზარ მღდელმან, ძემან აჰრონისმან, საცეცხურნი იგი რვალიანი, რაოდენნი-იგი მოიხუნეს დამწუართა მათ და მოსდეს გარეშესადებელად საკურთხეველსა [5] (40) საჯსენებელად ძეთა ისრაელისათა, რაჲთა არავინ მოუკდეს უცხოთესლი, რომელი არა იყოს ნათესავისაგან აჰრონისა, დასხმად საკუმეველისა წინაშე უფლისა, რაჲთა არა იყოს ეითარცა კორე და კრებული მისი, ვითარცა იტყოდა უფალი კელითა მოსესითა.

[6] (41) და დრტჳნვიდეს ძენი ისრაელისანი ხვალის დღე მოსესა მიმართ და აჰრონისა და იტყოდეს: თქუენ მოჰსართ ყოველივე ესე ერი უფლისა. [7] (42) და იყო, ვითარცა მოიქცა კრებული იგი მოსეს ზედა და აჰრონის ზედა და მოიმართეს კარვად საწამებელისა, და მეყსეულად დაჰფარა ღრუბელმან კარავი იგი და გამოჩნდა დიდებაჲ უფლისაჲ. [8] (43) და დადგეს მოსე და აჰრონ წინაშე პირსა კარვისა მის საწამებელისა. [9] (44) და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: [10] (45) გამოეშორენით შორის კრებულისა ამის და აღვჴოცნე ეგენი ერთბამად. და დაცჳვეს პირსა ზედა მათსა. [11] (46) და ჰრქუა მოსე აჰრონს: მოიღე სასაკუმეველე და დაასხ მას ცეცხლი საკურთხეველისაგან და დასდევ მას ზედა საკუმეველი და მიიღე ადრე ბანაკად და ლხინება ყავ მათთჳს, რამეთუ გარდამოჴდა რისხვაჲ უფლისამიერი და უწყიეს მოსრვაჲ

AK

ლად ჭედილად, გარემოსადებელად საკურთხეველისა, რამეთუ მოიხუნეს წინაშე უფლისა და განწმიდნეს; და იქმნეს ესე სასწაულად ძეთა ისრაელისათა. [4] და მოიხუნა ელეაზარ მღდელმან, ძემან აჰრონისმან, საცეცხურნი იგი რვალისანი, რაოდენ[ნ]ი-იგი მოიხუნეს დამწუართა მათ და მოსდეს გარეშესადებელად საკურთხეველსა [5] საჯსენებელად ძეთა ისრაელისათა, რაჲთა არავინ მოუკდეს უცხოთესლი, რომელი არა იყოს ნათესავისაგან აჰრონისა, დასხმად საკუმეველისა წინაშე უფლისა, რაჲთა არა იყოს, ვითარცა კორე და კრებული მისი, ვითარცა იტყოდა უფალი კელითა მოსესითა.

[6] და დრტჳნვიდეს ძენი ისრაელისანი ხვალისა დღე მოსესა და აჰრონისა მიმართ და იტყოდეს: თქუენ [273] მოსართ ყოველი ესე ერი უფლისაჲ. [7] და იყო, ვითარცა მოიქცა კრებული იგი მოსეს ზედა და აჰრონისა და მოიმართეს კარვად საწამებელისა, მეყსეულად დაფარა ღრუბელმან კარავი იგი და გამოჩნდა დიდებაჲ უფლისაჲ. [8] დადგეს მოსე და აჰრონ... კარვისა მის საწამებელისა. [9] და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: [10]გამოეშორენით შორის კრებულისა მაგის და აღვჴოცნე ეგენი ერთბამად. და დაცჳვეს პირსა ზედა მათსა. [11] და ჰრქუა მოსე აჰრონს: მოიღე სასაკუმეველე და დაასხ მას ცეცხლი საკურთხეველისაგან და დადევ მას ზედა საკუმეველი და მიიღე ადრე ბანაკად და ლხინება ყავ მათთჳს, რამეთუ გამოჴდა რისხვაჲ უფლისაჲ და უწ-

---

S: [5] აჰრონისი. [11] დაასხთ.

AK: [4] ელეზარ K. აჰრონისმან K. [5] აჰრონისი. K. [9] მოუკდეს]მოკუდეს AK. [5] აჰრონისა K. და კრებული... მოსესითა—K. [6] აჰრონისა K. მოჰსრათ A. [7] აჰრონისაჲ K. [11] საკურთხეველისაგან] სამკჳეულისგან K. უწყიეს]ეწყის AK.

B

ქმნენ იგინი პეპელად ჴედილად, გარე-
მოსადებელად საკურთხეველისა, რამე-
თუ მოიხუნეს წინაშე უფლისა და გან-
წმდეს; და იქმნეს ესე სასწაულად მო-
რის ძეთა ისრაელისათა. [4] და მოიხუნა
ელიაზარ მღდელმან, ძემან აჰრონისმან,
საცეცხურები იგი რვალისა, რაოდენნი-
იგი მოეხუნეს დამწუართა მათ და მოს-
დვეს გარეშესადებელად საკურთხეველ-
სა [5] საკსენებელად ძეთა ისრაელისათა,
რაჲთა არავინ მოუკდეს უცხოთესლი,
რომელი არა იყოს ნათესავისაგან აჰრო-
ნისა შთასხმად საკმეველისა წინაშე
უფლისა, რაჲთა არა იყოს ვითარცა კო-
რე და კრებული მისი, ვითარცა ეტყო-
და უფალი ჴელითა მოსესითა.

[6] და დრტჳნვიდეს ძენი ისრაელის-
ნი ხვალისა დღე მოსესა მიმართ და აჰ-
რონისა და იტყოდეს: თქუენ მოსართ
ყოველივე ესე ერი უფლისაჲ. [7] და იყო,
ვითარცა მოიქცა კრებული იგი მოსესა
და აჰრონის ზედა და მომართეს კარვაჲ
საწამებელისა, და მეყსეულად დაფარა
ღრუბელმან და გამოჩნდა დიდებაჲ უფ-
ლისაჲ. [8] დადგეს მოსე და აჰრონ წი-
ნაშე პირსა კარაესა მას საწამებელისა-
სა. [9] და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰ-
რონს და ჰრქუა: [10] გამოეშორენით შო-
რის კრებულისა ამის და აღვჰოცნე ეგე-
ნი ერთბაშად. და დაცვეს იგინი პირთა
ზედა მათთა. [11] და ჰრქუა მოსე აჰრონს:
მოიღე სასაკმეველე და დაასხ მას ცე-
ცხლი საკურთხეველისაგან და დასდვა
მას ზედა საკმეველი და მოიღე აღრე
ბანაკად და ლხინება ყავ მათთჳს, რა-
მეთუ გარდამოჴდა რისხვა უფლისამი-

G

შინა მათთა და ყვენ იგინი ნაჩურთენე-
ბად ჴედილე[v]ბაჲ, გარემოსაღებელად
საკურთხეველისად, რამეთუ შეწ(v)ი-
რულ იქმნეს წინაშე უფლისა და გან-
წმედილ იქმნეს; და იყვნენ სასწაულად
ძეთა შორის ისრაელისათა. [4] და მოიღო
ელეაზარ, ძემან აარონის მღდელისამან,
სა(149)ცეცხურები რვალისაჲ, რაოდენ-
ნი მოეხუნეს დამწუართა მათ, მოჰხსნა
იგინი გარემოსადებელად საკურთხე-
ველსა [5] მოსაკსენებელად ძეთა ისრა-
ელისათა, რაჲთა არა მოუკდეს არავინ
სხუა ნათესავი, რომელი არა იყოს თეს-
ლისაგან აარონისსა, და დაასხას საკუ-
მეველი წინაშე უფლისა, და არა იყოს
ვითარცა კორე და კრებული იგი მისი,
ვითარცა იტყოდა უფალი ჴელითა მო-
სესითა.

[6] [64] და დრტჳნვიდეს ძენი ისრა-
ელისანი ხვალისაგან მოსეს და აარონის
ზედა, მეტყუელნი: თქუენ მოჰსართ
ერი უფლისაჲ. [7] და იყო ზედა-მოსლ-
ვაჲსა მას შესაკრებელისაჲსა მოსეს და
აარონს ზედა და მიჰმართეს კარავსა მას
წამებისასა, და იგი დაფარა ღრუბელმან
და გამოჩნდა დიდებაჲ უფლისაჲ. [8] და
შევიდეს მოსე და აარონ პირისპირ კარ-
ისა მის საწამებელისა. [9] და იტყოდა
უფალი მოსეს და აარონის მიმართ, მე-
ტყუელი: [10] განეშორენით საშუალისა-
გან შესაკრებელისა ამის და აღვსპნე
იგინი ერთგზის. და დაცვეს პირთა ზე-
და მათთა. [11] და ჰრქუა მოსემან აარონს:
მოიღე საცეცხური და დადევ მას ზედა
ცეცხლი საკურთხეველისაგან და დაასხ
მას ზედა საკუმეველი და განიღე აღრე
ბანაკად და ლხინება ყავ მათთჳს, რა-
მეთუ გამოვიდა რისხვაჲ პი(v)რისაგან

B: [3] მომიხუნეს. [4] დამწუართა]დამწყდართა.

S

ქრისაჲ. 12 (47) და მოიღო აჰრონ სასაკუმეველე, ვითარცა ჰრქუა მას მოსე, და მირბიოდა ბანაკად და ეწყო მოსრვად ერისა. და დაასხა საკუმეველი და ლხინება ყო ერისა მისთჳს. 13 (48) და დადგა შორის მომწყდართა და შორის ცოცხალთა და დასცხრა მოსრვაჲ იგი. 14 (49) და იყუნეს მოსრვასა მას ათორმეტ ათას და შჳდას, თჳნიერ მომწყდართა მათ კორეს თანა. 15 (50) და მოიქცა აჰრონ მოსესა კარად კარვისა მის საწამებელისა და დასცხრა მოსრვაჲ იგი.

16 (XVII, 1) და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 17 (2) ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და მოიღე მათთჳს კუერთხები სახლად-სახლად მამათა მათთა, ყოველთაგან მთავართა მათთა ათორმეტი კუერთხი და კაცად-კაცადისაჲ გამოწერე სახელი კუერთხსა მისსა, 18 (3) და სახელი აჰრონისი გამოწერე კუერთხსა მისსა, რამეთუ არს, კუერთხი ერთი ტომად-ტომადად მამათა მათთა მოსცედ, 19 (4) და დასხი იგი კარავსა საწამებელისასა, ვინაჲ-იგი გამოგეცხადო შენ მუნ. 20 (5) და იყოს, კაცი, რომელი გამოვირჩიო მე, კუერთხი იგი მისი განედლდეს, და მოვსპო დრტჳნვაჲ ძეთა ისრაელისათაჲ ჩემგან, რომელსა დრტჳნვენ თქუენთჳს. 21 (6) და ეტყოდა მოსე ძეთა ისრაელისათა და მოსცეს მას ყოველთა მათ მთავართა მათთა კუერთხები: კუერთხი მთავრისაჲ ერთი, კუერთხი მთავრად-მთავრად და ხახლად-სახლად მამათა მათთა, მოჰსცეს ათორმეტი კუერთხები, და კუერთხი აჰრონისი შორის კუერთხებსა მათსა. 22 (7) და დასხა მოსე კუერთხები იგი წინაშე უფლისა კარავსა მას შინა საწამებელისაჲსა. 23 (8) და იყო ხვალისაგან და შეეიდეს მოსე და აჰრონ

AK

ყიეს მოსრვად ერისა. 12 და მოიღო აჰრონ სასაკუმეველე, ვითარცა-იგი ჰრქუა მას მოსე, და მირბიოდა ბანაკად და ეწყო მოსრვად ერისა. და დაასხა საკუმეველი და ლხინება ყო ერისა მისთჳს. 13 და დადგა შორის მომწყდართა მათ და შორის ცხოველთა და დასცხრა რისხვაჲ იგი. 14 და იყუნეს მომწყდარნი იგი მოსრვისა მისგან ათოთხმეტ ათას და შჳდას, თჳნიერ მომწყდართა მათ კორესთანათა. 15 და მოიქცა აჰრონ [v] მოსესა კარად კარვისა მის საწამებელისა და დასცხრა მოსრვაჲ იგი.

16 და ეტყოდა ღმერთი მოსეს და ჰრქუა: 17 ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და მოიღე მათთჳს კუერთხები სახლად-სახლად მამათა მათთა, ყოველთაგან მთავართა მათთა ათორმეტი კუერთხი და კაცად-კაცადისა გამოწერე სახელი კუერთხსა მისსა, 18 და სახელი აჰრონისი გამოწერე კუერთხსა მისსა, რამეთუ არს, კუერთხი ერთი ტომად-ტომად მამათა მათთა მოსცედ, 19 და დასხი იგი კარავსა საწამებელისასა, ვინა-იგი გამოგეცხადო შენ. 20 და იყოს, კაცი, რომელი გამოვირჩიო მე, კუერთხი იგი მისი განედლდეს*, და მოუსპო დრტჳნვაჲ ძეთა ისრაელისათა ჩემგან, რომელსა-იგი დრტჳნვენ თქუენთჳს. 21 და ეტყოდა მოსე ძეთა ისრაელისათა და მოსცეს ყოველთა მათ მთავართა კუერთხები: ...მთავრად-მთავრად და სახლად-სახლად მამათა მათთა ათორმეტი კუერთხი, და იყო კუერთხი აჰრონისი შორის კუერთხებსა მათსა. 22 და დასხა მოსე კუერთხები იგი წინაშე უფლისა კარავსა მას შინა საწამებელისასა. 23 და ხვალისაგან შეეიდეს მოსე და აჰრონ

AK: 14 იუნეს A. კორესთა ნათა]კორესთა K. 15 საწამებლისა K. 18 მოსცედ—K. 19 დაასხი K. 20 მოუსპო]მოუპო. AK. 22 დაასხა K.

* A-ში კიდეზე მხედრულით: „აარონის კუერთხი განედლდა“.

B

ერი და უწყიეს მოსრვა ერისა. 12 და მოიღო აჰრონ სასაკმევლე, ვითარცა ჰრქუა მას მოსე, და მირბიოდა ბანაკად, და იწყო უფალმან მოსრვად ერისა მის. და დაასხა საკმეველი და ლხინება ყო ერისა მისთჳს. 13 და დადგა შორის მომწყდართა მათ და შორის ცხოველთა და დასცხრა რისხჳა იგი. 14 და იყუნეს ვრსრვასა მას ათოთხმეტი ათას და შჳდას, თჳნიერ მომწყდართა მათ კორეს ვინა. 15 და მოიქცა მოსესა აჰრონ კარად კარვისა მის საწამებელისა და დასცხრა მოსრვა იგი.

16 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 17 ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და მოიღე მათთჳს კუერთხები სახლად-სახლად მამათა მათთა, ყოველთაგან მთავართა მათთა ათორმეტი კუერთხი. კაცად-კაცადისა გამოწერე სახელი კუერთხსა მისსა, 18 სახელი აჰრონისა დაწერე კუერთხსა ზედა ლევისასა, რამეთუ არს, კუერთხი ერთი ტომად-ტომადისა მამათა მათთა მოსცედ, 19 და დაასხა იგი კარავსა საწამებელისასა, ვართლ საწამოსა, ვინა-იგი გამოგეცხადო შენ მუნ. 20 და იყოს, კაცი, რომელი გამოვირჩიო მე, კუერთხი იგი მისი განუძლდეს, და მოვსპო დრტჳნვა ძეთა ისრაელისათა ჩემგან, რომელსა დრტჳნვენ თქუენთჳს. 21 და ეტყოდა მოსე ძეთა ისრაელისათა და მოსცეს მას ყოველთა მათ მთავართა მათთა კუერთხი: მთავრისა ერთი კუერთხი, მთავრად-მთავრად სახლად-სახლად მამათა მათთა მოსცეს ათორმეტი კუერთხები, და კუერთხი აჰრონისა საშუალ კუერთხთა მათთა. 22 და დადვა კვერთხი იგი მოსე წინაშე უფლისა კარავსა მას საწამებელისასა. 23 და იყო ხვალისაგან და შევიდეს მოსე და აჰრონ კარვად საწამებელისა, და აჰა ესერა კუერთხი იგი აჰრო-

G

უფლისა დაწყებად სრვასა ერისასა. 12 და მოიღო აარონ, ვითარცა ჰრქუა მას მოსე, და ეგერა ეწყო სრვასა ერსა მას შორის. და მოიღო და დაასხა საკუმეველი და ლხინება ყო ერისათჳს. 13 და დადგა საშუალ მომკუდართა მათ და ცოცხალთა და დასცხრა სრვაჲ. 14 და იყვნეს, რომელნი მოსწყდეს სრვასა მას შინა, ოთხ და ათ ათასეულნი და შჳდასნი, თჳნიერ მომკუდართა მათ კორესთჳს. 15 და მიიქცა აარონ მოსეს მიმართ კარად კარვისა საწამებელისად და დასცხრა სრვაჲ.

16 და თქუა უფალმან მოსეს მიმართ, მეტყუელმან: 17 არქუ ძეთა ისრაელისათა და მოიღე მათგან კუერთხი სახლთაებრ ტომობათა მათთაჲსა, ყოველთაგან მთავართა მათთა სახლთაებრ ტომობათა მათთაჲსა ათორმეტნი კუერთხნი და თითოეულისაჲ სახელი მისი დაწერე კუერთხსა ზედა მისსა, 18 და სახელი აარონისი დაწერე კუერთხსა ზედა ლევისსა, რამეთუ არს, კუერთხი ერთი ტომისაებრ სახლისა მამათა მათთაჲსა მოგცენ შენ, 19 და დაჰსხნე იგინი კარავსა შინა წამებისასა წინაშე საწამებელისა, რომელთა შორის განგეცხადები მუნ. 20 და იყოს, კაცი, რომელიცა გამოვირჩიო იგი, კუერთხი მისი ყუაოდის, და მოვსპო შენგან დრტჳნვ(150)აჲ ძეთა ისრაელისათაჲ, რაოდენსა იგინი დრტჳნვენ თქუენ ზედა. 21 და ჰრქუა მოსე ძეთა ისრაელისათა და მოსცეს მას ყოველთა მთავართა მათთა კუერთხი, მთავარმან ერთმან კუერთხი თითოჲ, მთავარმან სახლთაებრ ტომთა მათთაჲსა [v] ათორმეტნი კუერთხნი, და კუერთხი აარონისი საშუალ კუერთხთა მათთა. 22 და დაჰსხნა მოსემან კუერთხნი კარავსა შინა წამებისასა. 23 და იყო ხვალისაგან და შევიდეს მოსე და აარონ

B: 14 მოსურვასა. 17 მათთჳს+ერთი. 19 სწამოსა. 22 ~მოსე იგი. 23 საწამებელსა.

S

კარვად საწამებელისა, და აჰა ესერა კუერთხი იგი აჰრონისი განედლებულ იყო სახლსა ზედა ლევისსა: და მოეღო ფურცელი და გამოეღო ყუავილი და გამოსცა ნიგოზი. [24] (9) და გამოიღო მოსე ყოველი იგი კუერთხები პირისაგან უფლისა წინაშე ყოველთა ძეთა ისრაელისათა. და იხილეს და მოიღო კაცად-კაცადმან კუერთხი თჳსი. [25] (10) და ჰრქუა უფალმან მოსეს: დადევ კუერთხი ეგე აჰრონისი წინაშე საწამებელთა დასამარხველად, სასწაულად ძეთა მაგათთჳს ურჩთაჲსა, და დასცხერინ დრტჳნვაჲ მათი ჩემგან და არა მოწყდენ. [26] (11) და ეგრე ყვეს მოსე და აჰრონ, ვითარცა ამცნო უფალმან მოსეს, ეგრე ყვეს.

[27] (12) და ეტყოდეს ძენი ისრაელისანი მოსეს და ჰრქუეს: აჰა ესერა აღვიჴოცენით და წარვწყმდით, აღვესრულენით. [28] (13) ყოველი, რომელი შეეხების კარავსა ამას საწამებელისა უფლისასა, მოკუდების. ნუუკუე სრულიად მოვწყდეთ?

AK

კარვად საწამებელისა, და აჰა ესერა კუერთხი აჰრონისი [274] განედლებულ იყო სახლსა ზედა ლევისსა: და მოეღო ფურცელი და გამოეღო ყუავილი და გამოსცა ნიგოზი. [24] და გამოიღო მოსე ყოველი იგი კუერთხები პირისაგან უფლისა წინაშე ყოველსა კრებულსა ისრაელისა. და იხილეს და მოიღო კაცად-კაცადმან კუერთხი თჳსი. [25] და ჰრქუა უფალმან მოსეს: დადევ კუერთხი ეგე აჰრონისი წინაშე საწამებელისა დასამარხველად, სასწაულად ძეთა მაგათთჳს ურჩთასა, და დასცხერინ დრტჳნვაჲ მაგათი ჩემგან და არა მოსწყდენ. [26] და ყვეს ეგრე მოსე და აჰრონ, ვითარცა ამცნო მათ უფალმან.

[27] და ეტყოდეს ძენი ისრაელისანი მოსეს და ჰრქუეს: აჰა ესერა აღვიჴოცენით, წარვწყმდით, აღვესრულენით. [28] ყოველი, რომელი შეეხების კარავსა მას საწამებელისა უფლისასა, მოკუდეს. ნუუკუე სრულიად მოვსწყდეთ ჩუენ?

თავი XVIII

და ეტყოდა უფალი და ჰრქუა აჰრონს: შენ და ძენი შენნი და სახლი მამისა შენისაჲ შენ თანა მოიღებდით ცოდვასა წმიდათასა, და შენ და ძენი შენნი მოიღებდით ცოდვასა მღდელობისა თქუენისასა. [2] და ძმანი შენნი, ტოჰმი ლევისი, გუნდი მამისა შენისაჲ, მოიყვანე თავისა შენისა და შეგეძინ-[ნ]ედ შენ, და ძენი შენნი შენ თანა წინაშე კარავსა მას წამებისა[სა], [3] და სცვიდენ საცოსა მას შენსა და საცოსა მას კარვისა საწამებელისასა, გარნა ჭურჭელსა წმიდასა და საკურთხეველსა არა მოუკდენ, და რაჲთა არა მოწყდენ

[1] და ეტყოდა უფალი აჰრონს და ჰრქუა: შენ და ძენი შენნი და სახლი მამისა შენისა შენ თანა მოიღებდეთ ცოდვასა წმიდათასა, და შენ და ძენი შენნი მოიღებდით ცოდვასა მღდელობისა თქუენისასა. [2] და ძმანი შენნი, ტომი ლევისი, გუნდი მამისა შენისა, მოიყვანე თავისა შენისა და შეგეძინნედ შენ, და ძენი შენნი შენ თანა [ჲ] წინაშე კარავსა მას წამებისასა, [3] და სცვიდენ საცოსა მას შენსა და საცოსა კარვისა მის საწამებელისასა, გარნა ჭურჭელსა წმიდასა და საკურთხეველსა არა მოუკდენ, რაჲთა არა მოწყდენ

S: [23] სასწაულთა.

AK: [23] ლევის-სა K. [24] გამოღო]მოიღო K. [26] აჰრონისი K. [28] აჰრონ K. XVIII, [2] მოიყუანე A. [3] საცოსა 1°, 2° A. და საცოსა—K. საწამებელისასა]საწამებელისა შენისასა K.

B

ნისი განედლებულ იყო სახლსა ზედა ლევისსა: და მოიღო ფურცელი და გამოიღო ყუავილი და გამოსცა ნაყოფად ნიგოზი. [24] და გამოიღო მოსე ყოველი იგი კუერთხები პირისაგან უფლისა წინაშე ყოველთა ძეთა ისრაელისათა. და იხილეს და მოიღო კაცად-კაცადმან კუერთხი თჳსი. [25] და ჰრქუა უფალმან მოსეს: დასდევ კუერთხი ეგე აჰრონისი წინაშე საწამებელთა დასამარხავად, სასწაულად ძეთა მაგათთჳს ურჩთასა, და დასცხერინ დრტჳნვა მათი ჩემთჳს და არა მოსწყდენ. [26] და ყვეს ეგრე მოსე და აჰრონ, ეითარცა ამცნო უფალმან მოსეს, ეითარცა ეტყოდა უფალი.

[27] და ეტყოდეს ძენი ისრაელისანი მოსეს და ჰრქუეს: აჰა ესერა აღვიკოცენით და წარვწყმდით და აღვესრულენით, [28] ყოველი, რომელი შეეხების კარავსა ამას საწამებელისა უფლისასა, მოკუდების. ნუუკუე სრულიად მოვსწყდეთ?

G

(v) კარავსა წამებისასა, და აჰა ყუაოდა კუერთხი აარონისი სახლად ლევისა: და გამოიღო მორჩი და გამოაყუავილა ყუავილი და გამოიღო ნიგოზი. [24] და გამოიხუნა მოსემან ყოველნი კუერთხნი პირისაგან უფლისა ყოველთა მიმართ ძეთა ისრაელისათა. და იხილეს და მისცა თითოეულსა კუერთხი მისი. [25] და თქუა უფალმან მოსეს მიმართ: დადევ კუერთხი აარონისი წინაშე საწამებელთაჲსა დასამარხველად, სასწაულად ძეთა ურჩებისათჳს. და დასცხერან დრტჳნვაჲ მათი ჩემგან და არა მოკუდენ. [26] და ყვეს მოსე და აარონ, რაოდენი უბრძანა უფალმან მოსეს, ეგრეთ ყვეს.

[27] და თქუეს ძეთა ისრაელისათა მოსეს მიმართ, მეტყუელთა: (151) აჰა აღვიკოცენით, წარვწყმდით, აღვესრულენით. [28] ყოველი შეხებული კარვისა უფლისაჲ მოკუდების. ვიდრე სრულიად მოვსწყდეთ?

თავი XVIII

[1] და ეტყოდა უფალი აჰრონს და ჰრქუა: შენ და ძენი შენნი და სახლი მამისა შენისა შენ თანა მოიღებდეთ ცოდვასა წმიდათასა, და შენ და ძენი შენნი მოიღებდეთ ცოდვასა მღდელობისა თქუენისასა. [2] და ძმანი შენნი, ტომი ლევისი, გუნდი მამისა შენისა, მოიყვანე თავისა შენისა და შეგეძინ-[ნ]ედ შენ და გმსახურებდენ შენ, ძენი შენნი შენ თანა წინაშე კარავსა მას წამებისასა, [3] და სცევიდენ საცოსა მას შენსა და საცოსა მას კარვისა საწამებელისასა, გარნა ჭურჭელსა წმიდასა და საკურთხეველსა არა მოუკდენ, რაჲთა

[1] და თქუა უფალმან აარონის მიმართ, მეტყუელმან: შენ და ძეთა შენთა და სახლმან მამისა შენისამან შენ თანა მიიხუნეთ ცოდვანი წმიდათანი, და [65] შენ და ძეთა შენთა მიიხუნენით ცოდვანი მღდელობისა თქუენისანი. [2] და ძმანი შენნი, ტომი ლევისი, ერი მამისა შენისაჲ (v) მოიყვანენ შენ და მომართ და შეგეძინნენ შენ და გმსახურებდენ შენ და ძეთა შენთა შენ თანა წინაშე კარვისა საწამებელისა, [3] და კუმილვიდენ საკუმლავთა შენთა, გარნა ჭურჭელთა წმიდათა და საკურთხეელსა არა მოუკდენ და არა მოკუდენ

B: [26] აჰრონ-ს. დასცხერი. [27] წარვსწყმდით. XVIII, [1] ცოდვასა]დასაწყისი ცოდვასათჳს. ცოდვასა 2°]წმიდათასა. [3] კარვისასა. ჭურჭელისა წმიდისა.

G: XVIII, [1] მიიხუნით Ga. [2] შენ 2°+შენ და Gb.

S

ესენი და თჳუენ. 4 და შემოგეძინ[ნ]ენ შენ და სცვიდენ საცოსა მას კარვისა საწამებელისასა ყოველისა მისებრ მსახურებისა მის კარვისაჲსა, და სხუაჲ ნათესავი არა მოვიდეს შენდა. 5 და სცევდით საცოსა მას წმიდასა და საცოსა მას საკურთხეველისასა და არღარა იყოს რისხვაჲ ძეთა ზედა ისრაელისათა. 6 და მე მოვიყუანენ ძმანი შენნი ლევიტელნი შორის ძეთაგან ისრაელისათა, მოცემით მოცემულ არიან უფალსა მსახურებად მსახურებასა მას კარვისა საწამებელისასა. 7 შენ და ძეთა შენთა შენ თანა დაიმარხეთ მღდელობაჲ თჳუენი ყოველისაებრ წესისა საკურთხეველისა და შინაგან კრეტსაბმელისა და ჰმსახურებდით მსახურებასა. მოცემულსა მღდელობისა თჳუენისასა. და უცხოთესლი იგი, რომელი შეეხოს მას, მოკუდეს.

8 და ეტყოდა უფალი აჰრონს: და აჰა ეგერა მიგეც თჳუენ საცავი იგი პირველ ნაყოფთა ჩემთაჲ, ყოველთაგან განწმედილთა ჩემდამო ძეთაგან ისრაელისათა შენ მიგეც იგი სიბერედ და ძეთა შენთა შემდგომად შენსა შჯულად საუკუნოდ. 9 და ესე იყოს თჳუენდა განწმედილთაგან წმიდათა ნაყოფთაგან, ყოველთაგან შესაწირავთა მათთა და ყოველთაგან მსხუერპლთა მათთა და ყოვლისაგან ბრალისა მათისა და ყოვლისაგან ცოდვისა მათისა, რაოდენი მომცენ მე ყოველთაგანი სიწმიდეთაჲ, შენდა იყოს და ძეთა შენთა. 10 წმიდათა შინა წმიდათასა ჰჭამღეთ მას; ყოველმან წულმან ჰამოს იგი, შენ და ძეთა შენთა; წმიდა იყოს ესე შენდა. 11 და ესე იყოს თჳუენდა ნაყოფად მიცემულთა მათთა: ყოველთაგან დასადებელთა ძეთა ისრაელისათა შენ მიგეც იგი და

AK

ესენი და თჳუენ. 4 და შემოგეძინნენ შენ და სცვიდენ საცოსა მას კარვისა საწამებელისასა ყოველისა მისებრ მსახურებისა კარვისასა, და სხუა ნათესავი არა მოვიდეს შენდა. 5 და სცევდით საცოსა მას წმიდათასა და საცოსა მას საკურთხეველისასა და არღარა იყოს რისხვაჲ ძეთა ზედა ისრაელისათა. 6 და მე მოვიყუანენ ძმანი შენნი ლევიტელნი შორის ძეთა ისრაელისათა, მოცემით მოცემულ არიან უფლისა მსახურებად მსახურებასა კარვისა საწამებელისასა. 7 შენ და ძეთა შენთა შენ თანა დაიმარხეთ მღდელობაჲ თჳუენი ყოვლისაებრ წესისა საკურთხეველისა და შინაგან კრეთსაბმელისა და ჰმსახურებდეთ მსახურებასა, მოცემულსა მღდელობისა თჳუენისასა, და უცხოთესლი იგი, რომელი შეეხოს, მოკუდეს.

8 და ეტყოდა უფალი აჰრონს და ჰრქუა: აჰა ეგერა მიგეც თჳუენ დასაცავი პირველთა ნაყოფთა ჩემთა ყოველთაგან განწმედილთა ჩემდამო ძეთაგან ისრაელისათა, შენ მიგეც იგი სიბერედ და ძეთა [275] შენთა შემდგომად შენსა შჯულად საუკუნოდ. 9 და ესე იყოს თჳუენდა განწმედილთაგან წმიდათა ნაყოფთაგან, ყოველთა შესაწირავთა მათთა და ყოველთაგან მსხუერპლთა მათთა და ყოვლისაგან ცოდვისა მათისა, რაჲდენი მომცენ მე ყოველთაგან სიწმიდეთა, შენდა იყოს და ძეთა შენთა. 10 წმიდათა შინა წმიდათასა შჭამდეთ მას; ყოველმან წულმან ჰამოს იგი, შენ და ძეთა შენთა; წმიდა იყოს ესე შენდა. 11 და ესე იყოს თჳუენდა ნაყოფად მიცემულთა მათთა: ყოველთაგან დასადებელთა ძეთა შენთა

S: 7 მოცემულისა.

AK: 4 და შემოგეძინნენ შენ—K. სცვიდეთ K. საცოსა A. 5 საცოსა 1°, 2° A. 6 მოვიყუანენ K. მსახურებასა—K. 7 შენ თანა—K. მსახურებდეთ K. მოცემულისა AK. 8 სიბერედმდე K. მე-9 მეხლ]—K. 10 წმიდათა... შჭამდეთ მას—K.

B

არა მოსწყდენ ესენი და თქუენ. [4] და შემოგეძინნენ შენ, სცევიდენ საცოსა მას კარვისა საწამებელისასა, ყოველისა მისებრ მსახურებისა კარვისასა, და სხუა ნათესაჲი არა მოვიდეს შენდა. [5] სცევდით მას წმიდასა საცოსა მას საკურთხეველისასა და არღარა იყოს რისხუაჲ ძეთა ზედა ისრაელისათა. [6] და მე მოვიყუანნე ძმანი შენნი ლევიტელნი შორის ძეთაგან ისრაელისათა, მოცემით მოცემულ არიან უფლისა მსახურებად მსახურებასა მას კარავსა საწამებელისასა. [7] შენ და ძეთა შენთა თანა დაიმარხეთ მღდელობაჲ თქუენი ყოველისაებრ წესისა საკურთხეველისა და შინაგან კრეტსაბმელისა და მსახურებდით მსახურებასა, მოცემულსა მღდელობისა თქუენისასა, და უცხო ნათესაჲი, რომელი შეეხოს, მოკუდეს.

[8] და ეტყოდა უფალი აჰრონს: აჰა ეგერა მიგეც თქუენ საცავი იგი პირველი ნაყოფთა ჩემთა, ყოველთაგან განწმედილთა ჩემდამო ძეთაგან ისრაელისათა შენ მიგცე იგი სიბერედ და ძეთა შენთა შემდგომად შენსა შჯულად საუკუნოდ. [9] და იყოს თქუენდა განწმედილთაგან წმიდათა ნაყოფთა, ყოველთაგან შესაწირავთა მათთა და ყოველისაგან შესაწირავისა მათისა და ყოველისა გარდასლვისა მათისა და ყოველისაგან ცოდვისა მათისა, რაოდენი მომცენ მე ყოველთაგანი სიწმიდეთა, შენდა იყოს და ძეთა შენთა. [10] წმიდასა შინა წმიდათასა ჰჭამდეთ მას ყოველნი; ყოველმან წულმან ჭამოს იგი, შენ და ძეთა შენთა, წმიდა იყოს ესე შენდა. [11] ესე იყოს ნაყოფ თქუენდა მოცემულთა მათთა: ყოველთაგან დასადებელთა ძეთა ისრაელისათა შენ მიგ-

G

იგინიცა და თქუენ. [4] და შეგეძინნენ შენ და კუმილვიდენ კუმილვათა კარვისა წამებისათა და ყოველთა მსახურებათა კარვისათა, და სხუა ნათესაჲი არა შემოვიდეს შენდამო. [5] და კუმილვიდენ კუმილვათა წმიდათასა და კუმილვათა საკურთხეველისათა და არღა იყოს მერმე გულისწყრომაჲ ძეთა შორის ისრაელისათა. [6] და მე მივიხუენ ძმანი თქუენნი ლევიტელნი შორისისაგან ძეთა ისრაელისათაჲსა მოსაცემელად მოცემულად უფლისად მსახურებად მსახურებათა კარვისა საწამებელისათა. [7] და (152) შენ და ძეთა შენთა შენ თანა დაიცევით მღდელობაჲ თქუენი ყოველისაებრ გუარისა საკურთხეველისაჲსა და შინაგან კრეტსაბმელისა და ჰმსახურებდით მსახურებათა, მისაცემელთა მღდელობისა თქუენისათა, და უცხო ნათესაჲი, რომელი მოუკდეს, მოკუდეს.

[8] და იტყოდა უფალი მოსეს და აარონის მიმართ: და აჰა მე მიგეც თქუენ დამარხვაჲ ყოველთა დასაბამთა ჩემთაჲ, ყოველთაგან წმიდაქმნულთა ჩემდად ძეთაგან ისრაელისათა შენ მიგცენ იგინი პატივად და ძეთა შენთა შენ თანა შჯულად საუკუნოდ. [9] და ესე იყავნ თქუენდა ყოველთაგან განწმედილთა წმიდათა ნაყოფებთა, ყოველთაგან ძღუენთა მათთა და ყოველთაგან სამსხუერპლოთა მათთა და ყოველისაგან ნაბრალებისა მათისა და ყოველთაგან ნაცოდავთა მათთა, რაოდენთა მომცემენ მე ყოველთაგან წმიდათა, შენდა იყუნ(v)ენ და ძეთა შენთა. [10] წმიდასა შინა წმიდათასა შეჰამენით იგი ყოველმან წულმან, შეჰამენით იგი შენ და ძეთა შენთა, წმიდა [v] იყუნენ შენდა. [11] და ესე იყუნენ თქუენდა დასაბამთაგან მოსაცემელთა თქუენთა: ყოველთაგან ზედანადებთა ძეთა ისრა-

B: [4] შემოგეკრნენ. [8] მსახურებასა]მსახურება.
G: [11] ზედანადებთა Ga.

S

ძეთა შენთა და ასულთა შენთა შემდგომად შენსა მჯულად საუკუნოდ. ყოველი წმიდაჲ სახლსა შინა შენსა ჰამდეს მას. 12 და ყოველივე შესაწირავი ზეთისაჲ და ყოველი შესაწირავი ღუნისაჲ და შესაწირავი იფქლისაჲ, რაოდენიცა მოჰსცენ უფალსა, შენ მიგეც იგი. 13 პირველი ნაყოფი ყოველი, რაოდენიცა იყოს ქუეყანასა მათსა, რაოდენი მოართუან უფალსა, შენდა იყოს; ყოველი წმიდაჲ სახლსა შინა შენსა ჰამდეს მას. 14 ყოველივე შეწირული ძეთა ისრაელისათაჲ შენდა იყოს. 15 და ყოველმან, რომელმან გააღოს საშოჲ ყოველისაგან ჴორციელისა, რომელი მოართუან უფალსა კაცითგან ვიდრე პირუტყუადმდე, შენდა იყოს, არამედ ჴსნით იჴსნე ყოველი პირმშოჲ კაცთაჲ და ყოველი პირმშოჲ პირუტყუთა არაწმიდათაჲ იჴსნე; 16 დაჴსნაჲ მისი: თთჳთგანი და სასყიდელი მისი ხუთი სიკლაჲ სიკლითა მით წმიდითა, ოცი დანგი არს. 17 გარნა პირმშოჲ ზროხათაჲ და პირმშოჲ ცხოვართაჲ და თხათაჲ არა იჴსნე, რამეთუ წმიდა არიან, და სისხლი მათი მოაპკურო გარემო საკურთხეველსა სულად სულნელად უფლისა. 18 და ჴორცი იგი იყოს შენდა და მკერდი ივი დასადებელი და მჴარი მარჯუენე შენდა იყოს. 19 ყოველი შესაწირავი წმიდათაგანი, რაოდენი შეწირონ ძეთა ისრაელისათა უფლისა, შენ მიგეც იგი, ძეთა შენთა და ასულთა შენთა შენ თანა მჯულად საუკუნოდ, აღნათქუემად მარილისა საუკუნისა არს წინაშე უფლისა, შენდა იყოს და ნათესაჲსა შენისა შემდგომად შენსა.

20 და ეტყოდა უფალი აჰრონს: ქუეყანაჲ მათი არა დაიმკჳდრო და ნაწილი

AK

მიგეც იგი და ძეთა შენთა და ასულთა შენთა შემდგომად შენსა მჯულად საუკუნოდ. ყოველი წმიდაჲ სახლსა შენსა შინა ჰამდეს მას. 12 და ყოველივე შესაწირავი ზეთისაჲ და ყოველი შესაწირავი ღუნისა და შესაწირავი იფქლისა, რაოდენი მოსცენ უფალსა, შენ მიგეც იგი. 13 პირველი ნაყოფი ყოველი, რაოდენიცა იყოს ქუეყანასა მათსა, რაოდენი მოართუან უფალსა, შენდა იყოს; ყოველი წმიდაჲ სახლსა შენსა ჰამდეს მას. 14 ყოველივე შეწირული ძეთა ისრაელისათა შენდა იყოს. 15 და ყოველმან, რომელმან განაღოს საშოჲ ყოვლისაგან ჴორციელისა, რომელი მოართუან უფალსა კაცითგან მიპირუტყუადმდე, შენდა იყოს, არამედ ჴსნით იჴსნე ყოველი პირმშოჲ კაცთა და ყოველი პირმშოჲ პირუტყუთა არაწმიდათა იჴსნე; 16 დაჴსნაჲ მისი: თთჳთგანი და სასყიდელი [v] მისი ხუთი სიკლა სიკლითა მით წმიდითა, ოცი დანგი არს. 17 გარნა პირმშოჲ ზროხათაჲ და პირმშო ცხოვართა და თხათა არა იჴსნე, რამეთუ წმიდა არიან, და სისხლი მათი მოაპკურო გარემო საკურთხეველსა სულად სულნელად უფლისა. 18 და ჴორცი იგი იყოს შენდა და მკერდი იგი დასადებელი და მჴარი მარჯუენე შენდა იყოს. 19 და ყოველი შესაწირავი წმიდათაგანი, რაოდენი შეწირონ ძეთა ისრაელისათა უფლისა, შენ მიგეც იგი და ძეთა შენთა და ასულთა შენთა შენ თანა მჯულად საუკუნოდ, აღნათქუემად მარილისა საუკუნოსა არს წინაშე უფლისა... შემდგომად შენსა.

20 და ეტყოდა უფალი აჰრონს: ქუეყანაჲ მათი არა დაიმკჳდრო და ნაწი-

---

S: 15 ჴორციელისამან.

AK: 11 და ასულთა შენთა—K. სჯულად K. მას—K. 15 ჴორციელისამან A. პირმშო A. პირუტყუთაჲ A. არაწმიდათა]რა წ~თა AK. 16 ოცი დანგი]ოციოთგანი A. 17 პირმშო A. 19 მიგეც]მოგცეს A. 20 ჴ~ნა A.

B

ცე იგი და ძეთა შენთა და ასულთა შენთა შენ თანა შჯულად საუკუნოდ, ყოველი წმიდაჲ სახლსა შინა შენსა ჭამდეს მას. 12 და ყოველივე შესაწირავი ზეთისა და ყოველივე შესაწირავი ღუნისა და შესაწირავი იფქლისა, რაოდენიცა მოსცენ უფალსა, შენ მიგცე იგი. 13 პირველი ნაყოფი ყოველი, რაოდენიცა იყოს ქუეყანასა მათსა, რაოდენი მოართუან უფალსა, შენდა იყოს; ყოველსავე წმიდასა სახლსა შინა შენსა შჭამდენ. 14 ყოველივე შეწირული ძეთა ისრაელისათა შენდა იყოს. 15 და ყოველმან. რომელმან გამოიღოს საშოჲ ყოველისაგან ჴორციელისა, რომელი მოართუან უფალსა კაცითგან ვიდრე პირუტყუამდე, შენდა იყოს, არამედ ჴსნით იჴსნეს ყოველი პირმშო კაცთა და ყოველი პირმშო პირუტყუთაჲ არაწმიდათა იჴსნე. 16 ჴსნა მათი: თჳთგანი(!) ღა სასყიდელი მისი ხუთი სიკილაჲ სიკილითა მით წმიდითა. ოცი დანგი არს. 17 გარნა პირმშო ზროხათა და პირმშო ცხოვართა და თხათა არა იჴსნე. რამეთუ წმიდა არიან, და სისხლი მისი მოაპკურო გარემო საკურთხეველსა და ცმელი იგი შესწირო შესაწირავად სულად სულნელად უფალსა. 18 და ჴორცი იგი იყოს შენდა და მკერდი იგი დასადებელი და ბჭარი მარჯუენე შენდა იყოს. 19 ყოველი შესაწირავი წმიდათაგანი, რაოდენი შეწირონ ძეთა ისრაელისათა უფლისა, შენ მიგეც იგი. ძეთა შენთა და ასულთა შენთა შენ თანა შჯულად საუკუნოდ, აღნათქუამად მარილისა საუკუნოსა არს წინაშე უფლისა, შენდა იყოს, ნათესაჲსა შენისა შემდგომად შენსა.

20 და ეტყოდა უფალი აჰრონს: ქუეყანა მათი არა დაიმკჳდრო და ნაწილი

G

ელისათჳსა შენ მიგცენ იგინი და ძეთა შენთა და ასულთა შენთა შჯულად საუკუნოდ. ყოველი წმიდაჲ სახლსა შინა შენსა ჭამდეს მათ. 12 ყოველი დასაბამი ზეთისაჲ და ყოველი დასაბამი იფქლისა და ღუნისაჲ, დასაბამი მათი, რაოდენთა მისცემენ უფალსა, შენ მიგცენ იგინი. 13 პირველნი ნაშრომთანი ყოველნი, რაოდენნი იყუნენ ქუეყანასა შინა მათსა, რაოდენთა მოართუმენ უფალსა, შენდა იყუნენ; ყოველი წმიდაჲ სახლსა შინა შენსა ჭამდეს მათ. 14 ყოველი შენაჩუენები (153) ძეთა შორის ისრაელისათა შენდა იყოს. 15 და ყოველი განმღებელი ყოვლისა საშოჲსაჲ ყოვლისაგან ჴორცისა, რაოდენთა მოჰგურიან უფალსა კაცითგან მიპირუტყუამდე, შენდა იყოს, არამედ საკსრით იკსნებოდინ პირმშონი კაცთანი და პირმშონი პირუტყუთა არაწმიდათანი გამოიკსნენ. 16 და კსნაჲ მათი: თჳთგან სასყიდელი ხუთი სიკლაჲ სიკლისაებრ წმიდისა, ოცი დანგი არს. 17 გარნა (v) პირმშონი ზროხათანი და პირმშონი ცხოვართანი და პირმშონი თხათანი არა იკსნნენ, წმიდა არიან, და სისხლი მათი დასთხიო საკურთხეველსა თანა და ცმელი შესწირო ნაყოფებად სულად სულნელებისად უფალსა. 18 და ჴორცნი იყვნენ შენდა, ვითარ-იგი მკერდი ზედადასადებლისაჲ და მსგავსად მკრისა მარჯუენისა იყვნენ შენდა. 19 ყოველი განნაჩინები წმიდათაჲ, რაოდენთა-რათ განუჩინებენ ძენი ისრაელისანი უფალსა, მიგეც შენ და ძეთა შენთა და ასულთა შენთა შენ თანა შჯულად საუკუნოდ, აღთქუმაჲ მარილისა საუკუნოჲსაჲ არს წინაშე უფლისა, შენდა და თესლისა შენისა შემდგომად შენსა.

20 და იტყოდა უფალი აარონის მიმართ: ქუეყანასა მათსა არა დაემკჳდრო

B: 13 მოართუენ. 15 პირშოა. 16 მათი bis. 16თჳთგან[თჳთოთაგანი. 19 მიგეც. მარილისა]მართლისა bis.

S

არა იყოს მათ შორის შენი, რამეთუ ნაწილი შენი და სამკჳდრებელი შენი შორის ძეთა ისრაელისათა; 21 და ძეთა ლევისთა (21) აჰა ეგერა მიევეც ყოველი ათეული ძეთა ისრაელისათაჲ ნაწილად მსახურებისა მათისა წილ, რომელსა იგინი ჰმსახურებდენ კარავსა მას წამებისასა; 22 და არღარა მოუკდენ მსახურებად ძენი ისრაელისანი კარავსა მას წამებისასა მიღებად ცოდვისა მაკუდინებელისა. 23 და ჰმსახურებდეს ლევიტელი იგი მსახურებასა მას კარვისა საწამებელისასა და მათ მოიხუნენ ცოდვანი მათნი. შჯულად საუკუნოდ ნათესავსა მათსა: შორის ძეთა ისრაელისათა არა დაიმკჳდრონ სამკჳდრებელი, 24 რამეთუ ათეული ძეთა ისრაელისათაჲ, რაოდენი-რაჲ განუჩემონ უფალსა, განჩემებული იგი მიევეც ლევიტელთა სამკჳდრებელად. ამისთჳს ვარქუ მათ: შორის ძეთა ისრაელისათა არა დაიმკჳდრონ სამკჳდრებელი.

25 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 26 და ლევიტელთა მათ ეტყოდე და არქუ: უკუეთუ მოიღოთ ძეთაგან ისრაელისათა ათეული, რომელი მიგეც თქუენ მათგან ნაწილად, და აღიღეთ თქუენცა მისგან შესაწირავი უფლისა — ათეული ათეულისაგან, 27 და შეგერაცხოს თქუენ შესაწირავი იგი თქუენი, ვითარცა იფქლი კალოჲსაგან და ვითარცა შესაწირავი საწნეხლისაჲ. 28 ეგრეთ შესწირით თქუენცა შესაწირავთაგან უფლისათა ყოველთაგან ათეულთა თქუენთა, რაოდენი მოიღოთ ძეთაგან ისრაელისათა, და მიეცით მისგანი შესაწირავად უფლისა აჰრონს მღდელსა. 29 ყოველთაგან მოცემულთა თქუენდა შესწირით შესაწირავად უფლისა, ყოველთაგან ნაყოფთა განწმე-

AK

ლი არა იყოს შენი მათ შორის, რამეთუ ნაწილი შენი და სამკჳდრებელი შენი შორის ძეთა ისრაელისათა; 21 და ძეთა ლევისთა აჰა ეგერა მიევეც ყოველი ათეული ძეთა ისრაელისათა[ჲ] ნაწილად მსახურებისა მათისა წილ, რომელსა იგინი ჰმსახურებდენ კარავსა მას წამებისასა; 22 და არღარა მოუკდენ მსახურებად ძენი ისრაელისანი კარავსა მას წამებისასა მიღებად ცოდვისა მაკუდინებელისა. 23 და ჰმსახურებდეს ლევიტელი იგი მსახურებასა მას კარვისა [276] საწამებელისასა და მათ მოიხუნენ ცოდვანი მათნი. შჯულად საუკუნოდ ნათესავსა მათსა: შორის ძეთა ისრაელისათა არა დაიმკჳდრონ სამკჳდრებელი, 24 რამეთუ ათეული ძეთა ისრაელისათა, რაოდენი-რაჲ განუჩემონ უფალსა, მიევეც ლევიტელთა სამკჳდრებელად. ამისთჳს ვარქუ მათ: შორის ძეთა ისრაელისათა არა დაიმკჳდრონ სამკჳდრებელი.

25 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 26 არქუ შენ ლევიტელთა: უკუეთუ მოიღოთ ძეთაგან ისრაელისათა ათეული, რომელი მიგეც თქუენ მათგან ნაწილად, და აღიღით თქუენცა მისგან შესაწირავი უფლისაჲ — ათეული ათეულისაგან, 27 და შეგერაცხოს თქუენ შესაწირავი იგი თქუენი, ვითარცა იფქლი კალოსაგან და ვითარცა შესაწირავი იგი საწნეხელისაჲ. 28 ეგრეთ შესწირით თქუენცა შესაწირავისაგან უფლისა ყოველთაგან ათეულთა თქუენთა, რაოდენი მოიღოთ ძეთაგან ისრაელისათა, და მიეცით მისგანი შესაწირავად უფლისა აჰრონს მღდელსა. 29 ყოველთაგან მოცემულთა თქუენთა... ყოველ-

S: 23 დაიმკჳდროს.

AK: 21 მსხ˘რებენ K. 23 მსხ˘რბდეს K. ლევიტელნი AK. 25 უფალი˘ი A. 26 თქუენ]შენ K. 28 შეწიროთ K. ყოველთა K. თქ˘ნთაჲ A.

B

არ იყოს მათ შორის შენი, რამეთუ ნაწილი შენი მე ვარ და სამკჳდრებელი შენი შორის ძეთა ისრაელისათა; 21 და ძეთა ლევისთა აჰა ესერა მივეც ყოველი ათეული ძეთა ისრაელისათა ნაწილად მსახურებისა მათისა წილ, რომელსა იგინი მსახურებენ კარავსა მას შინა წამებისასა; 22 და არღარა მოუკდენ მსახურებად ძენი ისრაელისანი კარავსა მას წამებისასა მოღებად ცოდვასა მაკუდინებელსა. 23 და მსახურებდეს ლევიტელი იგი მსახურებასა კარვისა საწამებელისასა და მათ მოიხუნეს ცოდვანი მათნი. შჯულად საუკუნოდ ნათესავსა შორის მათსა: შორის ძეთა ისრაელისათა არა დაიმკჳდრონ სამკჳდრებელი მათი, 24 რამეთუ ათეული ძეთა ისრაელისათა, რაოდენი-რაჲ განჩემებული უფლისა, იგი განწილული მივეც ლევიტელთა სამკჳდრებელად. ამისთჳს ვარქუ მათ: შორის ძეთა ისრაელისათა არა დაიმკჳდრონ სამკჳდრებელი.

25 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 26 ლევიტელთა მათ ეტყოდე და არქუ: უკუეთუ მოიღოთ ძეთაგან ისრაელისათა ათეული, რომელი მიგეც თქუენ მათგან ნაწილად, და აღიღეთ თქუენცა მისგან შესაწირავი უფლისაჲ — ათეული ათეულისაგან, 27 და შეგერაცხოს თქუენ შესაწირავი იგი თქუენი, ვითარცა იფქლი კალოსაგან და ვითარცა შესაწირავი საწნახელთაგან. 28 ეგრეთ შესწიროთ იგი თქუენცა შესაწირავთაგან უფლისათა ყოველთაგან ათეულთა თქუენთა, რაოდენი მოიღოთ ძეთაგან ისრაელისათა, და მიეცით მისგანი შესაწირავად უფლისა აჰრონ მღდელსა. 29 ყოველთაგან მიცემულთა თქუენთა შეწირეთ შესაწირავად უფლისა, ყოველთაგან ნაყოფთა განწმენდა ნაწილი არა იყოს შენი მათ შორის, რამეთუ მე ვარ ნაწილ შენდა და სამკჳდრებელ შენდა ძეთა შორის ისრაელ[66]ისათა; 21 და ძეთა ლევისთა ესერა მივეც ყოველი ათეული ისრაელისაჲ ნაწილად ნაცვალად მსახურებათა მათთა, რაო(154)დენთა ჰმსახურებენ იგინი მსახურებათა კარავსა შინა წამებისასა; 22 და არღა შევიდენ მერმე ძენი ისრაელისანი კარვად წამებისად მიღებად ცოდვისა სიკუდიდ შემოსილისა. 23 და ჰმსახურებდეს ლევიტელი თჳთ მსახურებასა კარვისა საწამებელისასა და იგინი მიიხუმიდენ ცოდვათა მათთა. შჯულად საუკუნოდ ნათესავთა შინა მათთა: და შორის ძეთა ისრაელისათა არა დაიმკჳდრონ სამკჳდრებელი, 24 რამეთუ ათეულნი ძეთა ისრაელისათანი, რაოდენთა-რათ განუჩინებენ უფალსა განნაჩინებად, მივსცენ ლევიტელთა ნაწილად. ამისთჳს ვარქუ მათ შორის ძეთა ისრაელისათა არა დამკჳდრებად სამკჳდრებელი.

25 და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: 26 და ლევიტელთა ჰრქუა და იტყ(v)ოდი მათდა მიმართ: რაჟამს მოიღოთ ათეული ძეთაგან ისრაელისათა, რომელი მიგეც თქუენ მათგან ნაწილად, და განუჩინეთ თქუენცა მათგან განნაჩინები უფალსა — ათეული ათეულისაგან, 27 და შეგერაცხნენ თქუენ განნაჩინებნი თქუენნი, ვითარცა იფქ(155)ლი კალოჲსაგან და ვითარცა განნაჩინები [v] საწნეხლისაგან. 28 ესრეთ განუჩინეთ თქუენცა ყოველთაგან განნაჩინებთა უფლისათა ყოველთაგან ათეულთა თქუენთა, რაოდენ-რაჲ მიიხუნეთ ძეთაგან ისრაელისათა, და მიეცით მათგან განნაჩინები უფლისაჲ აარონს მღდელსა. 29 ყოველთაგან მოსაცემელთა თქუენთა განუჩინეთ განნაჩინები უფალსა, ყოველთაგან და-

B: 22 მოღებად]მოიღებდა. 23 დაიმკჳდროს. 26 თქუენ bis. მოიღო.
G: 20 და სამკჳდრებელ შენდა—Ga.

S

დილთა მათგან. 30 და არქუ მათ: რაჟამს შესწირვიდეთ პირველ ნაყოფსა მისგან, და შეერაცხოს ლევიტელთა მათ, ვითარცა ნაყოფი კალოჲსაჲ და საწნეხლისაჲ, 31 და ჰსჭამდეთ მას ყოველსა ადგილსა თქუენ და სახლეულნი თქუენნი, რამეთუ სასყიდელ თქუენდა ესე იყოს მსახურებათა მათ თქუენთა წილ კარავსა მას წამებისასა, 32 და არა მოიღოთ ცოდვაჲ მისთჳს, ოდეს შესწიროდით პირველი ნაყოფისა მისგან; და სიწმიდე იგი ძეთა ისრაელისათაჲ არა შეაგინოთ, რაჲთა არა მოსწყდეთ.

AK

თაგან ნაყოფთა განწმედილთა. 30 [illegible] არქუთ: რაჟამს შესწირვიდეთ პირველ ნაყოფსა, და შეერაცხოს ლევიტელთ მათ, ვითარცა ნაყოფი კალოსა და საწნეხელისა, 31 და შჭამდეთ [v] მას ყოველსა ადგილსა თქუენ და სახლეულნი თქუენნი, რამეთუ სასყიდელ თქუენდა იყოს ესე მსახურებათა მათ თქუენთა წილ კარავსა მას წამებისას 32 და არა მოიღოთ ცოდვაჲ მისთჳს ოდეს შესწიროდით პირველი ნაყოფისგან; და სიწმიდე იგი ძეთა ისრაელისათა არა შეაგინოთ, რაჲთა არა მოსწყდეთ.

თავი XIX

1. და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: 2 ესე არს ბრძანებაჲ შჯულისაჲ, რაოდენი ბრძანა უფალმან და თქუა: ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და მოგგუარედ შენ დიაკეული წითელი უბიწოჲ, რომლისა თანა არა იყოს ბიწი და არა დადებულ მას ზედა უღელი, 3 და მისცენ იგი ელიაზარს მღდელსა, და განიბან იგი გარეშე ბანაკსა, ადგილსა წმიდასა, და დაკლან იგი წინაშე მისა. 4 და მოიღოს ელიაზარ სისხლისაგან მისისა და აპკუროს იგი წინაშე კარვისა მის საწამებელისაჲსა სისხლისა მისისაგან შჳდგზის. 5 და დაწუან იგი მის წინაშე: და ტყავი მისი და ჯორცი მისი და სისხლი იგი მისი ფუშნიერითურთ მისით დაიწუეს. 6 და მოიღოს მღდელმან ძელი ნაძჳსაჲ და ჳსუპი და მატყლი მეწამული და შთადვან იგი შუაჲ დამწუარსა მას დიაკეულისასა, 7 და განირცხეს სამოსელი მღდელმან მან და დაიბანოს გუამი თჳსი წყლითა, და ამისსა შემდგომად შევიდეს იგი ბანაკად, და არაწმიდა იყოს მღდელი იგი მწუხრადე-

1 და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: 2 ესე არს ბრძანებაჲ შჯულისაჲ, რაოდენი ბრძანა უფალმან და თქუა: ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და მოგგუარედ შენ დიაკეული წითელი უბიწოჲ, რომლისა თანა არა იყოს ბიწი და არა დადებულ მას ზედა უღელი, და მისცენ იგი ელიაზარს მღდელსა, განიბან იგი გარეშე ბანაკსა, ადგილსა წმიდასა, და დაკლან იგი წინაშე მისა. 4 და მოიღოს ელიაზარ სისხლი მისისაგან და აპკუროს წინაშე კარვის მის საწამებელისა შჳდგზის. 5 და წუან იგი მის წინაშე: და ტყავი მი და ჯორცი და სისხლი იგი მისი ფუნიერითურთ მისით დაიწუეს. 6 და მიღოს მღდელმან ძელი ნაძჳსა და უსპი და მატყლი მეწამული და შთადიგი შუა დამწუარსა მას დიაკეულისა 7 და განირცხეს სამოსელი თ მღდელმან მან და დაიბანოს გუ თჳსი წყლითა, ამისა შემდგომად შევ დეს იგი ბანაკად, და არაწმიდა იყ

S: XIX, 3]იგი 1°]ოგონი.

AK: 32 ცოდვა A. შეწიროთ K. XIX, 2 თქუა]ჰრქუა K. 3 გარეშე—K. 6 ~წინაშე მისსა K 7 თჳსი 1°]მისი K.

B

დილთა მათგან. [30] და არქუ მათ: რაჟამს შესწირვიდეთ პირველ ნაყოფისა მისგან, შეერაცხოს ლევიტელთა მათ, ვითარცა ნაყოფი კალოსა და ვითარცა შესაწირავი საწნახელისა. [31] და შჳამდეთ მას ყოველსა ადგილსა თქუენ და ძენი თქუენნი და სახლნი თქუენნი, რამეთუ სასყიდელი თქუენდა ესე იყოს მსახურებათა მათ თქუენთა წილ კარავსა მას წამებისასა, [32] და არა მოიღოთ ცოდვა მისთჳს, ოდეს შესწირვიდეთ პირველისა ნაყოფისა მისგან; და სიწმიდე იგი ძეთა ისრაელისათა არა შეაგინოთ, რაჲთა არა მოსწყდეთ.

G

საბამთა განწმედილთა მის მიერ. [30] და თქუთ მათდა მიმართ: რაჟამს განიჩინებდეთ დასაბამსა მისგან, და შეერაცხოს ლევიტელთა, ვითარცა ნაშრომი კალოჲსაგან და ვითარცა ნაშრომი საწნეხლისაგან. [31] და შჳამდეთ მას ყოველსა ადგილსა თქუენ და ძენი თქუენნი და სახლნი თქუენნი, რამეთუ სასყიდელ თქუენდა არს ესე მსახურებათა წილ თქუენთა კარავსა შინა წამებისასა, [32] და არა მიიღოთ მისთჳს ცოდვაჲ, გან-თუ-იჩინოთ დასაბამი მისგან, და წმიდანი ძეთა ისრაელისათანი არა შეაგინნეთ, რაჲთა არა მოჰკუდეთ.

თავი XIX

[1] და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: [2] ესე არს ბრძანებაჲ შჯულისა, რაოდენი ბრძანა უფალმან და თქუა: ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და მოგართუეד შენ დიაკეული წითელი უბიწოჲ, რომლისა თანა არა იყო ბიწი და არა დადებულ მას ზედა უღელი, [3] და მისცენ იგი ელიაზარ მღდელსა და განიბან იგი გარეშე ბანაკსა, ადგილსა წმიდასა, და დაკლან იგი წინაშე მისა, [4] და მოიღოს ელიაზარ სისხლისა მისგან მისისა და აპკუროს იგი წინაშე კართა კარვისა მის საწამებელისათა სისხლისაგან მისისა შჯდგზის. [5] და დაწვან იგი მის წინაშე: და ტყავი მისი და ჴორცი მისი და სისხლი მისი ფაშუნიერითურთ მისით დაიწუეს. [6] და მოიღოს მღდელმან მან ძელი ნაძჳსაჲ და უსუპი და მატყლი მეწამული, შთადვან იგი შუა დამწუარსა მას დიაკეულისასა, [7] და განირცხას სამოსელი მღდელმან მან და დაიბანოს გუამი თჳსი წყლითა და ამისა შემდგომად შეიდეს იგი ბანაკად და არაწმიდა იყოს

[1] და იტყოდა უფალი მოსეს და აარონის მიმართ, მეტყუელი: [2] ესე არს განრჩევაჲ შჯულისაჲ, რავდენი განაწესა უფალმან, მეტყუელმან: არქუ ძეთა ის(v)რაელისათა და მოიბან შენდა დიაკეული წითელი და უბიწოჲ, რომელსა არა აქუნდეს მის შორის ბიწი და რომლისა ზედა არა დადებულ არს მის ზედა უღ[67]ელი, [3] და მისცე იგი ელეაზარს მღდელსა და განიბან იგი გარეშე ბანაკისა, ადგილსა წმიდასა, და დაკლან იგი წინაშე მათ(156)სა, [4] და მოიღოს ელეაზარ სისხლისაგან მისისა და აპკუროს წინაშე პირსა კარვისა საწამებელისასა სისხლისაგან მისისა შჯდგზის. [5] და დაწუან იგი წინაშე მისსა: და ტყავი მისი და ჴორცნი და სისხლი მისი სკორესა მისსა თანა დაიწუას. [6] და მოიღოს მღდელმან ხე ნაძჳსაჲ(v) და უსუპი და ძოწეული და შთასხნეს საშუალ ნამწუარსა დიაკეულისასა, [7] და განირცხას შესამოსელი თჳსი მღდელმან და დაიბანოს ტანი მისი წყლითა და ამის შემდგომად შევიდეს ბანაკად და არაწმიდა იყოს მღდე-

B: [31] თქეენნი]თქვენი.

S

მდე. 8 და რომელმან დაწუას იგი, განირცხეს სამოსელი მისი და განიბანოს გუამი მისი წყლითა და არაწმიდა იყოს იგი მწუხრადმდე. 9 და შეკრიბოს კაცმან წმიდამან ნაცარი იგი დიაკეულისაჲ მის და დაასხას იგი გარეშე ბანაკსა, ადგილსა წმიდასა, და იყოს კრებულისა მის ძეთა ისრაელისათა დასამარხავად, წყალი პკურებისაჲ განწმედა არს. 10 და განიბანოს გუამი თჳსი, რომელმან შეკრიბოს ნაცარი იგი დიაკეულისაჲ მის და განირცხეს სამოსელი თჳსი და არაწმიდა იყოს იგი ვიდრე მწუხრადმდე. და იყოს იგი კრებულისათჳს ძეთა ისრაელისათა და მწირისა მისთჳს, რომელი მოსრულ იყოს მათ შორის, შჯულად საუკუნოდ.

11 და რომელი შეეხოს მკუდარსა ყოვლისა სულისასა, ანუ კაცისასა, არაწმიდა იყოს იგი შჳდ დღე. 12 ესე განწმიდნეს დღესა მესამესა და დღესა მეშჳდესა და წმიდა იყოს; უკუეთუ არა განწმიდნეს დღესა მესამესა და დღესა მეშჳდესა, არა იყოს წმიდა. 13 ყოველი, რომელი შეეხოს მკუდარსა სულითგან კაცისაჲთ, უკუეთუ მო-ვინმე-კუდეს და არა განწმიდნეს, კარავი უფლისა შეაგინა; შეიმუსროს სული იგი ისრაელისაგან, რამეთუ წყალი იგი პკურებისაჲ არა ეპკურა მას; არაწმიდა იყოს, რამეთუ არაწმიდებაჲ მისი მის ზედა იყოს.

14 და ესე შჯული არს: უკუეთუ მოკუდეს კაცი სახლსა შინა, ყოველი, რომელი შევიდეს სახლსა მას და ყოველი, რომელიცა-რაჲ იყოს სახლსა მას შინა, არაწმიდა იყოს შჳდ დღე, 15 და ყოველი ჭურჭელი ურჩუელი, რომელსა არა იყოს საკრველი დაკრულ მას ზედა, არა-

AK

მღდელი იგი მწუხრადმდე. 8 [277] და რომელმან დაწუას იგი, განირცხეს იგი(!) სამოსელი მისი და განიბანოს გუამი თჳსი წყლითა და არაწმიდა იყოს იგი ვიდრე მწუხრადმდე. 9 და შეკრიბოს კაცმან წმიდამან ნაცარი იგი დიაკეულისა მის და დაასხას იგი გარეშე ბანაკსა, ადგილსა წმიდასა, და იყოს ესე კრებულისა მის ძეთა ისრაელისათა დასამარხავად, წყალი პკურებისა[ჲ] განწმედისა არს. 10 და განიბანოს გუამი თჳსი, რომელმან შეკრიბოს ნაცარი იგი დიაკეულისა მის, განირცხეს სამოსელი თჳსი და არაწმიდა იყოს იგი ვიდრე მწუხრადმდე. და იყოს იგი კრებულისათჳს ძეთა ისრაელისათა და მწირისა მისთჳს, რომელი მოსრულ იყოს მათ შორის, შჯულად საუკუნოდ.

11 და რომელი შეეხოს მკუდარსა ყოვლისა სულისასა, ანუ კაცისასა, არაწმიდა იყოს იგი შჳდ დღე. 12 ესე განწმიდნეს დღესა მესამესა და დღესა მეშჳდესა და წმიდა იყოს; უკუეთუ არა განწმიდნეს დღესა მესამესა და დღესა მეშჳდესა, არაწმიდა იყოს. 13 და ყოველი, რომელი შეეხოს მკუდარსა სულითგან კაცისათ, უკუეთუ მო-ვინმე-კუდეს და არა განწმიდნეს, კარავი უფლისაჲ შეაგინა; შეიმუსროს სული იგი ისრაელისაგან, რამეთუ წყალი იგი პკურებისა არა ეპკურა მას; არაწმიდა იყოს, რამეთუ არაწმიდებაჲ მისი მის ზედა იყოს.

14 და ესე შჯული არს: უკუეთუ მოკუდეს კაცი სახლსა შინა, [v] ყოველი, რომელი შევიდეს სახლსა მას და ყოველივე, რაჲცა იყოს სახლსა მას შინა, არაწმიდა იყოს შჳდ დღე, 15 და ყოველი ჭურჭელი ურჩუელი, რომელსა არა იყოს საკრველი დაკრულსა მას ზედა,

---

S: 8 განიბანონ. 10 მწირთა მათთჳს.

AK: 8 დეაკეულისა K. დასხას A. განწმედის A. 12 მეშჳდესა 2°+დ K. 13 კაცისათა K. მის —K. 14 საკრველი]სკ˘გლი K.

B

მღდელი იგი მწუხრამდე. [8] და რომელმან დაწვას იგი, განირცხეს სამოსელი მისი და განიბანოს გუამი მისი წყლითა და არაწმიდა იყოს მწუხრამდე. [9] და შეკრიბოს კაცმან წმიდამან ნაცარი იგი დიაკეულისაჲ მის და დაასხას იგი გარე ბანაკსა, ადგილსა წმიდასა, და იყოს ესე კრებულისა მის ძეთა ისრაელისათა დასამარხავად. წყალი პკურებისა განწმედა არს. [10] რომელმან შეკრიბოს ნაცარი იგი დიაკეულისა მის, განირცხეს სამოსელი თჳსი და არაწმიდა იყოს იგი ვიდრე მწუხრამდე. და იყოს იგი ძეთა ისრაელისათა და მწირთა მათთჳს, რომელნი მოსრულ იყუნენ მათ შორის, შჯულად საუკუნოდ.

[11] და რომელი შეეხოს მკუდარსა ყოველი სული კაცისა, არაწმიდა იყოს შჳდ დღე. [12] ესე განწმიდნეს დღესა მესამესა და დღესა მეშჳდესა და წმიდა იყოს იგი; უკუეთუ არა განწმდეს დღესა მესამესა და დღესა მეშჳდესა, არაწმიდა იყოს. [13] ყოველი რომელი შეეხოს მკუდარსა ყოველი სულთაგან კაცთასა, უკეთუ მო-ვინმე-კუდეს და არა განწმიდნეს, კარავი უფლისაჲ შეაგინა; შეიმუსროს სული იგი ისრაელისაგან, რამეთუ წყალი იგი პკურებისა არა ეპკურა მას; არაწმიდა არს, რამეთუ არაწმიდებაჲ მისი მის ზედა არს.

[14] და ესე შჯული არს: უკუეთუ მოკუდეს კაცი სახლსა შინა, ყოველი, რომელი შევიდეს სახლსა მას შინა და ყოველი, რომელი იყოს სახლსა მას შინა, არაწმიდა იყოს შჳდ დღე, [15] ყოველი ჭურჭელი ურჩმელ, რომელ არა იყოს საკრველი დაკრულ მას ზედა,

G

ლი ვიდრე მწ(157)უხრადმდე. [8] და დამწუველმან მისმან განირცხას სამოსელი თჳსი და დაიბანოს ტანი მისი წყლითა და არაწმიდა იყოს ვიდრე მწუხრამდე. [9] და შეკრიბოს კაცმან წმიდამან ნაცარი დიაკეულისაჲ და დაჰმ[v]არხოს გარეშე ბანაკისა, (v) ადგილსა წმიდასა, და იყოს შესაკრებელისათჳს ძეთა ისრაელისათაჲსა დამარხულ წყლად უბიწო-ქმნისად, რამეთუ უბიწო-ქმნაჲ არს. [10] და შემკრებელმან ნაცარსა დიაკეულისასა (158v)* განირცხას სამოსელი მისი და არაწმიდა იყოს მწუხრადმდე. და იყოს ძეთა ისრაელისათა და მწირთა, მოსრულთა თქუენდა მომართ, (159) შჯულად საუკუნოდ.

[11] რომელი შეეხოს მკუდარსა, ყოველსა სულსა კაცისასა, არაწმიდა იყოს შჳდ დღე. [12] ესე განწმდეს დღესა მესამესა და დღესა მეშჳდესა და წმიდა იყოს; ხოლო უკუეთუ არა უბიწო იქმნეს დღესა მესამესა და დღესა მეშჳდესა, არაწმიდა იყოს. [13] [68] ყოველი შეხებული მკუდრისაჲ ყოელისაგან სულისა კაცისა, უკუეთუ მოკუდეს და არა უბიწო იქმნას, კარავი უფლისაჲ შეაგინა; მოისპოს სული იგი ისრაელისაგან, რამეთუ წყალი პკურებისაჲ არა ეპკურა მის ზედა; არაწმიდა არს მერმე, რამეთუ არაწმიდებაჲ მისი მის ზედა არს.

[14] და ესე არს შჯული: კაცი თუ მო[v]კუდეს სახლსა შინა, ყოველი შესრული მას სახლსა და რაოდენნი-რაჲ იყვნენ სახლსა შინა, არაწმიდა იყვნენ შჳდ დღე, [15] და ყოველი ჭურჭელი, ზედებული, რაოდენი არა დაკრულ იყოს საკრველითა მას ზედა, არაწმიდა არს,

B: [10] იყოს 2°]იყო. [14] შჳდ დღე]შუადღე.
G: [9] იყო Ga.
* 158 r-ზე კომენური ტექსტი არ არის.

S

წმიდა იყოს, 16 და ყოველი, რომელი შეეხოს პირსა ყრმისა წყლულისასა, გინა მკუდრისა ძუალსა კაცისასა, გინა საფლავსა, არაწმიდა იყოს იგი შუდ დღე. 17 და მოართუან არაწმიდასა მას ნაცრისა მისგან დამწურისა მისგან განსაწმედელისა და დაასხან მას ზედა წყალი ცხოველი ჭურჭერსა შიდა, 18 და მოიღონ ჳსუპი და დააწოს წყალსა მას კაცმან წმიდამან და აპკუროს სახლსა მას და ჭურჭელთა ზედა და სულთა ზედა, რავდენ იყვნენ მუნ, და შეხებულთა მათ ზედა ძუალთა კაცისათა, გინა თუ სამოსელსა მკუდრისასა, გინა თუ სამარესა, 19 და აპკუროს წმიდამან არაწმიდასა მას დღესა მესამესა, და განწმიდნეს დღესა მეშუდესა და განირცხას სამოსელი თჳსი და განიბანოს წყლითა, და არაწმიდა იყოს მიმწუხრადმდე. 20 და კაცი, რომელი შეიგინოს და არა განწმიდნეს, აღიკოცოს სული იგი კრებულისაგან ძეთა ისრაელისათა, რამეთუ წმიდანი უფლისანი შეაგინნა; და წყალი პკურებისაჲ არა დაეპკურა მას ზედა, არაწმიდა არს იგი. 21 და იყავნ თჳუენდა შჯულად საუკუნოდ ესე: და რომელმან ასხუროს წყალი იგი პკურებისაჲ, განირცხას სამოსელი თჳსი, და რომელი შეეხოს წყალსა მას პკურებისასა, არაწმიდა იყოს მიმწუხრადმდე. 22 და ყოველსა, რომელსა შეეხოს არაწმიდაჲ იგი, არაწმიდა იყოს და სული, რომელი შეეხოს, არაწმიდა იყოს მიმწუხრადმდე.

AK

არაწმიდა იყოს, 16 და ყოველი, რომელი შეეხოს პირსა ყრმისა წყლულისასა, გინა მკუდრისა ძუალსა კაცისასა, გინა საფლავსა, არაწმიდა იყოს იგი შუდ დღე. 17 და მოართუან არაწმიდასა მას ნაცრისა მისგან დამწურისა განსაწმედელისა და დაასხან მას ზედა წყალი ცხოველი ჭურჭელსა შინა. 18 და მოიღონ ჳსუპი და დააწოს იგი წყალსა მას კაცმან წმიდამან და აპკუროს იგი სახლსა მას და ჭურჭელსა და კაცთა მათ, რაოდენნი იყვნენ მუნ, და მას, რომელმან შეახოს ძუალსა კაცისასა ანუ წყლულისასა, ანუ მკუდრისასა, ანუ სამარესა, 19 და აპკუროს წმიდამან მან არაწმიდასა მას დღესა მესამესა, და დღესა მეშუდესა განწმიდნეს და განირცხეს სამოსელი თჳსი წყლითა, და არაწმიდა იყოს იგი ვიდრე მიმწუხრადმდე. 20 და კაცი, რომელი შეიგინოს და არა განწმიდნეს, მოიკოცოს იგი შორის კრებულისა, რამეთუ სიწმიდე უფლისაჲ შეაგინა; რამეთუ წყალი იგი პკურებისაჲ არა ეპკურა მის ზედა, არაწმიდა არს. 21 და იყოს ესე თჳუენდა შჯულად საუკუნოდ: და რომელმან აპკუროს წყალი იგი პკურებისა, [278] განირცხეს სამოსელი თჳსი, და რომელი შეეხოს წყალსა მას საპკურებელსა, არაწმიდა იყოს ვიდრე მწუხრადმდე. 22 და ყოველსა, რომელსა შეეხოს არაწმიდაჲ იგი, არაწმიდა იყოს იგი ვიდრე მწუხრადმდე, და კაცი იგი, რომელი შეეხოს, არაწმიდა იყოს ვიდრე მწუხრადმდე.

თავი XX

S

1 და მოვიდეს ძენი ისრაელისანი — ყოველი კრებული იგი უდაბნოდ სინაჲ თთუესა პირველსა და დაადგრა ერი იგი კადეს. და აღესრულა მარიამ და დაეფ-

AK

1 და მოვიდეს ძენი ისრაელისანი — ყოველი იგი კრებული უდაბნოსა მას სინასასა თთუესა მას პირველსა და დაადგრა ერი იგი კადეს. და მოკუდა მუნ

S: 16 წყლულისასა]წულისასა. 18 კაცისასა.

AK: 16 წყლულისასა]წულისასა K. 18 იყუნენ A. შეახო A. 20 პკურებისა A. 21 იყოს 2°]არს K. 22 და ყოველსა... ვიდრე მწუხრადმდე 1°—K. იგი 3°—K. შეეხოს]იყოს K. XX, 1 ყოველი—K. დაადგრა]დაადგა K.

B

არაწმიდა იყუნენ, 16 და ყოველი, რომელი შეეხოს პირსა ყრმისა წყლულისა, გინა მკუდრისასა, ძუალსა კაცისასა, გინა საფლავსა, არაწმიდა იყოს შჳდ დღე. 17 და მოართჳან არაწმიდასა მას ნაცრისა მისგან დამწურისა განსაწმედელისა და დაასხას მას ზედა წყალი ცხოველი ჭურჭელსა შინა. 18 და მოიღონ უსუპი და დააწოს წყალსა მას კაცმან წმიდამან და აპკუროს სახლსა მას და ჭურჭელთა ზედა და სულთა ზედა, რაოდენ იყუნენ, და შეუხებელთა მათ ზედა ძუალთა კაცისათა, გინათუ სამოსელსა წყლულსა მკუდრისასა, გინათუ სამარესა, 19 და აპკუროს წმიდამან არაწმიდასა მას დღესა მას მეშჳდესა, განირცხეს სამოსელი თჳსი და განიბანოს გვამი წყლითა და არაწმიდა იყოს იგი ვიდრე მწუხრადმდე. 20 და კაცი, რომელი შეიგინოს და არა განწმდნეს, და აღიჴოცოს სული იგი კრებულისაგან, რამეთუ წმიდანი უფლისანი შეაგინნა; და წყალი პკურებისა არა დაეპკურა მას ზედა, არაწმიდა არს იგი. 21 და იყავნ ესე თქუენდა შჯულად საუკუნოდ: და რომელმან ასხუროს წყალი იგი პკურებისა და განირცხეს სამოსელი თჳსი, და რომელი შეეხოს წყალსა მას პკურებისასა, არაწმიდა იყოს ვიდრე მწუხრამდე. 22 და ყოველსა, რომელსა შეეხოს არაწმიდაჲ იგი, არაწმიდა იყოს იგი, და სული შემახებელი არაწმიდა იყოს მწუხრამდე.

G

16 და ყოველმან, რომელმან შეახოს პირსა ზედა ნინველისასა წყლულსა, ანუ მკუდარსა*, ანუ ძუალსა კაცისასა, ანუ სამარესა, შჳდთა დღეთა არაწმიდა იყოს. 17 და მოართუან არაწმიდასა მას ნაცრისაგან დამწურისა უბიწო- ქმნისაჲსა და დაასხან მას ზედა წყალი ცხოველი ჭურჭელსა შინა. 18 და მოიღონ უსუპი (v) და დააწოს წყალსა მას კაცმან წმიდამან და ასხუროს სახლსა და ჭურჭელთა და სულთა ზედა, რაოდენნიცა იყვნენ მუნ, და მიახლებულთა ზედა ძუალსა კაცისასა, ანუ წყლულსა, ანუ მკუდარსა, ანუ საფლავსა, 19 და ასხუროს წმიდამან არაწმიდასა ზედა დღესა მესამესა და დღესა მეშჳდესა, და უბიწო იქმნას დღესა მეშჳდესა, და განირცხას სამოსელი მისი და იბანოს წყლითა და არაწმიდა იყოს მწუხრადმდე. 20 და კაცი, რომელი შეიგინოს და არა უბიწო იქმნეს, მოისპოს სული იგი შორის შესაკრებელისაგან, რამეთუ წმიდანი უფლისანი შეამწინკულნა; რამეთუ წყალი პკურებისაჲ არა ესხურა მის ზედა, და არაწმიდა არს. 21 და იყოს თქუენდა შჯულად საუკუნოდ: და მასხურებელმან წყალსა უბიწოქმნისასა და შეხებულმან წყალსა სხურე(160)ბისასა განირცხას სამოსელი მისი და არაწმიდა იყოს მწუხრადმდე. 22 და ყოველსა, რომელსა შეეხოს არაწმიდაჲ იგი, არაწმიდა იყოს, და სული, რომელი შეეხოს მას, არაწმიდა იყოს მწუხრადმდე.

თავი XX

1 და მოვიდეს ძენი ისრაელისანი — ყოველი კრებული უდაბნოდ სინად თუესა პირველსა და დაადგრა ერი იგი კადეს. და აღესრულა მარიამ და დაეფ-

1 და მოვიდეს ძენი ისრაელისანი — ყოველი შესაკრებელი უდაბნოდ სინდ თთუესა პირველსა და დაადგრა ერი იგი კადის. [69] და აღესრულა მუნ მა-

B: 16 ყრმისა წყლულისა]ყრმის წყლულსა. 18 ძუალთა]მკედართა. 20 წყალნი. 21 და 3°+არა. XX, 1 კრებულნი. და სინათ.

G: 16 ნინველისასა]ველისასა Ga.

* აქ იწყება ტექსტი Gc-ში.

S

ლა იგი მუნ. [2] და არა იყო წყალი კრებულსა მას. და შეკრბეს მოსეს ზედა და აჰრონისა, [3] და იწყეს ძჯრისსიტყუად ერმან მან მოსეს ზედა და თქუეს: შჯობდა, მო-ღა-მცა-ვკუედით წარწყმედასა მას ძმათა ჩუენთასა წინაშე უფლისა. [4] და რაჲსათჳს აღმოიყვანეთ კრებული ესე უფლისა[ჲ] უდაბნოსა ამას? მოსრვად ჩუენდა და საცხოვრისა ჩუენისა? [5] და რაჲსათჳს ჰყავთ ესე, აღმოგჳყვანენ ჩუენ ეგჳპტით მოსლვად ადგილსა ამას ბოროტსა, ადგილი, რომელ არა ითესვის, არცა არს ლეღჳ, არცა ვენაჯი, არცა მროწეული, არცა არს წყალი სასუმელად? [6] და მოვიდა მოსე და აჰრონ პირისაგან კრებულისაჲსა კარად კარვისა საწამებელისად და დავარდეს პირსა ზედა თჳსსა და გამოჩნდა დიდებაჲ უფლისაჲ მათ ზედა. [7] და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [8] მოიღე კუერთხი ეგე და შეკრიბეთ კრებული შენ და აჰრონ, ძმამან შენმან, და არქუთ კლდესა წინაშე მათსა და გამოსცეს წყალი და გამოუდინოს მათ წყალი კლდისაგან და ასუას კრებულსა ამას და საცხოვარსა მათსა. [9] და მოიღო მოსე კუერთხი იგი, რომელ იყო წინაშე უფლისა, ვითარცა უბრძანა უფალმან. [10] და შეკრიბეს მოსე და აჰრონ კრებული იგი წინაშე კლდესა მას, და ჰრქუა მათ: ისმინეთ ჩემი, ურჩნო, კლდისაგან ნუ ამის გამოგიდინოთ თქუენ წყალი? [11] და აღიპყრა მოსე ქელი თჳსი და სცა კლდესა მას კუერთხითა მით ორგზის, და გამოჴდა წყალი ფრიად და სუა კრებულმან მან და საცხოვარმან მათმან. [12] და ჰრქუა უფალმან მოსეს და აჰრონს: რამეთუ არა გრწმენა თქუენ ჩემი წმიდა-ყოფად წი-

AK

მარიამ. [2] და არა იყო მუნ წყალი სმად ერისათჳს, და შეკრბეს მოსეს და აჰრონის ზედა, [3] და აგინებდეს მოსეს: ...მოთუმცა-მწყდარ ვიყუენით ჩუენ წარწყმედითა ძმათა ჩუენთათა წინაშე უფლისა. [4] და რაჲსათჳს მოვიყუანეთ კრებული ესე უფლისაჲ უდაბნოსა მას? მოწყუედად ჩუენდა და პირუტყუთა ჩუენთა? [5] და აღმო-ვე-რაჲსა-მიყუანენ ჩუენ ეგჳპტით ქუეყანასა ამას ბოროტსა, ადგილსა, რომელსა არა ითესვის, არცა არს ლეღჳ, არცა ვენაჯი, არცა მროწეული, არცა არს წყალი სუმად? [6] და შევიდეს მოსე და აჰრონ პირისაგან მის კრებულისა კარვად საწამებელისა და დაცჳეს იგინი პირსა ზედა თჳსსა, და გამოჩნდა დიდებაჲ უფლისაჲ მათ ზედა. [7] და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [8] მიიღეთ კუერთხი ეგე და შეკრიბეთ კრებული ეგე შენ და აჰრონ, და ეტყოდეთ კლდესა მას წინაშე მათსა და მოს[v]ცეს წყალი, და გამოუდინეთ წყალი კლდისაგან, და სუას კრებულმან მაგან და პირუტყუთა მათთა. [9] და მოიღო მოსე კუერთხი იგი წინაშე უფლისა, ვითარცა უბრძანა მას უფალმან. [10] და შეკრიბეს კრებული იგი წინაშე კლდისა მის, და ჰრქუა მათ მოსე: ისმინეთ ჩემი, ურჩნო, ნუუკუე ამის კლდისაგან გამოგიდინო თქუენ წყალი? [11] და აღიპყრა ქელი მოსე და სცა კლდესა მას ორგზის კუერთხითა მით, და გამოეცა წყალი ფრიად და სუა კრებულმან მან და საცხოვარმან მათმან. [12] და ჰრქუა უფალმან მოსეს და აჰრონს: რამეთუ არარაჲ გრწმენა წმიდა-ყოფაჲ ჩემი წინაშე ძეთა ისრა-

S: [5] მოსრვად]მოსლვად. [8] ასუას[სუას.

AK: [8] გ̾მოდინეთ K. მათთა]ჩუენთა K. [11] მათმან]მან K. [12] არარა A. წ̾ჲ ყოფა A.

B

ლა მუნ. 2 და არა იყო წყალი კრებულისა მის და შეკრბეს მოსეს და აჰრონის [ზედა]. 3 და იწყეს ძჯრის-სიტყუად ერმან მან მოსეს ზედა და თქუეს: შჯობდა, მო-ღა-თუმცა-მკუდარ ვიყუენით წარწყმედასა ძმათა ჩუენთასა წინაშე უფლისა. 4 და რაჲსათჳს აღმოიყუანეთ კრებული ესე უფლისაჲ უდაბნოსა ამას? მოსრვად ჩუენ და საცხოვარი ჩუენი? 5 და რაჲსათჳს-ესე გამოგუყუანენ ჩუენ ეგჳპტისაგან, რომელ მოვედით ჩუენ ადგილსა ამას ბოროტსა, ადგილსა, რომელსა არა ითესვის, არცა არს ლეღჯ, არცა ვენაჯი, არცა მროწეული, არცა არს წყალი სასმელად? 6 და მოვიდა მოსე და აჰრონ პირისაგან კრებულისა კარად კარვისა საწამებელისა, დაცჳვეს პირსა ზედა თჳსსა და გამოჩნდა დიდებაჲ უფლისაჲ მათ ზედა. 7 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 8 მოიღე კუერთხი ეგე და შეკრიბეთ კრებული ეგე შენ და აჰრონ, ძმამან შენმან, და არქუთ კლდესა წინაშე მათსა და მოსცეს წყალი, და გამოუდინო მათ წყალი კლდისაგან და სუას კრებულმან ამან და საცხოვარმან მათმან. 9 და მოიღო მოსე კუერთხი იგი, რომელი იყო წინაშე უფლისა, ვითარცა უბრძანა უფალმან. 10 და შეკრიბეს მოსე და აჰრონ კრებული იგი წინაშე კლდესა მას, და ჰრქუა მათ: ისმინეთ ჩემი, ურჩნო, კლდისაგან ნუ ამის გამოგიდინო თქუენ წყალი? 11 და აღიპყრა მოსე კელი თჳსი და სცა კლდესა მას კუერთხითა მით ორგზის და გამოჴდა წყალი ფრიად და სუა კრებულმან მან და საცხოვარმან მათმან. 12 და ჰრქუა უფალმან მოსეს და აჰრონს: რამეთუ არა გრწმენა თქუენ ჩემი წმი-

G

რიამ და დაეფლა მუნ. 2 და არა იყო წყალი შესაკრებელისა მის და შეკრბეს მოსეს ზედა და აარონისსა. 3 და დრტჳნვიდა ერი მოსეს მიმართ, მეტყუელნი: ჰე, თუმცა წარწყმედულ ვიყუენით წარწყმედასა მას შინა ძმათა ჩუენთასა წინაშე უფლისა. 4 და რაჲსათჳს აღმოიყუანეთ შესაკრებელი უფლისაჲ უდაბნოსა ამას? რაჲთა მოვსწ(ν)ყდეთ ჩუენ და საცხოვარი ჩუენი? 5 და რაჲსათჳს აღმოიყუანეთ თქუენ ეგჳპტით ესე მოსლვად ადგილსა ამას ბოროტსა, ადგილსა, რომელსა არა ითესვის არცა ლეღუნი, არცა ვენაკნი არცა ბროწეულნი, არცა წყალი არს სასუმლად?*. 6 და შევიდეს მოსე და აარონ პირისაგან მის შესაკრებელისა კარსა თანა კარვისა საწამებელისასა და დაცჳვეს პირთა ზედა და გამოუჩნდა მათ დიდებაჲ უფლისაჲ. 7 და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: 8 მიიღე კუერთხი და ეკკლესია-ყავ შესაკრებელი შენ და აარონ, ძმამან შენმან, და თქუ კლდისა მიმართ წინაშე მათსა და მოსცნეს მას წყალნი და გამოუდინეთ მათ წყალი კლდისაგან და ასჯთ შესაკრებელსა და საცხოვარსა მათსა. 9 და მოიღო მოსე კუერთხი წინაშე უფლისა, ვითარცა უბრძანა უფალმან. 10 და ეკკლესია-ყვეს მოსე და აარონ (161) შესაკრებელი წინაშე უფლისა, წინაშე კლდესა მას, და თქუა მათდა მიმართ: ისმინეთ ჩემი, ურწმუნონო, ნუ კლდისა ამისგან გამოგიცენოთა წყალი? 11 და აღმპყრობელმან კელისა მისისამან მოსე უხეთქნა კლდესა კუერთხითა ორგზის და გამოვიდა წყალი ფრიადი და სუა შესაკრებელმან და საცხოვართა მათთა. 12 და თქუა უფალმან მოსეს და აარონის მიმართ: რამეთუ არა ირწმუნეთ წმიდა-ყოფაჲ

B: 2 შეკრბენ. 4 მოსრვად ჩუენ]მოსურად 5 გამოგჳყუანა. 6 თჳსთა. 8 სუეას.
G: 5 აღმოიყუანე Ga.
* აქ წყდება Gc-ს ტექსტი.

S

ნაშე ძეთა ისრაელისათა, ამისთჳს არა შეიყუანოთ კრებული ესე ქუეყანასა მას, რომელ მიეც მათ. 13 ესე არს წყალი ცილობისაჲ, რამეთუ მაცილობელ იქმნეს ძენი ისრაელისანი წინაშე უფლისა, და წმიდა იქმნა მათ შორის.

14 და წარავლინნა მოსე მოციქულნი კადეთ მეფისა ედომელთაჲსა და ჰრქუა: ესრე იტყჳს ძმაჲ შენი ისრაელი: შენ უწყი ყოველი შრომაჲ, რომელმან გუპოვნა ჩუენ. 15 და შთავიდეს მამანი ჩუენნი ეგჳპტედ და ვსხემობდით ეგჳპტეს შინა მრავალ დღე. გუბრძოდეს ჩუენ ეგჳპტელნი და მამათა ჩუენთა. 16 და ჰმა-ვყავთ უფლისა მიმართ, და ისმინა უფალმან ჰმისა ჩუენისაჲ და მოავლინა ანგელოზი და გამოგჳყვან[ნ]ა ჩუენ ეგჳპტით. და აწ ვართ კადეს შინა ქალაქსა, ერთ კერძო საზღვართა შენთასა. 17 გზა გუეც განსლვად ქუეყანით შენით, არა განვიდეთ ყანობირსა შენსა, არცა ვენაჰებსა შენსა, არცა ვსუათ წყალი ჯურღმულისა შენისაჲ; გზაჲ სამეუფოჲ განვლოთ, არა მივაქციოთ მარჯულ, არცა მარცხლ გარდასლვადმდე საზღვართა შენთა. 18 და ჰრქუა მას ედომ: ვერ განხჳდე ჩემით, უკუეთუ არა, ბრძოლით განგიკდე შემთხუევად შენდა. 19 და ჰრქუეს მას ძეთა ისრაელისათა: მთის პირი წარვლოთ, უკუეთუ ვსუათ წყალი შენი მე და საცხოვარმან, მიგცეთ შენ სასყიდელი; ხოლო საქმე ესე არარაჲ არს, მთის პირი წარვლოთ. 20 ხოლო მან თქუა: ვერ განხჳდეთ ჩემით. და გამოჴდა ედომი შემთხუევად მისა ერითა დიდითა და კელითა მტკიცითა. 21 და არა ჯერ-იჩინა ედომმან გზის-ცემაჲ ისრაელისათა, ამისთჳს არა შეიყუანოთ თქუენ კრებული ესე ქუეყანასა მას, რომელი მიეც მათ. 13 ესე არს წყალი გინებისა, რამეთუ აგინებდეს ძენი ისრაელისანი მოსეს წინაშე უფლისა, და იდიდა მათ ზედა.

AK

14 და წარავლინნა მოსე მოციქულნი კადეთ მეფისა ედომისა *და ჰრქუა: ამას იტყჳს ძმაჲ შენი ისრაელი: უწყი ყოველივე რუდუნებაჲ, რომელთა გჳპოვნეს ჩუენ. 15 რამეთუ შთავიდეს მამანი ჩუენნი ეგჳპტეს და ვმწირობდით ჩუენ მუნ დღეთა მრავალთა. და ბოროტსა გჳყოფდეს ჩუენ ეგჳპტელნი და მამათა ჩუენთა. 16 და ღაღად-ვყავთ ჩუენ უფლისა მიმართ, და შეისმინა ჰმისა ჩუენისა და მოავლინა ანგელოზი მისი და გამოგჳყუანნა ჩუენ ეგჳპტით. და აწ ვართ ჩუენ კადეს [279] ქალაქსა, ერთ კერძო საზღურისა შენისა[ჲ]თ. 17 წარვიდეთ ადგილით შენით, არა განვლოთ ყანით შენით, არცა ვენაჰით, არცა ვსუათ წყალი ჯურღმულთაგან შენთა; გზა სამეუფო წარვლოთ, არა მივაქციოთ მარჯულ, არცა მარცხლ, ვიდრემდე წარვლოთ საზღვარი შენი. 18 და ჰრქუა მას ედომ: არა განვლო ჩემით, უკუეთუ არა, ბრძოლით განვიდე შემთხუევად შენდა. 19 და ჰრქუეს მას ძეთა ისრაელისათა: მთით კერძო წარვლოთ, უკუეთუ ვსუათ წყალი შენი მე და საცხოვარმან ჩემმან, სასყიდელი მიგცე შენ; არამედ საქმე ესე არარაჲ არს, მთით კერძო წარვიდეთ. 20 და ჰრქუა ედომ: არა წარვლო ქუეყანით ჩემით. და გამოვიდა ედომ წყობად მათა ერითა ძლიერითა და კელითა მტკიცითა. 21 და არა ენება ცემად წარ-

S: 18 მას]მათ. განხჳდეთ.
AK: 13 და+უფალი K. 14 ძმა A. 18 კადესა K. 17 სამზ~ღერი K. 18 ჰრქუა A. 20 წარჰლო A.
* A-ში კიდეზე მხედრულით: „...ეე ედომისა კადე".

B

და-ყოფად წინაშე ძეთა ისრაელისათა, ამისთჳს არა შეიყვანოთ კრებული ესე ქუეყანასა მას, რომელი მიეცეც მათ. 13 ესე არს წყალი ცილობისა, რამეთუ მაცილობელ იქმნეს ძენი ისრაელისანი წინაშე უფლისა, და წმიდა იქმნა მათ შორის.

14 და წარავლინნა მოსე მოციქულნი კადეთ მეფისა ედომელთასა და ჰრქუა: ესრეთ იტყჳს ძმაჲ შენი ისრაელი: შენ უწყი ყოველი შრომა, რომელმან გუპოვნა ჩუენ. 15 და შთავიდეს მამანი ჩუენნი ეგჳპტეს შინა, მრავალ ჟამ ვსხემობდით. და გუბრძოდეს ჩუენ მეგჳპტელნი — ჩუენ და მამათა ჩუენთა. 16 და ჰმა-ვყავთ უფლისა მიმართ, და ისმინა უფალმან ჰმისა ჩუენისა და მოავლინა ანგელოზი თჳსი და გამოგჳყვანნა ჩუენ ეგჳპტით. და აწ ვართ ჩუენ კადესა შინა ქალაქსა, ერთ კერძო საზღვართა შენთასა. 17 გზა-გუეც განსლვად ქუეყანით შენით, არა განვიდეთ ყანობირსა შენსა და ვენაჯსა შენსა, არცა ვსუათ წყალი ჯურღმულისა შენისა; გზაჲ სამეუფო განვლოთ, არა მივიქცეთ მარჯულ, არცა მარცხულ ვიდრემდის გარდასლვამდე საზღვართა შენთა. 18 და ჰრქუა მათ ედომ: ვერ განხჳდეთ ჩემგან, უკუეთუ არა, ბრძოლით განგიჴდე შემთხუევად თქუენდა. 19 და ჰრქუეს მას ძეთა ისრაელისათა: მთის პირი წარვლოთ, უკეთუ ვსუათ წყალი შენი ჩუენ და საცხოვარმან ჩუენმან, სასყიდელი მიგცეთ შენ, ხოლო საქმე ესე არარაჲ არს, მთის პირი წარვლოთ. 20 ხოლო მან ჰრქუა: ვერ განხჳდეთ ჩემით. და გამოჴდა ედომი შემთხუევად მათდა ერითა დიდითა და ჴელითა მტკიცითა. 21 არა ჯერ-იჩინა ედომმან გზის-ცემა ისრაელისა წარ-

G

ჩემი წინაშე ძეთა ისრაელისათა, ამისთჳს არა შეიყ(v)ვანოთ თქუენ შესაკრებელი ესე ქუეყანად, რომელი მიეცეც მათ. 13 ესე არს წყალი ცილობისაჲ, რამეთუ დრტჳნ(162)ვიდეს ძენი ისრაელისანი წინაშე უფლისა, და წმიდა[v]იქმნა მათ შორის.

14 და წარავლინნა მოსე მიმთხრობელნი კადდით მეფისა მიმართ ედომისა, მეტყუელმან: ამათ იტყჳს ძმაჲ შენი ისრაელ: შენ მეცნიერ ხარ ყოველთა ჰირთა, მპოვნელთა ჩუენთა. 15 რამეთუ შთავიდეს მამანი ჩუენნი ეგჳპტეს და ვიმსხემეთ მუნ, ეგჳპტეს შინა, დღეთა მრავალთა. და ბოროტსა მიყოფდეს ჩუენ მეგჳპტელნი და მამათა ჩუენთა. 16 და ღაღად-ყვეს უფლისა მიმართ, და შეისმინა უფალმან ჰმისა ჩუენისაჲ და მოავლინა ანგელოზი და გამომიყვანნა ჩუენ ეგჳპტით. და აწ ვართ კადის შინა ქალაქსა, ნაწილსა საზღვართა შენთასა. 17 წა(v)რვლოთ ქუეყანით შენით, არა განვლოთ ყანობირი, არცა ვენაჯი, არცა ვსუათ წყალი ჯურღმულისა შენისაგან; გზაჲ სამეფოჲ განვლოთ, არა მივსდრკეთ მარჯულ, არცა მარცხლ, ვიდრემდის არა განვლნეთ საზღვარნი შენნი. 18 და თქუა მისსა მიმართ ედომ: ვერ განხჳდე ჩემით, უკუეთუ არა, ბრძოლით [70] განგიჴდე შემთხუევად შენდა. 19 და ჰრქუეს მას ძეთა ისრაელისათა: მთით კერძო წარვლოთ, და უკეთუ წყალი შენი ვსუათ მე და საცხოვარმან ჩემმან, მიგცე ფასი შენი, არამედ საქმე ესე არარაჲ არს, მთის პირი წარვლოთ. 20 ხოლო მან თქუა: არა განჰ(163)ვლოთ ჩემით. და გამოვიდა ედომ შემთხუევად მათდა ერითა მრავლითა და ჴელითა ძლიერითა. 21 და არა ინება ედომ მიცემად ისრაელისა წარსავლელი საზღვართაჳან

B: 12 შეიყუნოთ. 14 კადეთ]კლდესა. 15 ესხემობდთ]სცხოვრებდენ. გუბრჯოდენ. 16 უფალმან] უფალ. 17 -გუეც. ვსუათ.

G: 13 ესე არს წყალი ცილობისაჲ, რამეთუ დრტჳნვიდეს ძენი ისრაელისანი წინაშე უფლისა და bis Gb. მათ შორის]მათთჳს Ga. 14 ხარ—Ga. 20 განჴლო Ga.

S

რაელისა საზღვარით თჳსით, (22) და მიაქცია ისრაელმან მისგან.

22 და იძრნეს კადეთ და მივიდეს ძენი ისრაელისანი, ყოველი კრებული იგი, ორდ მთად. 23 და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს ორს მთასა შინა, საზღვართა ზედა ედომისათა და თქუა: 24 შეეძინენ აჰრონ ერსა თჳსსა, რამეთუ ვერ შეხჳდეთ ქუეყანასა მას, რომელ მივეც ძეთა ისრაელისათა, რამეთუ განმარისხეთ მე წყალსა მას ზედა ცილობისასა. 25 წარიყვანე აჰრონ და ელიაზარ, ძე მისი, და აღიყვანენ იგინი ორდ მთად, წინაშე ყოვლისა კრებულისა, 26 და განსძარცუე აჰრონს სამოსელი მისი და შეჰმოსე ელიაზარს, ძესა მისსა, და აჰრონ შეეძინენ და მოკუედინ მუნ. 27 და ყო მოსე, ვითარცა უბრძანა მას უფალმან. და აღიყვანნა იგინი ორდ მთად, წინაშე ყოვლისა კრებულისა, 28 და განსძარცუა აჰრონს სამოსელი თჳსი და შეჰმოსა იგი ელიაზარს, ძესა მისსა; (29) და მოკუდა აჰრონ თავსა ზედა მის მთისასა. და გარდამოჴდა მოსე და ელიაზარ მთით. 29 (30) და იხილა ყოველმან კრებულმან, რამეთუ ჴმნულ იყო აჰრონ, და სტიროდეს აჰრონს ოცდაათ დღე ყოველი სახლი ისრაელისაჲ.

AK

სავალი ისრაელისაჲ საზღვართაგან მისთა, და მიაქცია მისგან ისრაელმან.

22 და წარვიდეს კადეთ და მოვიდეს ძენი ისრაელისანი ორდ მთად, და ყოველი იგი კრებული. 23 და ჰრქუა უფალმან მოსეს და აჰრონს ორს მთასა. საზღვარსა ქუეყანისა ედომისასა: 24 შეეძინენ აჰრონ ერსა თჳსსა, რამეთუ არა შევიდეს ქუეყანასა მას, რომელი მივეც ძეთა ისრაელისათა, რამეთუ განმარისხეთ მე წყალსა მას ზედა [v] გინებისასა. 25 წარიყუანენ აჰრონ და ელიაზარ, ძე მისი, და აღიყუანენ იგინი მთად ორდ, წინაშე ყოვლისა კრებულისა ძეთა ისრაელისათა, 26 და განსძარცუე აჰრონს სამოსელი მისი და შეჰმოსე იგი ელიაზარს, ძესა მისსა, და აჰრონ შეეძინოს და მოკუდეს მუნ. 27 და ყო ეგრე მოსე, ვითარცა უბრძანა მას უფალმან. და აღიყუანა იგი[ნი] ორდ, მთასა მას, წინაშე ყოვლისა კრებულისა ძეთა ისრაელისათა, 28 და განსძარცუა აჰრონს სამოსელი მისი და შეჰმოსა ელიაზარს, ძესა მისსა; და მოკუდა მუნ აჰრონ თხემსა ზედა მის მთისასა. და გარდამოვიდეს მოსე და ელიაზარ მიერ მთით. 29 და იხილეს ყოველმან კრებულმან, რამეთუ განეტევა აჰრონ, და სტიროდეს ოცდაათ დღე ყოველი სახლი ისრაელისა.

თავი XXI

და ესმა ქანანის მეფესა არადიდსა, რომელ მკჳდრ იყო უდაბნოსა, ვითარმედ მოვიდა ისრაელი გზასა ათარისასა და ბრძოლა უყო ისრაელსა და იტაცეს მათგან სატყუენავი. 2 და აღუთქუა ისრაელმან აღთქმაჲ უფალსა და თქუა:

1 და ესმა ქანანელსა მეფესა არადის, რომელი მკჳდრ იყო უდაბნოდ კერძო, რამეთუ გამოვიდა ისრაელი გზასა აბარიმით, ჰბრძოდა ისრაელსა და წარტყუენა მათგანი ტყუედ. 2 და ილოცა ისრაელმან ლოცვაჲ უფლისა მიმართ და

AK: 21 ო[ლ]ისა A. 22 კადეთ]კარედ K. ისრაელისანი]ლიასნი AK. ორად K. იგი—K. 25 იგინი]იგი A. ორად K. წინაშე+ო[ლ]ა K. 26 გ[ან]ძარცუნ K. შემოსენ K. 27 ორად K. 28 შემოსა K. XXI, 1 არადის[ა] AK. უდაბნოთ AK. ბრძოდა K. 2 ლოცვა A.

B

სლვად საზღვარით თჳსით. და მიაქცია ისრაელმან მისგან.

22 და იძრნეს კადით და მოვიდეს ძენი ისრაელისანი, ყოველი კრებული, ორად მთად. 23 და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს ორს, მთასა შინა მათსა, საზღვართა ზედა ედომისთა, და ჰრქუა: 24 შეეძინენ აჰრონ ერსა თჳსსა, რამეთუ ვერ შეხჳდეთ ქუეყანასა მას, რომელ მივეც ძეთა ისრაელისათა სამკჳდრებელად, რამეთუ განმარისხეთ მე წყალსა მას ზედა ცილობისასა. 25 წარიყვანე აჰრონ, ძმა შენი, და ელიაზარ, ძე მისი, აღიყვანენ ორად მთად, წინაშე ყოვლისა კრებულისა, 26 და განძარცუეთ აჰრონს სამოსელი მისი და შემოსეთ ელიაზარს, ძესა მისსა, და აჰრონ შეეძინენ და მოკუედინ მუნ. 27 და ყო მოსე, ვითარცა უბრძანა მას უფალმან. და აღიყვანნა იგინი ორად მთად, წინაშე ყოვლისა კრებულისა, 28 და გან[ს]ძარცვა აჰრონს სამოსელი თჳსი და შე[ჰ]მოსა ელიაზარს, ძესა მისსა; და მოკუდა აჰრონ თავსა ზედა მის მთისასა. და გარდამოჴდეს მოსე და ელიაზარ მიერ მთით. 29 და იხილა ყოველმან კრებულმან, რამეთუ ჴმნულ იყო აჰრონ, და სტიროდეს აჰრონს ოცდაათ დღე ყოველი სახლი ისრაელისა.

G

მისთა. და მიაქცია ისრაელმან მისგან.

22 და იტრა კადით და მივიდეს ძენი ისრაელისანი, ყოველი შესაკრებელი, ორდ მთად. 23 და თქუა უფალმან მოსეს მიმართ და აარონისსა ორს შინა მთასა, საზღვართა ქუეყანისა ედომისთა, მეტყუელმან: 24 შეეძინენ აარონ ერისა მიმართ თჳსისა, რამეთუ არა შეხჳდეთ ქუეყანასა, რომელი მივეც ძეთა ისრაელისათა სამკჳდრებელად ამით, რამეთუ განმაძჳნეთ მე წყალსა ზედა დრტჳნვისასა. 25 მიიყვანე აარონ, ძმაჲ შენი, და ელეაზარ, ძე მისი, და აღიყვანე იგი[ნი] ორდ მთად, წინაშე ყოვლისა შესაკრებელისა, 26 და განსძარცუე აარონს შესამოსელი მისი და შეჰმ(ვ)ოსე ელეაზარს, ძესა მისსა, და აარონ შეეძინენ და მოკუედინ მუნ. 27 და ქმნა მოსე, ვითარცა განუწესა უფალმან მას. და აღიყვანნა იგინი ორდ მთად, წინაშე ყოვლისა შესაკრებელისა. 28 და განსძარცუნა აარონს შესამოსელნი მისნი და შეჰმოსნა იგი ელეაზარს, ძესა მისსა; და მოკუდა აარონ მუნ, თხემსა ზედა მთისასა. 29 და იხილა ყოველმან შესაკრებელმან, ვითარმედ მოკუდა აარონ, და სტიროდა აარონს ოცდაათთა დღეთა ყოველი სახლი ისრაელისაჲ.

თავი XXI

1 და ესმა ქანანის მეფეს არადს, რომელი მკჳდრ იყო უდაბნოსა, ვითარმედ მოვიდა ისრაელი გზასა ათრიუესა და ბრძოლა უყო ისრაელსა და დაიტაცეს მათგან სატყუენავი. 2 და აღუთქვა ისრაელმან აღთქმა უფალსა და ჰრქუა:

1 და ესმა ქანანის მეფესა არადის, რომელი მკჳდრ იყო უდაბნოჲთ კერძო, ვითარმედ მოვიდა ისრაელი გზასა ათარიმისასა და ბრძოლა სცეს ისრაელისა მიმართ და იტაცეს მათგან ნატყუენავი. 2 და აღუთქუა ისრაელმან აღთქუმაჲ უფალსა და თქუა: უკუეთუ

---

21 ისრაელისამან. 29 აჰრონ]აჰრონს.

G: 24 შეეძინენ Ga. 26 შეეძინენ Ga. XXI, 1 არადის]არადისასა Gab.

S

მო-თუ-მცე ერი ესე კელთა ჩემთა, შე-
ჩუენებულ ვყო იგი და ქალაქები მისი.
3 და ისმინა უფალმან კმაჲ ისრაელისაჲ
და მოსცა ქანანი კელთა მისთა. და შე-
ჩუენებულ ყო იგი და ქალაქები მისი,
და უწოდა მას ადგილსა სახელი „შე-
ჩუენებულ“.

4 და იტრნეს ორით მთით გზით
ზღუთ კერძო ერჯთრად და გარე-შეველეს
ქუეყანაჲ ედომისაჲ. და სულმოკლე იქ-
მნა ერი იგი გზასა ზედა 5 და ძჯრსა
იტყოდა ერი იგი ღმრთისა მიმართ და
მოსესთჳს და თქუეს: რაისათჳს მოგჳ-
ყვანენ ჩუენ ეგჳპტით მოსრვად უდაბ-
ნოსა ამას, რამეთუ არა არს პური, არ-
ცა წყალი? და სულსა ჩუენსა მოეწყინა
პური ესე ცუდი. 6 და მოუვლინა
უფალმან ერსა მას გუელი მომსრველი
და უკბენდეს ერსა მას და მოისრა ერი
მრავალი ძეთა ისრაელისათაჲ. 7 და მო-
ვიდა ერი იგი მოსესა და ეტყოდა: ვცო-
დეთ, რამეთუ ძჯრსა ვიტყოდეთ უფლი-
სათჳს და შენთჳს. ილოცე აწ უფლისა
მიმართ და განგუეყენენ ჩუენგან გუ-
ელი ესე. და ილოცა მოსე უფლისა მი-
მართ ერისა მისთჳს.8 და ჰრქუა უფალ-
მან მოსეს: ქმენ შენ გუელი და დადევ
იგი საზღვარსა ზედა. და იყოს, უკბინოს
თუ გუელმან კაცსა, ყოველმან კბენილ-
მან, რომელმან იხილოს იგი, ცხონდეს.
9 და ქმნა მოსე გუელი რვალისაჲ და
აღმართა იგი საზღვართა ზედა. და იყო,
რაჟამს უკბინის გუელმან კაცსა, და
მიჰხედის გუელსა მას რვალისასა და
ცხონდის.

10 და იძრნეს ძენი ისრაელისანი და
დაიბანაკეს უბოთსა; 11 და იძრნეს უბო-
თით და დაიბანაკეს აქალგას, წიაღ
უდაბნოსა, რომელ არს პირისპირ მოაბ-

AK

თქუა: უკუეთუ მოსცე ერი ესე ჴელსა
ჩემსა, შეჩუენებულ ვყო იგი და ქალაქ-
ნი მისნი. 3 და ისმინა უფალმან ქმაჲ
ისრაელისა და მოსცა ქანანელი იგი კე-
ლსა მისსა. და შეჩუენებულ ყო იგი და
ქალაქნი მისნი, და ხადეს [280] ადგილ-
სა მას „შეჩუენება“.

4 და წარიტრნეს ორ მთით გზასა
ზღჳსა მეწამულისასა და გარე-მოელეს
ქუეყანაჲ ედომისაჲ. და სულმოკლე იქ-
მნა ერი იგი გზასა ზედა 5 და ძჯრსა
იტყოდა ღმრთისა მიმართ და მოსესთჳს
და იტყოდეს: რაჲსათჳს გამოგჳყუანენ
ჩუენ ეგჳპტით მოწყუედად ჩუენდა
უდაბნოსა ამას, რამეთუ არა არს პური,
არცა წყალი? რამეთუ სულსა ჩუენსა
მოეწყინა პური ესე ცუდი. 6 და მოუვ-
ლინა უფალმან ერსა მას გუელი მომ-
სრველად და უკბენდა ერსა მას და მო-
ისრა ერი მრავალი ძეთაგან ისრაელისა-
თა. 7 და მოვიდა ერი იგი მოსესა და
ეტყოდეს: ვცოდეთ, რამეთუ ძჯრსა ვი-
ტყოდეთ ღმრთისა მიმართ და შენთჳს.
აწ უკუე ილოცე უფლისა მიმართ, რა-
ჲთა მოგჳსპოს ჩუენგან გუელი ესე. და
ილოცა მოსე წინაშე უფლისა ერისა
მისთჳს. 8 და ჰრქუა უფალმან მოსეს:
ქმენ შენ გუელი რვალისა და დადგი
იგი მაღალსა ზედა. და იყოს, რაჟამს
უკბინოს კაცსა გუელმან, ყოველმან
გუელკბენილმან იხილოს იგი და ცხოვ-
ნდეს. 9 და ქმნა მოსე გუელი რვალი-
საჲ *და დადგა იგი მაღალსა ზედა. და
არნ, რაჟამს უკბინის კაცსა გუელმან,
მიხედის გუელსა მას რვალისასა და
ცხონდის.

10 და წარმოვიდეს მიერ ძენი ისრა-
ელისანი და მოვიდეს სობოთად; 11 და
წარმოვიდეს [v] სობოთით და დაიბანა-
კეს აბარიმს, წინა კერძო უდაბნოსა მას,

AK: 2 ვყო]იყო A. 3 იგი 2°+ჴელსა მისსა K. 4 ჴყ˜ნა A. 5 ეტყოდა A. და მოსესთჳს—K. 6 ძეთა K. 7 მოგუსპოს A. მოსე—K. 8 იყო K. რვალისა A. 9 უკბინოს A. 11 აბარიმს]აქილსეინს გეინს K. (K-ს წაკითხვა A-ში გადასაზულია, „აბარიმს“ ჩაწერილია სხვა ხელით),

* A-ში კიდეზე მხედრულით წერია: „მოსემ რომ გველი ამაღლ“...

B

მო-თუ-მცე ერი ესე ჴელთა ჩემთა, შეჩუენებულ ვყო იგი, ქალაქები მათი. 3 და ისმინა უფალმან ჴმაჲ ისრაელისა და მისცა ქანანი ჴელთა მისთა. და შეჩუენებულ ჰყო იგი და ქალაქები მისი, და უწოდა ადგილსა მას სახელი „შეჩუენებულ“.

4 და იტრნეს ორით მთით გზით ზღუთ კერძო ერუთრად და გარე-შევლეს ქუეყანა ედომისა. და სულმოკლე იქმნა ერი იგი გზასა ზედა 5 და ძჯრსა იტყოდა ერი იგი ღმრთისა მიმართ და მოსესა და ჰრქუეს: რაჲსათჳს გამომიყვანენ ჩუენ ეგჳპტით მოსრვად უდაბნოსა ამას, რამეთუ არა არს პური, არცა წყალი? სულსა ჩუენსა მოეწყინა პური ესე ცუდი. 6 და მოუვლინა უფალმან ერსა მას გუელი მომსრველი და უკბენდა ერსა მას, და მოისრა ერი მრავალი ძეთა ისრაელისა[თაჲ]. 7 და მოვიდა ერი იგი მოსესა და ეტყოდეს: ვსცოდეთ, რამეთუ ძჯრსა ვიტყოდეთ უფლისათჳს და შენთჳს. ილოცე აწ ღმრთისა მიმართ და განგუეყენენ ჩუენგან გუელი ესე. და ილოცა მოსე უფლისა მიმართ ერისა მისთჳს. 8 და ჰრქუა უფალმან მოსეს: ჰქმენ შენ გუელი და დადევ იგი საზღუართა ზედა, და იყოს, უკბინოს თუ გუელმან კაცსა, ყოველმან კბენილმან, რომელმან იხილოს, ცხოვნდეს. 9 და ქმნა მოსე გუელი რვალისაჲ და აღმართა იგი საზღვართა ზედა. და იყო, რაჟამს უკბინის გუელმან მან კაცსა, და მიხედის გუელსა მას რვალისასა და ცხონდის.

10 და იძრნეს ძენი ისრაელისანი და დაიბანაკეს ობოთს; 11 და იძრნეს ობოთით და დაიბანაკეს აქალაგს, წიაღ უდაბნოს, რომელ არს პირისპირ მოაბსა, აღმოსავალით კერძო მზისათ;

G

მომცე ერი ესე ჴელის ქუეშედ, შეჩუენე(164)ბულ ვყო იგი და ქალაქნი მისნი. 3 და ისმინა მათი და მისცა ქანანი ჴელსა ქუეშე მათსა. და შეჩუენებულ ყო იგი და ქალაქნი მისნი [v], და უწოდა სახელი ადგილისაჲ მის „შეჩუენება“.

4 და იტრნეს მთით ორით გზასა ზღუთ კერძო მეწამულით, გარე-შემველელნი ქუეყანასა ედომისასა. და სულმოკლებდა ერი გზასა ზედა 5 და ძჯრსა იტყოდა ერი ღმრთისა მიმართ და მოსესთჳს, იტყოდეს: რაჲსათჳს გამომიყვანენ ჩუენ ეგჳპტით მოსრვად ჩუენდა უდაბნოს ზედა, რამეთუ არა არს პური, არცა წყალი? ხოლო სულმან ჩემმან მოიწყინა პური ესე ცუდი. 6 და მოუვლინნა უფალმან ერსა გუელნი მომსრველნი და უკბენდეს ერსა, და მოისრა ერი მრავალი ძეთაგან (v) ისრაელისათა. 7 და მოვიდა ერი მოსესსა და იტყოდა: ვცოდეთ, რამეთუ ძჯრსა ვიტყოდეთ ღმრთისათჳს და შენთჳს. ილოცე უკუე უფლისა მიმართ და მოისპენ ჩუენგან გუელი. და ილოცა მოსე უფლისა მიმართ ერისათჳს. 8 და ჰრქუა უფალმან მოსეს: უქმენ თავსა შენსა გუელი, დადევ (165) იგი სასწაულსა ზედა, და იყოს, [71] და უკუეთუ უკბინოს კაცსა, ყოველი კბენილი, მიმხედველი მისი, ცხოვნდეს. 9 და შექმნა მოსე გუელი რვალისაჲ და აღჰმართა იგი სასწაულსა ზედა. და იყ(v)ის, რაჟამს უკბინის გუელმან კაცსა, და მიჰხედნის გუელსა რვალისასა და ცხო(166v)*ვნდის.

10 [v] და იტრნეს ძენი ისრაელისანი და დაიბანაკეს ობოთს; 11 და იტრნეს ობოთით ხალხაის, წიაღ კერძო უდაბნოს შინა, რომელ არს პირისპირ მოაბ-

---

B: 6 წყალი bis. 9 მომსურველი. 8 კბენილმან]კრებულმან.
G: 6 მოუვლინა Ga. 8 და 2°—Ga.
* 166 r-ზე კომენური ტექსტი არ არის.

S

სა, აღმოსავალით კერძო მზისაჲთ; 12 მიერ იძრნეს და დაიბანაკეს კევსა სარედისასა; 13 მიერ იძრნეს და დაიბანაკეს მიერ წიაღ არნუნსა, უდაბნოსა, რომელ გამოვლეს საზღვართაგან ამორეველთაჲსა, რამეთუ არნუნი საზღვარი მოაბელთაჲ არს და არს საშუვალ ამორეველისა. 14 ამისთჳს თქუმულ არს წიგნსა

ბრძოლაჲ იგი უფლისა: ზუობი მოწუა

და კევნი არნონისანი,

15 და კევნი დაამტკიცნა დამკჳდრებად ერისა

და ახს საზღვართა მოაბისათა.

16 და მუნ იყო ჯურღმული, ესე ჯურღმული, რომლისათჳს ჰრქუა უფალმან მოსეს: შეკრიბე ერი ეგე და ვსცე მათ წყალი სუმად.

17 მაშინ გალობდა ისრაელი გალობასა ამას ჯურღმულსა მას ზედა.

18 წინამძღუართა მისთა თხარეს (18) ჯურღმული, მთავართა აღმოკოდეს იგი, მეუფეთა წარმართთა მეუფებასა მათსა, რაჟამს ეუფლებოდეს მათ.

და ჯურღმულით — მანთანაინდ 19 და მანთანაით — მანანაწლდ და მანანაწლით — ბაბუოთდ. 20 და ბამოოთით — იანდ, თავი(ს) რომელ არს ველსა მოაბისასა, თავით გამოთლილით, რომელ ხედავს პირსა უდაბნოჲსასა.

21 და წარავლინნა მოსე მოციქულნი სიონ მეფისა ამორეველთაჲსა სიტყჳთა მშჳდობისაჲთა (22) და ჰრქუა: 22 განველო ქუეყანა შენი, გზაჲ განვლო, არა მივაქციოთ აგარაკსა შენსა, არცა ვენაჯთა შენთა, არა ვსუათ წყალი ჯურღმულისა შენისაჲ, გზაჲ სამეუფოჲ განAK

რომელ არს წინაშე პირსა მოაბისასა, მზის აღმოსავალით; 12 და მიერ წარმოვიდეს და დაიბანაკეს ღელესა მას ჰარედისასა; 13 და მიერ წარმოვიდეს და დაიბანაკეს წიაღ კერძო აჰრონსა, უდაბნოსა მას, რომელი გამომატებულ არს საზღვართა მათ ამორეველთასა, რამეთუ არს არნონი საზღვარი მოაბისაჲ, შორის მოაბსა და შორის ამორევსა. 14 ამისთჳს თქუეს წიგნსა

ბრძოლისა უფლისასა: ზოოფი მოწუა...

15 და კევნიცა იგი დააწყნარნა დამკჳდრებად მუნ კაცი

და თანა არს საზღვართა მოაბისათა.

16 და მიერ კერძო ჯურღმულსა, ესე იგი ჯურღმული არს, რომელსა ჰრქუა უფალმან მოსეს: შეკრიბე ერი და მოვსცე მათ წყალი სუმად.

17 მაშინ აქებდა ისრაელი ქებასა ამას ჯურღმულსა მას ზედა და თქუეს: აუარებდით მას.

18 ...ჯურღმული მოთხარეს, მთავართა აღმოჰკუეთეს იგი, მეფეთა წარმართთა სუფევასა მათსა.

და მიერ ჯურღმულით მოვიდეს მანთანიდ 19 და მანთანით — ნაქელდ და ნაქელით — გამოთდ 20 და გამოთით — ნაპედ, რომელ არს ველსა მოვაბისასა, თხემისა მისგან მთისა გამოუეთილისა, რომელი ხედავს წინაშე პირსა უდაბნოსასა.

21 [281] და წარავლინნა მოსე მოციქულნი სეონ მეფისა ამორეველთასა *სიტყჳთა მშჳდობისათა და ჰრქუა: 22 წარვლოთ ქუეყანით შენით გზა და წარვიდეთ, არა მივაქციოთ მარჯულ, არცა მარცხლ, არცა ყანასა, არცა ვენაჯსა შენსა, არცა ვსუათ წყალი ჯურ-

---

S: 12 არნუსი. 19 მანთანაწლდ.

AK: 12 აჰრონსა]ჰარონსაჲ K. არნონისა A, არონისა K. შორის 1°....ამორევსა—K. მოაბსა K. 16 ~უფლისა ბრძოლისასა K. 19 მოაბისთა K. 18 მთავართა და K. 19 მანთანიდ AK. 20 მთისა]მთ′ისა K. 21 სიონ A. 22 გზა—A.

* A-ში კიდეზე მხედრულით წერია: „სეონ, მეფე ამორევ".

B

12 მიერ იძრნეს და დაიბანაკეს ჴევსა სარედისასა; 13 მიერ იძრნეს და დაიბანაკეს წიაღ არნუნსა, უდაბნოს, რომელ გამოუწევს საზღვართაგან ამორეველთასა, რამეთუ არნონი საზღვარი მოაბელთა არს და საშუალ მოაბისა და ამორეველისა. 14 ამისთჳს თქმულ არს წიგნსა

ბრძოლა იგი უფლისაჲ: ზოობი მოწუვა

და ჴევნი არანისანი,

15 [და ჴევნი] დაამტკიცნა დამკჳდრებად ერისა

და ახს საზღვართა მოაბისათა.

16 და მუნ იყო ჯურღმული, ესე არს ჯურღმული, რომლისათჳს ჰრქუა უფალმან მოსეს: შეჰკრიბე ერი ეგე და ვსცე მათ წყალი სუმად.

17 მაშინ გალობდა ისრაელი გალობასა ამას ჯურღმულსა მას ზედა.

18 წინამძღუართა მისთა თხარეს ჯურღმული, მთავართა აღმოუკოდეს იგი მეფეთა წარმართთა მეფობასა მათსა, რაჟამს ეუფლებოდეს მათ.

ჯურღმულით — მანთანაელად 19 და მანთანელით — ნაადიელს და ნაადიელისაგან — ბაბოთად, 20 ბაბოთით — ინანად, რომელ არს ველსა მოაბისასა, თავით გამოთლილით, რომელ ჰხეყავს პირსა უდაბნოსასა.

21 და წარავლინნა მოსე მოციქულნი სეონ მეფისა ამორეველთასა სიტყჳთა მშჳდობისათა და ჰრქუა: 22 განვლო ქუეყანა შენი, გზაჲ განვლო, არა მივიქცე აგარაკთა შენთა, არცა ვენაჯთა შენთა, არა ვსუა წყალი ჯურღმულისა

G

სა, აღმოსავალით კერძო; 12 მიერ იტრნეს და დაიბანაკეს ჴევსა ზარედისასა; 13 და მიერ იტრნეს და დაიბანაკეს წიაღ არნონსა, უდაბნოს შინა, რომელი გამოაწევს საზღვრისაგან აღმორეველთაჲსა, რამეთუ არს არნონი საზღვარი მოაბისაჲ და საშუალი მოაბისაჲ და საშუალი აღმორეველისაჲ. 14 ამისთჳს თქუმულ არს წიგნსა შინა

ბრძოლაჲ უფლისაჲ: ზოოვი მოალა და ნაღუარევნი არნონისანი,

15 და ნაღუარევნი დაუმტკიცნა დამკჳდრებად ერს

და ახს საზღვართა მოაბისათა.

16 და მუნით ჯურღმული, ესე არს ჯურღმული, რომელ თქუა უფალმან მოსეს მიმართ: შეკრიბე ერი და მივსცე მათ წყალი (167) სუმად.

17 მაშინ იგალობა ისრაელმან გალობაჲ ესე ჯურღმულსა ზედა.

18 და იწყო იგი ჯურღმული, აღმოთხარეს იგი, მთავართა აღმოჰკუეთეს იგი მეფეთა წარმართთასა მეფობასა შინა მათსა და უფლებასა შინა მათსა.

და ჯურღმულით — მანთანინს 19 და მანთანინით — ნაალიილს და ნა[72]ალიილით — ბამოთს 20 და ბამოთით — ნაპინს, რომელ არს ველსა მოაბისასა თხემითგან გამოთლილისაჲთ, რომელი ჰხედავს პირსა უდაბნოჲსასა.

21 და წარავლინა მოსემან მოციქული სიონის მიმართ, მეფისა აღმორეველთაჲსა, სიტყჳთა მამშჳდებელებითა, მეტყუელმან: 22 განვლოთ ქუეყანით შენით, გზაჲ განვლოთ, არა მიუქციოთ არცა აგარაკისა მიმართ, არცა ვენაკისა, არცა ვსუათ წყალი

B: 12 არნონი]აჰრონისი. 15 ერისა]არისა. მოაბისათა. 18 მისთა+ჯურღმულსა. 20 ბაბოთით]ბაბოთად.

S

ველოთ ვიდრე გარდასლვადმდე საზღვართა შენთა. 23 და არა სცა სიონ ისრაელსა განსლვად საზღვრით მისით. და შეკრიბა სიონ ყოველი ერი თჳსი და გამოუკდა ბრძოლად ისრაელსა უდაბნოდ და მოვიდა იასარდ და ეწყო ისრაელსა. 24 და სძლო მას ისრაელმან მოსრვად მახჳლითა და ეუფლა ქუეყანასა მისსა არნუნითგან მიიაბუკდმდე და ვიდრე ძეთა ამანისთადმდე, რამეთუ იაზერ საზღვარი არს ამმანისთაჲ. 25 და დაიპყრა ისრაელმან ყოველი ქალაქები ესე. და დაეშენა ისრაელი ყოველსა შინა ქალაქებსა ამორეველთასა, ესებონს შინა და ყოველთა შინა მოსაზღურეთა მისთა. 26 რამეთუ ესებონი ქალაქი სერონისი არს, მეფისა ამორეველთაჲსაჲ, და ამან ჰბრძო მეფესა ამორეველთასა წინა და დაიპყრა ყოველი ქუეყანაჲ მისი არუ-Ⴝრითგან მიაონუნდმდე. 27 ამისთჳს თქჳან მეიგავეთა:

მოვედით ესებონდ,

რაჲთა აღეშენოს და განეგოს ქალაქი სიონისი.

28 რამეთუ ცეცხლი გამოჴდა ესებონით,

ალი ქალაქით სიონისით

და შეჭამა მოაბდმდე,

შთათქნა ძეგლნი არნუნისნი.

29 ვაჲ შენდა, მოაბ,

წარსწყმიდე ერი ქამონისი,

მიეცნეს ძენი მათნი, ივლტოდეს

და ასულები მათი ტყუე იყოს

მეფისა ამორეველთაჲსა სიონისი.

30 და ნათესავი მათი წარწყმდეს ესებონდ მიდებონდმდე,

და დედებმან მათმან უფროჲს აღაგზნეს ცეცხლი მოაბსა ზედა.

AK

ღმულთაგან შენთა. გზაჲ სამეუფოჲ წარვლოთ ვიდრემდე წარვლნეთ საზღვარნი შენნი. 23 და არა ინება სეონ წარსლვად ისრაელისა საზღვართაგან მისთა. და შეკრიბა ყოველი ერი თჳსი და გამოვიდა სეონ წყობად ისრაელისა უდაბნოდ და მოვიდა იგი იასად და ეწყო ისრაელსა. 24 და მოსრა იგი ისრაელმან პირითა მახჳლისათა და ეუფლნეს ქუეყანასა მისსა არნონითგან ვიდრე იაბოკდმდე და ვიდრე ძეთადმდე ამონისთა. 25 და დაიპყრა ისრაელმან ქალაქები ესე. და დაემკჳდრა ისრაელი ყოველსა და ქალაქებსა ამორეველთასა, ესებონს შინა და ყოველსავე საბრძანებელსა მისსა. 26 რამეთუ არს ესებონი ქალაქი სეონისი, მეფისა ამორეველთასა, და მან ჰბრძო მეფესა მოაბისასა პირველ და მოუღო ყოველივე ქუეყანაჲ მისი აროორითგან ვიდრე არნონადმდე. 27 ამისთჳს თქუეს იგავის-მეტყუელთა:

მოვედით ესებონადმდე,

რაჲთა აღეშენოს და განემზა[v]დოს ქალაქი სეონისი.

28 რამეთუ ცეცხლი გამოჴდა ესებონით,

ალი ქალაქისაგან სეონისა

და შეჭამა ვიდრე მოაბადმდე

და შთანთქნა ძეგლნი არნონისნი.

29 ვაი შენდა, მოაბ,

რამეთუ წარსწყმიდე ერი ქამოსისი,

მიეცნეს ძენი მათნი განძარცუად

და ასული მათი — ტყუედ

მეფესა ამორეველთასა სეონს.

30 და ნათესავი მათი წარწყმდეს — ესებონი ვიდრე დებონადმდე,

დედათა უფროს აღაგზნეს ცეცხლი მოაბსა ზედა.

S: 24 მიაბუკდმდე. 26 სეონისი]სერუნისი. ამან ჰბრძო]ამას ჰბრძოდა. 27 მეიგავეთა]მე იგჳითა. 28 ძეგლნი]ძენი. 29 მიეცნეს]მიეცა. ეელტოდეთ.

AK: 22 წარვლნეთ]წარაელინეთ K. 24 იაბოკოდმდე K. 25 ყოველსა]შ-ს K. მისსა—K. 26 ქყნა A. 28 არონისნი A. 29 წარსწყმდი AK.

B

შენისა, გზაჲ სამეუფო განვლოთ ვიდრე გარდასულადმდე საზღვართა შენთა. 23 და არა სცა სეონ გზაჲ ისრაელსა განსლვად საზღვარით მისით. და შეკრიბა სეონ ყოველი ერი თჳსი და გამოჰჴდა ბრძოლად ისრაელისა უდაბნოდ, და მოვიდა ასერად და ეწყო ისრაელსა. 24 და სძლო მას ისრაელმან მოსრვად მახჳლითა და ეუფლა ქუეყანასა მისსა არნუნითგან მიაბოკადმდე და ვიდრე ძეთა ამანისთამდე, რამეთუ იაზერ საზღუარი არს ძეთა ამმანისთა. 25 და დაიპყრა ისრაელმან ყოველი ქალაქები ესე. და დაეშენა ისრაელი ყოველსა ქალაქებსა შინა ამორეველთასა, ესჳბონს შინა და ყოველთა საზღვართა მისთა. 26 რამეთუ ესებონი ქალაქი არს მეფისა ამორეველთასა, და ამან ჰბრძო მეფესა მოაბისასა პირველ და დაიპყრა ყოველი ქუეყანა მისი არერითგან მიარონადმდე. 27 ამისთჳს თქჳან მეიგავეთა:

მოვიდეთ ესებონად,

რაჲთა აღეშენოს და განეგოს ქალაქი სეონისი.

28 რამეთუ ცეცხლი გამოჰქდა ესებონით,

ალი ქალაქით სეონისით

და შეჭამა მოაბადმდე

და შთანთქნა სუეტნი არნუნისნი.

29 ვაჲ შენდა, მოაბ,

წარსწყმიდე ერი ქამოსისი,

მიეცნეს ძენი მათნი, იღტოდეს

და ასულები მათი ტყუე იყოს

მეფისა ამორეველთასა სეონისი.

30 და ნათესავი მათი წარწყმდეს ესებონით მიდებონადმდე,

G

ჯურღმულთაგან შენთა, გზაჲ სამეფოჲ ვლოთ, ვიდრემდის წარვიდეთ საზღვართაგან შენთა. 23 და არა მისცა სიონ ისრაელსა განსავალი საზღვრით მისით. და შეიკრიბა სიონ ყოველი ერი მისი და განვიდა წინა-განწყობად ისრაელისა უ(v)დაბნოს, და მოვიდა იასად და წყობა-სცა ისრაელსა. 24 და დასცა იგი ისრაელმან კლვითა მახჳლისაჲთა და ეუფლნეს ქუეყანასა მისსა არნონითგან იაბოკადმდე, ვიდრე ძეთა ამმანისთადმდე, რამეთუ იაზირი საზღვარი ძეთა ამმანისთაჲ არს. 25 და მოიპყრნა ისრაელმან ყოველნი ესე ქალაქნი. და დაიმკჳდრა ისრაელმან ყოველთა შინა ქალაქთა ამორეველთასა, ესებონს შინა და ყოველთა შინა მოსაზღვრეთა მისთა. 26 რამეთუ არს ესებონი ქალაქი სიონისი, მეფისა ამორეველთაჲსაჲ, და ესე ებრძოლა მეფესა მოაბისასა პირველ და დაიპყრა ყოველი მისი აროირითგან ვიდრე არნონადმდე. 27 ამისთჳს თქჳან მეიგავეთა:

მოვედით (168) ესებონდ,

რაჲთა აღეშენოს და განეგოს ქალაქი სიონისი.

28 რამეთუ ცეცხლი გამოვიდა ესებონით,

ალი ქალაქით სიონისით

და შეჭამა ვიდრე მოაბადმდე

და შთანთქნა ძეგლნი არნონისნი.

29 ვაჲ შენდა, მოაბ,

წარსწყმიდე ერი ქამოსისი,

მიეცნეს ძენი მათნი სალტოლველად

და ასულნი მათნი ტყუედ

მეფესა ამორეველთასა სიონს.

30 და თესლი მათი წარწყმდა ესებონით ვიდრე დებოდმდე,

და დედებმან მათმან მერმეცა მოაგზნეს ცეცხლი მოაბსა ზედა.

B: 23 შაკრიბა. უდაბნოთ. 24 მოსურვად. არს]არ~ნ. ამმონისთა. 27 გსებონად. 28 გსებონით. 29 მიეცნეს]მცა. იღტოდეთ. იყოს. მეფესა. 30 გსებონად.

G: 29 წარსწყმდი Ga.

S

31 ხოლო დაეშენა ისრაელი ყოველთა ქალაქებთა ამორეველთასა. 32 და წარავლინა მოსე მოხილვად იაზერისა, და დაიპყრეს იგი და დაბნები მისი და გამოჰკადეს ამორეველი იგი, რომელ მკჳდრ იყო მუნ. 33 და მოაქციეს და აღვიდეს გზასა ბასანისასა. და გამოვიდა ოგ, მეფე ბასანისაჲ, წინა შემთხუევად მათა, თავადი იგი და ყოველი ერი მისი ბრძოლად ედრაინს. 34 და ჰრქუა უფალმან მოსეს: ნუ გეშინინ მისგან, რამეთუ ჴელთა შენთა მიმიცემიეს იგი და ყოველი ერი მისი და ყოველი ქუეყანა მისი, და უყავ მას, ვითარცა-იგი უყავ სეონ მეფესა ამორეველთასა, რომელ შენ იყო ესებონს შინა. 35 და მოკლა იგი და ძენი მისნი და ყოველი ერი მისი და არა დაუტევა მისი განრინებული, და დაიმკჳდრეს ქუეყანა მათი.

AK

31 და დაემკჳდრა ისრაელი ყოველსა მას ქალაქებსა ამორეველთასა. 32 *და წარავლინნა მოსე განმსტრობად იაზერისა, და დაიპყრეს იგი და დაბნები მისი და გამოასხეს ამორეველი იგი, დამკჳდრებული მას შინა. 33 და მოაქციეს და აღვიდეს გზასა მას ბასანით. და გამოვიდა ოგ, მეფე ბასანისა, *წყობად მათა, იგი და ყოველი ერი მისი ბრძოლად ედრაინად. 34 და ჰრქუა უფალმან მოსეს: ნუ გეშინინ მაგისა, რამეთუ ჴელთა შენთა მოგცე იგი და ყოველი ერი მისი და ყოველი ქუეყანა მისი, და უყავ მას, ვითარცა უყავ სეონს, მეფესა აღმორეველთასა, რომელი დამკჳდრებულ იყო ესებონს. 35 და მოკლა იგი და ძენი მისნი და ყოველი ერი მისი, ვიდრემდე არა დაშთა მისი განრინებული, და დაიმკჳდრეს ქუეყანა მათი.

თავი XXII

1 და იტრნეს ძენი ისრაელისანი და დაიბანაკეს დასავალით კერძო მოაბსა, იორდანესა ზედა, იერიქოჲთ კერძო.

2 და იხილა ბალაკ, ძემან სეფორისმან, ყოველი რაჲცა-იგი უყო ისრაელმან ამორეველსა. 3 და შეეშინა მოაბსა ერისა მისგან ფრიად, რამეთუ მრავალ იყუნეს, და ზარ-ჰქდა მოაბსა პირისაგან ძეთა ისრაელისათაჲსა. 4 და ჰრქუა მოაბ მოხუცებულთა მადიამისათა: აწ აღლოშოს კრებულმან ამან ყოველი გარემოჲს ჩუენსა, ვითარცა აღლოშის ზრომან მწუანე ველისაგან. და ბალაკ, ძე სეფორისი, მეფე მოაბისაჲ იყო მას ჟამ-

1 და წარმოვიდეს ძენი ისრაელისანი [282] მიერ და დაიბანაკეს დასავალით მოაბსა, იორდანესა ზედა, იერიქოთ კერძო.

2 და იხილა ბალაკ, ძემან სეფორისმან, ყოველი, რაოდენი უყო ისრაელმან ამორეველსა მას. 3 შეეშინა მოაბსა ფრიად ერისა მის, რამეთუ მრავალ იყუნეს, და მოეწყინა პირისაგან ძეთა ისრაელისათა. 4 და ჰრქუა მოხუცებულთა მადიამისათა: აწ მოძროს კრებულმან ამან ყოველივე გარემო ჩუენსა, ვითარცა-იგი მოძოვის ზრომანმ მდელო ველისა. და ბალაკ, ძე სეფორისი, მეფე იყო მოაბსა ზედა მათ ჟამ-

---

AK: 34 ესებჲნს A. XXII,1 მუხლი 1]—K. 3 იყუნეს A. 4 მოძოის K. ველისა]ლელისა AK.

* აქედან 35-ე მუხლამდე (ჩათვლით) K ხელნაწერს აკლია.

* A-ში კიდეზე მხედრულით წერია: „ოგ მეფე ბასანისა“.

B

და დედებმან მათმან უფროს აღაგზნეს ცეცხლი მოაბსა ზედა.

31 ხოლო ისრაელი დაეშენა ყოველთა ქალაქებთა ამორეველთასა. 32 და წარავლინა მოსე მოხილვად იეზერისა, და დაიპყრა იგი [და] დაბნები მისი და გამოჰკადეს ამორეველი იგი, რომელ დამკჳდრებულ იყო მუნ. 33 და ბრიქცუ და აღვიდეს გზასა ბასანისასა. და გამოვიდა ოგ, მეფე ბასანისა, წინა მთხუევად მათდა, თავადი იგი და ყოველი ერი მისი ბრძოლად ედრაინს. 34 და ჰრქუა უფალმან მოსეს: ნუ გეშინინ მისგან, რამეთუ ჴელთა შენთა მივეც იგი და ყოველი ერი მისი და ყოველი ქუეყანა მისი, და უყავ მას, ვითარცა-იგი უყავ სეონ მეფესა ამორეველთასა, რომელ მკჳდრ იყო ესებონს შინა. 35 და მოკლა მეფე იგი და ძენი მისნი და ყოველი ერი მისი და არა დაუტევა მისი განრინებული, და დაიმკჳდრეს ქუეყანაჲ მათი.

G

31 ხოლო დაემკჳდრა ისრაელი ყოველთა შინა ქალაქთა აღმორეველთასა. 32 და წარავლინა მოსე განმსტუროზად იაზირისსა, და დაიპყრა იგი და დაბნები მისი და გამოჰკადეს აღმორეველი [v] იგი, მყოფი მუნ. 33 და მიაქციეს და აღვიდეს გზასა ბასანისაჲ. და გამოვიდა ოგ, მეფე ბასანისაჲ, შემთხუევად მათდა, და ყოველი ერი მისი ბრძოლად ედრაინს. 34 და ჰრქუა უფალმან მოსეს: ნუ გეშინინ მისგან, რამეთუ ჴელთა შენთა მივეც იგი და ყოველი ერი მისი და ყოველი შესაკრებელი მისი, და უყავ მას, ვითარცა-იგი უყავ სიონს, მეფესა აღმორეველთასა, რომელი მკჳდრ იყო ესებონს შინა. 35 და დასცა იგი და ძენი მისნი და ყოველი ერი მისი ვიდრე არა დაშთომა(v)დმდე მათგან ცოცხლისა, და დაიმკჳდრეს ქუეყანაჲ მათი.

თავი XXII

1 და იძრნეს ძენი ისრაელისანი და დაიბანაკეს დასავალით კერძო მოაბსა, იორდანესა თანა, იერიქოს მიმართ.

2 და იხილა ბალაკ, ძემან სეფრონისმან, ყოველი იგი, რაჲცა უყო ისრაელმან ამორეველთა. 3 და შეეშინა მოაბსა ერისა მისგან ფრიად, რამეთუ მრავალ იყუნეს, და ზარი-განკჳდა მოაბსა პირისაგან ძეთა ისრაელისათასა. 4 და ჰრქუა მოაბ მოხუცებულთა მადიამისათა: აწ აღლოშოს კრებულმან მან ყოველი გარემოს ჩუენსა, ვითარცა აღლოშნის ზროხამან მწუანვილისაგან. და ბალაკ, ძე სეფორისი, მეფე მოაბისა იყო მას

1 და იტრნეს ძენი ისრაელისანი და დაიბანაკეს დასავალით კერძო მოაბსა, მახლობელად იორდანისა, იერიქოდ მიმართ.

2 და იხილნა ბალაკ, ძემან სეპფორისმან, ყოველნი, რაოდენნი უყუნა ისრაელმან აღმორეველსა. 3 და შეეშინა მოაბსა ერისაგან ფრიად, რამეთუ მრავალ იყუნეს, და მოწყინე იქმნა ბალააკ პირისაგან ისრაელისა. 4 და თქუა მოაბ ბერობისა მიმართ მადიამელთაჲსა: აწ აღლოშნეს შესაკრებელმან ამან ყოველნი გარემოჲსნი ჩუენნი, ვითარცა აღლოშნის ზუარაკმან მწუანვილნი ველისაგან. და ბალაკ, ძე სეპფორისი, მეფე მოაბისაჲ იყო მას ჟამსა ოდენ.

B: 34 გსებონს.

S

სა ოდენ. 5 და მიავლინნა მოციქულნი ბალაამისსა, ძისა ბეორისსა, ფათურაჲსსა, რომელ არს მდინარესა ზედა, ქუეყანასა ზედა ძეთა ერისა თჳსისათა, მოხადად მისა და რქუმად მისა: აჰა ესერა ერი გამოჴდა ეგჳპტით, აჰა ესერა დაფარა პირი ქუეყანისაჲ, და ესე დაღგრომილ არს მახლობელად ჩემსა. 6 და აწ მოვედ და წყევე ერი ესე, რამეთუ უძლიერეს არს ესე ჩემსა; უძლოთ ხოლო თუ მოსრვად მათგანთა და განვასხნეთ იგინი ქუეყანით, რამეთუ უწყი, რომელნი აკურთხნი შენ, კურთხეულ არიედ და რომელნი სწყევნი შენ, წყეულ არიედ. 7 და წარვიდეს მოხუცებულნი მადიამისანი და სამისნველნი ჴელთა შინა მათთა, და მოვიდეს ბალაამისსა და უთხრნეს მას სიტყუანი ბალააკისნი. 8 და ჰრქუა მათ: დაადგერით მწუხრად და მიგეთხრას თქუენ საქმე, რომელ თქუას უფალმან ჩემდამო. და იყვნეს მთავარნი იგი მოაბისანი ბალაამის თანა. 9 და მოვიდა ღმერთი ბალაამისსა და ჰრქუა მას: ვინ არიან ჴაცნი ესე შენსა? 10 და ჰრქუა ბალაამ ღმერთსა: ბალააკ, ძემან სეფორისმან, მეფემან მოაბისმან, მოავლინნა იგინი ჩემდა და თქუა: 11 აჰა ესერა ერი გამოსრულ არს ეგჳპტით და დაუფარავს პირი ქუეყანისაჲ და ესერა დადგრომილ არს მახლობელად ჩემსა, და აწ მოვედ და სწყევე მას, უძლო ხოლო თუ მოსრვად. 12 და ჰრქუა ღმერთმან ბალაამს: არა შეხჳდე მათ თანა, არცაღა სწყეო ერი იგი, რამეთუ კურთხეული არს. 13 და აღდგა ბალაამ განთიად, ჰრქუა მთავართა მათ ბალაკისთა: წარვედით

AK

თა ოდენ. 5 და მიავლინნა მოციქულნი ბალაამისა, *ძისა ბეორისა, ფათურასა, რომელ-იგი იყო მდინარესა ზედა, ქუეყანასა ძისა ერისა მისისასა, მოხადიდ მისა და ჰრქუა: აჰა ესერა ერი გამოვიდა ეგჳპტით და დაფარა პირი ქუეყანისაჲ და ესენი არიან მახლობელად ჩემსა. 6 აწ მოვედ და მიწყევე მე ერი ესე, რამეთუ ესენი უძლიერეს არიან ვიდრე ჩუენ; გინც ხოლო თუ მოვსრა მათგანი და განვასხნე იგინი ქუეყანით ჩემით, რამეთუ ვიცი, რომელნი აკურთხნი, კურთხეულ არიედ და რომელნი სწყევნი, წყეულ არიედ. 7 და წარვიდეს მოხუცებულნი მოაბისანი და მოხუცებულნი მადიამისანი და სამისნობელნი იგი [v] ჴელთა მათთა. და მოვიდეს ბალაამისა და უთხრეს მას სიტყუაჲ იგი ბალაკისი. 8 და ჰრქუა მათ ბალაამ: დაადგერით მანდა და გითხრა თქუენ საქმე, რომელსაცა იტყოდის ღმერთი ჩემდამო. და დაადგრეს მთავარნი იგი ბალაკისნი ბალაამის თანა. 9 და ჰრქუა ღმერთმან ბალამს: რაჲ არიან ჴაცნი ესე შენ თანა? 10 და ჰრქუა ბალამ ღმერთსა: ბალაკს, მეფესა მოაბისასა, ძესა სეფორისსა, მოუვლინებიან ეგენი ჩემდა და იტყჳს: 11 აჰა ესერა ერი გამოსრულ არს ეგჳპტით და დაუფარავს პირი ქუეყანისა და არიან მახლობელად ჩემსა, აწ მოვედ და წყევე ესენი, შეხოლო-თუ-ვითარ-უძლო მოსრვად მათგანსა და განვასხნე ქუეყანით ჩემით. 12 და ჰრქუა ღმერთმან ბალაამს: არა წარხჳდე მათ თანა, არცა სწყეო ერი იგი, რამეთუ არს იგი კურთხეულ. 13 და აღდგა ბალამ განთიად და ჰრქუა მთავართა მათ ბალაკისთა: წარვედით

S: 10 ბალაამ]ბალააკ.

AK: 5 მოციქულნი—K. ფათურაჲსა]ფარულად AK]+მოხუცებულნი K. მ:სისასა]თ~სისა K. მოხდიდ K. ჭ~ყნისა A. 6 დამიწყევე K. მე—K. გინც ხოლო თუ]ხოლო K. აკურთხნე AK. 7 მადიამისნი K. ბ~ჲალისი K. 10 ბალაჲ A. სეფორის~სა K. 11 ქუეყანისა]ყანისა A. წყევედ A. 12 ბ~ალ~ამ K.

* A-ში ქვემო კიდეზე წერია: „ამბაჲი ბალამისა“, აშიაზე: „ბალამ და ბალაკ“.

B

ჟამსა ოდენ. 5 და მიავლინნა მოციქულნი ბალაამისა, ძისა ბეორისა, ფათურასა, რომელ არს მდინარესა ზედა, ქუეყანასა ძეთა ერისა თჳსისათა, მოხდად მისა, რქუმად: აჰა ესერა ერი გამოვიდა ეგჳპტით, აჰა ესერა დაიპყრა ყოველი ქუეყანა, და ესე დადგრომილ არს მახლობელად ჩემსა. 6 და აწ მოვედ და დაწყევე ერი ესე, რამეთუ უძლიერეს არს ესე ჩემსა; უძლოთ ხოლო თუ მოსრვად მათგანთა და განვასხნეთ იგინი ქუეყანით, რამეთუ უწყნი, რომელნი აკურთხნი შენ, კურთხეულ არიან და რომელნი სწყევნი, წყეულ არიედ. 7 და წარვიდეს მოხუცებულნი მოაბისანი და მოხუცებულნი მადიამისა და სამისნელნი კელთა შინა მათთა. და მოვიდეს ბალაამისა და უთხრნეს მას სიტყუანი იგი ბალაკისნი. 8 და ჰრქუა მათ ბალამ: დადექით აქა მწუხრამდე და მე გითხრა თქუენ საქმე, რომელი თქვას უფალმან ჩემდამო. და იყუნეს მთავარნი იგი მოაბისანი ბალამის თანა. 9 და მოვიდა ღმერთი ბალამისა და ჰრქუა მას: ვინ არიან კაცნი ესე შენსა? 10 ჰრქუა ბალამ ღმერთსა: ბალაკ, ძემან სეფორისმან, მეფემან მოაბისამან, მოავლინნა იგინი ჩემდა და თქუა: 11 ესერა ერი გამოსრულ არს ეგჳპტით, დაუფარავს პირი ქუეყანისა და ესერა დადგრომილ არს მახლობელად ჩემსა. აწ მოვედ და წყევე მას, უძლო თუ ხოლო მოსრვად იგი და განვდევნოთ ქუეყანით ჩუენით. 12 და ჰრქუა ღმერთმან ბალამს: არა მიხჳდე მათ თანა, არცაღა სწყეო ერი იგი, რამეთუ კურთხეულ არს. 13 და აღდგა ბალამ განთიად და ჰრქუა მთავართა მათ ბალა-

G

5 და წარავლინა მოციქული ბალაამის მიმართ, ძისა ბეორისსა, ფათურაჲსსა, რომელ არს მდინარესა ზედა, ქუეყანისა ძეთა ერისა მისისათასა, მიწოდებად მისსა, მეტყუელმან: აჰა ერი გამოვიდა ეგჳპტით და აჰა დაფარა პირი ქუეყანისაჲ, და ესე დადგრომილ არს მახლობელად ჩემსა. 6 და აწ მოვედ და მიწყევე მე ერი ესე, [73] რამეთუ უძლიერეს ჩემსა არს; უკუეთუ უძლოთ დაცემად მათგანთა და განვასხნე იგინი ქუეყანით, რამეთუ (169) უწყი, რომელნი აკურთხნი, კურთხეულ არიედ და რომელნი სწყე(v)ვნე შენ, წყეულ არიედ. 7 და წარვიდა ბერობაჲ მოაბისაჲ და ბერობაჲ მადიამისაჲ და სამისნველნი კელთა შინა მათთა. და მივიდა ბალაამისსა და უთხრნა მას სიტყუანი ბალაკის*ნი. 8 და მან თქუა მათდა მიმართ: დაადგერით თქუენ მანდა ღამე და მიგიგნე თქუენ საქმენი, რომელნიცა თქუნეს უფალმან ჩემდა მომართ. და დაადგრეს მთავარნი მოაბისანი ბალაამის თანა. 9 (170) [74]** და მოვიდა უფალი ბალაამისსა და ჰრქუა მას: რაჲ არიან კაცნი ესე შენ თანა? 10 და თქუა ბალაამ ღმრთისა მიმ(v)ართ: ბალაკ, ძემან სეპფორისმან, მეფემან მოაბისამან, მოავლინნა ესენი ჩემდა, მეტყუელმან: 11 აჰა, ერი გამოვიდა ეგჳპტით, დაფარა პირი ქუეყანისაჲ და ესე დადგრომილ არს მახლობელად ჩემსა. აწ მოვედ, მიწყევე მე იგი, უძლო თუ სადმე დაცემად მისსა და განვკადო იგი ქუეყანით. 12 და თქუა უფალმან ბალაამის მიმართ: არა წარხჳდე მაგათ თანა, არცა სწყევო ერი, რამეთუ არს კურთხეულ. 13 და აღდგა ბალაამ განთიად და ჰრქუა მთავართა ბალაკისთა: წარ-

B: 4 ოდენ]ოდეს. 6 მოსურვად. 7 მოაბისანი]მადიამისნი. 9 მას]მათ. 13 ბალაკისთა]ბალაამისთა.

* აქ Ga ხელნაწერს აკლია ერთი ფურცელი,

** აქ გრძელდება ტექსტი Ga-ში.

S

უფლისა თქუენისა, არა მიფლო შე ღმერთმან შესლვად თქუენ თანა. [14] და აღდგეს მთავარნი იგი მოაბისანი და მიევიდეს ბალაკისა და ჰრქუეს: არა ჰნებავს ბალაამს მოსლვად ჩუენ თანა.

[15] და შესძინა მერმე ბალაკ მივლინებად მთავარნი, უმრავლესნი და უპატიოსნესნი ამათსა. [16] და მოვიდეს ბალაამისსა და ჰრქუეს მას: ესრე იტყჳს ბალაკ. ძე სეფორისი: გლოცავ შენ, ნუ გცონის მოსლვად ჩემდა. [17] რამეთუ პატიოსნად გადიდო შენ, და რაჲცა მრქუა, ვყო შენ თანა, გარნა მოვედ და წყევე ერი ესე. [18] და მიუგო ბალაამ და ჰრქუა მთავართა ბალაკისთა: მო-თუმცეს მე ბალაკ სახლი თჳსი, სავსე ოქროჲთა და ვეცხლითა, ვერ შემძლებელ ვარ გარდასლვად სიტყუასა უფლისა ღმრთისასა, დამცირებად მისა, ანუ განდიდებად გულსა შინა ჩემსა. [19] და აწ იყვენით თქუენცა ღამესა ამას და გულისხმა-ვყო, რაჲ შესძინოს უფალმან სიტყუად ჩემდამო. [20] და მოვიდა ღმერთი ბალაამისსა ღამე და ჰრქუა მას: ხადიღდ თუ შენდა მოსრულ არიან კაცნი ესე, აღდეგ და მიევედ მათ თანა და სიტყუაჲ, რომელ გრქუა შენ, ესრე ჰყო. [21] და აღდგა ბალაამ განთიად და დაასხნა ვირსა თჳსსა და წარვიდა მთავართა თანა მოაბისათა. [22] და განრისხნა გულისწყრომით ღმერთი, რამეთუ მივიდა იგი. და დადგა ანგელოზი ღმრთისა[ჲ] დაბრკოლებად მისა. და იგი აღმჴედრებულ იყო ვირსა ზედა მისსა და ორნი ყრმანი მისნი მის თანა. [23] და იხილა ვირმან მან ანგელოზი იგი ღმრთისა[ჲ] მდგომარე გზასა ზედა, და მახჳლი ქდილი ჴელსა შინა მისსა. და მიაქცია ვირ-

AK

უფლისა თქუენისა, რამეთუ არა მიტეეებს მე ღმერთი მოსლვად თქუენ თანა. [14] და აღდგეს მთავარნი იგი მოაბისანი და მივიდეს ბალაკისა და ჰრქუეს მას: არა უნებს ბალამს მოსლვად ჩუენდა.

[15] და შესძინა ბალაკ მივლინებად უმრავლესთა მთავართა და [283] უპატიოსნესთა პირველისა. [16] და მოვიდეს ბალაამისა და ჰრქუეს მას: ამას იტყჳს ბალაკ, ძე სეფორისი: გეეედრები შენ, ნუ გცონინ მოსლვად ჩემდა, [17] რამეთუ პატიოსნად პატივ-გცე შენ და რაჲცა მრქუა, ვყო შენთჳს, და მოვედ და მიწყევე ერი ესე. [18] მიუგო ბალამ და ჰრქუა მთავართა მათ ბალაკისთა: მო-ღათუ-მცეს ბალაკ სახლი მისი, სავსე ვეცხლითა და ოქროთა, ვერ კელ-მეწიფების გარდასლვად სიტყჳსა უფლისა ღმრთისა[ჲ]სა, ყოფად მცირეჲსა ანუ დიდსა გონებასა შინა ჩემსა. [19] აწ უკუე დაადგერით თქუენცა ამას ღამესა და ვცნა, რაჲ-ძი შესძინოს უფალმან სიტყუად ჩემდა. [20] და მოვიდა ღმერთი ბალამისა ღამე, ჰრქუა: უკუეთუ ხადიდ შენდა მოსრულ არიან კაცნი ესე, აღდეგ, შეუდეგ მათ, არამედ სიტყუასა, რომელსა გეტყოდი შენ, იგი ჰყო. [21] და აღდგა ბალაამ განთიად და დაასხნა კარაულსა თჳსსა და წარვიდა მიელინებულთა მათ თანა ბალაკისთა. [22] და განრისხნა უფალი გულისწყრომით ბალამისთჳს, რამეთუ წარვიდა იგი. და დაუდგა ანგელოზი ღმრთისაჲ გზასა ზედა დამჯობად მისა. და იგი ჯდა ვირსა თჳსსა და ორნი მონანი მისნი მის თანა. [23] და იხილა ვირმან მან ანგელოზი ღმრთისაჲ წინააღმდგომი გზასა ზედა, და მახჳლი ქდილი ჴელსა მისსა. [V] და მიაქცია ვირმან მან ერთ კერძო

S: [14] მოსლვად]მოსრვად.

AK: [13] მე]ჩ~ნ K. [14] მოაბისნი K. ბალ~ამს K. [16] ჩემდა]ჩნ~და K. [18] კელ~წიფების K. [20] ბალაამისა K. ყო K. [21] დასხნა K. [22] ღმრთისაჲ—K.

B

კისთა: წარვედით უფლისა თქუენისა, არა მაუფლა მე ღმერთმან მისლვად თქუენ თანა. 14 და აღდგეს მთავარნი იგი მოაბისანი და მოვიდეს ბალაკისა და თქუეს: არა ჰნებავს ბალამს მოსლვად ჩუენ თანა.

15 და შესძინა მერმე ბალაკ მიელინებად მთავარნი, უმრავლესნი და უპატიოსნესნი მათსა. 16 და მოვიდეს ბალამისა და ჰრქუეს მას: ესრე იტყჳს ბალაკ, ძე სეფორისი: გლოცავ შენ, ნუ გცონის მოსლვად ჩემდა, 17 რამეთუ პატიოსნად გადიდო შენ და რაჲცა მრქუა, ვყო შენ თანა, გარნა მოვედ და დასწყევე ერი ესე. 18 და მიუგო ბალამ მთავართა ბალაკისთა და ჰრქუა მათ: მო-თუ-მცეს მე ბალაკ სახლი თჳსი, სავსე ოქროთა და ვეცხლითა, ვერ შემძლებელ ვარ გარდასლვად სიტყვასა უფლისა ღმრთისასა, დამცირებად მისა, ანუ თუ განდიდებად გულსა შინა ჩემსა. 19 და აწ იყუენით თქუენცა ღამესა ამას და გულისხმა-ვყო, რაჲ შესძინოს უფალმან ჩემდამო. 20 და მოვიდა ღმერთი ბალამისა ღამე და ჰრქუა მას: ხდად შენდა მოსრულ არიან კაცნი ესე, აღდეგ და მივედ მათ თანა. და სიტყუაჲ, რომელი გრქუა შენ, ესრეთ ჰყო. 21 და აღდგა ბალამ განთიად და დაასხნა ვირსა თჳსსა და წარვიდა მთავართა თანა მოაბისთა. 22 და განურისხნა გულისწყრომითა ღმერთი, რამეთუ მოვიდა იგი. და დადგა ანგელოზი ღმრთისაჲ დაბრკოლებად გზასა მისსა. და იგი აღმჴედრებულ იყო ვირსა ზედა თჳსსა, და ორნი ყრმანი მისნი მის თანა. 23 იხილა ვირმან მან ანგელოზი იგი ღმრთისაჲ, მდგომარე გზასა ზედა, და მახჳლი ჴდილი ჴელსა შინა მისსა. და

G

ვედით უფლისა თქუენისა, არა მიფლო მე ღმერთმან მისლვად თქუენ თანა. 14 და აღდგეს მთავარნი მოაბისანი, მოვიდეს ბალაკისა და ჰრქუეს მას: არა ჰნებავს ბალაამს მოსლვაჲ ჩუენ თანა.

15 და შესძინა მერმე ბალაკ მიელინებაჲ მთავართა, უმრავლესთა და უპატიოსნესთაჲ მათგან. 16 და მოვიდეს ბალაამისსა და ჰრქუეს მას: ამას იტყჳს ბალაკ, ძე სეპფორისი: გლოცავ შენ, ნუ გცონის მოსლვად ჩემდა, 17 რამეთუ პატიოსნად პატივ-გცე შენ და ყოველნი, რომელნი მრქუნე, გიყუნე შენ, და მოვედ და დამიწყევე მე ესე. 18 და მიუგო ბალაამ და ჰრქუა მთავართა ბალაკისთა: უკუეთუ მომცეს ბალაკ სახლი თჳსი, სავსე ვეცხლითა და ოქროჲთა, ვერ (171) ძალ-მიც გარდასლვაჲ სიტყუასა უფლისა ღმრთისასა და ყოფად მისსა მცირედ ანუ დიდად გონებასა შინა ჩემსა. 19 და აწ დაადგერით მანდა თქუენცა ღამესა ამას და ვცნა, რაჲ შესძინოს უფალმან თქუმად ჩემდა მომართ. 20 და მოვიდა ღმერთი ბალაამისსა ღამე და ჰრქუა მას: ხადიდ თუ შენდა მოსრულ არიან კაცნი ისი, აღდეგ, შეუდეგ მათ, არამედ სიტყუაჲ, რომელი ვთქუა შენდა მომართ, იგი ჰყო. 21 (v) [v] და აღდგა ბალაამ განთიად, დაასხნა კაპრაულსა თჳსსა და წარვიდა მთავართა თანა მოაბისათა. 22 და განრისხნა გულისწყრომით (172) უფალი, რამეთუ მივიდოდა იგი. და აღდგა ანგელოზი ღმრთისაჲ დაბრკოლებად მისსა გზასა ზედა. და იგი აღმჴედრებულ იყო კაპრაულსა ზედა მისსა, და ორნივე ყრმანი მისნი მის თანა. 23 და იხილა კაპრაულმან ანგელოზი ღმრთისაჲ მდგომარე გზასა ზედა, და მახჳლი ჴდილი ჴელსა შინა მისსა. და

B: 14 მოსულვად. 16 ბალაკ]ბალამ. მოსულვად. 17 მრქუეა. 18 გარდასულად. 23 მისსა]მისა.

S

მან მან გზისაგან და ვიდოდა ველსა, და
სცა ვირსა მას კუერთხითა მოქცევად
იგი გზად. 24 და დადგა ანგელოზი იგი
ღმრთისა[ჲ] ფოლოცთა ვენაჯისათა, იყო
ღობე ერთ კერძო და ღობე ერთ კერძო.
25 და იხილა ვირმან მან ანგელოზი იგი
ღმრთისაჲ და მიიდრისებოდა იგი ღო-
ბესა მას და მოჰქლიშა ფერჯი ბალამისი,
და შესძინა მერმე გუემად მისა. 26 და
შესძინა მერმე ანგელოზმან მან ღმრთი-
სამან და მივიდა და დადგა გზასა იწ-
როსა, რომელსა ვერ იყო მისაქცეველ
მარჯულ, ვერცა მარცხლ. 27 და იხილა
ვირმან მან ანგელოზი ღმრთისა[ჲ] და
დაჯდა ქუეშე ბალაამისსა. და განრისხნა
ბალამ და სცემდა ვირსა მას კუერთხი-
თა. 28 და განუღო ღმერთმან პირი მას
ვირსა და ჰრქუა ბალაამს: რაჲ გიყავ
შენ, რამეთუ მეც მე ესე სამგზის?
29 და ჰრქუა ბალაამ ვირსა მას: რამეთუ
დამიწუნე მე, და თუმცა მაქუნდა მახ-
ჯლი კელსა შინა ჩემსა, მუნთქუესვემცა
ღაგგურიმე შენ. 30 და ჰრქუა ვირმან მან
ბალაამს: არა მე ვირი იგი შენი ვარა,
რომელ ზედა შჯდი სიჭაბუკით შენით-
გან მოდღენდელად დღედმდე? ანუ შე-
ურაცხებით შეურაცხ-გყავ სადამე შენ?
ხოლო მან თქუა: არა. 31 და განუხუნა
ღმერთმან თუალნი ბალაამისნი და იხი-
ლა ანგელოზი იგი ღმრთისაჲ მდგომარე
წინაშე ვირსა, და მახჯლი ჴდილი ჴელ-
თა შინა მისთა. დადრკა და თაყუანის-
სცა პირითა. 32 და ჰრქუა მას ანგელოზ-
მან მან ღმრთისამან: რად ეც ვირსა მა-
გას შენსა ესე სამგზის? და აჰა ესერა
მე გამოსრულ ვარ დაყდუნებად შენ-
და, რამეთუ არა მართალ არს გზაჲ ეგე
შენი წინაშე ჩემსა. 33 და მიხილა მე
ვირმან მაგან და მიაქცია ჩემგან ესე
სამგზის, და თუმცა არა მიმრიდა მე ესე

AK

გზასა მას და განვიდოდა ველად,
სცა ბალამ ვირსა მას კუერთხითა წა
სლვად მისა გზასა მას. 24 და დადგა
გელოზი უფლისაჲ ალაგთა მათ ზე
ვენაჯისათა და იყო ყორე ამიერ
მიერ. 25 და ვითარცა იხილა ვირმან
ანგელოზი ღმრთისაჲ ალაგთა მათ
და, შეუმჭკულო კედელსა და ატკე
ფერჯი ბალამისი, და შესძინა ცემად
სა ბალამ. 26 და კუალად შესძინა
გელოზმან ღმრთისამან და წარვიდა
დაუდგა ადგილსა იწროსა, რომელ
არა იყო მისაქცეველ მარჯულ
მარცხლ. 27 და ვითარცა იხილა ვირმ
მან ანგელოზი იგი ღმრთისაჲ, დაწ
ქუეშე ბალამისა. და განრისხნა ბალ
და სცემდა ვირსა მას კუერთხითა. 28
აღაღო ღმერთმან პირი კარაულისა მ
და ჰრქუა ბალამს: რაჲ გიყავ შენ, რ
მეთუ მეც მე ესერა სამგზის? 29
ჰრქუა ბალამ ვირსა მას: რამეთუ მაგ
მე, და თუმცა მაქუნდა მახჯლი ჴელ
ჩემსა, აწვემცა განგგმირე შენ. 30
ჰრქუა ვირმან მან ბალამს: არა მე ვარ
კარაული შენი, რომლისა ზედა შჯდ
სიჭაბუკით შენითგან ვიდრე დღეინდ
ლად დღედმდე? ნუუკუე შეურაცხები
შეურაცხ-გყავ შენ და ესრეთ სადა
გიყავ? ხოლო მან თქუა: არა. 31 [284
და აღუხილნა ღმერთმან თუალნი ბ
ლამს და იხილა ანგელოზი იგი ღმრთ
საჲ, წინააღმდგომი მისი გზასა ზედ
და მახჯლი ჴდილი ჴელსა მისსა.
მოდრკა და თაყუანის-სცა პირსა ზედ
თჳსსა. 32 და ჰრქუა მას ანგელოზმან მ
ღმრთისამან: რაჲსათჳს სცემ ვირსა მ
გას შენსა ესე მესამედ? აჰა მე გამო
სრულ ვარ შესმენად შენდა, რამეთ
არა სათნო არს გზაჲ ეგე შენი ჩემ წი
ნაშე. 33 და მიხილა მე ვირმან და მი
აქცია ჩემგან ესერა სამგზის, და უკუ

S: 28 სამგზის+ყო.
AK: 24 მიერ]სმიერ K. 27 იგი—K. 28 კარაულსა K. 29 ბალ˘ამ A. აწვე K. 30 ვარ K. 31 ღმრთმან—K. ბალამს A. თუ˘ნისცა K. 32 მას—K. მან—K. გზა A.

B

მიაქცია ვირმან მან გზისაგან და ვიდოდა ველსა, და სცა ვირსა მას კუერთხითა მოქცევად იგი გზად. [24] და დადგა ანგელოზი იგი ღმრთისაჲ ფოლორცთა ვენაჯისათა და იყო ღობე ერთ კერძო და ღობე მეორე კერძო. [25] და იხილა ვირმან მან ანგელოზი იგი ღმრთისაჲ და მიედრისებოდა იგი ღობესა მას და მოქლიშა ფერჯი ბალამისი ღობითა, და შესძინა მერმე გუემად მისა. [26] და შესძინა ანგელოზმან მან ღმრთისამან მერმე და მივიდა და დადგა გზასა იწროსა, რომელსა ვერ იყო მისაქცეველი მარჯულ, არცა მარცხენით. [27] და იხილა ვირმან მან ანგელოზი ღმრთისაჲ და დაწვა ქუეშე ბალამისა. და განრისხნა ბალამ და სცემდა ვირსა მას კუერთხითა. [28] და განუღო ღმერთმან პირი ვირსა მას და ჰრქუა ბალამს: რაჲ გიყავ შენ, რამეთუ მეც მე ესე სამგზის? [29] და ჰრქუა ბალამ ვირსა მას: რამეთუ ჩამიწევ და თუმცა მჭონოდა მახჯლი ჴელსა ჩემსა, მუნთქუესვემცა განგუგმირე შენ. [30] და ჰრქუა ვირმან მან ბალამს: არა მე ვარა კარაული შენი, რომელსა ზედა სჯდი სიჯაბუკით შენითგან ვიდრე დღეინდელად დღედმდე? ნუ შეურაცხებით შეურაცხ-გყავა და ესრეთ სადამე გიყავ შენ? ხოლო მან ჰრქუა: არა. [31] და აღუხილნა ღმერთმან თვალნი ბალამს და იხილა ანგელოზი იგი ღმრთისაჲ, წინააღმდგომი მისი გზასა ზედა, და მახჯლი ჴდილი ჴელსა მისსა. და მოდრკა ბალამ და თაყუანი-სცა პირსა ზედა თჳსსა. [32] და ჰრქუა მას ანგელოზმან მან უფლისამან: რაჲსათჳს სცემდი ვირსა მაგას შენსა ესე მესამედ? და აჰა მე გამოვსრულვარ შესმენად შენდა, რამეთუ არა სათნო არს გზა შენი ჩემ წინაშე. [33] და მიხილა მე ვირმან და მიაქცია ჩემგან ესერა სამგზის, და უკეთუმცა არა მიიქცა, შენმცა მოგჳალ,

G

მიაქცია კაჰრაულმან გზისაგან და ვიდოდა ველსა, და სცა კაჰრაულსა კუერთხითა მოქცევად მისსა გზად. [24] და დადგა ანგელოზი ღმრთისაჲ ფოლოცთა ვენაკთასა ღობე ერთ კერძო და ღობე ერთ კერძო. [25] და იხილა კაჰრაულმან ანგელოზი ღმრთისაჲ და შეაქლიშა [75] თავი თჳსი ზღუდისა მიმართ და შეუქლიშა ბალაამს ფერჯი ზღუდესა მას, და შესძინა მერმეცა გუემად მისსა. [26] და შესძინა ანგ(v)ელოზმან ღმრთისამან და წარსრული დადგა ადგილსა იწროსა, რომელსა არა იყო მისაქცეველი მარჯულ, ანუ მარცხლ. [27] და იხილა რაჲ კაჰრაულმან ანგელოზი ღმრთისაჲ, დაჯდა ქუეშე ბალაამისსა. და განრისხნა ბალაამ და სცემ(173)და კაჰრაულსა კუერთხითა. [28] და აღაღო ღმერთმან პირი კაჰრაულისაჲ და ჰრქუა ბალაამს: რაჲ გიყავ შენ, რამეთუ მეც მე ესე სამგზის? [29] და ჰრქუა ბალაამ კაჰრაულსა: რამეთუ დამიწუნე მე, და თუმცა მაქუნდა მახჯლი ჴელსა შინა ჩემსა, ეგერა განგუ[გ]მირემცა შენ. [30] და ჰრქუა კაჰრაულმან ბალაამს: არა მე კარაული შენი ვარა, რომელსა(v) ზედა შჯდი სიჯაბუკით შენითგან ვიდრე დღესისა დღედმდე? ნუ შეურაცხებით შეურაცხისმყოფელმან გიყავა შენ ესე? და მან ჰრქუა: არა. [31] [v] და გამოუცხადა ღმერთმან თუალთა ბალაამისთა და იხილა ანგელოზი ღმრთისაჲ, მჯდომად მდგომი გზასა ზედა, და მახჯლი წუდილი ჴელსა შინა მისსა. და მოდრკა და თაყუანის-სცა პირსა მისსა. [32] და ჰრქუა მას ანგელოზმან ღმრთისამან: რაჲსათჳს ეც კაჰრაულსა შენსა ესე სამგზის? და აჰა მე მოსრულ ვარ დაყუდუნებად შენდა, რამეთუ არა მართალ არს გზაჲ შენი წინაშე ჩემსა. [33] და მხილველი ჩემი კაჰრაული მისდრკა ჩემგან ესე სამგზის, და არა თუმცა მიდრეკილ იყო ჩემგან ესე სამგზის,

B: [33] მიიქცე. მოგჳალ.

S

სამგზის, აწ შენმცა მოგკალ და ესემცა განვარინე. 34 და ჰრქუა ბალაამ ანგელოზსა მას: უფალო, ესცოდე, რამეთუ არა უწყოდე, რამეთუ შენ სდეგ გზასა ზედა დაყდუნებად ჩემდა, და აწ არა თუ გთნავს შენ, უკუნ-ვიქცე. 35 და ჰრქუა ანგელოზმან ღმრთისამან ბალაამს: მიეედ კაცთა მათ თანა, გარნა სიტყუაჲ, რომელი გრქუა შენ, ესე იკრძალე სიტყუად. და წარვიდა ბალამ მთავართა თანა ბალაკისთა.

36 და ესმა ბალაკს, ვითარმედ მოვალს ბალამ, გამოვიდა წინა-მიგებებად მისა ქალაქად მოაბისა, რომელ არს საზღვართა ზედა აპრონისთა, რომელ არს კიდეთა საზღურისათა. 37 და ჰრქუა ბალაკ ბალაამს: არა მიგივლინენა ხადიდ შენდა? რაჲსათჳს არა მოხჳდოდე? ანუ ნანდჳლ ვერ შემძლებელ ვარ პატივის-ყოფად შენდა? 38 და ჰრქუა ბალაამ ბალააკს: აჰა ესერა მოვალ შენდა. აწ შემძლებელ-მე რაჲ ვიწყო სიტყუად რაჲსამე? გარნა სიტყუაჲ, რომელ მომცეს მე ღმერთმან პირსა ჩემსა, ესე ვთქუა. 39 და მივიდა ბალაამ ბალააკის თანა, და მოვიდეს ქალაქთა ბალააკისთა. 40 და დაწყჳდა ბალაკ ცხოვარი და ზროხაჲ და მიუძღუანა ბალაამს და მთავართა, რომელ იყვნეს მის თანა. 41 და იყო, განთიად წარიყვანა ბალაკ ბალაამი და აღიყვანა იგი ძეგლსა ზედა ბაალისსა, და უჩუენა მას მიერ მცირედი რაჲმე მის ერისაჲ.

AK

ეთუმცა არა მიაქცია, შენმცა მოგკალ და იგი განვარინე. 34 და ჰრქუა ბალამ ანგელოზსა მას უფლისასა: ვცოდე, რამეთუ არა უწყოდი, ვითარმედ შენ ხარ, და შენ წინა-აღმიდეგ წინაშე ჩემსა გზასა ზედა, და აწ თუ არა სათნო არს შენდა, გარე-უკუნ-ვიქცე. 35 ჰრქუა მას ანგელოზმან ღმრთისამან: წარვედ შენ კაცთა მათ თანა, ხოლო სიტყუაჲ, რომელი გრქუა შენ, იგი დაიმარხო სიტყუად. და წარვიდა ბალამ ბალაკისა. 36 და ესმა ბალაკს, რამეთუ მოვალს ბალამ, გამოვიდა მიგებებად მისა ქალაქად მოაბისა, რომელ არს საზღვართა არნონისათა, რომელ არს ერთ კერძო საზღურისა. 37 და ჰრქუა ბალაკ ბალამს: არა მოციქულნი მოვაელინენა შენდა ხადიდ? რაჲსა არა მოხჳდოდი ჩემდა? ნანდჳლ ვერ ძალ-მედევა პატივის-ცემად შენდა? 38 [v] ჰრქუა ბალამ ბალაკს: აჰა ესერა მოსრულ ვარ შენდა. აწ ნუ ჴელ-მეწიფების სიტყუად რაჲმე? უკუეთუ არა მომცეს მე ღმერთმან პირსა ჩემსა, მას [არა] ვიტყოდი. 39 და წარვიდა ბალამ ბალაკის თანა, და მოვიდეს ქალაქსა მას ღელეთასა. 40 და დაწყჳდა ბალაკ ზუარაკები და ცხოვარი. 41 და იყო, განთიად წარიყუანა ბალაკ ბალამი და აღიყვანა იგი ძეგლსა მას ბაალისსა, და უჩუენა მას მიერ რაოდენიმე ზოგი ერისაჲ მის.

თავი XXIII

1 და ჰრქუა ბალამ ბალააკს: მიქმნენ მე აქა შჳდნი ბომონნი და დამიმზადე მე აქა შჳდი ზუარაკი და შჳდი ვერძი.

1 და ჰრქუა ბალამ ბალაკს: აღმიშენენ მე შჳდნი ბომონნი და მზა მიყავ

S: 37 ნანდჳს. 38 გარნა]განა.

AK: 34 წინაშე—K. -ვექცე K. 36 რომელი 2° K. საზღურისა+მისისა K. 37 მოვაელ-ნნე K. ხადიდ—K. 38 ვეტყოდი AK. 41 აღიყუანა A. ბაალისსა]ბალაამისსა A. მას 2°[მის K. რაოდენი K.

B

ხოლო იგიმცა განვარინე. 34 და ჰრქუა ბალამ ანგელოზსა მას უფლისასა: ვსცოდე, რამეთუ არა უწყოდე, ვითარმედ შენ წინა-აღმიდეგ გზასა ზედა შემთხვევად წინაშე პირსა ჩემსა, და აწ თუ არა სათნო არს შენდა, გარე-უკუნ-ვიქცე. 35 და ჰრქუა ანგელოზმან მან ღმრთისამან ბალამს: წარვედ შენ კაცთა მათ თანა, ხოლო სიტყუაჲ, რომელი გრქუა შენ, იგი დაიმარხო სიტყვად. და წარვიდა ბალამ მთავართა თანა ბალაკისთა.

36 და ესმა ბალაკს, რამეთუ მოვალს ბალამ, გამოვიდა და მიეგებვოდა მას ქალაქად მოაბისა, რომელ არს საზღვართა აჰრონისთა, რომელ არს ერთ კერძო საზღვართა. 37 და ჰრქუა ბალაკ ბალამს: არა მოციქულნი მოგივლინენ შენ ხდად? რაჲსათჳს არა მოხვედ შენ ჩემდა? ნანდჳლ ვერ ძალ-მედვა პატივცემად შენდა? 38 და ჰრქუა ბალამ ბალაკს: აჰა ესერა მოსრულ ვარ შენდა. და აწ ნუ კელ-მეწიფების სიტყვად რაჲსამე? უკეთუ არა, რომელი მომცეს ღმერთმან პირსა ჩემსა, მას ვიტყოდი. 39 და წარვიდა ბალამ ბალაკის თანა და მოვიდა ქალაქსა მას ღელე[თა]სა. 40 და დასწყჳდა ბალაკ ზუარაკები და ცხოვარი, და წარვიდა ბალამ და მთავარნი იგი მის თანა. 41 და იყო განთიად და წარიყვანა ბალაკ ბალამი და აღიყვანა იგი ძეგლსა მას ბაალისსა და უჩუენა მას მიერ ზოგი რაოდენიმე მის ერისა.

G

შენმცა მომეკალ აწ და ეგე განმერინა. 34 და ჰრქუა ბალაამ ანგელოზსა უფლისასა: ვცოდე, რამეთუ არა უწყოდე, ვითარმედ შენ სდგა მჴდომად შემთხუევისათჳს ჩემისა გზასა ზედა, და აწ არა თუ სათნო არს შენდა, კუალად-ვიქცე. 35 და თქუა ანგელოზმან ღმრთისამან ბალაამის მიმართ: მიევედ(174)კაცთა მათ თანა, გარნა სიტყუაჲ, რომელიცა ვთქუა შენდა მომართ, იგი დაიცვა თქუმად. და წარვიდა ბალაამ მთავართა თანა ბალაკისთა.

36 და ესმა რაჲ ბალაკს, ვითარმედ ერჩდა ბალაამ, გამოვიდა მიგებებად მისსა ქალაქსა მოაბსა, რომელ არს საზღვართა ზედა არნონისათა, რომელ არს კერძოსა საზღვართასა. 37 და თქუა ბალაკ ბალაამის მიმართ: არა მივავლინე შენდამი წოდე(v)ბად შენდა? რაჲსათჳს არა მოხუედ ჩემდა? ნამდჳლვე ვერ შემძლებელ ვარა პატივის-ჰყრობად შენდა? 38 და თქუა ბალაამ ბალაკის მიმართ: აჰა მოსრულ ვარ შენდა, აწ შემძლებელ ვარა თქუმად რასმე? სიტყუაჲ, რომელიცა შედვას [76] ღმერთმან პირსა ჩემსა, იგი ვთქუა. 39 და მივიდა ბალაამ ბალაკის თანა, და მოვიდეს ქალაქსა ეპავლეონს. 40 და დაწყჳდა ბალაკ ცხოვრები და ზუარაკები და წარუცა ბალაამს და მთავართა, რომელნი იყუნეს მის თანა. 41 და იქმნა განთიადი და წარიყვანა ბალაკმან ბალაამ და აღიყვანა იგი სუეტსა ზედა ბაალისსა და უჩუენა მას მიერ კერძოჲ რაჲმე ერისაჲ.

თავი XXIII

1 და ჰრქუა ბალამ ბალაკს: აღმიშენენ მე აქა შჳდნი ბომონნი და მზა მიყავ მე აქა შჳდნი ზუარაკნი და შჳდი

1 და ჰ(175)რქუა ბალაამ ბალაკს: აღმიშენენ მე აქა შჳდნი ბომონნი და განმიმზადენ მე აქა შჳდნი ზუარაკნი

B: 36 მიეგებოდა. 38 მოსრულ.

S

2 და ყო ეგრე ბალაკ, ვითარცა ჰრქუა მას ბალაამ. და შეწირა ზუარაკი და ვერძი ბომონსა მას ზედა. 3 და ჰრქუა ბალაამ ბალააკს: დადეგ მსხუერპლსა ზედა შენსა და წარვიდე, გამო-ძი-მეცხადოს მე ღმერთი შემთხუევით და სიტყუაჲ, რომელ გამოაჩინოს, გითხრა შენ. და დადგა ბალაკ შესაწირავსა ზედა მისსა, და ბალაამ მივიდა კითხვად ღმრთისა, და მივიდა მართლ. 4 და გამოეცხადა ღმერთი ბალაამს. და ჰრქუა მას ბალაამ: შჳდნი ბომონნი დამიმზადებიან და შემიწირავს ზუარაკი და ვერძი ბომონსა ზედა. 5 და მოსცა ღმერთმან სიტყუაჲ პირსა ბალაამისსა და ჰრქუა: მიიქეც ბალააკისსა და ესრე თქუ. 6 და მოიქცა მისა. ხოლო იგი დგა მრგულიად-დასაწველთა ზედა მისთა და ყოველნი მთავარნი მოაბისანი მის თანა7. და იყო სული ღმრთისა[ჲ] მის თანა. და აღიღო იგავი იგი თჳსი და თქუა:

შუვამდინარით მომხადა მე ბალაკ,

მეფემან მოაბისამან, მთათაგან აღმოსავალთაჲთ და თქუა:

მოვედ და სწყევე იაკობი

და მოვედ და წყევე ისრაელი!

8 რაჲ ვსწყევო, რომელსა არა სწყევს უფალი?

ანუ რაჲსა დავწყეო, რომელ არა უწყევიეს ღმერთსა?

9 არამედ თავთაგან მთათაჲსა ვიხილო იგი

და ბორცუთაგან განვიცადო იგი:

აჰა ესერა ერი მარტოჲ დაეშენოს

და შორის წარმართთა არა შეირაცხოს.

AK

შჳდი ზუარაკი და შჳდი ვერძი. 2 და ყო ეგრე ბალაკ, ვითარცა ჰრქუა მას ბალამ. და შეწირა ერთი ზუარაკი და ერთი ვერძი ბომონსა მას ზედა. 3 და ჰრქუა ბალამ ბალაკს: დეგ შენ მსხუერპლსა ამას შენსა ზედა და მე წარვიდე, მეჩუენოს ხოლო თუ ღმერთი შემთხუევით და სიტყუაჲ, რომელი მრქუას, გითხრა შენ. და წარდგა ბალაკ წინაშე მსხუერპლსა მას მისსა და ბალამ წარვიდა კითხვად ღმრთისა. 4 და ეჩუენა ღმერთი ბალამს. და ჰრქუა ბალამ ღმერთსა: შჳდნი ბომონნი მზა მიყოფიან და შევწირო მას ზედა ზუარაკი და ვერძი. 5 და მოსცა ღმერთმან სიტყუაჲ პირსა ბალამისსა და ჰრქუა: მიიქეც ბალაკისა და ეტყოდე ესრეთ. 6 და მოიქცა მისა. ხოლო იგი დგა წინაშე [285] მსხუერპლთა მათ მისთა და მის თანა ყოველნივე მთავარნი მოაბელთანი. 7 და იყო სული ღმრთისაჲ მის ზედა. და აღიღო იგავი თჳსი და თქუა:

შუამდინარით გამომიყუანა მე ბალაკ,

მეფემან მოაბისამან, მზის აღმოსავალისათა და თქუა:

მოვედ და მიწყევე მე იაკობი,

მოვედ და მიწყევე მე ისრაელი!

8 რაჲსა ვსწყევდე მე, რომელი არა წყევა უფალმან?

ანუ რაჲსა შევსწყევ, რომელი არა შეწყევა ღმერთმან?

9 რამეთუ თხემთაგან მთათასა ვიხილო იგი

და ბორცუთაგან განვიცადო:

აჰა ესერა ერმან მარტოჲ დაიმკჳდროს

და სხუათა ნათესავთა [არა] შეერაცხოს.

S: 8 რაჲსა]რაჲთა.

AK: 3 შენსა—K. ხოლო თუ—K. 6 მისთა და—K. ყოველნი K. 7 მის]მ-ს K. აღმოსავალისათა K. მოვედ და მიწყევე მე ისრაელ.—K. 8 რაჲსა ვსწყევდე მე—K. ანუ რაჲსა შევსწყევ—K 9 მარტო K.

B

ვერძი. 2 და ყო ევრე ბალაკ, ვითარცა ჰრქუა ბალამ. და შეწირა ერთი ზვარაკი და ერთი ვერძი ბომონსა მას ზედა. 3 და ჰრქუა ბალაკს ბალამ: შენ დევ მსხუერპლსა ამას შენსა ზედა და მე წარვიდე, მეჩუენოს ხოლო თუ ღმერთი შემთხვევად და სიტყვა, რომელი მაუწყოს მე, გითხრა შენ. და წარდგა ბალაკ წინაშე მსხუერპლსა მას მისსა და ბალამ წარვიდა კითხვად უფლისა, და წარვიდა იგი მართალი. 4 და ეჩუენა ღმერთი ბალამს და ჰრქუა ბალამ: შჳდნი ბომონნი მზა მიყოფიან და შევსწირე ზუარაკი და ვერძი ბომონსა მას ზედა. 5 და მოსცა ღმერთმან სიტყუა პირსა ბალამისსა და ჰრქუა: მოიქეც ბალაკისა და ეტყოდე ესრეთ. 6 და მოიქცა მისა. ხოლო იგი წინაშე დგა მსხუერპლთა მათ მისთა და ყოველნი მთავარნი მოაბელთანი მის თანა. 7 და იყო სული ღმრთისაჲ მის ზედა. და აღიღო იგავი თჳსი და ჰრქუა:

შუამდინარით მომიყვანა მე ბალაკ,
მეფემან მოაბისამან, მთისაგან მზის აღმოსავალისათა და თქუა:
მოვედ და შემიწყევე მე იაკობი
და მოვედ და დამიწყევე ისრაელი!

8 რასა ვსწყევდე, რომელი არა სწყევა უფალმან?

ანუ რაჲსა შევსწყევ, რომელი არა შესწყევა ღმერთმან?

9 რამეთუ თხემთაგან მთათასა ვიხილო იგი
და ბორცუთაგან განვიცადო იგი:
აჰა ესერა ერმან მარტოდ დაიმკჳდრა
და სხჳათა ნათესავთა თანა არა შეერაცხოს.

G

და შჳდნი ვერძნი. 2 და ქმნა ბალაკ, ვითარ-საჲედ ჰრქუა მას ბალაამ. და აღიხუნა ზუარაკი და ვერძი ბომონსა ზედა. 3 და თქუა ბალაამ ბალაკის მიმართ: დადეგ მსხუერპლსა შენსა ზედა, ხოლო მე წარვიდე, გამო-ძი-მეცხადოს მე ღმერთი შემთხუევით და სიტყუაჲ, რომელი მიჩუენოს მე, გითხრა შენ. და დადგა ბალაკ მსხუერპლთა მისთა ზედა და ბალაამ წარვიდა კითხვად ღმრთისა, და მივიდა მართლ. 4 და გამოეცხადა ღმერთი ბალაამს და ჰრქუა მას ბალაამ: შჳდნი ბომონნი მზა მიყოფიან და აღმიხუმან ზუარაკი და ვერძი ბომო(v)ნსა ზედა. 5 და შთადვა ღმერთმან სიტყუაჲ პირსა ბალაამისსა და ჰრქუა: მიქცეულმან ბალაკის მიმართ ესრეთ ჰრქუა. 6 და მიიქცა მისა მიმართ. ხოლო იგი დგა ყოვლად-დასაწუველთა მისთა ზედა და ყოველნი მთავარნი მოაბისანი მის თანა. 7 და იყო სული ღმრთისაჲ მის ზედა. და აღიღო იგავი თჳსი და თქუა: [v]

შუამდინარით მომიწოდა მე ბალაკ,
მეფემან მოაბისამან, საზღვართაგან აღმოსავალისათა, მეტყუელმან:
მოვედ, მიწყევე მე იაკობი
და მოვედ და მიწყევე მე ისრაელი!

8 რაჲ ვსწყევო, რომელსა არა სწყევს უფალი?

ანუ რაჲ დავწყევო, რომელსა არა დასწყევს ღმერთი?

9 რამეთუ თხე(176v)*მისაგან მთათაჲსა ვიხილო იგი
და ბორცუთაგან განვიცადო იგი:
[77]** აჰა ერი მარტოჲ დაემკჳდროს (177) და წარმართთა თანა არა შეირაცხოს.

* 176r-ზე კომენური ტექსტი არ არის.
** 77-ე ფურცელი Gb-ში დაზიანებულია, რის გამოც ზოგიერთი ადგილი არ იკითხება.

S

10 ვინ გამოიძია ნათესავი იაკობისი
და ვინ აღრაცხოს დასები ისრაელისაჲ?
მოკუედინ სული ჩემი სულთა თანა მართალთა
და იყავნ ნათესავი ჩემი, ვითარცა ნათესავი ამათი.
11 და ჰრქუა ბალაკ ბალაამს: რაჲ მიყავ მე ესე? წყევად მტერთა ჩემთა მოგხადე შენ და აჰა ესერა აკურთხე კურთხევით. 12 და ჰრქუა ბალაამ ბალააკს: არა ვთქუა-ა, ვითარმედ რომელ მომცეს ღმერთმან პირსა ჩემსა, ამას ვეკრძალო სიტყუად?
13 და ჰრქუა მას ბალაკ: მოვედ მერმეცა ჩემ თანა ადგილსა სხუასა, ვინაჲ არა იხილო იგი მიერ, არამედ მცირედი რაჲმე მისი იხილო, ხოლო ყოველი არა იხილო; და დაწყევე იგი მიერ. 14 და წარიყვანა იგი აგარაკით ებგურთაჲთ თავად გამოთლილისად და აღქმნნა მუნ შჯდნი ბომონნი და შეწირა ზუარაკი და ვერძი ბომონსა მას ზედა. 15 და ჰრქუა ბალაამ ბალააკს: დადეგ მსხუერპლსა ამას ზედა შენსა და მე მივიდე კითხვად ღმრთისა. 16 და შეემთხუა ღმერთი ბალაამს და მოსცა სიტყუაჲ პირსა მისსა და ჰრქუა: მიიქეც ბალაკისა და ესრე თქუა. 17 და მოიქცა მისა, სადა-იგი დგა მრგულიად-დასაწველსა ზედა მისსა, და ყოველნი მთავარნი მის თანა. და ჰრქუა მას ბალაკ: რაჲ გრქუა უფალმან? 18 და აღიღო იგავი იგი თჳსი და ჰრქუა:
აღდეგ, ბალაკ, და ისმინე,
ყურად-იღე მოწამემან, ძემან სეფორისმან!
19 არა თუ ვითარცა კაცი არს ღმერთი განლჳძებად
და არცა ვითარცა ძე კაცისაჲ რისხვად.

AK

10 ვინ გამოიკითხოს...
...გუნდი ისრაელისა?
და მოკუედინ სული ჩემი სულთა თანა მართალთასა
და იყავნ ნათესავი ჩემი, ვითარცა ნათესავი ამათი.
11 და ჰრქუა ბალაკ ბალამს: რაჲ-ესე მიყავ ჩუენ? წყევად მტერთა ჩუენთა მოგიყუანე შენ და აწ ესერა კურთხევით აკურთხენ იგინი. 12 და ჰრქუა ბალამ ბალაკს: ანუ არა რაოდენი მომცეს მე ღმერთმან პირსა ჩემსა, იგი დავიმარხო სიტყუად?
13 და ჰრქუა მას ბალაკ: მოვედ კუალად ჩემ თჳნა ადგილსა სხუასა, ვინა[ჲ] ვერ იხილო იგი მიერ, არამედ ზოგი რაოდენი იხილო მისი, ხოლო ყოველი ვერ იხილო; და მიწყევე მე იგი მიერ.
14 და წარიყვანა იგი მიერ ველად სასტუარსა, თხ[v]ემსა მას გამოკუეთილისასა, და აღაშენა მუნ შჯდი ბომონი და შეწირა ზუარაკი და ვერძი ბომონსა მას ზედა. 15 და ჰრქუა ბალამ ბალაკს: წარმოდეგ შენ წინაშე მსხუერპლთა შენთა და მე წარვიდე კითხვად ღმრთისა. 16 და შეემთხუა ღმერთი ბალამს და მოსცა სიტყუაჲ პირსა მისსა და ჰრქუა: მიიქეც ბალაკისა და ამას იტყოდე. 17 და მოიქცა მისა, ხოლო ბალაკ დგა მსხუერპლთა მისთა ზედა, და მის თანა ყოველნივე მთავარნი მოაბისანი. და ჰრქუა ბალაკ: რასა გეტყოდა შენ ღმერთი? 18 და მოიღო ბალამ იგავი თჳსი და თქუა:
აღდეგ, ბალაკ, და ისმინე,
ყურად-იღე, მოწამეო, ძეო სეფორისაო!
19 არა ვითარცა კაცი არს ღმერთი შეურაცხ-ყოფად,
არცა ვითარცა ძე კაცისაჲ, ვითარმცა უთქმიდა ვინმე მას.

AK: 10 ო̃ყე K. 14 წარიყუანა A. ბომონნი K. 17 მის თანა—K. მოაბისნი K. 19 ვინმე]ვისმე K.

B

10 ვინ გამოიკითხოს თესლი იაკობისი,
ანუ ვინ აღრაცხოს გუნდი ისრაელისა?
მოკუედინ სული ჩემი სულთა თანა მართალთასა
და იყავნ ნათესავი ჩემი, ვითარცა ნათესავი ამათი.
11 და ჰრქუა ბალაკ ბალამს: რაჲ ესე მიყავ მე? წყევად მტერთა ჩემთა მოგიყვანე შენ და აწ ესერა კურთხევით აკურთხენ იგინი. 12 და ჰრქუა ბალამ ბალაკს: ანუ არა გითხარა პირველ, რაჲც ოდენ მოსცეს ღმერთმან პირსა ჩემსა, იგი დავიმარხო სიტყვად?
13 ჰრქუა მას ბალაკ: მოვედ კუალად ჩემ თანა ადგილსა სხუასა, ვინა ვერ იხილო იგი მიერ, არამედ ზოგი რაოდენიმე იხილო მისი, ხოლო ყოველი ვერ იხილო და დამიწყევე იგი მიერ. 14 და წარიყვანა იგი მიერ აგარაკით ებგოთად(!), თავად გამოთლილისად, და ქმნა მუნ შჯდნი ბომონნი და შეწირა ზუარაკი და ვერძი ბომონსა მას ზედა. 15 და ჰრქუა ბალამ ბალაკს: დადექ მსხუერპლსა მას შენსა ზედა, და მე მივიდე კითხვად ღმრთისა. 16 და შეემთხჳა ღმერთი ბალამს და მოსცა სიტყვა პირსა მისსა და ჰრქუა: მიიქეც ბალაკისა და ესრეთ თქუ. 17 და მოიქცა მისსა, სადა-იგი დგა, მრგულიად-დასაწველსა ზედა მისსა, და ყოველნი მთავარნი მისნი მის თანა. და ჰრქუა მას ბალაკ: რაჲ გრქუა უფალმან? 18 და აღიღო იგავი იგი თჳსი და თქუა:
აღდეგ, ბალაკ, ისმინე და ყურად-იღე მოწამეთან, ძეთან სეფორისთან!
19 არა თუ ვითარცა კაცი არს ღმერთი განლჳძებად
და არცა ვითარცა ძე კაცისა რისხვად.

G

10 ვინ გამოიკულიოს თესლი იაკობისი
და ვინ აღრაცხოს ერი ისრაელისაჲ? მოკუედინ სული ჩემი სულთა თანა მართალთ(ν)ასა
და იყავნ თესლი ჩემი, ვითარცა თესლი ამათი.
11 და ჰრქუა ბალაკ ბალაამს: რაჲ მიყავ მე? წყევად მტერთა ჩემთა მოგხადე შენ და აჰა კურთხევით აკურთხენ. 12 და თქუა ბალაამ ბალაკის მიმართ: არა რაოდენი შთადვაჲ ღმერთმან პირსა ჩემსა, იგი დავიცვაა თქუმად?
13 და თქუა მისსა მიმართ ბალააკ: მოვედ მერმე ჩემ თანა ადგილსა სხუასა, სადაჲთ ვერ იხილო იგი მუნით, არამედ კერძოჲ რაჲმე მისი იხილო, ხოლო ყოველნი ვერ იხილნე და დამიწყევე მე იგი მუნით. 14 და წარიყვანა იგი აგარაკად საებგუროდ, თხემსა ზედა გამოთლილისასა, და აღაშენა მუნ შჯდნი ბომონნი და აღიხუნა ზუარაკი და ვერძი ბომონსა ზედა. 15 და ჰრქუა ბალაამმან ბალაკსა: დადეგ შენ მსხუერპლთა შენთა ზედა, ხოლო მე წარვიდე კითხვად ღმრთისა. 16 [ν] და შეემთხჳა ღმერთი ბალაამს და შეუდვა სიტყუაჲ პირ(178)სა მისსა და ჰრქუა: მიიქეც ბალაკის მიმართ და ჰრქუენ ესე. 17 და მიიქცა მისსა მიმართ, ხოლო იგი დგა ყოვლად-დასაწუველსა მისსა ზედა, და ყოველნი მთავარნი მოაბისანი მის თანა. და ჰრქუა მას ბალაკ: რაჲ თქუა უფალმან? 18 და აღიღო იგავი თჳსი და თქუა:
აღდეგ, ბალაკ, და ისმინე,
ყურად-იღე, მოწამეო, ძეო სეპფორისო!
19 არა ვითარცა კაცი არს ღმერთი განფრთხობად,
არცა ვითარცა ძე კაცისაჲ მოქადულობად.

B: 10 იყავ.

S

შენ სთქუ: არა ყოს?
თქჳს და არა დაადგრის?
20 აჰა ესერა კურთხევად მიწყიეს,
ვაკურთხო და არა მოვაქციო.
21 არა იყოს შრომაჲ შორის იაკობსა,
არცა იხილო სალმობაჲ შორის ისრაელსა,
უფალი ღმერთი მისი მის თანა
და დიდებულნი მთავართანი შორის მისსა.
22 ღმერთი არს, რომელმან გამოიყვანნა იგინი ეგჳპტით,
ვითარცა დიდებაჲ მარტორქისაჲ მის...
23 რამეთუ არა არს ზმნა შორის იაკობსა,
არცა მისნობა შორის ისრაელსა.
ჟამად-ჟამად ეთხრას იაკობსა და ისრაელსა,
რაჲცა ქმნას ღმერთმან.
24 აჰა ესერა მან, ვითარცა ლეკუმან ლომისამან, განიღჳძოს
და ვითარცა ლომი, იბრდღუენდეს;
არა დაიძინოს, ვიდრემდის არა ჭამოს ნადირი
და სისხლი წყლულთაჲ სუას.
25 და ჰრქუა ბალაკ ბალაამს: ნუცა წყევით სწყევ მას, ნუცა კურთხევით აკურთხევ. 26 და მიუგო ბალამ და ჰრქუა ბალაკს: არა გეტყოდე შენ და გარქუ, ვითარმედ სიტყუაჲ, რომელი მრქუას ღმერთმან, ესე ვყო?
27 და ჰრქუა ბალაკ ბალაამს: მოვედ და მიგიყვანო შენ ადგილსა სხუასა, სთნდეს ხოლო თუ ღმერთსა, და დაწყევე იგი მიერ. 28 და წარიყვანა ბალაკ ბალაამი თავსა ზედა ფუგორისასა, რომელ მიაწევს უდაბნოდ. 29 და ჰრქუა ბალაამ ბალააკს: მიქმნენ მე აქა

AK

ვთქუ, ანუ არა?
რაჲ იტყოდის, არა დაადგრის?
20 აჰა ესერა კურთხევად მოყუანებულ ვარ,
ვაკურთხო და არა გარგ-მივიქცე.
21 არა იყოს რუდუნებაჲ იაკობსა შორის,
არცა გამოჩნდეს სალმობაჲ ისრაელსა შორის,
უფალი ღმერთი მისი მის თანა
და დიებული მთავართა[ჲ].
22 ღმერთი [არს], რომელმან გამოიყუანნა იგინი ქუეყანით ეგჳპტით,
ვითარცა დიდებაჲ მარტორქისა დიდებაჲ მათი,
23 რამეთუ არა არს ზმნა იაკობსა შორის,
არცა მისნობაჲ ისრაელსა შორის.
ჟამად-ჟამად ითქმოდის იაკობი და ისრაელი,
რაჲ-მე აღასრულოს ღმერთმან.
24 აჰა ესერა ერი, ვითარცა [286] ლეკჳ [ლომისაჲ] აღდგეს
და ვითარცა ლომი, იზახებდეს;
არა დაიძინოს, ვიდრემდე ჭამოს ნადირი
და სისხლი წყლულისა სუას.
25 და ჰრქუა ბალაკ ბალამს: არცა წყევით დამიწყევენ მე იგინი, ნუცა კურთხევით აკურთხევ მათ. 26 მიუგო ბალამ და ჰრქუა ბალაკს: არა გეტყოდეა შენ და ვთქუ, ვითარმედ სიტყუაჲ, რომელი მრქუას მე ღმერთმან, იგიცა ვყო?
27 და ჰრქუა ბალაკ ბალამს: მოვედ და წარგიყვანო შენ სხუასა ადგილსა, უკუეთუ სათნო უჩნდეს ღმერთსა, და მიერ დამიწყევენ იგინი. 28 და წარიყვანა ბალაკ ბალამი და აღიყვანა იგი თხემსა ფოგორ მთისასა, რომელი მისწუდების უდაბნოდ. 29 და ჰრქუა ბალამ ბალაკს: აღმიშენენ მე აქა შჳდნი

S: 23 მის]ჳ S. 24 წყულთაჲ. 28 წარიყვანა+იგი.
AK: 19 არა—AK. რაჲ]რაჲსაცა K. 25 დამიწყევე K. 26 გეტყოდე K. სიტყუა A. 27 წარგიყუანო A. დამიწყევენ]დამივწყევენ K. იგინი]იგი A. 28 წარიყუანა A. აღიყუანა A.

B

შენ სთქუ: არა ყოს?
თქუეს და არა დაადგრეს?
20 აჰა ესერა კურთხევად მიწყიეს,
ვაკურთხო და არა მოვაქციო.
21 არა იყოს შრომა შორის იაკობსა,
არცა იხილოს სალმობა შორის ისრაელსა,
უფალი, ღმერთი მისი, მის თანა არს
და დიდებულნი და მეუფება შორის მისსა არიან.
22 უფალმან ღმერთმან გამოიყუანნა იგინი ეგუპტით,
ვითარცა ძალი მარტორქისა მას ზედა.
23 რამეთუ არა არს ზმნა შორის იაკობსა
და არცა მისნობა შორის ისრაელისა მის,
ჟამად ეთხრას იაკობსა და ისრაელს,
რა ჰყოს ღმერთმან.
24 აჰა ესერა ერმან, ვითარცა ლეკუმან ლომისამან, განიღვიძოს
და ვითარცა ლომი იბრდღუნვიდეს;
არა დაიძინოს, ვიდრემდის არა ჰამოს ნადირი
და სისხლი წყლულთა არა სუას.
25 და ჰრქუა ბალაკ ბალამს: ნუცა წყევით სწყევ და ნუცა კურთხევით აკურთხევ მათ. 26 და მიუგო ბალამ და ჰრქუა ბალაკს: არა გეტყოდეა შენ და გარქუ, ვითარმედ სიტყვა, რომელი მცეს ღმერთმან, ვყო ესრეთ?
27 და ჰრქუა ბალაკ ბალამს: მოვედ და მიგიყვანო შენ ადგილსა სხუასა, სთნდეს ხოლო თუ ღმერთსა, დაწყევე იგი მიერ. 28 და წარიყვანა ბალაკ ბალამი თავსა ზედა ფოგორისასა, რომელი მიაწევს უდაბნოდ. 29 და ჰრქუა ბალამ ბალაკს: მიქმნენ მე აქა შჳდნი

G

შენ სთქუ: არა ყოს?
თქუას და არა დაადგრეს?
20 აჰა, კურთხევად მიწყიეს,
ვიკურთხო და არა მოვაქციო.
21 არა იყოს შრომაჲ იაკობსა შორის,
არცა იხილეოს (v) ტკივილი ისრაელსა შორის,
უფალი, ღმერთი მისი, მის თანა,
დიდებულნი მთავართანი მის შორის.
22 ღმერთი, რომელმან აღმოიყვანა იგი ეგუპტით,
ვითარცა დიდებაჲ მარტო(179)რქისაჲ მას.
23 რამეთუ არა არს [78] ზმნაჲ იაკობსა შორის,
არცა მისნობაჲ ისრაელსა შორის,
ჟამად-ჟამად ითქუას იაკობსა შორის და ისრაელსა,
რასა სრულ-ჰყოფს ღმერთი.
24 აჰა ერი, ვითარცა ლომის ლეკჳ, აღდგეს
და ვითარცა ლომი, იბრდღუენდეს;
არა დაიძინოს, ვიდრემდის ჭამოს ნადირი
და სისხლი წყლულთაჲ სუას.
25 და ჰრქუა ბალაამსა: ნუცა წყევით დამიწყევე მე მას, ნუცა კურთხევით აკურთხევ მას. 26 და მიუგო ბალაამმან და ჰრქუა ბალაკსა: არა გარქუა შენ მეტყუელმან სიტყუაჲ, რომელიცა თქუას ღმერთმან, იგი ვყო?
27 და თქუა ბალაკმან ბალაამის მიმართ: მოვედ, წარგიყვანო შენ ადგილსა სხუასა, სთნდეს თუ ღმერთსა, და დამიწყევე(v) მე იგი მუნით. 28 და წარიყუანა ბალაკმან ბალაამი თხემსა ზედა ფოღორისასა, რომელი მიაწევს უდაბნოდ. 29 და ჰრქუა ბალაამმან ბალაკსა: აღმიშენენ მე აქა შჳდნი ბომონ-

B: 21 სუვას. 25 აკურთხევთ. 28 ფოგორისასა]როგორისასა. მიუწუსს.

S

შჳდნი ბომონნი და დამიმზადე მე აქა შჳდი ზუარაკი და ვერძი. 30 და ყო ბალაკ, ვითარცა ჰრქუა მას ბალამ, და შეწირა ზუარაკი და ვერძი ბომონსა მას ზედა.

AK

ბომონნი და მზა მიყუენ შჳდნი ზუარაკნი და შჳდი ვერძი. 30 და ყო ეგრე ბალაკ, და შეწირა ზუარაკი და ვერძი ბომონსა მას ზედა.

თავი XXIV

1 და იხილა ბალაამ, რამეთუ კეთილ არს წინაშე უფლისა კურთხევაჲ ისრაელისაჲ, არა მივიდა კითხვად, ვითარ-იგი ჩუეულ იყო ზმნებათა, და მიიქცია პირი თჳსი უდაბნოდ. 2 და აღიხილნა თუალნი თჳსნი ბალამ და იხილა ისრაელი, დაბანაკებული ნათესავად-ნათესავად, და იყო სული ღმრთისა მის ზედა. 3 და აღიღო იგავი იგი მისი და თქუა:

თქუ ბალაამ, ძემან ბეორისმან,

(4) თქუა კაცმან მან, რომელ ჴეშმარიტად ხედვიდა,

4 რომელმან ხილვაჲ ღმრთისა იხილა

ძილსა შინა, ზე-მხილვარითა თუალითა თჳსითა:

1 და იხილა ბალაამ, რამეთუ კეთილ არს კურთხევა ისრაელისა წინაშე უფლისა, არღარა წარვიდა ჩუეულებისა მისისაებრ შემთხუევად ზმნათა მათ, და მიიქცია პირი თჳსი უდაბნოდ. 2 და აღიხილნა ბალამ თუალნი თჳსნი და იხილა ისრაელი, დაბანაკებული ტომად-ტომად, და იყო მის ზედა სული ღმრთისაჲ. 3 და აღიღო იგავი თჳსი და თქუა:

[v] იტყჳს ბალამ, ძე ბეორისი,

იტყჳს კაცი, რომელი ჴეშმარიტად ხედავს,

4 რომელმან ხილვა ღმრთისაჲ იხილა

ძილსა შინა, გამოცხადებულ თუალნი მისნი:

SL

5 ვითარ-ეგე კეთილ არიან სახლნი *შენნი, იაკობ.

საყოფელნი შენნი, ისრაელ!

6 ვითარცა მაღნარნი ბურობანნი

და ვითარცა სამოთხენი მდინარეთა ზედა

და ვითარცა კარავნი, რომელ აღდგნა უფალმან და არა კაცმან,

და ვითარცა ნაძუნი წყლის კიდესა.

7 გამოჴდეს კაცი ნათესავისაგან მისისა

და ეუფლოს ნათესავთა მრავალთა

და აღმაღლდეს გოგის მეუფებაჲ

და აღორძნდეს მეუფებაჲ მისი.

5 ვითარ კეთილ არიან სახლნი შენნი, იაკობ,

და საყოფელნი შენნი, ისრაელ!

6 ვითარცა მთანი მაგრილობელნი

და ვითარცა სამოთხენი მდინარეთა ზედა

და ვითარცა კარავნი, რომელ აღმართნა უფალმან,

და ნაძუნი წყალთა ზედა.

7 გამოვიდეს კაცი ნათესავისაგან მისისა

და უფლებდეს ნათესავთა მრავალთა

და აღმაღლდეს ეგუგ მეფობაჲ

...მეუფებაჲ მისი.

SL: XXIV, 1 შე . 2°—S. 6 ბორობანნი S. მღნარესა S. 7 მისისა]თჳსისა S. გუგის S.

AK: 30-ე მუხლი]—K. XXIV, 3 და აღიღო იგავი თჳსი და თქუა—K. 7 ეგუგ მეფობაჲ მეუფებაჲ ისი]მფბ̃ა მისი K.

* აქ იწ̃ უება ტექსტი L ფრაგმენტში.

B

ბომონნი და დამიმზადე მე აქა შჳდი ზუარაკი და შჳდი ვერძი. 30 და ყო ბალაკ, ვითარცა ჰრქუა მას ბალამ, და შეწირა ზუვარაკი იგი და ვერძი ბომონსა მას ზედა.

G

ნი და მომიმზადენ მე აქა შჳდნი ზუარაკნი და შჳდნი ვერძნი. 30 და ყო ბალაკმან, ვითარ-იგი ჰრქუა მას ბალაამმან, და აღიხუნა ზუარაკი და ვერძი ბომონსა ზედა.

თავი XXIV

1 და იხილა ბალამ, რამეთუ კეთილ არს წინაშე უფლისა კურთხევა ისრაელისა, არა მოვიდა კითხვად, ვითარმედ ჩუეულ იყო ზმნებად, და მიიქცია პირი თჳსი უდაბნოდ. 2 და დაალტუნა ბალამ თუალნი მისნი და იხილა ისრაელი, დაბანაკებული ნათესავად-ნათესავად, და იყო სული უფლისაჲ მას ზედა. 3 და აღიღო იგავი იგი მისი და თქუა:

თქუა ბალამ, ძემან ბეორისმან,

თქუა კაცმან, ჴეშმარიტად მხედველმან,

4 იტყჳის მსმენელი სიტყჳსა ძლიერისა,

რომელმან ხილვა ღმრთისაჲ იხილა ძილსა შინა

ზე-მხილვარითა თუალითა თჳსითა:

5 ვითარ-ეგე კეთილ არიან სახლნი შენნი, იაკობ,

და საყოფელნი შენნი, ისრაელ!

6 ვითარცა მთანი მაგრილობელნი

და ვითარცა სამოთხენი მდინარეთა ზედა

და ვითარცა კარავნი, რომელ აღმართნა უფალმან

და ვითარცა ნაძუნი წყალთა ზედა.

7 გამოვიდეს კაცი ნათესავისაგან მისისა

და უფლებდეს ნათესავთა მრავალთა

და ამაღლდეს უფროს ყოვლისა მეუფება მისი.

1 და იხილა რაჲ ბალაამმან, ვითარმედ კეთილ არს წინაშე უფლისა კურთხევაჲ ისრაელისაჲ, არა წარვიდა ჩუეულებისაებრ კითხვად ზმნობათა, და მიი[v]ქცია პირი თჳსი უდაბნოდ მიმართ. 2 და აღმხილველმან ბალაამ თუალთა თჳსთამან იხილა ისრაელი, განწყობილი ტომეულად, და იყო მის ზედა სული ღმრთისაჲ. 3 (180) და აღმღებელმან იგავისა მისისამან თქუა:

იტყჳს ბალა(181)*ამ, ძე ბეორისი,

იტყჳს კაცი, ჴეშმარიტისა მხედველი,

4 იტყჳს, მსმენელი სიტყუათა ძლიერისათა,

რომელმანცა გამოცხადებაჲ ღმრთისაჲ იხილა ძილსა შინა,

ზე-ხილულ რაჲ იყვნეს თუალნი მისნი:

5 ვითარ შუენიერ არიან სახლნი შენნი, (v) იაკობ,

საყოფელნი შენნი, ისრაელ!

6 ვითარცა მაღნარნი ბორობანნი

და ვითარცა სამოთხენი მდინარეთა ზედა

და ვითარცა კარავნი, რომელნი აღდგნა უფალმან,

ვითარცა ნაძუნი წყლის კიდისანი.

7 გამოვიდეს კაცი თესლისაგან მისისა

და ეუფლოს ნათესავთა მრავალ[79]თა,

და ამაღლდეს გოგ, მეფობაჲ მისი, აღორძნდეს მეფობაჲ მისი.

B: XXIV, 1 უდაბნოთ. 3 თქუა 1° 2°] იტყჳს.

* 180v-ზე კიმენური ტექსტი არ არის.

SL

8 ღმერთი უძღოდა მას ეგჳპტით,
ვითარცა დიდებაჲ მარტორქისაჲ მისი,
შეჭამნეს ნათესავნი მტერთა მისთანი
და სიპოხჳ მათი ტჳნითურთ გამოწოს
და ისრითა მისითა ესროდის მტერთა.
9 ინაკ-იდგა და განისუენა ვითარცა ლომმან და ვითარცა ლეკუმან ლომისამან.
ვინ აღადგინოს იგი?
მაკურთხეველნი შენნი კურთხეულ არიან
და მწყევარნი შენნი წყეულ არიან!
10 და განრისხნა გულისწყრომით ბალაკ ბალაამის ზედა და შეიტყუელნა ჴელნი თჳსნი და ჰრქუა ბალაკ ბალაამს: წყევად მტერისა ჩემისა მოგხადე შენ და აჰა ესერა კურთხევით აკურთხე ესე მესამედ. 11აწ ივლტოდე ადგილდ შენდა; ვთქუ, გადიდო შენ, აწ კუებულ გქმნა შენ უფალმან დიდებისა მისგან. 12 და ჰრქუა ბალაამ ბალაკს: არა მოციქულთაცა შენთა, რომელ მოავლინენ ჩემდა, ვარქუ მათ: 13 „მო-ღათუმცეს ბალაკ სახლი თჳსი, სავსე ვეცხლითა და ოქროჲთა, ვერვე შეუძლო გარდასლვად სიტყუასა უფლისასა, ყოფად მისა კეთილად ანუ ბოროტად თავით ჩემით, არამედ რავდენი მრქუას მე ღმერთმან, ესე ვთქუა?“ 14 და აწ ესერა წარვალ მე ადგიდ ჩემდა, მოვედ და გაზრახო შენ, რაჲ უყოს ერმან ამან ერსა მაგას შენსა აღ[სასრულთა] დღეთა.
15 აღიღო იგავი თჳსი და თქუა:
[თქუა] ბალაამ, ძემან ბეორისმან,

AK

8 ღმერთი უძღოდა მას ეგჳპტით,
ვითარცა დიდებაჲ მარტორქისაჲ დიდებაჲ მისი,
შესჭამდეს თესლთა მტერთა მისთასა
და სიპოხე მათი გამოწოოს
და საისრელითა მისითა ჰბრძოდის მტერსა.
9 მიწოლით განისუენოს ვითარცა ლომმან და ვითარცა ლეკუმან ლომისამან.
ვინ აღადგინოს იგი?
მაკურთხეველნი შენნი კურთხეულ იყუნენ
და მწყევარნი შენნი წყეულ იყუნენ!
10 და განრისხნა ბალაკ ბალაამის ზედა და დაიტყუელნა ჴელნი თჳსნი და თქუა: წყევად მტერთა ჩემთა მოგხადე შენ და აწ ესერა კურთხევით აკურთხენ იგინი სამგზის. 11 აწ უკუე ივლტოდე შენ ადგილდ შენდა; ვთქუ, ვითარმედ პატივ-გცე შენ, ხოლო აწ დაგაკლო შენ ღმერთმან დიდებაჲ. 12 და ჰრქუა ბალამ ბალაკს: ანუ არა მოციქულთაცა შენთა, [287] რომელიგი მოავლინენ ჩემდა, ვეტყოდე და ვარქუ: 13 „უკუეთუ მომცეს მე ბალაკ სავსე სახლი მისი ვეცხლითა და ოქროთა, ვერ ქელ-მეწიფების, გარდასლვად სიტყუასა უფლისასა, ყოფად დიდი ანუ მცირე ბოროტი, გინა კეთილი თავით ჩემით, არამედ რომელიცა მრქუას ღმერთმან, იგიცა ვთქუა?“ 14 აწ უკუე აჰა ესერა წარვალ ადგილად ჩემდა, არამედ მოვედ და გაუწყო შენ, რაჲ უყოს ერმან ამან ერსა შენსა უკუანაჲსკნელთა დღეთა.
15 და აღიღო იგავი თჳსი და თქუა:
იტყჳს ბალამ, ძე ბეორისი,

SL: 8 სიპოხე S. 10 ბალამს S. აკურთხე+იგი S. 12 მათ+მეთქი S. 14 აღსასრულთა დღეთა— S. 15 ბალამ S.

AK: 8 მას]მათ AK. მარტორქისა A. ბრძოდის მტერთა K. 9 იყუნენ 1° 2° A. 11 ადგილად A. 12 რომელი-იგი K. 13 გარდასულად K. 14 ესერა—K.

B

8 ღმერთმან გამოიყვანა იგი ეგუპტისაგან,
ვითარცა დიდება მარტორქისა მისი,
შეშჭამდეს თესლსა მტერთა მისთასა
და სიპოხე მათი გამოსწოოს
და საისრელითა ესროდის მტერთა.
9 მიწოლით განისუენოს ვითარცა ლომმან და ვითარცა ლეკუმან ლომისამან.
ვინ აღადგინოს იგი?
მაკურთხეველნი შენნი კურთხეულ იყუნენ
და მწყევარნი შენნი წყეულ იყუნენ!
10 და განრისხნა ბალაკი ბალამს ზედა და დაიტყუელნა კელნი მისნი და ჰრქუა ბალაკ ბალამს: წყევად მტერთა ჩემთა მოგხადე შენ და აჰა ესერა აკურთხენ იგინი კურთხევითა სამგზის.
11 აწ უკუე იქცოდე ადგილად შენდა; ვთქუ, ვითარმედ პატივ-გცემ შენ, ხოლო აწ დაგაკლო შენ უფალმან დიდებაჲ.
12 და ჰრქუა ბალამ ბალაკს: ანუ არა მოციქულთაცა მათ, რომელნი მოავლინენ ჩემდა, ვეტყოდი და ვარქუ მათ:
13 „უკეთუ მომცეს მე ბალაკ სავსე სახლი მისი ვეცხლითა და ოქროთა, ვერ კელ-მეწიფების გარდასლვად სიტყუსა უფლისასა, [ყოფად] მცირისა ანუ დიდისა ბოროტი ანუ კეთილი თავით ჩემით, რაცა მრქუას მე ღმერთმან, იგიცა ვთქუა?“
14 ხოლო აწ ესერა წარვალ ადგიდ ჩემდა, მოვედ და გითხრა შენ, რაჲ უყოს ერმან ამან ერსა შენსა უკანასკნელთა დღეთა.
15 და აღიღო იგავი თჳსი და თქუა:
იტყჳს ბალამ, ძე ბეორისი,

G

8 ღმერთი მოუძღუა მას ეგუპტით,
ვითარცა დიდებაჲ მარტორქისაჲ მას,
შეჭამოს ნათესავი მტერთა მისთაგან
და სიპოხე მათი გამოტეხნოს
და სატყორცითა მისითა მშჳლდვიდეს მტერსა.
9 მიწოლით განისუენა, ვითარცა ლომმან და ვითარცა ლომის ლეკუმან.
ვინ აღადგინოს იგი?
მაკურთხეველნი შენნი იკურთხნენ
და მწყევარნი შენნი იწყევნენ!
10 და გულმწყრალ იქმნა ბალაკ ბალაამის ზედა და შეიტყუელნა კელნი მისნი და თქუა ბალაკ ბალაამის მიმართ: წყევად მტერისა ჩემისა გიწოდე შენ და აჰა მაკურთხეველმან აკურთხე იგი ესე მესამედ.
11 აწ უკუე წარიქეცი ადგილსა შენდა; ვთქუ, პატივ-გცე შენ, და აწ დაგაკლო შენ უფალმან დიდებისაგან.
12 და თქუა ბალაამ ბალაკის მიმართ: არა ანგელოზთაცა შენთა, რომელნი მოავლინენ ჩემდა, ვეტყოდე, მეტყუელი:
13 „უკეთუ მომცეს მე(182)ბალაკ სავსე სახლი მისი ვეცხლითა და ოქროჲთა, ვერ ძალმიც გარდასლვაჲ სიტყუასა უფლისასა, ყოფად კეთილი მისდა ანუ ბოროტი თავით ჩემით, რაოდენნი-რაჲ მრქუნეს ღმერთმან, ვთქუნე?“
14 და აწ აჰა წარვალ ადგიდ ჩემდა, მოვედ და განგაზრახო შენ, რაჲ უყოს ერმან ამან ერსა შენსა უკუანაჲსკნელთა დღეთა.
15 და აღმღებელმან იგაისამან ესრეთ თქუა:
იტყჳს ბალაამ, ძე ბეორისი,

B: 8 იგი]იგინი. მისი]მისისა.
G 8 მშჳლდვიდეს Gb. 14 დღეთა]დღეთაჲ Gab.

SL

თქუა კაცმან მან, რომელ ჰეშმარიტად ხედვიდა,
16 ესმოდეს სიტყუანი ღმრთისანი
და მეცნიერ იყო მეცნიერებასა მაღლისასა
და ხილვაჲ ღმრთისაჲ იხილა,
ძილსა შინა ზე-ხილულ იყუნეს თუალნი მისნი.
17 უჩუენო მას და არა აწ;
ვჰნატრო და არა მახლობელად;
გამობრწყინდეს ვარსკულავი იაკობისგან
და აღდგეს კაცი ისრაელისაგან
და მრსრნეს მთავარნი მოაბისანი
და წარტყუენნეს ყოველნი ძენი სჱთისნი.
18 და იყოს ედომი სამკჳდრებელად
და იყოს სამკჳდრებელად ესიე მტერი მისი,
და ისრაელმან ყოს ძლიერებით.
19 და აღდგეს იაკობისგან
და წარწყმიდოს განრინებული ქალაქით.
20 და იხილა ამალეკი და აღიღო იგავი იგი თჳსი და თქუა:
დასაბამი წარმართთაჲ ამალეკი,
და ნათესავი მათი წარწყმდეს.
21 და იხილა კინეველი და აღიღო იგავი თჳსი და თქუა:
მტკიცე არს სამკჳდრებელი შენი,
და და-თუ-სდგა კლდესა შინა ბუდჱ შენი,
22 დაღათუ იყოს ბეორისი ბუდე ძმაცულებისა,
ასურასტანელთა წარგტყუენონ შენ.
23 და აღიღო იგავი თჳსი და თქუა:
ჱ, ჱ, ვინ ცხოჳდეს, ოდეს დადვას ესე ღმერთმან?
24 და გამოჳდეს ჴელთაგან კიტიელთაჲსა

AK

იტყჳს კაცი ჰეშმარიტი, რომელი ხედავს,
16 და ესმიან სიტყუანი ღმრთისანი,
იცის მეცნიერებაჲ მაღლისაგან
და ხილვაჲ ღმრთისაჲ იხილა,
საჩუენებელით განცხადებულ არიან თუალნი მისნი.
17 უჩუენო მას და არა აწ;
ვანატრო და არა მიეახლოს;
აღმოჳდეს ვარსკულავი იაკობისგან
და აღდგეს კაცი ისრაელისაგან
და დასცნეს მთავარნი მოაბელთანი
და წარმოსტყუენნეს ყოველნი ძენი სეირისნი.
18 და იყოს ედომი სამკჳდრებელად მისა,
იყოს ესავ მტერი მისი
და ისრაელმან ყოს ძალითა.
19 და აღდგეს იაკობისგან
და წარწყმიდოს განრინებული ქალაქით.
20 და იხილა ამალეკი და აღიღო იგავი თჳსი და თქუა:
დასაბამი წარმართთა ამალეკი,
და თესლი მისი წარწყმდეს.
21 და იხილა კინეველი იგი და აღიღო იგავი თჳსი [v] და თქუა:
ძლიერ არს სამკჳდრებელი შენი,
და უკუეთუ დაიდგნე კლდეთა შინა ბუდენი შენნი,
22 ასურასტანელთა წარგტყუენონ შენ. და უკუეთუ იქმნეს ბეორ მართუე სიჳცრაგის,
ასურასტანელთავე წარგტყუენონ შენ.
23 და აღიღო იგავი თჳსი და თქუა:
ჱ, ვინ-მე განერეს, რაჟამს დაღვას ესე ღმერთმან ქუეყანასა ზედა?
24 და გამოვიდეს ჴელთაგან კეტიიჱლთასა

SL: 16 ღმრთისა S. 17 სჱთისნი S. 18 ედომ L. 19 ჭალაჭით]ქუეყანით S. 20 ამალეკი S. აღი ღო]იხილა S. ამალეკი S. 21 თჳსი]ესე S. ბუდე S. 22 ძმაცულებით S. 23 ჱ ჱ]ჲ S. ცხოჳდეს L კიტელთაჲსა S.

AK: 16 ხილვა A. საჩუენებლით K. 17 არა—K. ვარსკულავი K. და 3°—K. საირისნი K. 18 მისსა K. 22 და უკუეთუ იქმნეს... წარგტყუენონ შენ—K. 24 ქეტიიმელთასა A.

B

იტყჳს კაცი ჰეშმარიტი, რომელი ხედავს.
16 და ესმიან სიტყჳანი ღმრთისანი
და იცინ მეცნიერებაჲ მაღლისაგან
და ხილვა ღმრთისაჲ იხილა საჩუენებელით,
ძილსა შინა განცხადებულ არიან თუალნი მისნი.
17 უჩუენო მას და არა აწ;
უნატრო და არა მიეახლოს;
აღმოჰქდეს ვითარცა ვარსკულავი იაკობისაგან
და აღდგეს კაცი ისრაელისაგან
და დასცნეს მთავარნი მოაბისანი
და წარმოსტყუენნეს ყოველნი ძენი სეითისნი.
18 და იყოს ედომი სამკჳდრებელად მისსა
და იყოს მკჳდრობა ესავ მტერ მისი, და ისრაელმან ყოს ძალითა.
19 და აღდგეს იაკობისაგან
და წარსწყმიდოს განრინებული ქალაქით.
20 და იხილა ამალეკი და აღიღო იგავი თჳსი და თქუა:
დასაბამი წარმართთა ამალეკი
და თესლი მისი წარწყმდეს.
21 და იხილა კინაველი იგი და აღიღო იგავი თჳსი და თქუა:
ძლიერ არს სამკჳდრებელი შენი
და უკუეთუ დაიდგნე კლდესა ზედა ბუდენი შენნი,
22 და უკუეთუ ექმნეს ბევრს ბუდე სიეერაგისა,
ასურასტანელთაცე წარგიყვანონ შენ.
23 და იხილა ოგ და აღიღო იგავი თჳსი და თქვა:
ჰ, ჰ, ვინ-მე ცხოვნდეს, რაჟამს დადვას ესე ღმერთმან?
24 და გამოვიდეს კელთაგან ქეტიშელთასა

G

იტყჳს კაცი, ჰეშმარიტისა მხედველი.
16 მსმენელი სიტყჳსა ღმრთისაჲ,
მიწდომილი მიწდომასა მაღლისასა
და ხილვასა ღმრთისასა მხილველი,
ძილსა შინა აღსაშურველებული თუალითა მისითა.
17 უჩუენო მას და არა აწ;
ვჰნატრიდე და არა მიეახლოს,
(183v)* [80] აღმობრწყინდეს ვარსკულავი იაკობისგან
და აღდგეს კაცი ისრაელისაგან
და მოსრნეს მთავარნი მოაბისანი
და წარტყუენნეს ყოველნი ძენი სეითისნი.
18 და იყოს ედომ სამკჳდრებელი ესავისი,
მტერ მისსა, და(184)ისრაელმან ქმნას ძალი.
19 და აღდგეს იაკობისგან
და წარწყმიდოს ცხოვნებული ქალაქისაგან.
20 და იხილა ამალეკი და აღმღებელმან იგავისა მისისამან თქუა:
დასაბამი წარმართაჲ ამალეკი
და თესლი მათი წარწყმდეს.
21 და იხილა კინეველი და აღმღებელმან იგავისა მისისამან თქუა:
ძლიერ არს სამკჳდრებელი შენი
და უკუეთუ დასდგა კლდესა შინა ბუდე შენი,
22 და უკუეთუ ექმნეს ბეორს ბუდე სიეერაგისაჲ,
ასურასტანელთა წარგტყუენონ შენ.
23 და აღმღებელმან იგავისა მისისამან თქუა:
ჰ, ჰ, ვინ ცოცხალ იყოს, ოდეს დადვას ესე ღმერთმან?
24 და გამოჴდეს კელთაგან კიტიელთაჲსა

B: 17 მიახლოს. 18 განრინებულთ. 22 ექმნეს ბევრს]იქმნე ბეურ. 23 აღიღო]აღიღონ. თქვა]თქუას. 24 გამოვიდეს]გამოვიდე.
G: 18 ქმნა Gab.
* 182v და 183r-ზე კიმენური ტექსტი არ არის.

SL

და აჰირონ ასურს და აჰირებდენ ებრაელთა
და იგინი ერთბამად წარწყმდენ.
25 (24) და აღდგა ბალაამ და წარვიდა, მიიქცა ადგილდ თჳსა, და ბალაკ წარვიდა თჳსა.

AK

და ბოროტსა უყოფდენ ასურს და ებრაელთა
და იგინი ერთბამად წარწყმდენ.
25 და აღდგა ბალამ და წარვიდა და მიიქცა ადგიდ თჳსა.

თავი XXV

1 და დაიბანაკა ისრაელმან სატინს და შეიგინა ერი იგი სიძვად ასულთა თანა მოაბელთა. 2 და ხადეს მათ ნაგებთა ზედა კერპთა მათთასა. და ჭამა ერმან მან ნაზორევთა მათთაჲ და თაყუანის-სცეს კერპთა მათთა. 3 და შეეჩუენა ისრაელი ბელფეგორს და განრისხნა უფალი გულისწყრომით ისრაელსა ზედა. 4 და ჰრქუა უფალმან მოსეს: მოიყვანენ ყოველნი მთავარნი ერისანი და განაქიქენ იგინი უფლისა მიერ წინაშე მზისა და უკუნიქცეს რისხვაჲ იგი გულისწყრომისა უფლისაჲ ისრაელისაგან. 5 და ჰრქუა მოსე ნათესავთა ისრაელისათა: მოკალნ კაცად-კაცადმან სახლეული თჳსი, რომელ შეჩუენებულ არს ბელფეგორისა.

6 და აჰა ესერა კაცი ძეთა ისრაელისათაჲ მოვიდა, მიიყვანა ძმაჲ თჳსი მადიანიტელისა (!) წინაშე მოსჱსა და წინაშე ყოველისა კრებულისა ძეთა ისრაელისათაჲსა. ხოლო იგინი ტიროდეს წინაშე კართა კარვისა მის საწამებელისათა. 7 და იხილა ფინეზ, ძემან ელიაზარისმან, ძისა აჰრონ მღდელისამან, და აღდგა იგი შორის კრებულსა, მოიღო ლახუარი კელთა 8 და შევიდა უკუანა კაცისა მის ისრაიტელისა

1 *და ისრაელი დაადგრა სატიმს და შეიგინა ერი იგი სიძვითა ასულთა მიმართ მოაბისათა. 2 და ხადეს მათ ნაზორევეთა ზედა კერპთა მათთასა. და ჭამა ერმან მან ნაკერპავი მათი და თაყუანის-სცეს კერპთა მათთა. 3 და მიეცა ისრაელი ბელფეგორს და განრისხნა გულისწყრომით უფალი ისრაელსა ზედა. 4 და ჰრქუა უფალმან მოსეს: მოიყვანენ ყოველნი მთავარნი ერისანი და განაქიქენ უფლისა მიმართ წინაშე მზისა და გარე-მიიქცეს რისხვაჲ გულისწყრომისა უფლისაჲ ისრაელისაგან. 5 და ჰრქუა მოსე ტომებსა მას ისრაელისასა: მოკლან კაცად-კაცადმან სახლეული თჳსი, მისრული ბელფეგორისა.

6 და აჰა კაცი ძეთა ისრაელისათა[ჲ] [288] მოვიდა და მოჰგუარა ძმაჲ თჳსი მადიამელსა დედაკაცსა თანა წინაშე მოსესა და წინაშე ყოველისა კრებულისა ძეთა ისრაელისათა. და იგინი ტიროდეს წინაშე კართა კარვისა მის წამებისათა. 7 და იხილა ფინეეს, ძემან ელიაზარისმან, ძისა აჰრონის მღდელისამან, და აღდგა შორის კრებულისა და მოიღო ლახუარი კელითა თჳსითა 8 და შევიდა შემდგომად კაცისა მის ისრაიტელისა საკმილსა მას და განგუ-

SL: 24 იგინი[ფავნი S. XXV, 1 სატინს]სანს L. და შეიგინა ერი იგი სიძვად—S. თაყუანი-S. 3 ბეელფეგორს S. გულისწყრომთ—L. 4 მზესა S. იგი—L. 5 ბეელფეგორისა S. 6 მოსესა S. საწამებელთაჲსა S.

AK: 25 ადგილად K. XXV, 2 კერპთა მათთა]კერპსა K. 3 მიეცა]ეცა K. ბეელბეგორს A. ისრაელსა ზედა—K. 4 მოიყუანენ K. 5 ბეელბეგორისა A. 6 მოგუარა K. 8 შემდგომად—K. ისრაელიტელისა A. საკმილავსა AK.

* A-ში XXV თავის დასაწყისთან კიდეზე მხედრულით წერია: „ფინეზის ლხინება“.

B

და ბოროტს უყოფდენ ასურთა და ბოროტსა უყოფდენ ებრაელთა
და იგინი ერთბამად წარწყმდენ.
25 და აღდგა ბალამ, წარვიდა და მიიქცა ადგილად თჳსა, და ბალაკ წარვიდა ადგილად თჳსა.

G

და განაბოროტონ ასურ და განაბოროტონ ებრაელნი
და იგინი ერთბამად წარწყმდენ.
25 და აღდგომილი ბალაამ (v)წარვიდა მიქცევით ადგიდ თჳსსა, და ბალაკ წარვიდა თჳსაგან.

თავი XXV

1 და ისრაელი დაადგრა სატიანის და შეიგინა ერი იგი სიძვითა ასულთა მიმართ მოაბისთა. 2 და ჰხადეს მათ ნაზორევთა ზედა კერპთა მათთასა, და ჭამა ერმან მან ნაკერპავი იგი მათი და თაყუანი-სცეს კერპთა მათთა. 3 და მიიქცა ისრაელი ბელფეგორს და განრისხნა უფალი გულისწყრომითა ისრაელსა ზედა. 4 და ჰრქუა უფალმან მოსეს: მოიყვანენ ყოველნი მთავარნი ერისანი და განაქიქენ იგინი უფლისა მიერ წინაშე მზისა და უკუნ-იქცეს რისხვა იგი გულისწყრომისა უფლისაჲ ისრაელისაგან. 5 და ჰრქუა მოსე ნათესავთა ისრაელისათა: მოკალ კაცად-კაცადმან სახლეული თჳსი, რომელი შეჩუენებულ არს ბელფეგორს.

6 და აჰა ესერა კაცი ძეთა ისრაელისათა მოვიდა და მოიყვანა ძმა თჳსი მანდიანტელისა (!) წინაშე მოსესა და წინაშე ყოელისა კრებულისა ძეთა ისრაელისათასა. ხოლო იგინი ტიროდეს წინაშე კართა კარვისა საწამებელისათა. 7 და იხილა ფინეზ, ძემან ელიაზარისამან, ძისა აჰრონ მღდელისამან, და აღდგა იგი შორის კრებულისა და მოიღო ლახვარი კელითა, 8 შევიდა უკანა კაცისა მის ისრაიტელისა საცხობელსა

G: 3 ველფეღორს Ga.

1 [v] და დაიბანაკა ისრაელმან ატტის და შეიბილწა ერი სიძვად ასულთა მიმართ მოაბისათა. 2 და ჰხადეს მათ ნაგებთა მიმართ კერპთა მათთასა, და ჭამა ერმან ნაგებთა მათთაჲ და თაყუანის-სცეს კერპთა მათთა. 3 და შეეჩუენა ისრაელი ველფეგორს და განურისხნა უფალი გულისწყრომით ისრაელსა. 4 და ჰრქუა მოსეს: მოიყვანენ მთავარნი ერისანი და განუქიქენ იგინი (185) უფალსა წინაშე მზისა და გარე-მიიქცეს რისხვაჲ გულისწყრომისა უფლისაჲ ისრაელისაგან. 5 და ჰრქუა მოსე ტომთა ისრაელისათა: მოკალთ თითოეულმან სახლეული თჳსი, შენაჩუენები ველფეღორისსა.

6 და აჰა კაცმან, ძეთა ისრაელისათაგანმან მოსრულმან, წარმოიყვანა (v) ძმაჲ თჳსი მადიანიტისა (!) წინაშე მოსესსა და ყოვლისა შესაკრებელისა ძეთა ისრაელისათაჲსა. და იგინი ტიროდეს კარსა თანა კარვისა საწამებელისასა. 7 [81] და აჰა ფინ(186)ეზ, ძე ელიაზარისი, ძისა აარონისი მღდელისაჲ, აღდგა საშუალისაგან შესაკრებელისა და აღმღებელი ლახურისაჲ ქელსა მისსა, 8 მივიდა უკუანა კაცისა ისრაიტელისა საცხობილესა თანა და გან-

SL

საცხობელსა კეცისასა და დაგურიმნა ორნივე იგი: კაცი იგი ისრაიტელი და დედაკაცი იგი საშოჲთ მისით. და დასცხრა გუემაჲ იგი ძეთაგან ისრაელისათაჲსა. [9] და იყვნეს მოსრულნი გუემასა მას შინა ოცდაოთხ ათას.

[10] და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [11] ფინეეზ, ძემან ელეაზარისმან, ძისა აჰრონ მღდელისამან, დააცხრეო რისხვაჲ ჩემი ძეთაგან ისრაელისათა აღშურებასა შურისა ჩემისასა მათ შორის, და არა მოვსპენ ძენი ისრაელისანი შურსა შინა ჩემსა. [12] ესრე არქუ: (13) აჰა ესერა მე მივსცემ მას აღთქუმასა მშჳდობისასა, [13] და იყოს მისა და ნათესავისა მისისა შემდგომად მისსა აღთქუმაჲ მღდელობისაჲ საუკუნჱ, რამეთუ შური იძია ღმრთისა მისისაჲ და ლხინება ყო ძეთათჳს ისრაელისათა. [14] ხოლო სახელი კაცისა მის ისრაიტელისაჲ, წყლულისაჲ მის, რომელ მოკუდა მადიანიტელისა თანა, ზამბრი, ძჱ სალომისი, მთავარი სახლისაჲ ტომისა სჳმეონისი*. [15] და სახელი დედაკაცისაჲ მის მოკლულისაჲ, მადიანიტელისაჲ, ქასბი, ასული სურისი, მთავრისა ნათესავისა სომმოთისი, სახლისა ტომთა მადიამელთაჲ არს.

[16] და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: (17) ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და არქუ: [17] ემტერენით მადიამელთა და მოსრენით იგინი, [18] რამეთუ გემტერებიან თქუენ იგინი ზაკჳთ, რავდენსა გზაკვენ იგინი თქუენ ფოგორისთჳს და ქაზბისთჳს, ასულისა მთავრისა მადიამელისა, დისა მათისათჳს, რომელ მოკუდა დღესა მას გუემისა[სა] ფოგორისთჳს.

AK

მირნა ორნი იგი: კაცი ისრაელიტელი და დედაკაცი იგი საშოთ მისით. და დასცხრა რისხვაჲ იგი ძეთაგან ისრაელისათა. [9] და იყვნეს, რომელნი-იგი მოწყჳდეს გუემითა მით, ოცდაოთხ ათას.

[10] და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: [11] ფინეეზ, ძემან ელიეზერისმან, ძისა აჰრონ მღდელისამან, დააცხრო გულისწყრომა ჩემი ძეთაგან ისრაელისათა, შური ჩემი შურისგებად მათ ზედა, და არა აღვკოცენ ძენი ისრაელისანი შურითა ჩემითა. [12] ესრეთ არქუ: აჰა ესერა მივსცემ მას აღთქუმასა ჩემსა, აღთქუმასა მშჳდობისასა, [13] და იყოს მისა და ნათესავისა მისისა შემდგომად მისა აღთქუმად მღდელობისა საუკუნოდ, რამეთუ შეიშურვა ღმრთისა თჳსისა და ლხინება ყო ძეთათჳს ისრაელისათა. [14] ხოლო სახელი კაცისა მის ისრაიტელისა, წყლულისაჲ, [v] რომელი განიგუმირა მადიამელისა მის თანა დედაკაცისა, ზამბრი, ძე სალომისი, მთავარი სახლისა მამათა ძეთა სჳმეონისთაჲ. [15] და სახელი დედაკაცისა მის მადიამელისაჲ, განგუმერილისა, ქაზბი, ასული სურისი, მთავრისა ნათესავისა ომოთისი, სახლისაგან და ნათესავისა მადიამელთასა.

[16] და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და არქუ: [17] ემტერენით მადიამელთა და მოსრენით იგინი, [18] რამეთუ გმტერვან თქუენ იგინი ზაკულებით, რომელსა გზაკუენ თქუენ ფოგორისთჳს და ქაზბისთჳს, ასულისა მთავრისა მადიამისა, დისა მთავრისა, განგუმერილისა დღესა მას წყლეისა[სა] ფოგორისთჳს.

SL: [8] ორცლისათაჲ L. [9] იყუნეს S. [11] ელიაზარისმან S. აღშურვებასა S. [13] აღთქმა S. საუკუნე S. მისისა S. [14] წყლულისაჲ—S. ძე S. [18] ზაკჳთ.

AK: [8] კაცნი AK. და დედაკაცი... მისით—K. [9] იყუნეს A. მოსწყჳდეს K. [11] ფინეზ K. მღდლისაჲსა K. აღვკოცნე K. [13] მისსა.—K. [14] ისრაელიტელისა A. წყლულისა A. განგურიმა A. სჳმეონისთა A. [15] მადიამელისა A. [18] ფოგორისთჳს 1°]ფოგორისგან K. აქაზბისთჳს A, ქაზბისათჳს K. წყელისა K. ფოგორისათჳს K.

* აქ წყდება ტექსტი L ფრაგმენტში.

B

პურისასა და განგუმირნა ორნიე იგი: კაცი იგი ისრაიტელი და დედაკაცი იგი საშოთ მისით. და დასცხრა გუემა იგი ძეთაგან ისრაელისათა. 9 და იყუნეს, რომელნი მოისრნეს გუემასა მას შინა, ოცდახუთი ათასი.

10 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 11 ფინეზ, ძემან ელიაზარისმან, ძისა აჰრონის მღდელისამან, დააცხრო რისხვა ჩემი ძეთაგან ისრაელისათა აღშურებასა შურისა ჩემისასა მათ შორის, და არა მოვსპენ ძენი ისრაელისანი შურსა შინა ჩემსა. 12 ესერა არქუ მას: აჰა ესერა მე მივსცემ აღთქმასა მშჳდობისასა, 13 და იყოს მისსა და ნათესავისა მისისასა შემდგომად მისსა აღთქმა მღდელობისა საუკუნოდ, რამეთუ შური იძია ღმრთისა მისისა და ლხინება ყო ძეთათჳს ისრაელისათა. 14 ხოლო სახელი კაცისა მის ისრაიტელისა, წყულულისა მის, რომელ მოკუდა მადიანიტელისა თანა, ზამბრი, ძე სალომისი, მთავარი სახლისა ტომისა სჳმიონისი. 15 და სახელი დედაკაცისა მის მადიამელისა მოკლულისა ქაზბი, ასული სურისი, მთავრისა ნათესავისა სომმოთისი, სახლისა ტომთა მადიამელთა არს.

16 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: ეტყოდი ძეთა ისრაელისათა და არქუ: 17 ემტერენით მადიამელთა და მოსრენით იგინი, 18 რამეთუ გემტერებიან თქუენ იგინი საცთურითა, რაოდენითა გაცთუნებდენ თქუენ ფოგორისთჳს და ქაზბისთჳს, ასულისა მთავრისა მადიამელისა, დისა მათისათჳს, რომელი მოკუდა დღესა მას გუემისასა ფოგორისთჳს.

G

გუმირნა ორნივე: ისრაიტელი კაცი და დედაკაცი საშოჲთ მისით. და დააცხრო წყულულებაჲ ძეთაგან ისრაელისათა. 9 და იყვნეს მომკუდარნი წყლულებასა შინა ოთხ და ოცნი ათასეულნი.

10 და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ, მეტყუელი: 11 ფინეეზ, ძემან ელიაზარისმან, ძისა აარონ მღდელისამან, დააცხრო გულისწყრომაჲ ჩემი ძეთაგან ისრაელისათა შეშურებითა ჩემი შური მათ შორის, და არა მოვსპენ ძენი ისრაელისანი შურითა ჩემითა. 12 ესრეთ თქუა: აჰა, მე მივსცემ მას აღთქუმასა ჩემსა აღთქუმად მშჳდობისა, 13 და იყოს მისსა და თესლისა მისისა შემდგომად მისსა აღთქუმაჲ მღდელობისაჲ საუკუნე მის წილ, რომელ უშურვა ღმერთსა მისსა და ლხინება ყო ძეთათჳს ისრაელისათა. 14 ხოლო სახელი კაცისა ისრაიტელისა, მოწყლულისაჲ, რომელი მოიწყლა მადიანიტიდსა თანა, ზამბრი, ძე ალონისი, მთავარი სახლისა ტომისა სჳმეონისისაჲ. 15 და სახელი დედაკაცისა მადიანიტიდისა მოწყლულისაჲ ხაზეი, ასული სურისი, მთავრისა ნათესავთა სომოთისთაჲ, სახლისა ტომთაჲ არს მადიამისთაჲ.

16 და თქუა უფალმან მოსეს მიმართ, მეტყუელმან: ეტყოდე ძეთა ისრ(ა)აელისათა, მეტყუელი: 17 ემტერენით მადიანელთა და მოსრენით იგინი, 18 რამეთუ გმტერვან თქუენ იგინი ზაკუვით, რაოდენსა გზაკუენ თქუენ ფოღორის მიერ და ხაზეის მიერ, ასულისა მთავრისა მადიამისსა, დისა მათისა, მოწყლულისა დღესა წყლულებისასა ფოღორისთჳს.

B: 11 შურის. მოვსპენე.

G: 9 ოთხ და ოცნი]ოთხმეოცნი Gb. 11 ფინეზ Gb. გელისწყრომა Gb.

თავი XXVI

S

და იყო, შემდგომად გუემისა მის ეტყოდა [უფალი] მოსეს და ელიაზარს, ძესა აჰრონ მღდელისასა, და ჰრქუა: 2 იწყე დასაბამსა ყოველისა კრებულისასა ძეთა ისრაელისათასა ოცით წლითგანი და მიმართი, სახლად-სახლად ტომთა მათთაჲ, ყოველი შემავალი წყობად ისრაელისა თანა. 3 და ეტყოდა მოსე და ელიაზარ მღდელი მათ არაბუთ მოაბს, იორდანესა ზედა, იერიქოჲთ კერძო, და ჰრქუა: 4 ოცით წლითგანი და მიმართ, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

შენ და ძენი ისრაელისანი, რომელნი გამოვიდეს ეგჳპტით: 5 რუბენ, პირმშოჲ ისრაელი[სი], ძენი რუბენისნი: ენუქ და დასი ენუქისი, ფალლუ, დასი ფალლუჲსი, 6 ასრონ და დასი ასრონისი, ქარმი და დასი ქარმისი, 7 — ესე დასნი რუბენისნი. და იყო აღხილვაჲ მათი ორმეოცდასამ ათას და შჳდას და ოცდაათ. 8 და ძენი ფალუჲსნი: ელიაბ. 9 და ძენი ელიაბისნი: ნამოელ და დათან და აბირონ, ესე რჩეულნი იყვნეს კრებულისანი, რომელ ზედა მიუკდეს მოსეს და აჰრონს კრებულსა თანა კორესსა, რაჟამს აღდგებოდეს უფლისათჳს. 10 და განაღო ქუეყანამან პირი თჳსი და შთათქნა იგინი. და კორე თანა იყო სიკუდილსა მას კრებულისასა, რაჟამს შეჴამნა ცეცხლმან ერგასის და ორასნი და იქმნნეს იგინი სასწაულ, 11 ხოლო ძენი კორესნი არა მოწყდეს.

12 და ძენი სჳმეონისნი, დასი ძეთა სჳმეონისთაჲ: ნამუჱლ, დასი ნამუჱლისი, იამინ, დასი იამინისი, იაქინ, დასი იაქინისი, 13 ზარა, დასი ზარაჲსი, საულ, დასი საულისი, 14 — ესე

AK

*და იყო, წყლულებისა მის შემდგომად ეტყოდა უფალი მოსეს და ელიაზარს, ძესა აჰრონ მღდელისასა, და ჰრქუა: 2 მოიღეთ დასაბამი რიცხჳსა ყოველისა კრებულისა ძეთა ისრაელისათა ოცით წლითგანისაჲ და უზეშთაესი და სახლად-სახლად მამათა მათთაჲ, ყოველი, რომელი გამოვიდოდეს წყობად ისრაელსა შორის. 3 და ეტყოდეს მათ მოსე და ელიაზარ მღდელი არბოთს მოაბისასა, იორდანესა ზედა, იერიქოთ კერძო, და ჰრქუეს: 4 ოცით წლითგანი და უზეშთაესი, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

შენ და ძეთა ისრაელისათა, რომელნი გამოვიდეს [289] ეგჳპტით: 5 რუბენ, პირმშოჲ ისრაელისა, ძე რუბენისი: ენუქ, ტოჰმი ენუქისი, ფალუს, ტრნი ფალუსისი, 6 ესრომ, ტომი ესრომისი, ქარმი... 7 — ესე ტომნი რუბენისნი. და იყო აღხილვა იგი რიცხჳსა მათისა ორმეოცდასამ ათას და შჳდასოცდაათ. 8 და ძენი ფალუსისნი: ელიაბ. 9 ...ნამუელ, დათან და აბირონ, წოდებულნი კრებულისანი. ესე არიან, რომელნი შეკრბეს მოსეს და აჰრონის ზედა კრებულისა მის თანა კორესისა შეკრებასა მას მათსა უფლისა მიმართ. 10 და განეღო ქუეყანაჲ და დანთქნა იგინი და კორეცა სიკუდილსა მას კრებულისა მისისა, ოდეს-იგი შეჴამნა ცეცხლმან ორასერგასისნი და იქმნნეს იგინი სასწაულად, 11 ხოლო ძენი კორესნი არა მოსწყდეს.

12 და ძენი სჳმეონისნი: ნამოელ და ტომი ნამოელისი, იამინ, ტომი იამინისი, იაქინ და ტომი იაქინისი,13 საარ და ტომი საარისი, საულ და ტომი საული-

---

და ყოველთაგან პირუტყუთა და მისცნე იგინი ლევიტელთა, ტომთა შენთა, მცველთა კარავსა შინა უფლისასა. 31 და ყო მოსე და ელეაზარ მღდელმან, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს. 32 და იყო ნამეტავი ნატყუენავისაჲ, რომელი წარმოტყუენეს კაცთა მათ მბრძოლთა: ცხოვართაგან ექუსას სამეოცდა[v]ათი ათასი და ხუთ ათასი 33 და ზროხაჲ სამეოცდაათორმეტი ათასი 34 და ვირი სამეოცდაერთი ათასი 35 და სულნი კაცთანი დედათაგან, რომელთა არა უწყოდეს საწოლი მამაკაცისაჲ, ყოველნი სულნი ოცდათორმეტ ათასნი. 36 და იქმნა განნახევრებული ნაწილი, განსრულთაჲ ბრძოლად რიცხჳსაგან ცხოვართაჲსა, სამასი ათას და შჳდ ათას და ხუთას: 37 და იქმნა ზუერი უფლისაჲ ცხოვართაგან ექუსას სამეოცდაათხუთმეტ; 38 და ზროხანი ოცდაათექუსმეტ ათას და ზუერი უფლისაჲ სამეოცდაათორმეტ; 39 და ვირნი ოცდაათ ათას და ხუთას და ზუერი უფლისაჲ სამეოცდაერთ; 40 და სულნი კაცთანი ათექუსმეტ ათას (201) და ზუერი მათი უფლისა ოცდაათორმეტ სულნი. 41 და მისცა მოსემან ზუერი იგი უფლისაჲ განაყოფი ღმრთისად ელეაზარს მღდელსა, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს. 42 განნახევრებულისაგან ძეთა ისრაელისათაჲსა, რომელნი გამოყენა მოსემან მამაკაცთაგან მბრძოლთა, 43 და იყო განნახევრებული იგი შესაკრებელისად ცხოვართაგან სა-

B: 29 თჳსნიერი. 30 [ო]ცდაათი ათასი.]ოცდა ათასი. 42 რომლითა.
G: 37 ექუ სამოცდაათხუთმეტ Ga.

S

ხუთას: ზროხაჲ ოცდათექუსმეტ ათას: 45 ვირები ოთხ ათას და ხუთას; 46 სულები კაცთაჲ ათექუსმეტ ათას. 47 და მოიღო მოსე ზოგისა მისგან ძეთა ისრაელისათაჲსა ერთი ერგასისაგან კაცთაგანი და საცხოვართაგანი და მისცა იგი ლევიტელთა, რომელნი კუმილვიდეს კუმილვასა კარვისა უფლისასა, ეითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

48 და მოვიდეს მოსესა ყოველნი ზედამდგომელნი ათასისთავთა მათ ძალისათა, ათასისთავნი და ასისთავნი. 49 და ჰრქუეს მოსეს: მონათა შენთა მოვიყვანენით რჩეულნი იგი კაცნი, მბრძოლნი ჩუენთანანი, და არა განერა მათგან არცა ერთი. 50 და აწ მოგჳღებიეს ძღუნად უფლისა, კაცმან რომელმან პოვა ჭურჭელი ოქროჲსაჲ: მანიაკი და სალტე და ბეჭედი და სამკლავე და მელევანდი სალხინებელად ჩუენთჳს წინაშე უფლისა. 51 და მოიღო მოსე და ელიაზარ მღდელმან ოქროჲ იგი მათგან, ყოველი ჭურჭელი ქმნული. 52 და იყო ყოველი ოქროჲ იგი გამონაყოფი, რომელ გამოყვეს უფლისა, ათექუსმეტ ათას და შჳდას და ერგასის სიკლა ათასისთავთაგან და ასისთავთაგან. 53 და კაცთა მათ მბრძოლთა წარმოიღეს კაცად-კაცადმან თავისა თჳსისა. 54 და მოიღო მოსე და ელიაზარ მღდელმან ოქროჲ იგი ათასისთავთა მათგან და ასისთავთაგან და შეიღეს იგი კარვად საწამებელისად საკსენებელად ძეთა ისრაელისათა წინაშე უფლისა.

AK

ათჩჳდმეტ ათას; 44 და ზროხაჲ ოცდათექუსმეტ ათას; 45... და ხუთას; 46 და სულები კაცთა ათექუსმეტ ათას. 47 და მოიღო მოსე ზოგისა მისგან ძეთა ისრაელისათა ერთი ერგასისაგანი კაცთა და საცხოვრისაჲ და მისცა იგი ლევიტელთა, მცველთა [v] მათ საცოსა კარვისა უფლისათა, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

48 და მოვიდეს მოსესა ყოველნი იგი დადგინებულნი ათასისთავებსა მას ძლიერებისასა, ათასისთავები, 49 და ჰრქუეს მოსეს: მონათა შენთა მოიღეს რიცხჳ კაცთა მათ მბრძოლთა, რომელნი იყუნეს ჩუენ თანა, და არავინ გუაკლს მათგანი არცა ერთი. 50 და მოვიღეთ ძღუნად უფლისა, კაცმან რომელმან პოვა ჭურჭელი ოქროსაჲ: მანიაკი და სავლტე და ბეჭედი და მარჯუენით-საცუმელი და სამკაული სალხინებელად ჩუენთჳს წინაშე უფლისა. 51 და მოიღეს მოსე და ელიაზარ მღდელმან ოქრო იგი მათგან, ყოველი ჭურჭელი ქმნული. 52 და იყო ყოველი იგი ოქროჲ შესაწირავად, რომელი შეწირეს უფლისა, ათექუსმეტ ათას და შჳდას და ერგასის სასწორ ათასისთავთა მათგან და ასისთავთა. 53 და კაცთა მათ მბრძოლთა იტყუენეს კაცად-კაცადმან თავისა თჳსისა. 54 და მოიღეს მოსე და ელიაზარ მღდელმან ოქროჲ იგი ათასისთავთა მათგან და ასისთავთა და შეიღეს იგი კარვად საწამებელისა საკსენებელად ძეთა ისრაელისათა წინაშე უფლისა.

თავი XXXII

1 და მრავალ იყო საცხოვარი ძეთა რუბენისთაჲ და ძეთა გადისთაჲ, მრავალ იყო ფრიად; და იხილეს სოფელი

1 და საცხოვარი ფრიად იყო ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა, სიმრავლე დიდი ფრიად; და იხილეს [301] სო-

S: 44 ოცათექუსმეტ. 49 მოვიყვანნეთ.

AK: 43 -ათჩჳდმეტ A. 44 ზროხა A. 47 საცხოვრისა A. 48 ათასისთავები—K. 49 იყუნეს A. 50 -საცმელი K. 51 ოქრო A. 52 მათგან და ასისთავთა—K. 54 და ასისთავთა—K. ოქრო A.

B

ათ [ათას და]შჯდ ათასი და ხუთას; 41 და ზროხა ოცდაათექუსმეტი ათასი; 45 ვირები ოცდაათი ათასი და ხუთასი; 46 სულები კაცთა ათექუსმეტი ათასი. 47 და მოიღო მოსე ზოგისა მისგან ძეთა ისრაელისათასა ერთი ერგასისაგანი კაცთაგან და საცხოვართაგან და მისცა იგი ლევიტელთა, რომელნი კმილვიდეს კმილვასა კარავსა უფლისასა, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

48 და მოვიდეს მოსესა ყოველნი ზედამდგომელნი ათასისთავსა მას ძალითა, ათასისთავნი და ასისთავნი, 49 და ჰრქუეს მოსეს: მონათა შენთა მოვიყვანენით რჩეულნი იგი კაცნი, მბრძოლნი ჩუენთანანი, და არა განერა მათგანი არცა ერთი. 50 და აწ მოგვიღებიეს ძღუნად უფლისა, კაცმან რომელმან პოვა ჭურჭელი ოქროსა: და მანიაკი და სალტე და ბეჭედი და სამკლავე და მელევანდი სალხინებელად ჩუენდა წინაშე უფლისა. 51 და მოიღო მოსე და ელიაზარ მღდელმან ოქრო იგი მათგან, ყოველი ჭურჭელი ქმნული. 52 და იყო ყოველი ოქრო იგი გამონაყოფი, რომელ გამოუყვეს უფალსა ათექუსმეტი ათასი და შჯდას ერგასისი სიკილა ათასისთავთაგან და ასისთავთაგან. 53 კაცთა მათგან მბრძოლთა წარმოიღეს თავსა თჯსსა ზედა. 54 და მოიღეს მოსე და ელიაზარ მღდელმან ოქრო ათასისთავთაგან და ასისთავთაგან და შეიღეს იგი კარვად საწამებელისა საკსენებელად ძეთა ისრაელისათა წინაშე უფლისა.

G

მასი ათას და შჯდ ათას და ხუთას; 44 და ზროხაჲ სამეოცდაათორმეტი ათას; 45 და ეირნი ოცდაათ ათას და ხუთას; 46 და სულნი კაცთანი ათექუსმეტ ათას. 47 და მიიღო მოსემან განნაბევრებულისაგან ძეთა ისრაელისათაჲსა ერთი ერგასისაგან კაცთაგან და საცხოვართაგან და მისცნა იგინი ლევიტელთა, ტომთა თჯსთა, მცველთა კარვისა უფლისათა, ვითარ-სახედ უბრძანა უფალმან მოსეს.

48 (v) და მოუჴდეს მოსეს ყოველნი დადგინებულნი ათასისთავებად ძალისა, ათასისთავნი და ასისთავნი, 49 და თქუეს მოსეს მიმართ: მონათა შენთა მოიღეს თავსნიერი კაცთაგან, მბრძოლთა ჩუენ თანა, და არა განსხუაჯმავდა მათგანი არცა ერთი. 50 და მოვართჯთ ძღუენი უფალსა, კაცმან რომელმან პოვა ჭურჭელი ოქროჲსაჲ: მანიაკი და სავლტე და ბეჭედი და სამარჯუენე და მელევანდი სალხინებელად ჩუენთჯს წინაშე უფლისა. 51 და მოიღო მოსე და ელეაზარ მღდელმან ოქროჲ მათგან, ყოველი ჭურჭელი ქმნული. 52 და იყო ყოველი ოქროჲ გამონაყოფი, რომელი გამოუყვეს უფალსა, ათექუსმეტ ათას და შჯდას და ერგასის სიკლა ათასისთავთაგან და ასისთავთაგან. 53 და მამაკაცთა მბრძოლთა წარმოიავრეს თჯთოეულმან თავისა თჯსისად. 54 და მოიღო მოსემან და ელეაზარ მღდელმან ოქროჲ ათასისთავთაგან და ასისთავთაგან და შეიღო იგი კარვად წამებისად საკსენებელად ძეთა ის[88]რაელისათა წინაშე უფლისა.

თავი XXXII

1 და მრავალი იყო საცხოვარი ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა, მრავალ ფრიად; და იხილეს სოფელი აზიერისი

1 და საცხოვარი მრავლად იყო ძეთა რუბენისთაჲ და ძეთა გადისთაჲ, სიმრავლე დიადი ფრიად; და იხილეს სო-

B: 48 მას]მათ. 52 უფალსა]ო᷄ჲ. XXXII, 1 იხილოს.

S

იაზერისი და სოფელი გალაადისაჲ, და იყო ადგილი იგი ადგილი სასაცხოვრე. 2 და მოვიდეს ძენი რუბენისნი და ძენი გადისნი, ეტყოდეს მოსეს და ელიაზარს მღდელსა და მთავართა კრებულისათა და ჰრქუეს: 3 ატაროთი და დებონ და იაზერი და ნამბრაჲ და ესებონი და ელეალე და სებამაჲ და ნაბაღ და აბეაჲ, 4 ქუეყანაჲ, რომელ მოგუცა უფალმან წინაშე ძეთა ისრაელისათა, ქუეყანაჲ ცხოვარისა საყოფელი არს და მონათა შენთა საცხოვარი ფრიად არს. 5 და ეტყოდეს: ვპოვეთ თუ მადლი წინაშე შენსა, მოეც ქუეყანა ესე მონათა შენთა დაპყრობად და ნუ წიაღ-გუყვანებ ჩუენ იორდანესა. 6 და ჰრქუა მოსე ძეთა გადისთა და ძეთა რუბენისთა: ძმანი თქუენნი ვიდოდიან ბრძოლად და თქუენ სხდეთ მანდა? 7 და რად განსდრეკთ გონებასა ძეთა ისრაელისათასა არა წიაღ-სლვად ქუეყანასა მას, რომელსა მოსცემს მათ უფალი? 8 არა ესრეთე ყვესა მამათა თქუენთა, რაჟამს წარავლინნა იგინი კადეს-ბარნეთ მოხილვად ქუეყანისა მის? 9 და მივიდეს იგინი ჴევსა მას ტევნისასა და მოიხილეს ქუეყანა იგი და განდრიკეს გული ძეთა ისრაელისათაჲ, რაჲთა არა შევიდენ ქუეყანასა მას, რომელ მოსცა მათ უფალმან. 10 და განრისხნა გულისწყრომით უფალი მას დღესა შინა და თქუა: 11 უკუეთუ იხილონ კაცთა მათ, რომელნი აღმოვიდეს ეგჳპტით, ოცით წლითგანთა და მიმართ, რომელ მეცნიერ არიან კეთილისა და ბოროტისა, ქუეყანაჲ იგი, რომლისათჳს ვეფუცე აბრაჰამს, ისაკს და იაკობს, რამეთუ არა შემომიდგეს მე, 12 გარნა ქალებ იეფონესი, რომელ განეყენა მათგან, და ისუ,

AK

ფელი იგი იაზერისი და გალადისი, და იყო ადგილი საცხოვართა. 2 და მოუჴდეს ძენი რუბენისნი და ძენი გადისნი და ჰრქუეს მოსეს და ელიაზარს მღდელსა და მთავართა კრებულისათა და ჰრქუეს: 3 ასტაროთი და დებონი და იაზერი და ნამბრამი და ესებონი და ელიალე და სებემა და ნაბავი და ბეანი, 4 ქუეყანაჲ, რომელი მოსცა უფალმან წინაშე ძეთა ისრაელისათა, ქუეყანა საცხოვარისა მზრდელი არს და მონათა შენთა საცხოვარი ფრიად არს. 5 და იტყოდეს: უკუეთუ ვპოვეთ მადლი წინაშე შენსა, მოეცინ ქუეყანაჲ ესე მონათა შენთა სამკჳდრებელად და ნუ წიაღ-გუყუანებ ჩუენ იორდანესა. 6 და ჰრქუა მოსე ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა: ძმანი თქუენნი განვლენ ბრძოლად, თქუენ დასხედით მანდა? 7 და რაჲსათჳს გარდააქცევთ გონებათა ძეთა ისრაელისათა არა წიაღ-სლვად ქუეყანასა მას, რომელსა უფალი მოსცემს მათ? 8 არა ეგრე ყვესა მამათა თქუენთა, რაჟამს წარვავლინენ იგინი კადეთ-ბარნესათ განმსტრობად ქუეყანისა? 9 და აღვიდეს იგინი ღელესა მას ტევნისასა და განიხილეს ქუეყანაჲ იგი და განადგინნეს გულნი ძე[v]თა ისრაელისათანი, რაჲთა არა შევიდენ ქუეყანასა მას, რომელი მოსცა მათ უფალმან. 10 და განრისხნა გულისწყრომით უფალი მას დღესა შინა, ფუცა და თქუა: 11 უკუეთუ იხილონ კაცთა ამათ, რომელნი აღმოვიდეს ეგჳპტით, ოცით წლითგანმან და უზეშთაესმან, რომელთა იციან კეთილი და ბოროტი, ქუეყანაჲ, რომლისათჳს ვეფუცე აბრაჰამს, ისაკს და იაკობს, რამეთუ არა შემომიდგეს მე შემდგომად კუალსა ჩემსა, 12 გარნა ქალებ, ძე იეფონესი, განყენებული მათ-

S: 4 შენთაჲ. 11 იხილოთ. ვეფუცე]ეფუცა.

AK: 4 ქუეყანა A. სცხვრისა K. 5 ქუეყანა A. 8 ყვეს K. წ~რვლინენ K. -ბარნასეთ K. 9 ქუეყანა A. განადგინეს K. 11 ქუეყანა A.

B

და სოფელი გადისი, და იყო ადგილი სასაცხოვრე. 2 და მოვიდეს ძენი რუბენისნი და ძენი გადისნი და ეტყოდეს მოსეს და ელიაზარს მღდელსა და მთავართა კრებულისათა და ჰრქუეს: 3 ატაროტი და დებონი და იაზერი და ნამბრა და ესებონი და ელეალე და სებამა და ნაბადი და აბიან, 4 ქუეყანა, რომელი მოგუცა უფალმან წინაშე ძეთა ისრაელისათა, ქუეყანა ცხოვარისა საყოფელ არს და მონათა შენთაჲ საცხოვარი ფრიად არს. 5 და ჰრქუეს: ვპოვეთ თუ მადლი წინაშე შენსა, მოეც ქუეყანა ესე მონათა შენთა დაპყრობად და ნუ წიაღ-მიყვანებ ჩუენ იორდანესა. 6 და ჰრქუა მოსე ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა: ძმანი თქუენნი ვიდოდიან ბრძოლად და თქუენ სხდეთ მანდა? 7 და რად განსდრეკთ გონებასა ძეთა ისრაელისათასა არა წიაღ-სლვად ქუეყანასა მას, რომელსა მოსცემს მათ უფალი? 8 არა ესრეთ ყვეს მამათა თქუენთა, რაჟამს წარავლინა იგი კადესა-ბარნეთ მოხილვად ქუეყანასა მას? 9 და მივიდეს იგინი ჴევსა მას ტევნისასა და მოიხილეს ქუეყანა იგი და განდრიკეს გული ძეთა ისრაელისათა, რაჲთა არა შევიდენ ქუეყანასა მას, რომელ მოსცა უფალმან. 10 და განრისხნა გულისწყრომითა უფალი მას დღესა შინა და ეფუცა და თქუა: 11 უკუეთუ იხილონ კაცთა ამათ, რომელნი აღმოვიდეს ეგჳპტით, ოცით წლითგან ზეით და მიმართ, რომელ მეცნიერ არიან კეთილისა და ბოროტისა, ქუეყანა, რომლისათჳს ეფუცა აბრაჰამს, ისაკს და იაკობს, რამეთუ არა შემომიდგეს მე, 12 გარნა ქალებ, ძე იეფონისი, განყენებული, და ისუ, ძე ნავესი, რამეთუ

G

ფელი იაზი*რისი და სოფელი გალაადისაჲ, და იყო ადგილი იგი ადგილი სასაცხოვრე. 2 და მოსრულთა ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა თქუეს მოსეს მიმართ და ელეაზარ მღდელისა და მთავართა მიმართ შესაკრებელისათა, მეტყუელთა: 3 ატაროთი და დებონი და იაზინი და მამვრანი და ესებონი და ელეალი და სემემაჲ და ნავავი და ივეანი, 4 ქუეყანაჲ, რომელი მისცა უფალმან წინაშე ძეთა ისრაელისათა, ქუეყანაჲ ცხოვართ მზრდელი არს და მონათა შენთაჲ საცხოვარი არს. 5 და ეტყოდეს: ვპოეთ თუ მადლი წინაშე შენსა, მომეცინ ქუეყანაჲ ესე მონათა შენთა დაპყრობად და ნუ წიაღ-მიყვანებ ჩუენ იორდანესა. 6 და ჰრქუა მოსე ძეთა გადისთა და ძეთა რუბენისთა: ძმანი თქუენნი ვიდოდინ ბრძოლად და თქუენ ჰსხდეთ მანდა? 7 და რად გარდასდრეკთ გულებსა ძეთა ისრაელისათასა არა წიაღ-სლვად ქუეყანასა მას, რომელი მისცა უფალმან მათ? 8 არა ესრეთ ყვესა მამათა თქუენთა, ოდეს წარვავლინენ იგინი კადეს-ბარნით მოხილვად ქუეყანისა? 9 და მივიდეს იგინი ჴევსა მას ტევნისასა და მოიხილეს ქუეყანაჲ და განდრიკეს გული ძეთა ისრაელისათაჲ, რაჲთა არა შევიდენ ქუეყანად, რომელი მისცა მათ უფალმან. 10 და განრისხნა გულისწყრომით უფალი მას დღესა შინა და ფუცა, მეტყუელმან: 11 უკუეთუ იხილონ კაცთა ამათ, აღმოსრულთა ეგჳპტით, ოცით წლითგან და წამართ, მეცნიე**(202)რთა კეთილისა და ბოროტისათა, ქუეყანაჲ, რომელ ვეფუცე აბრაამს და ისაკს და იაკობს, რამეთუ არა შემომიდგეს უკუანა ჩემსა, 12 თჳნიერ ხალებ, ძემან იეფონესმან, განყენებულმან, და იისუ ნავესმან, რა-

B: 5 ვპოვე. 6 სხდეთ]ხადეთ. 9 განდრკეს. 11 ოცთ]ორისთა.
G: 4 და ქუეყანაჲ 1° Gb.
* აქედან Ga ნუსხას აკლია.
** აქ გრძელდება ტექსტი Ga ნუსხაში.

S

ძე ნავესი, რამეთუ შეუდგეს უკუანა უფალსა. 13 და განრისხნა გულისწყრომით უფალი ისრაელსა ზედა და აგუ-
რიობნა იგინი უდაბნოსა ზედა ორმეოც წელ, ვიდრემდის მოსრა ყოველი ნა-
თესაჲი იგი, რომელნი იქმან ძჯრსა წი-
ნაშე უფლისა. 14 და აჰა ესერა აღდე-
გით მამათა თქუენთა წილ კრებული კაცთა ცოდვილთაჲ შეძინებად მერ-
მე რისხვასა, გულისწყრომასა უფლი-
სასა ისრაელსა ზედა. 15 რამეთუ უკუნ-
იქცევით თქუენ მისგან და შესძინებთ კუალად დატევებასა მისსა უდაბნოსა ზედა და იქმთ უშჯულოებასა ყოველ-
სა ზედა კრებულსა ამას. 16 და მოუკ-
დეს მას და ეტყოდეს: ბოსლები სასა-
ცხოვრე ვაშენოთ საცხოვრისა ჩუენი-
სათჳს და ქალაქები ბუნაურებისა ჩუე-
ნისათჳს. 17 და ჩუენ ჭურვილნი წინაშე ძეთა ისრაელისათა, ვიდრემდის მივი-
ყვანნეთ იგინი ადგილად მათა, და და-
ეშენოს დედა-წული ჩუენი ქალაქებსა ისრაელისასა. და სცენ ლევიტელთა ნა-
წილისაგან სამკჳდრებელისა მათისა ქა-
ლაქები საყოფელად და აგარაკები ქა-
ლაქებისაჲ გარემოჲს მათსა მისცენ ლე-
ვიტელთა და იყვნენ ქალაქნი იგი სა-
ყოფელად მათა. და გარემოჲს მათსა იყოს საცხოვრისა მათისათჳს და ოთხ-
ფერკჳსა მათისათჳს. და საბრძანებელი ქალაქთაჲ, რომელ მისცეთ ლევიტელ-
თა ზღუთგან ქალაქისაჲთა გამართ ორ ათას წყართა გარემოჲს. და განჰზომო გარეშე ქალაქსა აღმოსავალით კერძო ადგილი ორ ათას და ბღუარით კერძო ორ ათას წყართა და ზღუთ კერძო ორ ათას წყართა, და ქალაქები იგი საშუალ. 18 არასადა მოვიქცეთ საბიდ ჩუენდა, ვიდრემდის არა განიყვნენ ძენი ისრა-
ელისანი თითოეული სამკჳდრებელად

AK

გან, და ისუ, ძე ნავესი, რამეთუ შე-
უდგეს კუალსა უფლისასა. 13 და გან-
რისხნა გულისწყრომით უფალი ისრა-
ელსა ზედა და მიაქცინა იგინი უდაბ-
ნოდ ორმეოც წელ, ვიდრემდე აღკოცა ყოველი იგი ნათესაჲი, რომელთა ქმნეს ბოროტი წინაშე უფლისა. 14 და აჰა თქუენ აღსდეგით მამათა თქუენთა წილ და შეჰკერბით კაცნი ცოდვილნი შეძი-
ნებად რისხვისა, გულისწყრომისა უფ-
ლისა ისრაელსა ზედა. 15 რამეთუ გან-
სდეგით მისგან შეძინებად მერმე და-
ტევებად მისა უდაბნოსა ზედა და უს-
ჯულო იქმენით ყოველსა ამას კრე-
ბულსა ზედა. 16 და მოვიდეს მისა და ჰრქუეს: საყოფელი ცხოვართა ვაშე-
ნოთ აქა ცხოვართა ჩუენთათჳს და ქალაქნი ჭურჭელთა ჩუენთათჳს. 17 და ჩუენ შეჭურვილნი წინასწარ საჯმილავ-
სა უპირატეს ძეთა ისრაელისათა ვი-
დოდით, [302] ვიდრემდე შევიყუანნეთ იგინი ადგილსა მას მათსა, და დაემ-
კჳდროს მონაგები ჩუენი ქალაქთა შინა მოზღუდეილთა მკჳდრთათჳს მის ქუ-

ეყანისათა. 18 და არა მოვიქცეთ საბიდ ჩუენდა, ვიდრემდე განიყონ ძეთა ის-
რაელისათა კაცად-კაცადმან სამკჳდრე-

S: 17 ისრაელისასა]ისრაელისათა მათისა]მათ-საჲ. გარემოჲს 2°]გარემოჲსი. კერძოჲ 1°. 18 საბიდ]საბით.

AK: 12 ისო K. 13 ვიდრემდე]ე˙ K. 14 შეკერბით K. იქმენით[ჰქმნეთ A. 16 მისა—K. 17 საჯმილისა AK.

B

შეუდგეს უფალსა. 13 და განრისხნა გულისწყრომითა უფალი ისრაელსა ზედა, აგურიობნა იგინი უდაბნოსა ზედა ორმეოც წელ, ვიდრემდის მოსრა ყოველი იგი ნათესავი, რომელნი იქმენ ძჯრსა წინაშე უფლისა. 14 და აჰა ესერა აღსდგებით მამათა თქუენთა წილ კრებული კაცთა ცოდვილთა შეძინებად მერმე გულისწყრომისა უფლ-სასა ისრაელსა ზედა. 15 რამეთუ უკუნ-იქცევით თქუენ მისგან და შესძინებთ კუალად დატევებასა მისსა უდაბნოსა ზედა და იქმთ უსჯულოებასა ყოველსა ზედა კრებულსა ამას. 16 და მოუკდეს მას და ეტყოდეს: ბოსლები საცხოვრე აღვაშენოთ საცხოვართა ჩუენთათჳს და ქალაქები ბონურებისა ჩუენისათჳს. 17 და ჩუენ ჰურვილნი ვიყუნეთ წინაშე-ჰმილვასა ძეთა ისრაელისათა, ვიდრემდის მივიყვანნეთ იგინი ადგილად მათდა, და დაეშენოს დედა-წული ჩუენი ქალაქთა შეზღუდვილთა მკჳდრთათჳს ქუეყანისათა. 18 არასადა მოვიქცეთ სახიდ ჩუენდა, ვიდრემდის არა განიყუნენ ძენი ისრაელისანი თჳთოეული სამ-

G

მეთუ შეუდგეს უკუანა უფლისა. 13 და განრისხნა გულისწყრომით უფალი ისრაელსა ზედა და აგურიობნა იგინი უდაბნოს ზედა ორმეოც წელ, ვიდრემდის აღისპოლა ყოველი ნათესავი, მოქმედნი ბოროტისანი, წინაშე უფლისა. 14 აჰა, აღსდეგით ნაცვალად მამათა თქუენთა კრებული კაცთა ცოდვილთაჲ შეძინებად მერმე გულისწყრომასა ზედა უფლისასა რისხვისა ისრაელისათჳს. 15 რამეთუ უკუნ-იქცევით თქუენ მისგან შეძინებად მერმე დატევებისა მისისა უდაბნოს ზედა და უშჯულოებთ ყოვლისა ამის შესაკრებელისა მომართ. 16 და მოუკდეს მას და ეტყოდეს: ბოსლები ცხოვართაჲ უშენოთ აქა საცხოვართა ჩუენთა და ქალაქები ბუნაგებისა ჩუენისათჳს. 17 და ჩუენ შეჯურვილნი წინა-ცვად უპირველეს ძეთა ისრაელისათა, ვიდრემდისცა მივიყვანნეთ იგინი თავთა მათთა ადგიდ, და დაემკჳდროს ბუნაგი ჩუენი ქალაქთა შინა მოზღუდვილთა მკჳდრთათჳს ქუეყანისათა. 18 არა კუალად-ვიქცეთ სახლთა ჩუენთა, ვიდრემდის განიყვნენ ძენი ისრაელისანი თითოეული სამკჳდრებელ-

S

თჳსა, [19] და არღარა დავიმკჳდროთ მათ შორის მიერ კერძო, რამეთუ მოგჳღებიეს ჩუენ ნაწილი ჩუენი წიაღმო იორდანესა, აღმოსავალით კერძო. [20] და ჰრქუა მათ მოსე: ჰყოთ თუ მსგაჳსად სიტყჳსა ამის, შე-თუ-იჳურნეთ ბრძოლად წინაშე უფლისა, [21] და წიაღ-კდებ ყოველი ჳურვილი თქუენი იორდანესა წინაშე უფლისა, ვიდრემდის მოისრნენ მტერნი მისნი პირისაგან მისჲსა, [22] და დაიპყრას ქუეყანაჲ იგი წინაშე უფლისა. და შემდგომად ამისსა უკუ-მოიქცეთ და იყვნეთ უბრალო წინაშე უფლისა და ისრაელისაგან, და იყოს ქუეყანა ესე სამკჳდრებელად თქუენდა წინაშე უფლისა. [23] უკუეთუ არა ჰყოთ ესრე, სცოდოთ წინაშე უფლისა და სცნათ ცოდვაჲ თქუენი, რაჟამს გეწიოს თქუენ ძჳრი. [24] და აწ იშენეთ თქუენ ქალაქები ვანისა თქუენისათჳს და ბანაკები საცხოვრისა თქუენისათჳს, და რომელ-ეგე აღმოჴდა პირით თქუენით, ყავთ. [25] და მიუგეს ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა მოსეს და ჰრქუეს: მონათა შენთა ყონ, ვითარცა უმცნიეს შენდა უფალსა, [26] ვანი ჩუენი (26) და ღედები ჩუენი და ყოველი საცხოვარი ჩუენი იყოს მუნ, ქალაქებსა მას გალაადისასა, [27] მონანი შენნი წიაღ-კდენ ყოველნივე შეჴურვილნი და განმზადებულნი წინაშე უფლისა ბრძოლად, ვითარცა იტყჳს უფალი. [28] და შეასწავლნა იგინი მოსე ელიაზარს მღდელსა და ისოს, ძესა ნავესსა, და მთავართა ტომთა ძეთა ისრაელისათა, [29] და ჰრქუა მათ მოსე: წიაღ-თუ-კდენ ძენი რუბენისნი და ძენი გადისნი თქუენ თანა იორდანესა, ყოველნი შეჴურვილნი ბრძოლად წინაშე უფლისა, და

AK

ბელი თჳსი, [19] და არღარა დავიმკჳდროთ ჩუენ წიაღ იორდანესა და მიერ კერძოჲ, რამეთუ მოგჳღებიეს ჩუენ ნაწილი ჩუენი ამიერ იორდანესა, მზის აღმოსავალით. [20] და ჰრქუა მათ მოსე: უკუეთუ ჰყოთ სიტყჳსა მაგისებრ და შეიჴურნეთ წინაშე უფლისა ბრძოლად, [21] და განვიდეს ყოველი ჳურვილი თქუენი იორდანესა წინაშე უფლისა, ვიდრემდე შეიმუსრნენ მტერნი მისნი წინაშე მისა, [22] და იუფლოს ქუეყანა წინაშე უფლისა. და ამისა შემდგომად მოიქცეთ და იყუენეთ თქუენ უბრალო წინაშე უფლისა და ისრაელისაგან, და იყოს ქუეყანაჲ ესე თქუენდა სამკჳდრებელ წინაშე უფლისა. [23] უკუეთუ არა ჰყოთ ესრეთ, სცოდოთ წინაშე უფლისა და სცნათ ცოდვა თქუენი, რაჟამს გეწიოს თქუენ ბოროტი. [24] არამედ იშენეთ ქალაქები ჴურჴელთა თქუენთათჳს და საყოფლები საცხოვართა თქუენთათჳს, და რომელ-ეგე გამოვიდა სიტყუაჲ პირისაგან თქუენისა, ყავთ. [25] და ეტყოდეს ძენი რუბენისნი და ძენი გადისნი მოსეს და ჰრქუეს: მონათა [v] შენთა ყონ, ვითარცა უფალსა ჩუენსა უბრძანებიეს, [26] მონაგები ჩუენი და ცოლნი ჩუენნი და საცხოვარი ჩუენი იყუნედ ქალაქებსა გალაადისასა. [27] ხოლო მონანი შენნი წარვიდენ შეჴურვილნი და განწესებულნი წინაშე უფლისა ბრძოლად, ვითარცა უფალი იტყჳს. [28] და შეატყუნა იგინი მოსე ელიაზარს მღდელსა და ისუს, ძესა ნავესსა, და მთავართა მათ მამათასა ნათესავისა ძეთა ისრაელისათა, [29] და ჰრქუა მათ მოსე: უკუეთუ წიაღ-კდენ თქუენ თანა ძენი რუბენისნი და ძენი გადისნი იორდანესა, ყოველნივე შეჴურვილნი ბრძოლად წინა-

---

S: [28] მთავართა + და.

AK: [21] ჳურვილი]ჴურჴელი A. მისსა K. [22] და იუფლოს ქუეყანა]წინაშე უფლისა—K. იყუენეთ A. და 3°—K. ქუეყანა 2° A. [21] საყოფელები K. [26] იყუნეს]K. [27] ხოლო]რამეთუ K. წარვიდეს K. [28] ისოს K. ნათესავისაჲ A. [29] ყ˘ოველნივე K.

B

კჳრებელად თჳსა. 19 და არღარა დაიმკჳდროთ მათ შორის მიერ კერძო იორდანესა და შორის, რამეთუ მოგჳღებიეს ჩუენ ნაწილი ჩუენი წიაღმო იორდანესა, აღმოსავალით კერძო. 20 და ჰრქუა მათ მოსე: მსგავსად ჰყოთ სიტყჳსა ამის, შე-თუ-იჴურნეთ ბრძოლად წინაშე უფლისა, 21 და წიაღ-ჴდეს ყოველი ჰურვილი თქუენი იორდანესა წინაშე უფლისა ბრძოლასა ზედა, ვიდრემდის მოისრნეს მტერნი მისნი პირისაგან მისისა, 22 და დაიპყრას ქუეყანა იგი წინაშე უფლისა. და შემდგომად ამისა მოიქეცით და იყვენით უბრალო წინაშე უფლისა და ისრაელისაგან. 23 უკუეთუ არა ჰყოთ ეგრეთ, შესცოდოთ წინაშე უფლისა, იყოს ქუეყანა ესე სამკჳდრებელად თქუენდა წინაშე უფლისა და სცნათ ცოდვა თქუენი, რაჟამს გეწიოს თქუენ ძჳრი. 24 და აწ იშენეთ თქუენ ქალაქები ვანისა თქუენისათჳს და ბაკები საცხოვრისა თქუენისა, და რომელ-ეგე აღმოჴდა პირით თქუენით, ჰყავთ. 25 და მიუგეს ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა მოსეს და ჰრქუეს: მონათა შენთა ყონ, ვითარცა უმცნიეს შენდა უფალსა, 26 ვანი ჩუენი და დედები ჩუენი და ყოველი საცხოვარი ჩუენი იყოს მუნ, ქალაქებსა გალადისასა, 27 ხოლო მონანი შენნი წიაღ-ჴდენ ყოველნივე შეჴურვილნი წინაშე უფლისა და განმზადებულნი ბრძოლად, ვითარცა იტყჳს უფალი. 28 და შეასწაჳლნა იგინი მოსე ელიაზარ მღდელსა და ისუ, ძესა ნავესსა, მთავართა მამათა ტომთა ძეთა ისრაელისათა, 29 და ჰრქუა მათ მოსე: წიაღ-თუ-ჰჴდენ ძენი რუბენისნი და ძენი გადისნი თქუენ თანა იორდანეს, ყოველნი შეჴურვილნი ბრძოლად წინაშე უფლისა, დაეუფ-

G

სა თჳსსა. 19 და არღარა დაეიმკჳდრიან მათ შორის წიაღ იორდანესა მიერ კერძო, რამეთუ მოგჳღებიეს ჩუენ ნაწილი ჩუენი წიაღ იორდანესა, აღმოსავალით კერძო. 20 და თქუა მათდა მიმართ მოსემან: უკუეთუ (203)* ჰყოთ სიტყჳსა ამისებრ, უკუეთუ შეიჴურნეთ წინაშე [v] უფლისა ბრძოლად, 21 და განვიდეს თქუენი ყოველი ჰურვილი იორდანესა წინაშე უფლისა, ვიდრემდის აღიკოცოს მტერი მისი პირისაგან მისისა, 22 და დაიუფლოს ქუეყანაჲ წინაშე უფლისა. და ამათსა შემდგომად მიიქცეთ და იყვენეთ უბრალო წინაშე უფლისა და ისრაელისაგან, და იყოს ქუეყანაჲ ესე თქუენდა დასაპყრობელ წინაშე უფლისა. 23 ხოლო უკუეთუ არა ჰყოთ ესრეთ, სცოდოთ წინაშე უფლისა და სცნათ ცოდვაჲ თქუენი, რაჟამს გეწინენ თქუენ ძჳრნი. 24 და უშენენით თქუენ თქუენდად ქალაქნი ბუნაგსა თქუენსა და ბოსელნი საცხოვართა თქუენთა, და გამოსრული პირისაგან თქუენისა ყავთ. 25 და თქუეს ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა მოსეს მიმართ, მეტყუელთა: მონათა შენთა ყონ, ვითარცა უფალმან ჩუენმან ამცნო, 26 ბუნაგი ჩუენი და ცოლნი ჩუენნი და საცხოვარი ჩუენი იყვნენ ქალაქთა შინა გალაადისათა, 27 ხოლო მონანი შენნი განვიდენ ყოველნი შეჴურვილნი და განწყობილნი წინაშე უფლისა ბრძოლად, ვითარცა-სახედ უფალმან თქუა. 28 და შეასწავლნა იგინი მოსემან ელეაზარს მღდელსა და იისუს, ძესა ნავესსა, და მთავართა ტომთა ძეთა ისრაელისათასა, 29 და თქუა მათდა მიმართ მოსემან: უკუეთუ წიაღ-მოჴდენ ძენი რუბენისნი და ძენი გადისნი თქუენ თანა იორდანესა, ყოველი შეჴურვილი ბრძოლად წინაშე უფლისა, და დაეუფ-

B: 21 ჰურვილი]ჴურჴელი. 23 სცანთ. 28 შეასწავლნა]შესცვალნა. მღდელმან. ძემან ნაუესმან. 29 მათ 2°]მას.

* 202v-ზე კომენტარი ტექსტი არ არის.

S

ეუფლნეთ ქუეყანასა მას წინაშე თქუენსა. მისცეთ მათ ქუეყანა გალაადისაჲ სამკჳდრებელად. 30 უკუეთუ არა წიალ-კდენ შეჰურვილნი თქუენ თანა ბრძოლად წინაშე უფლისა, თქუენ წიალ-იღეთ ვანი მათი და დედა-წული მათი და საცხოვარი მათი პირველად თქუენსა ქუეყანად ქანანისა... 31 და მიუგეს ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა და ჰრქუეს: რავდენსაცა გუეტყოდის უფალი მონათა მისთა, (32) ეგრე ვყოთ ჩუენ, 32 წიალ-ვკდეთ შეჰურვილნი ქუეყანად ქანანისად და გუცეთ ჩუენ სამკჳდრებელი წიალ იორდანესა. 33 და მისცა მათ მოსე ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა და ზოგსა ნათესავსა მანასესსა, ძისა იოსებისა სამეუფოჲ სეონ მეფისა ამორეველისაჲ და სამეუფოჲ ოგ მეფისა ბასანისაჲ, ქუეყანაჲ და ქალაქები მისი საზღურითურთ, ქალაქები ქუეყანასა გარემო.

34 და აღაშენეს ძეთა გადისთა დებონი და ატაროთი და არუერი 35 და სუფანი და იაზერი (36) და აღამაღლნეს იგინი, 36 და ბეთნამბრაჲ და ბეთაარანი — ქალაქნი ძნელნი ღა პოსლები საცხოვრე. 37 და ძეთა რუბენისთა აღაშენეს ესებონი და ელვარე და კარათაჲმე 38 და ნაბოჲ (38) და ბელმოჲნი გარემოჲს და სებამი და დასდვეს სახელები მათი სახელებად ქალაქებსა მას, რომელ აღაშენნეს. 39 და წარვიდა ძე მაქირისი, ძისა მანასესი, გალაადდ და დაიპყრა იგი და წარწყჳიდა ამორეველი იგი, რომელ მკჳდრ იყო მუნ. 40 და მისცა მოსე გალაადი მაქირს, ძესა მანასესსა, და დაეშენა

AK

შე უფლისა, და ეუფლნეთ ქუეყანასა წინაშე თქუენსა, მიეცით მაგათ ქუეყანაჲ გალადისაჲ სამკჳდრებელად. 30 უკუეთუ არა წიალ-კდენ თქუენ თანა შეჰურვილნი ბრძოლად წინაშე უფლისა, წიალ-იყვანეთ მონაგები და ცოლნი მაგათნი და საცხოვარი უწინარეს თქუენსა ქუეყანად ქანანისა, და თქუენ თანა დაიმკჳდრონ ქუეყანასა ქანანისასა. 31 მიუგეს ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა და ჰრქუეს: რაოდენსა უფალი ჩუენი ეტყჳს მსახურთა თჳსთა, ვყოთ ეგრე ჩუენ, 32 წიალ-ვკდეთ იორდანესა შეჰურვილნი წინაშე უფლისა ქუეყანად ქანანისა და მოგუეცით სამკჳდრებელი ჩუენი ამიერ იორდანესა. 33 და მისცა მოსე ძეთა [303] რუბენისთა და ძეთა გადისთა და კერძოსა ნათესავსა მანასესსა და ძეთა იოსებისთა სამეუფო სეონისი, მეფისა ამორეველთასა, და სამეუფო ოგისი, მეფისა ბასანისა, ქუეყანა და ქალაქები საზღურითურთ მისით, ქალაქები მის ქუეყანისა გარემოჲ.

34 და იშენეს ძეთა გადისთა დებონი და ასტაროთი 35 და სოფარი და იაზერი და აღამაღლნეს იგინი, 36 და ამბრაამი და ბეთორანი — ქალაქნი მოძნელებულნი და საყოფელნი საცხოვართათჳს. 37 და ძეთა რუბენისთა აღაშენეს ესებონი და ელიალე და კარიათემი 38 და ბეელმონი გარე-მოზღუდვილად და სებამა და დასდკეს სახელებისა მისებრვე მათისა სახელები ქალაქთა მათ, რომელ აღაშენნეს. 39 და წარვიდა ძე მაქირისი, ძისა მანასესი, გალაადდ და დაიპყრა იგი და წარწყჳიდა ამორეველი, რომელი დამკჳდრებულ იყო მას შინა. 40 და მისცა მოსე გალაადი მაქირს, ძესა მანასესსა, და

S: 33 მანასესა. 38 ს˘ბმი. 40 ჲანასესა.

AK: 29 ქუეყანა გალადსა A. 30 -იყუანეთ A. და 2°... ქანანისასა—K. 32 და... იორდანესა—K. 33 მანასესსა—K. იოსებისთაჲ˘ბისთა K. ქალაქები 2°... გარემოჲ—K. 35 ატაროთი K. საცხოვართანი K. 40 გალადი A. მანასესა K.

B

ლნეთ ქუეყანასა მას წინაშე თქუენსა, მაშინ მისცეთ მათ ქუეყანა გალადისა სამკჳდრებელად. 30 უკუეთუ არა წიაღ-ჰკდენ ჰურვილნი თქუენ თანა ბრძოლად წინაშე უფლისა, თქუენ წიაღ-იყვანეთ ვანი მათი და დედა-წული მათი და საცხოვარი მათი პირველად თქუენსა ქუეყანასა ქანაანისასა, და დაიმკჳდრონ თქუენ თანა ქუეყანა ქანაანისა. 31 და მიუგეს ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა და ჰრქუეს: რაოდენსაცა გუეტყოდის უფალი მონათა მისთა, ეგრეთ ვყოთ ჩუენ, 32 წიაღ-ვკდეთ ჰურვილნი წინაშე უფლისა ქუეყანად ქანანისა და გუეცით ჩუენ სამკჳდრებელი წიაღმო იორდანესა. 33 და მისცა მოსე ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა და ზოგსა ნათესავსა მანასესსა, ძისა იოსებისსა, სამეუფო სეონ მეფისა ამორეველისა და სამეუფო ოგ მეფისა ბასანისა, ქუეყანა და ქალაქები მისი საზღვარითურთ, ქალაქები მისი ქუეყანასა გარემოთ.

34 და აღაშენეს ძეთა გადისთა დებონი 35 და ატაროთი და არური და სოფანი და იაზერი და აღამაღლნეს იგინი, 36 და ბეთნამრაჲ და ბეთარარანი — ქალაქნი ძნელნი და ბოსლები საცხოვრე. 37 და ძეთა რუბენისთა აღაშენეს ესებონი და ელეარე, კარიათამი 38 და ნაბოჲ და გელემეონი გარემოს და საბამი და დასდვეს სახელები მათი სახელებად ქალაქებსა მას, რომელ აღაშენნეს. 39 და წარვიდა ურ, ძე მაქირისი, ძისა მანასესი, გალადად და დაიპყრა იგი და წარსწყმიდა ამორეველი იგი, რომელი მკჳდრ იყო მუნ. 40 და მისცა მოსე გალადი მაქირს, ძესა მანასესსა,

G

ლნეთ ქუეყანასა წინაშე თქუენსა და მიეცით მათ ქუეყანაჲ გალაადისაჲ დასაპყრობელად. 30 ხოლო არა თუ წიაღ-მოჴდენ თქუენ თანა შეჴ(ν)ურვილნი ბრძოლად წინაშე უფლისა, წიაღ-ავლეთ ბუნაგები მათი და ცოლნი მათნი და საცხოვარი მათი პირველად თქუენსა ქუეყანად ქანაანისა, და თანა-დაემკჳდრნენ თქუენ შორის ქუეყანასა ქანაანისასა. 31 და მიუგეს ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა, მეტყუელთა: რაოდენი უფალმან მრქუას მსახურთა თჳსთა, ეგრეთ ვყოთ, 32 და ჩუენ წიაღ-მოვკდეთ შეჴურვილნი წინაშე უფლისა ქუეყანად ქანაანისა, და მომეცით ჩუენ დასაპყრობელი წიაღ კერძო იორდანისა. 33 და მისცა მათ მოსე ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა და კერძოსა ტომსა მანასის, ძისა იოსებისსა, სამეფოჲ სიონ მეფისა ამორრეველთაჲსაჲ, და სამეფოჲ ოგ მეფისა ბასანისაჲ, ქუეყანაჲ და ქალაქნი მისნი საზღვართა თანა, ქალაქნი ქუეყანისანი გარეშემოჲს.

34 და აღაშენეს ძეთა გადისთა დებოთი 35 და ტაროთი და აროირი და სოფანი და იაზირი და აღამაღლნეს იგინი, 36 და ამვრანი და ბეთარრანი — ქალაქნი ძნელნი და ბოსლები ცხოვართაჲ. 37 და ძეთა რუბენისთა აღაშენეს ესებონი და ელეალი და კარიათემი 38 და ნაბოჲ და ვეელსემეონი, გარემობურვილნი, და სევამაჲ და სახელსდვეს სახელსა ზედა თჳსსა სახელები ქალაქთაჲ, რომელნი აღაშენნეს. 39 და წარვიდა ძე მაქირისი, ძისა მანასისი, გალაადდ და გამოიღო იგი და აღჴოცა ამორრეველი, დამკჳდრებული მას შინა. 40 და მისცა მოსემან გალაადი მაქირს, ძესა მანასისსა, და დაემკჳდრნეს

B: 29 მათ]მას. 33 ძისა]ძესა. 40 მანასესა.

G: 29 მათ]მას Ga.30 ბუნაგი Gb. და ცოლნი მათნი და საცხოვარი მათი—Gb. 33 იოსების]სა Ga.

S

მუნ. 41 და იაირ, ძე მანასესი, წარვიდა და დაიპყრა ბოსლები მათი და უწოდა მათ „ბანაკები იაირისი“. 42 და ნაბავ წარვიდა, დაიპყრა კანათაჲ და დაბნები მისი და უწოდა მას „ნაბავ“: სახელი თჳსი.

AK

დაემკჳდრა მუნ. და იარ, ძე მანასესი, წარვიდა და დაიპყრა ქალაქები მათი და დასდვა მათ სახელები „იაირის“. 42 და ნაბავ წარვიდა და დაიპყრა კანათა და დაბნები მისი და უწოდა მას „ნაბავ“, სახელი თჳსი.

თავი XXXIII

1 და ესე არიან საბანაკონი ძეთა ისრაელისათანი, რაჟამს გამოვიდეს იგინი ქუეყანით ეგჳპტით ძალითურთ ჯელითა მოსესითა და აჰრონისითა. 2 და დაწერა მოსე სლვაჲ მათი და სადგურები მათი სიტყჳთა უფლისაჲთა და ესე არს სადგურები სლვისა მათისაჲ: 3 და იძრნეს რამესეთ თუესა პირველსა, მეათხუთმეტესა დღესა თთჳსა მის პირველისასა, ხვალისაგან ზატიკ[ი]სა გამოვიდეს ძენი ისრაელისანი ჯელითა მაღლითა წინაშე ყოველთა ეგჳპტელთა. 4 და ეგჳპტელნი დაჰფლვიდეს ყოველთა მათ, რომელნი მოსრნა უფალმან მათგანნი — ყოველი პირმშოჲ ქუეყანასა ეგჳპტისასა, და შორის ღმერთთა მათთა ყო უფალმან შურისგებაჲ. 5 და იძრნეს ძენი ისრაელისანი ჰრამესეთ და დაიბანაკეს სოკქოთს. 6 და იძრნეს სოკქოთით და დაიბანაკეს უთანს, რომელ არს ნაწილი უდაბნოჲსაგანი. 7 და იძრნეს უთანით და დაიბანაკეს პირსა ზედა ეროთისასა, რომელ არს მართლ ბეელსეპფონსა და დაიბანაკეს წინაშე მაგდოლასა. 8 და იტრნეს მართლ იოროთით და განჴდეს საშუალ ზღუასა უდაბნოდ და ვიდოდეს გზასა სამ დღისა სავალსა უდაბნოსა ემათისასა და დაიბანაკეს განსამწარებელსა. 9 და იძრნეს განსამწარებელით და მოვიდეს ელიმდ. და ელიმს იყო ათორ-

1 [v] და ესე არიან საბანაკონი ძეთა ისრაელისათანი, რაჟამს გამოვიდეს იგინი ქუეყანით ეგჳპტით ძალითურთ ჯელითა მოსესითა და აჰრონისითა. 2 და დაწერა მოსე სლვაჲ მათი და სადგურები მათი სიტყჳთა უფლისაჲთა და ესე არს სადგურები სლვისა მათისაჲ: 3 და იტრნეს რამესეთ თთუესა პირველსა, მეათხუთმეტესა დღესა თთჳსა მის პირველისასა, ხვალისაგან ზატიკისა გამოვიდეს ძენი ისრაელისანი ჯელითა მაღლითა წინაშე ყოველთა ეგჳპტელთა. 4 და ეგჳპტელნი დაჰფლვიდეს ყოველთა მათ, რომელ მოსრნა უფალმან მათგანნი — ყოველი პირმშო ქუეყანასა ეგჳპტისასა, და შორის ღმერთთა მათთა ყო უფალმან შურისგებაჲ. 5 და იტრნეს ძენი ისრაელისანი ჰრამესეთ და დაიბანაკეს სოკქოთს. 6 და იტრნეს სოკქოთით და დაიბანაკეს უთანს, რომელ არს ნაწილი უდაბნოსაგანი. 7 და იტრნეს უთანით და დაიბანაკეს პირსა ზედა ეროთისასა, რომელ არს მართლ ბეელსეპფონსა და დაიბანაკეს წინაშე მაგდოლასა. 8 და იტრნეს მართლ იოროთით და განჴდეს საშუალ ზღუასა უდაბნოდ და ვიდოდეს გზასა სამ დღისა სავალსა უდაბნოსა ემათისასა და დაიბანაკეს განსამწარებელსა. 9 და იტრნეს განსამწარებელით და მოვიდეს ელიმდ. და

S: XXXIII, 7 ეროთისასა]ეთრონისასა. 8 დღისასა. 9 ელიმს]ელის.

AK: XXXIII, 2 მათი 1°]თჳსი K. და ვი... მათისა—K. 3 და იტრნეს... პირველსა—K. 4 ეგჳპტელნი—K. ფლვიდეს K. 7 ბელსეპფონსა K. წინაშე—K. მაგდოლოსა K. 8 სამ]მრს K. ემათისასა K. 9 განსამწარებლით K.

B

და დაეშენა მუნ. [41] და იარე, ძე მანასისი, წარვიდა, დაიპყრა ბოსლები მათი და უწოდა მათ „ბანაკებ იაერისი“. [42] და ნობახ წარვიდა და დაიპყრა კანათა და დაბნები მისი და უწოდა მას „ნობახ“, სახელი თჳსი.

G

მუნ. [41] და იაირ მანასსისი წარვიდა და მოიხუნა ბოსლებნი მათნი და სახელსდვა მათ „ბოსლები იაირისი“. [42] და [89] ნავაე წარვიდა და დაიპყრა კანაათი და დაბანი (204v) მისნი და სახელსდვა მათ „ნავოთ“, სახელისაგან თჳსა.

თავი XXXIII

[1] და ესე არიან საბანაკენი ძეთა ისრაელისათანი, რაჟამს გამოვიდეს იგინი ქუეყანით ეგჳპტით ძალითა მათითა ჯელითა მოსესითა და აჰრონისითა. [2] და დაწერა მოსე სლვა მათი და სადგური მათი სიტყუთა უფლისათა, და ესე არს სადგურები სლვისა მათისა: [3] და რაჟამს იძრნეს ძენი ისრაელისანი რამესით თუესა პირველსა, მეათხუთმეტესა დღესა თჳსა მის პირველისასა, ხვალისაგან ზატიკისა, გამოვიდეს ძენი ისრაელისანი ჯელითა მაღლითა წინაშე ყოველთა ეგჳპტელთა. [4] და მეგჳპტელნი იგი დაჰფლვიდეს ყოველთა მომკუდართა მათ, რომელნი-იგი მოსრნა მათვანნი უფალმან — ყოველი პირმშოჲ ქუეყანასა ეგჳპტისასა, და შორის ღმერთთა მათთა ყო უფალმან შურისგება. [5] და იძრნეს ძენი ისრაელისანი რამესისაგან და დაიბანაკებდეს სოქოთს. [6] და იძრნეს სოქოთით და დაიბანაკეს უთანს, რომელ არს ნაწილი უდაბნოსაგანი. [7] და იტრნეს უთანით და დაიბანაკეს პირსა ზედა უროთისასა, რომელ არს მახლობელ ველსეფონს, დაიბანაკეს წინაშე მოდოლასა. [8] და იძრნეს მართლ უროთით და განკდეს საშუალ ზღუასა უდაბნოდ და ვიდოდეს გზასა სამისა დღისა საჳალსა უდაბნოსა ემათისასა, დაიბანაკეს განსამწარებელსა, [9] და იტრნეს განსამწარებელით და მოვიდეს ელიმად. და ელიმს

[1] და ესე არიან სადგურნი ძეთა ისრაელისათანი, ვითარცა გამოვიდეს ქუეყანით ეგჳპტით ძალისა თანა მათისა ჯელითა მოსესითა და აარონისითა. [2] და დაწერნა მოსემან ტრეანი მათნი და სადგურნი მათნი სიტყუთა უფლისაჲთა, და ესე არიან სადგურნი სლვისა მათისანი: [3] ისტრნეს* რამესსით თთუესა პირველსა ხუთ და მეათესა დღესა თთჳსა პირველისასა, ხვალისაგან პასექისა, გამოვიდეს ძენი ისრაელისანი ჯელითა მაღლითა წინაშე ყოველთა მეგჳპტელთასა. [4] და მეგჳპტელნი ჰფლვიდეს მათგანთა მკუდართა ყოველთა, რომელნი დასცნა უფალმან — ყოველი პირმშოჲ ქუეყანასა ეგჳპტისასა, და ღმერთთაცა მათთა შორის ყო შურისძიებაჲ უფალმან. [5] და ისტრნეს რაჲ ძენი ისრაელისანი რამესით, დაიბანაკეს ოჳხოთს. [6] და ისტრნეს ოჳხოთით და დაიბანაკეს ეუთანს, რომელ არს კერძოჲ რაჲმე უდაბნოჲსაჲ. [7] და ისტრნეს ვუთანით და დაიბანაკეს პირსა ზედა იროთისასა, (204r) რომელ არს პირისპირ ვეელსეფონსა, და დაიბანაკეს წინაშე მაღდოლოსა. [8] და ისტრნეს პირისპირ იროთისა და განვლეს საშუალ ზღჳსა უდაბნოდ მიმართ და ვიდოდეს გზასა სამთა დღეთასა უდაბნოსა მას იგინი და დაიბანაკეს სიმწარეთა. [9] და ისტრნეს სიმწარეთაგან და მოვიდეს ელიმდ. და ელიმს იყო ათორმეტი

B: XXXIII, [1] აჰრონისთა. [8] დაიბანაკებდენ. სოქოთს]სუროთთჳს. [7] უროთისასა]ეთორისასა. [8] მართალი. უროთად. საშუალი. უდაბნოთ. დღისასა.

* აქაც და სხუა შემთხუევებშიც Gb-ში სიტყუაში „ისტრნეს“ ს შემდეგაა ჩამატებული.

S

მეტი წყაროჲ წყლისაჲ და სამეოცდაათ ძირ დანაკისკუდი, და დაიბანაკეს მუნ, წყაროსა მას ზედა. [10] და იძრნეს ელიმით და დაიბანაკეს ზღუასა ზედა ერუთრასა. [11] და იძრნეს ზღჳთ ერჳთრაჲთ და დაიბანაკეს უდაბნოსა სინაჲსასა. [12] და იტრნეს უდაბნოჲთ სინაჲთ და დაიბანაკეს აფეკს. [13] და იტრნეს აფეკაჲთ და დაიბანაკეს ელუჳსს. [14] და იძრნეს ელჳსით და დაიბანაკეს ჰრაფიდინს, და არა იყო მუნ წყალი სასმელად ერისა მისთჳს. [15] და იტრნეს ჰრაფიდინით და დაიბანაკეს უდაბნოსა სინასა. [16] და იძრნეს უდაბნოჲთ სინაჲთ და დაიბანაკეს სამარობანს გულისთქმისასა. [17] და იძრნეს სამარობნით გულისთქმისაჲთ და დაიბანაკეს ასეროთს. [18] და იძრნეს ასეროთით და დაიბანაკეს ჰრათმას. [19] და იძრნეს ჰრათმაჲთ და დაიბანაკეს ჰრემონ-ფარესს. [20] და იძრნეს ჰრემონ-ფარესით და დაიბანაკეს ლებუნას. [21] და იძრნეს ლებუნაჲთ და დაიბანაკეს რესას. [22] და იძრნეს რესაჲთ და დაიბანაკეს მაკელლათას. [23] და იძრნეს მაკელლათაჲთ და დაიბანაკეს საფარს. [24] და იტრნეს საფარით და დაიბანაკეს ქარას. [25] და იძრნეს ქარაჲთ და დაიბანაკეს მაკედოთს. [26] (25) და იძრნეს მაკედოდით და დაიბანაკეს თაათს*. [27] და იტრნეს თაათით და დაიბანაკეს თარას. [28] და იძრნეს თარაჲთ და დაიბანაკეს მათეკას. [29] და იტრნეს მათეკაჲთ და დაიბანაკეს ასემუნას. [30] და იძრნეს ასემუნაჲთ და დაიბანაკეს მასურუთს. [31] და იტრნეს მასურუთით და დაიბანაკეს ბანაიკამს. [32] და იძრნეს ბანაიკამით და

AK

ელიმს იყო ათორმეტი წყაროჲ [304] წყლისა და სამეოცდაათ ძირ დანაკისკუდი, და დაიბანაკეს მუნ, წყაროსა მას ზედა. [10] და იტრნეს ელიმით და დაიბანაკეს ზღუასა ზედა ერჳთრასა. [11] და იტრნეს ზღჳთ ერჳთრაჲთ და დაიბანაკეს უდაბნოსა სინაჲსასა. [12] და იტრნეს უდაბნოთ სინათ და დაიბანაკეს აფეკს. [13] და იტრნეს აფეკათ და დაიბანაკეს ელუსას. [14] და იტრნეს ელუსით და დაიბანაკეს ჰრაფინდინს, და არა იყო მუნ წყალი სასუმელად ერისა მისთჳს. [15] და იტრნეს ჰრაფიდინით და დაიბანაკეს უდაბნოსა სინასა. [16] და იტრნეს უდაბნოთ სინათ და დაიბანაკეს სამარობანსა გულისთქმისასა. [17] და იტრნეს სამარობნით გულისთქმისათა და დაიბანაკეს ასეროთს. [18] *და იტრნეს ასეროთით და დაიბანაკეს ჰრათმას. [19] და იტრნეს ჰრათმათ და დაიბანაკეს ჰრემონ-ფარესს. [20] და იტრნეს ჰრემონ-ფარესით და დაიბანაკეს ლებონას. [21] და იტრნეს ლებონათ და დაიბანაკეს რესსას. [22] და იტრნეს რესსათ და დაიბანაკეს მაკელლათას. [23] და იტრნეს მაკელლათათ და დაიბანაკეს საფარს. [24] და იტრნეს საფარით და დაიბანაკეს ქარას. [25] და იტრნეს ქარადათ და დაიბანაკეს მაკედოთს. [26] და იტრნეს მაკედოთით და დაიბანაკეს თათს*. *[27] და [v] იტრნეს თათით და დაიბანაკეს თარას. [28] და იტრნეს თარათ და დაიბანაკეს მათეკას. [29] და იტრნეს მათეკათ და დაიბანაკეს ასემონას. [30] და იტრნეს ასემონათ და დაიბანაკეს მასსუროთს. [31] და იტრნეს მასსუროთით და დაიბანაკეს ბანაიკამს. [32] და იტრნეს ბანაკაიმით და დაიბანა-

---

S: [20] ლებუსას. [27] თათით.

AK: [10] ერჳთრასა—K. [11] ზღუთ—K. სინისასა K. [12] აფეკათ K. [13] ელუსს K. [15] მე-15 მუხლი—K. [17] გულისთქმისათა... ასეროთს—K. [28] და იტრნეს ქარადათ—K. [26] თათს—K. [27] და იტრნეს თათით—K. [30] და დაიბანაკეს მასსუროთს—K. [31] და იტრნეს მასსუროთით—K.

* მე-18 მუხლიდან 24-ე მუხლის ჩათვლით აკლია K ხელნაწერს.

** S-ში 26-ე მუხლად იკითხება: „და იძრნეს თაათით და დაიბანაკეს თათს".

B

იყო ათორმეტი წყაროჲ წყლისა და სამეოცდაათი ძირი დანაკისკუდი, და დაიბანაკეს მუნ, წყალთა მათ ზედა. [10] და იძრნეს ელიმით, დაიბანაკეს ზღუასა ზედა ეროთრასა. [11] და იტრნეს ზღვით ეროთრათ და დაიბანაკეს უდაბნოსა სინისასა. [12] და იძრნეს უდაბნოთ სინათ და დაიბანაკეს რაფეკს. [13] და იძრნეს რაფეკათ, დაიბანაკეს ელვის. [14] და იძრნეს ელუსით და დაიბანაკეს ჰრფიდანს, და არა იყო მუნ წყალი სასმელად ერისა მისთვის. [15] და იტრნეს რაფიდინით და დაიბანაკეს უდაბნოსა სინასა. [16] და იძრნეს უდაბნოთ სინათ და დაიბანაკეს სამარუბანს გულისსათქმელსა. [17] და იტრნეს სამარუბნით გულისსათქმელისათ და დაიბანაკეს ასეროთს. [18] და იძრნეს ასეროთით და დაიბანაკეს ჰრომას. [19] და იტრნეს ჰრომათ და დაიბანაკეს ჰჩრომონ-ფარეს. [20] და იძრნეს ჰერომონ-ფარათ და დაიბანაკეს ლებონას. [21] და იტრნეს ლებონით და დაიბანაკეს რესას. [22] და იძრნეს რესათ და დაიბანაკეს მაკეთალათს. [23] და იტრნეს მაკეთალათ და დაიბანაკეს საფარას. [24] და იძრნეს საფარით მთით და დაიბანაკეს ქარას. [25] და იტრნეს ქარათ და დაიბანაკეს მაკადოთს. [26] და იძრნეს მაკადოთით და დაიბანაკეს კატათათს. [27] და იტრნეს კატათათით და დაიბანაკეს თარას. [28] და იძრნეს თარათ და დაიბანაკეს მათეკას. [29] და იძრნეს მათეკით და დაიბანაკეს ასემონს. [30] და იძრნეს ასემონით და დაიბანაკეს მასურუთს. [31] და იტრნეს მასურუთით და დაიბანაკეს ბანაკამს. [32] და იძრნეს ბანაკამით და დაიბანაკეს

G

წყაროები წყალთაჲ და სამეოცდაათი ძირი ფინიკთაჲ, და დაიბანაკეს მუნ, მახლობელად წყლისა. [10] და ისტრნეს ელიმით და დაიბანაკეს ზღუასა ზედა მეწამულსა. [11] და ისტრნეს ზღუთ მეწამულით და დაიბანაკეს უდაბნოსა სინს. [12] და ისტრნეს უდაბნოჲთ სინით და დაიბანაკეს რაფაკანს. [13] და ისტრნეს რაფაკანით და დაიბანაკეს ელუს. [14] და ისტრნეს ელუჲთ და დაიბანაკეს რაფიდინს, და არა იყო მუნ წყალი სუმად ერისა. [15] და ისტრნეს რაფიდინით და დაიბანაკეს უდაბნოსა სინას. [16] და ისტრნეს უდაბნოჲთ და დაიბანაკეს სამარეებსა გულისთქუმისასა. [17] და ისტრნეს სამარეებით გულისთქუმისაჲთ და დაიბანაკეს ასიროთს. [18] და ისტრნეს ასიროთით და დაიბანაკეს რათამას. [19] და ისტრნეს რათამანით და დაიბანაკეს რემონ-ფარეს. [20] და ისტრნეს რემონნეთ (!) და დაიბანაკეს ლევონას. [21] და ისტრნეს ლევონაჲთ და დაიბანაკეს რესისას. [22] (205) და ისტრნეს რესისაჲთ და დაიბანაკეს მაკელეთს. [23] და ისტრნეს მაკელეთით და დაიბანაკეს არსაფართს. [24] და ისტრნეს არსაფართით და დაიბანაკეს ხარადათს ზედა. [25] და ისტრნეს ხარადათით და...[26]...დაიბანაკეს კატაათს. [27] და ისტრნეს კატაათით და... [28]...დაიბანაკეს მათეკკათს. [29] და ისტრნეს მათეკკათით და დაიბანაკეს ასელმონს. [30] და ისტრნეს ასელმონით და დაიბანაკეს მასურუთს. [31] და ისტრნეს მასურუთით და დაიბანაკეს ბანიაკანს. [32] და ისტრნეს ბანიაკანით და დაიბანა-

B: [13] იტძრნეს. [17] ასერთოთს.
G: [24] არსაფათით Ga.

S

დაიბანაკეს მთასა გადგადსა. 33 და იძრნეს მთით გადგადით და დაიბანაკეს იეტაბათას. 34 და იტრნეს იეტაბათაჲთ, დაიბანაკეს ებრუნას. 35 და იძრნეს ებრუნაჲთ და დაიბანაკეს გესიონგაბერს. 36 და იტრნეს გესიონგაბერით და დაიბანაკეს უდაბნოსა სინაჲსასა, ესე არს კადე. 37 და იტრნეს კადეთ და დაიბანაკეს ორსა მთასა, მახლობელად ქუეყანასა ედომისასა. 38 და აღვიდა აჰრონ მღდელი ბრძანებითა უფლისაჲთა და მოკუდა მუნ მეორმეოცესა წელსა გამოსლვასა ძეთა ისრაელისათასა ქუეყანით ეგჳპტით, თთუესა მეხუთესა, [ერთსა] თთჳსასა. 39 და აჰრონ იყო ას ოცდასამ წლის, რაჟამს მოკუდებოდა ორს მთასა. 40 და ესმა ქანაანის მეფესა არადს, და იგი დაშენებულ იყო ბღუარით კერძო ქუეყანასა ქანაანისასა, რაჟამს შევიდოდეს ძენი ისრაელისანი. 41 და იტრნეს ორით მთით და დაიბანაკეს სელმუნას. 42 და იძრნეს სელმუნაჲთ და დაიბანაკეს ფინუნს. 43 და იძრნეს ფინუნით და დაიბანაკეს ობოთს. 44 და იძრნეს ობოთით და დაიბანაკეს [გეს] წიაღ, საზღჳართა ზედა მოაბისათა. 45 და იძრნეს გესით და დაიბანაკეს დებონგათს. 46 და იტრნეს დებონგადით და დაიბანაკეს გელმონს დაბლათაიმს. 47 და იძრნეს გელმონ დაბლათაჲმით და დაიბანაკეს მთათა ზედა აბარიმისათა, მართლ ნაბაჳსა. 48 და იძრნეს მთით აბარიმით და დაიბანაკეს დასავალით კერძო მოაბსა, იორდანესა ზედა, იერიქოჲთ კერძო. 49 ...და დაიბანაკეს იორდანესა ზედა, საშუვალ

AK

კეს მთასა გადგადსა. 33 და იტრნეს მთით გადგადით და დაიბანაკეს იეტაბათას. 34 და იტრნეს იეტაბათით და დაიბანაკეს ებრბონას. 35 და იტრნეს ებრბონათ და დაიბანაკეს გესიონგაბერს. 36 და იტრნეს გესიონგაბერათ და დაიბანაკეს უდაბნოსა სინასასა, ესე არს კადე. 37 და იტრნეს კადეთ და დაიბანაკეს ორსა მთასა, მახლობელად ქუეყანასა ედომისასა. 38 და აღვიდა აჰრონ მღუდელი ბრძანებითა უფლისაჲთა და მოკუდა მუნ მეორმოცესა წელსა გამოსლვასა ძეთა ისრაელისათასა ქუეყანით ეგჳპტით, თთუესა მეხუთესა, ერთსა თთჳსასა. 39 *და აჰრონ იყო ას ოცდასამ წლის, რაჟამს მოკუდებოდა ორს მთასა. 40 და ესმა ქანასას მეფესა არადს და იგი დაშენებულ იყო ბღოარით კერძო ქუეყანასა მას ქანანისასა, რაჟამს შევიდოდეს ძენი ისრაელისანი. 41 და იტრნეს ორით მთით და დაიბ[305]ანაკეს სელმონას. 42 და იტრნეს სელმონათ და დაიბანაკეს ფენონს. 43 და იტრნეს ფენონით და დაიბანაკეს ობოთს. 44 და იტრნეს ობოთათ და დაიბანაკეს გეს წიაღ, საზღვართა ზედა მოაბისათა. 45 და იტრნეს გესით* და დაიბანაკეს დებონგათს. 46 და იტრნეს დებონგადით და დაიბანაკეს გელმონს დაბლათაიმს. 47 და იტრნეს გელმონ დაბლათაიმით და დაიბანაკეს მთათა ზედა აბარიმისათა, მართლ ნაბავსა. 48 და იტრნეს მთით აბარიმით და დაიბანაკეს დასავალით კერძო მოაბსა, იორდანესა ზედა, იერიქოთ კერძო. 49...და დაიბანაკეს იორდანესა ზედა, საშუვალ ესიმოთსა მიაბელ-

---

S: 40 არადისასა. 47 აბარიმისასა.

AK: 31 იეტებათათ A. 34 ებრბონით K. გესიონგაბერს—K. 36 და იტრნეს გესიონგაბერათ—K. 38 მღუდელი A]მ̃ღი K. ისრაელისათა K. ქუეყანით... თთჳსასა—K. 40 არადისასა AK. 41 სჳნამონას A. 43 გეს K] აბარიმს A (ჩამატებულია სხვა ხელით). 46 გჳლმონ A.

* 39-ე მუხლიდან 55-ე მუხლის სიტყვამდე „მათგანნი“ აკლია K ხელნაწერს.

B

მთასა გადგადსა. 33 და იტრნეს მთით გადგადათ და დაიბანაკეს იეტაბათსა. 34 და იტრნეს იეტაბათით და დაიბანაკეს ებრონას. 35 და იძრნეს ებრონით და დაიბანაკეს გესეონგებერს. 36 და იტრნეს გესეონგებერით და დაიბანაკეს უდაბნოსა სინას. და იძრნეს უდაბნოსაგან სინასა და დაიბანაკეს უდაბნოს ფარანს, რომელი არს კადესა. 37 და იტრნეს კადეთ და დაიბანაკეს ორს მთასა, მახლობელად ქუეყანასა ედომისსა. 38 და აღვიდა აჰრონ მღდელი მთასა მას ორს ბრძანებითა უფლისათა და მოკუდა მუნ მეორმოცესა წელსა გამოსლვასა ძეთა ისრაელისათა ქუეყანით ეგჳპტით თვესა მეოთხესა, ერთსა თჳსასა. 39 და აჰრონ იყო ას ოცდასამ წლისა, რაჟამს მოკუდა ორსა მთასა. 40 და ესმა ქანანს მეფესა არადს, და იგი დაშენებულ იყო ბღუარით კერძო ქუეყანასა ქანანისასა, რაჟამს შევიდოდეს ძენი ისრაელისანი. 41 და იძრნეს მთით ორით და დაიბანაკეს სელომონას. 42 და იძრნეს სელომონათ და დაიბანაკეს ფინონს. 43 და იტრნეს ფინონით და დაიბანაკეს აბოთს. 44 და იძრნეს აბოთით და დაიბანაკეს გეს წიაღთა, საზღვართა ზედა მოაბისთა. 45 და იტრნეს გესით და დაიბანაკეს დებონ-გადს. 46 და იძრნეს დებონ-გადით და დაიბანაკეს გესლმონს და ბალათას.*. 47 და იტრნეს გელმონით და ბალათამით* და დაიბანაკეს მთასა ზედა აბარიმიოსსა, მართლ ნაბავს. 48 და იძრნეს მთით აბარიმიოსით და დაიბანაკეს დასავლით კერძო მოაბისა, იორდანესა ზედა, იერიქოთ კერძო. 49 და იძრნეს დასავლით მოაბისგან და დაიბანაკეს იორდანესა ზედა, სა-

G

კეს მთასა ღადღადისასა. 33 და ისტრნეს მთით ღადღადისაჲთ და დაიბანაკეს იეტავათანს. 34 და ისტრნეს იეტავათანით და დაიბანაკეს ევრონას. 35 და ისტრნეს ევრონაჲთ და დაიბანაკეს გესიო[ნ]გაბერს. 36 [ν] და ისტრნეს გესიონგაბერით და დაიბანაკეს უდაბნოსა სინს. და ისტრნეს უდაბნოჲთ სინით და დაიბანაკეს უდაბნოსა ფარანისასა, ესე არს კადე. 37 და ისტრნეს კადით და დაიბანაკეს ორს მთასა, მახლობელად ქუეყანასა ედომისსა. 38 და აღვიდა აარონ მღდელი ბრძანებითა უფლისაჲთა და მოკუდა მუნ მეორმეოცესა წელსა გამოსლვისა ძეთა ისრაელისათასა ქუეყანით ეგჳპტით თთუესა მეხუთესა, ერთსა თთჳსასა. 39 და აარონ იყო სამთა და ოცისა და ასისა წლისაჲ, ოდეს-იგი მოკუდა მთასა ზედა ორს. 40 და ესმა ქანანის(ν) მეფესა არადს, და იგი დამკჳდრებულ იყო ქუეყანასა ქანაანისასა, ოდეს შევიდოდეს ძენი ისრაელისანი. 41 და ისტრნეს ორით მთით და დაიბანაკეს სელმონას. 42 და ისტრნეს სელმონაჲთ და დაიბანაკეს ფინონს. 43 და ისტრნეს ფინონით და დაიბანაკეს ობოთს. 44 და ისტრნეს ობოთით და დაიბანაკეს გაის წიაღ კერძო, საზღვართა თანა მოაბისათა. 45 და ისტრნეს გაით და დაიბანაკეს დებონ-გადს. 46 და ისტრნეს დებონ-გადით და დაიბანაკეს გელმონ დევლათემს. 47 და ისტრნეს გელმონ-დევლათემით და... 48 ...საზღვრით ავარიმისით და დაიბანაკეს დასავალით მოაბსა, იორდანესა ზედა, იერიქოდ მიმართ. 49... და დაიბანაკეს იორდანესა ზედა საშუალ ასიმოთსა

B: 33 გადგადად. 34 ებრარს 36 გეესონგებერით. 39 და რაჟამს. 47 მართლ]მართა. 48 აბარიმიოსით]აბიტრიმლით.

G: 37 იტრნეს Gb. 40 არადს[არადისასა Ga.

* „გელმონ-დებლათამი" გააზრებულია ორ გეოგრაფიულ სახელად.

S

ესიმოთსა მაბელსატტიდმდე, რომელ არს დასავალით მოაბსა.

50 და ეტყოდა უფალი მოსეს დასავალით მოაბსა, იორდანესა ზედა, იერიქოჲთ კერძო, (51) და თქუა: 51 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ: თქუენ წიაღ-ხვალთ იორდანესა ქუეყანად ქანანისად, 52 და წარსწყმიდნეთ ყოველნი დამკჳდრებულნი ქუეყანასა მას პირისაგან თქუენისა (53) და მოსპოთ ყოველი ბანაკები მათი და ყოველი კერპები დასხმულები იგი მათი (54) წარსწყმიდოთ და ყოველი ძეგლები მათი მოსპოთ; 53 და წარსწყმიდნეთ ყოველნი იგი მკჳდრნი მის ქუეყანისანი და დაეშენნეთ მას შინა, რამეთუ თქუენ მიგეც ქუეყანაჲ იგი მათი ნაწილად 54... წილითა ნათესავად-ნათესავთა თქუენთა: უმრავლესთაჲ განამრავლოთ სამკჳდრებელი მათი და უმცირესთაჲ დაამციროთ სამკჳდრებელი მათი. რომელსაცა აღმოჴდეს სახელი მისი მუნ, მისი იყოს, ნათესავად-ნათესავად ტომთა თქუენთა დაიმკჳდრეთ. 55 უკუეთუ არა წარსწყმიდნეთ მკჳდრნი იგი მის ქუეყანისანი პირისაგან თქუენისა, (56) და იყვნენ, რომელნი-იგი დაუტევნეთ მათგანნი, ჩნდე თუალთა თქუენთა და ისარ გუერდთა თქუენთა, და გემტერნენ თქუენ ქუეყანასა ზედა, რომელსა მკჳდრ იყვნეთ. 56 და იყოს, ვითარ-იგი ჴერ-იყოს ყოფად მათა, გიყოთ თქუენ.

AK

სატტიდმდე, რომელ არს დასავალით მოაბსა.

50 და ეტყოდა უფალი მოსეს დასავალით მოაბსა, იორდანესა ზედა, იერიქოთ კერძო, და თქუა: 51 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ: თქუენ წიაღ-ხუალთ იორდანესა ქუეყანად ქანანისად, 52 და წარსწყმიდნეთ ყოველნი დამკჳდრებულნი ქუეყანასა მას პირისაგან თქუენისა და მოსპოთ ყოველი ბაგინები მათი და ყოველი კერპები დასხმულები იგი მათი წარწყმიდოთ და ყოველი ძეგლები მათი მოსპოთ; 53 და წარსწყმიდნეთ ყოველნი იგი მკჳდრნი მის ქუეყანისანი და და[v]ეშენენით მას შინა, რამეთუ თქუენ მიგეც ქუეყანა იგი მათი ნაწილად; 54... წილით ნათესავად-ნათესავთა თქუენთა: უმრავლესთა განამრავლოთ სამკჳდრებელი მათი და უმცირესთა დაამციროთ სამკჳდრებელი მათი. რომელსაცა აღმოჴდეს სახელი მისი მუნ, მისი იყოს, ნათესავად-ნათესავად ტომთა თქუენთა დაიმკჳდრეთ. 55 უკუეთუ არა წარსწყმიდნეთ მკჳდრნი იგი მის ქუეყანისანი პირისაგან თქუენისა, და იყუნენ, რომელნი-იგი დაუტევნეთ მათგანნი, ჩნდე თუალთა თქუენთა და ისარ გუერდთა თქუენთა, და გემტერნენ თქუენ ქუეყანასა ზედა, რომელსა მკჳდრ იყუნეთ. 56 და იყოს, ვითარ-იგი ჴერ-იყო ყოფად მათა, გიყო თქუენ.

თავი XXXIV

1 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 2 ამცენ ძეთა ისრაელისათა და ეტყოდე მათ და არქუ: თქუენ შეხვალთ ქუეყანად ქანანისა, იგი იყოს სამკჳდრებელად თქუენდა, ქუეყანაჲ ქანანი-

1 და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: 2 ამცენ ძეთა ისრაელისათა და ეტყოდე მათ და არქუ: თქუენ შეხუალთ ქუეყანად ქანანისა, იგი იყოს სამკჳდრებელ [თქუენდა*], ქუეყანა ქა-

S: 55 ჩნდე (σκόλοπες)ჩნდენ.

AK: 55 იყუნეთ K. 56 ჩნდე]ჩუენდაცე A, ჩუნდეე K. მათდა K. გიყო თქუენ—K. XXXVI, 2 სამკჳდრებელი K. ქუეყანა ქანანისა—K.

* ეს სიტყუა A-ში გამოტოვებულია და მისთვის ცარიელი ადგილია გაშვებული, K-ში ეს სიტყუა საერთოდ არ არის.

B

შუალ ესიმოთსა [ვიდრე] ბელსათთიმისა. რომელ არს დასავლით მოაბსა.

50 და ეტყოდა უფალი მოსეს დასავლით მოაბსა, იორდანესა ზედა. იერიქოთ კერძო და ჰრქუა: 51 ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქუ მათ: თქვენ წიაღ-ხვალთ იორდანესა ქუეყანად ქანანისა, 52 და წარსწყმიდნეთ ყოველნი დამკჳდრებულნი ქუეყანასა მას პირისაგან თქუენისა და მოსპოთ ყოველი ბაგინები მათი და ყოველი კერპები მათი დასხმულები წარსწყმიდოთ და ყოველი ძეგლები მათი მოსპოთ; 53 და წარსწყმიდნეთ ყოველნი მკჳდრნი მის ქუეყანისანი და დაეშენნეთ მას შინა, რამეთუ თქუენ მიგეც ქუეყანა იგი მათი ნაწილად; 54 და დაიმკჳდრეთ ქუეყანა მათი წილითა ნათესავად-ნათესავად თქუენდა; უმრავლესთა განამრავლოთ სამკჳდრებელი მათი და უმცირესთა დაამციროთ სამკჳდრებელი მათი. და [რომელსაცა] აღმოჴდეს სახელი მათი მუნ, [მათი] იყოს, ნათესავად-ნათესავად ტომთა თქუენთა დაიმკჳდრონ. 55 უკუეთუ არა წარწყმიდნეთ მკჳდრნი იგი მის ქუეყანისანი პირისაგან თქუენისა, იყვნენ, რომელნი-იგი დაუტევნეთ მათგანნი, ჩნდე თუალთა თქუენთა და ისარ გუერდთა თქუენთა, და გემტერნენ თქუენ ქუეყანასა ზედა, რომელსა მკჳდრ იყვნეთ. 56 და იყოს ივი, ვითარ ჴერ-იყოს ყოფად მათა, იგი გიყო თქუენ.

G

ვიდრე ბელსატტინდმდე, დასავალით კერძო მოაბსა.

25 უკუეთუ ისხნე შენ შვილ ანუ შვილისშვილ და დღეგრძელ იყო ქუეყანასა ზედა და უშჯულოებდე და ჰყო ბოროტ წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა და იქმნნე შენ თავისა შენისა კერპნი გამოქანდაკებულნი და განარისხო უფალი ღმერთი შენი, 26 აჰა ესერა, შეგწამებ მე დღეს თქუენ წინაშე ცასა და ქუეყანასა, რამეთუ მოსპოლვით მოგსპნეს თქუენ ქუეყანისა მისგან, რომლისათჳს წიაღ-ხუალთ იორდანესა მდინარესა დამკჳდრებად მისა. და არა დღეგრძელად დაიმკჳდროთ მუნ, არამედ მოსრვით მოისრნეთ. 27 და განგაბნინეს თქუენ უფალმან ღმერთმან თქუენმან ყოველთა შორის წარმართთა და დაშთეთ თქუენ მცირედ რიცხჳთ წარმართთა შორის, რომელსა-იგი შეგიყვანნეს თქუენ უფალმან. 28 და ჰმსახურებდეთ თქუენ კერპთა უცხოთა, ქმნულთა ჴელთა კაცთასა, ძელისა და რვალისათა, რომელნი არა ხედვიდენ და არცა ესმოდის, არცა ჴამდენ და არცა იყნოსდენ. 29 და ეძიებდეთ თქუენ უფალსა ღმერთსა თქუენსა და ჰპოოთ იგი, რაჟამს ეძიებდეთ მას ყოვლითა გონებითა თქუენითა და ყოველითა გულითა თქუენითა, (30S) რაჟამს სიმდაბლით ეძიებდეთ მას ჴირსა შინა თქუენსა. 30 და მოგეგონებოდიან თქუენ სიტყუანი ესე ჩემნი შემდგომად ჟამთა. და მოიქცე შენ უფლისა მიმართ ღმრთისა შენისა და ისმინო ჴმა ბრძანებისა მისისაჲ. [320v] 31 რამეთუ უფალი ღმერთი მოწყალე არს, უფალმან ღმერთმან შენმან არა დაგაგდოს შენ,

G

25 ხოლო უკუეთუ ჰშვნე ძენი და ძენი ძეთა შენთანი და დაიყოვნოთ ქუეყანასა ზედა და უშჯულო იქმნნეთ და ჰქმნათ ქანდაკებული მსგავსებაჲ ყოვლისაჲ და ჰქმნათ ბოროტი წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა და განარისხო იგი, 26 გიწამებ თქუენ დღეს ცასა და ქუეყანასა, ვითარმედ წარწყმედით წარსწყმდეთ ქუეყანისაგან, რომლისა მიმართ თქუენ წიაღ-ხუალთ იორდანესა მუნ დამკჳდრებად მისსა, არა იმრავალჟამე[223v]ულნეთ დღენი მას ზედა, არამედ აღჴოცით აღიჴოცნეთ. 27 და განგლესნეს უფალმან თქუენ ყოველთა შორის წარმართთა და დაშთეთ თქუენ მცირედ რიცხჳთ წარმართთა შორის, რომელთა მიმართ შეგიყვანნეს თქუენ უფალმან მუნ. 28 და ჰმსახურებდეთ თქუენ ღმერთთა უცხოთა, ქმნულთა ჴელთა კაცთასა, ძელთა და [224r] ქჳათა, რომელნი არა ჰხედვენ, არცა ესმის, არცა ჴამენ, არცა იყნოსენ. 29 და გამოიძიოთ მუნ უფალი ღმერთი თქუენი და ჰპოოთ იგი, რაჟამს გამოიძიოთ იგი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა ჭირსა შინა შენსა. 30 და ჰპოვნეთ ყოველნი ესე სიტყუანი უკუანაჲსკნელთა დღეთასა. და მოიქცე უფლისა მიმართ ღმრთისა შენისა და ისმინო ჴმისა მისისაჲ. 31 რამეთუ უფალი ღმერთი მოწყალე არს, უფალი ღმერთი შენი, არა დაგიტეეოს შენ, არცა აღგჴოცოს

ABES: 25 შვილნი BS+შენნი B. შვილისშვილნი BS. და 2°+უკუეთუ B. უსჯულოებდე E. და 3°+ჰყოთ ჩამოსხმული მსგავსი ყოვლისა და B. ბოროტი BS. და იქმნნე... გამოქანდაკებულნი—S. იქმნე E. შენ 2°—E. გამოქანდაკებულნი—S. განარისხნეს B. 26 აჰა]და აჰა B. მოგსპნეს]მოგსპოლნეს B. ორდანეს B. დაიმკჳდრო S. 27 განგაბნივნეს B, განგაბნინნეს E. და 2°—S. რომელ B. 28 მსახურებდეთ B. უცხოჲ B. ქმნილთა B. ჴელითა B. კაცთათა BE, კაცსა S. ძელითა S. რვალითა S. ესმოდის+და B. შჳამდენ B. და 4°—B. იყნოსოდენ E. 29 ჰპოოთ B. გულითა]სულითა B. 30 ჟამისა B. და 2°—B. მოიქეც B. მის]ისა BE. 31 არს+შემწყალე B. შენ 1°+და E. არცა არცა B.

G: 28 ესმის+არცა ესმის Ga. 31 აღჴოცოს Ga.

ABES G

არცაღა წარგწყმიდოს შენ, არცა დაიჳწყოს აღთქუმა იგი მამათა შენთა, რომელ-იგი ეფუცა მათ. 32 იკითხეთ დღენი იგი პირველნი, რომელ-იგი თქუენსა წინა იყუნეს, დღითგან, ვინათგან შექმნა ღმერთმან კაცი იგი პირსა ზედა ქუეყანისასა, და კიდითგან ცისათ ვიდრე კიდედმდე მისა, ყოფილ თუ სადმე არს მსგავსად სიტყჳსა ამის დიდისა, (33S) რომელ-ესე თქუენ გესმა, 33 ესმა თუ რომელსამე ნათესავსა ჴმა ღმრთისა ცხოველისა, ვითარ-იგი იტყოდა შორის ცეცხლსა, რომელ-იგი გესმოდა შენ და სცხონდი, 34 ანუთუ განსადამე-ცადა ღმერთმან შესლვად და გამოყვანებად ნათესავი ნათესავთაგანი სასწაულებითა და ნიშებითა ჴელითა მტკიცითა და მკლავითა მაღლითა და საჩუენებლითა დიდძალითა ყოველთათჳს, რომელ ყო უფალმან ღმერთმან თქუენმან ქუეყანასა მას ეგჳპტისასა წინაშე შენსა, 35 რაჲთა გულისჴმა-ჰყო, რამეთუ უფალი ღმერთი შენი მხოლო არს ღმერთ და არა არს სხუა ღმერთ მისსა გარეშე. 36 ცით გარდამოისმა ჴმა მისი სასწაულად შენდა და ქუეყანასა ზედა გიჩუენა შენ ცეცხლი იგი მისი დიდი, და სიტყუა იგი მისი გესმა შორის ცეცხლსა მას, 37 რამეთუ შეიყუარნა მან მამანი იგი თქუენნი და გამოირჩია [321r] მან ნათესავი იგი მათი შემდგომად მათსა თქუენ ყოველთა უფროს წარმართთა და გამოგიყუანა შენ ძალითა მით დიდითა ქუეყანისა მისგან ეგჳპტელთასა 38 დაცემად წინაშე პირსა შენსა ნათესავები იგი დიდ-დიდები უძლიერესი შენსა, შეყუანებად და მიშენ, არა დაივიწყოს აღთქუმისა მამათა შენთაჲსა, რომელსა ეფუცა მათ უფალი. 32 იკითხეთ დღეთა ყოფილთა უწინარეს შენსა, დღითგან, რომლით აღაგო ღმერთმან კაცი ქუეყანასა ზედა, და კიდითგან ცისაჲთ ვიდრე კიდედ ცისამდე, უკუეთუ იქმნა მსგავსად სიტყჳსა ამის დიდისა, უკუეთუ გესმაყე ესევითარი, 33 უკუეთუ ესმა ნათესავსა ჴმაჲ მცხოვნისა, მზრახვალისაჲ საშუალით ცეცხლისაჲთ, ვითარ-სახედ გესმა შენ და სცხოვნდი, 34 უკუეთუ განცადა ღმერთმან, შესრუ[224v]ლმან გამოყვანებად თავისა თჳსისა ნათესავი შორის ნათესავთაჲსა, განსაცდელითა და სასწაულებითა და ნიშებითა და ბრძოლითა და ჴელითა მტკიცითა და მკლავითა მაღლითა და საჩუენებელებითა დიდითა ყოველთაებრ, რომელნი მიყუნა ჩუენ უფალმან ღმერთმან ჩუენმან ეგჳპტეს შინა წინაშე შენსა მხედველისა, 35 რაჲთა სცნა შენ, ვითარმედ უფალი ღმერთი შენი ესე ღმერთ არს და არა არს მერმე თჳნიერ მისსა. 36 ცით გამო სასმენელ შენდა ყო ჴმაჲ მისი განსწავლად შენდა და ქუეყანასა ზედა გიჩუენა შენ ცეცხლი მისი დიდი, და სიტყუანი მისნი გესმნეს საშუალით ცეცხლისაჲთ 37 სიყუარულისათჳს მის მიერ მამათა შენთაჲსა და გამოგირჩია თესლი მათი მათ თანა თქუენ. ამოგიყუანა შენ მან ძალითა თჳსითა დიდითა ეგჳპტით 38 მოსრვად ნათესავი დიდი და უძლიერესი შენსა წინაშე პირსა შენსა, შეყუანებად შენდა და მოცემად

ABES: 31 წარგეწყმიდოს A. შენთა]თქუენთაჲ B. 32 დღე S. ~ვინა (ვინაჲთ S) დღითგან BS. იგი 3°—BS. ცისაჲთ S. მისა]ცისა მის B. სადამე BS. 33 ეტყოდე B, ეტყოდა ES. რომელ]ვითარ B. სცხოვნდი BE. 34 განსადამე-ეცადა A, განსადმე-ეცადა E, განსადმე-გცა B. ნათესავი+შორის B. ნათესავთაგანი B+გამოცდათ B. ნიშებითა+და ბრძოლითა B. ეგჳპტელთასა S. შენსა+მხედველმან B. 35 ~ღმერთი არს B. ღმერთი 2° S. ღმერთი 3° B. მისა BS. გარე S. 36 გარდამოისმა+შენდა B. მისი 1°+და B. ~დიდი მისი BE. 37 შეიყუანნა]შეიყუარნა B. მათი—B. უფროს—B. წარმართთა—B. მეგჳპტელთასა BE. 38 შენსა 1°—E.

ABES

ცემად შენდა ქუეყანა იგი მათი სამკჳდრებელად მკჳდრობისა შენისა, ვითარცა ეგე გიპყრიეს დღეს დღე,

ABEKS

39 რაჲთა გულისჴმა-ჰყო დღეს გონებასა შენსა, რამეთუ უფალი თავადი არს ღმერთ ზეცათა შინა და ქუეყანასა ზედა, და არავინ არს მისსა გარეშე სხუა ღმერთ. 40 და დაიცევნე შენ მცნებანი მისნი და სამართალნი, რომელთა-ესე მე გამცნებ შენ დღეს დღე, რაჲთა კეთილი გეყოს შენ და შვილთა შენთა შენ თანა და დღეგრძელ იყვნეთ ქუეყანასა ზედა, რომელ-იგი უფალმან ღმერთმან თქუენმან მოგცეს თქუენ ყოველთა დღეთა თქუენთა.

41 მას ჟამსა გამოაყენნა მოსე სამნი ქალაქნი წიაღ იორდანესა მზის აღმოსავალით კერძო

G

ჴუეყანაჲ მათი სამკჳდრებელად, ვითარცა გაქუს დღეს. 39 და ცან დღეს და მოიქეც განგონებითა, ვითარმედ უფალი ღმერთი შენი ესე არს ღმერთ ცათა შინა ზე და ქუეყანასა ზედა ქუე, და არა არს მერმე თჳნიერ მისსა. 40 და დაიცევენ სამართალნი მისნი და მცნებანი მისნი, რომელთა მე გამცნებ შენ დღეს, რაჲთა კეთილი იქმნეს შენდა და ძეთა შენთა შენ თანა, რაჲთა გრძელდღე იქმნენეთ ქუეყანასა ზედა, რომელი უფალმან ღმერთმან მოგცეს შენ ყოველთა დღეთა.

41 მაშინ განუჩინნა მოსემან სამნი ქალაქნი წიაღ იორდანესა მზისა აღმოსავალით კერძო

Gb

42 შესავედრებელად კაცისმკლველთა, რაჲთა რომელმანცა მოკლას მოყუასი თჳსი იშჳდ და არა ნებსით თჳსით, არა ზრახვით და არცა სიძულილით იყო მისა მიმართ გუშინ ანუ ძუღან, და შეევარდეს ეგევითარი ერთსა მას ქალაქთაგანსა, განერეს და ცხონდეს: 43 ბოსორი უდაბნოთ კერძო ველთა მათ ქუეყანისა რუბენისგან, და ჰრამოთი გალადით კერძო ქუეყანისა მისგან გადისი, და გოლანი ბასაანს ქუეყანასა მას მანასესსა.

42 შელტოლვად მუნ კაცისმკლველისა, რომელიცა შეილტოდის მუნ და ცხონდეს. რომელმანცა მოკლას მოყუასი უმეცრებით და ესრეთ არა სძულდა იგი უწინარეს გუშინისა და მესამისა, და შეივლტოდის* ერთსა ქალაქთა ამათგანსა და ცხოვნდეს: 43 ბოსორი უდაბნოს ქუეყანასა შინა ველობსა რუბენს, და რაბოთი გალაადისაჲ გადს, და ღავლონი ბასანისაჲ მანასსის.

ABEKS: 39 დღე BS+მოეგე B. უფალი+ღმერთი შენი და B. ღმერთი 1° B. მასა BS. ღმერთ 2° BS. 40 შენ 1°—B. რომელთა]რომელსა BS. ესე—S. მე—E. დღე—K. შენ თანა—B. და 4°] რა B. თქუენმან—B. ~თქუენ მოგცეს B. ყოველთა დღეთა თქუენთა—K. 41 მზისა B. 42 კაცისმკულელთა BEK. მოკლა ABES. იშჳდ—K. არა 2°]არცა K. ზრახვით]ზაკჳთ K. გუშინ+და EK. ანუ]და B. ძღან FS. ეგევითარი+იგი BKS. ცხოვნდეს BE. 43 ბოსორით BS. უდაბნოსა B. ჰარმოთით B] არმური AEK. გალაადით S. გაადისი S. გოლანი]გულანი S. ბასანისი B, ბასაანსა S. ქუეყანასა მას—BS. მანასისა B]—S.

* აქედან მე-8 თაეის მე-3 მუხლამდე აკლია Ga-ს.

ABEKS

[44] [321v] ესე შჯული არს, რომელ დადვა მოსე ძეთა მათ ისრაელისათა. [45] ესე მცნებანი არიან, წამებანი და სამართალნი, რომელთა ეტყოდა მოსე ძეთა მათ ისრაელისათა უდაბნოსა მას, რაჟამს გამოვიდეს იგინი ქუეყანით ეგჳპტით, [46] წიაღ იორდანესა, ჴევსა მას მახლობელად სახლისა მის ფოგორისა, ქუეყანასა მას სეონ მეფისა მის ამორეველთასა, რომელ-იგი დამკჳდრებულ იყო ესებონს, რომელი-იგი მოსრა მოსე და ძეთა მათ ისრაელისათა, რაჟამს გამოვიდეს იგინი ქუეყანით ეგჳპტით. [47] და დაიმკჳდრეს მათ ქუეყანა იგი მისი და ქუეყანა ოგისი, მეფისა მის ბასანისა, ორთა მათ შარავანდედთა ამორეველთა, რომელ-იგი იყუნეს წიაღ იორდანესა (48S) მზის აღმოსავალით კერძო, [48] აროერითგან, რომელ არს კიდესა ნაღუარევთა მათ არნონისთა, მიმთადმდე სეონისა, რომელ არს ერმონი, [49] ყოველით კერძო არაბიათ წიაღ იორდანესა მზის აღმოსავალით ასეროთით მთით თლილით.

Gb

[44] ესე შჯული არს, რომელი დაუდვა მოსემან ძეთა ისრაელისათა, [45] გამო-რაჲ-სრულ იყუნეს იგინი ქუეყანით ეგჳპტით, [46] წიაღ იორდანისა, ღელესა შინა მახლობელად სახლსა ფოღორისსა, ქუეყანასა სიონ მეფისა ამორრეველთაჲსასა, რომელი მკჳდრ იყო ესსებონს, რომელი დასცა მოსემან და ძეთა ისრაელისათა გამოსლვასა მათსა ქუეყანით ეგჳპტით. [47] და დაიმკჳდრეს ქუეყანაჲ მისი და ქუეყანაჲ ოგისი მეფისა ბასანისაჲ ორთა მეფეთა ამორრეველთაჲსაჲ, რომელნი იყუნეს წიაღ იორდანესა აღმოსავალით კერძო მზისაჲთ, [48] აროირითგან, რომელ არს ბაგესა თანა ნაღუარევისა არნონისასა, და მთასა თანა სებონისასა, რომელ არს ერმონი, [49] ყოველი არაბიაჲ წიაღ იორდანისა აღმოსავალით კერძო მზისაჲთ ქუე ასიდოთითგან გამოთლილი.

თავი V

[1] მოუწოდა მოსე ყოველსა მას ისრაელსა და ჰრქუა მათ: გესმოდინ ისრაელსა ყოველი ესე სამართალი და მსჯავრი, რომელსა გეტყჳ თქუენ ყურთა თქუენთა დღეს დღე. და ისწავე დამარხვად და ყოფად მაგისა. [2] უფალმან ღმერთმან თქუენმან დადვა თქუენ თანა მცნება აღთქუმისა ჭორებს. [3] არა თუ მამათა თქუენთა თანა დადვა უფალმან აღთქუმა ესე, [322r] არამედ

[1] და მოუწოდა მოსემან ყოველსა ისრაელსა და თქუა მათდა მიმართ: ისმინენ, ისრაელ, ყოველნი სამართალნი და მშჯავრნი, რაოდენთა მე ვიტყჳ ყურთა მიმართ თქუენთა ამას დღესა შინა. და ისწავენით ესენი და დაიმარხეთ ქმნაჲ ამათი. [2] უფალმან ღმერთმან აღთქუმა-ყო თქუენდა მიმართ, აღთქუმაჲ ხორიჵს შინა. [3] არა მამათა თქუენთა აღუთქუა უფალმან აღთქუმაჲ ესე, არამედ თქუენდა მიმართ. ხოლო

ABEKS: [44] რომელი B. დაუდვა K. მოსე+წინაშე BS. [45] სამართალნი+მსჯავრნი B. [48] ფოგორისა B, ფოგორის~სა E. რომელ 2° BS. [47] მისი—BS. ოგ B. ბასაანისაჲ S. მზისა B. [48] აროერითგან K. მთამდე B. სეონისა]სებბნისა AES. [49] მზისა B. V: [1] გესმოდენ S. მშჯავრი BS. რომელსა]რომელთა ესე BS. დღე—K. ისწავეთ B. [2] თქუენმან—B. თანა 1°—B. ესე—E. თანა 2°—B. დღეს]თქუენ E.

ABEKS

თქუენ თანა. თქუენ, ეგერა, დღეს ყოველნი ცოცხალ ხართ. 4 რამეთუ პირისპირ გეტყოდა თქუენ უფალი მთასა მას შინა, ცეცხლსა მას შორის. 5 და მე ვდეგ შორის უფლისა და თქუენსა მას ჟამსა შინა თხრობად თქუენდა სიტყუათა მათ უფლისათა, რამეთუ შეშინებულ იყვენით თქუენ წინაშე პირსა მის ცეცხლისასა და არა აღხუედით მთასა მას, რამეთუ გეტყოდა თქუენ უფალი და თქუა:

6 მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანე შენ ქუეყანით ეგჳპტით სახლისა მისგან კირთებისა. 7 ნუ იყოფიედ შენდა სხუა ღმერთ ჩემსა გარეშე.

8 არა იქმნე თავისა შენისა კერპნი გამოქანდაკებულნი, (8S) არცა მსგავსი ყოვლისაჲე, რომელ არს ცათა შინა ზესკნელ, და არცაღა, რომელ არს ქუეყანასა ზედა ქუესკნელ, და არცაღა. რომელ არს წყალთა შინა ქუესკნელ ქუეყანასა. 9 არა თაყუანის-სცე მათ. არცა ჰმსახურებდე მათ, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი შენი, ღმერთი მოშურნე, რომელმან მივაგი ცოდვაჲ მამათა შვილთა სამად და ოთხადმდე ნათესავად მოძულეთა მათ ჩემთა. 10 და ვყუი წყალობა ათასამდე ნათესაჲადმდე მოყუარეთათჳს სახელისა ჩემისათა და რომელთა დაიცვნიან მცნებანი ჩემნი.

11 ნუ ჰფუცავ სახელსა უფლისა ღმრთისა შენისასა სიცრუით, რამეთუ არა განწმიდოს უფალმან ღმერთმან ყოველივე, რომელი ფუცეიდეს სახელსა მისსა სიცრუით.

Gb

თქუენ ცოცხალნი ყოველნი დღეს. 4 პირითა პირისა მიმართ იტყოდა უფალი თქუენდა მიმართ მთასა ზედა საშუალ ცეცხლისა. 5 და მე ვდეგ შუა უფლისა და შუა თქუენსა მას ჟამსა შინა მოთხრობად თქუენდა სიტყუათა უფლისათა, რამეთუ შეშინდით პირისაგან ცეცხლისა და არა აღხუედით მთად, იტყოდა რაჲ:

6 მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანე შენ ქუეყანით ეგჳპტით სახლისაგან კირთებისა. 7 არა იყვნენ შენდა ღმერთნი სხუანი თჳნიერ ჩემსა.

8 არა ჰქმნე თავისა შენისა ქანდაკებული, არცა ყოველი მსგავსებაჲ ცასა შინა ზე და რაოდენი ქუეყანასა ზედა ქუე და რაოდენი წყალსა შინა ქუეშე კერძო ქუეყანისა. 9 არა თაყუანის-სცე მათ, არცა ჰმსახურო მათ, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი შენი, ღმერთი მოშურნე, მიმგებელი ცოდვასა მამათასა შვილთა მიმართ მესამედ და მეოთხედ ნათესავადმდე მოძულეთა ჩემთა, 10 და მოქმედი წყალობისაჲ ათასამდე მოყუარეთა ჩემთა და დამცველთა ბრძანებათა ჩემთასა.

11 არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისაჲ ამაოსა ზედა, რამეთუ არა განსწმედს უფალი ღმერთი შენი მომღებელსა სახელისა მისისა ამაოსა ზედა.

ABEKS: 3 თქუენ ეგერა დღეს ყოველნი]ყოველნი, რომელნი დღეს B. 4 შინა—E. 5 ვდგე AE. შორის—K. უ˙ჲ ABEK+მიმართ K. თქუენცა ABEKS. ~ჟამსა მას B. შინა+მუნ იყვენით K (ჩამატებულია). თქუენდა—B]თქუენ AES. სიტყუთა B. მათ—BK. თქუენ 2°+უფლისა K. აღხუედეთ B. უფალი და თქუა—BE. 6 მე ვარ—E. რომელმან]რომელ BS. 7 იყოფენ BS. ღმერთი BK. გარე B. 8 იქმნეთ AEK. თაყისა]ნათესავისა AK. კერპი S. ყოველთაჳე K. ცასა BS. ზესკნელს BK. ქუესკნელს K. არცაღა 2°—B. ქუესკნელს 2° S]ქუე B. და არცაღა, რომელ არს წყალთა შინა. ქუესკნელ ქუეყანასა—K. ქუეყანასა—B. 9 არა]არცა E. თაყუანი-სცე BES. არცა]არა B. მსახურებდე B. მსახურებდეთ K. მივაგე B. მამა B. ოთხ.მდე B. 10 ნათესავად KS]—B. მოყუარეთათჳს... და]მოყუარეთა მათ ჩემთათჳს B. დაიცვან B. 11 ფუცაე K. შენისა B. სიცრუეით BES. ღმერთმან+შენმან BS. სიცრუეით ES. მისსა სიცრუით]უფლისა ღმრთისა შენისასა ამაოდ B.

ABEKS

12 დაიცევ შენ დღე იგი შაბათისა, წმიდა და ფუფუნეულ-ჰყო იგი, ვითარცა გიბრძანა შენ უფალმან ღმერთმან შენმან. 13 ექუს დღე იქმოდი შენ [322v] ყოველსა მას საქმესა შენსა. 14 რამეთუ დღე იგი მეშჳდე შაბათი არს უფლისა ღმრთისა შენისა, არა იქმოდი შენ ყოველსავე საქმესა შენსა, ნუცა შენ, ნუცაღა ძე შენი, ნუცა ასული შენი, ნუცა მონაჲ შენი, ნუცა მკევალი შენი, ნუცა ჯარი შენი, ნუცა კარაული შენი, ნუცა ყოველივე საცხოვარი შენი, ნუცა მწირი შენი, ნუცა მსხემი შენი, რომელ შეყოფილ იყოს და ჯდეს შინაგან ბჭეთა შენთა, (15S) რამეთუ განისუენოს მონამან შენმან და მკევალმან შენმან და საცხოვარმან შენმან და მწირმან შენმან, ვითარცა შენ. 15 მოიჯსენე შენ, რამეთუ შენცა დამონებულ იყავ ქუეყანასა მას ეგჳპტელთასა და გამოგიყვანა შენ მიერ უფალმან ღმერთმან შენმან ჴელითა მტკიცითა და მკლავითა მაღლითა. ამისთჳს გიბრძანა შენ უფალმან ღმერთმან შენმან დამარხვად დღე იგი შაბათთა.

16 თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, ვითარცა გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან, რაჲთა კეთილი გეყოს შენ ქუეყანასა ზედა, რომელ-იგი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ.

17 ნუ კაც ჰკლავ!

18 ნუ იმრუშებ!

19 ნუ იპარავ!

20 ნუ სწამებ წამებასა ცილსა მოყუსისა შენისა მიმართ!

Gb

12 დაიცევ დღე შაბათთაჲ წმიდა-ყოფად მისსა, ვითარ-სახედ გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან. 13 ექუსთა დღეთა იქმოდი და ჰქმნე ყოველნი საქმენი შენნი. 14 ხოლო დღესა მეშჳდესა—შაბათებ უფლისა ღმრთისა შენისა, არა ჰქმნა მას შინა ყოველი საქმე შენ და ძემან შენმან და ასულმან შენმან, მონამან შენმან და მკევალმან შენმან და ყოველმან პირუტყუმან შენმან და მწირმან მსხემმან შენ შორის, რაჲთა განისუენოს მონამან შენმან და მკევალმან შენმან, კაჰრაულმან შენმან, ვითარცა სახედ შინა. 15 და მოიჯსენე, რამეთუ მრწემ იყავ ქუეყანასა ეგჳპტისასა და გამოგიყუანა შენ უფალმან ღმერთმან შენმან მიერ ჴელითა მტკიცითა და მკლავითა მაღლითა. ამისთჳს გიბრძანა შენ უფალმან ღმერთმან შენმან, რაჲთა დაიცვა შენ დღე შაბათთაჲ და წმიდა-ჰყო იგი.

16 პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, ვითარ-სახედ გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან, რაჲთა კეთილი იქმნეს შენდა და რაჲთა გრძელ-ჟამ იყო ქუეყანასა ზედა, რომელსა უფალი ღმერთი შენი მოგცემს შენ.

17 არა ჰკლა!

18 არა იმრუშო!

19 არა იპარო!

20 არა ცრუდ სწამო მოყუსისა შენისა ზედა წამებაჲ ცრუჲ!

ABEKS: 12 დაიცევ B. შენ—B. და—BE. ფუფუნებულ B. 13 შენ—B. მას—B. საქმეს B+შინა B. 14 იქმოდე S+მას შინა B. ყოველსავე—B. ნუცა მონაჲ შენი—K. ნუცა ჯარი შენი—E. ნუცა 7°[ნუცაღა S. რომელი BS. შინაგან]შენ თანა B. მწირმან]კარაულმან B. 15 მოიჯსენენ B. მეგჳპტელთასა B. შენმან 2°+რომელ B]—E. შაბათთა+და წ̾ჲ ჰყო იგი B. 16 თავ-უყავ]პატივი უყავ B. ვითარცა—B. შენ 1°—BE. გიყოს AE. შენ 2°+და დღეგრძელ იყო BS+შენ S. 17 კლავ BK. 20 წამებასა—E. სწამებ წამებასა ცილსა]ცილსა სწამებთ B. მიმართ+მოწმობითა ტყუილისათა B.

ABEKS

21 ნუ გული გითქუამნ ცოლსა მოყუსისა შენისასა! ნუცა გული გითქუამნ სახლსა მოყუსისა შენისასა, ნუცა ქუეყანასა მისსა, ნუცა მონასა მისსა, ნუცა მჴევალსა მისსა, ნუცაღა კარსა მისსა, ნუცა კარაულსა [323r] მისსა, ნუცა საცხოვარსა მისსა, ნუცა ყოველივე, რაჲცა იყოს მოყუსისა შენისა!

22 ამათ სიტყუათა იტყოდა უფალი ყოველსა მას შესაკრებელსა ისრაელისასა მთასა მას შინა, შორის ცეცხლსა მას და შორის ბნელსა მას არმურისა მის ნისლისა წყუდიადისასა ჴმითა მაღლითა და მერმე არღარა შესძინა სიტყუად. და დაწერა ესე ორთა ფიცართა ქვისათა და მომცა მე. 23 და იყო რაჟამს ისმინეთ თქუენ ჴმა იგი სიტყუათა მათ უფლისათა შორის ცეცხლსა მას, რამეთუ მთა იგი აღგზებული ცეცხლითა აღატყდებოდა, მოხუედით ჩემდა ყოველი ეგე მთავრები ნათესავთა მაგათ თქუენთა და მოხუცებული ერისა თქუენისა 24 და მარქუთ მე: (24S) აჰა ესერა, გუჩუენა ჩუენ უფალმან ღმერთმან ჩუენმან დიდება იგი მისი და ჴმა იგი მისი გუესმა ცეცხლით გამო დღეს დღე და ვიხილეთ, ვითარმცა ეტყოდა ღმერთი კაცსა და ცხონდა. 25 და აწ ნუჰკუე მოვსწყდეთ ანუ გუეწიოს და მოგუსრნეს ჩუენ ცეცხლმან მან დიდმან, შე-ღათუ-ვსძინოთ ჩუენ სმენად ჴმისა მის უფლისა ღმრთისა ჩუენისასა მერმე, და მოვსწყდეთ. 26 ვინ არს კორციელი, რომელსამცა ესმა ჴმა უფლისა ღმრთისა ცხოველისა, ვითარცა ეტყოდა ცეცხლით გამო, ვითარ-ესე ჩუენ გუეტყოდა,

Gb

21 არა გულმან გითქუას სახლი მოყუსისა შენისაჲ, არცა აგარაკი მისი, არცა მონაჲ მისი, არცა მჴევალი მისი, არცა ზროხაჲ მისი, არცა კაჰრაული მისი, არცა ყოველი საცხოვარი მისი, არცა ყოველი, რაოდენი იყოს მოყუსისა შენისაჲ!

22 სიტყუათა ამათ იტყოდა უფალი ყოვლისა შესაკრებელისა მიმართ მთაჲსა ზედა საშუალით ცეცხლისაჲთ ბნელი, ნისლი, ალმური, ჴმაჲ დიდი და არა შესძინა. და დაწერნა ესენი ორთა ზედა ფიცართა ქვისათა და მომცნა მე უფალმან. 23 და იყო ვითარცა გესმა-ყე ჴმაჲ უფლისაჲ საშუალით ცეცხლისაჲთ და მთაჲ იწუებოდა ცეცხლითა და მოვიდეს ჩემდა ყოველნი წინამძღუარნი ტომთა თქუენთანი და ბერობაჲ თქუენი 24 და მეტყოდეთ: აჰა, გუჩუენა უფალმან ღმერთმან ჩუენმან დიდებაჲ მისი და ჴმაჲ მისი გუესმა საშუალით ცეცხლისაჲთ. ამას დღესა შინა ვიხილეთ, ვითარმედ იტყოდის ღმერთი კაცისა მიმართ და ცოცხალ იყოს. 25 და აწ ნუ მოვკუდებით, რამეთუ აღმწბნეს ჩუენ ცეცხლმან ამან დიდმან, შე-თუ-ვსძინოთ ჩუენ სმენად ჴმაჲ უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲ მერმე, და მოვკუდეთ. 26 რამეთუ ვინ არს ჴორციელი, რომელსა ესმა ჴმაჲ ღმრთისა ცხოველისაჲ, მეტყუელისაჲ საშუალით ცეცხლისაჲთ, ვითარ ჩუენ, და ცოცხალ

ABEKS: 21 შენისასა 1°]შენისა AE+მიმართ E. ნუცა 5°+ყოველსა B. ნუცა 6°]ნუ K. 22 ეტყოდა BS. შესაკრებელსა]კრებულსა B. ისრაელისასა]თქუენსა B. ალმურისა B. სიტყუად—B. მოგცნა B. 23 უფლისათა—B. ეგე]იგი E. 24 მრქუა B, მარქუთა S. ესერა—K. ჩუენმან+მან S. გუესმა+შ-ს B. დღე—K. ვიხილეთ+ვინ არს იგი კაცი K. (ჩამატებულია). კაცთა E. ცხოვნდა BE. 25 და 1°—K. ნუჰკუე]ჰკუე K. მოვწყდეთ S. გუეწიოს]გუეწოდა B. ~დიდმან ამან B. ამის B, მისა S. ჩუენისა EK+და E. და 4°—K. მოვწყდეთ S. 26 უფლისა—B. ეითარმცა ABES. ეტყოდა+შორის B.

G: 23 მოიდეთ.

ABEKS

და ცხონდა? 27 აწ მიეახლე შენ და ისმინე, რასა იტყოდის უფალი ღმერთი ჩუენი, და შენ გუეტყოდე ჩუენ ყოველთა მათ მცნებათა, რომელთაცა გეტყოდეს შენ უფალი [323v] ღმერთი ჩუენი, ვისმინოთ შენი და ვჰყოთ. 28 და შეესმა უფალსა ღმერთსა ჴმა იგი სიტყჳსა მის თქუენისა, რომელსა მეტყოდეთ მე. და მრქუა მე უფალმან: მესმა მე ჴმა სიტყჳსა ერისა მის, რომელსა-იგი გეტყოდეს შენ. მართლიად მოგიგეს შენ ყოველივე, რომელსაცაიგი გეტყოდეს შენ. 29 ვინმემცა უკუე მისცა გულთა მაგათთა მარადის შიში იგი ჩემი და დამარხვა ყოველსა ჟამსა მცნებათა ჩემთა, რაჲთამცა კეთილი ეყო მათ და ნაშობთა მათთა უკუნისამდე. 30 აწ მიევედ და ეტყოდე მათ და მიიქცედ იგინი სახიდვე მათა! 31 ხოლო შენ დადეგ აქა ჩემ თანა და გეტყოდი შენ ყოველთა მათ მცნებათა და სამართალთა, რომელი ასწაო მათ, და ჰყოფდეთ მათ ქუეყანასა მას ზედა, რომელი მე მივეც მათ ნაწილად მკჳდრობისა მათისა, 32 დამარხვად და ყოფად, ვითარ-იგი გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან. არა მიაქციო მარჯულ, არცა მარცხლ 33 ყოველთა გზათა, რომელ გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან, არამედ ხჳდოდი ყოველთა მცნებათა მისთა, რაჲთა განგისუენოს შენ და კეთილი გიყოს და დღეგრძელ იყო ქუეყანასა მას ზედა, რომელსა დაემკჳდრო შენ.

Gb

იყოს? 27 მოჰკუედ შენ და ისმინენ ყოველნი, რაოდენნიცა თქუნეს უფალმან ღმერთმან ჩუენმან, და შენ იტყოდი ჩუენდა მომართ ყოველთა, რაოდენნიცა თქუნეს უფალმან ღმერთმან ჩუენმან შენდამი, და ვისმინნეთ გა ვყუნეთ. 28 და ისმინა უფალმან ღმერთმან ჴმაჲ სიტყუათა თქუენთა მზრახვალთაჲ ჩემდამო და თქუა უფალმან ჩემდა მომართ: მესმა ჴმაჲ სიტყუათა ამის ერისათაჲ, რაოდენი თქუეს შენდამი. სამართალ არიან ყოველნი, რაოდენნი თქუნეს. 29 ვინ მისცეს ესრეთ ყოფაღ გული მათი მათ შორის, ეითარმცა მეშიშოდეს მე და იცჳიდეს მცნებათა ჩემთა ყოველთა დღეთა, რაჲთა კეთილ იყოს მათდა და ძეთა მათთა საუკუნოდ. 30 ვიდოდე და არქუ მათ: მიიქეცით სახლთა თქუენთა! 31 ხოლო შენ აქა დეგ ჩემ თანა და ვთქუნე შენდამი მცნებანი და სამართალნი და მშჯავრნი, რაოდენნი ასწავნე მათ და ყვნენ ესრეთ ქუეყანასა ზედა, რომელსა მე მივსცემ მათ ნაწილად, 32 და დაიცევით ქმნად, ვითარ-სახედ გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან 33 მსგავსად ყოველისა გზისა, რომელი გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან სლვად მას ზედა, რაჲთა დაგაწყნაროს შენ და კეთილ იყოს შენდა და იდღეგრძელოთ ქუეყანასა ზედა, რომელი დაიმკჳდროთ.

ABEKS: 26 სცხოვნდა BK. 27 მიიახლე B. ისმინე]სცხოვნდე E. იტყოდა E. გეტყოდეს!გეტყოდის S. შენ—B. ჩუენი 2°]შენი K+ჩუენ B. ვისმინოთ... ვჰყოთ—K. ეყოთ BS. 28 ღმერთსა—BS. ჴმა—BE. მეტყოდით B. და შეესმა... მე 1°—K. მე 2°]ჩუენ E. მე 3°—B. მის+შენისა E. მოგიგეს B. ~იგი რომელსაცა B. 29 ვინმემცა]ვინმე K. მისცა+რაჲთა იყოს ესრეთ B. მაგათთა]მათთა BK. მარადის]მ~ს A]—EK. შიში იგი]შეეშინდეს B. ჩემთა+ყოველთა დღეთა B. 30 მიიქეც S. მიაქციე n B. სახედვე ES. მათდა B, მათთა S. 31 სამართალთა+და მსჯავრთა B. რომელ B. ჰყოფდე B, ! ყოფდენ S. მათ 2°]მას BKS+ესრეთ B. რომელი 2°]რ~ E. მკჳდრობისა მათ:ს—B. 32 დამარხვად და]და დაიცვენით B. გამცენ S. შენმან—B. მარცხულ BE. 33 ყოველთაჲ 1° BS. გზათა+შენთა BS. შენმან—E. ხჳდოდე B. გეყოს BS+შენ BKS. და 2°—E.

თავი VI

ABEKS

[1] ესე მცნებანი არიან და სამართალნი და მსჯავრნი, რომელ-იგი გამცნო თქუენ უფალმან ღმერთმან თქუენმან, რაჲთა ისწაოთ და ჰყოთ ესე ქუეყანასა მას, რომელსა-ეგე თქუენ შეხუალთ დამკჳდრებად მუნ, [2] რაჲთა გეშინოდის შენ უფლისა ღმრთისა შენისა და დაიცვნე შენ მცნებანი და სამართალნი მისნი, [324r] რომელთა-ესე მე გამცნებ შენ დღეს დღე, შენ და შვილთა შენთა და შვილისშვილთა შენთა ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა, რაჲთა დღეგრძელ იყო შენ. [3] ისმინე, ისრაელ, და ეკრძალე ყოფად ყოველთა ამათ მცნებათა, რაჲთა კეთილი გეყოს შენ და განჰმრავლდე ფრიად, ვითარცა ეტყოდა უფალი ღმერთი მამათა მათ შენთა მიცემად შენდა ქუეყანა იგი, რომელსა გამოსდის სძე და თაფლი. [4] ესე სამართალნი და მსჯავრნი არიან, რომელ-იგი ამცნო მოსე ძეთა მათ ისრაელისათა უდაბნოსა შინა, რაჟამს გამოვიდოდეს იგინი ქუეყანით ეგჳპტით. (4S) გესმოდენ ისრაელსა: უფალი ღმერთი შენი მხოლოჲ უფალი არს. [5] და შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. [6] და იყუნენ სიტყუანი ესე, რომელთა მე გამცნებ შენ დღეს დღე, გულსა შენსა და გონებასა შენსა. [7] და ასწავნე ეგე შვილთა მათ შენთა* და ეტყოდი მაგათ ჯდომასა სახლსა შინა შენსა და სლვასა გზასა შენსა და სასუენებელსა ზედა შენსა

Gb

[1] და ესე არიან მცნებანი და სამართალნი და მშჯავრნი, რომელნი მამცნნა უფალმან ღმერთმან თქუენმან, რაჲთა გასწავნე თქუენ ქმნად ესრეთ ქუეყანასა ზედა, რომლისა მიმართ თქუენ შეხუალთ მუნ დამკჳდრებად, [2] რაჲთა შეიშინოთ უფლისა ღმრთისა თქუენისა დაცვად ყოველთა სამართალთა მისთა და მცნებათა მისთა, რომელთა მე გამცნებ შენ დღეს, შენ და ძეთა შენთა და ძეთა ძეთა შენთასა ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა, რაჲთა იდღეგრძელოთ. [3] და ისმინე, ისრაელ, და დაიმარხე ქმნად, რაჲთა კეთილ იყოს შენდა და რაჲთა განჰმრავლდეთ ფრიად, ვითარ-იგი თქუა უფალმან ღმერთმან მამათა შენთამან მიცემად შენდა ქუეყანაჲ მადინებელი სძესა და თაფლსა.

[4] და ესე არიან სამართალნი და მშჯავრნი, რაოდენნი ამცნნო უფალმან ღმერთმან ძეთა ისრაელისათა უდაბნოს ზედა და გამოსლვასა მაოსა ქუეყანით ეგჳპტით. ისმინე, ისრაელ: უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს. [5] და შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. [6] და იყუნენ სიტყუანი ესე, რაოდენთა მე გამცნებ შენ დღეს, გულსა შინა შენსა და სულსა შინა შენსა. [7] და წინა-უყუნე ესენი ძეთა შენთა და ჰზრახვიდე ამათ მჯდომარე სახლსა შინა და მავალი გზასა ზედა, მწოლარე

ABEKS: VI. [1] მშჯავრნი BS. ყოთ K. ეგე—K. თქუენ 2°+შენ E. მუნ—B. [2] რაჲთა]ანუ რაჲთა B. შენ 1°—B. და 1°—B. შვილისშვილთა]ძეთა ძეთა B. შენთა 2°]შენთასა B. და შვილისშვილთა შენთა—S. [3] განმრაელდე BK]განჰმართლდე E. უფალი—S. გამოდის KS. სამართალი A. მშჯავრნი BS. რომელ]რომელნი B. მოსე]უფალმან B. გამოვიდეს B. [4] გესმოდინ B. ი᷑ᲂᲛ K. შენი]ჩემი B. უფალ E. [5] ყოვლითა გონებითა შერითა და—AEK. [6] შენ]თქუენ E. დღე—K. და 2°—E. [7] ასწავლნე BS. ეგე]ესე K. და 2°—B. იტყოდი AES. ზედა—B.

* აქედან მე-10 ჴუხლის ჩათელით აკლია K ნუსხას.

ABES

და აღდგომასა შენსა. 8 შეაბნე ესე სასწაულად ჴელსა შენსა და იყვნედ ეგე შეურყეველად წინაშე თუალთა შენთა. 9 და დასწერნე იგინი ზღურბლთა სახლისა შენისათა, წირთხლთა ბჭეთა შენთასა.

10 და იყოს, რაჟამს შეგიყვანოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ქუეყანასა მას, რომელ-იგი ეფუცა მამათა მათ შენთა — აბრა[324v]ჰამს, ისაკს და იაკობს — მიცემად შენდა ქალაქებისა მის დიდ-დიდებისა და შუენიერებისა, რომელ შენ არა აღაშენენ,

ABEKS

11 და სახლებისა მის სავსისა ყოველითა მით კეთილითა, რომელ შენ არა აღავსენ, ჯურღმულისა მის აღმოქმნულისა, რომელ არა შენ აღმოჰქმნენ, ვენაჯებისა მის და ზეთისხილებისა, რომელ არა შენ დაჰნერგე. (12S) შჯამდე რაჲ უკუე და განსძლე, 12 (13S) ეკრძალე თავსა შენსა, ნუუკუე დაივიწყო უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანა შენ ქუეყანით ეგჳპტით სახლისა მისგან კირთებისასა. 13 უფლისა ღმრთისა შენისა გეშინოდენ და მას მხოლოსა ჰმსახურებდე და მას მხოლოსა ესვიდე და სახელსა მისსა ჰფუცევიდე. 14 არა შეუდგე შენ კუალსა ღმერთთა უცხოთა, კერპთა მათ წარმართთასა, რომელნი-იგი გარემო იყვნენ თქუენსა. 15 რამეთუ ღმერთი მოშურნე არს და უფალმან ღმერთმან შური იძიოს შენგან. ნუუკუე განრისხნეს უფალი ღმერთი შენ ზედა და მოგსპოს შენ პირისაგან ქუეყანისა.

Gb

და მდგომარე. 8 და შეაბნე იგინი სასწაულად ჴელსა შენსა და იყვნენ შეუძრველ წინაშე თუალთა შენთა. 9 და დაწერენით ესენი წყირთლთა ზედა სახლისა თქუენისათა და ბჭეთა თქუენთა.

10 და იყოს, რაჟამს შეგიყვანოს შენ უფალმან ღმერთმან ქუეყანასა, რომელსა ეფუცა მამათა შენთა — აბრაამს და ისააკს და იაკობს — მოცემად შენდა ქალაქნი დიდნი და ქმნულკეთილნი, რომელნი არა აღაშენენ, 11 სახლნი საესენი ყოველითა კეთილითა, რომელნი არა აღავსენ, ჯურღმულნი აღმოთლილნი, რომელნი არა აღმოსთალენ, და ვენაჯნი და ზეთისხილოანნი, რომელნი არა დაჰნერგენ. და შჯამო რაჲ და განსძლე, 12 ეკრძალე თავსა შენსა, ნუ სადა დაივიწყო უფალი ღმერთი შენი, გამომყვანებელი შენი ქუეყანით ეგჳპტით სახლისაგან კირთებისა. 13 უფლისა ღმრთისა შენისა გეშინოდენ და მას მხოლოსა ჰმსახურებდ და მისსა შეგომილ იყავ და სახელისა მიმართ მისისა ფუცევდ. 14 არა ხჳდოდით შედგომად ღმერთთა სხუათა, ღმერთთა მიმართ წარმართთა გარემოისთა თქუენთასა. 15 რამეთუ ღმერთი მოშურნე არს, უფალი ღმერთი შენი შენ შორის, ნუსადა განრისხნეს გულისწყრომით უფალი ღმერთი შენი შენ ზედა მოსპოლვად შენდა პირისაგან ქუეყანისა.

ABES: 8 შეიბნე S. ესე+შეისხენ B. სასწაულნი B. და—B. 9 დასწერე B. იგი BS. ზღურბლსა BS. შენისასა BS. წყრთილთა BS, წყირთლთა E. 10 რომელ 1°]რომელსა S. პაბრაამს B. ქალაქისა AE. ABEKS: 11 და 1°—B. საქ ისა]საფასისა B. ყოელთითა S. მით—E. აღიესენ E. ჯურღმულებისა BS. აღმოქმულებისა B, აღმოქმულსა E, აღმოქმნულებისა S. ~შენ არა E. აღმოქმნენ K. ჰქმნენ B. და ზეთისხილებისა—K. დანერგენ BE, დანერგე K, დაჰნერგენ S. და 3°—B. 12 რომელმან]რ~ლ BS. კირთებისა K. 13 მსახურებდე BEK. ფუცევდე K. 14 არა]და არა E. უცხოთასა B. მათ]და B. გარემოს BE. შური+შ~ი B. შენ 1°]შენი E. ზედა... ქუეყანისა--E. შენ 2°—B. ქუეყანისაჲსა S.

ABEKS

16 არა განსცადო შენ უფალი ღმერთი შენი, ვითარცა-იგი განსცადეთ დღესა მას განცდისასა. 17 დამარხვით დაიმარხნეთ მცნებანი უფლისა ღმრთისა თქუენისანი, წამებანი მისნი და სამართალნი მისნი, რომელ-იგი გამცნო შენ. 18 ჰყო კეთილი და სათნოება წინაშე უფლისა ღმრთისა, რაჲთა კეთილი გეყოს შენ და შეხჴდე და დაიმკჳდრო ქუეყანა იგი კეთილი, რომელთა-იგი ეფუცა უფალი მამათა მათ შენთა, 19 განდევნად მტერთა [325r] მათ შენთა პირისაგან შენისა, ვითარცა იტყოდა უფალი.

20 იყოს, რაჟამს გკითხვიდენ შენ შვილნი შენნი ხვალე-ზეგე და გრქუან: რაჲ არიან წამებანი ესე სამართალნი და მსჯავრნი, რომელ-ეგე გამცნო შენ უფალმან ღმერთმან ჩუენმან? 21 მიუგო შვილსა მას შენსა და ჰრქუა: დაკირთებულ ვიყუენით ჩუენ ფარაოჲსა ეგჳპტეს და გამოგჳყუანნა ჩუენ უფალმან ეგჳპტით კელითა მტკიცითა და მკლავითა მაღლითა. 22 და ყო უფალმან ნიშები და სასწაულები დიდ-დიდები და ბოროტები ფარაოსა ზედა და ყოველსა სახლსა მისსა წინაშე თუალთა ჩუენთა. 23 და ჩუენ გამოგჳყუანნა მიერ, რაჲთა შემომიყუანნეს და მომცეს ჩუენ ქუეყანა ესე, რომელ აღუთქუა მიცემად მამათა ჩუენთა. 24 და მამცნო ჩუენ უფალმან ყოფად ყოველთა მათ სამართალთა მისთა და რაჲთა გუეშინოდის უფლისა ღმრთისა ჩუენისა და კეთილი გუეყოს ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩუენისათა და ვცხონდეთ, ვი-

Gb

16 არა განსცადო უფალი ღმერთი შენი, ვითარ-სახედ განსცადეთ დღესა მას განცდისასა. 17 დამარხვით დაიმარხნე მცნებანი უფლისა ღმრთისა შენისანი, 18 რაჲთა კეთილი იქმნეს შენდა და შეხჴდე და დაიმკჳდრო ქუეყანაჲ კეთილი, რომელსა ეფუცა უფალი მამათა შენთა, 19 ოტებულთა მტერთა შენთა წინაშე პირსა შენსა, ვითარცა იტყოდა უფალი.

20 და იყოს, რაჟამს გკითხოს შენ ძემან შენმან ხვალე-ზეგე, მეტყუელმან: რაჲსათჳს არიან წამებანი და სამართალნი, რომელნი მამცნა ჩუენ უფალმან ღმერთმან ჩუენმან? 21 და მიუგო ძესა შენსა: მრწემ ვიყუენით ფარაოჲსა ქუეყანასა ეგჳპტისასა და გამომიყუანნა ჩუენ უფალმან მიერ კელითა მტკიცითა და მკლავითა მაღლითა. 22 და მოსცა უფალმან სასწაულები და ნიშები დიდ-დიდები და ბოროტები ქუეყანასა ეგჳპტისასა ფარაოს ზედა და სახლსა მისსა და ძალსა ზედა მისსა წინაშე ჩუენსა. 23 და ჩუენ გამომიყუანნა მიერ, რაჲთა შემიყუანნეს ჩუენ მოცემად ჩუენდა ქუეყანაჲ ესე, რომელსა ეფუცა მამათა ჩუენთა. 24 და მამცნო უფალმან ქმნაჲ ყოველთა მცნებათა და მშჯავრთაჲ და შეშინებად უფლისაგან ღმრთისა ჩუენისა, რაჲთა კეთილ იყოს ჩუენდა ყოველთა დღეთა, რაჲთა ცოცხალ ვიყუნეთ, ვითარ-სახედ

ABEKS: 16 შენ—B. არა განსცადო.... შენი—E. 17 თქუენისანი]შენისანი K. წამებანი მისნი—K. 18 ყო K+შენ B. ღმრთისა+შენისა B. 19 ამათ B. ეტყოდა S. 20 იყოს+ეგრე K. გკითხვიდე AE, გკითხვიდეს K. ხვალე+და B. გრქუას AEK. ესე.—BK. მშჯავრნი BS. სამართალნი და მსჯავრნი]შენნი K. ეგე—K. ჩუენმან]შენმან BS. 21 მიუგო+შენ BS. შვილთა მათ შენთა BS. ჰრქუა+ და კირთებით K. კირთებულ BS. ფარაოსა ABEK+ქუეყანასა BE]მიერ K. ეგჳპტესა E. უფალმან+ ღმერთმან B. 22 ბოროტები+ეგჳპტესა შინა B. ფარაოს BK. მისსა+და ძალსა მისსა ზედა B. 23 გამომიყუანნა+უფალმან ღმერთმან ჩუენმან B. შემიყუანნეს E. მიცემად+უფალმან ღ ჩ B. 24 მამცნო]მომცნო AEK. გეყოს B+ჩუენ B. ვსცხოვნდეთ AK, ვსცხონდეთ BE.

ABEKS

თარცა-ესე დღეს დღე. [25] და შეწყალებულ ვიყუნეთ, და-თუ-ვიცვნეთ ყოველნი მცნებანი მისნი წინაშე უფლისა ღმრთისა ჩუენისა, ვითარ-იგი მამცნო ჩუენ.

Gb

დღეს. [25] და მოწყალებაჲ იყოს ჩუენდა, და-თუ-ვიმარხოთ ქმნაჲ ყოველთა ამათ მცნებათაჲ წინაშე უფლისა ღმრთისა ჩუენისა, ვითარცა მამცნო ჩუენ უფალმან.

თავი VII

[1] რაჟამს უკუე შეგიყვანოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ქუეყანასა მას, რომელსა შეხუალ დამკჳდრებად მუნ, და მოსრნეს ნათესავნი იგი დიდ-დიდნი და მრავალნი პირისაგან შენისა: ჰეტელი იგი, გერგესეველი, ამორეველი იგი და ქანანელი იგი და ფერეზელი იგი და ეველი იგი და იობოსელი იგი, შჳდი იგი ნათესავი დიდ-დიდი და უძლ[325v]იერესი თქუენსა, [2] მოგცეს შენ უფალმან ღმერთმან ჴელთა შენთა, დასცნე შენ იგინი და მოსრვით მოსრნე, არა აღუთქუა აღთქუმა შენი მათ თანა, არცა შეიწყალნე იგინი. [3] არცა ემზახო მათ: ასული შენი არა მისცე ძესა მისსა და ასული მისი არა მოჰგუარო ძესა შენსა. [4] რამეთუ განდრიკოს ძე იგი შენი ჩემგან და ამსახუროს იგი ღმერთთა უცხოთა, და განრისხნეს გულისწყრომით უფალი შენ ზედა და აღგჳოს შენ მსთუად. [5] არამედ ესრეთ უყოთ თქუენ მათ: ბაგინები მათი დაამჴუთ, ძეგლები მათი დამუსრეთ, სერტყები მათი დაკაფეთ, ძეგლები მათი დაწუთ ცეცხლითა. [6] რამეთუ ერი ეგე წმიდა ხარ უფლისა ღმრთისა შენისა და შენ პირველად გამოგირჩია უფალმან ღმერთმან შენმან, რაჲთა იყო შენ

[1] და იყოს, შეყვანებასა შენსა უფლისაგან ღმრთისა შენისა ქუეყანასა, რომელსა შეხუალთ დამკჳდრებად მუნ, და მოსრნეს ნათესავნი დიდნი და მრავალნი პირისაგან შენისა: ქეტტელი და გერგესსეველი და ამორრეველი და ქანანელი და ფერეზელი და ეველი და იებუსელი, შჳდნი ნათესავნი დიდნი და უძლიერესნი თქუენსა, [2] და მოგცნეს იგინი უფალმან ღმერთმან შენმან ჴელთა შენთა და დასცნე იგინი და უჩინო-ყოფით უჩინო-ჰყუნე იგინი. არა აღსთქუა მათდა მიმართ აღთქუმაჲ, არცა შეიწყალნე იგინი. [3] არცა ემზახეთ მათ: ასული შენი არა მისცე ძესა მისსა და ასული მისი არა მოჰგუარო ძესა შენსა. [4] რამეთუ განადგინოს ძე შენი ჩემგან და ჰმსახუროს ღმერთთა სხუათა, და განრისხნეს გულისწყრომაჲ უფლისაჲ თქუენ ზედა და მოგსრას შენ მსწრაფლ.

[5] არამედ ესრეთ უყოთ მათ: ბომონები მათი დაარღჳთ, ძეგლები მათი დამუსრეთ და სერტყები მათი მოკაფეთ და ქანდაკებულნი მათნი დაწუენით ცეცხლითა. [6] რამეთუ ერი წმიდაჲ ხარ უფლისა ღმრთისა შენისაჲ და შენ პირველად გამოგირჩია უფალმან ღმერთმან შენმან ყოფად მისსა ერად საზე-

---

ABEKS: [25] დავიცუნეთ K+ყოფად B. მცნებანი+და შჯულნი B. იგი—K. VII: შეხუალთ BS. შემუსრნეს BS. იგი 1°—K. დიდ-დიდნი]დიდნი BS. იგი 3°+და იებოსელი იგი K (ჩამატებულია). იგი 4°, 6°—B. იგი და იობოსელი—AEK. დიდ-დიდი+და მრავალნი B. [2] მოგცნეს BS. იგინი+და მოსრნე შენ იგინი E. მოჰსრა K. შეიწყალნე]შეიწყნარე E. [3] ემზახოს AE, ემზახლო B, დაემზახო S. მისცე+მათ BS,+არა მისცე E. [4] რამეთუ]რ᷾ა არა K. გულისწყრომითა BES. შენ 2°—BS. მსთეთ B, მსუთად K. [5] უყო AEKS. თქუენ—S. დაამჴუ᷾ათ E. მათი 2°—BS. დამუსროთ B. დაჰმუსროთS+ქერპები S. სერტყები]კრეტსაბმელი კერპები Bსარტყლები E. ~მათი სერტყები S. დაჰკაფეთ BS]დამუსრეთ K. დაწუთ ABEKS. [6] ხართ BES. შენ 1°—K.

ABEKS

მისა ერად საზეპუროდ ყოველთა უფროს ნათესავთა, რომელნი არიან პირსა ზედა ქუეყანისასა. 7 და არა თუ სიმრავლისა თქუენისათჳს რაჲმე გამოგირჩინა თქუენ ღმერთმან, რამეთუ თქუენ უმცირეს ხართ ყოველთა ნათესავთა, 8 არამედ რამეთუ უყუარდით თქუენ უფალსა და დაამტკიცა ფიცი იგი, რომელ ეფუცა მამათა მათ თქუენთა, და გამოგიყვანნა თქუენ* ჴელითა მტკიცითა და მკლავითა მაღლითა, და გიჴსნა შენ სახლისა მისგან კირთებისასა ჴელთაგან ფარაო მეფისათა ეგჳპტელთასა.

ABES

9 რაჲთა გულისჴმა-ჰყო, რამეთუ უფალი ღმერთი შენი ესე არს ღმერთი, ღმერთი სარწმუნო, რომელმან დაუმარხის [326r] აღთქუმა მისი და წყალობა მისი მოყუარეთა მისთა და რომელთა დაიცვნიან მცნებანი მისნი ვიდრე ათასამდე ნათესავად, 10 და მიაგის პირისპირ მისაგებელი და მოსრვა მოძულეთა მისთა და-არა-აყოვნის. 11 დაიცვნე მცნებანი ესე და სამართალნი და მსჯავრი, რომელსა-ესე მე გამცნებ შენ დღეს დღე ყოფად მისა.

12 და იყოს, რაჟამს ისმინნეთ თქუენ ყოველნი ესე სამართალნი ჩემნი, დაიცვნე და მოგცეს შენ უფალმან ღმერთმან შენმან აღთქუმა იგი და წყალობა, ვითარცა-იგი ეფუცა მამათა მათ თქუენთა. 13 და შეგიყუაროს შენ და გაკურთხოს შენ და განგამრავლოს შენ; აკურთხნეს ნაშობნი მუცლისა შენისანი და ნაყოფი ქუეყანისა შენისა, იფქლი იგი შენი და ღჳნო შენი და ზეთი

Gb

პუროდ უფროჲს ყოველთა ნათესავთასა, რაოდენნი არიან პირსა ზედა ყოველისა ქუეყანისასა. 7 არა რამეთუ ფრიად მრავალ ხართ უფროჲს ყოველთა წარმართთა, წინა-აღგირჩინა თქუენ უფალმან და გამოგირჩინა თქუენ, რამეთუ თქუენ უმცირეს ხართ უფროჲს ყოველთა წარმართთასა, 8 არამედ რამეთუ უყუართ თქუენ უფალსა და დამცველმან ფიცისამან, რომელ ეფუცა მამათა თქუენთა, გამოგიყვანნა თქუენ ჴელითა მტკიცითა და მკლავითა მაღლითა და გიჴსნა შენ უფალმან სახლისაგან მონებისა ჴელისაგან ფარაო...

9 . . . . . რამეთუ . . . . უფალი ღმერთი შენი ესე არს ღმერთი სარწმუნო დამცველი აღთქუმისა მისისაჲ და წყალობისა მოყუარეთა თჳსთათჳს და დამცველთა მცნებათა მისთასა ათასამდე ნათესავად, 10 და მიმგებელი კრულვაჲ პირისპირ მისაგებელისა მათისაჲ. 11 და დაიცვნე მცნებანი და სამართალნი და მშჯავრნი ესე, რაოდენთა მე დღეს გამცნებ შენ ქმნად.

12 და იყოს, რაჟამს ისმინნეთ სამართალნი ესე და დაიცვნეთ და ჰყვნეთ, და დაიცვას უფალმან ღმერთმან შენმან აღთქუმაჲ და წყალობაჲ, ვითარცა ეფუცა მამათა თქუენთა. 13 და შეგიყუაროს შენ და გაკურთხოს შენ და განგამრავლოს შენ და აკურთხნეს შვილისწულნი მუცლისა შენისანი და ნაყოფი ქუეყანისა შენისაჲ და მროწე-

---

ABEKS: 6 უფროს+ნათესაჲისა S. 7 თქუენისათჳს+რამეთუ უფროს ხართ ყოველთა წარმართთა, შეგიწყნარა თქუენ უფალმან B. რაჲმე]რადმე B. ღმერთმან]უფალმან B. 8 უფალსა—E. და 1c—BK. მათ—BK. გამოგიყვანნა+უფალმან B. კირთებისა B. მეგჳპტელთასა B. 9 ღმერ თი 2°]უფალი E. დაიცუნიან ABE. ათასამდე]ასამდე B. 10 მოსურვა B. -აყოვნის+მოძულეთა პირსა მიგებად მათთა B. 11 დაიცუნენ A, დაიცუნიან E+შენ BS. მცნებანი+მისნი BS. ~და ესე BS. მშჯავრნი BS, მსჯავრნი K. 12 ისმინეთ AE. დაიცვნე+და ჰყო იგი B. 13 შენ 1°]თქუენ AE.

* აქ წყდება K ხელნაწერი.

ABES

შენი, ზროხანი სამროწლისა შენისანი და არვები ცხოვართა შენთანი ქუეყანასა ზედა, რომელ-იგი ეფუცა ღმერთი მამათა მათ შენთა მიცემად შენდა. 14 და კურთხეულ იყო შენ ყოველთა უფროს ნათესავთა, არა იპოოს ნათესავსა შენსა შორის უმკჳდრო, არცა უზუები საცხოვარსა შენსა შორის. 15 და განგაშოროს უფალმან ღმერთმან შენმან შენგან ყოველი იგი სენი და სალმობა ბოროტი მეგჳპტელთა, რომელ-იგი იხილე და უწყოდე, არა მოაჳლინოს შენ ზედა, არამედ მიაჳლინოს იგი ყოველთა ზედა მტერთა შენთა. 15 და შჳამდე შენ ნატყუენავსა მას წარმართთასა, რომელ-იგი უფალმან ღმერთმან მოგცეს შენ, არა გეწყალოდიან შენ [326v] იგინი, არცაღა ჰმსახურო სამსახურებელთა მათთა, რაჲთა არა საცთურ-გეყოს შენ.

17 უკუეთუ სთქუა გონებასა შენსა: არამედ ნათესავი ესე უძლიერეს არს შენსა, ვითარ შეუძლო მოსრვად მათა? 18 არა გეშინოდის შენ მათგან. მოჰსენებით მოიჯსენო, რაჲ-იგი უყო უფალმან ღმერთმან შენმან ფარაოს და ყოველთა მათ ეგჳპტელთა: 19 განსაცდელნი იგი დიდ-დიდნი, რომელ-იგი იხილეს თუალთა შენთა, სასწაულები იგი და ნიშები დიდ-დიდები, ჴელი იგი მტკიცე და მკლავი იგი მაღალი, ვითარ-იგი გამოგიყვანა შენ უფალმან ღმერთმან შენმან, ეგრეთ უყოს უფალმან ღმერთმან შენმან ყოველთა წარმართთა, რომელთაგან გეშინის პირისაგან მათისა. 20 და ბზიკები მოუვლინოს უფალმან ღმერთმან მათა, ვიდრემდე

Gb

ულნი ზროხათა შენთანი და სამწყსონი ცხოვართა შენთანი ქუეყანასა ზედა, რომელსა ეფუცა უფალი მამათა შენთა მოცემად შენდა. 14 კურთხეულ იყო შენ უფროჲს ყოველთა ნათესავთა და არა იყოს თქუენ შორის უშვილოჲ, არცა ბერწი, და საცხოვართა შორის შენთა. 15 და მოსპოს უფალმან ღმერთმან შენმან შენგან ყოველი სულებულებაჲ და ყოველნი სენნი ეგჳპტისანი ბოროტნი, რომელნი იხილენ და რაოდენნი სცნენ, არა დაისხნეს შენ ზედა და დასხნეს იგინი ყოველთა ზედა მოძულეთა შენთა. 16 და შჳამდე ყოველსა იავარსა წარმართთასა, რომელნი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცნეს შენ. არა ერიდოს თუალი შენი მათ ზედა და არა ჰმსახურო ღმერთთა მათთა, რამეთუ საცთურ შენდა არს ესე.

17 ხოლო უკუეთუ სთქუა განმგონებელობასა შინა შენსა, ვითარმედ: მრავალ არს ნათესავი ესე. ვიდრემე ვითარ შეუძლო მოსრვაჲ მათი? 18 არა შეიშინო მათგან. მოიჯსენენ, რაოდენნი უყუნა უფალმან ღმერთმან შენმან ფარაოს დ ყოველთა მეგჳპტელთა: 19 განსაცდელნი დიდნი, რომელნი იხილნეს თუალთა შენთა, სასწაულნი და ნიშნი დიდნი იგინი, ჴელი მტკიცე და მკლავი მაღალი, ვითარ გამოჰყვანა შენ უფალმან ღმერთმან შენმან, ეგრეთ უყოს უფალმან ღმერთმან შენმან ყოველთა წარმართთა, რომელთა შენ გეშინის პირისაგან მათისა. 20 და ბზიკნი მიაჳლინნეს უფალმან ღმერ-

---

ABES: 13 მროწლისა E. ცხოვართა]ზროხათა B. შენთან]შენთა S. ღმერთი]ფალი B. 14 უმკჳდრო+არცა უნაყოფო B. 15 შენმან—BS. უწყოდე]უწოდე B. მოაჳლინო S+იგი BS. ყოველთა]ჴელთა S. 16 ღმერთმან+შენმან B. გეწყალოდინ B. იგინი+წინაშე თუალთა შენთა B. მსახურო B+ღმერთთა B. 17 გუნებასა A. მოსურვად B]მოსლვად S. მათდა B. 18 მოგიჯსენო E. რაჲ]რომელი B. შენმან]შენ მიერ BS. მეგჳპტელთა BS. 19 იგი 1°—BS. იგი 5ᵉ—B. ეგრე BS. ყოს AE. უფალმან ღმერთმან შენმან 2°—AE. გეშინის+შენ B. 20 მოაჳლინოს BS. მათდა B. ვიდრე BS.

ABES

მოესრულნენ ნეშტნი იგი, და რომელნი დამალულ იყვნენ პირისაგან შენისა. 21 ნუ გეშინინ პირისაგან მათისა, რამეთუ უფალი ღმერთი შენი შენ თანა არს დიდი და ძლიერი. 22 და მოსრნეს უფალმან ღმერთმან შენმან ყოველნი წარმართნი პირისაგან შენისა ცხადად. არა მოსრნეს იგინი ერთბამად, რაჲთა არა დაშთეს ქუეყანა იგი ოჯრად და განმრავლდენ შენ ზედა მკეცნი. 23 მიგცნეს შენ იგინი უფალმან ღმერთმან შენმან ჴელთა შენთა და მოჰსრნე იგინი მოსრვითა დიდითა, ვიდრემდე მოასრულნე იგინი. 24 და მოგცნეს უფალმან შარავანდედნი მათნი ჴელთა თქუენთა და წარსწყმიდოთ საჯსენებელი მათი ადგილით მათით. არა[327r]ვინ ალგიდგეს წინაშე პირსა შენსა, ვიდრემდე მოასრულნე იგინი. 25 ხატები კერპებისა მათისა დასწუა ცეცხლითა. ნუ გული გითქუამნ ოქროსა და ვეცხლსა მათსა, ნუ მოიღებ თავისა შენისა, რაჲთა არა საცთურ-გეყოს შენ იგი, რამეთუ საძაგელ არს წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა. 26 არა შეიღო იგი სახლად შენდა, რამეთუ ბილწ არს, რაჲთა არა მის თანა წყეულ იყო. დამჯობით დაამჯუნე იგინი და განშორებით განიშორო იგი, რამეთუ წყეულ არს.

Gb

თმან მათდა, ვიდრემდის აღჯოცნეს დაშთომილნი და დამალულნი შენგან. 21 არა შეიქცე პირისაგან მათისა, რამეთუ უფალი ღმერთი შენი შენ თანა არს, ღმერთი დიდი და ძლიერი. 22 და აღჯოცნეს უფალმან ღმერთმან შენმან ნათესავნი ესე პირისაგან შენისა მცირედ-მცირედ. ვერ შეუძლო აღჯოცაჲ მათი მსწრაფლ, რაჲთა არა იქმნეს ქუეყანაჲ უშენ და განმრავლდენ შენ ზედა მკეცნი ველურნი. 23 და მოგცნეს იგინი უფალმან ღმერთმან შენმან ჴელთა შენთა და წარსწყმიდნე იგინი. 24 და მისცნეს მეფენი ჴელთა თქუენთა და წარწყმიდოს სახელი მათი ადგილისა მისგან, არა აღდგეს არავინ პირისპირ შენსა, ვიდრემდის მოსრნე იგინი. 25 ქანდაკებულნი ღმერთთა მათთანი დაწუენით ცეცხლითა, არა გულმან გითქუას ოქროჲ ანუ ვეცხლი მოღებად მათგან თავისა შენისად. ნუ სცთები მის მიერ, რამეთუ საძაგელება არს სახლისა შენისა. 26 და იყოს შენაჩუენებ, ვითარცა-ესე მოწყინებით მოიწყინო და მოძაგებით მოიძაგო, რამეთუ შენაჩუენებ არს.

თავი VIII

1 ყოველთა ამათ მცნებათა, რომელესე მე გამცნებ შენ დღეს დღე, დაიმარხნე იგი[ნი] და ჰყო, რაჲთა სცხონდეთ და განჰმრავლდეთ და შეხჳდეთ და დაიმკჳდროთ ქუეყანა იგი, რომელ

1 ყოველნი ესე მცნებანი, რომელთა მე დღეს გამცნებ თქუენ, დაიცჳენით ქმნად, რაჲთა ცოცხალ იყვნეთ და მრავალწილ იქმნნეთ და შესრულთა დაიმ-

---

ABES: 20 პირისაგან შენისა—E. 21 არს+რამეთუ ABE+ღმერთი B. და—B. 22 ყოველნი—B. შენისა+მცირედ-მცირედ B. მოსრნე 2° AE. ~ოჯრად იგი A. განმრავლდეს E. 23 მოგცეს A]და მიგცნეს B, და მოგცნა E. მოსრნეს BS. 24 უფალმან—B. არაჳინა A. ~შენსა პირსა S. ვიდრე BS. 25 ხატები]ჩამოსხმულნი B. გითქუამს E. ო̃ესა შ̃ნსა BS. საცთური BS. 26 წყეულ 1°] წყლულ A. იყოს S. განეშორო A. იგი 2°—B. არს 2°+იგი და ბილწ B. VIII: 1 რომელ 1°]რომელთა BS. დაიმარხე E. სცხოვნდე E. განმრავლდეთ E]განმართლდეთ BS. და 3°—BS. ქუეყანა—E.

ABES

ეფუცა უფალი მამათა მათ თქუენთა. [2] მოიკსენნე ყოველნი იგი გზანი შენნი, რომელთა მოგიყვანა შენ უფალმან ღმერთმან შენმან, ესე მეორმეოცე წელი არს, უდაბნოსა მას, ბოროტიღა თუ გიყო შენ და გამოგცადა შენ, რაჲთა გულისყმა-ყოს გულისა შენისა, და-თუ იცვნე მცნებანი მისნი ანუ არა. [3] შეღათუ-გაურვა შენ სიყმილითა უდაბნოსა მას, მანანა იგი გაჭამა შენ, რომელ არა იცოდე შენ, არცა მამათა შენთა, რაჲთა გულისკმა-გიყოს შენ, რამეთუ არა ხოლო პურითა ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყუთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისასა, ცხონდების კაცი. [4] სამოსელი შენი არა განგიყფდა, ფერკი შენი არა გამოგტკუფა, [327v] ესე მეორმეოცე წელი არს. [5] რაჲთა გულისკმა-ჰყო გულსა შენსა, რამეთუ ვითარცა განსწავლის მამამან შვილი თჳსი, ეგრეთ განგსწავლა შენ უფალმან ღმერთმან შენმან. [6] და დაიცვნე შენ მცნებანი უფლისა ღმრთისა შენისანი და ხჳდოდი გზათა მისთა და გეშინოდის შენ მისა. [7] რაჲთა უფალმან ღმერთმან შენმან შეგიყვანოს შენ ქუეყანასა მას კეთილსა და დიდსა, სადა-იგი მდინარენი წყალთანი და წყარონი უფსკრულთანი დიან მთათა და ველთა, [8] ქუეყანასა მას საიფქლესა და საქრთილესა, ქუეყანასა მას ვენაჯოვანსა და ლეღოვანსა და მროწლოვანსა, ქუეყანასა კეთილსა თაფლისასა, [9] ქუეყანასა მას, რომელსა ზედა წიწნეულად შჭამდე პურსა შენსა, არცა ნაკლულეკჳდროთ ქუეყანაჲ კეთილი, რომელსა ეფუცა უფალი მამათა თქუენთა. [2] და მოიკსენე ყოველი გზაჲ, რომელი წარმოგავლო შენ უფალმან ღმერთმან შენმან უდაბნოს ზედა, რაჲთა განგაბოროტოს შენ და განგცადოს შენ, რაჲთა განმხილნეს გულისა შენისაჲ, უკუეთუ დაიცავ მცნებათა მისთა ანუ არა. [3] და განგაბოროტა შენ და მოგაყმო შენ და გაჭამა შენ მანანაჲ უდაბნოს ზედა, რომელი ეხილვა [225r] მამათა* შენთა, რაჲთა მოგითხრას შენ, ვითარმედ არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი. [4] სამოსელნი შენნი არ განიბებკნეს შენგან, ფერკნი შენნი არა გამოტკულფეს, აჰა, ორმეოცი წელიწადი არს. [5] და ცან, ვითარმედ, ვითარ ვინ სწავლის კაცმან ძე თჳსი, ეგრეთვე უფალმან ღმერთმან გსწავლოს შენ. [6] და დაიცვნე მცნებანი უფლისა ღმრთისა შენისანი სლვად გზათა მისთა და შიშად მისსა. [7] რამეთუ უფალი ღმერთი შენი შეგიყვანებს შენ ქუეყანასა კეთილსა და დიდსა, სადა [225v] ღუარნი წყალთანი და წყარონი უფსკრულთანი გამოვლენ ველთა და მთათაგან, [8] ქუეყანაჲ იფქლისა და ქრთილისაჲ, ვენაჯნი და ლეღოანნი და მდინარენი, ქუეყანაჲ ზეთისხისაჲ, ზეთისა და თაფლისაჲ, [9] ქუეყანაჲ, რომელსა ზედა არა სიგლახაკით შჭამო პური შენი და არა მოქენე იქმნე არარაჲსა მას ზედა,

---

ABES: [1] იგი 2°+კეთილი B. [2] მოიკ˙სნე E. შენმან—S. ორმოცი B. გიყოს E. და-თუ-იცნენ E|უკუეთუ დაიცვნე B, და-რაჲძი-იტევნე S. [3] სიყმილითა+მოსწყდი შენ B. გულისხმა-გიყოს B, გულისკმა-გიყუს E, გულისკმა-გიყო S. ~პურითა ხოლო BS. ცხოვნდების 1° BS. გამოვალნ E. ცხოვნდების 2° BS. [4] განგიყფდა+კამლნი შენნი არა წარგიკდა B. გამოგტქფა AE. მეორმოცე BE. [5] გულისა შე˙ისა BS. ეგრე ABS. განსწავლა A. [6] და გეშინოდის შენ მისა—E. [7] რაჲთა უფალმან.. შენმან—E. ~დიდსა და კეთილსა BS. უბსკრულთანი S. და 3°—E. ველთა+მათთა B. [8] მრწლოვანსა]ბროწეულოვანსა S. ქუეყანა 3° B. კეთილსა]ზეთისხილთა ზეთისა და B. [9] მას 1°] კეთილსა B. წიწუნეულად B.

G: [7] წარონი Gb. ველთაგან Gb. [8] ლეღოანი Gb.

* აქედან გრძელდება Ga ნუსხა.

ABES

ვან იყო მას ზედა, რომლისანი ქვანი მისნი არიან რკინა და მთათა მისთა გამოეკუეთების სპილენძი. 10 ჰშჭამდი და განსძღებოდე. და აკურთხეედი უფალსა ღმერთსა შენსა ქუეყანასა მას ზედა კეთილსა, რომელი-იგი მოგცა შენ უფალმან ღმერთმან შენმან. 11 იგულე თავი შენი, ნუუკუე დაივიწყო უფალი ღმერთი შენი და არა დაიმარხნე მცნებანი მისნი და წამებანი მისნი და სამართალნი, რომელსა-ესე მე გამცნებ შენ (12S) დღეს დღე. 12 ნუუკუე შჭამდე და განსძღებოდი და ტაძრებსა შუენიერებსა იშენებდე და დაემკჳდრებოდი მათ შინა 13 განმრაე[328r]ლებითა მით მროწლისა და არვებისა შენისათა. ოქროსა და ვეცხლისა შენისათა და ყოვლისა ნაყოფისა შენისათა. 14 აღიმაღლო გულითა შენითა და განლაღნე და დაივიწყო უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანა შენ ქუეყანისა მისგან ეგჳპტელთასა, სახლისა მისგან კირთებისასა, 15 რომელმან გამოგიყვანა შენ უდაბნოსა მას დიდსა და საშინელსა, სადა-იგი გუელი და ღრიანკალი კბენდეს, და წყურილი იგი წყლისა აჰირვებდა მათ, სადა არა იყო წყალი, რომელმან გამოგიდინა შენ წყაროჲ კლდისა მისგან უღაღისა, 16 რომელმანი-იგი უდაბნოსა მას მანანა იგი გაჰამა შენ, რომელ-იგი არა იცოდე შენ, არცა მამათა შენთა. ბოროტიღა თუ გიყო და გამოგცადა შენ, რაჲთა უკუანაჲსკნელ კეთილი გეყოს და განგისუენოს

G

ქუეყანაჲ, რომლისა ქვანი რკინა და მთათა მისთაგან დნების სპილენძი. 10 და შჭამო და განსძღე და აკურთხო უფალი ღმერთი შენი ქუეყანასა ზედა კეთილსა, რომელი მოგცა შენ უფალმან ღმერთმან შენმან. 11 ეკრძალე თავსა შენსა, ნუსადა დაივიწყო უფალი ღმერთი შენი, არადაცვად მცნებათა მისთა და მშჯავრთა და სამართალთა მისთა, რაოდენთა მე გამცნებ შენ დღეს. 12 ნუ შჭამო რაჲ და განსძღე და სახლნი კეთილნი აღაშენნე, დაემკჳდრო მათ შინა 13 და ზროხანი შენნი და ცხოვარნი შენნი განგიმრავლდენ შენ, ვეცხლი და ოქროჲ მრავალ იქმნეს შენი და ყოველნი, რაოდენნი იყუნენ შენნი, განმრავლდენ. 14 აჰმაღლდე გულითა [226r] და დაივიწყო უფალი ღმერთი შენი, გამომყვანებელი შენი ქუეყანით ეგჳპტით სახლისაგან მონებისა, 15 წარმავლებელი შენი უდაბნოჲსა მის დიდისა და საშინელისაჲ, სადა გუელი ჰკბენდა და ღრიაკალი, და წყურილი, სადა არა იყო წყალი, რომელმან აღმოგიცენა შენ კლდისაგან მყარისა წყაროჲ წყლისაჲ, 16 რომელმან გაჰამა შენ მანანაჲ, უდაბნოს ზედა, რომელი არა უწყოდე შენ და არა უწყოდეს მამათა შენთა, რაჲთა განგაბოროტო შენ და განგცადო შენ კეთილის-ყოფად შენდა

ABES: 9 იყო—B. რომლისანი+ქუეყანა, რომელსა ზედა B. მთათა]მ-მთა S. 10 სპამდე B. ჰშჭამდე S. განსძებოდი AF. აკურთხეედე BS. ზედა—B. რომელ BS. უფალმან...შენ]ან—B. 11 და წამებანი მისნი—E. მე—B. 12 სპამდე B. განსძებოდე BS. დაემკჳდრებოდე AE. შინა—E. 13 მროწულისა BS. და ყოვლისა ნაყოფისა შენისათა]განმრავლდე და ყოველი, რაოდენი შენდა იყოს, განმრავლდეს შენდა B]—S. 14 აღამაღლო S. ქუეყანისა მისგან]ქუეყანისაგან S, კუეყანით B. ეგჳპტით B, ეგჳპტისა S. სახლისა მასგან]სახლისაგან BS. კირთებისა BS. 15 რომელმან 1°]და S]—B. გამოგიყუანე E, აღგიყუანა S]—B. შენ 1°—B. და 1°—E. ჰკბენდა B, კბენდა S. აჰირებდა AE. წყაროჲ]წყალი B+იგი E. უღაღისა]უვალისა E. 16 იგი 1°—B. მანანა E. გიყოს E+შენ B. გამოვცადა]გამოგაცხადა B. უკანასკნელ A. გეყოს+შენ E.

ABES

შენ. [17] ნუ იტყჳ გულსა შენსა, ვითარმედ: ძლიერებითა ჩემითა და სიმტკიცითა მკლავისა ჩემისათა ვყავ ყოველი ესე ძალი. [18] არამედ მოიჯსენო შენ უფალი ღმერთი შენი, რამეთუ მან მოგცეს შენ ძალი და ძლიერება, რაჲთა აღასრულოს აღთქუმა იგი, რომელ ეფუცა უფალი მამათა მათ შენთა, ვითარცა დღეს დღე. [19] და იყოს, უკუეთუ დავიწყებით დაივიწყო უფალი ღმერთი შენი და შეუდგე შენ ღმერთთა უცხოთა და ჰმსახურებდე მათ და თაყუანის-სცემდე მათ, ეწამებ მე თქუენ წინაშე დღეს დღე, რამეთუ მოსრვით მო[328v]ისრნეთ, [20] ვითარცა სხუანი წარმართნი, რომელნი-იგი მოსრნა უფალმან პირისაგან თქუენისა, ეგრე მოგსრნეს თქუენ უფალმან, რამეთუ არა ისმინეთ თქუენ ჴმა უფლისა ღმრთისა თქუენისა.

G

უკუანაჲსკნელთა დღეთა შენთა. [17] ნუ იტყჳ გულსა შინა შენსა: ძალმან ჩემმან და სიმტკიცემან მკლავისა ჩემისამან მიყო მე ძალი ესე დიდი. [18] და მოიჯსენე უფალი ღმერთი შენი, რამეთუ მან მოგცა შენ ძალი ყოფად ძლიერებისა და რაჲთა დაამტკიცოს აღთქუმაჲ თჳსი, რომელსა ეფუცა უფალი მამათა შენთა, ვითარცა დღეს. [19] და იყოს, უკუეთუ დავიწყებით დაივიწყო უფალი ღმერთი შენი და მიხჯდე შედგომად სხუათა და ჰმსახურო მათ, მოწამე-გიყოფ დღეს თქუენ ცასა და ქუეყანასა, ვითარმედ წარწყმედით წარსწყმდეთ, [20] ვითარცა სხუანი წარმართნი, რაოდენთა უფალი ღმერთი წარსწყმედს წინაშე პირსა თქუენსა, ეგრეთ წარსწყმდეთ ნაცვალად არასმენისა ჴმასა უფლისა ღმრთისა თქუენისასა.

თავი IX

[1] გესმოდენ ისრაელსა, რამეთუ წიაღხუალ შენ დღეს დღე იორდანესა მდინარესა შესლვად და დამკჳდრებად ნათესავთა დიდთა და უძლიერესთა შენსა ქალაქთა დიდთა და მოზღუდვილთა მაღლად ვიდრე ცადმდე, [2] ერსა დიდსა და ძლიერსა და კაცთა სრულთა ჰასაკითა, ძეთა მათ ენაკისთა, რომლისა შენცა სადამე გესმინოს, ვითარმედ ვინმცა წინა დაუდგა პირსა წინაშე ძეთა მათ აკიმისთა. [3] არამედ უწყოდი შენ, რამეთუ უფალი ღმერთი შენი წინა-გიძღჳს შენ წინაშე პირსა შენსა, ვითარცა ცეცხლმან შემწუელმან მოსრნეს იგინი და მან გარე მიაქცინეს

[1] ისმინე, ისრაელ, შენ განჰვლი იორდანესა დღეს შესლვად და დამკჳდრებად წარმართთა დიდთა და უძლიერესთა შენსა ქალაქთა დიდთა და შეზღუდვილთა ცადმდე, [2] ერსა დიდსა და მრავალსა, კეთილ-დიდსა, ძეთა ენაკისთა, რომელნი შენ უწყნი და შენ გასმიან, [226v] ვინ წინააღუდგეს წინაშე პირსა ძეთა ენაკისთასა. [3] და გულისჴმა-ყავ დღეს, ვითარმედ უფალი ღმერთი ესე წინა-ვიდოდის წინაშე პირსა შენსა: ცეცხლ განმლეველ არს. ამან მოსრნეს იგინი და ამან წარაქცინეს იგინი წი-

---

ABES: [17] ჩუენისათა B. ყოველივე E. [18] და+რომელი ყო B. [19] უკეთუ B. და 3°—AE. მსახურებდე B. თაყუანი-სცემდე ES. რამეთუ+ცოთ და ქუეყანით B. [20] უფალმან+ღ˜ნ BE. თქუენ უღალმან—B. IX: [1] უძლიერესთა+უფ˜რს B. [2] ასაკითა B. ანაკიმისთა B. [3] შენ+დღეს B. შენ 2°—B. მოგსრნეს AE. იგინი 1°—B. გარემოაქციენეს B.

G: [1] განჳლი Ga.

ABES

იგინი პირისაგან შენისა, აღჯოცნეს იგინი მსთუად, ვითარცა გეტყოდა თქუენ უფალი. [4] ნუ იტყჳ გულსა შენსა, რაჟამს მოსრნეს უფალმან ღმერთმან შენმან წარმართნი იგი პირისაგან შენისა, ნუ იტყჳ, ვითარმედ: სიმართლისა ჩემისათჳს შემომიყვანა მე უფალმან დამკჳდრებად ქუეყანისა მის. არამედ უკეთურებისათჳს წარმართთასა მოსრნა იგინი უფალმან პირისაგან შენისა. [5] და არა თუ სიმართლისა შენისათჳს, არცაღა სიწმიდისა გულისა შენისათჳს შეხუედ შენ დამკჳდრებად ქუეყანისა მის [329r] მათისა, არამედ უკეთურებისათჳს წარმართთასა მოსრნეს იგინი უფალმან ღმერთმან შენმან პირისაგან შენისა, რაჲთა დაემტკიცოს აღთქუმაჲ იგი, რომელ ეფუცა უფალი მამათა მათ თქუენთა: აბრაჰამს, ისაკს და იაკობს. [6] და რაჲთა გულისჴმა-ჰყოთ დღეს, რამეთუ არა სიმართლისა თქუენისათჳს მოგცემს შენ უფალი ღმერთი შენი დამკჳდრებად ქუეყანასა მაგას კეთილსა, რამეთუ ერი ეგე ქედფიცხელი ხარ. [7] მოიჯსენე და ნუ დაივიწყებ, რავდენჟამ განარისხე უფალი ღმერთი შენი უდაბნოსა მას, რომლით დღითგან გამოხუედ შენ ქუეყანისა მისგან ეგჳპტელთასა მოსლვად მოწჳევნადმდე ადგილსა მას, რამეთუ ურჩებით დაუმორჩილებელ-ექმნენით უფალსა. [8] და ქორებსაცა გან-ვე-არისხეთ უფალი. და განრისხნა გულისწყრომით უფალი თქუენ ზედა, (9S) რაჲთამცა მოგსრნა თქუენ, [9] რაჟამს აღვიდოდე მთასა მას მოღებად ფიცართა მათ ქვი-

G

ნაშე პირსა შენსა, წარწყმიდნეს იგინი მწრა[227r]ფლ, ვითარ-სახედ თქუა უფალმან. [4] ნუ იტყჳ გულსა შინა შენსა აღჯოცასა მათსა უფლისა მიერ ღმრთისა შენისა წინაშე პირსა შენსა მეტყუელი: სიმართლეთა ჩემთათჳს შემომიყვანა მე უფალმან დამკჳდრებად ქუეყანაჲ ესე კეთილი. არამედ უმსახურებელობისათჳს ამათ ნათესავთაჲსა მოსრავს მათ უფალი წინაშე პირსა შენსა. [5] არა სიმართლისა შენისათჳს, არცა ღირსებისათჳს გულისა შენისა შეხუალ შენ დამკჳდრებად ქუეყანისა მათისა, არამედ უშჯულოებისათჳს მათისა უფალი მოსპოლავს მათ პირისაგან შენისა, და რაჲთა დაამტკიცოს აღთქუმაჲ თჳსი, რომელსა ეფუცა უფალი მამათა თქუენთა: აბრაჰამს, ისაკს და იაკობს. [6] და გულისჴმა-ყავ დღეს, ვითარმედ არა სიმართლისა შენისათჳს მოგცემს შენ ქუეყანასა ამას კეთილსა დამკჳდრებად, რამეთუ ერი ქედფიცხელი ხარ. [7] მოიჯსენე, ნუ დაივიწყებ, რაოდენ განამწარე უფალი ღმერთი შენი უდაბნოსა მას დღით, რომლით გამოხუედით ქუეყანისაგან ეგჳპტისა, ვიდრემდის მოხუედით ადგილსა ამას, ურწმუნო ყოფილ ხართ უფლისა მიმართ. [8] და ქორებს შინაცა განაძჳნეთ უფალი და გულმოწყე-იქმნა უფალი თქუენ ზედა მოსრვად თქუენდა, [9] აღსლვასა ჩემსა [227v] მთად მოხუმად ფიცართა ქვისათა, ფი-

---

ABES: [3] აღჯოცნეს+ და წარსწყმიდნეს B, და წარწყმიდნეს S. მსთუად]მსწრაფლ B. [4] იტყჳ 2°+იგი BE. სიმართლისა]სიმრავლისა B. ქუეყანისა+კეთილსა BE. მის]ამის BS. არამედ... შენისა—B. [5] და 1°—B. სიმართლისა]სიმრაველისა B. შენისათჳს 1°+და E. სიწმიდისა B. შეხუედ B. უკეთურებისათჳს+და უშჯულოებისა B. წარმართთა B. ღმერთმან—B. დაემტკიცოს]დაემკჳდრო B. აღთქმსა B. ~რომელ იგი B. აბრამს B, აბრაჰას S. [6] -ჰყო BS. სიმართლისა]სიმრავლისა B. თქუენისათჳს]შენისათჳს BS+რ~ჲ AE. რ~ას B. შენ—BE. კეთილსა—B. ქედფიცხელ BS. ხარ] არს B. [7] რაოდენ B. შენ—B. მეგჳპტელთასა B. ჰქმნენით A, ექმენით B. [8] ქორებსაცა B. განჳ-რისხეთ B. განრისხნა+უფალი B. გულისწყრომითა B. [9] აღვიდოდეთ B. ფიცართა მათ 2°—B.

G: [5] აბრაამს Gb. ისააკს Gb.

ABES

სათა, ფიცართა მათ შჯულისათა, რომელ-იგი მომცნა მე. და ვიყავ მე მთასა მას ზედა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე, პური არა ვჭამე და არცა წყალი ვსუ. [10] და მომცნა მე უფალმან ორნი იგი ფიცარნი ქვისანი დაწერილნი ჴელითა ღმრთისათა, რამეთუ მას ზედა დაწერილ იყვნეს ყოველნი იგი მცნებანი, რომელთა გეტყოდა თქუენ უფალი მთასა მას ზედა. [11] და იყო, ორმეო-[329v]ცსა მას დღესა და ორმეოცსა მას ღამესა, რაჟამს მომცნა მე უფალმან ორნი იგი ფიცარნი ქვისანი, რომელთა ზედა დაწერილ იყო შჯული იგი, [12] სიტყუად იწყო ჩემდა უფალმან და მრქუა: აღდეგ, გარდაგუალე აღრე ამიერ, რამეთუ უშჯულო იქმნა ერი იგი შენი, რომელ გამოიყვანე ქუეყანით ეგჳპტით, და გარდაჰქდეს მცნებასა მას, რომელ-იგი ამცნო მათ, და იქმნეს თავისა მათისა კერპ გამოქანდაკებულ და თაყუანის-სცეს ხატსა. [13] და მრქუა მე უფალმან: გეტყოდე შენ ერთგზის და ორგზის და გარქუ: ვიხილე ერი ესე, ვითარ გულფიცხელ და ქედმაღალ არს. [14] მომიშუ მე, რაჲთა მოვსრნე იგინი და აღვკოცო სახელი მათი ცასა ქუეშე და გყო შენ ნათესავად დიდად და ძლიერად უფროს მაგათსა. [15] და მოვიქეც, გარდამოვედ მიერ მთით და მთა იგი ცეცხლითა აღჳურვილი აღატყდებოდა, და ორნივე ფიცარნი იგი მეპყრნეს ორთავე კელთა ჩემთა. [16] და ვიხილე, რამეთუ შეცოდებულ იყვენით თქუენ წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა და გექმნა თქუენ კერპი გამოდუღებითი და გარდასრულ იყვენით თქუენ გზისა მისგან, რომელ

G

ცართა აღთქუმისათა, რომელნი აღთქუნა უფალმან თქუენდამი. და დადგრომილ ვიყავ მთასა ზედა ორმეოცთა დღეთა და ორმეოცთა ღამეთა, პური არა ვჭამე და წყალი არა ვსუ. [10] და მომცნა მე უფალმან ორნი ფიცარნი ქვისანი დაწერილნი თითითა ღმრთისაჲთა და მათ ზედა ეწერნეს ყოველნი სიტყუანი, რომელნი თქუნა უფალმან თქუენდა მიმართ მთასა ზედა საშუალით ცეცხლისაჲთ [228r] დღესა ეკკლესიობისასა. [11] და იყო, ორმეოცთა დღეთა მიერ და ორმეოცთა ღამეთა მიერ მომცნა უფალმან ღმერთმან მე ორნი ფიცარნი ქვისანი, ფიცარნი აღთქუმისანი. [12] და თქუა უფალმან ჩემდა მომართ: აღდეგ და შთაველ მწრაფლ ამიერ, რამეთუ იუშჯულოა ერმან შენმან, რომელნი გამოიყვანენ ქუეყანით ეგჳპტით, და გარდავიდეს მოსწრაფედ გზისაგან, რომელი ვამცენ მათ. და იქმნეს თავთა თჳსთად გამოდნობილი. [13] და თქუა უფალმან ჩემდა მომართ მეტყუელმან: ვთქუ შენდამი ერთგზის და ორგზის მეტყუელმან: ვიხილე ერი ესე და, აჰა, ერი ქედფიცხელ არს. [14] მაცადე მე მოვსრა ერი ესე და აღვკოცო სახელი მისი ქუეშე კერძო ცისა. და გყო შენ ნათესავად დიდად და მაღლად და ფრიად უფროჲსად, ვიდრე ესე. [15] და შემოქცეული შთამოვედ მთით და მთაჲ იწუებოდა ცეცხლითა და ორნი ფიცარნი წამებისანი ორთა შინა კელთა ჩემთა. [16] და მხილველმან, ვითარმეღ სცოდეთ წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა და ჰქმენით თქუენ თავთა თქუენთად გამოდნობილი და გარდაჰქედით მწრაფლ გზისაგან, რომელი

ABES: [9] სჯულისათა E+ფიცარი B. მომცა B. ვსჭამე B. ვსუი B. [10] უფალმან—BS. ზედა 2°+და შორის ცეცხლისა დღესა შეკრებისასა B. [11] მას 1°—AE. მომცნნა B. რომელსაჯBS. [12] ჩემდამო B. აღდეგ+და B. ურჯულო E, უსჯულო S. იგი 1°]ეგე B. გარდაქდეს S+მწრაფლ გზათაგან B. რომელი 2° BS. ქმნეს B. კერპი გამოქანდაკებული BS. თაყუანის-სცეს BES. ხატსა—B. [13] —ესე ერი E. არს]არიან B. [14] მიმიშუ B. აღვჰკოცო S. [15] მოვიქეც+და BES. გარდამოვედ] მოვედ B. ~იგი ფიცარნი BE. [16] კერპი]ზვარაკი B. გამოდუღებით BS]გამოდუღებული E. რომელი B.

G: [9] ვსჳ.

ABES

გამცნო თქუენ უფალმან. 17 და მოვიხუენ ორნივე იგი ფიცარნი ორთაჲ კელთა ჩემთაგან, დავსთხიენ იგინი წინაშე თქუენსა [330r] და დავმუსრენ. 18 და დავვარდი წინაშე უფლისა და ვილოცევდ, ვითარცა-იგი პირველად ორმეოც დღე და ორმეოც ღამე. პური არა ვჭამე და არცა წყალი ვსუ ყოველთა მათ ცოდვათა თქუენთათჳს, რომელი-იგი სცოდეთ თქუენ და ბოროტი ჰქმენით წინაშე უფლისა და განარისხეთ იგი. 19 და შეშინებულ ვიყავ მე გულისწყრომისათჳს რისხვისა, რამეთუ განრისხნა უფალი თქუენ ზედა, რაჲთამცა აღგყოცნა თქუენ ქუეყანით. და შეესმა ჩემი უფალსა მას ჟამსა შინა. 20 და აჰრონის ზედაცა გან-ვე-რისხნა უფალი ფრიად, რაჲთამცა მოსპო იგი. და აჰრონისთჳსცა ვილოცე მას ჟამსა შინა. 21 და ცოდვა იგი თქუენი, რომელ ჰქმენით, ჴბოჲ იგი მოვიღე და დავწვი ცეცხლითა, დავჴერ და დავმუსრე იგი წულილად და შევქმენ იგი ვითარცა მტუერი და შთავაბნიე იგი ჴევსა მას, რომელ-იგი გარდამოვიდოდა მიერ მთით. 22 შეწუევითა მით და განცდითა და სამარეთა მათ გულისთქუმისათა განარისხეთ უფალი ღმერთი თქუენი. 23 და რაჟამს წარგავლინნა უფალმან კადეს ბარნედ და გრქუა: აღვედით და დაიმკჳდრეთ ქუეყანა იგი, რომელ-იგი მიგცე თქუენ. ხოლო თქუენ ურჩ-ექმნენით და არა ისმინეთ ჴმა უფლისა ღმრთისა თქუენისა, არცაღა გრწმენა მისი და არცა ისმინეთ [330v] ჴმისა მისისა. 24 არამედ ურჩებით ურჩ-ექმნენით უფალსა მიერ დღითგანვე, ვი-

G

გამცნო უფალმან თქუენ, 17 მოჰხუმელმან ორთა მათ ფიცართამან დავსთხიენ იგინი ორთავე კელთა ჩემთაგან წინაშე თქუენსა და დავმუსრენ. 18 და ვეჳდრე წინაშე [228v] უფლისა მეორედ, ვითარ-იგი პირველცა ორმეოცთა ღღეთა და ორმეოცთა ღამეთა. პური არა ვჭამე და წყალი არა ვსუ ყოველთათჳს ცოდვათა თქუენთა, რომელნი სცოდენით ქმნითა ბოროტისაჲთა წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა განძჳნებად მისსა. 19 და შეშინებულ ვიყავ გულისწყრომისათჳს და რისხვისა, რამეთუ განძჳნდა უფალი თქუენ ზედა მოსრვად თქუენდა. და შეესმა უფალსა ჩემი მას ჟამსა შინა. 20 და აარონს ზედაცა გულმწყრალ-იქმნა ფრიად მოსპოლვად მისსა. და ვილოცე აარონისთჳსცა ჟამსა მას. 21 და ცოდვაჲ თქუენი, რომელ ჰქმენით, ჴბოჲ მოვიღე იგი და დავწუ იგი ცეცხლითა და დავჴარ იგი დამმუსრველმან ფრიად, ვიდრე არა იქმნა მწულილ და იქმნა ვითარცა მტუერი, და შთავაბნიე მტუერი იგი ღუარსა შთამომავალსა მთით. 22 და მოწუეასა მას და განცდასა და სამარეთა მათ გულისთქუმისათა და განაძჳნეთ უფალი ღმერთი თქუენი. 23 და წარგავლინნა კადის ბარნით მეტყუელმან: აღვედით, დაიმკჳდრეთ ქუეყანაჲ, რომელსა მე მიგცემ თქუენ. და ურჩ-ექმნენით სიტყუასა უფლისა ღმრთისა თქუენისასა და არაჲრწმუნებელ-ექმნენით მას და არა ისმინეთ ჴმისა მისისაჲ. 24 არამედ ურჩქმნილ-იყვენით უფლისა მიმართ მიერ დღით-

ABES: 16 უფალმან+ყოფად B. 17 ორნი B. ჩემთაგან+და BS. დავსთხიენ]დავსხენ B. 18 დავარდი ABE. უფლისა]ღმრთისა მეორეთ B. ვიღოცე+ფრიად B. პირველ BS. ვსკი B. ჰქმნ-ნით E. უფლისა+ღმრთისა თქუენისა B. 19 რისხვასა B, რისხვისაჲსა S, 20 პრონს B. ზედა B. განრისხნა BS. რაჲთა BE. მოსპო]წარწყმიდოს B. აჰრონისთჳს—B. შინა+აჰრონისა წილ B. 21 ცოდვანი B. თქუენნი B. ჰქნენით B. მოვიღე+იგი S. დავსწუი+იგი B. დაჴერ B, დაჴარ S. შეუჰქმენ B. შთაჲბნიე B. იგი 4°+ვითარცა B. რომელი 2° B. 22 და 2°—B. განარისხნა B. 23 წარავლინნა B, წარავლინნა S. კადეს ბარნედ B. გრქუ A, გარქუ E. რომელი B. იგი+მე B. მოგეც B თ უენ 1°—B. ეჰმენით B. თქუენისა+და B. 24 ეჰმენით B. დღითგანვე]დღითგან ვე B.

G 18 ჴსკ. 21 დავწუ.

ABES

ნათგანცა გამოგეცხადა თქუენ. [25] მერმე ვიღოცევდ მე წინაშე უფლისა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე. რაჲდენცა-იგი ვიღოცევდ, რამეთუ თქუა უფალმან მოსრვა თქუენი. [26] და ვიღოცევდ უფლისა მიმართ და ვთქუ: უფალო, უფალო საუკუნეო, ნუ მოსრავ ერსა ამას შენსა და სამკჳდრებელსა შენსა, რომელ-ესე იჯსენ ძალითა მაგით შენითა დიდითა, რომელ გამოიყვანე ქუეყანით ეგჳპტით კელითა მაგით მტკიცითა და მკლავითა მაღლითა. [27] მოიჯსენე აბრაჰამი, ისაკი და იაკობი — მონანი შენნი და ნუ მიხედავ სიფიცხლესა ამის ერისასა და ნუცა უკეთურებასა მათსა. [28] ნუსადა თქუან მკჳდრთა მათ მის ქუეყანისათა, ვინა გამოგჳყვანენ ჩუენ, ვითარმედ: ვერ ვიდრემე შეუძლო უფალმან შეყვანებად მათა ქუეყანასა მას, რომელ აღუთქუა მათ, არამედ სიძულილით გამოიყვანნა იგინი და მოსრნა იგინი უდაბნოსა მას. [29] არამედ ესე ერი შენი არს და სამკჳდრებელი შენი, რომელ გამოიყვანენ ქუეყანისა მისგან ეგჳპტელთასა ძალითა დიდითა და მკლავითა მაღლითა.

G

განგან, რომლით გამოგეცხადა თქუენ. [25] და ვეჳედრე მე წინაშე უფლისა ორმეოცთა დღეთა და ორმეოცთა ღამეთა, რაოდენთა ვეჳედრე, რამეთუ თქუა უფალმან მოსრვაჲ თქუენი. [26] და ვილო[229r]ცე ღმრთისა მიმართ და ვთქუ: უფალო, უფალო, მეფეო ღმერთთაო, ნუ მოსრავ ერსა შენსა და სამკჳდრებელსა შენსა, რომელი იჯსენ ძალითა შენითა დიდითა; რომელნი გამოიყვანენ ეგჳპტით ძალითა შენითა დიდითა და კელითა შენითა მტკიცითა და მკლავითა შენითა მაღლითა. [27] მოიჯსენე აბრაამისი და ისაკისი და იაკობისი — მსახურთა შენთაჲ, რომელთა ეფუცე თავისა მიმართ შენისა. ნუ მოიხილავ სიფიცხესა ზედა ამის ერისასა და უმსახურებელობათა ზედა და ცოდვათა ზედა მათთა. [28] ნუუკუე თქუან დამკჳდრებულთა ქუეყანისათა, ვინაჲ გამომიყვანენ ჩუენ მიერ, მეტყუელთა: ვერ შემძლებელობისათჳს უფლისა შეყვანებად მათდა ქუეყანად, რომელი ჰრქუა მათ, და სიძულილისათჳს მათისა განიყვანნა იგინი მოსიკუდიდ უდაბნოსა ზედა. [29] და ესე ერი შენი და ნაწილი შენი, რომელნი გამოიყვანენ ქუეყანით ეგჳპტით ძალითა შენითა დიდითა და მკლავითა შენითა მაღლითა.

თავი X

[1] მას ჟამსა შინა მრქუა მე უფალმან: გამოთალენ თავისა შენისა ორნი ფიცარნი ქვისანი მსგავსად პირველისა მის და აღმო[331r]გუალე ჩემდა

[1] და მას ჟამსა შინა თქუა უფალმან ჩემდამო: გამოთალენ თავისა შენისა ორნი ფიცარნი ქვისანი, ვითარ-იგი პირველნი, და აღმოვედ ჩემდამო მთად

ABES: [24] ვინადგანცა B. [25] რაოდენცა B. რამეთუ... თქუენი—E. [26] და ვილოცევდ—E. საუკუნეო]მეუ0ფეო ღთ˜თაო B. და სამკჳდრებელსა შენსა—AE. მიჯსენ B. გამომიყვანე B. ეგჳპტით+ძალითა შენითა დიდითა B. [27] ჰაბრაამისი B, აბრაჰამისი S. ისააკისი B, ისაკისი S. იაკობისი BS+და B. და 2°]რომელ ეფუცე ჩუენთჳს B. ნუცა]ნუცაღა BS. მათსა+ნუცა ცოდვათა მათთა B. [29] მათ 1°—B. ვინაჲვინ B. გამომიყვანა B, გამომიყვანენ S. ვითარმედ ვერ]ფრიად მეტყველთა B]—S. ვიდრემდე AE, ვერვე მე S. მათა—BS. რომელი B. მათ 2°—B. და მოსრნა იგინ-ი]ღმერთმან წარწყმედად B. [29] ძალითა+შენითა B. დიდ-დიდითა B. მკლავითა+შენითა B. X: [1] გამოსთალენ B. შენ—E.

G: [27] ისააკისი Gb.

ABES

მთასა მას და იქმნე შენ თავისა შენისა კიდობანაკი ძელთაგან ულპოლველთა. [2] და დავწერო ფიცართა მათ შჯული იგი პირველი, რომელ-იგი იყო პირველთა მათ ფიცართა, რომელ-იგი შენ დაჰმუსრენ, და შთასხნე ფიცარნი იგი კიდობანაკსა მას. [3] და შევქმენ მე კიდობანი ერთი ძელთაგან ულპოლველთა და გამოვთალენ ორნი ფიცარნი ქვისანი მსგავსად პირველთა მათ და აღვედ მთასა მას და ორნი იგი ფიცარნი ჯელთა შინა ჩემთა. [4] და დაწერა ფიცართა მათ ზედა ათი იგი მცნება, რომელთა-იგი გეტყოდა თქუენ უფალი მთასა მას ზედა შორის ცეცხლსა მას, და მომცნა მე იგი უფალმან. [5] და მოვიქეც, გარდამოვედ მე მიერ მთით და შთავსხენ მე ფიცარნი იგი კიდობანსა მას, რომელ-იგი შევქმენ, ვითარცა მიბრძანა მე უფალმან. [6] და წარიძრნეს, წარვიდეს ძენი იგი ისრაელისანი ბეროთით ძეთა მათგან აკასისთა მუსალად და მუნ მოკუდა აჰრონ და დაეფლა. და შედგა მღდელობად მის წილ ელეაზარ, ძე მისი. [7] მიერ წარიძრნეს გალგალად და გალგალით მივიდეს ტებად ქუეყანასა მას მდინარეთა წყალთასა. [8] მას ჟამსა შინა გამოარჩია უფალმან [331v] ნათესავი იგი ლევისი აღღებად კიდობნისა მის შჯულისა უფლისა, შეწირვად მსახურებათა და ლოცვათა სახელისათჳს უფლისასა დღენდელად დღედმდე. [9] ამის გამო არა უც ნაწილ და სამკჳდრებელ ლევიტელთა ძმათა შორის თჳსთა, რამეთუ უფალი თავადი ნაწილ და სამკჳდრებელ არს

G

და ჰქმნე თავისა შენისად კიდობანი ძელისაჲ. [2] და დავწერნე ფიცართა ზედა სიტყუანი, რაოდენნი იყუნეს ფიცართა ზედა პირველთა, რომელნი შეჰმუსრენ, და შთაჰსხნე იგინი კიდობანსა. [3] და ვჰქმენ კიდობანი ძელთაგან ულპოლაჲთა, და გამოვთალენ ორნი ფიცარნი ქვისანი, ვითარ-იგი პირველნი, და აღვედ მთად და ორნი ფიცარნი ორთა შინა ჯელთა ჩემთა. [4] და დაწერა ფიცართა ზედა მსგავსად წერილისა პირველისა ათნი სიტყუანი, რომელთა იტყოდა უფალი თქუენდა მიმართ მთასა ზედა საშუალით ცეცხლისაჲთ, და მომცნა უფალმან იგინი მე. [5] და მოვიქეც და გარდამოვედ მთით და შთავსხენ ფიცარნი კიდობანსა, რომელი შევქმენ, და იყუნეს მუნ, ვითარცა მამცნო მე უფალმან. [6] და ძენი ისრაელისანი [229v] ისტრნეს ბიროთით ძეთა იაკიმისთა მისადაჲთ. მუნ მოკუდა აარონ და დაეფლა მუნ და მღდელობდა ელეაზარ ძე მისი მის წილ. [7] მიერ ისტრნეს ღადღად და ღადღადით — იეტავათად ქუეყანასა წყალთა ღუარისასა. [8] მას ჟამსა შინა განაჩინა უფალმან ტომი ლევისი აღღებად კიდობანი აღთქუმისა უფლისაჲ, წარდგომად წინაშე უფლისა, მსახურებად და ლოცვად სახელითა უფლისაჲთა ვიდრე ამის დღისამდე. [9] ამისთჳს არა არს ლევიტელთა კერძი, არცა ნაწილი ძმათა შორის მათთა, უფალი ღმერთი ნაწილ

ABES: [1] კიდობანიკი E, კიდობნაკი A, კიდობანი B. ულპოლველთა—B. [2] დავსწერო B. იგი პირველი—B. რომელ 2°]რომელნი BS. დამუსრენ BE. შთასხენ B, ფიცარნი იგი—B. კიდობანიკსა E, კიდობანსა BS, კიდობნაკსა A. მას]იგი BS. [3] შევჰქმენ B. გამოვსთალენ B. [4] ზედა+წერილითა პირველითა B, იგი 2°]იგინი S. [5] მოვიქეც+და BS. მას—S. რომელი B. შეჰქმენ BE+და იყო მუნ B. ვითარცა+იგი B. [6] წარიძრნეს E+და BS. კასისთა E. მუსალად]მოსლვად S. და 2°—B. და 4°]მუნ B. შედგა]დადგა B. ელიაზარ BES. [7] გალაგალად B, გალგალდ S. გალგალით]გალგლად B. მივედით AE. ტებად]იეტათათს B. ~ მდინარესა წყალთასა ქუეყანასა მას B. [8] ლევისაჲ B. აღებად B. სჯულისა E. უფლისა+დგომად წინაშე უფლისა B. უფლისასა] უფლისა B S. დღეინდელად BE, დღენდეულად S. [9] ნაწილი BS. სამკჳდრებელი B.

ABES

მათა. [10] და მე დავადგერ მთასა მას ზედა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე. მას ჟამსა შეისმინა ჩემი უფალმან და არა ჯერ-იჩინა მოსრვა მათი. [11] სიტყუად იწყო ჩემდა უფალმან და მრქუა: აღჰკიდე, ვიდოდე, წარუძღუ ერსა მაგას, შეეიდედ და დაიმკჳდრედ ქუეყანა იგი, რომელ-იგი ვეფუცე მამათა მათთა მიცემად მათა.

[12] აწ, ისრაელ, რასა ითხოვს უფალი ღმერთი შენგან? არამედ რაჲთა გეშინოდის შენ უფლისა ღმრთისა შენისა და ხჳდოდე შენ ყოველთა გზათა მისთა და შეიყუარო იგი და ჰმსახურებდე შენ უფალსა ღმერთსა შენსა ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა [13] და დაიცვნე მცნებანი და სამართალნი უფლისა ღმრთისა შენისანი და მსჯავრნი იგი მისნი, რომელთა-ესე გამცნებ შენ დღეს დღე, რაჲთა კეთილი გეყოს შენ. [14] აჰა ესერა, უფლისა ღმრთისა შენისანი არიან ცანი და ცანი ცათანი, ქუეყანა და ყოველი, რაჲ არს მას შინა. [15] ხოლო მამანი თქუენნი [332r] გამოირჩინა უფალმან, შეიყუარნა იგინი და შემდგომად მათსა გამოგირჩინა თქუენ ნათესაჲი ეგე მათი ყოველთა უფროს წარმართთა ვიდრე დღენდელად დღედმდე. [16] აწ განიშორეთ სიფიცხლე ეგე გულთა თქუენთა და ქედთა თქუენთა და მერმე ნუღარა განჰფიცხნებით. [17] რამეთუ უფალი ღმერთი თქუენი იგი თავადი არს ღმერთი ღმერთთა და უფალი უფალთა, ღმერთი დიდი და ძლიერი და საშინელი, რომელმან არა თუალ-

G

მისსა, ვითარცა ჰრქუა მას. [10] და მე ვიყავ მთასა ზედა ორმეოცთა დღეთა და ორმეოცთა ღამეთა. და შეისმინა უფალმან ჩემი ამას ჟამსა შინა და არა ინება უფალმან მოსრვაჲ თქუენი. [11] და თქუა უფალმან ჩემდამო: ვიდოდე, ისტრვოდე წინაშე ერისა ამის. და შევიდენ და დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ, რომელსა ვეფუცე მამათა მათთა მიცემად მათდა.

[12] და აწ, ისრაელ, რასა უფალი ღმერთი შენი ეძიებს შენგან? არამედ რაჲთა გეშინოდის უფლისა ღმრთისა შენისა, ხჳდოდი ყოველთა გზათა მისთა და გიყუარდეს იგი და ჰმსახურებდე უფალსა ღმერთსა შენსა ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა [13] დაცვად მცნებათა უფლისა ღმრთისა შენისათა და სამართალთა მისთა, რაოდენთა მე გამცნებ შენ დღეს, რაჲთა კეთილ იყოს შენდა. [14] აჰა, უფლისა ღმრთისა შენისაჲ არს ცაჲ და ცაჲ ცისაჲ და ქუეყანაჲ და ყოველნი, რაოდენნი არიან მათ შორის. [15] გარნა მამანი თქუენნი წინა-ალირჩინა უფალმან შეყუარებად იგინი და გამოირჩინა უფალმან შეყუარებად იგინი და გამოირჩია თესლი მათი მათ თანა, თქუენ უფროჲს ყოველთა წარმართთასა მსგავსად დღისა ამის. [16] და წინა-დაიცჳთეთ გულფიცხელობაჲ თქუენი და ქედი თქუენი არა განიფიცხოთ მერმე. [17] [230r] რამეთუ უფალი ღმერთი თქუენი ესე არს ღმერთი ღმერთთაჲ და უფალი უფალთაჲ, ღმერთი დიდი და ძლიერი და საშინელი, რომელსა არა დაუკჳრდების პირი კაცი-

---

ABES: [9] მათდაჲ B. [10] დავადგრე E. ჟამსა+შინა B. ჯერ-იჩინნა B. მოსურვა B. [11] ჰრქუა B. შეეიდენ BS. დაიმკჳდრონ BS. იგი 2°—B. მათთა]მათ თქუენთა B. მათა—B. [12] ისრაჱლ B. გეშინოდეს B. შენ 1°—B. ხჳდოდი S. შენ 2°—B. შეიყუარო]შეგუარო AB. მსახურებდე B. გულითა]გონებთა B. გონებითა]გულითა B. [13] მშჯავრნი BS. იგი—BS. [14] შენისა B. ცანი და[ყოველნი B. არს] არნ B. [15] გამოირჩია AE. შეიყუარა AE. გამოგირჩიენა B. დღეინდელად BE. დღემდე B. [16] განფიცხნებით BES. [17] იგივე E]—B. უფალთა]უფლებათა და B. ძლიერი+და არაძლიერი AE.

ABES

ახუნის, არცა მიიღის ქრთამი. 18 ყვის სასჯელი მწირისა, ობლისა და ქურივისა: და შეიყუარის მწირი იგი და სცის მას პური და სასუმელი. 19 აწ შეიყუარეთ თქუენ მწირი იგი და მსხემი, რამეთუ თქუენცა მწირ და მსხემ იყვენით ქუეყანასა მას ეგჳპტელთასა. 20 უფლისა ღმრთისა შენისა გეშინოდენ და მას მხოლოსა ჰმსახურებდე, მას შეეყო და სახელსა მისსა ჰფუცევიდე. 21 რამეთუ იგი არს სიქადულ შენდა და იგი თავადი არს ღმერთი შენი, რომელმან-იგი ყო შენ ზედა სასწაული დიდ-დიდი და საკჳრველება, რომელ იხილეს თუალთა შენთა. 22 რამეთუ სამეოცდაათ სულ შთავიდეს მამანი იგი თქუენნი ეგჳპტედ. აწ, ეგერა, შეგქმნა შენ უფალმან ღმერთმან შენმან ვითარცა ვარსკულავნი ცისანი სიმრავლითა.

G

საჲ, არცა მიიღებს ქრთამსა. 18 ჰყოფს მშჯავრსა მწირისა და ობლისა და ქურივისასა, და უყუარს მწირი, მიცემად მისსა პური და შესამოსელი. 19 და შეიყუარეთ მწირი, რამეთუ მწირ იყვენით ქუეყანასა ეგჳპტისასა. 20 უფლისა ღმრთისა შენისა გეშინოდენ და მას მხოლოსა ჰმსახურებდ და მისსა მიმართ შედგომილ იყავ და სახელსა მისსა ფუცევედი. 21 იგი არს სიქადული შენი და იგი ღმერთი შენი, რომელმანცა გაყვნა შენ დიდნი ესე და დიდებულნი, რომელნი იხილნეს თუალთა შენთა. 22 სამეოცდაათნი სულნი შთავიდეს მამანი შენნი ეგჳპტედ, ხოლო აწ გყო შენ უფალმან ღმერთმან შენმან ვითარცა ვარსკუ[230v]ლავნი ცისანი სიმრავლითა.

თავი XI

1 შეიყუარო შენ უფალი ღმერთი შენი და დაიმარხნე მცნებანი მისნი [332v] და წამებანი და სამართალნი მისნი და მსჯავრნი ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა. 2 და გულისჴმა-ჰყო დღეს, ვითარმედ: არა თუ ყრმანი თქუენნი, რომელთა არარა უწყიან და არცა იხილეს სწაელა იგი უფლისა ღმრთისა თქუენისა და საკჳრველებანი მისნი, ჴელი იგი მტკიცე და მკლავი იგი მაღალი, 3 სასწაულნი მისნი და საქმენი იგი მისნი, რომელ ჰყო უფალმან ღმერთმან ეგჳპტეს ფარაო მეფისა ზედა და ყოველსა ქუეყანასა მისსა 4 და რა-იგი უყო ერსა მას მეგჳპტელთასა, ეტლებსა და ჰუნებსა მათსა, ვითარ-

1 და შეიყუარო უფალი ღმერთი შენი და დაიცვნე დასაცველნი მისნი და სამართალნი მისნი და მშჯავრნი მისნი ყოველთა დღეთა. 2 და გულისჴმა-ჰყოთ დღეს, ვითარმედ არა ყრმათა თქუენთა, რომელთა არა უწყიან, არცა იხილეს წურთაჲ უფლისა ღმრთისა შენისაჲ და დიდებულებანი მისნი და ჴელი მტკიცე და მკლავი მაღალი, 3 და სასწაულნი მისნი და ნიშნი მისნი, რომელნი ქმნნა შორის ეგჳპტისა ფარაოს მეფესა ეგჳპტისასა და ყოველსა ქუეყანასა მისსა 4 და რაოდენი უყო ძალსა მეგჳპტელთასა, ეტლთა მათთა და ცხენსა მათსა, ვითარ დაფარნა წყალმან ზღჳსა-

ABES: 17 მიიღის]შეიღეს S. 18 ჰყვის B, მიყუს E. სასჯალი B. და 1°—E. და 2°—BS. იგი—B. 19 შეიყუარეთ]შეიწყნარეთ B. იგი—B. რამეთუ.... მსხემ--AE. მწირი 2° B. მსხემიე 2° B. მეგჳპტელთასა B. 20 მსახურებდე B. 21 რომელი B. 22 სული B. XI: 1 შენ—BE. მშჯავრნი S. ცხოერებისა B. 2 იგი 3°—E. 3 ყო BS. უფალმან ღმერთმან]შ-ს B. ფარაოს B, ფაროს E. ზედა+ეგჳპტისასა B. 4 რაჲარა A.

ABES

იგი დაფარნა წყალმან ერჳთრისა მის ზღჳსამან წინაშე მდევართა თქუენთა, რამეთუ წარწყმიდნა იგინი უფალმან მოდღეგნდელად დღედმდე, [5] და რავდენ-რაჲ ყო თქუენთჳს უდაბნოსა მას, ვიდრე მოსლვად მოწევნადმდე ადგილსა ამას, [6] და რავდენი-რაჲ უყო დათანს და აბირონს, ძეთა მათ ელიაბისთა, ძისა რუბენისთა, ვითარ-იგი აღაღო ქუეყანამან პირი თჳსი და დაანთქნა იგინი და ყოველი სიმდიდრე ნაყოფისა მათისა და ყოველნი სახლნი მათნი და საყოფელნი მათნი შორის ძეთა მათ ისრაელისათა. [7] რამეთუ თუალთა თქუენთა იხილნეს ყოველნი საქმენი უფლისანი და საკჳრველებანი მისნი, რომელ ყვნა თქუენ შორის მოდღეგნდელად დღედმდე. [8] ეკრძალენით [333r] დამარხვად ყოველთა მცნებათა მისთა, რომელ-ესე მე გამცნებ თქუენ დღეს, რაჲთა სცხონდეთ და განჰმრაელდეთ, და შეხჳდეთ და დაიმკჳდროთ ქუეყანა იგი, რომლისათჳს-ეგე წიაღ-ხუალთ იორდანესა დამკჳდრებად მუნ, [9] რაჲთა დღეგრძელ იყვნეთ ქუეყანასა მას ზედა, რომლისათჳს-იგი ეფუცა უფალი მამათა მათ თქუენთა მიცემად მათდა და ნათესაჲსა მათისა შემდგომად მათსა ქუეყანასა, რომელსა გამოსდის სძე და თაფლი. [10] რამეთუ ქუეყანა იგი, რომელსა თქუენ შეხუალთ დამკჳდრებად, არა ეგრე არს, ვითარ-იგი ქუეყანა ეგჳპტელთა, ვინაიგი თქუენ გამოხუედით, რამეთუ რაჟამს დასთესიან თესლი და მორწყიან ფერჴითა მათითა, განჴმნიან ვითარ ყუერბი მტილისა. [11] ხოლო ქუეყანა იგი, რომელსა თქუენ შეხუალთ დამკჳდრებად, ქუეყანა — მთა და ბარი — ცუა-

G

მან წინაშე პირსა მათსა, გუდევდეს რაჲ იგინი შემდგომად ჩუენსა, და წარწყმიდნა იგინი უფალმან ვიდრე დღენდელად დღემდე, [5] და რაოდენი გიყო თქუენ უდაბნოს ზედა, ვიდრემდის მოხუედით ადგილსა ამას, [6] და რაოდენი უყო დათანს და აბირონს, ძეთა ელიაბისთა, ძისა რუბენისთა, რომელნი განმღებელმან პირისა თჳსისა[231r]მან ქუეყანამან შთანთქნა იგინი და სახლნი მათნი და კარაულნი მათნი და ყოველი საცხორებელი მათი მათ თანა შორის ყოვლისა ისრაელისა. [7] თუალნი თქუენნი ჰხედვიდეს ყოველთა საქმეთა უფლისათა დიდთა, რომელნი გიყუნა თქუენ დღეს. [8] და დაიცუენით ყოველნი მცნებანი მისნი, რაოდენთა მე გამცნებ თქუენ დღეს, რაჲთა ცოცხალ იყუნეთ და განჰმრავალწილნეთ და შეხჳდეთ და დაიმკჳდროთ ქუეყანაჲ, რომლისა მიმართ თქუენ განჰვლით იორდანესა მუნ დამკჳდრებად მისსა, [9] რაჲთა იდღეგრძელოთ ქუეყანასა ზედა, რომელსა ეფუცა უფალი მამათა თქუენთა მიცემად მათდა და თესლისა მათისა მათ თანა, ქუეყანაჲ დამომდინარე სძისა და თაფლისაჲ. [10] რამეთუ არს ქუეყანაჲ, რომლისა მიმართ თქუენ შეხუალთ მუნ დამკჳდრებად მისსა, არა ვითარ ქუეყანაჲ ეგჳპტისაჲ არს, ვინაჲ გამოხუედით მუნით, რაჟამს დასთესიან თესლი და მორწყიან ფერჴებითა, ვითარცა მტილი მხლისაჲ. [11] ხოლო ქუეყანაჲ, რომელსა შეხუალ შენ დამკჳდრებად მისსა, ქუეყანაჲ მთოვანი და [231v] ველოვანი წჳმისაგან ცისა

ABES: [4] წყალმან ერჳთრის]ა მის]ერით~რთ მისით B. ერთრისა S. ზღჳამან B. წარსწყმიდნა B. უფალმან+ღ~ნ B. მოდღეინდელად BE. [5] რაოდენი B. ყო]იყო B. მას B. [6] რაოდენი B. ელეაბისთა S. დანთქა B, დანთქნა S. იგინი]იგი B. [7] მოდღეინდელად BE. [8] თქუენ—B. სცხონდეთ BE. განმრაელდეთ BES. ეგე—B. იორდანეს B. [9] მათა და]მათდა B. გამოდის A. [10] მეგჳპტელთა B. ვინა]რომელი B]საადათ S. ~თქუენ იგი AE. თესლ E. განჴმნიან B. ვითარ—B. ყურები S. [11] დამკჳდრებად+იგი B.

ABES

რისაგან ზეცისასა ირწყვის იგი, 12 რომელსა-იგი უფალი ღმერთი თჳთ ღუწის და თუალნი უფლისა ღმრთისანი მას ზედა არიან დასაბამითგან წელიწადისათ და მიაღსასრულამდე წელიწადისა.

13 უკუეთუ სმენით ისმინნეთ ყოველნი ესე მცნებანი ჩემნი, რომელთა-ესე დღეს გამცნებ თქუენ, და შეიყუარონ უფალი ღმერთი თქუენი და ჰმსახურებდეთ მას ყოვლითაჳე გულითა [333v] თქუენითა და ყოვლითა ძალითა თქუენითა, 14 მოგცეს უფალმან წჳმა ქუეყანასა თქუენსა ჟამსა შინა მისსა მსთუა და მცხუედი და შეიკრიბო შენ იფქლი შენი და ღჳნო შენი. 15 და მოგცეს შენ თივა ველთაგან შენთა საზრდელად საცხოვართა შენთა, ჰჭამდეღა და განსძღებოდი, 16 იგულე თავი შენი, ნუუკუე განჰსუქნე და განვრცნე და შეცთეს გული შენი და ჰმსახურებდეთ და თაყუანის-სცემდეთ ღმერთთა უცხოთა. 17 და განრისხნეს გულისწყრომით უფალი თქუენ ზედა და დააყენნეს ცანი და არა გამოსცეს წჳმა, და ქუეყანამან არა გამოსცეს ნაჲყოფი თჳსი, და წარსწყმდეთ მსთუად ქუეყანისა მისგან კეთილისა, რომელი-ვი უფალმან მოგცეს თქუენ. 18 დაისხენით მცნებანი ესე ჩემნი გულსა თქუენსა და გონებასა თქუენსა და შეიბნეთ იგი სასწაულად კელთა თქუენთა. და იყუნენ იგინი შეურყეველად წინაშე

G

სუამს წყალსა, 12 ქუეყანაჲ, რომელსა უფალი ღმერთი ზედა-ჰხედავს მას მარადის, თუალნი უფლისა ღმრთისანი მას ზედა დასაბამითგან წელიწდისაჲთ ვიდრე აღსასრულამდე წელიწდისა.

13 ხოლო უკუეთუ სმენით ისმინნეთ ყოველნი მცნებანი მისნი, რომელთა მე გამცნებ თქუენ დღეს, შეყუარებად უფლისა ღმრთისა შენისა და მსახურებად მისსა ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა, 14 და მოსცეს წჳმაჲ ქუეყანასა შენსა ჟამიერი ჟამსა თჳსსა მსთოაჲ და მცხუედი და შეიკრიბო იფქლი შენი და ღჳნოჲ შენი და ზეთი შენი, 15 და მოცემაჲ თივათაჲ ველთაგან შენთა საცხოვართა შენთათჳს, და შჭამო რაჲ, და განსძღე, 16 ეკრძალე თავსა შენსა, ნუსადა განზრქნეს გული შენი და გარდაჰკდეთ და ჰმსახუროთ ღმერთთა სხუათა და თაყუანის-სცეთ მათ. 17 და გულისწყრომით განრისხნეს უფალი თქუენ ზედა და შეკრას ცაჲ და არა იყოს წჳმაჲ და ქუეყანამან არა მოსცეს ნაყოფი მისი, და წარსწყმდეთ [232r] მწრაფლ ქუეყანისაგან კეთილისა, რომელი მოგცა თქუენ უფალმან. 18 და შეიხუენით სიტყუანი ესე გულად თქუენდა და სულად თქუენდა და შეიბენით ესენი სასწაულად კელსა თქუენსა და იყუნენ შეუძრველ წინაშე თუალთა თქუენთა.

ABES: 11 იგი 2°+წყლითა B. 12 რომელსა]ქუეყანა რომელსა B. იღუწის E, ⌈ღუწილ BS. ღმრთისანი+მარადის BS. წელ⌈წადის⌋თა E, წელიწდისაჲთ S. წელიწდისა]წელიწდისათ+უკუე სმენით B. 13 სმენით—B. ისმინეთ S. ისმინოთ B. მცნებანი ჩემნი]სიტყუანი მცნებისა მისისანი B. ესე 2°+აწ B. მსახურებდეთ B, ჰმსახურებდით S. მას]მათ BS. 14 უფალმან—B. თქუენსა—B. შინა—E. მსთჳაჲ E, მსთუძდი B. შენ—E. შენი 2°+და ზეთი შენი BS. 15 თივა]საკმელი B. ჰშჭამდე-ღა E. შჭამდელა BS. განძღებოდი B, განსძღებოდე E. 16 განსუქნე BES. შესცთეს AES. მსახურებდეთ B. თაყუანი—სცემდეთ BES. 17 ~უფალი გულისწყრომით (გულისწყრომითა B) BS. დაეყენნეს S. ცანი—A. წარწყმდეთ S. კეთილთასა BE, კეთილთაჲსა S. რომელი E. 18 დაისხენი D. ესე—B. გულთა თქუენთა BS. გონებასა]სულთა B]—S. თქუენსა 2°]თქუენთა B]—S. და 2°—S. ოქუენთა 2°+და S. 19 ასწაულნეთ BS. იტყოდით E, იტყოდიან B. ამას]მას B. წოლასა E. შენსა 4°+და S.

ABES

თუალთა თქუენთა. 19 და ასწავნეთ ესე შვილთა მათ თქუენთა. და იტყოდი ამას ჴდომასა სახლსა შენსა და სლვასა გზასა შენსა და დაწოლასა სარეცელსა შენსა და აღდგომასა შენსა. 20 და დასწერე ესე ზღურბლთა სახლისა თქუენისათა და ბჭეთა თქუენთა ზედა, 21 რაჲთა განმრავლდენ დღენი თქუენნი და დღენი ნაშობთა მათ თქუენთანი ქუეყანასა მას ზედა, [334r] რომლისათჳს ეფუცა უფალი მამათა მათ თქუენთა მიცემად მათა, ვითარცა დღენი ცისანი ქუეყანასა ზედა. 22 და იყოს, უკუეთუ სმენით ისმინნეთ მცნებანი ესე ჩემნი, რომელთა-ესე მე გამცნებ თქუენ დღეს, და ჰყოთ ესე და შეიყუაროთ უფალი ღმერთი თქუენი და ხჳდოდით ყოველთა გზათა მისთა და შეეყუნეთ მას, 23 განასხნეს უფალმან ყოველნი წარმართნი პირისაგან თქუენისა და დაიმკჳდრნე შენ ნათესავნი დიდნი და უძლიერესნი შენსა. 24 ყოველსავე ადგილსა, რომელსაცა დასდგათ კუალი ფერჴისა თქუენისა, თქუენი იყოს უდაბნოთგან დიდით ვიდრე ლიბანედმდე და მდინარით დიდით ევფრატით და ვიდრე ზღუად დიდადმდე, დასავალით კერძო იყავნ საზღვარი თქუენი. 25 არაჲინ გიჴდებოდის თქუენ და არცაღა მო-ვინ-გეჴცეს პირსა თქუენსა, რამეთუ შიში და ზარი თქუენი მიჰფინოს უფალმან ღმერთმან თქუენმან ყოველსა მას ქუეყანასა, რომელსაცა მიხჳდოდით თქუენ, ვითარცა გეტყოდა თქუენ უფალი.

26 აჰა ესერა, მიგცემ თქუენ დღეს წყევასა და კურთხევასა. 27 კურთხევასა ამისთჳს, თუ ისმინნეთ მცნებანი უფლისა ღმრთისა თქუენისანი, რომელსა-

G

19 და ასწავენით ესენი შვილთა თქუენთა, მსხდომარეთა სახლსა შინა და მავალთა გზასა ზედა და მწოლარეთა და მდგომარეთა. 20 და დაწერენით წყირთლთა ზედა სახლთა თქუენთასა და ბჭეთა თქუენთა, 21 რაჲთა იმრავალდღეოთ და დღენი ძეთა თქუენთანი ქუეყანასა ზედა, რომელსა ეფუცა უფალი მამათა თქუენთა მიცემად მათდა, ვითარცა დღენი ცისანი ქუეყანასა ზედა. 22 და იყოს, უკუეთუ სმენით ისმინნეთ ყოველნი ესე მცნებანი, რომელთა მე დღეს გამცნებ ქმნად: შეყუარებად უფლისა ღმრთისა თქუენისა და სლვად ყოველთა შინა გზათა მისთა და შედგომად მისსა, 23 და განასხნეს უფალმან ყოველნი ესე წარმართნი პირისაგან თქუენისა და დაიმკჳდრნეთ ნათესავნი დიდნი და უძლიერესნი უფროჲს, ვიდრე თქუენ. 24 ყოველი ადგილი, რომელიცა დატკებნოს კუალმან ფერჴთა თქუენთამან, თქუენი იყოს უდაბნოჲთგან და წინაშე ლიბანესა და მდინარითგან დიდით ევფრატით და ვიდრე ზღუადმდე დასავალისა იყვნენ საზღვარნი თქუენნი. 25 არა წინა-აღგიდგეს არავინ წინაშე პირსა თქუენსა. შიში თქუენი და ძრწოლაჲ თქუენგან დასდვას უფალმან ღმერთმან თქუენმან პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა, რომელსაცა ზედა მიხჳდეთ მას ზედა, ვითარ-სახედ იტყოდა უფალი თქუენდა მიმართ.

26 აჰა, მე მივ[232v]სცემ წინაშე თქუენსა დღეს კურთხევათა და წყევათა. 27 კურთხევათა, უკუეთუ ისმინნეთ მცნებანი უფლისა ღმრთისა თქუენისანი, რომელთა მე გამცნებ თქუენ დღეს;

ABES: 20 დასწერნე S, დაწერენ B. ზღრუბლთა E. თქუენისათა]შენისათა BS. 21 მათა]მათდა B. 22 ისმინნე B, ისმინეთ E. მე—B. და ჰყოთ ესე]ყოფად B. 23 განასხნეს]მაშინ განასხნეს B. 24 რომელსაცა]რ˜ღცა E. სდგათ BE. ფერჴთა თქუენთაჲ S. უდაბნოთაგან E. დიდით 1°—B. ლიბანადმდე B. და 2°—BS. დიდადმდე—B. საჳალით B. 26 გჳდებოდის B. გიჴდებოდეს AES. არცაღა+ეინ BE. მო-ვინ-გეჴცეს]გცეს B. მოჰფინოს B. თქუენმან+და B. 26 ესერა+მე B. 27 კურთხევასა—AES] და კურთხევასა B.

ABES

ესე გამცნებ თქუენ დღეს დღე, [28] და წყევასა, არა თუ ისმინნეთ მცნებანი უფლისა ღმრთისა თქუენისანი და შესცთეთ გზისა მისგან, რომელი გამცენ თქუენ, და შეხჯდეთ და ჰმსახურებდეთ თქუენ ღმერთთა უცხოთა, რომელ არა იცოდეთ. [334v] [29] და იყოს, რაჟამს შეგიყვანოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ქუეყანასა მას, რომელსა შეხუალ დამკჳდრებად მუნ, და მისცე კურთხევა იგი მთასა მას ზედა გარიზინსა და წყევა იგი — მთასა მას ზედა გებალსა. [30] ესე ორნივე წიაღ იორდანესა, გზასა მას მზის დასავალით კერძოსა, ქუეყანასა მას ქანანელთასა, რომელი დამკჳდრებულ არს მზის დასავალით კერძო თანაშე გალგალსა, მახლობელად მუხასა მას მაღალსა. [31] აწ თქუენ, ეგერა, წიაღ-ხუალთ იორდანესა შესლვად და დამკჳდრებად ქუეყანისა მის, რომელ-იგი უფალმან ღმერთმან თქუენმან მოგცეს თქუენ, დაიმკჳდროთ იგი და დაეშენნეთ მუნ. [32] და დაიმარხნეთ და ჰყოთ ყოველი ესე მცნება და სამართალი, რომელსა-ესე გამცნებ თქუენ დღეს.

G

[28] და წყევათა, უკუეთუ არა ისმინნეთ მცნებანი უფლისა ღმრთისა თქუენისანი, რაოდენთა მე გამცნებ თქუენ დღეს, და შესცთეთ გზისაგან, რომელი გამცენ თქუენ მავალნი მსახურებად ღმერთთა სხუათა, რომელნი არა უწყოდენით. [29] და იყოს, რაჟამს შეგიყვანოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ქუეყანად, რომელსა წიაღ-ხუალ მუნ დამკჳდრებად მისსა, და მისცე კურთხეჲაჲ მთასა ზედა ღარიზინსა და წყეჲაჲ — მთასა ზედა გებალსა. [30] არა, აჰა, ესენი წიაღ იორდანესა, უკუანა კერძო გზასა მზის დასავალისასა, ქუეყანასა ქანაანისასა, დამკჳდრებულსა მზის დასავალით კერძო თანაშე ღოლღოლისა მახლობელად მუხისა მაღლისა? [31] რამეთუ თქუენ განჰვლით იორდანესა შემავალნი დამკჳდრებად ქუეყანისა, რომელსა უფალი ღმერთი თქუენი მოგცემს თქუენ წილად ყოველთა დღეთა, დაიმკჳდრეთ იგი და დაემკჳდრენით მას ზედა. [32] და დაიცევით ქმნაჲ ყოველთა ბრძანებათა მისთაჲ და მშჯავრთა მისთაჲ, რომელთა მე მივსცემ წინაშე თქუენსა დღეს.

თავი XII

[1] და ესე არიან ბრძანებანი და მსჯავრნი, რომელ დაიმარხნეთ და ჰყოთ ქუეყანასა მას, რომელ-იგი უფალმან ღმერთმან მამათა თქუენთამან მოგცეს თქუენ სამკჳდრებელად ყოველთა დღეთა, რავდენცა სცხონდეთ ქუეყანასა ზედა. [2] მოსპოლვით მოსპნე ყოველნი იგი ადგილნი სამსახურებელნი წარ-

[1] და ესე არიან ბრძანებანი და მშჯავრნი, რომელთაჲ დაიცევით ქმნაჲ ქუეყანასა ზედა, რომელსა უფალი ღმერთი მამათა თქუენთაჲ მიგცემს თქუენ წილად ყოველთა დღეთა, რომელთა ცოცხალ იყვნეთ თქუენ ქუეყანასა ზედა. [2] წარწყმედით წარსწყმიდნეთ ყოველნი ადგილნი, რომელთა შინა ჰმსა-

---

ABES: [28] წყევისა B. არა]არ A. თქუენისანი+რომელსა-ე!ე დღეს გამცნებ თქუენ BS. შესცთეს B. გამცენთ AE. მსახურებდეთ B. [29] შეხჳალთ B. და 2°—B. მისცეს B. მას 2°+რ^ლსა შეხჳალ დამკჳდრებად მუნ და მისცე კ^ურ^ვა იგი მთასა E]—B. ზედა 1°—E. გარიზირსა AE. [30] მას 1°—B. ~დასავალით კერძოსა მზისა B. მზისა 2° B. კერძოსა+ქუეყანასა მას ქანანელთასა B. თანა B. გალგალსა BS. [31] ~ეგერა თქუენ E. წიაღ-ხუალ S. ქუეყანასა B. მის—B. თქუენმან—B. ~თქუენ მოგცეს B. თქუენ+და BS. [32] მცნებანი B+ მისნი B. სამართალნი B+მისნი B.

XII: [1] დაიმარხნეთ]დაიმკჳდრნეთ BS. იგი+დაიმარხენ AE. თქუენ]შენ AES. რაოდენცა B. სცხოვნდეთ BE. [2] წარმართთანი... სამსახურებელი—E.

G: [30] ღაზირინსა G. [31] გაწვლით Ga.

ABES G

მართთანი, რომელსა ემსახუროს სამსახურებელი იგი ბილწებისა ზედა მთათა მაღალთა და ბორცუთა და ხეთა ქუეშე (3S) ვარჯოვანთა. [3] ბაგინები მათი დაამჯუთ და [335r] ძეგლები მათი დამუსრეთ, სერტყები მათი დაკაფეთ, კერპები მათი დაწვით ცეცხლითა და საკსენებელი მათი წარწყმიდეთ ქუეყანისა მისგან. [4] ხოლო არა ეგრეთ უყოთ უფალსა ღმერთსა თქუენსა, [5] არამედ ადგილსა ერთსა, რომელსა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან თქუენმან ადგილი ერთი ნათესავთაგან თქუენთა სახელის-დებად სახელი მისი მუნ, ადგილი იგი გამოირჩიეთ და შეეედით მუნ. [6] და შეწირეთ მსხუერპლები იგი თქუენი მუნ და საკუმეველები და პირველისა ნაყოფისა თქუენისა და აღნათქუემი თქუენი და ძღუენი ნეფსითი გონებათა თქუენთა და პირმშოები ზროხათა თქუენთა და ცხოვართა თქუენთა. [7] ჰამდით და იხარებდით წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა და მხიარულ იყვნეთ ყოველთა ზედა, რომელსა ზედა შეხებულ იყვნენ ჴელნი თქუენნი, თქუენ და ყოველნი სახლეულნი თქუენნი, რამეთუ გაკურთხნა თქუენ უფალმან ღმერთმან თქუენმან. [8] არა ჰყოთ ეგრე, ვითარე ეგე ჰყოფთ აქა დღეს კაცად-კაცადი ეგე ნებასა თავისა თჳსისასა, [9] რამეთუ არღა მოწევნულ ხართ თქუენ აქამდის განსასუენებელსა მას და სამკჳდრებელსა თქუენსა, რომელ-იგი უფალმან ღმერთმან თქუენმან მოგცეს თქუენ. [10] რამეთუ წიაღ-ჰკჳდეთ თქუენ იორდანესა და დაეშენნეთ ქუეყანასა მას, ხურებდეს მუნ წარ[233r]მართნი ღმერთთა მათთა, რომელნი თქუენ დაიმკჳდრნეთ იგინი მთათა ზედა მაღალთა და ბორცუთა ზედა და ხესა ქუეშე ვარჯოანსა. [3] და დააქციენით ბომონნი მათნი და სერტყნი მათნი მოკაფენით და ქანდაკებულნი ღმერთთა მათთანი დაწუენით ცეცხლითა და წარწყმიდეთ სახელი მათი ადგილისა მისგან. [4] არა ესრეთ უყოთ უფალსა ღმერთსა თქუენსა, [5] არამედ ადგილსა, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან თქუენმან ერთსა შინა ტომთა თქუენგანსა სახელის-დებად სახელი მისი მუნ ხადად, და გამოიძიეთ და მიეედით მუნ. [6] და შეწირენით მუნ ყოვლად დასაწუველნი თქუენნი და სამსხუერპლენი თქუენნი და დასაბამნი თქუენნი და აღთქუმანი თქუენნი და ძღუენნი თქუენნი და აღსაარებანი თქუენნი და პირმშონი ზროხათა თქუენთანი და ცხოვართა თქუენთანი. [7] და ჰამეთ წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა და იშუებდით ყოველსა ზედა, რომელსაცა მიჰყუენეთ ჴელნი თქუენნი თქუენ და ძეთა თქუენთა, რამეთუ გაკურთხა უფალმან ღმერთმან შენმან. [8] არა ჰყუენეთ ყოველნი, რომელთა ჰყ[233v]ოფთ თქუენ აქა კაცად-კაცადი სათნოსა წინაშე თჳსსა, [9] რამეთუ არღა მიწევნულ ხართ ვიდრე აქამომდე განსასუენებელსა და სამკჳდრებელსა, რომელი უფალმან ღმერთმან მიგცეს თქუენ. [10] და განჰვლოთ იორდანე და დაემკჳდრნეთ ქუეყანასა,

---

ABES: [2] ~ მთათა ზედა B. [3] დაამჯუთ BS. მათი3°+მუხანი მათნი B. დაჰკაფეთ B. დასწუთ B. წარსწყმიდეთ AB. [4] ეგრე S. [5] სახელის-დებად+სახელის-დებად A. [6] მსხუერპლები A. მსხუერპალი B. და 4°—BS. აღნათქუამი BE. და 5°—BES. ნებსით B. და ცხოვართა თქუენთა—S. [7] შჰამდით B. იყუენით B. რომელთა E. ზედა—BS. გაკურთხა AE. [8] ჰყო BS, ჰყოფთ AE. ეგე 1°] ეგრე B. თავისა+თაჳსა E. [9] არღარა B. თქუენ აქამდის—B. და—B. სამკჳდრებელსა B. თქუენისასა B. რომელი B. [10] წიაღ-ჴდეთ BE. თქუენ—B. იორდანეს B. დაეშენეთ S.

ABES

რომელსა-იგი უფალმან ღმერთმან დაგიმკჳდროს თქუენ და განგისუენოს თქუენ ყოველთაგან [335v] მტერთა თქუენთა, რომელნი იყვნეს გარემოს თქუენსა, და დაეშენნეთ მყუდროებით. 11 და იყოს, ადგილი იგი, რომელ გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან თქუენმან თავისა თჳსისა სახელდებად სახელი ჴისი მას ზედა, მუნ შესწირით ყოველი შესაწირავი, რომელსა-ესე მე გამცნებ თქუენ დღეს: მსხუერპლები იგი თქუენი და ძღუენი თქუენი და ათეული თქუენი და პირველი იგი კელთა თქუენთა და რჩეულ-რჩეული ძღუენი აღთქუმათა თქუენთა, რომელ აღუთქუათ უფალსა ღმერთსა თქუენსა. 12 და იხარებდეთ წინაშე უფლისა თქუენისა თქუენ და ძენი თქუენნი და ასულნი თქუენნი, მონანი და მჴევალნი თქუენნი და ლევიტელი იგი, რომელ არს ზედამდგომელ თქუენდა, რამეთუ არა უც მას ნაწილ და სამკჳდრებელ თქუენ შორის. 13 იგულე თავი შენი, ნუუკუე შე-სადამე-სწირვიდე შესაწირავთა შენთა ყოველსავე ადგილსა, რომელ იხილო, 14 არამედ მას ადგილსა ხოლო, რომელ გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან, ადგილსა ერთსა ქალაქთა შენთასა, მუნ შესწირო მსხუერპლი შენი და მუნ ჰყო ყოველი, რომელსა-ესე მე გამცნებ შენ. 15 არამედ ყოლითა გულისთქუმითა შენითა შესწირო მსხუერპლი იგი შენი და სჭამო ჴორცი იგი მისი კურთხევითა მით უფლისა ღმრთისა შენისათა, რომელ-იგი მოგცა შენ ყოველთა მათ ქალაქთა*

G

რომელი უფალმან ღმერთმან დაგიმკჳდროს თქუენ და განგისუენოს თქუენ ყოველთაგან მტერთა თქუენთა გარემოთა, და დაემკჳდრნეთ განკრძალულად. 11 და იყოს, ადგილსა, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან წოდებად სახელი მისი მუნ, მუნ შესწირნეთ ყოველნი, რომელთა გამცნებ თქუენ დღეს: ყოვლად დასაწუველნი თქუენნი და დასაბამნი კელთა თქუენთანი და ძღუენნი თქუენნი და ყოველი ურჩეულესი ძღუენთა თქუენთაჲ, რაოდენიცა აღუთქუთ უფალსა ღმერთსა თქუენსა. 12 და იხარებდით წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა თქუენ და ძენი თქუენნი და ასულნი თქუენნი, მონანი თქუენნი და მჴევალნი თქუენნი და ლევიტელი, მყოფი ბჭეთა ზედა თქუენთა, რამეთუ არა არს მისსა ნაწილი, არცა წილ[234r]გდებულებაჲ თქუენ თანა. 13 იგულე თავი შენი, ნუ შესწირავ ყოვლად დასაწუველთა შენთა ყოველსა ადგილსა, რომელსაცა იხილო, 14 არამედ ადგილსა, რომელიცა თჳთ გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან ერთსა შინა ქალაქთა შენთაგანსა, მუნ შესწირო ყოვლად დასაწუველი შენი და მუნ ჰყვნე ყოველნი, რომელთა მე გამცნებ შენ დღეს. 15 არამედ ყოვლითა გულისთქუმითა შენითა დაჰკლა და შჭამო ჴორცი გულისთქუმისაებრ სულისა შენისა, კურთხევისაებრ უფლისა ღმრთისა შენისა, რომელი მოგცა შენ ყოველსა შინა ქალაქსა. არა-

---

ABES: 10 რომელსა]რომელ B, რომელი S. ღმერთმან+თქუენმან მოგცეს თქუენ და E. და განგისუენოს თქუენ—AE. ყუდროებით S]წყნარებით B. 11 სახელისა მის B. შესწირეთ B. და რჩეულ-რჩეული]დარჩეულ-დარჩეული E. აღნათქუამთა B. აღუთქუთ B. 12 თქუენის+და S. თქუენ 1°—AE. ლევიტელი BS. მას—E. ნაწილი B. სამკჳდრებელი B. თქუენ 2°]მათ B. 13 შესადამე-შესწირვიდე B. 14 ადგილსა 1°+რომელ იხილო, არამედ მას ადგილსა AE. ხოლო—B. ერთსა—BS. მსხუერპლი+იგი B. მე—B. შენ+დღეს B. 15 არამედ]და S. შჭამო BS.

* აქედან 29-ე მუხლამდე აკლია A ნუსხას.

BES

შენთა. ბილწი იგი და წმიდა ერთბამად შჳამდით ვითარცა ქურციკსა და ირემსა. 16 ხოლო სისხლსა მისსა ნუ შჳამთ, არამედ ქუეყანასა დასთხიეთ იგი, ვითარცა წყალი. 17 ვერ შჳამო შენ ქალაქთა შინა შენთა ათეული იგი იფქლისა შენისა და ღჳნისა და ზეთისა შენისა, და პირმშოები ზროხათა შენთა და ცხოვართა შენთა, და აღთქუმული იგი აღნათქუემთა შენთა და შესაწირავი იგი აღსაარებათა თქუენთა და პირველი იგი ნაყოფთა ქმნული კელთა თქუენთა. 18 არამედ წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა შეშჳამო იგი ადგილსა მას, რომელსაცა-იგი გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან თქუენმან, შენ და ძემან შენმან და ასულმან შენმან, მონამან და მჯეველმან შენმან, და ლევიტელი იგი, რომელ დამკჳდრებულ იყოს ქალაქთა შენთა. შჳამდე და იხარებდე წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა და ყოველსა მას ზედა, რომელსა შეეხოს კელი შენი. 19 ეკრძალე, ნუუკუე და-სადამე-უტეო ლევიტელი იგი ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა, რავდენცა სცხოვნდე ქუეყანასა ზედა.

20 უკუეთუ განგიფართონეს შენ უფალმან ღმერთმან საზღვარნი შენნი, ვითარცა გეტყოდა შენ, უკუეთუ გულმან გითქუას ჭამად ჯორცისა გულისთქუმისათჳს გულისა შენისასა, ჭამე შენ ჯორცი იგი. 21 უკუეთუ განშორებულად-რე იყოს შენგან ადგილი იგი, რომელ

G

წმიდაჲ შენ შორის და წმიდაჲ ერთბამად ჭამდენ მას, ვითარ ქურციკსა ანუ ირემსა. 16 თუნიერ სისხლი არა შჳამოთ, ქუეყანასა ზედა დასთხიეთ იგი, ვითარცა წყალი. 17 ვერ ძალ-გიც ჭამად ქალაქთა შინა შენთა ათეული იფქლისაჲ და ღჳნისა და ზეთისაჲ, პირმშონი ზროხათა შენთანი და ცხოვართა შენთანი, ყოველთა აღთქუმათა შენთა, რომელნი აღსთქუნე, და აღსაარებათა თქუენთა და დას[234v]აბამთა თქუენთა. 18 თუნიერ წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა შჳამდე მათ ადგილსა, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან მისთჳს შენ და ძენი შენნი და ასული შენი და მონაჲ შენი და მჯეველ შენი და მწირი ქალაქთა შინა შენთა. და იხარო წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა ყოველთა ზედა, რომელსაცა მიჰყო კელი შენი. 19 იგულე თავი შენი, ნუ დაუტეობ ლევიტელსა ყოველსა ჟამსა, რაოდენ ცოცხალ იყო ქუეყანასა ზედა შენსა.

20 ხოლო უკუეთუ განავრცნეს ღმერთმან საზღვარნი შენნი, ვითარცა თქუა შენდა მიმართ, და სთქუა: ვჭამო ჯორცი. უკუეთუ გულისმთქუმელობდეს სული შენი, რაჲთა შჳამო ჯორცი, ყოველი გულისსათქუმელი სულისა შენისაჲ, ჭამე ჯორცი. 21 ხოლო უკუეთუ შორს მდებარე იყოს შენგან ადგილი,

---

ABES: 16 იგი 4°+შენ თანა B. შჳამდეთ BS.

BES: 17 შჳამო]შეჳამო B, შეშჳამო S. აღნათქუამთა BE. და 6°—B. აღსარებათა BE. 18 შენისა 1°]თქუენისა B. მას 1°—B. გამოგირჩიოს B. შენ და ძემან შენმან—E. შენმან 2°+და S. შენმან 3°—BS, რომელი B. და 6°—BS. რომელსა]რომელსაცა S. შეეხოს B. 19 და-სადამე-უტეო]სადამე-უტეო E, და უ˘კე და უტეო B. ცხორებისა შენისათა—B. რაოდენცა B. სცხოვნდე E. 20 უკეთუ ES. განგიფართოვნეს B. შენ 2°+და გრქუა, სჭამე ჯორცი B. შენისა B. შჳამე B. 21 რომელ]რამეთუ

G: 21 შენგან]ჩუენგან Ga.

BES

გამოირჩია უფალმან ღმერთმან წოდებად სახელი მისი მას ზედა, და შესწირო შენ ზუარაკთაგანი შენთა ანუ ცხოვართა, რომელი მოგცეს შენ უფალმან ღმერთმან შენმან, ვითარცა გიბრძანა შენ, და შეშჭამო იგი ქალაქთა შინა შენთა ყოველითა მით გულისთქუმითა გულისა შენისათა. 22 ვითარცა შეიჭამოს ქურციკი და ირემი, ეგრე შეშჭამო იგი, რომელ-იგი არაწმიდა არს შენ თანა, და წმიდა იგი ერთბამად შეჭამედ იგი. 23 ეკრძალე მტკიცედ არაჭამად სისხლისა, რამეთუ სისხლი საცხოვარისა სამშჯნველი არს. არა შეშჭამო შენ სამშჯნველი იგი ჴორცსა მას თანა, 24 არამედ ქუეყანასა დასთხიო იგი, ვითარცა წყალი. 25 არა შჭამო იგი, რაჲთა კეთილი გეყოს შენ და შვილთა შენთა შენ თანა, რაჟამს ჰყო კეთილი და სათნოება წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა. 26 ხოლო შესაწირავი იგი სიწმიდისა შენისა და აღნათქუემი იგი შენი მიიღო ადგილსა მას, რომელ-იგი გამოირჩია უფალმან, 27 და შესწირო იგი მუნ, მსხუერპლები შენი, ჴორცი იგი შესწირო საკურთხეველსა მას ზედა უფლისა ღმრთისა შენისასა, ხოლო სისხლი იგი დააპკურო აღსავალთა მათ საკურთხეველისა ამის უფლისა ღმრთისათა და ჴორცი იგი შესჭამო. 28 დაიცევ და ისმინენ ესე სიტყუანი, რომელსა-ესე მე გამცნებ შენ, რაჲთა კეთილი გეყოს შენ და შვილთა შენთა შენ თანა უკუნისამდე, ჰყო თუ კეთილი და სათნოება წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა.

G

რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან წოდებად სახელი მისი მუნ, და დაჰკლა ზროხათაგან შენთა და ცხოვართაგან შენთა, რომელნიცა მოგცნა შენ უფალმან ღმერთმან შენმან, ვითარცა-სახედ გამცენ შენ, და შჭამო ქალაქთა შინა შენთა გულისთქუმ[235r]ისაებრ სულისა შენისა. 22 ვითარცა იჭამის ქურციკი და ირემი, ეგრეთ ჭამოს იგი არაწმიდამან შენ შორის და წმიდამან ეგრეთ ჭამოს იგი. 23 ეკრძალე თავსა შენსა ძლიერად ჭამისათჳს სისხლისა, რამეთუ სისხლი მისი სულ არს, არა იჭამოს სული ჴორცსა თანა. 24 არა შჭამოთ, ქუეყანასა ზედა დასთხიოთ იგი, ვითარცა წყალი. 25 არა შჭამო იგი, რაჲთა კეთილ იყოს შენდა და ძეთა შენთა შენ თანა უკუნისამდე, უკუეთუ ჰყოფ კეთილსა და სათნოსა წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა. 26 გარნა წმიდათა შენთა, რომელნიცა იყუნენ შენდა, და აღთქუმათა შენთა მიმხუმელი მიჲედ ადგილსა, რომელსაცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან მისდად წოდებად სახელი მისი მუნ, 27 და ჰყენე ყოველად დასაწუველნი შენნი, ჴორცი აღიღო საკურთხეველსა ზედა ღმრთისა შენისასა, ხოლო სისხლი მსხუერპლთა შენთაჲ აპკურო ხარისხთა საკურთხეველისა უფლისა ღმრთისა შენისათა და ჴორცი შჭამო. 28 დაიცევ და ისმინე და ჰყენე ყოველნი სიტყუანი, რომელთა მე გამცნებ შენ დღეს, რაჲთა კეთილ იყოს შენდა და ძეთა შენთა საუკუნოდ, უკუეთუ ჰყო კეთილი და სათნოჲ წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა.

BES: 21 ღმერთმან 1°+შენმან B. შეჭამო E. 22 ეგრე]არა B. შეჭამო B. რომელი B. არაწმიდა]არა E. 23 სამშჯნელი 1° B, სამშჯნელ S+მისა S. შეჭამო B. სამშჯნელი 2° B. 24 არამედ[და არა შჭამო იგი, არამედ B. 25 თანა+საუკუნოდ B. ჰყო+ესე B. სათნოება+არს B. 26 სიწმინდისა B. აღნათქუამი BE. შენნი E. მოიღო BS. გამოირჩიეა E. უფალმან+ღმერთმან შენმან იგი შენდა მოიღე სახელი მისი მუნ B. 27 მსხუერპლი BS. ხოლო]რამეთუ BS. იგი 3°+შესაწირავისა B. ღმრთისათა]ღმრთისა შენისათა B. შეჭამო B. 28 ესე 1°]და ჰყაე B. შენ 1°+დღეს B. შენ თანა— B. კეთილი და—BS. შენისა]თქუენისა E

ABES

[29] უკუეთუ მოსრნეს უფალმან ღმერთმან* [336r] შენმან ნათესავნი იგი, რომელსა-იგი მიხუალთ დამკჳდრებაღ ქუეყანისა მათისა წინაშე პირსა შენსა, დაიმკჳდრნე იგი და დაეშენო ქუეყანასა მათსა, [30] იგულე თავი შენი, ნუუკუე გამოიძიებდე მიდევნებად მათა შემდგომად მოსრვისა მის მათისა პირისაგან შენისა, ნუუკუე ეძიებდე კერპთა მათთა და სთქუა: ვითარცა-იგი მათ ნათესავთა ყვიან კერპთა მიმართ მათთა, ეგრეცა მე ვყო. [31] ხოლო შენ არა ეგრე ჰყო უფლისა მიმართ ღმრთისა შენისა ყოველივე საძაგელება, რომელ წინავე სძულდა უფალსა, ყველს კერპთა მიმართ მათთა, რამეთუ ძეთაცა მათთა და ასულთა მათთა დასწუვიდეს წინაშე კერპთა მათთა.

G

[29] ხოლო უკუეთუ მოსრნეს უფალმან ღმერთმან შენმან წარმართნი, რომელთა მიმართ შენ შეხუალ მუნ დამკჳდრებად ქუეყანისა მათისა პირისაგან შენისა და დაიმკჳდრნე იგინი და დაიპყრა ქუეყანაჲ მათი, [30] იგულე თავი შენი, ნუ გამოეძიებ შედგომად მათსა შემდგომად მოსრვისა მათისა პირისაგან შენი[235v]სა, ნუ გამოიძიებ ღმერთთა მათთა, მეტყუელი: ვითარ იქმან წარმართნი ამათ მათდა მიმართ, ექმნა მეცა. [31] არა უყო ესრეთ უფალსა ღმერთსა შენსა, რამეთუ საძაგელებანი, რომელნი უფალმან მოიძულნა, ყვნეს ღმერთ მათდა, რამეთუ ძეთა მათთა და ასულთა მათთა დაუწუეენ ცეცხლითა ღმერთთა მათთა.

თავი XIII

[1] (32S) ყოველივე სიტყუა, რომელსა-ესე მე გამცნებ შენ დღეს, დაიმარხო იგი და ჰყო, არა დააკლო, არცაღა შეჰმატო მათ.

[2] (1S) უკუეთუ აღ-ვინმე-დგეს შენ შორის წინაწარმეტყუელი ანუ ჩუენების მხილველი (2S) და აჩუენოს რაჲმე სასწაული საცთურებისა თქუენ შორის და თქუას: [3] მოვედით! და მივიდეთ ჩუენ ღმერთთა უცხოთა, რომელ-იგი თქუენ არა იცოდეთ, და თქუას: ვჰმსახურებდეთ მათ. [4] (3S) ნუ ისმენთ სიტყუათა მის წინაწარმეტყუელისათა, ნუცა მის ჩუენების მხილველისათა, რამეთუ გამოცდით გამოგცდის თქუენ უფალი ღმერთი თქუენი, გიყუარდეს თუ თქუენ უფალი ღმერთი თქუენი

[1] ყოველი სიტყუაჲ, რომელსა მე გამცნებ შენ დღეს, იგი დაიცევ ქმნად, არა შესძინო მას ზედა, არცა დააკლო მისგან.

[2] აღ-თუ-დგეს [236r] შენ შორის წინაწარმეტყუელი ანუ ზმანებული სიზმრისაჲ და მოგცეს შენ სასწაული ანუ ნიში [3] და იქმნეს სასწაული ანუ ნიში, რომელი თქუა შენდა მიმართ, მეტყუელმან: მივიდეთ და ვჰმსახუროთ ღმერთთა სხუათა, რომელნი არა უწყოდენით. [4] არა ისმინოთ სიტყუაჲ მის წინაწარმეტყუელისა ანუ ზმანებულისაჲ მის სიზმარსა, რამეთუ განმოგცდის უფალი ღმერთი თქუენი თქუენ ცნობითა, უკუეთუ გიყუარსყე უფალი ღმერთი თქუენი ყოვლითა გულითა

ABES: [29] ნათესავი AE. ქუეყანასა მათსა B. [30] ნუუკუე A. გამოიძიებდე]გამოერიდე AE. მათა]მათდა B. ~მათისა მის E. ~ვყო მე E. [31] მიმართ—B. რომელი BS. სძულდა უფალსა] სრულად B. დასწუვიდეს]დასწყვიდე B. მათთა 4°]მათ BE. XIII: [1] დღეს+დღე B. შემატო B. მათ—E. [2] საცთურებისა—B. [3] მოვედით]მოვიდეს სასწაული ანუ საკჳრველება, რომელმან გრძვას თქუენ და გეტყოდეს B. და 1°—E. ემსახურებდეთ BS, ეჰმსახურებთ E. [4] მის 1°—AES. წინ აწარმეტყუელისათა—AE. გიყუარდეს თუ... თქუენი—AE.

* აქედან გრძელდება A ნუსხა.

ABES

ყოვლითა გულითა თქუენითა და ყოვლითა გონებითა თქუენითა. 5 (4S) არამედ შენ უფალსა ღმერთსა შენსა ხოლო შეუდეგ და მისა გეშინოდენ და მცნებათა მისთა იმარხევდით და კმისა [336v] მისისა ისმინეთ და მას მხოლოსა შეეყვენით. 6 (5S) და წინაწარმეტყუელი იგი გინა ჩუენების მხილველი იგი სიკუდილით მოკუედინ, რამეთუ საცთურსა იტყოდა, რაჲთამცა გაცთუნა შენ უფლისაგან ღმრთისა შენისა, რომელმან გამოგიყვანა შენ ქუეყანით ეგჳპტით და გიჴსნა შენ სახლისაგან კირთებისასა, რაჲთამცა განგაშორა შენ მან გზისა მისგან, რომელ გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან, რაჲთამცა ხჳდოდე მას, და აღიჴოცენ უკეთური იგი თქუენ შორის.

7 (6S) უკუეთუ გლოცვიდეს შენ ძმა შენი მამითი გინათუ დედითი, გინათუ ძე შენი, გინათუ ასული შენი, გინათუ ცოლი შენი, რომელი იყოს წიაღთა შენთა, ანუთუ მეგობარი შენი, რომელ სწორ იყოს თავისა შენისა, ფარულად გეტყოდის: გუალე, მივიდეთ და ვმსახუროთ ღმერთთა უცხოთა, რომელ არა იცოდე შენ, არცა მამათა მათ შენთა, 8 (7S) სამსახურებელთა მათგან წარმართთასა, რომელნი იყვნენ გარემოს თქუენსა, მახლობელნი გინათუ შორიელნი კიდითგან კიდედმდე ქუეყანისა, 9 არა ჴერ-იჩინო მისლვა მის თანა, არცაღა ისმინო მისი. (8S) არა ჰრიდოს თუალმან შენმან, არცაღა გეწყალოდის იგი, არცაღა დაუფარო მას. 10 (9S) არამედ მხილებით ამხილო მას და ჴელი შენიღა პირველად შეხებულ იყავნ შოკლვად მისა, მაშინღა ჴელნი ყოველითა გულითა თქუენითა და [236v] ყოველითა სულითა თქუენითა, 5 შედგომად უფლისა ღმრთისა თქუენისა, სლვად მისსა შიშად და მცნებათა მისთა დაცვად და კმისა მისისა სმენად და მისსა მონებად და მისსა შეყოფად. 6 და წინაწარმეტყუელი იგი ანუ სიზმრის ზმანებული მოაკუდინეთ, რამეთუ თქუა შეცთუნებაჲ შენი უფლისაგან ღმრთისა შენისა, გამომყვანებელისა შენისა ქუეყანით ეგჳპტით, გამომჴსნელისა შენისა მონებისაგან, განშორებაჲ შენი გზისაგან, [237r] რომელი გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან სლვად მას ზედა, და უჩინო-ყავთ ბოროტი იგი თქუენგან.

7 ხოლო უკუეთუ გლოცვიდეს შენ ძმაჲ შენი მამითი შენი ანუ დედითი შენი, ანუ ძე შენი, ანუ ასული შენი, ანუ ცოლი შენი, მყოფი წიაღთა შენთა, ანუ მოყუარე შენი, სწორი სულისა შენისაჲ, იდუმალ მეტყუელი: მივიდეთ და ვმსახუროთ ღმერთთა სხუათა, რომელნი არა უწყნი შენ და მამათა შენთა, 8 წა[237v]რმართთაგან გარემოჲს თქუენსა, მახლობელთა შენთა ანუ მშორობელთა შენგან კიდითგან ქუეყანისაჲთ ვიდრე კიდედმდე ქუეყანისა. 9 არა თანა-მნებებელ ექმნე მას და არა ისმინო მისი და არა ჰრიდოს თუალმან შენმან მის ზედა, არა მოსურნე იქმნე მის ზედა, არცა დაჰფარო იგი. 10 მითხრობით მიუთხრა მისთჳს და ჴელი შენი იყოს მის ზედა მოკუდინებად მისსა პირველად და ჴელი ყოველი-

ABES: 6 მისა]მისსა E. იმარხჳდით B. ისმინოთ B. შეეყუნეთ B. 8 წინასწარმეტყუელნი AE. კირთებისა BE. ხჳდოდე+შენ BS. მას]მისა B. აღიჴოცნენ B. უკეთურებანი BS. 7 შენ 1°—B. მამაშით B. დედით BS. რომელ 1°]რომელი BS. სწორი S]სწრო E. ფარულად+და AES. 8 სამსახურებელთ E+ღმერთთა B. იყუნეს B. მახლობელნი+შენსა B. 9 მისლვა]მოსლუა B, მსთჳაჲ S. ისმინო+მისლვა (მისულა E) მის თანა არცაღა ისმინო AE. 10 პირველ

ABES

სა ერისანი. 11 (10S) და [337r] ქვა დაჰკრიბონ მას და მოკუედინ, რამეთუ ეზრახა განშორება შენი უფლისაგან ღმრთისა შენისა, რომელმან გამოგიყვანა შენ ქუეყანით ეგჳპტით, სახლისა მისგან კირთებისა. 12 (11S) და ყოველსა ისრაელსა, რომელსა ესმეს, შეეშინოს და არღარა შესძინონ ყოფად ესევითარი სიტყუა ბოროტი თქუენ შორის.

13 (12S) უკუეთუ გესმეს შენ ერთისა ქალაქთაგანისა, რომელ-იგი უფალმან ღმერთმან მოგცეს შენ სამკჳდრებელად, და თქუან, (13S) ვითარმედ: 14 კაცნი უშჯულონი განვიდეს ჩუენგან და გარდააქცინეს ყოველნი იგი მკჳდრნი მის ქალაქისანი და ჰრქუეს: მოვედით და ვჰმსახუროთ ღმერთთა უცხოთა, რომელ-იგი თქუენ არა იცოდით, 15 (14S) გამოიძიო, გამოიკულიო ეგეევითარი იგი, გამოიკითხო ფრიაღ და თუ ჰეშმარიტად ყოფილ იყოს სიტყუა იგი ბილწებისა თქუენ შორის, 16 (15S) მოსრვით მოისრნეთ მკჳდრნი იგი მის ქალაქისანი პირითა მახჳლისათა და დაწყევით დასწყევნეთ იგინი და ყოველივე, რაჲცა იყოს ქალაქსა მას შინა, და საცხოვარი მათი მოსრათ პირითა მახჳლისათა. 17 (16S) და ყოველი მონაგები მათი გამოჰკრიბო გზასა წარსავალთა მათთასა და ქალაქნი იგი მათნი და ყოველი იგი ნატყუენავი და მონაგები მათი, რომელ გამოგეკრიბოს, დაწჳთ ცეცხლითა წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა, და იყავნ იგი ოჴერ უკუნისამდე ჟამთა და ნუღარა აღეშენებინ! 18 (17S) და ნუცა რაჲ შეგეხებინ კელთა შენთა ჴურჩრისა მისგან მისისა, რამეთუ [337v] წყეულ არს.

G

სა ერისაჲ უკუანაჲსკნელ. 11 და ქვადაკრებულ-ყონ იგი ქვებითა და მოკუდეს, რამეთუ იძია განყენებაჲ შენი უფლისაგან ღმრთისა შენისა, გამომყვანებელისა შენისა ქუეყანით ეგჳპტისაჲთ, სახლისაგან მონებისა. 12 და ყოველსა ისრაელსა, მსმენელსა, შეეშინოს და არა შესძინოს მერმე ქმნად სიტყუსა ამისებრ ბოროტისა თქუენ შორის.

13 უკუეთუ გესმას ერთსა შინა ქალაქთაგანსა, რომელნი მოგცნა შენ უფალმან ღმერთმან შენმან დამკჳდრებად შენდა, მუნ მეტყუელთაჲ: 14 განვიდეს კაცნი უშჯულონი ჩუენგან და განადგინნეს ყოველნი [238r] მკჳდრნი ქალაქისა მათისანი, მეტყუელთა: მივიდეთ და ვჰმსახუროთ ღმერთთა, რომელნი არა უწყნით, 15 და გამოიკულიო და გამოიკითხო და გამოიძიო და გამოიკრკჳნო ფრიად და, აჰა, ჰეშმარიტად ცხად იქმნეს სიტყუაჲ ესე საძაგელი თქუენ შორის, 16 მომსრველმან მოჰსრნე ყოველნი მკჳდრნი ქალაქსა მას შინა სიკუდილითა მახჳლისაჲთა, შეჩუენებით შეჩუენებულ-ჰყოთ იგი და ყოველი, რაოდენი იყოს მას შინა. 17 და ყოველი იავარი მათი შეჰკრიბო თანაწარსავალსა ზედა მათსა და მოსწუა ქალაქი ცეცხლითა და ყოველი იავარი მისი ყოველმან ერმან წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა, და იყოს უმკჳდრო უკუნისამდე, არღარა აღეშენოს მერმე. 18 არა აღეწებოს კელსა შენსა არარაჲ შენაჩუენებისაგან, რაჲთა მოიქცეს უფალი გულისწყრომისაგან და რის-

ABES: 11 დაკრიბონ B. განშორებად BS. მოგიყვანა S. 12 ესმას B. შეეშნოს B, შეშინოს E. შესძინოს BE. 13 გესმნეს E. რომელი BES. შენ 2°]თქუენ E. 14 უსჯულონი ES. გარდააქცინნეს A, გარდააქციენეს B. პრქუეს]თქუან B. ვმსახუროთ BES. რომელი E. იცოდეთ BS. 15 ჰეშმარიტ B. 16 და 1°—E. დაწყევნეთ B. 17 მოსართ B. დაწჳით ES. იგი 3°—E. აღიშენებენ AE, აღიშენებინ S. 18 და 1°—B. ჴურჩლისა B, ჴურჩელისა S.

ABES

რაჲთა მოიქცეს უფალი რისხვისა მისგან გულისწყრომისა მისისა და შეგიწყალოს შენ და განგამრავლოს შენ, ვითარცა ეფუცა უფალი მამათა მათ შენთა, [19] (18S) უკუეთუ ისმინო შენ ჴმა უფლისა ღმრთისა შენისა და დაიცვნეთ ყოველნი მცნებანი მისნი, რომელსა-ესე მე გამცნებ შენ დღეს დღე, უკუეთუ ჰყო კეთილი და სათნოება წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა.

G

ხვისა მისისა და მოგცეს შენ წყალობაჲ და შეგიწყალოს შენ და განგამრავლოს შენ, ვითარცა ეტყოდა ღმერთი მამათა შენთა, [19] და უკუეთუ ისმინოთ ჴმაჲ უფლისა ღმრთისაჲ, დაცვად ყოველთა მცნებათა მისთა, რომელთა მე გამცნებ თქუენ დღეს, ქმნად კეთილი და სათნოჲ წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა.

თავი XIV

AES

[1] ნაშობ იყვნეთ თქუენ უფლისა ღმრთისა თქუენისა. მკუდარსა ზედა არა იტყებდე და არცალა აჩინო ნიში ჭაჭილებისა შუბლსა შენსა შორის ორთა თუალთა შენთა,

[1] ძენი იყვნეთ უფლისა ღმრთისა თქუენისანი. არა იფიეოთ, არა [238v] იჩინოთ სიმტიერე საშუალ თუალთა თქუენთა მკუდარსა ზედა,

B

[1] ნაშობ იყვენით თქუენ უფლისა ღმრთისა შენისა, რაჲთა არა განჭრათ და არა დასდვათ ბელოტი შორის თვალთა თქუენთა მკვდართა ზედა,

ABES

[2] რამეთუ ერი ეგე წმიდა ხარ უფლისა ღმრთისა შენისა და შენ გამოგირჩია უფალმან ღმერთმან შენმან, რაჲთა იყო მისა ერ საზეპურო შორის ნათესავთა, რომელნი არიან გარემოს შენსა.

[2] რამეთუ ერი წმიდაჲ ხარ უფლისა ღმრთისა [239r] შენისაჲ და შენ გამოგირჩია უფალმან ღმერთმან შენმან ყოფად მისსა ერად საზეპუროდ ყოველთაგან წარმართთა, მყოფთა პირსა ზედა ქუეყანისასა.

[3] ყოველივე საცხოვარი, რომელი ბილწ არს, არა შჭამო, [4] არამედ ესე შჭამო: ჴბო ზროხათაგანი და ტარიგი

[3] არა შჭამოთ ყოველი საძაგელი, ესე არიან საც[239v]ხოვარნი. [4] რომელნი შჭამნეთ ზუარაკი ზროხათაგან

ABES: [18] მოიქცეს B. შენ 2°—B. [19] შენ 1°—B. უფლისა—E. და 2°—B.

XIV: [1] იყვენით E. [2] ხართ E. შენისა]თქუენისა E. შენ]თქუენ E. იყო]ჰყო AE. საზეპირო B+ყოველთა BS. [4] ზროხათაგანი]ზეარაკთაგანი BS.

ABES

ცხოვართაგანი, ვაცი თხათაგანი, [5] ირემი, ქურციკი, გამეში, ხარაბუზი, იამორი. [6] და ყოველივე პირუტყუ, რომელი ჭლაკგანპებულ იყოს და აღმოიცოხნიდეს, შჳამო. [7] და რომელ არა შჳამო, ესე არს, რომლისა ჭლაკნი არა განპებულ იყუნენ და არა აღმოიცოხნიდეს, არცა განმარტებულ ესხნენ ფრცხილნი. (8S) არა შჳამო აქლემი, მაჩჳ და ყოველივე ფერჴმატყიერი, რამეთუ არა აღმოიცოხნიან და არცა ჭლაკი განპებულ ადგს, ნუ შჳამთ, რამეთუ ბილწ არს [338r].

G

და ტარიგი ცხოვართაგან და ვაცი თხათაგან, [5] ირემი და ქურციკი და კამბეში და ვაცირემი, ხარაბუზი, იამური და აქლემვეფხი. [6] ყოველი საცხოვარი ჭლიკგანპებული და მფრცხენალი ორითა ფრცხილითა და აღმომღებელი ნაცოხლისაჲ პირუტყუთა შორის, ესენი შჳამნეთ. [7] და ესენი არა შჳამნეთ აღმომღებელთაგან ნაცოხლისათა [240r] და ჭლიკგანპებულთაგან და მფრცხენალთა ფრცხილითა, აქლემი და ფერჴფაჩუნიერი და მაჩჳ, რამეთუ აღმოიღებენ ნაცოხალსა ესენი და ჭლიკითა არა განპებულ არიან, არაწმიდა იყუნენ თქუენდა ესენი.

AES

[8] ნუცა მომკუდარსა შეეხებით.

B

[8] და ღორისა ორთა ზედა და განიყოფის ჭლიკი და ჩლიქნი გაორდების, ესე არა აღმოიცოხნის, არაწმიდა თქუენდა არს ესე და ჯორცსა მისსა ნუ შჳამთ, ნუცა მომკუდარსა შეეხებით.

G

[8] და ეშჯ, რამეთუ ორ განპებულ არს ჭლიკითა ესე და ჰფრცხენს ფრცხილითა ჭლიკისაჲთა და ესე ნაცოხალსა არა აღმოიცოხნის, არაწმიდა იყავნ თქუენდა ესე. ჯორცთა მისთაგან არა შჳა-[240v]მოთ და მძორთა მათთა არა შეეხნეთ.

ABES

[9] ყოველისაგან, (9S) რომელი წყალსა შინა არს, ესე შჳამო. ყოველსა, რომელსა ფრთე ესხნენ და ქეცი ედვას, მისი შჳამო. [10] და ყოველსა, რომელსა ფრთე არა ესხნენ და არცა ქეცი ედვას, მისი არა შჳამო, რამეთუ ბილწ არს. [11] ყოველივე მფრინველი, რომელი წმიდა იყოს, მისი შჳამო. [12] და რომელ არაწმიდა იყოს, მისი არა შჳამო: [13] ორბი, პასკუნჯი (13S) და ყანჩი, [14] ყურჩი, (14S) ძერი და ყოველი მსგავსი მისი;

[9] და ესე შჳამნეთ ყოველთაგან, რომელნი არიან წყალთა შინა ყოველთა, რომელთა იყუნენ მათ თანა ფრთანი და ქეცნი, შჳამნეთ. [10] და ყოველთა, რომელთა არა იყუნენ მათ თანა ფრთანი, არცა ქეცნი, არა შჳამნეთ, არაწმიდა იყუნენ თქუენდა ესენი. [11] ყოველი მფრინველი წმიდაჲ შჳამოთ. [12] და ესენი არა შჳამნეთ მათგან: [13] არწივი, ორბი, ყანჩი, [14] ძერაჲ და იქტიონი და მსგავსნი მათნი;

ABES: [5] კამბეჩი B. იამოაირი B, ნიამორი S. [6] ყოველი S. ჭლიკ]BE. გაპებულ B. აღმოიცხონიდეს+პირუტყეთა შორის ესე B. შჳამეთ B. შჳამოთ S. [7] რომელი B. შჳამოთ 1° B. ჭლაკნი]ჭლიკი B. ჭლაკი A, ჭლიკი E. არა—B. გაპებულ B. იყვნეს B. ესხნეს B. ფრჩხილნი BS. აქლემი+და BS. ფერჴმატყლიერი B, ფერჴმატკიერი E. ჭლაკნი S, ჭლიკნი B, ჭლიკი E. ადგს] ასხენ BS. არსჯარიან B. [9] ესხნეს B. მისი]იგი B. [10] ედვან S. მისი]იგი B. შჳამოთ B. [11] რომელი წმიდა იყოს]წმიდაჲ B. მისი]იგი B. სჯამო E. [12] რომელი BS. მისი]იგი B. სჯამო E. [13] ფასკუნჯი B. ფასკუჯი S. [14] ყურჩი]არა შჳამო ყურბი B.

AES

16 სირაქლემი და ბუვი, ყუავი და ყოველი მსგავსი მისი;

B

15 და ბუვი, ყუავი, სირაქლემი და დედათმთრვალი, და ქორი და ყოველი მსგავსი მისი;

AES

16 და ტივი და ყარყადი და აკაური;

B

16 და მღამიობი და ბუკიოტი და ყოველი მსგავსი მისი;

AES

17 და ოფოფი და ძერძერუკი და დედამთრვალი და ქორი და ყოველი მსგავსი მისი;

B

17 და ყარყანტი და აკაური და ოფოფი და ძერძერუკი;

AES

18 და ვარხჳ და მღამიობი და ბუკიოტი და ყოველი მსგავსი მისი*;

B

18 და ღამიობი მჩქოელი, და ტივი, თესლონოსი, ხარდიონი მსგავსი ამისა და ვარხვი.

G

15 და სირაქლემი და ღლაკოსი და ლაროსი და ქორი და მსგავსნი მისნი;

16 და ეროდიოჲ და კჳკნოჲ და ივი;

17 და კატარრაკტი და ოფოფი და პორფირიონი;

18 და ღამის ყორანი და ყარყატი და ხარადრიონი და მსგავსნი მისნი, და მღამიობი.

AES:ჳ15 ბოვი A, ბოვრი E. 16 ყარყატი S. 17 დედამთურალი E. 18 და მღამიობი და ბუკიოტი—AE.

* A-ში მუხლის ბოლოს მიწერილია სხვა ხელით: „მღამიობი და ბუკიოტი და ყოველი მგზავსი მისი“.

ABES

19 და ყოველივე ქუეწარმავალი მფრინველთა არაწმიდათა ბილწ არს თქუენდა და ნუ შჭამთ. 20 ყოველივე მფრინველი წმიდათაგანი ჭამეთ. 21 ყოველსავე მსხემსა და მწირსა, რომელი ქალაქსა შინა შენსა იყოს, ნუ სცემ მას, ნუცა აჭამებ და ნუცა სხუასა სცემ, რამეთუ ერი ეგე წმიდა ხარ უფლისა ღმრთისა შენისა. კრავსა სძითა დედისა თჳსისათა ნუ შეჰგბოლავთ.

22 ათეული გამოსცი ყოველისავე ნაყოფისა თესულისა შენისა, რომელი იყოს ველთა შენთა წლად-წლად. 23 და შეშჭამო იგი წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა ადგილსა მას, რომელსა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან წოდებად სახელი მისი მას ზედა, მუნ შესწ[338v]ირო ყოველივე ათეული იფქლისა შენისა და ღჳნისა შენისა და ზეთისა შენისა, და პირმშოები ზროხათა და ცხოვართა შენთა, რაჲთა შეისწაო შიში უფლისა ღმრთისა შენისა ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა. 24 უკუეთუ შორს იყოს შენგან გზა იგი და ვერ შესწირო იგი, რამეთუ შორს იყოს შენგან ადგილი იგი, რომელი გამოირჩია უფალმან ღმერთმან შენმან წოდებად სახელი მისი მას ზედა, რამეთუ გაკურთხა შენ უფალმან ღმერთმან შენმან, 25 განჰყიდო შენ ნაყოფი იგი ვეცხლად და მიიღო შენ ვეცხლი იგი ჴელითა შენითა და მიხჳდე ადგილსა მას, რომელ-იგი გამოირჩია უფალმან ღმერთმან შენმან, 26 და განჰყიდო იგი, რაცა გინდეს და გულმან გრქუას შენ, ზროხად გინა ცხოვრად, გინათუ ღჳნოდ, გინათუ რადმე, რაჲ გულმან გრქუას შენ, და შეშჭამო იგი წინაშე

G

19 ყოველი ოთხფერჴი მფრინველი არაწმიდა იყავნ თქუენდა, არა შჭამოთ მათგანი. 20 ყოველი მფრინველი წმიდაჲ ჭამეთ და ყოველი მძორი არა შჭამოთ. 21 მსხემსა ქალაქთა შენთასა მიეცით და ჭამოს, ანუ უცხოსა მისცე იგი, რამეთუ ერი წმიდაჲ ხარ უფლისა ღმრთისა შენისაჲ. არა შეაგბო კრავი სძითა დედისა მისი[241r]საჲთა, რამეთუ რომელმან ქმნას ესე, რამეთუ საძაგელ არს ღმრთისა იაკობისსა.

22 ათეული განაათეულო ყოველსა წაშრომისა თესლისა შენისაჲ და ნაშრომი აგარაკისა შენისაჲ წელიწადითი წელიწდად. 23 და შჭამო იგი წინაშე უფლისა ღმრთისა ადგილსა, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან წოდებად სახელითა მისითა, მუნ მიიღო ათეული იფქლისა შენისა და ღჳნისა შენისა და ზეთისა შენისაჲ, და პირმშონი ზროხათა შენთანი და ცხოვართა შენთანი, რაჲთა შეისწაო შიში უფლისა ღმრთისა შენისაჲ ყოველთა დღეთა. 24 ხოლო უკუეთუ შორს იყოს შენგან გზაჲ და ვერ გეძლოს მიხუმაჲ მათი, რამეთუ შორს არს შენგან ადგილი, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან წოდებად სახელი მისი მუნ, რამეთუ გაკურთხა შენ უფალმან ღმერთმან შენმან, 25 და განსცნე იგინი ვეცხლად და მოიღო ვეცხლი ჴელითა შენითა და წარხჳდე ადგიდ, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან წოდებად სახელი მისი მუნ, 26 და მისცე ვეცხლი ყოვლისათჳს, რომლისაცა გული უთქუმიდეს სულსა შენსა: ზროხათათჳს ანუ ცხოვართათჳს, ანუ ღჳნისათჳს, ანუ თაფლუჩისათჳს, ანუ ყოვლისათჳს, რომ-

ABES: 20 შჭამეთ BE+ყოველსავე მკუდარსა (მკუდრისასა S) ნუ შჭამთ BS. 21 ყოველივე მსხემი და მწირი B. ~დედისა სძითა B. შეაგბობთ B. 22 თესლისა B. რომელი+ყანანი B. 23 რომელსაცა BS. გამოარჩიოს B. ყოველი B. და ღჳნისა შენისა—S]ღჳნო B. შეისწაო]შესწირო B. 24 მისი—B. 25 მიხჳდე]მიხედნე B. რომელი E. იგი 3°—B. 26 და 1°—BS. რაცა]რაჲცა B. ზროხა B. გინა]გინათუ BS. რადმე რაჲ გულმან გრქუას შენ] თაფლუჩი ანუ რომელსა ყოველსა გულ გთქჳამს შენ რადმე რაჲ B.

ABES

უფლისა ღმრთისა შენისა და იხარებდე შენ და სახლეულნი შენნი [27] და ლევიტელი იგიცა, რომელი იყოს ქალაქსა შენსა, არა განიშორო იგი, რამეთუ არა უც ნაწილ და სამკჳდრებელ შენ თანა. [28] მესამესა წელსა გამოსცე შენ ყოველი იგი ათეული ნაყოფისა მის შენისა და მასვე წელსა დასდვა იგი ქალაქსა შენსა, [29] და მივიდეს ლევიტელი, რამეთუ არა უც ნაწილ და სამკჳდრებელ შენ თანა, და მსხემი იგი და მწირი იგი და ქურივი იგი და ობოლი იგი, რომელ იყოს* [43v] ქალაქსა შენსა, მივიდენ და შეჭამონ იგი და განძღენ, რაჲთა გაკურთხოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ყოველთა მათთჳს საქმეთა შენთა, რომელსა იქმოდი შენ.

G

ლისა გული უთქუმიდეს სულსა შენსა, და შჳამო მუნ წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა და განიშუა შენ და სახლმან შენმან [27] და ლევიტელმან ქალაქთა შენთა შინამან, რამეთუ არა არს მათი კერძი, არცა ნაწილი შენ თანა. [28] შემდგომად სამისა წლ[241v]ისა გამოიღო ყოველი ათეული ნაშრომთა შენთაჲ, მას წელიწადსა დასდვა იგი ქალაქთა შინა შენთა, [29] და მოვიდეს ლევიტელი, რამეთუ არა არს მისსა კერძი, არცა ნაწილი შენ თანა, და მწირი და ობოლი და ქურივი ქალაქთა შენთაჲ, და ჭამონ და განძღენ, რაჲთა გაკურთხოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ყოველთა შინა საქმეთა შენთა, რომელთაცა ჰყოფდე.

თავი XV

BES

[1] მეშჳდესა წელსა ჰყოდი მისატევებელი იგი შენი. [2] და ესე ბრძანება არს მიტევებისა მის: მიუტეო მას ყოველი თანანადები შენი, რაჲცა თანა-ედვას მოყუასსა შენსა და ძმასა შენსა, რამეთუ მიტევება წოდებულ არს უფლისა ღმრთისა შენისა. [3] უცხოთესლსა მას და შორიელსა არა მიუტეო, არამედ მოჰკადო, რაცა თანა-ედვას. მოყუასსა მას და ძმასა მიუტეო, [4] რაჲთა არავინ იპოოს შენ შორის ნაკლულევან, რაჲთა მისთჳს კურთხევით გაკურთხოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან, მოგცეს შენ მკჳდრობით დამკჳდრებად მას

[1] შჳდთა წელიწადთა მიერ ჰყო მიტევებაჲ. [2] და ესე არს ბრძანებაჲ მიტევებისაჲ: მიუტეო ყოველი ვალი თჳსი, რომელი თანა-ედვას შენი მოყუასსა და ძმასა შენსა, არა მიჰკადო, რამეთუ წოდებულ არს მიტევებაჲ უფლისა ღმრთისა შენისაჲ. [3] უცხოსა მიჰკადო, რაოდენიცა თანა-ედვას მას, ხოლო ძმასა მიტევებაჲ უქმნა ვალისა შენისაჲ, [4] რამეთუ არა არს შენ შორის ნაკლულევანი, რამეთუ სიტყჳსა ამისთჳს კურთხევით გაკურთხოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ქუეყანასა ზედა, რომელი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ წილითა დამკჳდრე-

---

ABES: [26] შენ 3°] შენდა B. [27] ლევიტელიცა B. იგიცა—B. ნაწილი ABE. სამკჳდრებელი BE. [28] შენ—E. ნაყოფისა]იფქლისა B. მის—B. [29] მოვიდეს B. ნაწილი B. სამკჳდრებელი B. იგი 2°—B. იგი 4°—B. მოიდენ B. იქმოდე BS.

BES: XV: [1] ჰყოფდი E, ჰყო B. მისატევებელი[მისა ლევიტელი E. [2] მას]შენ BS. შენსა 2°+ნუ წარუგებ B. [3] მას—B. მიუტეო+შენ ყოველი თანა-ნადები B. [4] ნაკლულოვანი B. მისთჳს+რა E,+სიტყჳთ B. შენმან+ქუეყანით და B.

* ◦ ,წყდება A ნუსხა. აქედან ტექსტში მითითებულია E ნუსხის გვერდები.

BES

ზედა. [5] უკუეთუ სმენით ისმინოთ ჴმა უფლისა ღმრთისა თქუენისა, დაიმარხნე და ჰყევნე ყოველნი იგი მცნებანი, რომელსა [44r] მე გამცნებ შენ დღეს დღე, [6] და გაკურთხოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან, ვითარცა-იგი გეტყოდა შენ. და ავასხებდე ნათესავთა მრავალთა, ხოლო შენ არა ივასხებდე. და მსთავრობდე შენ ნათესავთა შორის მრავალთა, ხოლო შენ ზედა არავინ მთავრობდეს.

[7] უკუეთუ იყოს შენ შორის ნაკლულევანი ძმათა შენთაგანი რომელსავე ერთსა ქალაქთა შენთაგანსა, რომელი-იგი უფალმან ღმერთმან მოგცეს შენ, არა გარე-მიიქციო გული შენი, არცაღა კრულ-ჰყო ჴელი შენი ძმისა მის შენისა ნაკლულევანისა, [8] არამედ ჴსნილ-ჰყო ჴელი შენი მისთჳს და ავასხო მას, რაოდენცა უჴმდეს. [9] იგულე თავი შენი, ნუუკუე იყოს სამე დაფარულ სიტყუა უსჯულოებისა გულსა შინა შენსა და სთქუა: მოახს წელი იგი მეშჳდე, წელიწადი იგი მიტევებისა. და თუალძჳრ იქმნე ძმისა მის შენისა ნაკლულევანისა და არარაჲ სცე მას. და ღაღადებდეს უფლისა მიმართ შენთჳს. და იყოს შენდა ცოდვა [44v] დიდ. [10] მიცემით მისცე მას, რაოდენცა აკლდეს. და არა შესწუხნე გულითა შენითა შემდგომად მიცემისა მის შენისა, რამეთუ ამისთჳს გაკურთხოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ყოველთა მათ შინა საქმეთა შენთა და ყოველსა მას ზედა, რომელსა შეახო ჴელი შენი. [11] რამეთუ არასადა მოაკლდეს ნაკლულევანისაგან. ამისთჳს გამცნებ შენ და

G

ბად იგი. [5] და უ[242r]კუეთუ სმენით ისმინოთ უფლისა ღმრთისა თქუენისა დაცვად და ქმნად ყოველთა ამათ მცნებათა, რომელთა მე გამცნებ შენ დღეს. [6] რამეთუ უფალმან ღმერთმან გაკურთხოს შენ, ვითარ-სახედ გეტყოდა შენ. და ავასხო ნათესავთა მრავალთა, ხოლო შენ არა ივასხო. და ჰმთავრობდე შენ ნათესავთა მრავალთა, ხოლო შენ არა გმთავრობდენ.

[7] ხოლო უკუეთუ იქმნეს შენ შორის ნაკლულევანი ძმათა შენთაგან ერთსა შინა ქალაქთა შენთაგანსა, ქუეყანასა, რომელი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ, არა გარე-მიიქციო გული შენი, არცა შემოიმჯუღო ჴელი შენი ძმისაგან შენისა ნაკლულევანისა, [8] განღებით განუღო ჴელი შენი მას და ვასხებით ავასხო მას, რაოდენისაცა მოქენე იყოს და რაოდენ ნაკლულევან იყოს. [9] ეკრძალე თავსა შენსა, ნუსადა იქმნეს სიტყუაჲ ფარული გულსა შინა შენსა უშჯულოებისა მეტყუელი: მოახს წე[242v]ლიწადი მეშჳდე, წელიწადი მიტევებისაჲ, და ეძჳროს თუალი შენი ძმასა შენსა მოქენესა და არა სცე მას და ღაღად-ყოს შენთჳს უფლისა მიმართ და იყოს შენ ზედა ცოდვაჲ დიდი. [10] მიმცემელმან მისცე მას და მავასხებელმან ავასხო მას, რაოდენსაცა მოქენე იყოს, და არა შეწუხნეს გული შენი, მისცემდე რაჲ შენ მას, რამეთუ ამისთჳს გაკურთხა შენ უფალმან ღმერთმან შენმან ყოველთა შინა საქმეთა შენთა, ყოველთა, რომელთაცა მიჰყავ ჴელი შენი. [11] რამეთუ არა მოაკლდეს ნაკლულევანი ქუეყანისაგან

BES: [5] თქუენისა+და BS. [6] ჰმთავრობდე S. [7] უკეთუ+ვინმე S. იყოს]ძმა ძმისაგან ვინმე B. ნაკლულოვანი B. რომელსავე]ყოველსავე B. შენთაგანსა+ქუეყანასა B. რომელ-იგი უფალმან ღმერთმან მოგცეს]რომელსა უფალი ღმერთი შენი მოგცემს B]—S. ~გარე არა B. მიიქციო BS. ჰკრულ B. [8] ჴსნით B. რაოდენცა B. უჴმდეს+რაოდენი მისა ნაკლულევან იყოს B. [9] უშჯულოებისა BS. შინა]შინაგან B. თქუა B. და 2°—B. იქმენ B. ნაკლულოვანისა B. არარაჲ]არა B. ღაღადებს B. [10] მის-ცე + მათ და ვასხო] მისცე B. რაოდენიცა B. შეწუხნე B. ~საქმეთა შინა BS. [11] ნაკლულევანისაგან]ქუეყანისაგან B.

G: [6] ჰმთავრობდე Ga. [11] ნაკლულევან Ga.

BES

გეტყჳ: ჴსნით ჴსნილ-ყავ ჴელი შენი ბმისა მის ნაკლულევანისა შენისათჳს, რომელი-იგი იყოს ქუეყანასა შენსა.

12 უკუეთუ იყიდო ვინმე შენ ძმათა შენთაგანი ებრაელი — ანუ მამაკაცი, ანუ დედაკაცი, ექუს წელ გმსახუროს შენ და წელსა მას მეშჳდესა გამოავლინო იგი შენგან განთავისუფლებული. 13 და რაჟამს გამოავლინებდე მას შენგან გამოთავისუფლებულსა, არა გამოავლინო იგი შენგან ჴელცუდად, 14 არამედ აღგებით აღაგო იგი საცხოვართა შენთაგან და იფქლისა შენისაგან და საწნეხელისა [45r] შენისაგან მისცე მას, რაჲთა გაკურთხოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან. 15 მოიკსენე, რამეთუ შენცა დამონებულ იყავ ქუეყანასა მას ეგჳპტელთასა და გიჴსნეს შენ უფალმან ღმერთმან შენმან. ამისთჳს გამცნებ შენ სიტყუათა ამათ. 16 უკუეთუ გრქუას შენ, ვითარმედ: არა განვალ შენგან, რამეთუ შეგიყუარე შენ და სახლი შენი, და კეთილი მეყო მე შენგან, 17 მოიღო სადგისი და აღუპყრა ყური მისი კარსა და განჰჯურიტო იგი. და იყოს იგი შენდა მონა უკუნისამდე. და ეგრეცა მსგავსად მჴევალსა მას უყო. 18 არა ფიცხელ გიჩნდეს წინაშე შენსა, რაჟამს გამოავლინებდე შენგან განთავისუფლებულსა, რამეთუ წელიწადეულად სასყიდლითა მორეწისათა გმსახურებდა შენ ექუს წელ. და გაკურთხოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ყოველთა მათ საქმეთა შენთა, (19S) რომელსაცა იქმოდე.

G

შენისა, ამისთჳს გამცნებ მე შენ ყოფად სიტყჳსა ამის მეტყუელი: აღმხუმელმან აღუხუნე ჴელნი შენნი ძმასა შენსა დავრდომილსა, მოქენესა ქუეყანასა ზედა შენსა.

12 ხოლო უკუეთუ იყიდო ძმაჲ შენი ებრაელი ანუ ებრაელლაჲ, გმონოს შენ ექუს წელ და მეშჳდესა განავლინო იგი თავისუფლად შენგან. 13 ხოლო რაჟამს განავლინებდე მას თავისუფლად შენგან, არა განავლინო იგი ცალიერი, 14 საგზლითა განჰსაგზლოთ იგი ცხოვართაგან [243r] შენთა და იფქლისაგან შენისა და საწნეხლისაგან შენისა, ვითარცა გაკურთხა შენ უფალმან ღმერთმან შენმან, მისცე მას. 15 მოიკსენე, რამეთუ მრწემ იყავ ქუეყანასა ეგჳპტეს და გიჴსნა შენ უფალმან ღმერთმან შენმან მუნით. ამისთჳს მე გამცნებ შენ ყოფად სიტყჳსა ამის. 16 ხოლო უკუეთუ თქუას შენდამი: არა განვალ შენგან, რამეთუ შეგიყუარა შენ და სახლი შენი, რამეთუ კეთილ იქმნა მისსა შენ მიერ, 17 მოიღო საჴურეტელი და განუჴურიტო ყური მისი კართა თანა ზღურბლსა ზედა და იყოს შენდა მრწემ უკუნისამდე. და მჴევალსაცა შენსა ესრეთვე უყო. 18 არა ფიცხელ იყოს წინაშე შენსა განვლენილთა მათ განთავისუფლებულთაჲ შენგან, რამეთუ წელიწდეული სასყიდელი მორეწისაჲ გმსახურა შენ ექუს წელ და გაკურთხა შენ უფალმან ღმერთმან შენმან ყოველთა შინა, რომელთა იქმოდე.

BES: 11 გეტყჳ+ჰყო სიტყჳა ესე მეტყუელი B. ჰყავ BE. ნაკლულევანისა შენისათჳს]ნაკლულოვანისათჳს B, ნაკლულევანისათჳს S+და გლახაკისათჳს S. რომელ B. იყოს]ითხოვდეს B. 12 შენთაგანი+თავისი სჯულის მონა ნასყიდი ან მჴევალი S. მას—B. 13 გამოავლინებდე]გამოიყვანებდე B. განთავისუფლებულსა BS. 14 არამედ+საღებური B. აღგებული BJ—S. საწნახელისა B. 16 ეგჳპტისასა BS. გიჴსნას E. შენმან+მუნით B. შენ 2°+ყოფად B. 16 სახელი S. კეთილი+შენი BS. შენგან—B. 17 მოიღო]შენ გამოიღო BJ·I შენ S. დააპყრა BS. განუჴვიტო B, განჴურიტო S. იგი 2°—B. უყავ B. 18 შენგან]შენ B. წელიწდეულად BS. სასყიდელითა BS. მორეწისათა]მეოთხე წლისათა B.

G: 11 აღუხნე Ga.

BES

19 ყოველივე პირმშო, რომელი იშვეს ზროხათა შენთა გინათუ ცხოვართა უპედი, განიწმიდო შენ უფლისა ღმრთისა შენისათჳს. [45v] არა აქმნიო ჯარი იგი პირმშოთა შენთა და არცა მოჰრისო ცხოვარი იგი პირმშოთა შენთა. 20 არამედ წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა შეშჯამო იგი წლითი წლად ადგილსა მას, რომელი-იგი გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან, შენ და სახლეულთა შენთა შეჯამეთ იგი. 21 უკუეთუ ბიწი რაჲმე იყოს მის თანა: ბრმა იყოს, ანუ ყრუ იყოს, ანუ მკელობელი იყოს, ანუ სხუა რაჲმე ბოროტ სიხაშმე იყოს მის თანა, არა დაუკლა იგი უფალსა ღმერთსა შენსა. 22 არამედ ქალაქთა შინა შენთა შეჯამო იგი, წმიდამან და არაწმიდამან ზოგად შეჯამონ, ვითარცა ქურციკი და ვითარცა ირემი. 23 ხოლო სისხლი მისი არა სჯამოთ, არამედ ვითარცა წყალი დასთხიოთ იგი ქუეყანასა ზედა.

G

19 ყოველი პირმშოჲ, რომელი იშვეს ზროხათა შორის შენთა და ცხოვართა შორის შენთა წული, განსწმიდო უფლისა ღმრთისა შენისა. არა აშრომო პირმშოჲ ზუარაკი შენი და არა განჰრისო პირმშოჲ ცხოვართა შენ[243v]თაჲ. 20 წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა შჯამო იგი წლითი წლად ადგილსა, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან, შენ და სახლმან შენმან. 21 ხოლო უკუეთუ იყოს მას თანა ბიწი: მკელობელი იყოს, ანუ ბრმაჲ, ანუ ყოველივე ბიწი ბოროტი, არა დაუკლა იგი უფალსა ღმერთსა შენსა. 22 ქალაქთა შინა შენთა შჯამო იგი. წმიდამან შენ შორის და არაწმიდამან ერთბამად ჭამეთ, ვითარცა ქურციკი ანუ ირემი. 23 თჳნიერ სისხლი მისი არა შჯამო, ქუეყანასა ზედა დასთხიოთ იგი, ვითარცა წყალი.

თავი XVI

დაიცევ თთუე იგი ახალთა და ჰყვი იგი დღესასწაულად უფლისა ღმრთისა შენისა, რამეთუ თუესა მას ახალთასა გამოგიყვანა შენ უფალმან ღმერთმან შენმან ღამე ეგჳპტით. 2 და დაჰკლა შენ მსხუერპლი უფლისა ღმრთისა შენისა, [46r] ცხოვარი იგი და ძროხა ადგილსა მას, რომელ-იგი გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან წოდებად სახელი მისი მას ზედა. 3 არა შჯამო მას შინა მფოვე შჳდ დღე, უფოველი პური სჯამო ჭირსა მას ში-

1 დაიცევ თთუე ახალთაჲ და ჰყვი პასქაჲ უფლისა ღმრთისა შენისაჲ, რამეთუ თთუესა შინა ახალთასა გამოხუედ ეგჳპტით ღამე. 2 და დაუკლა პასექი უფალსა ღმერთსა შენსა, ცხოვარნი და ზროხანი ადგილსა, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან იგი წოდებად სახელი მისი მუნ. 3 არა შჯამოთ მას შინა ცომი შჳდ დღე, შჯამოთ მას შინა უცომოჲ პური ჭირ-

BES: 19 უპედი]უჯედი S, წული B. განსწმიდო B. შე—B. მორისო B. ცხვარი B. 20 რომელ B. იგი 2°—BS. შენ—E. შეშჯამეთ B. 21 ბილწი BS. მის თანა—B. იყოს 2°—B. იყოს 3°—B. ბოროტი B. 22 შეშჯამო 1° S, შეშჯამონ B. წმიდამან+მან E. ზოგად+ეგრეთვე B. შეშჯამე 2° B. 23 შეშჯამოთ BS+იგი B. XVI: 1 თვეი B. ჰყავ+პასექი B. დღესასწაულად—BS. ახალთასა+და E. უფალმან ღმერთმან შენმან—B. 2 მსხუერპლი] პასქა B. და 2°—B. ზროხა BS. წოდება+და S. 3 მფოვე]ფუარე B. უფუვარი B. შჯამო BS+პური B.

G: 3 შჳდღე Gb.

BES

ნა, რამეთუ მსწრაფლ ღამე გამოხუედ ეგჳპტით და მოიკსენით დღე იგი გამოსლვისა მის თქუენისა ქუეყანით ეგჳპტით ყოველთა დღეთა ცხორებისა თქუენისათა. [4] არა იპოოს ცომი შჳდ დღე ყოველთა საზღვართა თქუენთა, არცა განაციოთ ჴორცი იგი, რომელ დაჰკლა მიმწუხრი განთიად დღესა მას პირველსა. [5] ნუ გიფლიენ შენ ჭამად ურიდად საკლველისა მისგან, რომელ-იგი დაიკლას დღესასწულსა მას ყოველთასა ქალაქთა შენთა, რომელ-იგი უფალმან ღმერთმან მოგცეს შენ. [6] არამედ ადგილსა მას, რომელ-იგი გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან წოდებად სახელი მისი მას ზედა, მუნ დაკლას საკლველი იგი დღესასწაულთა მათ მწუხრი, დასლვა[46v]სა ოდენ მზისასა, ჟამსა მას, რომელსაცა გამოხუედ ქუეყანით ეგჳპტით. [7] შეაგბო და შესწუა და შეშჭამო ადგილსა მას, რომელსაცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან, და მიიქცე ხვალისაგან და მიხჯდე სახიდ შენდა. [8] ექუს დღე უფოველი შჭამო და მეშჳდესა დღესა განჴსნა არს დღესასწაულისა მის უფლისა ღმრთისა შენისა, არა ჰქმნე მას შინა ყოველივე საქმე. [9] შჳდი შჳდეული მრგულიად აღირაცხო თავისა შენისა, რაჟამს იწყო მანგლის საქმე მკათა, მიერითგან აღირაცხო შჳდი შჳდეული. [10] და ჰყო დღესასწაული იგი შჳდეულთა უფლისა ღმრთისა შენისა, რაოდენცა ეძლოს ჴელთა შენთა, რაოდენცა რაჲ განგემარჯოს შენ, რამეთუ გაკურთხა შენ უფალმან ღმერთმან შენმან. [11] და იხარებდე შენ წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა, შენ და ძენი შენნი და ასულნი შენნი, მონა და მჯე-

G

ვეულობისაჲ, რამეთუ სწრაფით გამოხუედით ქუეყანით ეგჳპტით ღამე, რაჲთა გაჴსოვდეს დღე გამოსლვისა თქუენისაჲ ქუეყანით ეგჳპტით ყოველთა დღეთა ცხორებისა თქუენისათა. [4] და არა იხილვოს შენდა ცომი ყოველთა შინა საზღვართა შენთა შჳდთა დღეთა და არა დააძინოთ ჴორცთაგანი, რომელნიცა დაჰკლნეთ დღესა პირველსა განთიადმდე. [5] ვერ ძალ-გიც დაკლვად პასქაი ვერცა ერთსა შინა ქალაქთა შენთაგანსა, რომელნი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცნეს შენ. [6] არამედ ადგილსა, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან წოდებად სახელი მისი მუნ, მუნ დაჰკლა პასექი მიმწუხრი, დასლვასა თანა[244r] მზისასა ჟამსა, რომელსა გამოხუედ ქუეყანით ეგჳპტით. [7] შესწუა და შეჰმზადო და შეშჭამო ადგილსა, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან იგი, და მიიქცე განთიად და წარხჯდე სახლთა შენთა. [8] ექუსთა დღეთა შჭამო უცომოჲ და დღესა მეშჳდესა განსლვაჲ არს დღესასწაულისა უფლისა ღმრთისა შენისაჲ. არა ჰქმნა მას შინა ყოველი საქმე, თჳნიერ რაოდენი ეყოფვოდის ყოველსა სულსა. [9] შჳდნი შჳდეულნი სრულნი აღჰრიცხუნე თავისა შენისად დამწყებელობასა შენსა. მანგლითა საქმედ მკასა იწყო აღრიცხუვად შჳდთა შჳდეულთა. [10] და ჰყო დღესასწაული შჳდეულთაჲ უფლისა ღმრთისა შენისა, რაოდენ ეძლოს ჴელსა შენსა, რაოდენი რაჲ მიგეცა შენ, ვითარ-იგი გაკურთხა შენ უფალმან ღმერთმან შენმან. [11] და განიშუა წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა შენ და ძემან შენმან და ასულმან შენმან, მონამან შენმან და მჴევალმან

BES: [3] მწრაფლ S. მოიკსენეთ B. [4] თქუენთა]შენთა B+და B. განაციო B. დაკლა B. [6] გიფლიან E. დაიკლა B. [6] რომელ- S. იგი—B. გამოხჯდე B. [7] შეწუა B. შეჭამო B. და 1°—B. მიიქცე B. ხვალისაგან]განთიად B. [8] ექუს]და ექუს B. ჰქმე S. საქმე+თჳნიერ რაოდენი ჯერ-არს სულსა B. [9] შჳდ BE. შენისა—BS. მანგლისა BS. შჳდი]შჳდ-შჳდ B. [10] რავდენცა S. [11] ჴეჳალი B.

BES

ვალი შენი და ლევიტელი იგი, რომელ დამკჳდრებულ იყოს ქალაქსა შენსა; და მწირი იგი და ობოლი [47r] და ქურივი იგი, რომელ მყოფ იყოს თქუენ შორის ადგილსა მას, რომელ-იგი გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან წოდებად სახელი მისი მუნ. 12 მოიკსენო, რამეთუ შენცა დამონებულ იყავ ქუეყანასა მას ეგჳპტელთასა. ამის გამო დაიმარხნე და ჰყუნე მცნებანი ესე. 13 დღესასწაული იგი ტალავრობისა ჰყვი თავისა შენისა შჳდ დღე კრებასა მას კალოსა შენისასა და საწნეხელისა შენისასა. 14 და იხარებდე დღესასწაულსა მას შენსა შენ და ძე ეგე შენი და ასული შენი, მონა და მჴევალი შენი და ლევიტელიცა იგი და მწირი და ობოლი და ქურივი იგი, რომელ იყოს ქალაქთა შენთა [47v].

G

შენმან, და ლევიტე[244v]ლმან ქალაქთა შენთა შინამან და მწირმან და ობოლმან და ქურივმან თქუენ შორისმან ადგილსა, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან იგი წოდებად სახელი მისი მუნ. 12 და მოიკსენე, რამეთუ მონაჲ იყავ ქუეყანასა ეგჳპტისასა, და დაიცვნე და ჰყუნე მცნებანი ესე. 13 დღესასწაული კარავთაჲ ჰყო თავისა შენისად შჳდთა დღეთა შეკრებასა შენდად კალოჲსაგან შენისა და საწნეხელისაგან შენისა. 14 და განიშუა წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა შენ და ძემან შენმან [245r] და ასულმან შენმან და მჴევალმან შენმან და ლევიტელმან და მწირმან და ობოლმან და ქურივმან, მყოფმან ქალაქთა შინა შენთა.

BDES

15 შჳდ* დღე ჰყო დღესასწაული იგი უფლისა ღმრთისა შენისა ადგილსა მას, რომელი გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან თავისა შენისა. უკუეთუ გაკურთხოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ყოველთა ზედა ნაყოფთა შენთა და ყოველთა შინა საქმეთა შენთა და ჴელთა შენთასა, იყო შენ სახარულევან. 16 სამგზის წელიწადსა ეჩუენოს ყოველი წული ყრმა შენი წარდგინებად წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა ადგილსა მას, რომელი გამოირჩიოს უფალმან თავისა თჳსისად: დღესასწაულსა მას უფოველთასა და დღესასწაულსა

15 შჳდთა დღეთა უდღესასწაულო უფალსა ღმერთსა შენსა ადგილსა, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან იგი წოდებად სახელი მისი მუნ. უკუეთუ გაკურთხოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ყოველთა შინა ნაშრომთა შენთა და ყოველსა შინა საქმესა ჴელთა შენთასა და იყო მხიარულქმნილი. 16 სამთა ჟამთა წელიწდისათა ეჩუენოს ყოველი წულებრი შენი წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა ად-[245v]გილსა, რომელიცა გამოირჩიოს იგი უფალმან ღმერთმან შენმან: დღესასწაულსა უცომოთასა და დღესასწა-

BES: 11 და 4°—B. ლევიტელი+და ლევიტელი E. რომელი 1° B. და 6°—B. ობოლი+იგი S. რომელი 2° BS. რომელი 3°B. მუნ—S. 12 მოიკსე[ო]და მუნ მოიკსერო S. ქუეყანასა—S. მას—BS. ~მეგჳპტელთა ქუეყანასა B. დაიმარხნეთ E. 13 ჰყავ BS. დღე+ოდეს B. შეკრებასა BS. საწნახელისა B. 14 ძენი ეგე შენნი B. ასულნი შენნი B. იგი 1°—B. იგი 2°—BS. რომელი B. ქალაქსა შენსა BS.

BDES: 15 რომელ+იგი BS. ღმერთმან+შენმან BS. თავისა შენის[აგმოწოდებად სახელი მათი მუნ B. შინა]ზედა BS. შენთა 2°—BS. შენთასა+და BS. 16 სამგზის]შჳდგზის DES. უჩუენე B. რომელი+იგი BS. უფალმან+ღმერთმან შენმან B. დღესასწაულსა მას უფოველთასა და—E.

* აქედან იწყება D ხელნაწერი.

BDES

შჯდეულთასა და დღესასწაულსა ტალავრობისასა. არა ეჩუენო პირსა უფლისასა ქელცუდად, 17 არამედ თითოეულად რაოდენ-რაჲ (17S) ძალი აქუნდეს ქელთა შინა მისთა კურთხევისა მისთჳს უფლისა, რომელ მოგცეს შენ.

18 მსაჯულნი, განმგებელნი და მწიგნობარნი დაიდგინნე თავისა შენისა ყოველთაგან ნათესავთა შენთა ყოველთა მათ ქალაქთა, რომელნი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცნეს შენ, და სჯიდე ერსა მას სამართლისა სასჯელითა. 19 ნუ გარდასდრეკ სასჯელსა, ნუცა სჯიედ თუალ-ხუმით, ნუ მოიღებედ ქრთამსა, რამეთუ ძღუენმან და ქრთამმან დაუყუნის თუალნი ბრძენთანი და გარდააქცინის სიტყუანი სიმართლისანი. 20 სიმართლით სამართალსა შეუდეგით, რაჲთა სცხოვნდეთ, შეხჳდეთ და დაიმკ[48r]დროთ ქუეყანა იგი, რომელ უფალმან ღმერთმან მოგცეს შენ.

21 არა იყოს თავისა შენისა სერტყები სამსახურებელად თავისა შენისა და ყოველისაევგანი ხისა მაღნარისა გარეშე საკურთხეველსა მას უფლისა ღმრთისა შენისასა, 22 ნუ აღამართებ თავისა შენისა ძეგლსა, რომელი მოიძულა უფალმან ღმერთმან შენმან.

G

ულსა შჯდეულთასა და დღესასწაულსა კარვობისასა. არა უჩუენნეთ წინაშე უფლისა შენისა ცალიერად, 17 კაცადკაცადი ძალისაებრ ქელთა თქუენთაჲსა და კურთხევისაებრ უფლისა ღმრთისა შენისა, რომელი მოგცა შენ.

18 მსაჯულნი და მწიგნობარ-შემყვანებელნი დაადგინნე თავისა შენისა ყოველთა შინა ქალაქთა შენთა, რომელნი უფალმან ღმერთმან შენმან მიგცნეს შენ ტომად-ტომად, და შჯიდენ ერსა სამშჯავრითა მართლითა. 19 არა მისდრეკდენ მშჯავრსა, არცა თუალ-ახუმიდენ პირსა, არცა მიიღებდენ ქრთამსა, რამეთუ ქრთამი დააბრმობს თუალებსა ბრძენთასა და გარდააქცევს სიტყუათა მართალთა. 20 მართლად მართალსა სდევდე, რაჲთა ცოცხალ იყვნეთ და შესრულთა დაიმკჳდროთ ქუეყანაჲ, რომელი უფალმან [246r] ღმერთმან შენმან მიგცეს შენ.

21 არა დაჰნერგო თავისა შენისა სერტყი, ყოველი ხე მახლობელად საკურთხეველისა უფლისა ღმრთისა შენისა არა ჰყო თავისა შენისად, 22 არა აჰმართო თავისა შენისა ძეგლი, რომელნი მოიძულნა უფალმან ღმერთმან შენმან.

თავი XVII

1 არა შესწირო უფლისა ღმრთისა შენისა ზუარაკი ანუ ცხოვარი, რომლისა თანა იყოს ბიწი ანუ სიხაშმე, რა-

1 არა მოჰგუარო უფალსა ღმერთსა შენსა ზუარაკი ანუ ცხოვარი, რომლისა თანა იყოს ბიწი, მის თანა ყოველი

BDES: 16 დღესასწაულსა 2°, 3°+მას BS. ეჩუენო+შენ BS. უფლისა+ღმრთისა B. 17 თჳთოეულად B. რაოდენი B, რავდენ S. უფლისაჲსა S+ღმრთისა შენისა B. 18 მსაჯული S+და BDS. დაადგინენ B. ყოველთაგან ნათესავთა შენთა—B. რომელნი]რ~ნ E, რომელ იგე BS. შენმან+რ~ნ S. მოგცეს BS. შენ+ნათესავისაებრ B. შჯიდე BS. სიმართლისა DS. საშჯელითა S. 19 განდრეკ B. ნუცა]ნუ B. შჯი B, შჯით S. ნუ 2°]ნუცა S. მიიღებ B, მიიღებნ S. გარდააქციენის B. სიტყუანი—BS. სამართლისანი S]სამართალნი B. 20 სიმართლით—B. სცხონდეთ DS+და BS. ღმერთმან+შენმან S. 21 იყოს]ისხა BS. ყოელისაგანეე B. 22 აღჰმართებ D. ძეგლად BS. რომელი იგი BS|რამეთუ E. შენმან—DE. XVII: 1 შესწირო+შენ BS. უფალსა ღმერთსა შენსა B. ანუ 1°]ანუთუ BS. იყო DE. ბიწი]ბილწი E. სიხაშმე+ყოველი სიტყუა ბოროტი B.

BDES

შეთუ საძაგელ არს უფლისა ღმრთისა თქუენისა.

G

ჰამაძდი ხენეში, რამეთუ საძულელ არს უფლისა ღმრთისა შენისა.

DES

2 იყოს თუ ვინმე შორის შენსა ანუ ქალაქთა შენთა, რომელი-იგი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ, მამაკაცი გინა დედაკაცი, რომელმან ქმნეს ბოროტი წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა,

2 ხოლო იპოოს თუ შენ შორის ერთსა შინა ქალაქთა შენთაგანსა, რომელთა უფალი ღმერთი მიგცემს შენ, მამაკაცი ანუ დედაკაცი. რომელმან ქმნას ბოროტი წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა,

B

2 და უკუეთუ მოიღოს შენ თანა ერთი ქალაქთაგან შენთა, რომელი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ, მამაკაცი ანუ დედაკაცი, რომელი ჰყოფს ბოროტსა წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა,

BDES

3 და გარდაჰკდეს მცნებათა მისთა და მიეიდეს და მსახუროს მან კერპთა და თაყუანი-სცეს მზესა, გინა მთოვარესა, გინა ყოველსა სამკაულსა ცისასა, რომლისა მე არა უბრძანე, 4 და აგრძნეთ, გამოიძიეთ და გამოიკითხეთ ფრიად, თუ ჴეშმარიტად ყოფილ იყოს სიტყუა იგი ბილწებისა შორის ისრაელსა, 5 განიყვანოს კაცი იგი გარეშე ქალაქსა, მამაკაცი [48v] იყოს, გინა დედაკაცი, ქვა დაჰკრიბონ მას და მოკუდეს. და რომელი-იგი მოკუდებოდეს,

3 გარდასლვაჲ მცნებისა მისისაჲ და მოსრულთა ჰმსახურონ ღმერთთა სხუათა და თაყუანის-სცენ მათ მზესა, ანუ მთუარესა, ანუ ყოველსავე ცისა სამკაულისაგანსა, რომელი არა უბრძანე. 4 და მიგეთხრა შენ და გამოიძიე ფრიად. და, აჰა, ჴეშმარიტ [246v] იქმნა სიტყუაჲ: ქმნილ არს საძაგელებაჲ მისი ისრაელსა შორის, 5 და განიყვანო კაცი იგი ანუ დედაკაცი იგი, რომელთა ქმნეს საქმე ესე ბოროტი. გარეგან ბჭესა და ქვადაკრებულ-ჰყუნეთ იგინი ქვებითა და აღესრულნენ. 6 ორითა მოწამითა ანუ სამითა მოწამითა მოკუდინ მოკუდომად, არა მოკუდეს ერთითა მოწამითა.

DES

6 ორისა და სამისა მოწამითა მოკუდეს, ნუ ერთითა მოწამითა.

BDES: 1 არს+იგი BS. თქუენისა]შენისა B. 2 იყოს]იპოოს D, იპოვოს S. ~შენ შორის DS. რომელ S. მიგცეს S. გინათუ S. 3 გარდაკდეს BS. ჰმსახუროს S. გინა 2°]გინათუ BS. ყოველსაცე BS. უბრძანე+მათ BDS. 4 და 2°—BS. ფრიად+და BS. იგი]ეგე S. 5 განიყუანო BS. ქალაქისა E+გინათუ BS. გინა]გინათუ BS. დედაკაცი+იყოს BS. ქუეაჲ B. დაკრიბონ D. 6 ორითა და სა-

B

6 ორისა თანა მოწამისა ანუ სამითა რაჲთა მოკუდეს მოკუდავი, რაჲთა არა მოკვდეს ერ⌈თ⌉ითა მოწამითა.

BDES

7 ხოლო ჯელნი პირველად მოწამეთანი შეეხნენ მოკუდინებად სიკუდილისა თანამდებისა მის, (7S) მაშინღა ჯელი ყოვლისა ერისა მის შემდგომაღ მათსა, მოისპენ უკეთური იგი თქუენ შორის.

8 ვერ თუ რაჲმე შესაძლებელ იყოს თქუენ შორის სიტყუა სასჯელისა განგებასა განსაგებელისასა, ანუ განკითხვასა რასმე სარჩელისასა, ანუ იჴუსა მი-მართ რასმე გონებისასა, ანუ ცილობისათჳს რასმე სიტყუსა სარჩელისასა ქალაქთა შინა შენთა, აღსდგე და აღხჳდე შენ ადგილსა, რომელსაცა-იგი გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან თქუენმან წოდებად სახელი მისი მას ზედა. 9 მიხჳდე შენ მღდელთა მათ ლევიტელთა და მსაჯულნი იგი, რომელ იყუნენ მათ ჟამთა, გამოიკითხონ სარჩელი იგი და გითხრან შენ განგება იგი სარჩელისა მის. 10 და ჰყო მსგავსად სიტყუსა მის, რომელი-იგი გითხრან შენ ადგილისა მისგან, რომელი გამ[49r]ოირჩია უფალმან. ეკრძალო მას ყოფად ყოვლისა მის მცნებისა სასჯელისასა, (11S) რომელი-იგი სჯული შეგითხრა შენ. 11 და რაჲცა ეასწაონ შენ, ჰყო შენ მსგავსად სიტყუსა მის მათისა, რაჲცა-იგი გრქუან შენ, არა გარდააქციო მარჯულ, არცა

G

7 და ჯელნი მოწამეთანი იყუნენ მის ზედა პირველად მოკუდინებად მისსა და ჯელი ყოველისა ერისაჲ უკუანაჲსკნელ და მოსპეთ ბოროტი თქუენ მაგათგან.

8 ხოლო უკუეთუ შეუძლებელ იქმნეს თქუენგან სიტყუაჲ საშჯელსა შინა შორის სისხლისა სისხლი და შორის მშჯავრისა მშჯავრი და შორის შეხებისა შეხებაჲ და შორის ცილობისა ცილობაჲ, სიტყუაჲ საშჯელისაჲ ქალაქთა შინა შენთა, და აღდგომილი აღხჳდე ადგილად, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან წოდებად სახელი მისი მუნ. 9 [247r] მიხჳდე მღდელთა მიმართ ლევიტელთა და მსაჯულისა მიმართ, რომელიცა იყოს მათ დღეთა შინა, და გამომეძიებელთა მიგითხრან შენ მშჯავრი. 10 და ჰქმნა სიტყუსაებრ, რომელი მიგითხრან შენ ადგილისაგანთა მათ, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან წოდებად სახელი მისი მუნ, და დაიცუა ფრიად ქმნად ყოველისაებრ, რაოდენი რაჲ შჯულ-გიდუან შენ. 11 შჯულისაებრ და მშჯავრისაებრ, რომელიცა გრქუან შენ, ჰყო, არა მისდრკე სიტყუსაგან, რომელი მიგითხრან შენ, მარჯუენით, არცა მარ-

---

BDES: 7 ხოლო—S. შეეხნედ S. სიკუდილის DE. მის+და BS. ჯელი—DE. ~მის ერისანი BDS. 8 თუ]თურე B. იყოს]არს B. ვერ... შორის—DE. საშჯელისაჲ S. განსაგებელსა B. სარჩელისასა]სასჯელისასა S, საშჯელისასა B. იჴუსა S. რაჲსამე E. რასმე 3°]რაჲმე E, რამე D, რასამე B. სარჩელისასა 2°] სასჯელისასა BS. აღდეგ B. ადგილსა+მას BS. რომელსაცა]რომელცა BS. გამოირჩია BS. თქუენმან]შენმან და B. 9 მიხჳდე]და მიხჳდე BS. ჟამთა+და BS. გამოიკითხოთ E. სარჩელი]სასჯელი BS. იგი 2°—E. გითხრნენ B. სარჩელისა]სასჯელისა BS. 10 მ̇გავსად+სარჩელისა მის და ჰყო მ̇გაესად B. რომელი 1°]რომელცა BS. გითხარან B. რომელ 2°+ იგი BS. უფალმან+ღმერთმან შენმან მოწოდებად სახელი მისი მუნ და B;+და S. ეკრძალოს DE. რომელ 3° BS. შჯული BS. გითხრა B. 11 და+რჯულისაებრ და მსჯავრისა B. შენ 1°—B. ყო B. გრქუა E. გარდააქციო+შენ BS.

BDES

მარცხლ. 12 იყოს თუ ვინმე კაცი და ამ-
პარტავანებდეს, არა ერჩდეს სიტყუასა
მღდელისასა, რომელი დგეს მსახურად
სახელისა მის უფლისა ღმრთისა შენი-
სასა, ანუთუ მსაჯულთა მათ, რომელნი
დგეს მათ ჟამთა, სიკუდილისა თანა-
მდებ არს კაცი იგი, სიკუდილით მოკუ-
ედინ და მოისპენ ბოროტი იგი შორის
ისრაელსა, 13 რაჲთა ყოველსა ერსა,
რომელსა ესმეს, ეშინოდის და არა ამ-
პარტავანებდეს.

14 შე-თუ-ხვდე ქუეყანასა მას, რო-
მელ უფალმან ღმერთმან შენმან მოგ-
ცეს შენ ნაწილად მკჳდრობისა შენისა,
და დაემკჳდრო მუნ და მოიჯსენო გულ-
სა შინა შენსა და სთქუა: დავიდგინო
თავისა ჩემისა მთავარი, ვითარცა სხუ-
ათა ნათესავთა, რომელნი გარემო არიან
ჩემსა.

DES

15 არა დაიდგინო შენ სხუა, არამედ
რომელი გამოირჩიოს უფალმან ღმერ-
თმან შენმან ძმათაგანვე შენთა, [49v]
იგი დაიდგინო მთავრად შენ ზედა, რო-
მელ არა ძმათა შენთაგან იყოს.

B

15 არა იდგინო შენ სხუაჲ მთავარი,
არამედ რომელიცა გამოირჩიოს უფალ-
მან ღმერთმან შენმან ძმათაგანი შენ
თანა, დაადგინო თქუენდა მთავარნი,
არა ძალ-გიცს თქუენ ზედა დადგინე-
ბად მთავარი და კაცი უცხო, რამე-
თუ არა ძმა თქუენი არს.

BDES

16 ნუუკუე ერისკრება-ყოს და გა-
ნამრავლოს შენ ზედა მჴედარი და მი-

G

ცხენით. 12 და კაცმან, რომელმანცა ყოს
თქუენ შორის ამპარტავანებით არაზმე-
ნაჲ მღდელისა წარდგომილისაჲ მსა-
ხურებად სახელსა ზედა უფლისა
ღმრთისა შენისასა ანუ მსაჯულისაჲ,
რომელიცა იყოს მათ დღეთა შინა, და
მოაკუდინოთ კაცი იგი და მოსპოთ ბო-
როტი ისრაელისაგან. 13 და ყოველსა
ერსა მსმენელსა შეეშინ[247v]ოს და
არღა იულმრთოოს მერმე.

14 და უკუეთუ შეხვდე ქუეყანასა,
რომელსა უფალი ღმერთი შენი მიგ-
ცემს შენ წილად, და დაიმკჳდრო იგი
და დაეშენო მას ზედა და სთქუა: და-
ვიდგინო თავისა ჩემისა მთავარი, ვი-
თარცა სხუათა წარმართთა გარემოჲს
ჩემსა. 15 და დადგინებით დაიდგინო
თავსა შენსა ზედა მთავარი, რომელი-
ცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან
შენმან ძმათაგან შენთა, დაადგინო
თავსა შენსა ზედა მთავარი, არა გეძ-
ლოს დადგინებად შენ ზედა კაცი
უცხოჲ, რამეთუ არა ძმაჲ შენი არს.

16 გარნა არა განიმრავლოს თავისა
თჳსისა ცხენი, არცა მიაქციოს ერი

BDES: 11 მარცხულ B. 12 იყოს]და იყოს B. ამპარტავნობდეს B, ამპარტავნებდეს+და S. ~ამპარტავანებდეს და BD. მღდელისასა+მის S. რომელი 1°]რომელი–იგი BS. შენისა DE. რომელნი]რომელი E. ~ იგი კაცი BS. სიკუდილითა B. იგი 2°+ეგეოთარი BS. 11 ეშინოდენ B. არღარა BS. ამპარტავანებდეს]უშჯულოებდენ ამის მიერ B, უსჯულოებდენ S. 14 შე-თუ-ხვდე+შენ BS. რომელ+იგი BS. შენ—B. შენისა—E. დაემკჳდრო]დაეშენო BDS. შინა—BS. თქუა BE. აღ-ვიდგინო DE, ეიდგინო S. ვითარცა]რ̃ DE. სხუათა—E. რომელნი+იგი S. DES: 15 დაიდგინო 1°]იდგინო S, რომელიცა S. იგი—DE. შენთაგანი S. 16 ნუუკუე ერის კრება ყოს—B.
G: 15 შენმან+მან G.

BDES

აქციოს ერი ეგე მუნვე ეგჳპტედ, რამეთუ უფალმან ესრეთ თქუა: არღარა შესძინო მერმე მოქცევად გზასავე ამას. 17 და ნუ განიმრავლებნ თავისა თჳსისა ცოლებსა, რაჲთა არა განდრკეს გული მისი, ოქროსა და ვეცხლსა ნუ შეიკრებნ ძლიერად. 18 და იყოს, რაჟამს დაჯდეს საყდართა მათ ზედა მთავრობისა მისისათა, გარდაწერე წიგნი ესე მეორისა სჯულისა წიგნთა (19S) მღდელთაგან და ლევიტელთა 19 და იყოს მის თანა მარადის და ჰკითხვიდეს მას ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა, რაჲთა შეისწაოს შიში უფლისა ღმრთისა შენისა და დაიმარხნეს ყოველნი მცნებანი და სამართალნი, და ყოს ესე, 20 რაჲთა არა ამაღლდეს გული მისი ძმათაგან თჳსთა და გარდაქციოს სჯულისა მისგან მარჯუენით ანუ მარცხენით, რაჲთა [50r] დღეგრძელ იყოს მთავრობასა მას ზედა მისსა იგი და შვილნი მისნი შორის ძეთა მათ ისრაელისათა.

G

ეგჳპტედ, რაჲთა არა განიმრავლოს თავისა თჳსისა ცხენი, ხოლო უფალმან თქუა: არა შესძინოთ უკმოქცევად მერმე გზასა ამას. 17 და ნუ განიმრავლებნ თავისა თჳსისა ცოლებსა, რაჲთა არა განდრკეს გული მისი და ვეცხლი და ოქროჲ არა განიმრავლოს თავისა თჳსისა ფრიად. 18 [248r] და იყოს, რაჟამს დაჯდეს საყდარსა ზედა მთავრობისა თჳსისა და დაწეროს თავისა თჳსისათჳს მეორე საშჯულოჲ ესე წიგნად მღდელთა მიერ ლევიტელთა 19 და იყოს მის თანა დღეთა ცხორებისა მისისათა, რაჲთა ისწავოს შეშინებად უფლისაგან ღმრთისა თჳსისა დაცვად ყოველთა ამათ მცნებათა და სამართალთა მისთა ქმნად, 20 რაჲთა არა ამაღლდეს გული მისი ძმათაგან მისთა, რაჲთა არა გარდაჰკდეს მცნებათაგან მარჯულ ანუ მარცხლ, რაჲთა გრძელ ჟამ იყოს მთავრობასა შინა თჳსსა იგი და ძენი მისნი შემდგომად მისსა ძეთა შორის ისრაელისათა.

თავი XVIII

1 და არა იყოს მღდელთა მათ ძეთა ლევიტელთა, სხუათა მათ ნათესავთა ნაწილ და სამკჳდრებელ შორის ისრაელისა, არამედ შესაწირავნი იგი უფლისანი იყვნენ ნაწილად მათდა და მას ჰამდედ. 2 ხოლო სხუა ნაწილი არა აქუნდეს ძმათა შორის თჳსთა, არამედ უფალი ნაწილ იყავნ. 3 მღდელთა მათ ერისა მისგან, რომელნი შესწირვიდეს მსხუერპლთა მათ, გინათუ ზუარაკსა, გინა

1 არა ეყოს მღდელთა ლევიტელთა, ყოველსა ტომსა ლევისსა ნაწილი, არცა სამკჳდრებელი ისრაელსა შორის, ნაყოფებნი უფლისანი იყვნენ ნაწილ მათდა, ჰამდენ მათ. 2 ხოლო წილი არა იყოს მათი ძმათა შორის, თჳთ უფალი წილ მათდა არს, ვითარ-იგი თქუა მან. 3 და ესე არს სამართალი მღდელთაჲ ერისა[248v]გან დამკლველთაგან მსხუ-

BDES: 10 მოაქცოს B. ეგჳპტედ+რამეთუ არა განმრავლდეს შენ ზედა მჯედარნი B. შესძინოთ BS+თქუენ BS. 17 განამრავლებ B, განიმრაელებ DE. ეცხლს E. შეიკრებთ DE, შეიკრებ B. 18 იყო B. მისისათა+და BS. მეორესა შჯულისა B. და 2°—B. 19 ჰკითხვიდე B. ცხოვრებისა BD. შენისა]თჳსსა BS. ყოველნი+ესე BS. 20 აღმაღლდეს S. შჯულისა B. მარჯულ BS. მარცხულ B, მარცხლ S.

XVIII. 1 და—BDS. იყო B. ლევიტელთა]ლევისთა BS+ვითარცა BS. ნაწილად B. და 2°—B. სამკჳდრებელსა B. ისრაჱლსა BS. იყვნედ BS. მათა S. და 3°—E. ჰამედ BS. 2 ძმათა—S. შორის თჳსთა]მისთა B]—S. უფალი+თჳთ B. იყავნ]იყოს მისი, ვითარცა ჰრქუა მას: იყა ე B. 3 რომელნი+იგი BS. შესწირვიდენ BS. მათ 2°]მათგანი B. ზუარაკს B. გინა]გინათუ BDS.

BDES

ცხოვარსა, მიეცინ მღდელსა ნაწილად აღსაბმელი და ღაწუნი კოჭანითურთ, 44 და პირველი იფქლისა და ღჳნისა და ზეთისა, პირველი ნარისუაჲი ცხოვართა შენთა მისცე მას. 5 რამეთუ იგი გამოირჩია უფალმან ღმერთმან შენმან თჳისა თჳსისა ყოველთაგან ნათესავთა დადგინებად მისა მსახურებად უფლისა, იგი და ძენი მისნი ძეთაგან ისრაელისათა ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა. 6 მო-თუ-ვინმე-ვიდეს ლევიტელი ერთი [50v] რომლისავე ქალაქისა ძეთა მათ ისრაელისათა, სადაცა ვინ დამკჳდრებულ იყოს, რამეთუ გულმან ჰრქუა მას მოსლვად და მსახურებად ადგილსა მას, რომელი გამოირჩია უფალმან, 7 სამსახურებელად უფლისა ღმრთისა, ვითარცა ყოველთა ამათ ძმათა ლევიტელთა, რომელნი დგენ წინაშე უფლისა, 8 ეგრეცა მას მიეც ნაწილი საჭმლად, გარნა სასყიდელისა მისგან ნათესავთასა არა სცე მას.

9 და ოდეს შეხჳდე ქუეყანასა მას, რომელ მოგცა უფალმან ღმერთმან შენ, ნუ ისწავებ შენ საქმედ მსგავსად ბიწებისა მის მათ წარმართთასა. 10 ნუვინ იპოების შენ შორის, რომელი შესწვიდეს ძესა თჳსსა, გინა ასულსა ცეცხლითა, ანუთუ მისნობდეს მისნობითა, ანუ ჰავს იზმნიდეს ჰავითა ზმნითა, ანუ წამლებდეს წამლითა, 11 ანუ გრძნეულ იყოს, ანუ ულუკმოკითხველი, ანუთუ სასწაულით მკუდართა მკითხველი. 12 რამეთუ ბილწ არს წინაშე უფლისა, რომელი იქმოდის ამას ყოველსა; რაG

ერპლთაჲსა, გინათუ ზუარაკისა ანუ ცხოვარისა, და მისცე მღდელსა მკარი და ყბანი, 4 და დასაბამნი იფქლისა შენისა და ღჳნისა შენისა და ზეთისა შენისანი და დასაბამი ნარისუალთა ცხოვართა შენთაჲ მისცე მას. 5 რამეთუ იგი გამოირჩია უფალმან ღმერთმან შენმან ყოველთაგან ტომთა შენთა წარდგომად წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა მსახურებად და კურთხევად სახელითა უფლისაჲთა იგინი და ძენი მისნი ყოველთა დღეთა. 6 მო-თუ-ვინმე-ვიდეს ლევიტელი ერთისაგან ქალაქთა თჳენთაგანისა ყოველთაგან ძეთა ისრაელისათაჲსა, რომელსა შინა მსხემ იყოს იგი, მით, რამეთუ გული უთჳუამს სულსა მისსა, ადგილსა, რომელიცა გამოირჩია უფალმან ღმერთმან შენმან, 7 მსახურებად სახელსა უფლისა ღმრთისა მისისასა, ვითარცა ყოველნი ძმანი მისნი ლევიტელნი წარდგომილნი მუნ წინაშე უფლისა, 8 ნაწილი განნაწილებული ჭამენ მან გარეშე ნაქმრისა ტომობითისა.

9 უკუეთუ შეხჳდე ქუეყანასა, რომელსა უფალი ღმერთი შენი მიგცეს შენ, არა ისწავო ქმნად მსგავსად საძაგელებისა მათ ნათესავთაჲსა. 10 არა იპოვოს შენ შორის გარეშე მჴდელი ძისა თჳსისა, ანუ ასულისა თჳსისაჲ ცეცხლსა; მგრძნებავი გრძნებასა, მემისნე, მწამლველი, 11 მრთუანავი რთუანეასა, მუცლითმეზღაპრე და ნიშთმზმნელი, მკითხავი მკუდართაჲ. 12 რამეთუ საძაგელ არს უფლისა ღმრთისა

BDES: 3 მიეცენ S. მღდელსა+მას BS. აღსაღებელი B. 4 და 2°—E. ზეთისა+და BDS. ნარისუევი B, ნარისუელი S. მისცეს D. 5 უფლისა+ღმრთისა შენისა და კურთხევად სახელი უფლისა B. ცხოვრებისა B. მის|ისათა]მათისათა S. 6 რომლისავე]ყოველისავე B. ქალაქისა+თჳენისა B. იყოს+და BS. ჰრქუა]უთქვა B. მას]ამას S. რომელ B+იგი BS. 7 სამსახურებელად+სახელი B. ღმრთისა+თჳენისა B. ძმათა+ძეთა BDS. დგეს B. 9 და ოდეს]უკუეთუ BS. შეხჳდე+შენ BS. რომელი DS+იგი BS. ~უფალმან ღმერთმან მოგცეს BS. შენ 1°]თჳენ B;+მოგცეს E. ისწავებ]იღებ E. ბილწებისა S]—B. მის მათ—B. 10 იპოებინ S. შენ]ჩუენ E. რომელი]რ~ BS. გინა] გინათუ BS. ასულსა+თჳსა BS. მისნობდეს]იმისნიდეს S]—B. ავს E, ჰაესა S, ავსა B. ანუ 3°] ანუთუ B. ანუ წამლებდეს]აუწალებდეს E. წამლობდეს BD. 11 ანუ 1°]ანუთუ B. იყოს]გრძნებითა S, გრძნეულებითა B. ანუ 2°]ანუთუ BS. ულუკთა B. ანუთუ[ანუ S. სასწაულითა B. 12 უფლისა+ღმრთისა შენ·სა BS.

BDES

